

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის  
იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

# პრეპტიკული საბუღალტრო

## მსწავლის სახელმძღვანელო

საპილოტო პრესია

თბილისი  
2014



სახელმძღვანელო გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით



გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი. ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით.

ავტორები: გიორგი გობრონიძე  
ინგა თოდრია  
რაულ აგიკიანი  
რევაზ ხოფერია  
კახა წიქარიშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი

პედაგოგიური რედაქტორი: გიორგი გახელაძე

სამეცნიერო რედაქტორი: თორნიკე დარჯანია

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ მეტრეველი

ჯ. კახიძის ქუჩა, 0102, თბილისი, საქართველო  
+995 32 295 23 53  
+995 32 293 61 01

© წიგნზე ყველა საავტორო უფლება დაცულია

ISBN 978-9941-9302-4-9

## გ ა მ ო მ ს ე მ ლ ი ს გ ა ნ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი წარმოგიდგენთ სამართლის სახელმძღვანელოს, რომელიც მოსწავლისთვის გასაგები ენით მიმოიხილავს სამართლის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.

სახელმძღვანელო შეიქმნა გერმანული ანალოგის მაგალითზე და გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდს სჯერა, რომ სამართლის ცოდნა არ წარმოადგენს მხოლოდ იურისტების ცოდნის ექსკლუზიურ სფეროს, არამედ იგი მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანისთვის, იმდენად რამდენადაც სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობის ნაწილია. სწორედ ამიტომ ფონდმა შექმნა სახელმძღვანელო არა მომავალი იურისტების, არამედ საზოგადოების აქტიური წევრებისთვის.

მოგეხსენებათ, სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლას 18 წლის ასაკში ასრულებს, შესაბამისად, მათ უკვე აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება, მონაწილეობენ არჩევნებში და საკუთარი სამოქალაქო პოზიციის დაფიქსირებით სახელმწიფოს ბუდის განმსაზღვრელები ხდებიან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ მიერ სახელმწიფოს არსის, მისი სამართლებრივი ბუნების გააზრებას.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კომპლექსური სამართლებრივი ცოდნა მიიღონ, სახელმძღვანელო სამართლის პრაქტიკულად ყველა დარგის აქტუალურ თემებს მოიცავს. კერძოდ, სახელმძღვანელოში საუბარია სამართლის არსზე, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებაზე. ცალკე თავები ეთმობა კონსტიტუციურ სამართალს, ადმინისტრაციულ სამართალს, ადამიანის უფლებებს, სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესს, სამოქალაქო სამართალს, სამოქალაქო პროცესს, შრომის სამართალს, გადასახადებსა და სამენარმეო სამართალს. სახელმძღვანელოში, ასევე, განხილულია საარჩევნო სამართალი, განათლების სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი.

სახელმძღვანელოს ერთვის მოსწავლის რვეული კონსტიტუციურ სამართალში, რომელიც ჩვენი აზრით, მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცების კარგი საშუალებაა.

იმედს ვიტოვებთ, რომ მოცემული სახელმძღვანელო, არა მხოლოდ დაინტერესებს მკითხველს, არამედ მისცემს იმ აუცილებელ სამართლებრივ ცოდნას, რაც საჭიროა ნებისმიერი მოქალაქისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

# სარჩევი

<b>სამართლის არსი</b> .....	11
1. სახელმწიფო, სამართალი და საზოგადოება .....	11
2. სამართლის სფეროები .....	15
3. სახელმწიფოს არსი .....	17
<b>საკონსტიტუციო სამართალი</b> .....	21
I - შესავალი .....	21
1. სიტყვა კონსტიტუციის პირველი მნიშვნელობა (ეტიმოლოგია).....	21
2. კონსტიტუციური სამართლის ძეგლები .....	21
II - საქართველოს კონსტიტუცია .....	23
1. ისტორიული მიმოხილვა.....	23
2. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია .....	27
3. მოქმედი კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა. . . .	28
4. მოქმედი კონსტიტუციის სტრუქტურა.....	29
5. კონსტიტუციის პირველი თავი.....	29
6. კონსტიტუციის მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა და ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები .....	33
7. კონსტიტუციის მესამე თავი. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლება - საქართველოს პარლამენტი .....	36
8. კონსტიტუციის მეოთხე თავი. საქართველოს პრეზიდენტი .....	42
9. კონსტიტუციის მეოთხე თავი. საქართველოს მთავრობა.....	44
10. კონსტიტუციის მეხუთე თავი. სასამართლო ხელისუფლება.....	49
11. კონსტიტუციის მეექვსე თავი. სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი.....	55
12. კონსტიტუციის მეშვიდე თავი. სახელმწიფოს თავდაცვა.....	58
13. კონსტიტუციის მეშვიდე <sup>1</sup> თავი. ადგილობრივი თვითმმართველობა .....	61
<b>ადამიანის უფლებები</b> .....	63
1. ადამიანის უფლებები, როგორც ღირებულებათა სისტემა .....	63
2. ადამიანის უფლებები, როგორც სამართლებრივი სისტემა.....	65
3. უფლებები და თავისუფლებები .....	68
4. აბსოლუტური და შეზღუდული უფლება .....	68
5. სიცოცხლის უფლება.....	74

6. პირადი თავისუფლება . . . . .	78
7. სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლება . . . . .	81
8. საკუთრების უფლება . . . . .	84
9. აქტიური მოქალაქეობა. . . . .	88

**ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი. . . . . 95**

**შესავალი. . . . . 95**

1. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი და საკონსტიტუციო სამართალი . . . . .	95
2. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი და მმართველობა კერძო სამართლის სფეროში . . . . .	95
3. სისხლის სამართალი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი. . . . .	98
4. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის მიზნები. . . . .	99
5. ადმინისტრაციული ორგანო . . . . .	101
6. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები . . . . .	103
7. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. . . . .	107
7.1. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი. . . . .	107
7.2. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია . . . . .	108
7.3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი . . . . .	109
7.4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა. . . . .	110
7.5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის კანონიერება . . . . .	111
7.6. არარა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი . . . . .	112
7.7. ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი . . . . .	113
7.8. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის წესები . . . . .	114
8. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება . . . . .	114
9. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. . . . .	119
10. ადმინისტრაციული წარმოება კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში . . . . .	120
11. რეალური მოქმედება (რეალაქტი) . . . . .	122
12. ადმინისტრაციული ხელშეკრულება . . . . .	123
13. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებების გასაჩივრება . . . . .	123
14. ინფორმაციის თავისუფლება . . . . .	124

<b>სამოქალაქო სამართალი</b> .....	127
1. უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.....	128
2. გარიგება და მისი სახეები .....	132
3. საკუთრება და მფლობელობა .....	137
4. ნასყიდობის ხელშეკრულება .....	142
5. ქირავნობა .....	145
5.1. ქირავნობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.....	147
6. სესხი .....	149
7. გირავნობა და იპოთეკა.....	152
8. უსაფუძვლო გამდიდრება .....	158
9. დელიქტები .....	160
10. ინტელექტუალური საკუთრება .....	163
11. სამეზობლო სამართალი.....	169
12. საოჯახო სამართალი .....	171
12.1. ქორწინების ცნება, პირობები, ასაკი, დამაბრკოლებელი გარემოებები .....	171
12.2. ქორწინების შეწყვეტა და ბათილობა .....	173
12.3. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები .....	174
12.4. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ .....	176
12.5. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი .....	177
13. მემკვიდრეობის სამართალი .....	178
13.1. სამკვიდროს გახსნა, დრო და ადგილი .....	179
13.2. მემკვიდრეობა კანონით.....	180
13.3. მემკვიდრეობა ანდერძით .....	180
14. სამოქალაქო პროცესი (სარჩელი, მხარეები, სასამართლო პროცესი) .....	184
15. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება .....	191
<b>შრომითი ურთიერთობები</b> .....	195
1. ცნება და კანონის მოქმედების სფერო (საქართველოს “შრომის კოდექსი”).....	195
2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა .....	197
3. შრომის ხელშეკრულება.....	198
4. სამუშაოს შესრულება.....	198
<b>სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები</b> .....	201
1. იურიდიული პირის ცნება, სახეები .....	201
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (რეგისტრაცია, ცვლილების რეგისტრაცია).....	202

3.	არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) .....	203
4.	სამენარმეო იურიდიული პირი .....	203
4.1.	სამენარმეო სუბიექტები .....	204
<b>საბადასახადო სამართალი .....</b>		<b>207</b>
1.	გადასახადის ცნება და სისტემა .....	207
2.	გადასახადის გადამხდელი, საგადასახადო აგენტი .....	209
3.	გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი დაცვა .....	209
4.	საგადასახადო ვალდებულება და მისი შესრულება .....	210
5.	საგადასახადო ანგარიშგება .....	210
6.	გადასახადები .....	210
6.1.	საშემოსავლო გადასახადი .....	210
6.2.	მოგების გადასახადი .....	210
6.3.	დამატებული ღირებულების გადასახადი .....	210
6.4.	აქციზი .....	211
6.5.	იმპორტის გადასახადი .....	211
<b>სისხლის სამართალი .....</b>		<b>213</b>
1.	რა არის მართლწესრიგი? .....	213
2.	რა არის სისხლის სამართალი? .....	215
3.	რა არის დანაშაული? .....	215
4.	სისხლის სამართლის რამდენიმე მთავარი პრინციპი .....	217
5.	დანაშაულის ელემენტები .....	218
5.1.	ქმედების შემადგენლობა .....	218
5.2.	განზრახვა, გაუფრთხილებლობა .....	218
5.3.	ობიექტური შემადგენლობა .....	220
5.4.	ქმედება .....	220
5.5.	შედეგი .....	221
5.6.	მიზეზობრივი კავშირი .....	221
5.7.	დრო, ვითარება, საშუალება, ხერხი .....	222
6.	მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები .....	222
7.	ბრალის გამომრიცხავი გარემოებები .....	223
8.	დაუმთავრებელი დანაშაული .....	223
9.	დანაშაულში თანამონაწილეობა .....	226
10.	სასჯელი .....	228

10.1.	რა არის სასჯელი?.....	228
10.2.	სასჯელთა სახეები .....	229
11.	ცალკეული დანაშაულები.....	231
11.1.	ქურდობა .....	231
11.2.	ჯანმრთელობის დაზიანება.....	232
11.3.	ნარკოტიკული დანაშაული .....	232

**სისხლის სამართლის პროცესი .....** 233

1.	რა არის სისხლის სამართლის პროცესი? .....	233
2.	ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში .....	233
3.	სისხლის სამართლის პროცესის რამდენიმე მთავარი პრინციპი .....	235
3.1.	უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	235
3.2.	მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა.....	235
3.3.	სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა.....	235
4.	სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირები.....	236
5.	ადკვეთის ღონისძიებები .....	237
6.	მტკიცება, მტკიცებულებები.....	238
7.	სისხლის სამართლის პროცესის სტადიები .....	239
7.1.	გამოძიების სტადია.....	239
7.2.	ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში .....	241
7.3.	საპროცესო შეთანხმება.....	242
7.4.	წინასასამართლო სხდომა .....	243
7.5.	სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადია .....	243
8.	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.....	245
9.	სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის გასაჩივრება.....	247
10.	მოქალაქის როლი დანაშაულთან ბრძოლაში.....	248

**განათლების სამართალი**

1.	განათლების სამართლის განვითარება საქართველოში.....	249
2.	განათლების უფლება .....	250
3.	ზოგადი განათლების სამართალი .....	252
3.1.	ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.....	252
3.2.	სკოლის სამართლებრივი ფორმა და მისი ფუნქციონირების წინა პირობები....	254
3.3.	ზოგადი განათლების სისტემის მართვა.....	254
3.4.	ზოგადი განათლების საფეხურები და მოსწავლის დაფინანსება სახელმწიფოს მიერ .....	254



4.	სკოლის მართვა .....	255
4.1.	სკოლის საქმიანობის საფუძვლები და სტრუქტურა.....	255
4.2.	მართვის ორგანოების დაკომპლექტების წესი და ძირითადი ფუნქციები ....	255
5.	მასწავლებლის პროფესიის რეგულირება საქართველოში .....	257
5.1.	მასწავლებლის უფლების მოპოვება .....	257
5.2.	მასწავლებლის უფლებები და ვალდებულებები .....	258
6.	მოსწავლის უფლებები და მოვალეობები .....	260
7.	პროფესიული განათლების სამართალი .....	266
7.1.	პროფესიული განათლების მიზანი, სახეები და საფეხურები .....	266
7.2.	პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები .....	267
7.3.	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები და სამართლებრივი ფორმა .....	267
7.4.	პროფესიული განათლების მასწავლებელი.....	268
7.5.	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები და ორგანოები.....	268
8.	უმაღლესი განათლების სამართალი .....	271
8.1.	უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნები საქართველოში .....	271
8.2.	უმაღლესი განათლების სისტემის მართვის ორგანოები .....	272
8.3.	უმაღლესი განათლების საფეხურები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები.....	273
8.4.	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები .....	274
9.	განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში.....	279
9.1.	ავტორიზაცია.....	279
9.2.	აკრედიტაცია .....	279

**საარჩევნო სამართალი .....** 281


1.	არჩევნები, როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტი.....	281
2.	საარჩევნო სისტემა .....	285
3.	საარჩევნო სამართალი .....	286
3.1.	არჩევნები, როგორც კონსტიტუციით დაცული სამართლებრივი სიკეთე....	286
3.2.	საარჩევნო უფლების არსი.....	286
3.3.	აქტიური საარჩევნო უფლება.....	288
3.4.	ხმის მიცემის პროცედურა .....	289
3.5.	პასიური საარჩევნო უფლება .....	291
4.	საარჩევნო სამართლის პრინციპები .....	292

საერთაშორისო ორგანიზაციები.....	293
1. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა .....	293
1.1. საერთაშორისო ორგანიზაციის არსი .....	293
1.2. სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები.....	294
1.3. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.....	296
1.4. საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო სამართალი.....	297
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია .....	300
2.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.....	301
2.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა.....	302
2.3. გენერალური ასამბლეა .....	303
2.4. უშიშროების საბჭო .....	305
2.5. ეკონომიკური და სოციალური საბჭო.....	306
2.6. სამეურვეო საბჭო .....	307
2.7. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო .....	308
2.8. სამდივნო.....	309
3. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) .....	310
3.1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრუქტურა .....	312
3.2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამოქალაქო სტრუქტურა .....	312
3.3. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურა .....	314
4. ევროკავშირი.....	316
4.1. ევროკავშირის საქმიანობის არეალი .....	318
4.2. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტები.....	319
4.3. ევროკავშირის სხვა დაწესებულებები .....	320
4.4. ევროკავშირის ადმინისტრაცია .....	321
5. ევროსაბჭო .....	321
5.1. ევროსაბჭოს სტრუქტურა .....	322
6. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია .....	326
7. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია .....	328
8. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.....	329
9. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი .....	332

# სამართლის არსი


## 1. სამართლის არსი. სახელმწიფო სამართალი და საზოგადოება

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი **არისტოტელე** ამბობდა, რომ ადამიანი სოციალური ცხოველია. მართლაც, ადამიანებს უძველესი დროიდან ახასიათებთ თანაარსებობის ინსტინქტი. ჯერ კიდევ ქვის ხანაში ისინი პირველყოფილი თემის სახით ცხოვრობდნენ, შემდგომში, უფრო დიდ გაერთიანებებს - ტომებს ქმნიან, ბოლოს სახელმწიფოებიც კი ჩამოაყალიბეს. რატომ მიისწრაფოდა ადამიანი სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებისკენ? რატომ იყო მისთვის საზოგადოებაში ყოფნა ესოდენ მნიშვნელოვანი? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ დაეცვა საკუთარი თავი. ბუნებრივია, მარტოხელა ადამიანი ვერ შეძლებდა, თავი დაეცვა მტაცებლებისგან, მკაცრი ბუნებრივი პირობებისგან. მარტო მცხოვრებ ოჯახს გაუჭირდებოდა საკვების მოპოვება, შვილების დაცვა და ა.შ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ადამიანთა თავდაპირველი გაერთიანებების** შექმნა განპირობებული იყო მისი თვითგადარჩენის ინსტინქტით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდიდან ათეულ ათასობით წელმა განვლო, ადამიანი განვითარდა და თუ ადრე თანაცხოვრება სხვა ადამიანებთან გადარჩენის საშუალებას წარმოადგენდა, დღეს საზოგადოებაში ყოფნა, მისთვის არა მხოლოდ ფიზიკური არსებობის, არამედ პიროვნების რეალიზაციის, გონებრივი განვითარების, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოჩენის უალტერნატივო გზას წარმოადგენს. ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ფაქტობრივად, წაშალა ადამიანებს შორის გეოგრაფიული საზღვრები და დღეს მათ ინტერნეტის თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით შეუძლიათ, დროის უმცირეს მონაკვეთში ასეულობით ადამიანს გაანდონ თავიანთი ნააზრევი.



არისტოტელე

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი საზოგადოება რადიკალურად განსხვავდება ადრინდელისაგან, უცვლელი დარჩა ერთი რამ - ქცევის წესები. ადამიანთა ნებისმიერი ერთობა, განვითარების რაც არ უნდა დაბალ საფეხურზე იმყოფებოდეს ის, აწესებს ქცევის ზოგად წესებს, განსაზღვრავს, თუ რისი უფლება აქვს ადამიანს და რისი არა. მაგალითად, **უძველეს ტომობრივ საზოგადოებაში, ტომის წევრები ადგენდნენ ნაწილობრივ განაწილების წესს**, რათა ჩხუბი და შესაძლო მკვლელობა თავიდან აეცილებინათ. შეგვიძლია, აღნიშნული განვიხილოთ, როგორც პირველყოფილი კანონის მაგალითი და მის საფუძველზე დავასკვნათ, რომ სამართალი, როგორც ქცევის სავალდებულო წესების ერთობლიობა, საზოგადოებასთან ერთად დაიბადა. ტომი, ადამიანთა პრიმიტიული გაერთიანება, ადგენდა პირველყოფილი სამართლის ნორმებს. დღეს ეს გაერთიანება ჩაანაცვლა გაცილებით რთულმა მექანიზმმა - სახელმწიფომ. შესაბამისად, სამართლის ნორმების დადგენა, ანუ სამართალმემოქმედება თავის თავზე ამ უკანასკნელმა აიღო.



**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოებაში ქცევის წესების, კანონების, სამართლებრივი აქტების არსებობა? იმსჯელეთ, როგორი იქნებოდა საზოგადოება მათ გარეშე.



**კითხვა:**

თქვენი აზრით, რატომ ადგენს კანონებს სახელმწიფო? რატომ არ შეიძლება, რომ კანონები დაადგინოს არა ხელისუფლებამ, არამედ საზოგადოების რომელიმე ფენამ?

თანამედროვე გაგებით სამართალი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქცირებული ქცევის საყოველთაო ნორმების ერთობლიობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ადგენს ქცევის წესებს, რომელიც აუცილებელია საზოგადოების მშვიდობიანი არსებობისა და სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის. მოცემული წესი აისახება სპეციალურ სამართლებრივ აქტში, კანონში. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სახელმწიფო ადგენს კანონებს**, რომელთა მეშვეობითაც ხდება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ფუნქციების, მონყოებისა და მმართველობის განსაზღვრა, მეორე მხრივ, მართლწესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირება. დღეს არ არსებობს ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არც ერთი სფერო, რომელსაც არ განსაზღვრავს და არ არეგულირებს კანონი.

რისთვის იქმნება კანონები? უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ დაცული იყოს ადამიანი, სახელმწიფო, მოხდეს დანაშაულის აღკვეთა, ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება. სახელმწიფო კანონით აწესებს გადასახადს, რომლითაც ივსება ბიუჯეტი. შესაბამისად, ქვეყანას უჩნდება საშუალება, შეინახოს ისეთი სამსახურები, როგორცაა: ჯარი, პოლიცია, სამაშველო სამსახური, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური, სკოლები და სხვა მრავალი, რომელთაგარეშეც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება წარმოუდგენელია.

**კანონის ფუნქციები:**

ადამიანის დაცვა

სახელმწიფოს დაცვა

მართლწესრიგისა და მშვიდობის დაცვა

სახელმწიფო სამსახურების მუშაობის უზრუნველყოფა

სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი ფუნქცია საკმაოდ კარგად ჩანს ჯერ კიდევ ძველი ნ. აღ. მე-18 საუკუნით დათარიღებულ ბაბილონურ კანონთა კრებულში, რომელიც ისტორიაში შევიდა ბაბილონის მეფის, **სამურაბის** კანონების სახელით. თუ გადავხედავთ აღნიშნულ კანონმდებლობას, დავინახავთ, რომ მიუხედავად აბსოლუტურად განსხვავებული ისტორიული, კულტურული თუ სოციალური რეალობისა, მას ძალიან ბევრი საერთო აქვს თანამედროვე ქვეყნის კანონმდებლობებთან.

სამურაბის კანონები შემდეგ ნაწილებად იყოფა:	
1.	მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები;
2.	მეფის, ტადრებისა და თავისუფალი მოქალაქეების ქონების დაცვა;
3.	სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული ნორმები;
4.	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ოპერაციები;
5.	სავაჭრო და სამენარმეო საკითხები;
6.	საოჯახო სამართლის საკითხები;
7.	ჯანმრთელობის დაზიანებასა და დასახიჩრებასთან დაკავშირებული საკითხები;
8.	მოდრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები.



სამურაბი - ძველი ბაბილონის მეფე, რომელიც მართავდა ძველი ნელთალრიცხვით 1793-1750 წლებში. იგი იყო ნიჭიერი პოლიტიკოსი და სარდალი. მისი მეფობის პერიოდში ბაბილონი მნიშვნელოვნად გაძლიერდა და განვითარდა.

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ არსებობს უძველეს და თანამედროვე კანონმდებლობებს შორის ასეთი მსგავსება?

სამურაბის კანონების სტელა

არის თუ არა სამართლებრივი ნორმების დადგენა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა? თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას, დავინახავთ, რომ არაერთი რელიგიური ტექსტი ადგენს საზოგადოების ქცევის წესებს და ცდილობს საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას, თუნდაც იგივე **ბიბლიური 10 მცნება**, სადაც ერთმნიშვნელოვნად დამობილია ქურდობა, მკვლელობა და სხვა მანკიერი ქმედებები. შეგვიძლია თუ არა, გავაიგივოთ რელიგიური კანონები სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლის ნორმებთან? აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რელიგიური ნორმები არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის დადგენილებებს. მას ადამიანი იღებს სავალდებულოდ იმდენად, რამდენადაც იგი არის ამა თუ იმ რელიგიის აღმსარებელი, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად აღმსარებლობისა. იმავედროულად, რელიგიური კანონის დარღვევისთვის არ არსებობს პასუხისმგებლობის კონკრეტული მექანიზმები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მსოფლიოში არსებული რელიგიების დიდი უმრავლესობის თანახმად, ცოდვილებს მოეკითხებათ სიკვდილის შემდეგ, ხოლო ჩადენილი კანონდარღვევის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასასჯელად სახელმწიფოს გააჩნია ქმედითი მექანიზმები.** აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის ნორმებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ



სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმები, რაც შეეხება რელიგიურ მცნებებს, მათი დაცვა თითოეული ადამიანის შინაგანი რწმენისა და აღმსარებლობის საკითხია. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეპოქაში, სამართალშემოქმედება სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებაა, რომელსაც იგი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლების მეშვეობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართალი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქცირებული ქცევის საყოველთაო ნორმების ერთობლიობა. თუმცა ჩნდება კითხვა, რამდენად ასახავს მოცემული დებულება სამართლის რეალურ არსს და სიღრმეს? ხომ არ არის სამართალი იმაზე უფრო მეტი, ვიდრე საკანონმდებლო ნორმაში ასახული ქცევის ზოგადი წესი? არის კი სახელმწიფო ერთადერთი ძალა, რომელიც ექსკლუზიურად ახდენს სამართლის განსაზღვრას? რას უნდა პასუხობდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმები?

მოცემულ კითხვებზე პასუხი მარტივია. სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტი, შეიქმნა ადამიანთა ინტერესების დასაცავად. ნებისმიერი ქვეყნის მთავარ ფასეულობას და დაცვის ობიექტს, სწორედ, ამ ქვეყანაში მცხოვრები **ადამიანები** წარმოადგენენ. შესაბამისად, სამართლის ნორმები პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების ინტერესებიდან და პასუხობდეს მის სამართლებრივ მოთხოვნილებებს, იმისთვის, რომ გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს საკანონმდებლო პოლიტიკაზე და მიაღწიოს ცალკეული კანონის მიღებას ან გარკვეული ქმედების აკრძალვას ქვეყანაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართალს განსაზღვრავს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ საზოგადოება. კანონის სამართლებრივი ბუნება ყალიბდება არა სამთავრობო კაბინეტებში, არამედ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი **დეტერმინანტი (მსაზღვრელი)** არის ადამიანი, საზოგადოების ცალკეული ინტერესთა ჯგუფი ან საზოგადოების წევრებს შორის არსებული ურთიერთობა.

დაუშვებელია, კანონი წავიდეს ადამიანის წინააღმდეგ, შელახოს მისი ძირითადი უფლებები და საფრთხე შეუქმნას მას, როგორც ინდივიდს და საზოგადოების წევრს. ადამიანის უფლებები შეგვიძლია მოვიაზროთ სამართლის იმ სფეროდ, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაწერილ კანონებზე გაცილებით მაღლა დგას იმდენად, რამდენადაც ადამიანი უფლებებს იძენს არა ვინმეს კეთილი ნების გამო, არამედ იმიტომ, რომ ის ადამიანად დაიბადა. ამრიგად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაა. სახელმწიფო, სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, უნდა ქმნიდეს გარემოს, სადაც თითოეული ადამიანი შეძლებს დაუბრკოლებლად ისარგებლოს მისთვის მინიჭებული ყველა უფლებით.



**კითხვა:**

შეგიძლიათ თუ არა, გაიხსენოთ მსგავსი მაგალითები უახლესი ისტორიიდან?

## 2. სამართლის სფეროები

წინამდებარე თავში ზოგადად ვისაუბრეთ სამართლის არსზე, მის მნიშვნელობაზე. როგორც აღვნიშნეთ, სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროს, განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობისა და ფუნქციონირების წესს. შესაბამისად, საინტერესო იქნება, მოკლედ თუ მიმოვიხილავთ სამართლის სფეროებს, რომელთა შესახებაც დანვრილებით ჩვენი სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში ვისაუბრებთ.

### კონსტიტუციური სამართალი

ნებისმიერ საკანონმდებლო სისტემაში არსებობს გარკვეული იერარქია, ანუ არსებობს შედარებით დიდი და მცირე ძალის კანონები. ნებისმიერ სახელმწიფოში მთავარ კანონს წარმოადგენს კონსტიტუცია, რომელიც სიტყვასიტყვით შეიძლება ითარგმნოს, როგორც **აგებულება**. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ სახელმწიფოებს, მაგალითად, ისრაელსა და დიდ ბრიტანეთს დაუნერვლი კონსტიტუციები აქვთ. მიუხედავად იმისა, თუ როგორია სახელმწიფოს კონსტიტუცია, ის ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ქვეყნის ძირითად კანონს, რომელიც რეალურად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობას, მმართველობის ფორმასა და წესს, მთავრობის ფუნქციებს, პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის საკონსტიტუციო გარანტიებს. ქვეყანაში არსებული ყველა კანონი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კონსტიტუციას.



საპარლამენტო კონსტიტუციის მიღება, 1995წ.

### ადმინისტრაციული სამართალი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუციური სამართალი სწავლობს კონსტიტუციას და მასთან დაკავშირებულ ისეთ სამართლებრივ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფოს მოწყობა, ფუნქციონირება და ა.შ. დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს ფუნქციონირება ადმინისტრაციული ორგანოების, ადმინისტრაციული აპარატის, რეგიონული მმართველობისა და თვითმმართველობის გარეშე. ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასა და მათთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს არეგულირებს საჯარო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი - **ადმინისტრაციული სამართალი**.



ადმინისტრაციული სამართალი განაპირობებს სახელმწიფოში წესრიგის დაცვას და ადგენს ადმინისტრაციული გადაცდომების სიას, რომელიც საკუთარი მნიშვნელობით არ წარმოადგენს დანაშაულს, თუმცა საზიანოა. მაგალითად, ისეთი, როგორიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობა, რისთვისაც განკუთვნილია ჯარიმა 5 ლარის ოდენობით.



### სამოქალაქო სამართალი

სამართლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო სამოქალაქო სამართალია, რომელიც არეგულირებს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებს. რას ნიშნავს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები? სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები, განსხვავებით კონსტიტუციური სამართლისგან, მოიცავს სამართლებრივ ურთიერთობათა იმ სპექტრს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ადამიანს შორის. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მაგალითია ქორწინება, მემკვიდრეობა, ნასყიდობა და სხვა. იგი ეფუძნება მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენას. მაშინ რა საჭიროა, მათი სამართლებრივი რეგულირება? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოხდეს ადამიანის უფლებების დაცვა, არ გახდეს ის თაღლითური გარიგების, მოტყუების მსხვერპლი, დაცული იყოს კერძო საკუთრება და ა.შ.

### სისხლის სამართალი

მართლწესრიგის დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. დანაშაულის ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა დასჯის და მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო ადგენს სისხლის სამართლის ნორმებს. სწორედ სისხლის სამართლის კანონის დარღვევაა დანაშაული. ადმინისტრაციული გადაცდომისგან განსხვავებით, დანაშაული საზოგადოებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ეხება ისეთ ქმედებებს, როგორცაა, მაგალითად, ავტობუსში უბილეთოდ მგზავრობა, წითელ შუქნიშანზე გავლა ან ტრანსპორტით მოძრაობის სხვა წესის დარღვევა, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, დანაშაულს განეკუთვნება ისეთი ქმედებები, როგორცაა: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა, მკვლელობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამართულობას და მისი აღსრულების ეფექტური მექანიზმების არსებობას.







ბაიროს სხდომა

### საერთაშორისო სამართალი

საერთაშორისო სამართალი, ზემოთ აღნიშნული სამართლის სფეროებისგან თვისობრივად განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი არეგულირებს არა საზოგადოების ცხოვრების რომელიმე არეალს, არამედ მიმართულია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობისკენ. მისი მეშვეობით ხდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეგლამენტირება, განისაზღვრება საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა, სახელმწიფოებს შორის შეთანხმების დადების წესები და ა.შ. დგინდება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები.

როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიღება-დამტკიცება სახელმწიფოთა ერთმნიშვნელოვანი პრეროგატივაა. შესაბამისად, ხშირად სახელმწიფოებს მოიხსენიებენ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო არის საერთაშორისო სამართლის შემოქმედი და საერთაშორისო სისტემის უმთავრესი შემადგენელი ელემენტი.

### 3. სახელმწიფოს არსი

წინამდებარე თავებში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სამართლის ნორმებს ადგენს და აღასრულებს სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, სასურველია, მოკლედ მიმოვიხილოთ, რას წარმოადგენს სახელმწიფო ზოგადად.

ძველი რომაელი იურისტის, ციცირონის აზრით სახელმწიფო არის ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობა, ერთგვარი იურიდიული კავშირი, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობაზე.

აღნიშნულ მოსაზრებას არ დაუკარგავს აქტუალობა მომდევნო საუკუნეებშიც. თუ გადავხედავთ მსოფლიოს უახლეს ისტორიას, აღმოვაჩინებთ, რომ ციცირონის მსგავსად, ფრანგი განმანათლებლებიც მიიჩნევდნენ სახელმწიფოს ადამიანთა შეთანხმებაზე დამყარებულ პოლიტიკურ ერთეულად, რომელიც ეფუძნებოდა კანონსა და სამართალს.

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ ეფუძნება სახელმწიფო ადამიანთა შეთანხმებას?

რას ნიშნავს ყოველივე ზემოაღნიშნული? როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ადამიანები ქმნიან. სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, არის ნაყოფი ადამიანის იდეისა, რადგან სწორედ საზოგადოების წევრთა სურვილი და შეთანხმება - "ჰქონდეთ საკუთარი სახელმწიფო" ქმნის ქვეყნებს და რომ არა ეს უკანასკნელი (იდეა და სურვილი), მაშინ სახეზე გვექნებოდა მინის უბრალო ნაგლეჯი, რაღაც ტერიტორია, ყოველგვარი ზედმეტი დატვირთვის გარეშე.

იმისათვის, რომ სრულყოფილად გავიაზროთ სახელმწიფოს არსი, მხოლოდ ზემოთ მოყვანილი განმარტება არ კმარა. იმისათვის, რომ რომელიმე ტერიტორიული წარმონაქმნი მივიჩნიოთ სახელმწიფოდ, აუცილებელია, ის გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს.

თანამედროვე გაგებით, სახელმწიფო წარმოადგენს, გარკვეულ ტერიტორიაზე არსებულ, საჯარო ხელისუფლებას, რომელიც ადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის სავალდებულო ქცევის წესებს და შესაბამისი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას. კერძოდ, სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონის დაცვას, საზოგადოებრივ წესრიგს, ტერიტორიულ მთლიანობას, იცავს საკუთარ მოქალაქეებსა და ზრუნავს მათთვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ატრიბუტი, ესენია:

**უპირველეს ყოვლისა ტერიტორია, სადაც არსებობს სახელმწიფო. ბუნებრივია, ტერიტორიის გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს. მეორე მნიშვნელოვანი ატრიბუტი, რომელიც შეადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს საკვანძო ელემენტს, არის ხალხი, რომლის გარეშეც სახელმწიფოს არსებობა კარგავს აზრს. სწორედ ხალხი ქმნის სახელმწიფოს, განსაზღვრავს რა საკუთარი გადარჩენის თუ არსებობის ერთადერთ, უალტერნატივო ფორმად საკუთარი დამოუკიდებელი ქვეყნის ქონას. ადამიანი არის ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა სახელმწიფო არსებობს ადამიანებისთვის და არა ადამიანები სახელმწიფოსთვის.**


**მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც უნდა გააჩნდეს ნებისმიერ სახელმწიფოს, არის საჯარო ხელისუფლება, ანუ მმართველი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებას, ადგენს კანონებს და ზრუნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ იმპლემენტაციაზე (შესრულება, განხორციელება). აღნიშნულ ხელისუფლებას ეწოდება საჯარო იმდენად, რამდენადაც იგი მოქმედებს ხალხის სახელით, არის ლეგიტიმური, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელისუფლებას აღიარებს ქვეყნის მოსახლეობა, მის მიერ დადგენილ ქცევის წესებს კი სავალდებულოდ მიიჩნევს. როდის კარგავს მთავრობა ლეგიტიმურობას? მაშინ, როდესაც მის მმართველობას ეცლება კანონიერი საფუძველი, აგრეთვე მაშინ, როდესაც მათ შორის იწყება კონფლიქტი, ანუ ხალხი იწყებს ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ.**

**ყველა აღნიშნული კომპონენტი მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი აზრს კარგავენ, თუ სახელმწიფო არ არის სუვერენული. რას ნიშნავს სახელმწიფოს სუვერენიტეტი? უპირველეს ყოვლისა, სუვერენიტეტი გულისხმობს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას საშინაო და საგარეო საქმეების წარმოებაში, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუვერენიტეტი სახელმწიფოს თავისუფლების ერთგვარი სინონიმია. შესაბამისად, თუ ქვეყანა არ არის თავისუფალი, იგი დამოკიდებულია სხვაზე. მაშინ, ბუნებრივია, მისი სახელმწიფოებრიობა აზრს მოკლებული იქნება.**

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი მოცემული კომპონენტების არსებობა სახელმწიფოს არსებობისთვის?

**კითხვა:**  
სახელმწიფოს არსებობისათვის, რატომ არის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ხელისუფლების არსებობა?

**კითხვა:**  
როგორ გესმით სახელმწიფოებრიობა? იმსჯელეთ სახელმწიფოს არსისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობის შესახებ.



როგორც აღვნიშნეთ, მთავრობა ვალდებულია, იზრუნოს სახელმწიფოს მიერ ფუნქციების ეფექტურად შესრულებაზე. სასურველია აქვე, ორიოდ სიტყვით მიმოვიხილოთ სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები. უმთავრესი ფუნქცია, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას ეკისრება, თავისი მოქალაქეების დაცვაა, მათთვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გულისხმობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, მართლწესრიგის უზრუნველყოფას, ეფექტური სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობას თითოეული მოქალაქისთვის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვას. აღნიშნულს სახელმწიფო სპეციალური ორგანოების მეშვეობით ახორციელებს, მაგალითად, სახელმწიფოს საგარეო უსაფრთხოებაზე ზრუნავს შეიარაღებული ძალები, მართლწესრიგის დაცვას უზრუნველყოფს პოლიცია, პროკურატურა, მართლმსაჯულებას აღასრულებს სასამართლო, სტიქიური უბედურების ან სხვა ტიპის კატასტროფების დროს ადამიანთა დასახმარებლად სახელმწიფო ქმნის სამაშველო სამსახურებს და ა.შ.

რადგან სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების მიერ შიდაეროვნული და საგარეო პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტს, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაა, რომელიც მოქმედებს საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესების სასარგებლოდ.



# I. შესავალი

## 1. სიძვევა კონსტიტუციის პირველი მნიშვნელოვანი (ეტიმოლოგია)

კონსტიტუცია (Constitutio) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და "დადგენას" ნიშნავს. კანონი, რომელსაც კონსტიტუცია ეწოდება, ადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების მმართველობის ორგანოებს, მათი ფორმირების წესებსა და კომპეტენციებს. კონსტიტუცია გამოიყენება ისეთ კანონთა კრებულის აღსანიშნავად, რომლის საფუძველზე ხდება სახელმწიფოს მართვა. კანონს, რომელსაც კონსტიტუცია ეწოდება, აქვს უპირატესობა სხვა კანონებთან შედარებით და თუ რომელიმე კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იგი მიიჩნევა ბათილად, ანუ იურიდიული ძალის არმქონედ.

## 2. კონსტიტუციური სამართლის კვლევები

ისტორიამ შემოგვინახა უძველესი კონსტიტუციები, რომლებიც სამართლის ძეგლების ნიმუშებს წარმოადგენენ.

**ა. სამურაბის კანონები** ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში შეიქმნა ბაბილონის მეფე სამურაბის დროს. ბაბილონი მდებარეობდა მესოპოტამიის ტერიტორიაზე, დღევანდელი ბაღდადის (ერაყის დედაქალაქის) მახლობლად. კანონთა კრებული, რომელიც 282 კანონისაგან შედგება, ბაბილონის მეფე სამურაბის ბრძანებით ქვაზე გამოკვეთეს, რათა ის უცვლელი დარჩენილიყო. სამურაბის კანონების სტელა ასახავს კანონების ტექსტებს და იგი მუზეუმ **ლუვრში** ინახება.


**სამურაბის კანონები** აღიარებულია, როგორც ჩვენამდე შემონახული უძველესი სამართლის წყარო, რომელიც ადგენს სახელმწიფოს მართვის წესებსა და ადამიანის უფლებებს. სამართლის ზოგიერთი პრინციპი, რომელიც ამ კანონთა კრებულით იყო შემოღებული, დღესაც აღიარებულია მსოფლიოს მრავალი თანამედროვე ქვეყნის კონსტიტუციით. ასეთია, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფციის იდეა, რომლის თანახმად ადამიანი უდანაშაულოა მანამ, სანამ მას სასამართლო არ ცნობს დამნაშავედ.



სამურაბის კანონების სტელა

## ბ. ათენის კონსტიტუცია, არისტოტელე

ჩვენამდე, ასევე, მოაღწია ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსის **არისტოტელეს** წერილობითმა ნაშრომმა - **ათენის კონსტიტუცია, პოლიტიკა**. ეს ნაშრომი შეიქმნა ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ-ით 350 წ. არისტოტელე თავის ისტორიულ ნაშრომში გვიამბობს იმდროინდელი ქალაქ - სახელმწიფოების, ათენისა და სპარტას კონსტიტუციების შესახებ. თუმცა, თავად ამ ქვეყნების დანერგილი კონსტიტუციების ტექსტები არ არის ჩვენამდე მოღწეული.




არისტოტელე



### გ. ბრიტანეთი, 1215 წლის კანონი მაგნა კარტა

ცნობილია მაგნა კარტას ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი წესი, წარმოდგენილი მის 39-ე მუხლში, სახელდებული "ჰაბეას კორპუსის" წესი, რომელიც ლათინურად ნიშნავს "საკუთარ სხეულს" ("ჰაბეას კორპუსი") და ადამიანის დაბადებით თავისუფლების და საკუთრების უფლების აღიარებას უკავშირდება. მხოლოდ კანონის საფუძველზე და სამართლიანი განხილვის შედეგად არის შესაძლებელი ამ უფლებების შეზღუდვა და ადამიანის დაპატიმრება, მისი ქვეყნიდან გასახლება ან მისთვის ქონების ჩამორთმევა.



თაინსუფლაის ღიდი ქარტია

### დ. საქართველო, ბაგრატ კურაპალატის სამართალი

ქართული კონსტიტუციური სამართლის წიგნთაგან უძველესია **ბაგრატ კურაპალატის სამართალი**, რომელიც ვახტანგ VI -ის სამართლის წიგნთა კრებულშია შესული. არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი, ერთიანი საქართველოს მეფემ **ბაგრატ IV** (1027-1072წწ.) შეადგინა. სამართლის ძეგლი ხელნაწერის სახით დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ბაგრატ კურაპალატის სამართალში ასახულია განვითარებული ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობები, უმთავრესად, სისხლის სამართლის ნორმები, ჩამოთვლილია დანაშაულთა და სასჯელთა სახეები. გათვალისწინებულია ფიცა, როგორც მტკიცებულება, სასამართლო მოწყობა და საქმის წარმოება სასამართლოში.

### 3. თანამედროვე კონსტიტუსიები

არსებობს წერილობითი კოდიფიცირებული (ერთ დოკუმენტში თავმოყრილი) კონსტიტუციები და არსებობს კონსტიტუციები, რომლებიც არ არის თავმოყრილი ერთ წერილობით დოკუმენტში. მაგალითად, ბრიტანეთის კონსტიტუცია, რომელიც არ არის ერთი წერილობითი დოკუმენტი, თუმცა არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ ბრიტანეთს არ აქვს კონსტიტუცია. ბრიტანეთის კონსტიტუცია მოიაზრება, როგორც რამდენიმე სხვადასხვა დოკუმენტი და ერთ-ერთი მათგანია ზემოაღნიშნული 1215 წლის კანონი **მაგნა კარტა**.

არსებობს ქვეყნები, რომელთაც ერთ დოკუმენტში თავმოყრილი, დაწერილი კონსტიტუცია აქვთ. ასეთია, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია. დაწერილი და კოდიფიცირებულია საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციები. ინდოეთის დაწერილი კონსტიტუცია აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი მოცულობის კონსტიტუცია.

#### კითხვა:

- რას ნიშნავს სიტყვა კონსტიტუცია?
- დაასახელეთ კონსტიტუციის უძველესი სამართლის ძეგლები.
- რას ნიშნავს ლათინური ფრაზა "ჰაბეას კორპუსი" და ადამიანის რომელი უფლების აღსანიშნავად გამოიყენება იგი?
- არსებობს თუ არა ქვეყნები, რომელთაც არა აქვთ დაწერილი კონსტიტუცია?
- რომელი ქვეყნის კონსტიტუცია მიიჩნევა ყველაზე ლაკონურ (მოკლე) კონსტიტუციად?

## II. საქართველოს კონსტიტუცია

### 1. ისტორიული მიმოხილვა

#### ა. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (1801-1918)

XVIII საუკუნის ბოლოს შინაური მტრობითა და მუსულმანური ქვეყნების მიერ შევიწროებით, უკიდურესად დასუსტებული საქართველო იძულებული გახდა, მფარველობა რუსეთის იმპერიისათვის ეთხოვა. რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების შესახებ. მანიფესტის ოფიციალური გამოცხადება და ერთგულების ფიცის დადება 1801 წლის 12 აპრილს, გენერალ კნორინგის ხელმძღვანელობით, რუსეთის ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში შეკრებილ გავლენიანი წრეების წარმომადგენლებისა და თავადაზნაურობის თანდასწრებით მოხდა. ხოლო ის, ვინც არ დაემორჩილა გენერალ კნორინგის ბრძანებას და უარი განაცხადა ერთგულების ფიცის დადებაზე, დააპატიმრეს. მანიფესტის ქართული საზოგადოებისათვის გამოცხადებასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა:



ივანე ჯავახიშვილი

„ვეტერბურგში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ალექსანდრე I-ის მანიფესტი იყო გამოცხადებული. რომელშიაჩ ვარისევიკურად ნათქვამი იყო, ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი.“

ნაწყვეტი მანიფესტის ტექსტიდან:

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ ალექსანდრე პირველი იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა და სხვათა... განვუხრადებთ სრულიად საქართველოს სამეფოს მცხოვრებთ. ამიერიდან მყარდება მფარველობა და უზენაესი ხელმწიფება რუსეთისა იმპერიისა ქართველთა სამეფოზე. ... თქვენი შეჭირვების და მტერთაგან დასაცავად, ვინესებთ მმართველად გენერალ კნორინგს, რომელიც იზრუნებს ქვეყანაში ნესრიგზე.“



ბენერალი კნორინგი

მანიფესტმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს რუსეთის მიერ ანექსიას. 1805 წელს, რუსეთის არმიამ დაამარცხა სპარსეთი, რომელიც საქართველოსთან იბრძოდა. მოგვიანებით, 1810 წელს, რუსეთმა დაიპყრო იმერეთი და დასავლეთ საქართველოს სამეფო. საქართველომ დაკარგა საკუთარი დამოუკიდებლობა და რუსეთის მეფისა და მის მიერ საქართველოში განწესებული გუბერნატორის მმართველობაში გადავიდა, გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა, რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში, განხორციელდა სამეფო დინასტიის ბაგრატიონების საქართველოდან გასახლება. საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის ეპოქა გაგრძელდა 117 წელი, 1801 წლიდან 1918 წლამდე.



## ბ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, პირველი კონსტიტუცია (1918-1921 წლები)

1917 წლის თებერვლის რევოლუციას, რომელმაც რუსეთის მონარქია დაამხო, შედეგად მოჰყვა რუსეთის მეფის იმპერიის დაშლა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმირება.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საბჭოთა რუსეთისაგან გამიჯვნის მიზნით, 1918 წლის 22 აპრილს დაარსდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა (ადფრ)**, რომელშიც შევიდა **საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი**. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემაჯავალი აზერბაიჯანი, შეგვიძლია მივიჩნიოთ ისლამურ სამართალში პირველ დემოკრატიულ სახელმწიფოდ.



დროშა



ტერიტორია

საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ თანხმდებოდნენ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. საქართველო გერმანოფილურ, სომხეთი — ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანი — თურქოფილურ ორიენტაციას ირჩევდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლას, აგრეთვე, ხელი შეუწყო გარე ფაქტორებმა, როგორც თურქეთის მხრიდან აგრესიის გაძლიერება იყო. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა არსებობდა მხოლოდ 1 თვე და 24 დღე. იგი დაიშალა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისთანავე.

### საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება ეროვნული საბჭოს სხდომაზე მოხდა, რომელიც გაიმართა 1918 წლის 26 მაისს თბილისში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში (ამიერკავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლე).

თბილისში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, დამფუძნებელი საბჭოს სხდომა, 1918 წლის 26 მაისი





დამოუკიდებლობის დეკლარაცია წარმოადგენს საქართველოს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებლურ დოკუმენტს. კონსტიტუციის მიღებამდე (1921 წელი), საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია განსაზღვრავდა საქართველოს პოლიტიკურ წყობას და აწესრიგებდა სახელმწიფო მართვის საკითხებს. 1919 წლის 14 თებერვალს, საქართველოში ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც ხმების 81.5% მოიპოვეს სოციალ - დემოკრატებმა. 1919 წლის 21 თებერვალს გამარჯვებულმა პარტიამ ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა. მთავრობის პირველი მეთაური **ნოე რამიშვილი** გახდა, რომელიც ძალიან მალე შეცვალა **ნოე ჟორდანიამ**. 1921 წლის 21 თებერვალს დაფუძნებულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.



1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული დოკუმენტი იყო, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლას, რეგიონალურ თვითმმართველობას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას, ჰაბეას კორპუსის უფლებას, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას. საქართველოს კონსტიტუციამ შემოიღო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დროშა, გერბი და ჰიმნი.



დროშა

საქართველოს ჰიმნი

დიდება ზეური კურთხეულს,  
 დიდება ქვეყნად სამოთხეს,  
 ჭურფა ივერსა,  
 დიდება ძმობას, ერთობას,  
 დიდება თავისუფლებას,  
 დიდება სამართლისო  
 ქართველ მხნე ერსა!  
 დიდება ჩვენსა სამშობლოს,  
 დიდება ჩვენი სიეროვნის  
 მიზანს დიადსა:  
 ვაჟა ჭრფობასა, სიყვარულს,  
 ვაჟა შვენასა, სიხარულს,  
 საღამი ჭეშმარიტების  
 შუქ-განთიადსა!

ლექსი და მუსიკა ეკუთვნის კოტე ფოცხვერაშვილს



გერბი

## გ. საბჭოთა საქართველო და საბჭოთა კონსტიტუციები (1921-1991)

სამწუხაროდ, ახალშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მისი კონსტიტუცია და სიმბოლიკის არსებობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს, კონსტიტუციის მიღებიდან 4 დღის შემდეგ, საქართველო ისევ დაიპყრო უკვე საბჭოთა რუსეთმა. მე-11 წითელი არმია შემოვიდა თბილისის ქუჩებში, საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა. ამჯერად, რუსეთის მეფის რეჟიმი საქართველოში ლენინის საბჭოთა მმართველობამ ჩაანაცვლა.

1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე, 70 წლის განმავლობაში, საქართველო იყო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი. 1922-1936 წლებში ის იყო ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი. ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. 1936 წლიდან ეს სამი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცალ - ცალკე შევიდა.



70 წლიანი საბჭოთა ისტორიის განმავლობაში საქართველოში სულ 4 კონსტიტუცია იქნა მიღებული - 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში. სახელმძღვანელო არ ისახავს მიზნად ამოთხი საბჭოთა კონსტიტუციის ცალ-ცალკე მიმოხილვას და შემოიფარგლება მხოლოდ მათი ზოგადი მიმოხილვით.

საბჭოთა კონსტიტუციებმა ახალი საბჭოური სიმბოლიკაც დაამკვიდრეს: საბჭოთა საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი.

### ნაწყვეტი საბჭოთა საქართველოს ჰიმნიდან:

იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ,  
გმირთა კერა ხარ გაუქრობელი,  
ქვეყანას მიეც დიდი სტალინი  
ხალხთა მონობის დამამხობელი.



ბარბი



დროშა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე, შევიდნენ აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკას, ისე როგორც სხვა დანარჩენ 14 რესპუბლიკას, ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება. თუმცა, ეს თავისუფლება ფორმალური იყო, რადგან, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირი იყო მკაცრად ცენტრალიზებული ქვეყანა, რომელსაც მართავდა ერთიანი კომუნისტური პარტია. უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ საბჭოთა საქართველოში კომუნისტური პარტიის ადგილისა და როლის შესახებ, წარმოგიდგინთ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლის ფორმულირებას: „**საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-**

ტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

კომუნიზმი ლათინური წარმოშობის სიტყვაა, მომდინარეობს კომუნადან, რაც საერთოს, საზოგადოს ნიშნავს. კომუნიზმის იდეა ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც არ მოხდება ადამიანების კლასებად დაყოფა, არ იარსებებს ფული, არ იქნება სახელმწიფო სტრუქტურები და ყველა სიკეთე ადამიანების საერთო თანასაკუთრებაში იქნება.

**მაგალითად:** საბჭოთა მოქალაქეს შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი (ან სახლის ნაწილი). თუ მას მაინც სხვა ალმოაჩნდებოდა, უნდა გაესხვისებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებით ჩამოართმევდნენ და სხვას გადასცემდნენ. არსებობდა ზღვრული ფართობი საცხოვრებელი სახლისა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო მოქალაქის პირად საკუთრებაში. ეს ფართი არ უნდა ყოფილიყო 96 კვ.მ ზე მეტი. თუ მას მაინც ალმოაჩნდებოდა ზედმეტი ფართი, მოხდებოდა მისი ე.წ. კომუნალურ (სახელმწიფო) ფონდში ჩარიცხვა და სხვა პირებისათვის მისი გადაცემა.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი 1991 წლის 14 აპრილი- 1993 წლის 31 დეკემბერი.

საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციებში, ფორმალურად აღიარებული იყო სიტყვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება და რელიგიის თავისუფლება. თუმცა, იმავდროულად, კონსტიტუციები შესაძლებელს ხდიდა ჩამოთვლილი უფლებების შეზღუდვას, თუ მათი რეალიზაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა კომუნისტური პარტიის იდეოლოგიასა და პოლიტიკასთან. შრომის უფლება იმავდროულად იყო ვალდებულება. შესაბამისად, უმუშევრობა ითვლებოდა "პარაზიტულ ცხოვრებად" და ისჯებოდა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციები ზღუდავდნენ კერძო საკუთრების უფლებასაც. შეზღუდული იყო მოქალაქის გადაადგილების თავისუფლება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყნიდან გასვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების ნებართვის შემთხვევაში.



**დ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ( 1991 )**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით დასრულდა საბჭოთა კონსტიტუციების 70 წლიანი ეპოქა. კერძოდ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და იმავე წლის 26 მაისს საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

**2. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია**

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან კონსტიტუციის მიღებამდე პერიოდში საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ გაიმართა პირველი მრავალპარტიული არჩევნები და ქართველმა ხალხმა, 1991 წლის 14 აპრილს, აირჩია ქვეყნის პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**. აგრეთვე, შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც განიხილა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 13 პროექტი და



ზვიად გამსახურდია

შედარებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში მისი არსებობის 226 წლის განმავლობაში (1787-2013) მხოლოდ 27 ცვლილება შევიდა.



ბოლოს დაამტკიცა კონსტიტუციის ის პროექტი, რომელიც 1995 წლის 3 ივნისს გადასცა პარლამენტს განსახილველად.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც დღესაც მოქმედებს. კონსტიტუცია ძალაში 1995 წლის 17 ოქტომბერს შევიდა. მას შემდეგ დღემდე, 18 წლის განმავლობაში, საქართველოს კონსტიტუციაში სულ 30 ცვლილება განხორციელდა.

### 3. მოქმედი კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები



ბერბი



ღროზა

ჰიშნი

#### თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე მთელი ქვეყანა,  
განათებული მთა-ბარი,  
წილნაყარია ღმერთთანა.  
თავისუფლება დღეს ჩვენი  
მომავალს უმღერს დიდებას,  
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის  
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,  
და დიდება თავისუფლებას,  
თავისუფლებას დიდება!

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს დედაქალაქი არის **თბილისი**.

#### 4. მოქმედი კონსტიტუციის სტრუქტურა

დროთა განმავლობაში საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურა და დებულებები მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია შედგება პრეამბულასაგან, 11 თავისა და 109 მუხლისაგან.

- ა. კონსტიტუციის პრეამბულა ხაზს უსვამს იმას, რომ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა არის ის ძირითადი ფასეულობები, რომელთა დამკვიდრება სურთ საქართველოს მოქალაქეებს.
- ბ. კონსტიტუციის გარდამავალი დებულებები (თავი მეცხრე) განსაზღვრავს კონსტიტუციის ძალაში შესვლის პირობებს, მისი ამოქმედების შედეგებს კანონმდებლობისათვის, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მიღების ვადებსა და სხვა, დროებითი მოქმედების დებულებებს.


#### 5. კონსტიტუციის პირველი თავი

##### ა. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა

საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობას. საქართველო არის **დემოკრატიული რესპუბლიკა** და მისი სახელწოდებაა **„საქართველო“**. საქართველოს სახელმწიფო ენა არის **ქართული**, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - **აფხაზური**.

##### • რას ნიშნავს დემოკრატია?

**დემოკრატია** აღნიშნავს ისეთი მთავრობის მმართველობას, რომელიც არჩევნების შედეგად არის მოსული ხელისუფლებაში, ანუ ხალხის მიერ არის არჩეული. სიტყვა **„დემოკრატია“** ბერძნული წარმოშობისაა და **ხალხის მმართველობას** ნიშნავს.



საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს როგორც ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის, ისე ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის არსებობას. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ტიპი არის დემოკრატია, ანუ არჩეული მთავრობა.

##### კითხვა:

1. როდის და რა შედეგებით დასრულდა საქართველოსათვის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა?
2. როდის და როგორ ვითარებაში მოხდა საქართველოს პირველი დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული კონსტიტუციის მიღება?
3. ადამიანის რომელ უფლებებს ზღუდავენ საბჭოთა კონსტიტუციები?
4. რომელ წელს იქნა მიღებული დღეს მოქმედი კონსტიტუცია და როგორია მისი სტრუქტურა?

**ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი.** ჰიტლერის მმართველობას დაახლოებით 40 მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

- რა ხდება როდესაც სახელმწიფოს მართვა არ ხორციელდება ხალხის მიერ არჩეული მთავრობის მიერ?

**მაგალითები:**

**ავტორიტარული სახელმწიფო** - სახელმწიფო, რომელსაც მართავს ის პირი ან პირთა ჯგუფი, რომლებიც ხელისუფლებაში არ მოვიდნენ არჩევნების გზით.

**დიქტატურა**- სახელმწიფოს მართვა ერთი პირის მიერ, რომელსაც შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნია. როგორც წესი, დიქტატორი ხელისუფლებაში მოდის ძალადობის გზით და მისი დასაყრდენი ძალა, როგორც ხელისუფლებაში მოსვლის, ისე ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სამხედრო სტრუქტურებია (ჯარი და პოლიცია).



ბრუზოვი და კასტრო

ჰიტლერი და მუსოლინი



მაო ძე ლუნი



სტალინი

**ბ.ხელისუფლების დანაწილების პრინციპი**

არასაბჭოურმა კონსტიტუციამ ქვეყანაში დაამკვიდრა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის შესახებაც საუბარი ქვემოთ გვექნება.

- რას ნიშნავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი?

**მარლ ლუი მონტესკიე (1689-1755)**

ფრანგი ფილოსოფოსი ბარონი მონტესკიე ცნობილია, როგორც ხელისუფლების დანაწილების თეორიის ავტორი, რომელსაც განიხილავს თავის მთავარ ნაშრომში “კანონთა საზრისი”. ნაშრომი ავტორის ოცდაათწლიანი შრომის ნაყოფი იყო და 1748 წელს გამოიცა. “**კანონთა საზრისში**” ფრანგი ფილოსოფოსი გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას აბსოლუტური, შეუზღუდავი მონარქიისადმი და


გვანჭდის ხელისუფლების დანაწილების თეორიას. მონტესკიეს მიხედვით, უმაღლესი ხელისუფლება სამ ნაწილად უნდა იყოს დაყოფილი: **საკანონმდებლო ხელისუფლება** ხალხის რჩეულ საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეს, **აღმასრულებელი** - მონარქს, **სასამართლო ხელისუფლება** კი - არჩეულ მოსამართლეებს. არ შეიძლება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ერთი ორგანოს ან ერთი ადამიანის ხელში გაერთიანება, რადგან ასეთ შემთხვევაში მონარქი თუ პარლამენტი ტირანულ კანონებს გამოსცემს და ტირანულად განახორციელებს მათ. ხელისუფლების სხვადასხვა ნაწილის მიერ ურთიერთკონტროლი დაირღვევა და დამყარდება განუკითხაობა. მონტესკიეს მოძღვრება უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების სამ ნაწილად დაყოფის შესახებ, შემდგომში, მრავალ ქვეყანაში იქნა გამოყენებული დემოკრატიული კონსტიტუციების შემუშავების დროს.

როგორც უკვე ვახსენეთ, პოლიტიკური ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციით, რაც იმას ნიშნავს, რომ იურიდიულად, პოლიტიკური ხელისუფლება, საქართველოში განაწილებული აქვთ **პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს**. პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, მთავრობა ახორციელებს აღმასრულებელ საქმიანობას და სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას. სამივე ხელისუფლება, თანაბრად დამოუკიდებელია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და კონტროლს უწევს დანარჩენ ორ ხელისუფლებას, ანუ მოქმედებს ურთიერთკონტროლისა და დაბალანსების მექანიზმი (checks and balances).



მონტესკიე

სიტყვა "ტირანი" ლათინური წარმოშობისაა და მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა "კანონგარეშე მმართველი".



**გ. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა**

საქართველოსათვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხზე, როგორცაა ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა, საქართველოს კონსტიტუციაში გაკეთებულია შემდეგი დათქმა: საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე **საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ**.

იმავედროულად, საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიად აღიარებს 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიას.



მოქმედი კონსტიტუცია, საქართველოს შემადგენლობაში ითვალისწინებს ორი ავტონომიური რესპუბლიკის არსებობას, თუმცა ამ ორიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთია მისი იურისდიქციის ქვეშ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს იურისდიქციაშია და რომლის სტატუსი განისაზღვრება ცალკე კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ფაქტობრივად არ არის საქართველოს იურისდიქციაში და რომლის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.

**სპეციალურად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზნით, 2008 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ”ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ”. კანონი ამბობს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებია:**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია;
2. ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია);

კანონის თანახმად, ამ ტერიტორიებზე ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე, განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

**დ. საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის პრეზუმფცია**

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. კონსტიტუციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის კონტროლს ქვეყანაში ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო და თუ რომელიმე კანონი წინააღმდეგობაშია კონსტიტუციასთან, იგი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად ცხადდება და მას არა აქვს იურიდიული ძალა. უფრო მეტიც, **საკონსტიტუციო სასამართლოს** მიერ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ დაუშვებელია ისეთი ახალი კანონის მიღება, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც უკვე არაკონსტიტუციურად ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ.



საკონსტიტუციო სასამართლო



გარდა ამისა, თუ საერთო სასამართლოში (და არა საკონსტიტუციო სასამართლოში) კონკრეტული საქმის განხილვისას, სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მიზნით. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

სხვა შემთხვევაა, როდესაც საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას. ასეთ შემთხვევაში, საერთო სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენებაზე და გამოიტანოს გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

**კითხვა:**  
 -რას ნიშნავს დემოკრატია?  
 -როგორ გესმით ხელისუფლების დანაწილების პრინციპი?  
 -რა ხდება, როდესაც სახელმწიფოს არ მართავს ხალხი?

## 6. კონსტიტუციის მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა და ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

### ა. შესავალი

კონსტიტუციის მეორე თავი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობას და ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებები ბუნებითი სამართლის, საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ნაწილია. ადამიანის სიცოცხლე მისი ხელშეუვალი უფლებაა, რომელიც ჩნდება დაბადებასთან ერთად და ამ უფლების წარმოშობის წყარო არის **ბუნებითი სამართალი**. ადამიანის უფლებათა განსაზღვრებანი მოცემულია საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებშიც, როგორცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია. ისინი ადგენენ ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაიცვას და პატივი სცეს.

1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელიც კონსტიტუციური სამართლის დოკუმენტია, არის ასეთი ჩანაწერი: **„ადამიანები შექმნილი არიან, როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები მიანიჭა, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა; რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ; რომ, თუ განმგებლობის რაიმე ფორმა, ოდესმე, ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა“.**



საქართველოს სახელმწიფომ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს თავი მოუყარა ქვეყნის ძირითადი კანონის მეორე თავში და ამით აღიარა ორი ტიპის ვალდებულება:

1. საქართველოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - შექმნას შესაბამისი გარემო და კანონები, რათა შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლების რეალიზაცია და დაცვა;
2. საქართველოს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება - მაქსიმალურად თავი შეიკავოს უფლებაში ჩარევისგან ( არ ჩამოართვას საკუთრება, არ აღუკვეთოს პირს თავისუფლება სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე და ა.შ).

საქართველოს კონსტიტუციით შემოღებულია სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. სახალხო დამცველს ირჩევს საქართველოს პარლამენტი 5 წლის ვადით და ის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას უწევს ზედამხედველობას.

### ბ. საქართველოს მოქალაქეობა



საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ზოგად დებულებებს. კერძოდ, დადგენილია, რომ საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება ორი გზით: დაბადებით და გარკვეული პროცედურებისა და წესების დაცვით მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით). მაგალითად, ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად.

საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას უცხო ქვეყნის მოქალაქეს. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, როდესაც მას საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან როდესაც მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

**მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია, ისე როგორც დაუშვებელია საქართველოს მოქალაქის ქვეყნიდან გაძევება. აგრეთვე, დაუშვებელია საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადანყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასჩივსასამართლოში.**

#### კითხვა 1:

თქვენ ხართ დაბადებით საქართველოს მოქალაქე. ინგლისელ მოქალაქეზე დაქორწინების გამო თქვენ გადანყვეტით, მიიღოთ სხვა ქვეყნის, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა. 1 წლიანი პროცედურების გავლის შემდეგ თქვენ მიიღეთ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა. რა ბედი ეწევა თქვენს საქართველოს მოქალაქეობას ასეთ შემთხვევაში?

#### პასუხი:

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღებასთან ერთად თქვენ კარგავთ საქართველოს მოქალაქეობას. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტს, თქვენი მიმართვის შემთხვევაში, შეუძლია მოგანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ თქვენი ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება გაქვთ.

#### კითხვა 2:

საქართველოს მოქალაქე ჩიბურდანიძემ ჩაიდინა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული და მას მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულის უკიდურესად მძიმე ხასიათის გამო საქართველოს პრეზიდენტმა მას ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა. კანონიერია თუ არა პრეზიდენტის გადანყვეტილება?

#### პასუხი:

არა, რადგან საქართველოს კონსტიტუციით მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებები სრულად ვრცელდება საქართველოს ყველა მოქალაქეზე. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები - უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, მათ აქვთ საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ასეთი გამონაკლისია, მაგალითად, არჩევნებში და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქის უფლებას წარმოადგენს (კონსტიტუციის 28-ე მუხლი). უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ, რა თქმა უნდა, იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს (კონსტიტუციის 29-ე მუხლი). მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა დაცული უფლებით, არ იყოს გაძევებული საქართველოდან (კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილი). რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ის შეიძლება გაძევებულ იქნეს ქვეყნიდან, თუ მისი მხრიდან ადგილი აქვს საქართველოში უკანონოდ შემოსვლას და საქართველოს კანონმდებლობის სისტემატურ დარღვევას.

### შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება

ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

კონსტიტუციის გარდა, აღნიშნულ უფლებას აწესრიგებს სპეციალური კანონი შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ.

აღნიშნული უფლება შეიძლება განვიხილოთ მოქალაქის აზრის თავისუფლად გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად, როდესაც მოქალაქეები იკრიბებიან იდეის ან მოსაზრების მხარდასაჭერად ან პირიქით, ამ იდეის ან მოსაზრების გასაპროტესტებლად.

#### მაგალითი:

ანტიჰომოფობიის საერთაშორისო დღისადმი (17 მაისი) მიძღვნილი აქციის ადგილისა და დროის თაობაზე აქციის მხარდამჭერებმა წინასწარ გამოაცხადეს. აქციის გამართვის ადგილად შერჩეულ იქნა თბილისი, რუსთაველის გამზირი. აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათით ადრე რუსთაველის ქუჩაზე შეიკრიბა ათასობით მოქალაქე, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ანტიჰომოფობიის მხარდამჭერი აქციის გამართვას, რადგან მიიჩნევდნენ მას ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდად და მართლმადიდებელი საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფად. სახელმწიფოს მხრიდან (პოლიცია) მიღებული ზომების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ე.წ. ანტიაქციის მონაწილეთა შეკავება და ანტიჰომოფობიის აქციის შედარებით მცირერიცხოვანი რაოდენობა გახდა ანტიაქციის თავდასხმის სუბიექტები, რის შედეგადაც ანტიჰომოფობიის აქციის 10-ზე მეტი მონაწილე დაშავდა ფიზიკურად.

#### კითხვა:

ჰქონდათ თუ არა ანტიაქციის მონაწილეებს შეკრებისა და საკუთარი განსხვავებული აზრის დაფიქსირების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინასწარ არ ჰქონდათ გამოცხადებული თავიანთი აქციის შესახებ? კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და პატივისცემა წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოს თუ ცალკეული მოქალაქეების ვალდებულებასაც?



## 7. კონსტიტუციის მესამე თავი. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლება – საქართველოს პარლამენტი



**საქართველოს პარლამენტი** კანონშემოქმედი ორგანოა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განიხილავს კანონპროექტებს და პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრის პროცედურის დაცვით, ამტკიცებს მათ. მხოლოდ პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონი. პარლამენტის მიერ მიღებული კანონები სავალდებულოა შესასრულებლად ყველასათვის, მათ შორის, მთავრობისა და სასამართლოსათვის.

საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით არჩეული 150 წევრისაგან.

### ა. საქართველოს ამომრჩეველი და საარჩევნო უფლება




პარლამენტს ირჩევენ საქართველოს მოქალაქეები. პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყოველ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი. ეს არის საქართველოს ყოველი მოქალაქის ნების თავისუფალი გამოვლინების და მათი სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის (დემოკრატიის) მიღების უფლება. თუმცა, კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ არის აბსოლუტურად დაცული უფლება. ის ეზღუდებათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს გადანყვებილებით ცნობილნი არიან ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. პირველად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმა მისცეს იმ პირებმა, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებოდნენ სასჯელსრულების დაწესებულებაში.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

**ბ. პარლამენტის არჩევნები**

საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევის დროს, ხოლო მომდევნო მრავალპარტიული არჩევნები გაიმართა მხოლოდ 1990 წლის 28 ოქტომბერს. 1991 წლის 26 მაისს მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულმა პარლამენტმა გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და კონსტიტუციის 50-ე 2<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ქვეყნის პრეზიდენტად **ზვიად გამსახურდია** აირჩია. პარლამენტის მორიგი არჩევნები ყოველთვის ტარდება მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვის კალენდარული წლის **ოქტომბერში**. ყოველი მე-4 წლის ოქტომბერში საქართველოში უნდა გაიმართოს ახალი პარლამენტის არჩევნები. ბოლოს საპარლამენტო არჩევნები საქართველოში გაიმართა 2012 წლის 1 ოქტომბერს. ეს იყო რიგით მე-8 საპარლამენტო არჩევნები. შედეგების თანახმად, მისი შემადგენლობა პარტიული ნიშნით, ასე გამოიყურება:



85 კოალიცია "ქართული ოცნება"  
65 პარტია "ნაციონალური მოძრაობა"



პარლამენტის 150 წევრს შორის 77 წევრი არჩეულია პარტიული სიით (პროპორციული წესით), ხოლო 73 წევრი - მაჟორიტარული არჩევნების წესით.

არჩევნების კონკრეტულ თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. პარლამენტის ვადამდე ადრე დათხოვნის შემთხვევაში ტარდება პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები, პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან მე-60 დღეს.

**გ. პარლამენტის წევრი და მისი სტატუსი**

პარლამენტის წევრი (დეპუტატი) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებს და მათ ინტერესებს ხელისუფლების ამ შტოში. 2012 წლიდან პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან. საპარლამენტო არჩევნებში ერთვებიან, როგორც ინდივიდუალური კანდიდატები (მაჟორიტარები), ისე პოლიტიკური პარტიები (პროპორციული სისტემა). პროპორციული წესით არჩევნების შემთხვევაში, პარლამენტში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არჩევნების შედეგად დააგროვებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს მაინც.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, იგი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განწვევა დაუშვებელია, რაც ნიშნავს იმას, რომ მას შემდეგ, რაც ხალხი აირჩევს პარლამენტის წევრებს, ისინი სარგებლობენ გარკვეული იმუნიტეტით.

4 წლის ვადით არჩეული პარლამენტის 150 წევრის ხალხის მიერ არჩევის შემდეგ, მათი ამომრჩევლების მიერ "დანუნება" და პარლამენტიდან უკან გამოწვევა არ დაიშვება. თუმცა ეს დებულება არ გამოიყენებოდა პარლამენტის წევრისათვის წევრობის ვადამდე ადრე შეწყვეტას, რაც პარლამენტის გადაწყვეტილებით ხდება.

უფრო კონკრეტულად, კონსტიტუციის 54-ე მუხლი ჩამოთვლის 7 შემთხვევას, რომელიც იწვევს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე შეწყვეტას. ესენია:

პირადი განცხადება უფლებამოსილების მოხსნის შესახებ;

პარლამენტის წევრის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქმედუნაროდ უზღო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შესახებ;

პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

არასაკავშირ მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის არ მიღება;

გარდაცვალება.

მაგალითად, ახორციელებს საქმიანობას, რისი უფლებაც პარლამენტის წევრს არ აქვს ან თუ მან დაიკავა რომელიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი და ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

პარლამენტის წევრის საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს, აგრეთვე, სხვა გარანტიებსაც. გარდა განვევის დაუშვებლობისა, პარლამენტის წევრისათვის გარანტირებულია უფლება, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს და ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. ეს გახლავთ პროფესიული საიდუმლო ინფორმაცია.

პარლამენტის წევრი, ასევე, არ მიეცემა პასუხისგებაში თავისი მოვალეობის შესრულებისას, პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის, ხოლო დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

### დ. პარლამენტის სტრუქტურა

საქართველოს პარლამენტი, თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტიტ დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის, თითო მოადგილეს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან, მათივე წარდგინებით. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებულო ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით, პარლამენტში, მისი უფლებამოსილების ვადით, იქმნება **კომიტეტები**.

პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ **საპარლამენტო ფრაქციაში**. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები.

აგრეთვე, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით, პარლამენტში იქმნება **საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები**. დროებითი კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე, საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა **სავალდებულოა**.

პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება **პარლამენტის ბიურო**, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

**ე. პარლამენტის საქმიანობა**

პარლამენტის ძირითადი საქმიანობა კანონშემოქმედებაა, ანუ კანონების მიღება. მათ შორის არის ყოველწლიურად მისაღები კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტი, ასევე, ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

**კონკრეტული კანონის ინიცირების, ანუ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და არანაკლებ 30000 ამომრჩევლს.**

სიტყვა ბიუჯეტი, ძველი ნორმანდიულიდან მოდის და საფულის ნიშნავს. მარტივად რომ ავხსნათ, ქვეყნის ბიუჯეტი წარმოადგენს შემოსავლისა და გასავლის ჩამონათვალს. სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს ყველა უწყების, სახელმწიფო სამსახურის, სამთავრობო პროგრამების ფინანსური ინფორმაციის ჩამონათვალს ერთობლიობას.

რატიფიცირება- პროცესი, რომლის თანახმად სახელმწიფო კისრულობს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას

დენონსირება- გაუქმებულად გამოცხადება



საპარლამენტო საკანონმდებლო ორგანოს სხდომა



პარლამენტში კანონპროექტი მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს უჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში, გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი, 10 დღის ვადაში, ხელს აწერს და

**ვეტო (veto- I forbid)** ლათინური სიტყვაა და ნიშნავს: მე ვკარძაღვ. ვეტოს კონცეფციის სამშობლო რომის იმპერია გახლავთ. რომის კონსული აჩერებდა სენატის მიერ მიღებულ აქტს, თუ ის არ ეთანხმებოდა სენატს. ამჟამად, ეს სიტყვა აღნიშნავს ოფიციალური პირის მოქმედებას, რომელიც აჩერებს კანონს. ბევრ ევროპულ სახელმწიფო-რესპუბლიკებში მოქმედებს პრეზიდენტის ვეტოს კონცეფცია. ესენია, მაგალითად, იტალია, პორტუგალია, ირლანდია, საფრანგეთი, და ა.შ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ასევე, აქვს ვეტოს უფლება. კერძოდ, სენატი ყველა კანონს უგზავნის პრეზიდენტს ხელმოსაწერად და პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს ან არ აწერს და წერილობითი შენიშვნებით უბრუნებს სენატს. სენატს შეუძლია დაძლიოს საპრეზიდენტო ვეტო და 2/3 -ის უმრავლესობით მიიღოს კანონი, რომელიც ძალაში შევა პრეზიდენტის ხელმოწერის გარეშეც. ამერიკის სახელმწიფოს ისტორიაში ყველაზე ხშირად ვეტო გამოყენებულია პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის დროს, სულ 635-ჯერ!

აშშ ბოლო პრეზიდენტი ბარაკ ობამას მიერ ვეტოს უფლება 2-ჯერ იყო სულ გამოყენებული და ორივეჯერ სენატმა ვერ შეძლო პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა, შესაბამისად, ეს კანონპროექტები ვერ იქცა კანონებად.

მაგალითად, პლენარული სხდომა შეიძლება დაიხუროს იმ შემთხვევაში, როდესაც განიხილება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი საკითხი.

აქვეყნებს კანონს. პრეზიდენტი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს და **ვეტო** დაადოს მას, ანუ მოტივირებული/დასაბუთებული შენიშვნებით ხელმოწერის გარეშე დაუბრუნოს კანონი პარლამენტს. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. ასეთ შემთხვევაში, კანონის მიღებას სჭირდება უფრო მაღალი ქვორუმი, ვიდრე პირველი კენჭისყრის დროს. **კანონი მიღებულია ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სითითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეოთხედმა.**

პარლამენტის სხდომები საჯაროა, მათი მიმდინარეობა გადაიცემა ტელევიზიით და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, თვალყური ადევნოს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას. ამომრჩეველს აქვს რეალური შესაძლებლობა, დააკვირდეს თავის მიერ არჩეული პარლამენტის მუშაობას. პარლამენტს შეუძლია, ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პარლამენტის ღია პლენარული სხდომის ოქმი საჯაროა.



საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. სამემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

**სესიებს შორის პერიოდში შეიძლება გაიმართოს რიგგარეშე სხდომა.**

**ვ. საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი**


სიტყვა "იმპიჩმენტი" ლათინური წარმოშობისაა და მისი თავდაპირველი მნიშვნელობით "დაკავება", "გამოჭერა" -ს ნიშნავს.

**შინაარსობრივად ეს არის პროცედურა ოფიციალური, როგორც წესი, მაღალი რანგის თანამდებობის პირის მიმართ, რომელიც დაწყებულია მისი გადაყენების მოთხოვნით, თუ მისი მხრიდან ადგილი აქვს ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევას ან სისხლის სამართლის დანაშაულს.**

პირველად იმპიჩმენტის პროცესი გამოყენებული იყო დიდ ბრიტანეთში, ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში განიხილებოდა სამი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. ორი პრეზიდენტის - ენდრიუ ჯონსონისა და ბილ კლინტონის წინააღმდეგ დაწყებული იმპიჩმენტის პროცესი დამთავრდა მათი გამართლებით, ხოლო პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი გადადგა მანამ, სანამ მის მიმართ იმპიჩმენტის პროცესის აღძვრას კენჭი ეყრებოდა.

საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორია არ იცნობს პრეზიდენტის იმპიჩმენტის შემთხვევებს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის (იმპიჩმენტის) აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრაზე დადგეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.



რიჩარდ ნიქსონი

დაუშვებელია პრეზიდენტისათვის ნაყენებული ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში არ მოიძებნება პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების ფაქტი.

უოთერგეიტის კომპლექსი ვაშინგტონში, შენობა, სადაც გახმაურებულ შეჭრას ჰქონდა ადგილი. ეს ფაქტი ცნობილია ისტორიაში, როგორც უოთერგეიტის სკანდალი. სკანდალი უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის სახელს. სკანდალი დაიწყო 1972 წლის 17 ივნისს, როდესაც უოთერგეიტის საოფისე კომპლექსში, დემოკრატების შტაბბინაში, თვითნებურად შეჭრილი 5 ადამიანი დააპატიმრეს. დაწყებული გამოძიებით გამოიკვეთა ფედერალური სადაზვერვო ბიუროს მიერ პრეზიდენტის პოლიტიკური ოპონენტების ფარული, უნებართვო მოსმენების ფაქტები. პოლიტიკური შპიონაჟისა და სხვა კანონდარღვევის კვალი პრეზიდენტ ნიქსონზე მიუთითებდა. 1974 წლის 9 აგვისტოს პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა. თუმცა ამით მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ მოიხსნა სრულად მანამ, სანამ პრეზიდენტ ფორდმა არ შეინყაა იგი 1974 წლის 8 სექტემბერს.

# 2

2013 წლის 25 მარტს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილების მიხედვით.

რაც დადგენილია კონსტიტუციის მე-80 მუხლით, რომელსაც მოგვიანებით მთავრობის თავში განვიხილავთ.

როდესაც პარლამენტი იწყებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას.

## ზ. პარლამენტის უფლება უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას

პარლამენტის უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას და უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის შემდეგ უფლებამოსილია დაასახელოს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა პრეზიდენტისათვის წარსადგენად. პრეზიდენტი უფლებამოსილია წამოაყენოს წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა ან უარი განაცხადოს ამ კანდიდატურის წამოყენებაზე. პრეზიდენტის უარი წამოაყენოს პარლამენტის მიერ დასახელებული კანდიდატურა შეიძლება დაძლიოს/გადალახოს პარლამენტმა სიითი შემადგენლობის 3/5-ით, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი უკვე ვალდებული ხდება დაემორჩილოს პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას.

## თ. პარლამენტის დათხოვნა

კონსტიტუციის 51<sup>1</sup> მუხლის თანახმად, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება. თუმცა, პრეზიდენტის ეს უფლება შეზღუდულია. **კერძოდ, პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს:**

1. პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;
2. პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;
3. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
4. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის მაისიდან ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაამდე.

### კითხვა:

1. სწორია თუ არა, რომ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან?
2. რა ასაკიდან შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე პარლამენტის წევრი?
3. რამდენი წევრისაგან შედგება საქართველოს პარლამენტი?
4. თუ მოქალაქეები არ არიან კმაყოფილი მათ მიერ არჩეული დეპუტატის საქმიანობით, დაიშვება თუ არა ამ დეპუტატის მანდატის განწვევა?
5. რა არის პარლამენტის ძირითადი საქმიანობა?
6. რას ნიშნავს სიტყვა იმპიჩმენტი?
7. შეუძლია თუ არა პარლამენტს უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას?
8. უშვებს თუ არა საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტის ვადამდე დათხოვნას?

## 8. კონსტიტუციის მეოთხე თავი. საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ, ანუ პრეზიდენტად ერთი და იმავე პირის მესამე ვადით არჩევა დაუშვებელია. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია არჩევნების დანიშვნის დღემდე 5 წელი მაინც, ან ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და სახალხოდ დებს ფიცს.



საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია

სახელმძღვანელოს დაწერის მომენტისათვის ქვეყნის მეოთხე **პრეზიდენტი გახლავთ გიორგი მარგველაშვილი.**

მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში. ფორმალურად საქართველოს პრეზიდენტი არ შედის არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საქართველოს პრეზიდენტს არ აქვს უფლება ეკავოს პარტიული თანამდებობა.

2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილება შეიკვეცა. პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილის მიღება და მათი ძალაში შესვლა მოითხოვს მთავრობასთან შეთანხმებას ან საჭიროებს პრემიერ-მინისტრის **კონტრასიგნაციას**. მეორე მხრივ, გაძლიერდა პრემიერ-მინისტრის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის პოზიცია.

საქართველოს პრეზიდენტი აღარ წარმართავს და არ განახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ისე როგორც ამას ახორციელებდა მისი წინამორბედი პრეზიდენტი და პრეზიდენტის თანამდებობამ შეიძინა უფრო სიმბოლური, ვიდრე რეალური ძალის მქონე თანამდებობის ნიშნები.

პრეზიდენტი ინარჩუნებს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოზიციას და საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში უფლებამოსილია გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა ქვეყანაში (მუხლი 73.1 "ზ"), დადოს ზავი და მიღებული გადაწყვეტილებები წარუდგინოს დასამტკიცებლად პარლამენტს. პრეზიდენტი, ასევე, უფლებამოსილია გადაწყვიტოს მოქალაქეობის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხები, შეინყალოს მსჯავრდებულები.

პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ზედიზედ სამჯერ არ გამოუცხადებს ნდობას მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას. პრეზიდენტი, ასევე, უფლებამოსილია წამოაყენოს მხოლოდ პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა. ამდენად, პრეზიდენტის უფლება, წამოაყენოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, სრულად არის დამოკიდებული საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური სუბიექტის ნებაზე.

ლათინური: **contra-ნიინალმდეგ, signare-ხელმონერა**  
სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი აქტების პრემიერ-მინისტრის (იმვითად -შესაბამისი სფეროს მინისტრის) მხრიდან თანახელმონერას გულისხმობს, რის შედეგად აქტი იქნეს იურიდიულ ძალას და მის აღსრულებაზე სამართლებრივი თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება პრემიერ-მინისტრს.  
კონტრასიგნაციის ინსტიტუტი ევროპულ სამართალში მე-19 საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა და დღემდე მოქმედებს ევროკავშირის "ძველი" წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ფინეთი...)"

## პრეზიდენტი-პარლამენტი - მთავრობა

2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე:

არის მთავრობის მეთაური

საღსაზღვრე ექსპლაცა პარლამენტის ვადამდელი დატოვება:

1. პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში;
2. საქართველოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ქალენდარული წლის განმავლობაში, ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაამდე.

უფლება აქვს დაიკავოს პარტიული თანამდებობა

უფლება აქვს, შეარჩიოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა (საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ)

## პრეზიდენტი-პარლამენტი-მთავრობა

2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებას მომდევნო:

არ არის მთავრობის მეთაური

უფლება აქვს, წამოაყენოს პრემიერ-მინისტრის **მხოლოდ** ის კანდიდატურა, რომელიც მას წარედგინება გამარჯვებული კოალიციური სუბიექტის მიერ

ექსპლაცა პარლამენტის ვადამდელი დატოვება პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში და საქართველოს უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

**გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარლამენტი ვერ უსახდებს დროს მთავრობას ( მუხლი 80)**

უფლება არ აქვს, ექვემდებარებოდეს პარტიული თანამდებობა

## 9. კონსტიტუციის მეოთხე' თავი. საქართველოს მთავრობა

მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და საჯარო მმართველობის განხორციელების ძირითადი რგოლი. საქართველოს მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. მთავრობა არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა ან მართლმსაჯულება. მთავრობა ახორციელებს საჯარო მმართველობას პარლამენტის მიერ მიღებული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. უფლებამოსილია, გამოსცეს კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები (მაგალითად: დადგენილება, განკარგულება, ბრძანება, გადაწყვეტილება) და არ არის უფლებამოსილი გამოსცეს კანონები.

### კითხვა:

შეუძლია თუ არა პრეზიდენტს დაიკავოს პარტიული თანამდებობა, მაგალითად, იყოს პარტიის თავმჯდომარე? რას ნიშნავს კონტრასიგნაცია? იზრდება თუ არა პრეზიდენტის უფლებამოსილებები 2013 წლის ოქტომბერში ახალი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ?



### ა. მთავრობის კომპეტენცია და სტრუქტურა (კონსტიტუციის 78-ე მუხლი)

დღეს მოქმედი კონსტიტუციით მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

მთავრობა შედგება **პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან**. იგი კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. აღნიშნულ კანონპროექტს პარლამენტს წარუდგენს მთავრობა. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს — ბრძანებას, აგრეთვე, სრულად ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

პრემიერ - მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

### ბ. ახალი მთავრობის ფორმირების წესი (კონსტიტუციის მუხლი 80)

მთავრობის უფლებამოსილების მოხსნა უკავშირდება ახალი პარლამენტის არჩევნებს, ანუ ახალ პარლამენტთან ერთად მოდის ახალი მთავრობა.

ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნაში და მთავრობის ფორმირებაში უპირატესი უფლებებით სარგებლობს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი ძველი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნის შემდეგ წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. ანუ, პრეზიდენტს არ აქვს უფლება თავად შეარჩიოს პრემიერ-მინისტრი, თუნდაც პარლამენტთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე. მას ამ პროცესში მხოლოდ ფორმალური როლი აქვს და იგი ვალდებულია, დაასახელოს მხოლოდ ის კანდიდატი, რომელსაც მას წარუდგენს საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე მაღალი შედეგების მქონე პოლიტიკური პარტია. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების დროს არ მოქმედებდა მთავრობის შერჩევის აღნიშნული ვარიანტი, პრემიერ-მინისტრის წარდგენა და მთავრობის ფორმირება მოხდა სწორედ ამ წესით. პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი წარდგენილ იქნა პრეზიდენტის მიერ არა საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების გამართვის საფუძველზე, არამედ ის იყო საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური სუბიექტის-კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ დასახელებული პრემიერ-მინისტრობის

კანდიდატი.

სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება სამინისტროები. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი გამოსცემს ბრძანებას. მაგალითად, განათლების სამინისტროს მინისტრი გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლების მიერ.

მთავრობის წევრებს, მინისტრებს უფლება არ აქვთ: ეკავოთ სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დააფუძნონ საწარმო, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. მათ უფლება აქვთ ეწეოდნენ სამეცნიერო, პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობას.

## მთავრობის ფორმირების წესი

2013 წლის ოქტომბრის საკრავილენტო არჩევნებამდე



## მთავრობის ფორმირების წესი

2013 წლის ოქტომბრის მორიგი საკრავილენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრაზილენტის მიერ ფიცის დაღების მომენტიდან



### გ. რწმუნებული- გუბერნატორი

დღეს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო რწმუნებულს — გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

#### კითხვა:

მთავრობა არის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება?

რომელ პოლიტიკურ მოვლენას უკავშირდება ახალი მთავრობის წამოყალიბება- პარლამენტის არჩევნებს თუ პრეზიდენტის არჩევნებს?

ვინ ნარუდგენს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდილატურას?

**სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სტატუსი**

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი არის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. კონსტიტუციის 81<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა.

**სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები:**

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კოორდინაცია;
- შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის პროცესის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი;
- თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობა და სამხედრო-სასწავლო შეკრებებისა და სამხედრო მომზადების ორგანიზების ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა;
- შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ინვესტიციების მოზიდვასა და რეგიონალური განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციის მისაღწევად საჭირო ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინირებით, სტიქიური მოვლენების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათი უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ხელშეწყობა;
- კულტურისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონებით პრეზიდენტის ცალკეული ამოცანების შესრულება.

**სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების უფლებამოსილებათა ტერიტორიული საზღვრები და უფლებამოსილებები**

საქართველოში განისაზღვრა სახელმწიფო რწმუნებულების სამოქმედო 9 ტერიტორია. ეს სამოქმედო ტერიტორიები მოიცავს:

1. ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;
2. ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;
3. ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;
4. ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 ივნისის ბრძანებულება №4 406 სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ.

**კითხვა:**

ვისი რწმუნებულია გუბერნატორი? გუბერნატორის რამდენი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა საქართველოში? რა ჰქვია გუბერნატორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს?

5. აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;
6. ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;
7. გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;
8. დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;
9. ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს.

**სახელმწიფო რწმუნებულის სამართლებრივი აქტი**

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - გუბერნატორის განკარგულებას, რომლის გაუქმების უფლება აქვს საქართველოს მთავრობას. გუბერნატორის განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

**დ. პროკურატურა**

საბჭოთა დროს მოქმედებდნენ ე.წ. სამხედრო პროკურატურები, რომლებიც ახორციელებდნენ სისხლის სამართლის დევნას ყველა იმ საქმეზე, რომელშიც ერთ-ერთი მონაწილე მაინც სამხედრო მოსამსახურე იყო. ამ საქმეების განსახილველად ქვეყანაში მოქმედებდა სპეციალური სამხედრო სასამართლოები-სამხედრო ტრიბუნალები.

ქვეყნის მთავარ პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე.

აკრძალულია საგანგებო ან სპეციალური პროკურატურების შექმნა.

**პროკურატურის ძირითადი ამოცანები:**

- სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- სისხლისსამართლებრივი დევნის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით გამოძიების ჩატარება;
- თავისუფლება აღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემონიშვნა;

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობა სასამართლოში და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.



საქართველოს მთავარი პროკურატურა



## პროკურატურის სისტემა:

### მთავარი პროკურატურა

აფხაზეთისა და აჭარის  
ავტონომიური რესპუბლიკების  
პროკურატურები

თბილისის  
პროკურატურა

საოლქო პროკურატურები

რაიონული პროკურატურები

# 2

#### კითხვა:

არის თუ არა პროკურატურა სასამართლოზე ზედამხედველი ორგანო? მოქმედებენ თუ არა საქართველოში სპეციალიზებული პროკურატურები/ პროკურორები?

### 10. კონსტიტუციის მეხუთე თავი. სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას, განიხილავს სამოქალაქო დავებს და სისხლის სამართლის საქმეებს. სხვას არავის აქვს უფლება განახორციელოს მართლმსაჯულება ქვეყანაში. მოსამართლეები ატარებენ სხდომებს, უსმენენ მხარეებს და იღებენ სასამართლო გადაწყვეტილებებს და ეს პროცესი არ არის საჯარო მმართველობა. ამ პროცესს მართლმსაჯულების განხორციელება ჰქვია. სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა იმ პირებისათვის, ვისაც ეს გადაწყვეტილება ეხება. სასამართლოს შეუძლია გააუქმოს მთავრობის გადაწყვეტილებები. საკონსტიტუციო სასამართლოს კი შეუძლია ანტიკონსტიტუციურად ცნოს და გააუქმოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები. საქართველოში მოქმედებს საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო.



საქართველოს უზენაესი სასამართლო

## ა. სასამართლო სისტემა



**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო** არის კონსტიტუციური კონტროლის განმხორციელებელი სასამართლო, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს კომპეტენცია, განიხილოს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი და ანტიკონსტიტუციურად ცნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი.

საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა 1996 წელს და 2007 წლის 5 ივლისიდან იგი მდებარეობს ქ. ბათუმში.

საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისაგან შედგება. ხელისუფლების სამივე შტო ჩართულია საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებასა და მოსამართლეების დანიშვნაში. კერძოდ, 3 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, 3 - უზენაესი სასამართლო და 3 წევრს ირჩევს პარლამენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ინიშნებიან 10 წლით.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

## საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა

პლენუმი-9 მოსამართლე

კოლეგია  
4 მოსამართლე

კოლეგია  
4 მოსამართლე

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაში არის საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი.

კოლეგიების შემადგენლობაშია 4 წევრი მოსამართლე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების უფლება - აირჩიონ თავმჯდომარე ფორმალური ხასიათის მატარებელია, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით.

ადმინისტრაციული ფუნქციების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენარულ სხდომებს, ხელს აწერს პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატს, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს თანამშრომლებს. ძალზე მნიშვნელოვანია მისი უფლება, გაანაწილოს სასამართლოში შემოსული სარჩელები. ეს იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ირჩევს იმ მოსამართლეს, რომელმაც კონკრეტული საქმე უნდა გადაწყვიტოს და საქმე არ ნაწილდება რიგითობის წესით, როგორც ეს, მაგალითად, საერთო სასამართლოებში ხდება.

**პირები, ვისაც უფლება აქვთ წარადგინონ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება:**

1. საქართველოს პრეზიდენტი;
2. პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი;
3. საერთო სასამართლოს მოსამართლე (წარდგინება);
4. სახალხო დამცველი;
5. აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;
6. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანო - საკრებულო;
7. საქართველოს იურიდიული პირი;
8. საქართველოს მოქალაქე.

**საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს:**

- საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე, საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს;
- რეფერენდუმთან, ასევე, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

2

საკონსტიტუციო სასამართლოში მოქმედი საქმეთა განაწილების წესი განსხვავდება საერთო სასამართლოებში მოქმედი საქმეების განაწილების წესისაგან, რომელიც დადგენილია სპეციალური კანონით. ამ წესის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება რიგითობის წესით. რიგითობა კი გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით. მოსამართლეების რიგითობა განისაზღვრება მათი გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში - მომდევნო ასოს მიხედვით.

კანონის არაკონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ცნობის შედეგია ამ კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოქმედებს საპარლამენტო საქმიანობის საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი.

საერთო სასამართლოს მოსამართლე დაელოდება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას, იმ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც მან დავის გადასაწყვეტად უნდა გამოიყენოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს კანონს (ან კანონის ცალკეულ მუხლს) არაკონსტიტუციურად, მოსამართლე არ გამოიყენებს მას საქმის განხილვის დროს.

- საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;
- იძლევა დასკვნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხზე;
- იხილავს საერთო სასამართლოს წარდგინებას, რომელსაც წარადგენს კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლე.

### საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია განიხილავს:

- დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს;
- დავას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;
- ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხებთან მიმართებით;
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს.

**მაგალითი:** 2012 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ განიხილა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სადავო იყო კანონის ის მუხლი, რომლის მიხედვით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმახორციელებელ ორგანოს (პირს), შესაძლებლობა ჰქონდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე განეხორციელებინა დაკვირვება დახურული ხასიათის ინტერნეტური თვითობებზე. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ შეიცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სათანადო გარანტიებს და არ გამოიცხავს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმახორციელებელი ორგანოს (პირი) უფლებამოსილებას, სადავო ნორმაზე დაყრდნობით, მოსამართლის ბრძანების გარეშე განახორციელოს დახურული ინტერნეტური თვითობის მონიტორინგი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტს. **კონსტიტუციის მე-20.1 მუხლი:** ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, სატელეფონო საუბარი და სხვა სახის ტექნიკური საშუალება, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

### ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იმუნიტეტი

დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლად უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

### გ. საერთო სასამართლოები

საერთო სასამართლოები ახორციელებენ ქვეყანაში მართლმსაჯულებას და უზრუნველყოფენ ყოველი ადამიანის უფლებას, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირდაპირ მიმართონ სასამართლოს.

არსებობს სამი სახის წარმოება საერთო სასამართლოებში: სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლო



სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის და მათი გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ ზემდგომ სასამართლოს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან და ვერც პრეზიდენტი, ვერც პრემიერ - მინისტრი და პარლამენტი ვერ გააუქმებს, ვერც შეცვლის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

**საერთო სასამართლო სისტემა ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთო იურისდიქციის სასამართლო სისტემა შედგება 3 ინსტანციის სასამართლოსაგან:**

**პირველი ინსტანცია-ქალაქისა და რაიონული სასამართლოები; მაგისტრატი მოსამართლეები. პირველი ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეებს;**

**სააპელაციო სასამართლო - საქართველოში სულ 2 ასეთი სასამართლოა: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები. სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის პირველი საფეხურია;**

**საქასასიო სასამართლო - უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილებების გადასინჯვის მეორე და საბოლოო საფეხური.**

2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომ საერთო სასამართლოებში საქმეები განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით ნაფიცი მსაჯულების მიერ. თუმცა, ამ სისტემის ამოქმედებას დასჭირდა რამდენიმე წელი და მხოლოდ 2011 წელს, ნოემბერს ჩატარდა თბილისში პირველი სასამართლო პროცესი მკვლელობის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

**მაგალითად:**  
თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განაჩენი ან გადაწყვეტილება შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების უფლება მის ზემდგომ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის.

ეს იყო 1994 წელს მომხდარი 3 ადამიანის მკვლელობის ბრალდება, ყოფილი პოლიციის თანამშრომლის რევავ დემეტრაშვილის წინააღმდეგ. მოსამართლე ნინო სანდოძე. ვერდიქტი მიღებული ნაფიცი მსაჯულების მიერ იყო- დამნაშავეა.

კონსტიტუცია აღიარებს მოსამართლის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას და აწესებს, რომ რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

კონსტიტუციის თანახმად, არავის აქვს უფლება, მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე და ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, შეცვლას ან შეჩერებას, ამის უფლება, მხოლოდ, გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს - ზემდგომ სასამართლოს აქვს, კანონით განსაზღვრული წესით.

კონსტიტუცია, ასევე, აღიარებს სასამართლოს სხდომის საჯაროობის მნიშვნელობას და ადგენს, რომ სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურული სხდომა გამოწვეულია და დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ცხადდებოდეს საქვეყნოდ. სასამართლოში მხარეების თანასწორობა და შეჯიბრებები, ასევე, აღიარებულია კონსტიტუციით.

მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება უვადოდ. საერთო იურისდიქციის სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან საქართველოს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის წარდგინებით, არანაკლებ 10 წლის ვადით.

მოსამართლეს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა. ასევე, არ შეუძლია მას შეასრულოს ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, არ უნდა მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

### დ. საერთო სასამართლოს მოსამართლის იმუნიტეტი

დაუშვებელია საერთო სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია, დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლად უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლად უნდა გათავისუფლდეს.

შესაბამისად, ნებისმიერი სახის დანაშაულის გამო, მაშინაც კი, თუ ის არ არის დაკავშირებული მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან, იგი დაცულია აბსოლუტური იმუნიტეტით, რომლის გაუქმება მხოლოდ ერთი ადამიანის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელშია. დეტალური წესები მოსამართლის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე არ არსებობს. მსგავსი სისტემა იძლევა შესაძლებლობას, ცალკეული მოსამართლე ადვილად მოექცეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გავლენის ქვეშ, რადგან ის განაგებს მის ბედს.

ევროპის უმრავლეს ქვეყანაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოსამართლეს პასუხისგებაში მიცემისაგან იცავს იმუნიტეტი მხოლოდ სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის გამო და არა მის გარეთ ჩადენილი დანაშაულის გამო.

იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი ფუნქციური იმუნიტეტი არსებობს, მისი მოხსნა არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის კომპეტენცია, იგი არის იუსტიციის საბჭოების ან სხვა კოლევგიური ორგანოების კომპეტენცია. ასეთი პროცედურა გამოიწვევს იმ შესაძლებლობას, რომ მოსამართლე ერთი ადამიანის გავლენის ქვეშ მოექცეს. პროცესი იმუნიტეტის მოხსნის შესახებ დეტალურადაა განვიხილო, უფრო ობიექტურია და გამჭვირვალე.

## ე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის იმუნიტეტი


უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლად უნდა გათავისუფლდეს.



11. კონსტიტუციის მექანიზმი. სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

## ა. ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.



იასონ  
ლორთქიფანიძე

ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. კერძოდ, 1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი „სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაუყარა საფუძველი. საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შემთხვევაში, პარლამენტის უფლება გააუქმოს მათი იმუნიტეტი, ამ მოსამართლეების პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხეს წარმოადგენს.

თბილისის იუსტიციის სახლის შენობა, სადაც ეროვნული ბანკია განთავსებული.



ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა იყო. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი **იასონ ლორთქიფანიძე** აირჩიეს.

ამ პერიოდს უკავშირდება ქართული ფულადი ერთეული "მარჩილის" ესკიზის შემუშავება, თუმცა "მარჩილი" მიმოქცევაში არ გავიდა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა.

საქართველოს ეროვნული ბანკი დღევანდელი სახით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ცენტრალური ბანკის სამართალმემკვიდრე, 1991 წლიდან არსებობს.

ეროვნული ბანკის უფლებაა, განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების გამოშვება. ასევე, ეროვნულ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაამზადოს მიმოქცევის ან სხვა მიზნით, სამახსოვრო ფულის ნიშნები.

ეროვნული ბანკის საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, შემადგენლობასა და სხვა მახასიათებლებს, რის შემდეგაც იწყება ფულის ნიშნების ბეჭდვის პროცესი. ქართული ფულის ნიშანი წამყვან ევროპულ ორგანიზაციებში მზადდება.



## ბ. ქართული ფული

1995 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ერთდერო კანონიერ საგადასმდელო საშუალებად ახალი ქართული ეროვნული ვალუტა „ლარი“ გამოცხადდა.

მიმოქცევაში გავიდა 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ღირებულების საბანკო ბილეთები. სიტყვა „ლარი“, რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს, ზოგადად, განძს, ქონებას, ხოლო, „თეთრი“, რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ასევე, ძველი, XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2007 წლის 16 აპრილს, მიმოქცევაში გაუშვა 200 ლარის ღირსების ბანკნოტი.



### გ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური

1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, ჩამოყალიბდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ეროვნული სისტემა და შეიქმნა საქართველოს კონტროლის პალატა, რომელიც 2012 წლის 22 მაისს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად ცნობილია, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია, აგრეთვე, შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სახელმწიფო სხვა ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

სხვა სიტყვებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აკონტროლებს კანონის დაცვით იხარჯება თუ არა ჩვენი - გადასახადის გადამხდელის ფული, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

### 12. კონსტიტუციის მეშვეობით თავი. სახელმწიფოს თავდაცვა

კონსტიტუციის ამ თავით დადგენილია, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

**კონსტიტუცია ადგენს, რომ საქართველოს დაცვა, საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა** და ასევე, სამხედრო ვალდებულების მოხდა, საამისო უნარის მქონე, ყველა მოქალაქის ვალია. საქართველოს კონსტიტუციის ამ ნორმის შესასრულებლად მიღებულია კანონი "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ". კანონის თანახმად, სამხედრო ვალდებულება ითვალისწინებს სამხედრო აღრიცხვას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სამსახურს და რეზერვს. კანონით დადგენილია, რომ 18-დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე და არა აქვს სამხედრო სამსახურში განწვევისაგან განთავისუფლების ან განწვევის გადავადების უფლება - ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას. ხოლო მოქალაქეს, რომელმაც არ მოიხადა სამხედრო ვალდებულება, კანონმდებლობით შეიძლება დაუწესდეს შეზღუდვები **სახელმწიფო სამსახურში თანამდებობაზე დანიშვნისას.**

თუმცა, ქვეყანაში მოქმედებს, აგრეთვე, კანონი **არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ**, რომელიც განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლებასა და სამხედრო ვალდებულებას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში, მშვიდობიან პერიოდში, გაიწვევენ იმ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით, უარი განაცხადა სამხედრო სამსახურზე.



### ა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება

კანონი ითვალისწინებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების შემდეგ 16 შემთხვევას:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი – ვადით ერთ წლამდე;
2. მის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა – შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე; (6.11.2009 N 2019) არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და ჩარიცხული იყო სამხედრო კათედრაზე – ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე;
3. არის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი – სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;
4. მან გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის საქართველოს კანონით „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ დადგენილი მოსაკრებელი;
5. არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე – 20 წლის ასაკამდე;
6. პატრონობს შრომისუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან ბაბუას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მათი მოვლა-პატრონობა;
7. ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი;
8. მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;
9. მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;
10. მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;
11. არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;
12. არის დედისერთა;
13. მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად;
14. განვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
15. ჰყავს სამწლამდე ასაკის ერთი შვილი;
16. თუ წვევამდელი განვევის დღისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, მას სამხედრო სამსახურში განვევა გადაუვადდება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში, იგი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან.

სამხედრო სავალდებულო სამსახურს დაქვემდებარებული პირისათვის, 18 თვით სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვევის გადავადება, დასაშვებია 2000 ლარის ოდენობით მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში. ამ უფლებით პირს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ორჯერ, მაგრამ არა უმეტეს 25 წლის ასაკისა.

**ბ. სამხედრო სამსახურში განწვევისაგან განთავისუფლება**

კანონი ითვალისწინებს სამხედრო სამსახურში განწვევისაგან განთავისუფლების შემდეგ 8 შემთხვევას:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი;
2. პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა;
3. პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევნი;
4. პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს;
5. ასპირანტი;
6. პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას;
7. ერთდერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას;
8. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, გაათავისუფლოს სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი.

**13. კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავი. ადგილობრივი თვითმმართველობა**

კონსტიტუცია ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის (ადგილობრივი დემოკრატიის) ძირითად პრინციპებს, ხოლო უფრო დეტალურად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის წესებს განსაზღვრავს ცალკე ორგანული კანონი.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ. თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები, როგორც არის გამგეობა და მერია, ანგარიშვალდებულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე, როგორც არის საკრებულოები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს ირჩევენ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.



თბილისის საკრებულო

### მუნციპალიტეტები

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაახლოებით 60-ზე მეტი მუნციპალიტეტია: აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, და ა.შ.

### თვითმმართველი ქალაქები

საქართველოში სულ 5 თვითმმართველი ქალაქია. ეს ქალაქები არ შედის მუნციპალიტეტის შემადგენლობაში და წარმოადგენენ დამოუკიდებელ თვითმმართველ ერთეულებს. ესენია: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი. დასახელებულ ქალაქებში არსებობს მერის ინსტიტუტი.

თვითმმართველობის განხორციელების შესაძლებლობა გულისხმობს საჭირო შესაბამისი რესურსების ფლობასაც. ამ რესურსებს, ძირითადად, თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში არსებული ფინანსური სახსრები და ქონება წარმოადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი.

თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები.

ადგილობრივი თვითმმართველობა, ანუ ადგილობრივი დემოკრატია არის, პირველ რიგში, მოქალაქეთა უფლება თავად გადაწყვიტონ გარკვეული, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საკითხები. ეს უფლება გარანტირებულია კანონით. მოქალაქეების მონაწილეობას თვითმმართველობის პროცესში უზრუნველყოფს თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, საკრებულოს არჩევნებში მათი მონაწილეობა. მოქალაქეები, ხმის მიცემით ირჩევენ საკრებულოს მათთვის სასურველ წევრებს.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ ადგილობრივი პრობლემები გადაჭრან, მოქალაქეებს უფლება აქვთ, დაესწრონ თვითმმართველობის ორგანოს სხდომებს, შეხვდნენ თანამდებობის პირებს ან/და საკუთარი მოთხოვნების დასაფიქსირებლად მოაწყოთ აქციები. მაგალითად, თუ რაიონის საკრებულო ან გამგეობა აპირებს გადაწყვეტილების მიღებას ახალი გზის გაყვანის და ხიდის აშენების თაობაზე, რაც მწვანე საფარის გარკვეული ნაწილის გაჩეხვას მოითხოვს, ეს საკითხი საკრებულომ ან გამგეობამ უნდა განიხილოს საჯაროდ და რაიონში მცხოვრებ მოქალაქეებს შესაძლებლობა უნდა მისცეს, დაესწრონ საკითხის განხილვას და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები. თუ საკრებულო ან გამგეობა გადაწყვეტილებას მიიღებს მოქალაქეებისაგან მალულად და დაიწყებს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, მოქალაქეების უფლებაა, გაასაჩივრონ ასეთი გადაწყვეტილება და მოითხოვონ საკითხის მათი მონაწილეობით, ხელახალი განხილვა. გარდა ამისა, მოქალაქეებს უფლება აქვთ, მიმართონ მეორე გზას - გამართონ საპროტესტო აქცია და ამ გზით მიიპყრონ ადგილობრივი მმართველების ყურადღება, რათა მათ მოქალაქეების ჩართულობის პირობებში გადახედონ და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ მიღებული გადაწყვეტილება.



დელეგირება ლათინურად "გაგზავნას" ნიშნავს. უფლების დელეგირებისას ეს უფლება ერთი ორგანოდან სხვა ორგანოს ეგზავნება. თვითმმართველობის შემთხვევაში, დელეგირებულია ის უფლებამოსილებები, რომლებიც, მართალია, კანონით ცენტრალურ მთავრობას ეკუთვნის, მაგრამ მთავრობა გადასცემს ამ უფლებამოსილებებს ადგილობრივ თვითმმართველობას.

# ადამიანის უფლებები

## 1. ადამიანის უფლებები, როგორც ღირებულებათა სისტემა

ადამიანის უფლებები წარმოადგენს ფუნდამენტურ ღირებულებას, რომლის დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობაა. ფართო გაგებით იგი გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მისი მოქალაქეებისადმი, კერძოდ კი იმას, თუ რამდენად უზრუნველყოფს ესა თუ ის ქვეყანა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ინდივიდების პატივის, ღირსების, თავისუფლებისა და სიცოცხლისთვის აუცილებელ პირობებს. ადამიანის უფლებები გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე უბრალოდ სამართლებრივი კატეგორია. იგი არის ღირებულებათა სისტემა, რომლის თანახმადაც თითოეულ ადამიანს, გარდა კანონით მინიჭებულისა, აქვს დაბადებით მინიჭებული უფლებებიც. აღნიშნული შეხედულება სათავეს ბუნებითი სამართლის ნიაღში იღებს.

იმისათვის, რომ უკეთ ჩავწვდეთ ადამიანის უფლებათა არსს, სასურველია, რამდენიმე სიტყვით მიმოვიხილოთ ბუნებითი სამართალი. მოცემული სამართლის სკოლა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის ევროპაში ყალიბდება. მისი მიმდევრები ადამიანის მიერ დაწერილ კანონებზე მალლა ღმერთის მიერ ბოძებულ ბუნების კანონებს აყენებდნენ, რომელიც ადამიანის აზროვნების შედეგად დასტურდება. შესაბამისად, ისინი აცხადებდნენ, რომ ადამიანი, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი გონიერი არსება, არის უფლებათა მატარებელი მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ადამიანად დაიბადა. ბუნებითი სამართალი უპირატესობას ადამიანის პატივსა და ღირსებას ანიჭებს და აცხადებს, რომ ადამიანის ღირსების შელახვას არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. ბუნებითი სამართლის ეს მიდგომა გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სამართალმაც, რომელიც პირველ ადგილზე ადამიანის ღირსებას აყენებს და მას აღიარებს, როგორც პიროვნების აბსოლუტურ უფლებას.

თუ გადავხედავთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ ადრეულ ეპოქაში სახელმწიფო წარმოადგენდა სამართლებრივი დაცვის უმთავრეს ობიექტს, ხოლო ადამიანები იყვნენ სახელმწიფოს დაცვის მექანიზმის ერთგვარი შემადგენელი ნაწილები. პიროვნების თავისუფლება საკმაოდ პირობითი ცნება იყო. **ანტიკური სამყაროსთვის არ გახლდათ უცხო ისეთი მოვლენა, როგორიცაა მონათმფლობელობა, ადამიანებით ვაჭრობა.** უფრო მეტიც, ძველი რომის სამართალი მონას განიხილავდა არა როგორც ადამიანს, არამედ როგორც წარმოებისა და



**კითხვა:**  
ადამიანის რომელი უფლებებია თქვენთვის ცნობილი? მოკლედ ისაუბრეთ მათ შესახებ.

**კითხვა:**  
ეთანხმებით თუ არა ბუნებითი სამართლის შეხედულებას ადამიანის უფლებების შესახებ? პასუხი დაასაბუთეთ.

იცით, თუ არა, რომ: ანტიკური რომაული სამართალი ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავდა მისი სტატუსის მიხედვით. ძველი რომის სამართალი ადამიანის სამ სტატუსს იცნობდა: **status libertatis**, ე.წ. თავისუფლების სტატუსი. იმისთვის, რომ ადამიანს ჰქონოდა რაიმე უფლება, იგი აუცილებლად თავისუფალი უნდა ყოფილიყო. **status civitatis**, ე.წ. მოქალაქეობის სტატუსი. რომის მოქალაქეს იმპერიაში გაცილებით დიდი უფლებები ჰქონდა, ვიდრე არამოქალაქეს. **status familie**, ე.წ. ოჯახური სტატუსი, რომელიც განსაზღვრავდა პირის ოჯახურ მდგომარეობას და იმას, თუ რა ადგილი ეჭირა მას ოჯახში.

ეკონომიკური საქმიანობისთვის აუცილებელ იარაღს და მას მოიხსენიებდა, როგორც **“instrumentum vocale”**-ს, რაც პრინციპში სხვა არაფერია, თუ არა მოლაპარაკე ხელსაწყო. დროთა განმავლობაში აღნიშნული მიდგომა შეიცვალა, ხოლო ქრისტიანულმა რელიგიამ საერთოდ თავდაყირა დააყენა საზოგადოების დიფერენციაციის არსებული სტანდარტები, როდესაც განაცხადა, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია, მიუხედავად მისი წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობისა თუ სქესისა. აღნიშნულმა მიდგომამ, ფაქტობრივად, წაშალა მორალური ზღვარი არისტოკრატსა და მდაბიოს, მდიდარსა და ღარიბს შორის. ქრისტიანობამ დაამსხვრია მანამდე არსებული შეხედულება და თქვა, რომ სახელმწიფოს მეთაური ისეთივე ღვთის შვილია, როგორც სხვა დანარჩენი და მას არ შეუძლია სხვა ადამიანების ბედი ისე განაგოს, როგორც მოესურვება. ქრისტიანულმა რელიგიამ ხელი შეუწყო დასავლურ საზოგადოებაში ლიბერალური სტანდარტების დამკვიდრებას, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა, საბოლოოდ კი ადამიანის უფლებათა თანამედროვე ევროპული სამართლებრივი სისტემისა და სტანდარტების სახით ჩამოყალიბდა. თუმცა ეს ყველაფერი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ადამიანის უფლებები ევროპული ქრისტიანული კულტურის ექსკლუზიურ მონაპოვარს წარმოადგენს. ინდოეთში ბუდიზმის წარმოშობამ იგივე როლი ითამაშა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რაც ქრისტიანობამ დასავლეთ ევროპაში. ბუდიზმი დაუპირისპირდა ანტიკურ ინდოეთში გამეფებულ კასტურ სისტემას და განაცხადა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და მათი ცალკეულ ფენებად დაყოფა დაუშვებელია. ბუდიზმიც, ისევე, როგორც ქრისტიანობა, ქადაგებდა პიროვნების თავისუფლებას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა გ ა რ კ ვ ე უ ლ ი სტანდარტები ჯერ კიდევ უძველესი მსოფლიო რელიგიების წიაღში ჩამოყალიბდა, ხოლო ბუნები-

ძველ ინდოეთში საზოგადოება იყოფოდა ერთგვარ ფენებად, ანუ კასტებად. არსებობდა 4 ძირითადი კასტა. ე.წ. **„ბრაჰმანები“**, ანუ ქურუმები, ღვთისმსახურნი, რომლებიც სასულიერო ელიტას წარმოადგენდნენ და საზოგადოებაში უმაღლესი პოზიციები ეკავათ. მეორე კასტა გახლდათ **„ქშატრიები“**, ანუ მეომრები, ისინი სამხედროებს წარმოადგენდნენ და საზოგადოებაში საკმაო პატივით სარგებლობდნენ. გლეხები, ვაჭრები, ანუ უბრალო მოსახლეობა გაერთიანებული იყო ე.წ. **„ვაიშების“** კასტაში, მეოთხე ადგილზე იყო **„შუდრების“** იგივე შავი მუშების, მონების კასტა. ინდურ საზოგადოებაში არსებობდნენ ადამიანები კასტის გარეშე, მათ მიუკარებლებს ეძახდნენ, ისინი საზოგადოების უდაბლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ. აკრძალული იყო სხვადასხვა კასტის წარმომადგენლებს შორის ქორწინება, ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა. ქშატრიას შვილი მხოლოდ ქშატრია უნდა ყოფილიყო, იგი ვერასდროს გახდებოდა ბრაჰმანი ან ვაიში. ანალოგიურად იყო სხვა კასტების შემთხვევამიც.

თი სამართლის სკოლის წარმომადგენლებმა იგი განავრცეს. ევროპულმა სახელმწიფოებმა კი, მას შემდეგ რაც განიცადეს სეკულარიზაცია, ანუ სახელმწიფოს პოლიტიკა და ეკლესია გამიჯნეს ერთმანეთისგან, მოახდინეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ასახვა საკუთარ კანონმდებლობასა და საერთაშორისო შეთანხმებებში, რითაც შექმნეს ადამიანის უფლებათა დაცვის არამხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებები წარმოადგენს ღირებულებათა სისტემას, რომლის თანახმადაც ადამიანის ღირსება, პატივი, თავისუფლება და სიცოცხლე აღიარებულია, როგორც ინდივიდის ფუნდამენტური, ღვთისგან ბოძებული უფლება, თუმცა ადამიანის უფლებები არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით, არამედ მოიცავს ადამიანისა და მოქალაქის სხვა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთაც დეტალურად მომდევნო თავებში განვიხილავთ.

ბუღას ქანდაკება






## 2. ადამიანის უფლებები, როგორც სამართლებრივი სისტემა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპის ქვეყნებმა შეძლეს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებისა და მექანიზმების იმპლემენტაცია, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოცემული პროცესები მხოლოდ ევროპის მასშტაბით მიმდინარეობდა. საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად, ბუნებრივად დაიწყო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება. **შეიქმნა არაერთი საერთაშორისო კონვენცია, სადაც ასახულია ადამიანის უფლებები და მოცემულია ამ უფლებათა დაცვის სამართლებრივი მექანიზმები. მაგალითად, შეგვიძლია ავიღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სადაც მოცემულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის, რადგან გაეროს წევრი ყველა სახელმწიფო ოფიციალურად ეთანხმება დეკლარაციაში მოცემულ პრინ-**



ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია



ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ციპებსა და ღირებულებებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოს სივრცეში მოქმედ ძირითად დოკუმენტს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, რის საფუძველზეც ახორციელებს იურისდიქციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

შესაბამისად, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის უფლებები გასცდა ვიწრო, ევროპულ საზღვრებს და ჩამოყალიბდა, როგორც გლობალური სამართლებრივი სისტემა, თუმცა სანამ უშუალოდ განვიხილავთ ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსა და გარანტიებს, სასურველია, მოკლედ მიმოვიხილოთ ადამიანის უფლებები, როგორც სამართლებრივი სისტემა.

ადამიანის უფლებათა სამართლის უმთავრესი მიზანი ადამიანის უფლებათა განსაზღვრა, მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიებისა და მექანიზმების შემუშავებაა. გამოყოფენ ადამიანის უფლებათა ორ ჯგუფს:

### მატერიალურსა და საპროცესო უფლებებს.

#### განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**მატერიალური უფლებები მოიცავს პირად, სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურსა და კულტურულ უფლებებს.**

პირად და სამოქალაქო უფლებებს მიეკუთვნება ისეთი ტიპის უფლებები, როგორიცაა: პატივისა და ღირსების ხელშეუვალი უფლება, სიცოცხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებები, პირადი თავისუფლება, აგრეთვე, სიტყვიერება და აზრის გამოხატვის, რელიგიის, სინდისის თავისუფლება და სხვ.

**კითხვა:**  
იმსჯელეთ პირად და სამოქალაქო უფლებებზე, თქვენი აზრით, რატომ არის მათი დაცვა მნიშვნელოვანი?

# ადამიანის უფლებები

## მატერიალური

## საპროცესო

პირადი, სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები, კოლტიკური, ეკონომიკური, სოსიალური და კულტურული უფლებები

**კითხვა:** თქვენი აზრით, რას გულისხმობს ხელისუფლების მიერ გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობა?

**კითხვა:** თქვენი აზრით, რას მოიცავს ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებები? როგორ გესმით ტერმინი „სოციალური დაცვა“?

**კითხვა:** როგორ გესმით კულტურული ცხოვრება და მასში მონაწილეობა? რამდენად მნიშვნელოვანია ამ უფლების დაცვა?

**კითხვა:** როგორ ფიქრობთ, თქვენ, როგორც მოქალაქე, რა შეგიძლიათ, გააკეთოთ საკუთარი და სხვა ადამიანის უფლებების უკეთ დასაცავად?

**კითხვა:** იცნობთ, თუ არა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, განიხილოთ ეს ფაქტები და დაასაბუთოთ, თუ რატომ თვლით მას უფლების დარღვევად.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არის ხალხთა თვითგამორკვევის უფლება კოლექტიური უფლება?

**პოლიტიკური უფლებების რიცხვს მიეკუთვნება:** ხელისუფლების მიერ გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, საარჩევნო უფლება, პოლიტიკური პარტიის ან პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში მონაწილეობის უფლება, მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლება და ა.შ.

**სოციალური და ეკონომიკური უფლებები მოიცავს და აერთიანებს ისეთ უფლებებს, როგორიცაა:** საკუთრების, შრომისა და თავისუფლად საქმიანობის, გაფიცვის, განათლების, ჯანმრთელობის უფლებები და სხვ.

**ადამიანის კულტურულ უფლებებს წარმოადგენს:** საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, სამეცნიერო პროგრესის შედეგების სარგებლობის უფლება და სხვა.

აღნიშნული ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ ადამიანის მატერიალური უფლებები არაფერია სხვა, თუ არა იმ აუცილებელი პირობების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია პიროვნების ღირსეული ცხოვრების, მისი თავისუფალი და სრულფასოვანი განვითარებისათვის, იმისთვის, რომ ადამიანმა შეძლოს ცხოვრება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანმა წევრმა.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა მეორე ჯგუფს - **საპროცესო უფლებებს**, იგი წარმოადგენს ადამიანისთვის მიკუთვნებული მოქმედების მეთოდებს და მათთან დაკავშირებული ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც იცავს პიროვნებას სახელმწიფოს თვითნებობისგან. ასეთი უფლებებია, მაგალითად, სამართლიანი სასამართლოს უფლება და მასთან დაკავშირებული უფლებათა დაცვის გარანტიები, ისეთი, როგორიცაა **უდანაშაულობის პრეზუმფცია**, კანონის უკუშდლის არარსებობა, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი და სხვ. ადამიანის უფლებათა საპროცესო გარანტიების უზრუნველყოფას ემსახურება ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორიცაა - საკონსტიტუციო სასამართლო და სახალხო დამცველის აპარატი.

საპროცესო უფლებები ადგენს, როგორც ინდივიდისა და სახელმწიფოს, აგრეთვე, ცალკეულ ინდივიდებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის პროცედურულ გარანტიებს და განსაზღვრავს აღნიშნული ურთიერთობის ფორმებს, რათა არ მოხდეს ადამიანის უფლებათა არალეგიტიმური შეზღუდვა.

ადამიანის უფლებათა ეს მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ საქმე ეხება არა საზოგადოების რომელიმე ჯგუფის საერთო უფლებებს, არამედ იმ უფლებებს, რომლებიც დაბადებიდან ენიჭება თითოეულ ადამიანს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებები გახლავთ არა კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური. აღნიშნული წესიდან ერთადერთ გამონაკლისად შეგვიძლია განვიხილოთ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. იმავდროულად, არ უნდა განვიხილოთ ადამიანის უფლებები, როგორც სახელმწიფოსგან ბოძებული წყალობა. ის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებული ღირებულება და სამართლებრივი სიკეთეა, რომე-



ლიც ყველა კანონზე მაღლა დგას. შესაბამისად, თუკი რომელიმე კანონი არღვევს ან ლახავს ადამიანის უფლებებს, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი არალეგიტიმური, არასამართლიანია. ადამიანის უფლებათა ხასიათი კარგად ჩანს ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის **ვაცლავ ჰაველის** სიტყვებში: „ადამიანი ღვთის ქმნილებაა, სახელმწიფო კი ადამიანის“, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ინტერესები, პატივი, ღირსება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესი. სახელმწიფოს უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს კანონი, ანუ სახელმწიფოს აქვს მხოლოდ იმის უფლება, რასაც კანონი აძლევს, ხოლო ადამიანის უფლებაა ყველაფერი, რასაც მას კანონი არ უკრძალავს.

როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებები არ გახლავთ მხოლოდ ევროპული სამყაროს მონაპოვარი, არამედ იგი წარმოადგენს გლობალურ ღირებულებას. აქედან გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა კიდევ ერთი ძირითადი, უნივერსალურობის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ **ადამიანები მათთვის დაბადებით მინიჭებული უფლებებით სარგებლობენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ადამიანის უფლებებს არა მხოლოდ უნივერსალური, არამედ საყოველთაო ხასიათი აქვს.** შესაბამისად, ყველა ადამიანი მსოფლიოში, განურჩევლად ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების, რასის, სქესის, კანის ფერის, პოლიტიკური მრწამსის, სოციალური მდგომარეობის, პირადი შეხედულებებისა, არის მისთვის მინიჭებულ უფლებათა და თავისუფლებათა მატარებელი. დაუშვებელია ვინმეს შეზღუდვა და შევიწროება მისი განსხვავებულობის გამო. აღნიშნული პრინციპი, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა თანამედროვე სისტემა, სათავეს ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ იღებს, რის თანახმადაც ყველა ადამიანი თანასწორია ღვთის წინაშე, ხოლო სახელმწიფოს არ აქვს უფლება საკუთარი კანონები დააყენოს ღმერთის მიერ ბოძებული ბუნების კანონებზე მაღლა.



ვაცლავ ჰაველი

### 3. უფლებები და თავისუფლებები

ადამიანის უფლებების შესახებ საუბრისას რამდენჯერმე ვახსენეთ უფლება და თავისუფლება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა განსხვავებაა უფლებებსა და თავისუფლებებს შორის? თავისი არსით ერთი და მეორეც ადამიანის ძირითად უფლებებს გამოხატავს. შესაბამისად, მათ შორის თვისობრივი განსხვავება არ არსებობს. უფლებაა ერთი და მეორეც. ძირითადი სხვაობა გულისხმობს, აღნიშნული უფლებების ფორმას და არა მათ შინაარსს. უფლება, ძირითადად, წარმოადგენს ადამიანისთვის რაიმე მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას, როგორცაა, მაგალითად, თავისუფლად გადაადგილების უფლება, განათლების, სიცოცხლის უფლება, ხოლო თავისუფლება გულისხმობს ისეთ უფლებას, როდესაც ადამიანი თავისუფალია თავის მოქმედებაში ან შეხედულებაში. ასეთია: სიტყვის, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლება. ანუ ერთ შემთხვევაში ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ რისი უფლება აქვს ადამიანს, მეორე შემთხვევაში კი იმაზე, თუ - რა სფეროშია გარანტირებული ადამიანის თავისუფლება. ლოგიკურად ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის პირობებში უფლებების დაცვა? ბუნებრივია, აღნიშნულ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, თუმცა თუ გადავხედავთ მსოფლიოს უახლეს ისტორიას, შეგვიძლია მსგავსი სიტუაციის ამსახველი რამდენიმე მაგალითის მოყვანა. მაგალითად, საბჭოთა კავშირი აღიარებდა და იცავდა ადამიანის სოციალურ უფლებებს: ჯანმრთელობისა და განათლების უფლებას, თუმცა მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული ადამიანის თავისუფლებები, მაგალითად, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, რწმენის და სინდისის თავისუფლება და ა.შ. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობას არ შეიძლება ეწოდოს ნორმალური, რადგანაც სანახევროდ დაცული უფლებები ვერანაირად ვერ ქმნის ადამიანის პატივის, ღირსებისა და თავისუფალი განვითარებისთვის აუცილებელ ელემენტარულ პირობებს.

**კითხვა:**  
მოკლედ მიმოიხილეთ განსხვავება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს შორის. რომელ უფლებებსა და თავისუფლებებს იცნობთ? ისაუბრეთ მათ შესახებ.

1937 წელს საბჭოთა კავშირში განხორციელებულ რეპრესიებს მხოლოდ საქართველოში ათასობით ადამიანი შეენირა, მათ შორის იყვნენ ცნობილი მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრივი აქტივისტები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციაან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი და სხვა. აღნიშნული მოვლენა ისტორიაში „ნითელი ტერორის“ სახელით შევიდა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის ძირითად უფლებებსა და მის ფუნდამენტურ თავისუფლებებს შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი, უბრალოდ, ერთ შემთხვევაში ინდივიდს შეუძლია მოსთხოვოს სახელმწიფოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლების დაკმაყოფილება, მეორე შემთხვევაში კი - მოითხოვოს სახელმწიფოსგან, არ ჩაერიოს მისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზაციაში. პრაქტიკული თვალსაზრისით, უფლებები და თავისუფლებები მოიცავს და ავსებს ერთმანეთს, შესაბამისად, მათი დაცვა თანაბრად ევალება სახელმწიფოს. ამდენად, ის, რაც საბჭოთა კავშირში მიღებული იყო, როდესაც ხდებოდა ცალკეული უფლებების დაცვა, ხოლო სხვა უფლებები და თავისუფლებები იზღუდებოდა, არ შეიძლება მივიჩნიოთ გამართლებულად.

### 4. აბსოლუტური და შეზღუდული უფლება. როდის შეიძლება ადამიანის უფლებათა შეზღუდვა?

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებები წარმოადგენს უზენაეს ღირებულებას, რისი შეზღუდვაც დაუშვებელია. ვახსენეთ ისიც, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები კანონზე მაღლა დგას. თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით ფაქტებს, როდესაც სახეზე გვაქვს ადამიანის უფლებათა კანონიერი შეზღუდვა, რომელიც არ მიიჩნევა უფლებათა დარღვევად. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული სასჯელი თავისუფლების შეზღუდვის ან მისი აღკვეთის სახით. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ როდის, რა შემთხვევაში შეიძლება უფლების შეზღუდვა და შეიძლება თუ არა ყველა უფლების შეზღუდვა?

ამ კითხვაზე პასუხი მარტივია. როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებები არის არა კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური ხასიათის მატარებელი. შესაბამისად, ადამიანს აქვს არა მხოლოდ საკუთარ უფლებათა და ინტერესთა დაცვის მოთხოვნის უფლება, არამედ მას, იმავდროულად, ეკისრება ვალდებულებაც, არ შელახოს სხვისი უფლებები. მაგალითად, ყველა ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს ღირსეულად და იყოს სოციალურად დაცული, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ საკუთარი კეთილდღეობის მოსაპოვებლად მას აქვს უფლება უკანონოდ დაეუფლოს სხვის ქონებას, ანუ ხელყოს სხვა ადამიანის საკუთრების უფლება, რომელიც

მოიძიეთ ინფორმაცია 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ. განიხილეთ, რომელი უფლების დასაცავად იბრძოდნენ ისინი, რა უფლებები შეულახეს მათ.



ისეთივე მნიშვნელოვანი უფლებაა, როგორც მისი სხვა ნებისმიერი უფლება. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს გარკვეული ზომები სხვა ადამიანთა უფლებების დასაცავად. ყველა ადამიანს აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება, თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მას შეუძლია, დაარღვიოს მოძრაობის წესები, რითაც საუკეთესო შემთხვევაში ხელყოფს სხვა ადამიანების გადაადგილების უფლებას, უარეს შემთხვევაში კი საფრთხეს შეუქმნის, როგორც სხვის, ისე საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რადგანაც შესაძლოა მის მიერ მოძრაობის წესების დარღვევამ ქუჩაში წარმოქმნას საცობი ან გამოიწვიოს ავარია. ასეთ დროსაც სახელმწიფო ვალდებულია, უფრო დიდი საზოგადოებრივი და სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ჩაერიოს ადამიანის უფლებების სფეროში და შეზღუდოს იგი, რათა თავიდან აიცილოს სხვა ადამიანის უფლებათა დარღვევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია, მოხდეს ადამიანის უფლებების შეზღუდვა, თუ აღნიშნული ემსახურება უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის დაცვას. თუმცა ადამიანის უფლებებში ჩარევა არ უნდა ატარებდეს უკონტროლო და სტიქიურ ხასიათს. **მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იცავს ადამიანის თავისუფლად გადაადგილების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, თუმცა იქვე დასაქნს, რომ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, მაგალითად, სტიქიური უბედურების შემთხვევაში შესაძლებელია, მოხდეს ამ უფლებათა შეზღუდვა ქვეყანაში მშვიდობის, ნესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.**

აღნიშნული მაგალითის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი პირობა, რომელიც აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევისთვის. უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებების ნებისმიერ შეზღუდვას უნდა გააჩნდეს სამართლებრივი საფუძველი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩარევა უნდა იყოს გამართლებული კანონით. დაუშვებელია ადამიანის უფლებების უკანონო შეზღუდვა. საქართველოს შემთხვევაში ადამიანის უფლებათა შეზღუდვის უპირველესი კანონიერ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, სადაც დეტალურადაა განხილული, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი გადაადგილების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების, ასევე, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. უფრო დეტალურად შეზღუდვის ფორმებზე, ფარგლებსა და სხვა გარემოებებზე საუბარი გვექნება კონსტიტუციიდან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო აქტებში.

#### კითხვა:

როგორ ფიქრობთ, სამართლიანია თუ არა ის, რომ ადამიანის ზოგიერთი უფლება შესაძლოა, შეიზღუდოს? პასუხი დაასაბუთეთ.

როგორც ეს ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ემსახურება სხვა ადამიანების დაცვასა და სხვისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, მშვიდობის, წესრიგის უზრუნველყოფას. ყველაფერ ამას შეგვიძლია, ლეგიტიმური, ანუ სამართლიანი მიზანი ვუნოდოთ. ამდენად ნათელია, რომ ადამიანის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონიერ საფუძველზე და მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული ორი პირობა მაინც არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის საკმარის საფუძველს. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის უფლებები წარმოადგენს უზენაეს ფასეულობას, აუცილებელია, ისინი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიზღუდოს, ანუ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს საკუთარი მიზნის მისაღწევად სხვა სამართლებრივი გზა უბრალოდ აღარ რჩება. თუკი აღმოჩნდება, რომ სახელმწიფოს მიზნის მიღწევა ადამიანის უფლების შეზღუდვის გარეშე შეეძლო, მაშინ მისი ქმედება აღქმული უნდა იყოს, როგორც უკანონო და გაუმართლებელი.

**ამდენად, შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი პირობა, რომელსაც ნებისმიერი სახელმწიფო უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებებში ჩარევისას:**

- ჩარევა უნდა მოხდეს მხოლოდ კანონიერ საფუძველზე;
- ჩარევა უნდა მოხდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
- ჩარევა უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას.

სახელმწიფოს აქვს უფლება, შეზღუდოს ადამიანის ნებისმიერი უფლება? პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. არსებობს ადამიანის ისეთი უფლებები, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია, მიუხედავად გარემოებებისა. ადამიანის ხელშეუხებელ უფლებებს, რომელთა დარღვევაც დაუშვებელია, აბსოლუტურ უფლებებს უწოდებენ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია ის უფლებები, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია. ესენია: ნამების აკრძალვა, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა, მართლმსაჯულების კანონის გარეშე განხორციელების აკრძალვა.

**„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და სასჯელს“**, - ამბობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. აღნიშნულ შემთხვევაში წამება განხილულია, როგორც

განზრახი ქმედება, ჩადენილი სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ გარკვეული მიზნით, მაგალითად, ბრალდებულისგან ინფორმაციის მიღების ან მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით. იმავდროულად, **წამება და არაადამიანური მოპყრობა ეწოდება ისეთ ქმედებას, რომელიც იწვევს ადამიანის ძლიერ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას.** შესაბამისად, წამება შეიძლება გამოიხატებოდეს, ერთი მხრივ, ფიზიკურ, ხოლო, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიურ ზენოლაში. წამებად და არაადამიანურ მოპყრობად შეიძლება, მივიჩნიოთ ადამიანის დაშინება ან მისი ჩაყენება დამამცირებელ მდგომარეობაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის სისასტიკე, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო. სისასტიკის გამართლება კი დაუშვებელია, რაოდენ კეთილშობილურ მიზნებსაც არ უნდა ემსახურებოდეს ის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ყურადღება სწორედ სახელმწიფოს მიერ გამოჩენილ სისასტიკეზეა გამახვილებული. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო





სამართლის უპირველეს მიზანს წარმოადგენს ადამიანის დაცვა, სწორედ სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი თვითნებობისგან. თავისთავად ცხადია, რომ წამების და არა-ადამიანური მოპყრობის ფაქტს შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სახელმწიფოს ჩარევის გარეშეც. ესეც, ისევე როგორც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძალადობა, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრესი გარანტი და უზრუნველყოს, ერთი მხრივ, მსხვერპლის რეაბილიტაცია, მეორე მხრივ, ჩადენილი დანაშაულის გამოძიება და დამნაშავის დასჯა.

მეორე აბსოლუტური უფლება, რომელზეც გვექონდა საუბარი, გახლავთ მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა. აღნიშნული უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლით, რომელიც ამბობს: **„არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში, ან ყმობაში; არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი, ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება“.**

ზემოთ აღნიშნული ნორმა, პირდაპირ ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა ადამიანის თავისუფალი ნება, მისი პიროვნული თავისუფლება და წარმოადგენს ამ ღირებულებათა დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ისევე როგორც წამების აკრძალვის შემთხვევაში, აქაც საუბარია სახელმწიფოს მიერ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევაზე, რადგან, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება და მსხვერპლის რეაბილიტაცია სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა. მონობა და იძულებითი შრომა, ისევე როგორც წამება, წარმოადგენს სისასტიკის აქტს, რომელიც თრგუნავს ინდივიდის თავისუფალ ნებას, შესაბამისად, დაუშვებელია მისი გამართლება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მონობად და იძულებით შრომად არ განიხილავს ისეთი ტიპის სამუშაოებს, როგორიცაა პატიმრობისას შესასრულებელი სამუშაოები. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ტიპის სამუშაოები, როგორც წესი, წარმოადგენს სასჯელის ნაწილს და მიზნად ისახავს დამნაშავის გამოსწორებას. ბუნებრივია, არ შეიძლება, ასეთი ტიპის სამუშაო ლახავდეს პიროვნების პატივსა და ღირსებას, ან საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. **არ შეიძლება მონობად და იძულებით შრომად იქნეს განხილული სავალდებულო სამხედრო სამსახური, რამდენადაც იგი აუცილებელია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, მოქალაქეთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად. იმავდროულად, რელიგიური ან სხვა პირადი შეხედულების გამო, სამხედრო სავალდებულო სამსახურზე უარის თქმა დასაშვებია და პიროვნებას შეუძლია გაიაროს ალტერნატიული სავალდებულო სამსახური.** ამდენად, ამ შემთხვევაში არ ხდება ადამიანის თავისუფალი ნების დათრგუნვა. ამასთანავე, როგორც სავალდებულო სამხედრო სამსახური, ისე პატიმრობისას შესასრულებელი სამუშაო, არ ატარებს მუდმივ ხასიათს, არამედ დროებითია, ისევე როგორც ის სამუშაოები, რომლებიც შეიძლება, ადამიანს დაეკისროს სტიქიური უბედურების ან საგანგებო მდგომარეობის დროს, როდესაც საფრთხე ექმნება მოქალაქეთა დიდი ნაწილის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. უფრო მეტიც, ასეთ სამუშაოებში მონაწილეობა, არათუ არ არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, არამედ ნებისმიერი ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობაა.

კიდევ ერთი აბსოლუტური უფლება, რომელზედაც სასურველია ყურადღების გამახვილება არის **მართლმსაჯულების კანონის გარეშე განხორციელების**



ბლეზ პასკალი

აკრძალვა. „არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“, - ამბობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი. აღნიშნული მუხლის მიზანია, შექმნას ნებისმიერი პიროვნების სამართლებრივი დაცვის გარანტიები და ხელი შეუწყოს კანონიერების პრინციპის დამკვიდრებას. მოგეხსენებათ, რომ კანონის უზენაესობა ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, რომელიც მიიღწევა, თუ მართლმსაჯულება არ იქნება განხორციელებული კანონის პრინციპების შესაბამისად. სახელმწიფოს აქვს ძალა და ეს ძალა შებოჭილია კანონით. ცნობილი მოაზროვნე და მეცნიერი **ბლეზ პასკალი** ამბობს: „კანონი, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია, ხოლო ძალა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს კანონი, - ტირანიაა“. აღნიშნული ფრაზა ნათ-

ლად წარმოაჩენს მოცემული უფლების სულისკვეთებას. დაუშვებელია, ადამიანი გასამართლდეს იმისთვის, რაც კანონით არ არის აკრძალული. დაუშვებელია, ვინმეს მიესაჯოს კანონით გათვალისწინებულზე მძიმე სასჯელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი შეგვიძლია განვიხლოთ, როგორც პოტენციური მსხვერპლი უკანონო მართლმსაჯულებისა, რაც დამეთანხმებით, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებს ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება.

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი აბსოლუტური უფლება მიმართულია ადამიანის პატივის, ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების, როგორც უზენაესი ღირებულებების დაცვისკენ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აბსოლუტური უფლებების ჩამონათვალში არ ხვდება ისეთი უფლებები, როგორცაა: სიცოცხლის უფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. მათ მიმართაც შეზღუდვის იგივე წესი ვრცელდება, რაც სხვა დანარჩენი უფლებების მიმართ, გარდა რელიგიის თავისუფლებისა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი განმარტავს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. მოცემული ნორმის თანახმად ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, უფლებას ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად გააცხადოს თავისი რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით. მოცემული უფლების შეზღუდვა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სახელმწიფო რაიმე პირობით უფლებამოსილი იყოს, ვინმეს მოსთხოვოს რწმენის უარყოფა. სახელმწიფოს მოცემულ უფლებაში ჩარევა შეუძლია მხოლოდ ისეთი შეზღუდვების გამოყენებით, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობის, სხვა ადამიანთა უფლებების დასაცავად.

მაგალითად: განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც რელიგიური პროცესია მთლიანად კეტავს ავტომაგისტრალს და არ აძლევს სასწრაფო დახმარების მანქანას გადაადგილების საშუალებას. ამ შემთხვევაში სასწრაფო ერთ მხარეს დევს მომლოცველთა რელიგიის თავისუფლება, მეორეზე კი - პაციენტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ბუნებრივია, ასეთ დროს სახელმწიფო უფლებამოსილია, მომლოცველებს მოსთხოვოს გზის სავალი ნაწილის დროებითი განთავისუფლება, რათა სამედიცინო ბრიგადამ განახორციელოს თავისი მოვალეობა. ასეთი შეზღუდვა არ ეხება ადამიანის შინაგან მრწამსს, რადგან უბრალოდ შეუძლებელია, რაიმე ზენოლით აიძულო ადამიანს ირწმუნოს იმის, რისიც არ სჯერა. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან რელიგიის შინაგანი და გარეგანი გამოხატულება.

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ არის ზემოთ განხილული უფლებები აბსოლუტური ხასიათის? რატომ არ შეიძლება მათი შეზღუდვა?

**კითხვა:**  
გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა არსებობდეს თუ არა სხვა აბსოლუტური უფლებები? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღნიშნეთ, რომელი უფლება უნდა ატარებდეს აბსოლუტურ ხასიათს და რატომ?





ადამიანის უფლებათა შეზღუდვაზე საუბრისას, მიზანშეწონილია, მოკლედ შევეხოთ ისეთ შემთხვევებს, როცა სახელმწიფო უბრალოდ არ ანიჭებს ადამიანთა ცალკეულ ჯგუფს ამა თუ იმ უფლებას. აღნიშნული, ძირითადად, შეეხება ადამიანის უფლებათა იმ ნაწილს, რომელსაც **სახელმწიფო მხოლოდ თავის მოქალაქეებს ანიჭებს. ასეთ უფლებებს განეკუთვნება პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების უფლება, აგრეთვე, საარჩევნო უფლება, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, ცალკეულ პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის უფლება** და სხვ. აღნიშნულს თავისი ლოგიკური ახსნა აქვს: საქმე ის არის, რომ სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის წარმოიქმნება სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობები, მოქალაქეები მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში და სახელმწიფო, თავის მხრივ, პასუხისმგებელია მოქალაქეთა წინაშე.

ნებისმიერი უფლების შეზღუდვისას უნდა მოხდეს ზუსტი შეფასება, თუ რამდენადაა გამართლებული სახელმწიფოს ჩარევა ადამიანის უფლებების დაცულ სფეროში. რამდენად დიდი და მნიშვნელოვანია ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც სახელმწიფო იცავს, რამდენად არის ჩარევა აუცილებელი და აქვს თუ არა მას კანონიერი საფუძველი.

იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ ადამიანის უფლებათა არსი, მიზანშეწონილია, მოკლედ შევეხოთ ცალკეულ უფლებებს, რომელთა გარეშეც უბრალოდ წარმოუდგენელია ადამიანის უფლებების, როგორც მორალური, ისე სამართლებრივი სფეროს არსებობა. სხვა შემთხვევაში ჩვენ მიერ განხილული ყველა მაგალითი აზრს დაკარგავდა.

**5. სისოცხლის უფლება**

ადამიანის სიცოცხლე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთეა, მისი დაცვა

**კითხვა:**  
გარდა აღნიშნულისა, თქვენი აზრით, რატომ უნდა მოხდეს მოქალაქისა და ადამიანის უფლებების გამიჯვნა?

**კითხვა:**  
იმსჯელეთ, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, საზოგადოებამ ადამიანის უფლებათა დასაცავად.



კი ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობა. შესაძლოა, ცალკეულ უფლებებს ადამიანს ანიჭებდეს კანონი, მაგრამ სიცოცხლე, ცალსახად, განუყოფელია იმ უფლებათა რიცხვს, რომელიც ბუნებითი სამართლის სკოლის მიმდევრების აზრით, წარმოადგენს ღვთისგან მინიჭებულ უფლებას, შესაბამისად, არავის აქვს უფლება სხვისი სიცოცხლის ხელყოფისა. აღნიშნული მტკიცება საკმაოდ მარტივ ლოგიკას ემყარება. **კანონი, ანუ ცალკეული ადამიანების მიერ დანერგილი ქვეყნის წესები არ წარმოადგენს სიცოცხლის საწყისს, კანონებით არ იბადება ადამიანი, ამიტომაც დაუშვებელია ადამიანს წავართვათ სიცოცხლე, ანუ ის, რაც არ მიგვიცია.**

სიცოცხლის უფლება თამამად შეგვიძლია მივიჩნოთ ადამიანის უმნიშვნელოვანეს უფლებად, რადგან სწორედ იგი განაპირობებს სხვა უფლებებით სარგებლობას. თუკი ადამიანს წავართმევთ მთავარს, სიცოცხლეს, შეძლებს კი იგი, ისარგებლოს სიტყვის თავისუფლებით, საკუთრების უფლებით, დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება? რა თქმა უნდა, არა. იმისთვის, რომ ადამიანმა შეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა, დაიმკვიდროს თავი სამყაროში, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრმა, ამისათვის აუცილებელია, რომ მისი სიცოცხლე იყოს დაცული და ხელშეუხებელი.

აღნიშნული პრინციპები ასახულია, ფაქტობრივად, ყველა საერთაშორისო სამართლებრივ აქტსა და დოკუმენტში, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე მუხლი პირდაპირ ამბობს: „ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.

როგორც ხედავთ, მოცემულ მუხლში სიცოცხლე მოიხსენება ისეთი ფასეულობების გვერდით, როგორიცაა თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა. რატომ მოიხსენება ადამიანის ეს სამი ფუნდამენტური უფლება ერთად? იმიტომ, რომ ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს. ადამიანი, თუ ის ცოცხალი არ არის, ვერც თავისუფალი იქნება და ვერც ხელშეუხებელი, ისევე როგორც ადამიანი, რომელიც არც თავისუფალია და არც ხელშეუხებელი, ვერ იცხოვრებს ღირსეულად და მისი სიცოცხლე მუდმივი საფრთხის ქვეშ იქნება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, იგივე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლი ამბობს, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული, არავის შეიძლება წავართვას სიცოცხლე განზრახ.

აღნიშნული მუხლით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ საკუთარ კანონმდებლობაში ასახონ ადამიანის სიცოცხლის დაცვის გარანტიები. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ადამიანის სიცოცხლის უფლების, როგორც უზენაესი სამართლებრივი სიკეთის აღიარებას, ხოლო მეორე მხრივ - ამ სიკეთის დაცვას. ყოველივე ეს კარგად არის წარმოჩენილი **საქართველოს კონსტიტუციის** მეთხუთმეტე მუხლში, რომელიც ამბობს, რომ „**სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი**“.

რამდენადაც კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის უზენაეს კანონს, ამდენად მასში სიცოცხლის



დაფიქსირება, როგორც ხელშეუვალი უფლებისა, ნიშნავს, რომ ქვეყანა აღიარებს ადამიანის სიცოცხლის უფლებას უმაღლეს საკანონმდებლო დონეზე. თუმცა სახელმწიფო არ შემოიფარგლება მხოლოდ მოცემული უფლების აღიარებით, არამედ ამ უფლების დაცვის საკანონმდებლო გარანტიებსაც აწესებს. რომელია ეს გარანტიები? უპირველეს ყოვლისა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის თანახმადაც მკვლელობა წარმოადგენს დანაშაულს.

დღევანდელ დღეს მსოფლიოში ვერ ნახავთ ვერც ერთ სახელმწიფოს, სადაც ერთი პიროვნების მიერ მეორის მკვლელობა დანაშაულად არ ითვლებოდეს და არ წარმოადგენდეს დასჯად ქმედებას, თუმცა არც თუ იშვიათად, სახელმწიფო თვითონ ხდება ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მიზეზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სიცოცხლე, როგორც აბსოლუტური ღირებულება, შეგვიძლია ეჭვქვეშ დავაყენოთ? ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ როდის დგას კანონი ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა, როდის შეუძლია სახელმწიფოს მისცეს თავს მკვლელობის ჩადენის უფლება?



ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გახლავთ **სიკვდილით დასჯა**, ანუ განსაკუთრებით მძიმე და სასტიკი დანაშაულისთვის სახელმწიფოს მიერ სასჯელად დამნაშავის სიცოცხლის მოსპობის დანესება. იმისათვის, რომ გავიაზროთ, რამდენად გამართლებულია სიკვდილით დასჯა, უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ თვითონ სასჯელის მიზნებზე. სასჯელის მიზანი არ გახლავთ ვინმესთვის სამაგიეროს მიზლვა, ვინმეს მოკვლა, ტანჯვა ან დაჩაგვრა, არამედ სახელმწიფო მიმართავს სასჯელს ერთადერთი მიზნით, ხელი შეუწყოს დამნაშავის გამოსწორებას და მის საზოგადოების ღირსეულ წევრად დაბრუნებას, ხოლო სანამ იგი წარმოადგენს საზოგადოებისთვის საფრთხეს, მოახდინოს მისი იზოლაცია. ისმის კითხვა, რამდენად ემსახურება აღნიშნულ მიზანს სიკვდილით დასჯა? რჩება კი დამნაშავეს შანსი იმისა, რომ გაიაზროს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, განიცადოს სინანული ჩადენილის მიმართ? რა თქმა უნდა, თუ დამნაშავეს სახელმწიფო სიცოცხლეს წაართმევს, მაშინ იგი ველარასდროს გამოსწორდება და ვერც საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბდება, შესაბამისად, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მივიჩნიოთ სასჯელის თანამედროვე ფორმად. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს არაერთი ქვეყანა დღემდე იყენებს სიკვდილით დასჯის პრაქტიკას და ამას ხსნიან იმით, რომ ზოგიერთი დამნაშავის გამოსწორება შეუძლებელია, თუმცა მოცემული არგუმენტის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ცალსახად ამბობს, რომ „სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, არ შეიძლება ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა, ან ვინმეს მიმართ ასეთი განაჩენის აღსრულება“, რაც იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ახალ დამნაშავეებს არ შეიძლება, შეეფარდოს სასიკვდილო განაჩენი, არამედ დაუშვებელია სასიკვდილო განაჩენის აღსრულება მოყვანა მათთვისაც, ვისაც კონვენციის დამატებითი ოქმის ძალაში შესვლამდე შეფარდებული ჰქონდა სასიკვდილო განაჩენი, თუმცა იგი არ იყო აღსრულებული.

**კითხვა:**  
 თქვენი აზრით, რა შემთხვევაში აქვს სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობის უფლება, აქვს თუ არა საერთოდ? რატომ?

**კითხვა:**  
 თქვენი აზრით გამართლებულია თუ არა სიკვდილით დასჯა? პასუხი დაასაბუთეთ.



გახსოვთ, ალბათ, რომ საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის უზუნაეს სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, იგივე მუხლი ამბობს, რომ „სიკვდილით დასჯა აკრძალულია“.

იმავედროულად, არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო იძულებული ხდება წაართვას ადამიანს სიცოცხლე, თუმცა აღნიშნული არ მიიჩნევა სიცოცხლის უფლების ხელყოფად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა არ მიიჩნევა სიცოცხლის უფლების ხელყოფად, „თუ ის შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენების აბსოლუტურ აუცილებლობას“, **რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა ძალის გამოყენებისა.** მაგალითად, ასეთ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ტერორისტებისგან მძევლების გათავისუფლება ან საშიში დამნაშავეების დაკავების პროცესი, როდესაც დამნაშავე პოლიციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებს არა დამნაშავეს განადგურების, არამედ უბრალო ადამიანების დაცვის მიზნით. პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია არა ტერორისტების განადგურება, არამედ მძევლების გამოსხნა, მეორე შემთხვევაში კი, სახელმწიფო არ ცდილობს დამნაშავეს ლიკვიდაციას, არამედ სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს მისი დაკავება და გასამართლება. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოქმედებდეს ვინმესთვის სიცოცხლის წართმევის განზრახვით. მაშინაც კი, როდესაც იგი იძულებული ხდება, გამოიყენოს ძალა, უნდა ეცადოს, რომ ყველაფერმა მსხვერპლის გარეშე ჩაიაროს.

ყოველივე აღნიშნულიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სიცოცხლის უფლება, შესაბამისად საინტერესოა, თუ როდიდან ხდება ადამიანი ამ უფლების მატარებელი? აღნიშნული კითხვა არაერთხელ გამხდარა იურიდიულ წრეებში დავის საგანი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას, ანუ აბორტს. რა არის აბორტი? მკვლევლობა ჩადენილი ჯერ არდაბადებული ადამიანის მიმართ, თუ უბრალო სამედიცინო ღონისძიება? ბუნებრივია, რელიგიური, მორალური, თუ ეთიკური ნორმების თვალსაზრისით აბორტი შეგვიძლია მივიჩნიოთ მკვლევლობად, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, თქვენი ყურადღება საკითხის სამართლებრივ მხარეზე გვსურს, გავამახვილო.

იურისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება არა მისი ჩასახვის, არამედ მისი დაბადების მომენტიდან, შესაბამისად, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა არ განიხილება, როგორც მკვლევლობა. მიუხედავად ამისა,

**კითხვა:**

თქვენი აზრით, როდიდან იწყება სიცოცხლე? რატომ მიგაჩნიათ ასე? ამართლებთ თუ არა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას? რატომ?

აუცილებელია იმის ღრმად გააზრება, რომ ორსულობის შეწყვეტა წარმოადგენს ახალი სიცოცხლის დაბადებისთვის ხელის შეშლას, სწორედ ამიტომ კანონმდებლებმა შეიმუშავეს ჩანასახის არსებობის უფლების დაცვის შედარებით დაბალი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი სამართლებრივი სტანდარტები. კერძოდ, დაუშვებელია, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, თუ იგი 12 კვირაზე დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დედის სიცოცხლეს ემუქრება გარდაუვალი საფრთხე. ამასთან ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დედა. ამ დროს ექიმი, რომელიც უნევს მას კონსულტაციას, ვალდებულია, დაიცვას ნაყოფის სიცოცხლე, მისცეს ორსულს მოსაფიქრებელი ვადა და მხოლოდ მისი ურყევი ნების არსებობის შემთხვევაში განახორციელოს სამედიცინო ჩარევა. ის ფაქტი, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობის სამართლებრივი პრაქტიკა არ განიხილავს ნაყოფს, როგორც სიცოცხლის უფლების მატარებელ ინდივიდს, არ ნიშნავს იმას, რომ ჩანასახი არ არის ცოცხალი. დროთა განმავლობაში შესაძლოა, აღნიშნული პრაქტიკა გადაიხედოს და მიდგომები ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიმართ რადიკალურად შეიცვალოს.



კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რომელსაც ვაწყდებით სიცოცხლის უფლებაზე საუბრისას, გახლავთ სიკვდილის უფლება. **საკმაოდ ხშირია მომენტი, როდესაც უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანი ტანჯვის შემსუბუქების მიზნით ითხოვს, რომ სიცოცხლე ხელოვნურად შეუნყვიტონ.** აღნიშნულ მოვლენას მეცნიერულ ენაზე **ევთანაზია** ეწოდება, რაც ბერძნულად მშვიდ სიკვდილს ნიშნავს. ევროპის არაერთმა სახელმწიფომ, მათ შორის **ბელგიამ, ნიდერლანდების სამეფომ და შვეიცარიამ მოახდინეს ევთანაზიის ლეგალიზება.** აღნიშნული პროცედურის მომხრეები, როგორც წესი, ამბობენ, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ სიცოცხლის, არამედ ღირსეულად ცხოვრების უფლება, რაც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ მათ იცხოვრონ დამოუკიდებლად, ტკივილის და ტანჯვის გარეშე. როგორც წესი, უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანები ავადმყოფობის ბოლო სტადიაზე მოკლებულნი არიან ასეთ შესაძლებლობებს, შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ თავისი სურვილისამებრ დაასრულონ საკუთარი სიცოცხლე. გარკვეული თვალსაზრისით აღნიშნულ მტკიცებას შესაძლოა, ჰქონდეს კიდევ გამართლება, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს. ვნახოთ, რას ამბობენ ევთანაზიის მოწინააღმდეგეები. ამ უკანასკნელთა მტკიცებით, სიცოცხლის უფლება გულისხმობს არა მხოლოდ ცხოვრების უფლებას, არამედ იგი თითოეულ ადამიანს აკისრებს იმის ვალდებულებასაც, რომ არ მოკლას. **ევთანაზია, თვითმკვლელობისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მას, სამედიცინო მუშაკი ან ოჯახის წევრი ახორციელებს.** ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის სიცოცხლის წართმევა კი წარმოადგენს მკვლელობას, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნითაა ის ჩადენილი. ამასთანავე, როდესაც ადგილი აქვს ევთანაზიის აქტს, პაციენტი, ფაქტობრივად, კარგავს არჩევანის საშუალებას, ის ვეღარ გადაიფიქრებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი სიცოცხლე შეწყდება.

**კითხვა:**  
ამართლებთ თუ არა ევთანაზიას? რატომ?

ქართული სამართლებრივი სისტემა ევთანაზიას კრძალავს. სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი მას განიხილავს, როგორც მკვლელობას, რომელიც ჩადენილია „მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით, მისი ნამდვილი ნების შესაბამისად“, მისი ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან განთავისუფლების მიზნით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევთანაზია საქართველოში წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ისჯება კანონით.

**კითხვა:**  
ეთანხმებით თუ არა აღნიშნულ მტკიცებას? მიგაჩნიათ თუ არა ევთანაზია გამართლებულად? პასუხი დაასაბუთეთ.

დასკვნის სახით, შეგვიძლია დავსვათ კითხვა, გვაქვს კი ჩვენ ადამიანებს იმის უფლება, რომ სხვას სიცოცხლე წავართვათ? არსებობს კი რაიმე მიზეზი, თუნდაც ისეთი კეთილშობილური, როგორცაა ადამიანის ტანჯვის შემსუბუქება, რომელიც გაამართლებს სიცოცხლის მოსპობას? შეგვიძლია, გადავწყვიტოთ კი ვინ არის სიცოცხლის ღირსი და ვინ არა? თითოეულ ამ კითხვაზე პასუხი ნათელია და ეს პასუხია - არა, რადგანაც სიცოცხლე უზენაესი სიკეთეა, რომლის გააზრება და ბოლომდე შეცნობა ადამიანის შემეცნების უმთავრეს საგანს გაჩენის მომენტიდან დღემდე წარმოადგენს.

## 6. პირადი თავისუფლება

### ა. პირადი თავისუფლების, როგორც ადამიანის უფლების ზოგადი მიმოხილვა


წინამდებარე თავიდან ნათლად გამოჩნდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლეს მისი უფლებების დაცვის საქმეში, თუმცა სასურველია, ყურადღება გავამახვილოთ ადამიანის უფლებათა სისტემის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე - ადამიანის პირად თავისუფლებაზე.

რა არის თავისუფლება? მოცემული სიტყვის ზუსტი განმარტება არ არსებობს. იგი განსაკუთრებული დავისა და კამათის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სამეცნიერო წრეში. ბუნებრივია, თავისუფლება შეფასებითი კატეგორიაა და ყველა ადამიანს შესაძლოა, სხვაგვარად ესმოდეს იგი. მაგალითად, ერთი შეიძლება თავისუფლებას ყოველგვარი წესის გარეშე ცხოვრებაში ხედავდეს, მაშინ, როდესაც სხვისთვის თავისუფლება ცალკეული წესებისა და კანონების (მაგალითად, რელიგიური) განუხრელ დაცვაში მდგომარეობდეს, თუმცა თავად სიტყვა გვეუბნება, რომ თავისუფლება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი საკუთარი თავის უფალია, ანუ თავად განაგებს თავის ბედსა და ცხოვრებას, თვითონ წყვეტს, იცხოვრებს წესების გარეშე, თუ იქნება ცალკეული წესების განუხრელი დამცველი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისუფალია ადამიანი მაშინ, როდესაც მოქმედებს საკუთარი ნების შესაბამისად და არჩევანს საკუთარი სურვილის მიხედვით აკეთებს.

პირველ თავში საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ ბუნებით სამართალზე. აღნიშნული სამართლებრივი სკოლის მიხედვით ადამიანი, როგორც ღვთის ხატად შექმნილი არსება, დაბადებით სარგებლობს პირადი თავისუფლებით. უფრო მეტიც, მისი მსგავსება ღმერთთან, სწორედ თავისუფლებაში, თავისუფალი ნების ქონაში გამოიხატება. შესაბამისად, შეგვიძლია, ვამტკიცოთ, რომ თავისუფლება არა მხოლოდ ადამიანის უფლება, არამედ მისი ბუნებისა და არსების განუყოფელი ნაწილია.

სამწუხაროდ, კაცობრიობას გრძელი გზის გავლა დასჭირდა, სანამ იგი ადამიანთა პირად თავისუფლებას აღიარებდა, როგორც მის ძირითად და ფუნდამენტურ უფლებას. მსოფლიოს არაერთი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ისტორიისთვისაც არ არის უცხო ისეთი პერიოდი, როდესაც საზოგადოების ერთი, პრივილეგირებული ნაწილი მიიჩნევდა, რომ ჰქონდა სხვათა ცხოვრებით მანიპულირების უფლება. ასეთი გახლდათ ბატონყმობის პერიოდი, რომელმაც საქართველოში მე-19 საუკუნემდე გასტანა. რეალურად ეს იყო ფეოდალური წყობა, სადაც მინის მესაკუთრე (ფეოდალი) ამ მიწაზე მცხოვრები გლეხების ბატონი იყო, ხოლო გლეხები მის ყმებად იწოდებოდნენ. მართალია, ეს არ ყოფილა მონათმფლობელობა პირდაპირი გაგებით, მაგრამ დიდი სხვაობა მათ შორის არ არსებობდა. ბატონს შეეძლო ყმების გასხვისება, რასაც ხშირად სხვა ბატონის მფლობელობაში გადასვლა და ოჯახების გაყოფა მოსდევდა ხოლმე. ხდებოდა ყმების მიცემა ვალში ან მათი გაცვლა სანადირო იარაღსა თუ მწევარ ძაღლებში. ბუნებრივია, როდესაც ადამიანის ბედით ასეთი მანიპულირება ხდება, იქ მის პირად თავისუფლებაზე საუბარი საერთოდ ზედმეტია.

ამ თვალსაზრისით, არანაკლებ მძიმე იყო ვითარება ევროპაში. მართალია, უშუალოდ ევროპის კონტინენტზე მე-19 საუკუნეში მონები არ ჰყავდათ, მაგრამ არაერთი ევროპული სახელმწიფო ვაჭრობდა ადამიანებით, მათ შორის ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხით მსოფლიოში ერთ-ერთი მონინავაა.



მონებს, ძირითადად, აფრიკის კონტინენტზე იჭერდნენ, შემდეგ კი მსოფლიოს სხვადასხვა ნერტილში ყიდდნენ, როგორც იაფ სამუშაო ძალას. მონების შრომა გამოიყენებოდა შაქრისა და თამბაქოს პლანტაციებში, მალაროებში. ერთი სიტყვით, მათ უმძიმესი სამუშაოს შესრულება უწევდათ, ბუნებრივია, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამ მხრივ გამოირჩეოდა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე გამოიყენებოდა მონების შრომა, როგორც ეკონომიკის ზრდის უმთავრესი საშუალება. თანამედროვე აფროამერიკელთა დიდი ნაწილი სწორედ იმ ადამიანების შთამომავლები არიან, რომლებიც თავის დროზე ევროპელმა ვაჭრებმა მიჰყიდეს ამერიკელ მონათმფლობელებს.

მსოფლიოს მონათმფლობელობის მანკიერ ტრადიციაზე უარი ადვილად არ უთქვამს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მონათა გათავისუფლების პროცესი სამოქალაქო ომის ფონზე მიმდინარეობდა. ამერიკის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ადამიანების პირადი თავისუფლების იდეას ცალსახად უჭერდა მხარს. მსოფლიოს არაერთ რეგიონში ადამიანებმა თავისუფლება უდიდესი ბრძოლისა და შრომის შედეგად მოიპოვეს, ამდენად სავსებით ლოგიკურია, რომ დღეს თავისუფლებას მოიხსენიებენ, არა მხოლოდ, როგორც ადამიანის ძირითად უფლებას, არამედ, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს.

სიცოცხლის მსგავსად თავისუფლებაც ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილია. თუ ადამიანს სიცოცხლეს წავართმევთ, მაშინ ლოგიკურია, რომ მისი ყველა სხვა უფლება აზრს დაკარგავს, ხოლო თუ ადამიანს თავისუფლებას წავართმევთ, მაშინ აზრს ადამიანის სიცოცხლე კარგავს.

**მონათა**  
გათავისუფლების პროცესში უდიდესი როლი ითამაშა ამერიკელი მწერლის, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს მიერ 1852 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „ბიძია თომას ქობი“, რომელიც საოცარი სიცხადით აღწერს მე-19 საუკუნის ამერიკაში, შავკანიანების მონურ ყოფას. დღეს აღნიშნული ნაწარმოები მსოფლიოს არაერთ ენაზეა ნათარგმნი, მათ შორის ქართულადაც.

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რა არის თავისუფლება? როგორ გესმით მოცემული სიტყვის მნიშვნელობა, იმსჯელეთ მის შესახებ.

## ბ. პირადი თავისუფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიები

რამდენადაც დიდია პირადი თავისუფლების მნიშვნელობა, იმდენად აუცილებელია მისი დაცვის სამართლებრივი გარანტიების არსებობა. ჩვენ შემთხვევაში ადამიანის პირადი თავისუფლების დაცვის უმთავრეს სამართლებრივ გარანტს წარმოადგენს ქვეყნის ძირითადი კანონი, კონსტიტუცია, რომელიც მე-18 მუხლის პირველი ნაწილით ცალსახად ამბობს, რომ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე მუხლი კი გვეუბნება, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. ფაქტობრივად, არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი თუ დოკუმენტი, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და არ აღიარებს მის თავისუფლებას. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ადამიანის პირადი თავისუფლება აბსოლუტური ხასიათის უფლებაა? ანუ მისი დარღვევა, შეზღუდვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება?

ვნახოთ, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 მუხლი: „არავის დაპატიმრება, გაძევება ან დაჭერა არ შეიძლება თვითნებურად“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა, აგრეთვე, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის მე-9 მუხლის თანახმადაც: „თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, არავინ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა.“

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციას, ჩვენთვის უკვე ცნობილი მე-18 მუხლის მეორე ნაწილი გვეუბნება, რომ „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე.“

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის თავისუფლება დაცულია სხვა ადამიანების, ან სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ხელყოფისაგან. თუმცა ადამიანის თავისუფლება არამც და არამც არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა, მოხდეს ცალკეული პირებისთვის თავისუფლების შეზღუდვა, ან აღკვეთა, თუმცა აღნიშნული უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის და პროცედურის შესაბამისად.

იმისთვის, რომ უკეთ ჩავენდეთ მოცემული წინადადების არსს, სასურველია, განვიხილოთ, თუ ვის მიერ და რა შემთხვევაში ხდება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა და აღკვეთა. ერთადერთი სუბიექტი, ვისაც აქვს უფლება შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება, არის სახელმწიფო. თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს, როგორც სასჯელი ცალკეული დანაშაულისთვის. თუმცა სახელმწიფოს არ შეუძლია, თვითნებურად დასაჯოს ვინმე. დამნაშავისთვის სასჯელის დაკისრების უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცალკეულ პირთათვის თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა შესაძლოა, მოხდეს მხოლოდ დანაშაულისთვის, სასამართლოს გადანყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ერთ - ერთი მიზანია ის, რომ არ მოხდეს ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთა. შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რასაც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპები.

ამრიგად, ადამიანის პირადი თავისუფლება წარმოადგენს ადამიანისთვის ღვთისგან ბოძებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, რომლის დაცვა და გაფრთხილება

იხილეთ სისხლის სამართლის ნაწილი, სასჯელის სახეები.

იხ. სისხლის სამართლის ნაწილი. სისხლის სამართლის პროცესი.

**კითხვა:**  
მიგაჩნიათ, თუ არა სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად? სასჯელის რა სახეებია თქვენთვის ცნობილი? შეძლებისდაგვარად, იმსჯელეთ სასჯელის მიზნებზე და განიხილეთ, რამდენად ამართლებს ამ მიზნებს თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელი.

იხ.თავი სისხლის სამართლის პროცესის შესახებ



ნებისმიერი სახელმწიფოს თუ საზოგადოების უმთავრესი მოვალეობაა. იქ, სადაც ადამიანი კარგავს პირად თავისუფლებას, ზედმეტი საუბარი ისეთი უფლებების დაცვაზე, როგორცაა სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლება, გადაადგილების და საკუთრების უფლება, განათლების უფლება და თვით სიცოცხლის უფლებაც კი. იყო სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრი, ნიშნავს იყო თავისუფალი მოქალაქე და პატივს სცემდე სხვის თავისუფლებას.

## 7. სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლება



სიტყვის, აზრის და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომელზეც აუცილებელია ყურადღების გამახვილება. ადამიანის უფლებათა სისტემაში მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ თავისი მნიშვნელობით სიცოცხლისა და პირადი თავისუფლების გვერდით, რადგან რეალურად აღნიშნული უფლებაც, მსგავსად უკვე განხილული უფლებებისა, წარმოადგენს ადამიანის, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი ინდივიდის ბუნების განუყოფელ ნაწილს.

**ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების, განუყოფელი თვისებაა აზროვნება, კომუნიკაცია, ცნობისმოყვარეობა, ბედნიერებისკენ სწრაფვა. ადამიანი სოციალური არსებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოვრობს სხვა ადამიანების გარემოცვაში და აქვს მათთან მუდმივი ურთიერთობა. სხვა**

**სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი პიროვნება საზოგადოების ნაწილია და ამ საზოგადოებაში თავის დამკვიდრება მის ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს.**

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ახერხებს ადამიანი საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმას, ინფორმაციის გაცემასა და მიღებას, საკუთარი პიროვნების რეალიზაციას და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას.

მაინც რა არის სიტყვისა და აზრის თავისუფლება? მსგავსად პირადი თავისუფლებისა, სიტყვის და აზრის თავისუფლებაც დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, რომელსაც თანამედროვე ევროპული სამყარო ეფუძნება. აღნიშნული უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ადამიანების მიერ საკუთარი აზრის საჯაროდ დაფიქსირების თავისუფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ პიროვნებას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი შეხედულება და არ დაისაჯოს ამისთვის.

სიტყვის თავისუფლება მოიცავს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებასაც. დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავისუფალი მედიის არსებობას, რადგანაც სხვაგვარად მოსახლეობის ინფორმირება, ქვეყანაში თუ მის გარეთ მიმდინარე პროცესების შესახებ შეუძლებელია. თავისუფალი მედია არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ საზოგადოებას ყოველთვის ექნება ინფორმაცია ქვეყნის ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, ხელისუფლება უფრო მეტად იგრძნობს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.



**კითხვა:**  
 თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი კრიტიკული აზრის თავისუფლება? საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს კრიტიკას?

**კითხვა:**  
 იმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა ხდებოდეს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების შევიწროება. რატომ არის მნიშვნელოვანი მათი გამოხატვის თავისუფლება.


აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვისა და აზრის თავისუფლება ეხება არა მხოლოდ საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ან სახელმწიფოსთვის მისაღებ იდეებსა და ინფორმაციას, არამედ ისეთსაც, რომელიც შესაძლოა, მიუღებელი აღმოჩნდეს მოცემული ჯგუფებისთვის. განსაკუთრებით ეს ეხება ხელისუფლების ან ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მიმართ საჯაროდ გამოთქმულ კრიტიკას, იმდენად, რამდენადაც კრიტიკული, განსხვავებული მოსაზრების არსებობა განაპირობებს ამა თუ იმ საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების წარმართვას.

რატომ არის დემოკრატიული პროცესების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არ მოხდეს ქვეყანაში ერთი, რომელიმე ჯგუფის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ძალაუფლება, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს, წარმოადგენს ტირანიისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს. ასეთი ტირანიის მაგალითი უახლესმა ისტორიამ მოგვცა საბჭოთა კავშირის სახით, სადაც განსხვავებული აზრი, ფაქტობრივად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად განიხილებოდა, შესაბამისად, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში განსხვავებულად მოაზროვნეების წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებს ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. აღნიშნული პერიოდი მსოფლიო ისტორიაში „წითელი ტერორის“ სახელით შევიდა.

საბჭოთა მმართველობისთვის მიუღებელი იყო კრიტიკა, განსხვავებულად აზროვნება. არსებობდა მხოლოდ ერთი, ე.წ. მარქსისტულ-ლენინური ჭეშმარიტება, სხვა ყველა უნდა განადგურებულიყო. ცენზურა აკონტროლებდა ყველა გაზეთსა თუ ჟურნალს, უფრო მეტიც, არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები არ იბეჭდებოდა სპეციალური კომისიის მიერ მისი განხილვისა და ჩასწორების გარეშე. იდევნებოდა ისეთი მუსიკალური მიმდინარეობები, როგორც იყო ჯაზი და როკი. ითვლებოდა, რომ



დასავლეთის ქვეყნების კულტურასთან ზიარება გაანადგურებდა იმას, რასაც „საბჭოთა ადამიანი“ ერქვა. იმავე მოტივით იდევნებოდა რელიგიური ჯგუფებიც. ფაქტობრივად, ეს იყო ძალადობა ადამიანის აზროვნებასა და გონებაზე, რომელიც არაჩვეულებრივად აღწერა ბრიტანელმა მწერალმა, ჯორჯ ორუელმა თავის ნაწარმოებში „1984“, რომელიც 1949 წელს გამოიცა. ბუნებრივია, ეს წიგნიც, ისევე როგორც სხვა მრავალი, საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო.



ამ მარტივი მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა ემუქრება საზოგადოებას, სადაც ადამიანებს წართმეული აქვთ აზრის გამოთქმის საშუალება. შესაბამისად კი გავიაზროთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნებისმიერ ადამიანს ჰქონდეს, ერთი მხრივ, საკუთარი მოსაზრებების ღიად და საჯაროდ დაფიქსირების შესაძლებლობა, მეორე მხრივ, მის გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ არსებული ინფორმაციის თავისუფლად, ყოველგვარი დამახინჯების გარეშე მიღების შესაძლებლობა.

რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, იგი მოიცავს ადამიანის მიერ საკუთარი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების რეალიზაციის უფლებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოხატოს საკუთარი პიროვნება ისე, როგორც მას ესმის. ბუნებრივია, ეს სიტყვისა და აზრის თავისუფლებასაც გულისხმობს, თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ფაქტობრივად, გამოხატვის თავისუფლება არის უნივერსალური ღირებულება, რომელიც საფუძველად უდევს ადამიანის უფლებებს, ისეთებს, როგორიცაა: საქმიანობის თავისუფლება, განათლების უფლება და სხვა.

გამოხატვის უფლების მნიშვნელობას ნათლად წარმოაჩინეს გაეროს 1948 წლის ასამბლეაზე დაფიქსირებული პოზიცია, რომ იგი „ქვაკუთხედია ყველა იმ უფლებებისა, რომელთა დაცვაც გაეროს პრიორიტეტს წარმოადგენს“. რას გულისხმობს აღნიშნული წინადადება? უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ადამიანის ბუნება მრავალფეროვანია, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და მსოფლიოში ორ ერთნაირ პიროვნებას ვერ შევხვდებით. გამოხატვის უფლება კი, უპირველეს ყოვლისა, ამ ინდივიდუალობის და თითოეული ადამიანის განსაკუთრებულობის აღიარებასა და პატივისცემას გულისხმობს. რეალურად, ეს არის ის, რაც განსაზღვრავს პიროვნების ღირსებას, რომელიც ადამიანის აბსოლუტური უფლებაა.

ჩვენ მიერ განხილული მონაკვეთი საბჭოთა კავშირის ისტორიიდან, არის არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის, არამედ გამოხატვის თავისუფლების ფეხქვეშ გათელვის ბრწყინვალე მაგალითი, როდესაც არაერთი საზოგადო მოღვაწე მხოლოდ იმიტომ იქნა განადგურებული, რომ მათი პიროვნება შეუთავსებელი იყო საბჭოთა რეალბასთან. ასეთი გახლდათ უდიდესი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, პოეტი ტიცინა ტაბიძე, დირიჟორი ევგენი მიქელაძე, ლიტერატურათმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი. თითოეული მათგანი ქართული კულტურის განსაკუთრებული წარმომადგენელი იყო, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მოკლეს, რომ მათი შინაგანი თავისუფლება წითელი ტოტალიტარული მანქანის მიერ აღქმული იყო, როგორც ხალხისა და ქვეყნის მტრობა.

იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად მძიმეა ადამიანისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, სასურველია, გადავხედოთ საბჭოთა საქართველოს ისტორიის კიდევ ერთ თვალსაჩინო მონაკვეთს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ტოტალიტარული რეჟიმისა და პიროვნების დაპირისპირების პრობლემას. ამჟამად თქვენი ყურადღება გვსურს, გავამახვილოთ ქართველ პოეტზე **პაოლო იაშვილზე**,

ამავე მწერალს ეკუთვნის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები „ცხოველთა ფერმა“, სადაც საინტერესოა აღწერილი ის რეალობა, რომელიც როგორც წესი, ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების შედეგად დგება. ნაწარმოები საინტერესოა იმიტომ, რომ მთავარ პერსონაჟებს არა ადამიანები, არამედ ცხოველები წარმოადგენენ. ჯორჯ ორუელის ორივე ნაწარმოები ქართულ ენაზეცაა ნათარგმნი.

**კითხვა:**  
იზიარებთ თუ არა აღნიშნულ მოსაზრებას. იმსჯელეთ გამოხატვის უფლებაზე. თქვენი აზრით, დასაშვებია თუ არა რაიმე პირობით ამ უფლების შეზღუდვა, რატომ?

რომელიც 1937 წლის წითელი ტერორის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახლავთ. ისიც, ისევე როგორც კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების არაერთი მოღვაწე, არ ფდებოდა საბჭოთა ადამიანის სტანდარტებში, შესაბამისად, მას ღიად უყენებდნენ ისეთ აბსურდულ ბრალდებებს, როგორცაა: მაგალითად „იდეოლოგიური მავნებლობა“. აღნიშნული ბრალდება მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა - პაოლო იაშვილი არ აზროვნებდა ისე, როგორც ეს კომპარტიის მამებს სურდათ, შესაბამისად, მას უნდა “ჩაეკლა” საკუთარი პიროვნება და „სხვანაირი“ აზროვნება ესწავლა. ბუნებრივია, შეურაცხყოფილმა პოეტმა ველარ გაუძლო მორალურ წნეხს და 1937 წელს 22 ივნისს მწერალთა კავშირის შენობაში თავი მოიკლა.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად დიდი სულიერი ტკივილის მიყენება შესაძლებელი ადამიანისთვის, როდესაც ლახავ მისი გამოხატვის უფლებას. მეორე მხრივ კი ჩნდება კითხვა, თუ რისი გაკეთება შეეძლოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ გაიმეტეს სასიკვდილოდ, რომ განსხვავებულად აზროვნებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ ამ კითხვებს ვერასოდეს ვუპასუხებთ, სამაგიეროდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოხატვის უფლება ადამიანის უფლებათა სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური მნიშვნელობისაა, რომელიც არა მხოლოდ ადამიანის ღირსებას განსაზღვრავს, არამედ განაპირობებს ნებისმიერი საზოგადოების პროგრესს.

## 8. საკუთრების უფლება

წინა თავებში ჩვენი ყურადღების საგანს წარმოადგენდა სიცოცხლის უფლება, პირადი თავისუფლება, სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ყოველივე აღნიშნული თავისთავად ცხადია, ადამიანის უფლებათა სისტემის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს, თუმცა თანამედროვე სამყაროში, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების უფლებას. ადამიანმა გაჩენის დღიდან დაიწყო სარგებლობა ცალკეული ნივთებით, რომელსაც იგი მოიხმარდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთრების გაგება ადამიანთან ერთად დაიბადა.



საკუთრების უფლების უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საკუთრების უფლება დაცულია უძველეს რელიგიურ ტექსტებშიც. მაგალითად, 10 მცნებიდან მე-8, სწორედ ამ უფლებას შეეხება და გვასწავლის, რომ ქურდობა, ანუ სხვისი საკუთრების მოპარვა არ შეიძლება (მცნება მე-8: არა იპარო). შესაბამისად, ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა მსგავსად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთრების უფლება ადამიანისთვის ღვთისგან ბოძებული უფლებაა.

სანამ უშუალოდ საკუთრების უფლებას, მის სამართლებრივ ბუნებას შევეხებოდეთ, სასურველია, რამდენიმე სიტყვით მიმოვიხილოთ, თუ რა წარმოადგენს ადამიანის საკუთრებას? უპირველეს ყოვლისა, ეს არის ნებისმიერი მატერიალური ქონება, როგორც უძრავი, ისე მოძრავი. საკუთრება შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, სახლი, მიწის ნაკვეთი, მანქანა, ნებისმიერი ნივთი, აგრეთვე, ფული. თუმცა საინტერესოა, რომ ადამიანის უფლებათა თანამედროვე სამართალი იცნობს ისეთ საკუთრებას, რომელიც მატერიალური ფორმით არ არის წარმოდგენილი, ანუ არ აქვს ნივთიერი სახე, თუმცა აქვს ღირებულება. ასეთია, მაგალითად, სავაჭ-



იხ. სამოქალაქო სამართლის ნაწილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი.

**რო ნიშანი, მარკა, იგივე სახელი.** მაგალითად, „მაკ დონალდსი“, ან „კოკა-კოლა“. ასევე, ადამიანის ინტელექტუალური შრომის ნაყოფი, მაგალითად, ფორმულა, გამოგონება, ნაწარმოები, ასეთი ტიპის ქონებას იურისტები ხშირად მოიხსენებენ, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრება შეიძლება იყოს, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახის.

რაც შეეხება უშუალოდ საკუთრების უფლებას, იგი ასახულია, როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. ვნახოთ, რას ამბობს თითოეული მათგანი აღნიშნული უფლების შესახებ. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე, სხვებთან ერთად.“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად კი - „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება“.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის საკუთრებას? რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთრების უფლების დაცვა?

მოცემული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრების უფლება გულისხმობს, ერთი მხრივ, ქონების ფლობის, ხოლო, მეორე მხრივ, მისი თავისუფლად განკარგვის უფლებას.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რა განსხვავება ერთი მხრივ ქონების ფლობაში, მეორე მხრივ კი მის განკარგვაში? რატომ არის მნიშვნელოვანი ორივე კომპონენტის უზრუნველყოფა საკუთრების უფლების დაცვისას?

რატომ არის აღნიშნული ორი კომპონენტის თანაარსებობა მნიშვნელოვანი? წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაჩუქეს კომპიუტერი, თუმცა მისი ჩართვა კატეგორიულად აგიკრძალებს. შესაბამისად, თქვენ ითვლებით კომპიუტერის, როგორც ნივთის მფლობელად, მესაკუთრედ, თუმცა არ შეგიძლიათ, აღნიშნული ნივთი მოიხმაროთ თქვენი შეხედულებისამებრ, ანუ ჩართოთ და გამოიყენოთ ისე, როგორც გინდათ. ბუნებრივია, ასეთი სახის მესაკუთრეობა სერიოზულ დისკომფორტს შეგიქმნით. სწორედ ამიტომ, როდესაც საქმე ეხება საკუთრების უფლებას, მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს, როგორც ქონების ფლობის, ისე მისი მოხმარების უფლება. თუმცა აღნიშნული არ უნდა გასცდეს კანონის ფარგლებს და არ უნდა შეილახოს სხვისი უფლებები. მაგალითად, სრულწლოვან მოქალაქეს, გარკვეული სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლია, კანონიერად იქონიოს სანადირო იარაღი, თუმცა მას ამ იარაღით სარგებლობის უფლება საკმაოდ შეზღუდული აქვს. მაგალითად, მას არ შეუძლია სროლაში ივარჯიშოს დასახლებულ ადგილას ან ღიად ატაროს ის ქალაქში. შესაბამისად, ერთი მხრივ, იგი არის იარაღის მესაკუთრე, მეორე მხრივ, მას გარკვეული შეზღუდვები აქვს დაწესებული ამ საკუთრებით სარგებლობაზე.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არის დაწესებული მსგავსი ტიპის საკუთრებით სარგებლობისა შეზღუდვები?



მოცემული მაგალითი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის საკუთრების უფლებაზე. თუმცა აღნიშნული სამართლებრივი სიკეთე გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. **საკუთრების უფლება, მისი დაცვის ხარისხი და სტანდარტი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, ადამიანის ცხოვრების დონეზე, მეორე მხრივ, ცალკეული ქვეყნების შიდა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებზე.** მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, სადაც ხშირია საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტები, მენარმეები ერიდებიან სერიოზული ბიზნეს-საქმიანობის დაწყებას, რადგანაც არსებობს რისკი, რომ მათ ქონებას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

გარდა ამისა, ნებისმიერი ადამიანი ბუნებრივად ისწრაფვის იმისკენ, რომ უკეთ იცხოვროს. უკეთესი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი კი გახლავთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც პირდაპირ უკავშირდება ამ ადამიანის საკუთრების უფლების დაცვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრების უფლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მართლაც, თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ქვეყნებში, სადაც საკუთრების უფლება უკეთაა დაცული, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც საკუთრების უფლების დაცვის ხარისხი დაბალია.

საინტერესოა, თუ რა შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები არსებობს საკუთრების უფლების დასაცავად? ატარებს თუ არა საკუთრების უფლება აბსოლუტურ ხასიათს?

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია აღნიშნულ კითხვას პასუხობს პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში, რომელიც ერთი მხრივ აღიარებს და იცავს საკუთრების უფლებას, თუმცა იქვე განმარტავს, რომ „მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი ფუნდამენტური უფლებაა, არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. თუმცა, ისევე, როგორც სხვა შეზღუდული უფლებების შემთხვევაში, საჭიროა არსებობდეს გარკვეული პირობები, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია საკუთრების უფლების შეზღუდვისთვის.

**კითხვა:**  
შეძლებისდაგვარად იმსჯელოთ, თუ რატომ მოქმედებს საკუთრების უფლების დაცვის ხარისხი ეკონომიკის განვითარებაზე?

**კითხვა:**  
გამართლებულად მიგაჩნიათ თუ არა საკუთრების უფლების შეზღუდვის დაშვება? რატომ?



ასეთი უმთავრესი პირობა გახლავთ საზოგადოებრივი საჭიროება, რაც ასე უნდა გავიგოთ, რომ საზოგადოების ნებისმიერი მოთხოვნის ან საჭიროების შესაბამისად, სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს ცალკეულ პირთა საკუთრება. აღნიშნული მუხლი გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ინტერესები, როგორცაა - თუნდაც, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, შეიძლება სახელმწიფომ საკუთრების უფლებაზე წინ დააყენოს. ამგვარად, სახელმწიფომ შეიძლება ეკოლოგიური კატასტროფის პრევენციის მიზნით არ მისცეს პირს უფლება მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გარკვეული ტიპის მშენებლობის განსახორციელებლად. ბუნებრივია, სახელმწიფო ამ შემთხვევაში ზღუდავს პირის მიერ საკუთრების განკარგვის უფლებას, თუმცა ეს შეზღუდვა ვერ ჩაითვლება უსამართლოდ, რადგან სასწორის მეორე მხარეს დევს ეკოლოგიური უსაფრთხოება, რაც პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების წევრთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის უმთავრეს სამართლებრივ გარანტს ქვეყნის კონსტიტუცია წარმოადგენს, რომლის 21-ე მუხლიც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას იძლევა:

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ალიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.
2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

თუ მოცემული სამართლებრივი ნორმის შინაარსს ყურადღებით დავაკვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საკუთრების უფლების შეზღუდვის მსგავს პირობებს აყენებს. შესაბამისად, საქართველოშიც, ისევე როგორც ევროპული სივრცის სხვა ქვეყანაში, საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს განსაკუთრებული საზოგადოებრივი საჭიროება. თუმცა მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა არ არის საკმარისი, აუცილებელია, რომ საკუთრების უფლების ნებისმიერი შეზღუდვა მოხდეს კანონიერ საფუძველზე, ანუ დაუშვებელია საკუთრების უფლების ისეთი შეზღუდვა იმ პირობებით, რომელთაც არ არეგულირებს კანონი. ფაქტობრივად, ამას ამბობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლის მეორე ნაწილიც, რომლის თანახმადაც „არავის ჩამოერთვას თავისი ქონება თვითნებურად“, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მოცემული უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული გადანაცვლებების მიღებისას უნდა გამოდიოდეს მხოლოდ კანონის მოთხოვნებიდან. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს პირთათვის საკუთრების ჩამორთმევას, სახელმწიფო ვალდებულია, გადაუხადოს მესაკუთრეს შესაბამისი კომპენსაცია, ანუ აუნაზღაუროს მას ის ზარალი, რაც საკუთრების ჩამორთმევით მიადგა. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც საკუთრება შეძენილია დანაშაულებრივი გზით და სახელმწიფოს კანონი პირდაპირ ავალდებულებს ასეთი საკუთრების ჩამორთმევას, კონფისკაციას.

ამრიგად, საკუთრების უფლება ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა სისტემის, არამედ ცალკეული ქვეყნისა თუ ზოგადად, საერთაშორისო ეკონომიკისთვის, იმდენად, რამდენადაც სწორედ საკუთრების უფლება უდევს საფუძვლად ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას, ვაჭრობას. ამიტომ, აღნიშნული უფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებისა და კეთილდღეობისთვის.

## 9. აქტიური მოქალაქეობა

### ა. სახელმწიფო და საზოგადოება, სამართლებრივი სახელმწიფო

როგორც წინა თავებში არაერთგზის აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობა განსაზღვრული იყოს მკაფიოდ და არსებობდეს გასაგები, საყოველთაოდ აღიარებული თამაშის წესები, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევს მას.

მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი ქვეყნის მართვა ხორციელდება ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ, რომელსაც გააჩნია რეალური ძალაუფლება, გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოზე, ერთი მხრივ, სახეზე გვყავს სახელმწიფოს ხელისუფლება, რომელსაც ხელთ უპყრია ძალაუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, სახეზე გვყავს ადამიანი, რომელსაც აქვს დაბადებით მინიჭებული უფლებები, რომლის დაცვაც ხელისუფლების უმთავრესი მოვალეობაა. თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას, ვნახავთ, რომ ხელისუფლება ყოველთვის არ ასრულებს თავის ამ მოვალეობას და არცთუ იშვიათად იგი თავად ხდება ადამიანის უფლებათა დამრღვევი. აღნიშნულის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, რომელზედაც გვქონდა საუბარი. ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის გამოვლინება იყო, თუნდაც იგივე ბატონყმობა, რომელსაც შევხებით ადამიანის პირად თავისუფლებაზე საუბრისას სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ისტორიის საკუთრებად კი არ დარჩა, არამედ მათ ადგილი აქვს ჩვენს ყოველდღიურ რეალობაში და დღეს **მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ქვეყანა ისეთი, სადაც ყოველდღიურად ფეხქვეშ ითელება მილიონობით ადამიანის უფლება.**

რა არის აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ძალაუფლების აბსოლუტური ხასიათი, ანუ ისეთი შემთხვევა, სადაც არავინ და არაფერი ზღუდავს ხელისუფლებას. თუ გადავხედავთ ისეთ სახელმწიფოებს, სა-

**კითხვა:**  
თუ იცით, რომელ ქვეყნებშია განსაკუთრებით ხშირი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, რა უფლებები ილახება ყველაზე ხშირად?

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები?



დაც ადამიანის უფლებათა დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენაა, აღმოვაჩინოთ, რომ მათი უმეტესობა წარმოადგენს ავტორიტარული ტიპის ქვეყანას, სადაც გადაწყვეტილებას იღებს ერთი ადამიანი ან პირთა ვიწრო წრე, რომლებიც საკუთარ თავს კანონსა და სამართალზე მაღლა აყენებენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმისთვის, რათა არ მოხდეს ძალაუფლების უზურპაცია და უბრალო ადამიანების წინააღმდეგ მისი გამოყენება, აუცილებელია, რომ ხელისუფლებას ზღუდავდეს, ერთი მხრივ, კანონი, მეორე მხრივ, კი ადამიანის უფლებები.

სახელმწიფოს, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებს საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვას კანონის ნორმებითა და ადამიანის უფლებების პრინციპებით, სამართლებრივ სახელმწიფოსაც უწოდებენ. კანონის უზენაესობა ასეთი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. რას გულისხმობს კანონის უზენაესობა? უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ვერც ერთი სახელმწიფო მოხელე ვერ დააყენებს საკუთარ თავს კანონზე მაღლა. ასეთი სახელმწიფოს არსებობასთან შეუთავსებელია ისეთი მანკიერი მოვლენები, როგორიცაა - უსამართლობა, თვითნებური მმართველობა და დიქტატურა, კლანურობა, კორუფცია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრესი გარანტი არის არა სახელმწიფო ზოგადად, არამედ სამართლებრივი სახელმწიფო.



არსებობენ კი დღეს სამართლებრივი სახელმწიფოები? ადამიანის უფლებათა დარღვევას მეტ - ნაკლები დოზით ადგილი აქვს მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით - განვითარებად ქვეყნებში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბსოლუტურად სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც არ ხდება ადამიანის უფლებათა ხელყოფა, არ არსებობს, მაგრამ ადამიანის უფლებათა ხელყოფის სიხშირე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. რა განაპირობებს ამას? რატომ არის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ხელისუფლება მეტ პატივს სცემს კანონს, ზოგან კი - ნაკლებს? რა აიძულებს ხელისუფლებას იყოს კანონმორჩილი და დაიცვას ადამიანის უფლებები? რას ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფო?

ადამიანი ნებისმიერი სახელმწიფოს შემადგენელი ცენტრალური ელემენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ადამიანების გარეშე არ არსებობს. ადამიანები ქმნიან საზოგადოებას, რომელიც თავის მხრივ არაერთგვაროვანია, იმდენად, რამდენადაც ყველა ადამიანი ინდივიდუალური და განსხვავებულია. სწორედ ასეთი არაერთგვაროვანი საზოგადოება ქმნის სახელმწიფო ინსტიტუტებს, ინტერესთა ჯგუფებს. მათი ურთიერთქმედება კი განსაზღვრავს იმას, თუ როგორია სახელმწიფო.

რა არის ინტერესთა ჯგუფები? რაში გამოიხატება სახელმწიფოსა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედება? ინტერესთა ჯგუფი არ წარმოადგენს, რაიმე გამოხატული სტრუქტურის მქონე ერთობას, უბრალოდ ეს გახლავთ საზოგადოების ნაწილი, რომელიც მოიცავს საერთო პრობლემების, სურვილებისა

**კითხვა:**  
როგორ გესმით ცნება, ხელისუფლების შეზღუდვა?

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ არის ადამიანის უფლებები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დოზით დაცული? რა განაპირობებს ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვას?

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რაში გამოიხატება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედება?

**და მისწრაფებების მქონე ადამიანებს.** მაგალითად, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობენ გარკვეული ფიზიკური ნაკლისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები. ჩვენ შეგვიძლია ისინი განვიხილოთ, როგორც ცალკე ინტერესთა ჯგუფი, რადგანაც მათ მიუხედავად სქესის, ასაკის, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების ან სხვა განსხვავებებისა, საერთო პრობლემები აწუხებთ, როგორცაა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, დასაქმება, სოციალური დაცვა და ა.შ. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირად ისინი ერთმანეთს ავსებენ, მოიცავენ და ქმნიან საზოგადოებრივი ურთიერთობების საკმაოდ რთულ კომპლექსს. მაგალითად, განვიხილოთ ისეთი ინტერესთა ჯგუფი, როგორცაა ქალები ან ბავშვები. როგორც ქალთა, ასევე, ბავშვთა უფლებები აღიარებულია თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, მათი დაცვის ვალდებულება კი მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმეტესობას აქვს აღებული საკუთარ თავზე. თუმცა ქალები და ბავშვები შეიძლება, იმავდროულად, სხვა ინტერესთა ჯგუფის ნაწილსაც წარმოადგენდნენ, იმდენად, რამდენადაც შეიძლება ისინი იყვნენ რელიგიური, ეთნიკური ან სხვა უმცირესობის წარმომადგენლები, საჭიროებდნენ განსაკუთრებულ მზრუნველობას და ა.შ.

არ აქვს მნიშვნელობა თუ საზოგადოების რომელ ჯგუფსა და ნაწილზე ვსაუბრობთ, ნებისმიერი ადამიანის უპირველესი ინსტინქტი და სურვილი გახლავთ კეთილდღეობისა და ბედნიერებისკენ სწრაფვა. ყველას უნდა, რომ იყოს თავისუფალი, არ იდევენბოდეს, ცხოვრობდეს უსაფრთხოდ და მშვიდ გარემოში, მიიღოს ხარისხიანი ჯანდაცვა, განათლება. სახელმწიფომ კი ხელი შეუწყოს მის განვითარებას, დაიცვას იგი და მისცეს ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობები. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ნებისმიერი ინტერესთა ჯგუფი მიისწრაფვის საკუთარი უფლებების დაცვისაკენ, არცთუ იშვიათად საერთო ინტერესების მქონე ადამიანები ქმნიან გაერთიანებებს, ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რათა უფრო ეფექტურად შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა. მაგალითად, მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში არსებობს პროფესიული კავშირები, გაერთიანებები, რომლებიც იცავენ დასაქმებულთა უფლებებს და ზრუნავენ იმაზე, რომ დასაქმებულებმა, იქნებიან ეს მუშები, მძღოლები, მასწავლებლები, ექიმები თუ სხვა ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლები, იმუშაონ უსაფრთხოდ გარემოში, მიიღონ შრომის შესაბამისი ანაზღაურება და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ ქალთა და ბავშვთა, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, ზოგადად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, გარემოს და ცხოველთა უფლებების დაცვაზე და სხვა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ როგორ ახერხებენ ეს ორგანიზაციები საკუთარი საქმიანობის განხორციელებას, რა გზებით ახდენენ ისინი ადამიანის უფლებათა დაცვას? ვისგან იცავენ ისინი საზოგადოებას?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო მოძალადე ხდება მაშინ, როდესაც მისი ძალაუფლება ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. ხელისუფლება დგას ყველაფერზე მაღლა და არ იზღუდება არც კანონის, არც ადამიანის უფლებებით. თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას, აღმოვაჩინებთ, რომ სწორედ ასეთი იყო თითქმის ყველა არსებული ხელისუფლება. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ თუნდაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ჯერ კიდევ მე-17 - მე-18 საუკუნეებში მიჩნეული იყო, რომ სახელმწიფო ხელისუფლება გამომდინარეობს არა ადამიანებისგან, არამედ ღვთისგან, შესაბამისად, მონარქზე მაღლა შეიძლება იდგეს მხოლოდ ღმერთი. აღნიშნული სულისკვეთება განსაკუთრებით კარგად ჩანს საფრანგეთის მეფის, **ლუი მე-14-ის ცნობილ გამოთქმაში: „სახელმწიფო, ეს მე ვარ“.** ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ რა მოხდა ისეთი, რამაც ეს შეხედულება სახელმწიფოზე, ხელისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე რადიკალურად შეცვალა? დღეს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, რომ საფრანგეთში, გერმანიაში ან



**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი მსგავსი ტიპის ორგანიზაციების არსებობა. რა მნიშვნელობა აქვთ მათ სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში?

**კითხვა:**  
არის თუ არა თქვენთვის ცნობილი მსგავსი სოციალურად აქტიური ჯგუფები ან ორგანიზაციები? რას წარმოადგენს მათი საქმიანობის სფერო?

დიდ ბრიტანეთში, რომელიმე ხელისუფალმა გაბედოს და თქვას, რომ იგი თვითონაა სახელმწიფო. სულ მცირე აღნიშნული ფრაზა მას პოლიტიკურ კარიერად დაუჯდება. მიუხედავად ამისა, დღესაც არსებობენ ქვეყნები, სადაც რეალურად ერთი ადამიანი და მასთან დაახლოებული ჯგუფი ითავსებს სახელმწიფოს ფუნქციას. მაგალითად, შეგვიძლია ავიღოთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, იგივე ჩრდილოეთ კორეა, სადაც არსებული ხელისუფლება, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება ძველი დროის აბსოლუტური მონარქების მმართველობისგან, სადაც ერთი ადამიანის, ქვეყნის მეთაურის ნება ნებისმიერ კანონზე მაღლა დგას, სადაც ზუსტად ისე, როგორც ეს შუა საუკუნეების ევროპაში ხდებოდა, ადამიანებს საჯაროდ სჯიან სიკვდილით. ჩნდება კითხვა, რა არის მიზეზი იმისა, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში მნიშვნელოვნად შეიზღუდა სახელმწიფო ხელისუფლება, ზოგან კი მან კიდევ უფრო აბსოლუტური ხასიათი შეიძინა?



ლუდოვიკო XIV

ბუნებრივია, ხელისუფლება თავისთავად ვერ გარდაიქმნებოდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო საზოგადოების გარდაქმნა და განვითარება ისე, რომ მის თითოეულ წევრს გაეზრებინა, ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის როლი და ადგილი სახელმწიფოში, გაეცნობიერებინა ის, რომ თავად ადამიანები უნდა განაგებდნენ საკუთარ ბედ-იღბალს და არ შეიძლება, სახელმწიფო მართოს მხოლოდ ერთმა ადამიანმა იმიტომ, რომ ადრე სახელმწიფოს მამამისი მართავდა. საზოგადოებაში ამ გარდატეხის შეტანას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოვლენამ, რომელიც ისტორიაში „განმანათლებლობის“ სახელითაა ცნობილი. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, „განმანათლებლობის“ აკვნად ის ქვეყანა იქცა, რომლის მეფეც საკუთარ თავს აიგივებდა სახელმწიფოსთან. **რუსო, ვოლტერი, დიდრო და სხვა უდიდესი განმანათლებლები, სწორედ საფრანგეთიდან იყვნენ.** საფრანგეთიდან გავრცელდა ევროპაში ახალი ცნობიერება, რომელსაც დღეს ეფუძნება თანამედროვე ევროპული საზოგადოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების გარდაქმნა და ძალაუფლების შეზღუდვა პირდაპირაა დამოკიდებული საზოგადოების გარდაქმნაზე, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოების დაბადებაზე. ჩნდება კითხვა, როგორ ახერხებს სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლების შეზღუდვას და ადამიანის უფლებათა დაცვას?

## ბ. სამოქალაქო საზოგადოება, აქტიური მოქალაქე

როგორც წინამდებარე თავში აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოების დაბადებამ განაპირობა სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა. თავად სამოქალაქო საზოგადოების დაბადების პროცესი კი წამდვილად არ ყოფილა მარტივი. ევროპულ საზოგადოებას საკმაოდ რთული და გრძელი გზის გავლა დასჭირდა იქამდე, სანამ დღევანდელ სურათს მიიღებდა. უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება გახლდათ ადამიანის ცნობიერების განვითარების ახალი ეტაპი. საზოგადოება არ გახლავთ კოლექტიური აზროვნების მანქანა, არამედ იგი არის ერთმანეთისგან განსხვავებული ინდივიდებისაგან შემდგარი ცოცხალი ორგანიზმი. შესაბამისად, საზოგადოების განვითარება ნიშნავს თითოეული ადამიანის ცნობიერების გარდაქმნასა და ამაღლებას. თუმცა აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ადამიანები გაუნათლებლები, ჩამორჩენილი და სუფელი არსებები იყვნენ, რომელთაც არ შეეძლოთ დამოუკიდებლად გადწყვეტილების მიღება, პირიქით, ადამიანი შინაგანად ყოველთვის ისწრაფვის თავისუფლებისკენ, ეძებს საკუთარი უფლებების დაცვის ისეთ მექანიზმებს, რომელიც მოუტანს მაქსიმალურ შედეგს, მინიმალური დანაკარგის ფასად და პოულობს კიდევ მას სამოქალაქო საზოგადოებაში, ანუ გარემოში, სადაც ყველა ერთნაირად ისწრაფვის თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია, არ გაიზიაროს ცალკე აღებული ადამიანის მოთხოვნები, სურვილები და ადვილად შელახოს მისი უფლება, იგი უძღურია ადამიანთა ერთობის, საზოგადოების და მისი ნების წინაშე. სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ეს არის საერთო ინტერესებზე, სოლიდარობაზე დამყარებული საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოს კი არ ემორჩილება, არამედ პირიქით, იმორჩილებს სახელმწიფოს და უწესებს ქვეყნის გარკვეულ ნორმებსა და წესებს, აიძულებს მას დაიცვას და მხედველობაში მიიღოს საზოგადოების თითოეული წევრის უფლება. სამოქალაქო საზოგადოების პირობებში სახელმწიფო არის არა ძალაუფლების მატარებელი განყენებული სუბიექტი, არამედ საზოგადოებაში მიღწეული თანხმობის შედეგად ჩამოყალიბებული, საზოგადოების დასაცავად შექმნილი და საზოგადოების მიერვე ძალაუფლებით აღჭურვილი ორგანიზმი, რომელიც საკუთარ ძალაუფლებას ზღუდავს კანონით და ადამიანის უფლებებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოება ქმნის სამართლებრივ სახელმწიფოს და პირიქით, სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალური ფუნდამენტი გახლავთ სამოქალაქო საზოგადოება.

გახსოვთ ალბათ, წინამდებარე თავში ვსაუბრობდით საზოგადოებაში არსებულ ინტერესთა ჯგუფებზე და აგრეთვე, ორგანიზაციებზე, რომლებიც იცავენ ინტერესთა ჯგუფების უფლებებს. რაც უფრო ძლიერია სამოქალაქო საზოგადოება, მით უფრო ძლიერია აღნიშნული ინტერესთა ჯგუფები, შესაბამისად, უკეთ ახერხებს საკუთარი უფლებების დაცვას. სამოქალაქო საზოგადოების ძლიერებას კი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს მოქალაქეთა, ანუ საზოგადოების წევრთა აქტიურობა.

რას ნიშნავს **აქტიური მოქალაქე**? უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს ადამიანს, რომელიც სრულად აცნობიერებს თავის როლს საზოგადოებაში, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მის გარშემო მიმდინარე პროცესები, იცის საკუთარი უფლებები და პატივს ცემს გვერდზე მყოფთა უფლებებს, იმავდროულად პატივს სცემს კანონს, ესმის საკუთარი მოვალეობებიც ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. დღეს, ალბათ, ბევრისგან გავიგონებთ, რომ ერთ ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია, რომ მისი ძალისხმევა უმნიშვნელო იქნება და არაფერი გამოვა. აქტიური მოქალაქეობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკითხებისადმი ამგვარი დამოკიდებულების უარყოფას და იმის რწმენას, რომ ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია, რომ ერთ ადამიანსაც კი შეუძლია ყველაფერი შეცვალოს და ამის ბრწყინვალე მაგალითები აქვს ისტორიას, იგივე **მაჰათმა განდის სახით, რომელმაც საკუთარი მაგალითით შეძლო ინდოეთის საზოგადოების აყოლიება და მშვიდობიანი, სამოქალაქო პროტესტით საკუთარ ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუპოვა, იგივე მარტინ ლუთერ კინგის სახით, რომელმაც საკუთარი მოღვაწეობით მნიშვნელოვნად შეცვალა ამერიკაში შავკანიანთა მიმართ დამოკიდებულება.** ეს ადამიანები არ ელოდებოდნენ იმას, თუ როდის დაუძახებდა მათ ვინმე და შესთავაზებდა საკუთარი უფლებები-

### კითხვა:

თქვენი აზრით რა არის საზოგადოება? რატომ აქვს მას გაცილებით დიდი ძალა, ვიდრე ცალკე აღებულ ადამიანს? როგორ ახერხებს სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის უფლებების დაცვას?

მოიძიეთ აღნიშნულ ადამიანებზე ინფორმაცია ინტერნეტში და ეცადეთ, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რატომ იყო ამ ადამიანების მოღვაწეობა მნიშვნელოვანი? რით იყვნენ ეს ადამიანები გამორჩეულნი? იცნობთ თუ არა მსგავსი ტიპის სხვა მოღვაწეებს? შეგიძლიათ, პარალელი გაავლოთ ამ ადამიანებსა და ქართველ მოღვაწეებს შორის?



მაჰათმა განდი

სთვის ბრძოლას, მათ თავ-  
ად ჰქონდათ იმის სურვილი,  
რომ რალაც შეეცვალათ და  
შეძლეს კიდევ საკუთარი  
სურვილის განხორციელება.  
შესაბამისად, აქტიური მოქა-  
ლაქეობა ნიშნავს ინიციატი-  
ვის, სურვილის ქონას, ნიშ-  
ნავს სოლიდარობას სხვათა  
მიმართ. სწორედ ეს სოლ-  
იდარობის განცდა აერ-  
თიანებს ადამიანებს, აიძუ-  
ლებთ ერთმანეთს მხარში  
ამოუდგნენ და ერთმანეთის  
უფლებებისთვის იბრძოლონ,  
რადგან ერთმანეთის უფლე-  
ბების დაცვით ისინი საკუ-  
თარ უფლებებსაც იცავენ.  
მაგალითად, თუ ქვეყანაში  
მცხოვრები ერთი ადამიანი  
დაუშვებს მის გვერდით მყო-  
ფის უფლებების დარღვევას  
და ამ ყველაფერს მშვიდად  
უყურებს, ამით იგი საფუძ-  
ველს უყრის მომავალში თა-  
ვისი უფლების დარღვევას.  
ეს ყველაფერი კარგად ჩანს  
პროტესტანტი პასტორის,  
მარტინ ნიმოლერის ცნო-  
ბილ გამონათქვამში: „როცა  
ნაცისტები კომუნისტებს მი-

მაჰათმა განდი  
(1869-1948წწ).  
ინდოეთის სულიერი  
და პოლიტიკური  
ლიდერი გახლდათ,  
რომელიც უარყოფდა  
ტერორიზმს,  
ძალადობას და  
აგრესიის ყოველგვარ  
გამოვლინებას.

ადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ  
და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ  
და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირის წევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებ-  
ზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე  
მომადგნენ და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო.“ ეს სიტყვები შესანიშ-  
ნავად გამოხატავს სამოქალაქო საზოგადოების და აქტიური მოქალაქეობის არსს.  
სამოქალაქო საზოგადოება თანაბრად უფრთხილდება თავისი თითოეული წევრის,  
ინტერესთა თითოეული ჯგუფის უფლებებს და ამ გზით იცავს საკუთარ თავს და  
მთლიანად სახელმწიფოს.



## ზოგადი ადმინისტრაციული საპარტალი

### შესავალი


უძველესი დროიდან დიდ ფულს, დიდებასა და ძალაუფლებას უდიდეს ცდუნებად და გამოცდად, ხოლო ჩამოთვლილთაგან ყველაზე სახიფათოდ - ძალაუფლებას მიიჩნევდნენ. ანტიკური დროის ბერძენი ისტორიკოსი - **ჰეროდოტე** ამბობდა, რომ "საუკეთესო ადამიანებიც კი გახრწნისათვის არიან განწირულნი, თუკი შეუზღუდავ ძალაუფლებას მიაღწევენ". ცნობილია, აგრეთვე, ბარონ ექტონის აზრი, რომელიც მან 1887 წელს გამოთქვა: "ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად". სიტყვა - "**კორუფცია**" "corruptus" ლათინური წარმოშობისაა და "გატყეხილს", "გარყვნილს", "გახრწნილს" ნიშნავს. ძვ. რომში ეს სიტყვა ძალაუფლების საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას და ამორალურ საქციელს (აღ)ნიშნავს. ფრაზეზის გარდა კაცობრიობის ისტორიამ, უძველესი დროიდან მოყოლებული შემოგვინახა შეუზღუდავი ძალაუფლებით გამოწვეული ხელისუფლების კორუფციის უამრავი ფაქტი, როგორცაა, მაგალითად, რომაელი იმპერატორები, რომლებმაც საკუთარი თავი ღმერთებად გამოაცხადეს; ნაპოლეონ ბონაპარტი, რომელმაც საკუთარი თავი იმპერატორად გამოაცხადა; ადოლფ ჰიტლერი, სადამ ჰუსეინი და სხვა.

### 1. ზოგადი ადმინისტრაციული საპარტალი და საკონსტიტუციო საპარტალი

რას შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლების შემაკავებელი ძალა? ასეთი ძალა აქვს კანონებს, მათ შორის ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს. კანონებისა და სამართლებრივი პროცედურების არსებობა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობა. პირველ რიგში, ასეთი გარანტიები არსებობს საკონსტიტუციო სამართალში, რომელიც საჯარო სამართლის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, ისე, როგორც სამართლის ნებისმიერი სხვა დარგი, უნდა შეესაბამებოდეს საკონსტიტუციო სამართალს. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი საჯარო სამართლის ნაწილია. მისი ადგილი სამართლის ერთიან სისტემაში ნამდვილად თვალსაჩინოა და მას საკონსტიტუციო და სისხლის სამართლის შემდეგ საჯარო სამართალში ნამყვანი როლი აქვს. ის ადგენს საჯარო მმართველობის ორგანოთა უფლებებსა და მოვალეობებს. სიტყვა "ადმინისტრაციული" ლათინურად "ADMINISTRATIO" - მართვას ნიშნავს.

### 2. ზოგადი ადმინისტრაციული საპარტალი და მმართველობა კერძო სამართლის სფეროში

კერძო წარმოების მართვა ანუ ადმინისტრირება, არ წარმოადგენს საჯარო მმართველობის სფეროს და შესაბამისად, კერძო საწარმოს მართვის წესები არ არის გათვალისწინებული ზოგადი ადმინისტრაციული სამართლით. ამისათვის არსებობს ბიზნეს/კომერციული სამართალი. კანონი „მენარმეთა შესახებ“ და კონკრეტული საწარმოს წესდება განსაზღვრავს კომპანიის მართვის წესებსა და პროცედურებს. შესაბამისად, სურათზე აღწერილი სიტუაცია არ წარმოადგენს საჯარო მმართველობის სფეროს და გადაწყვეტილების მიღების დროს საწარ-



პაროლოზა

კერძო კომპანიების მართვა არ არის საჯარო მმართველობა და არ ეკუთვნის ადმინისტრაციული სამართლის სფეროს! ჩვენი შემოსავლების შემცირების გამო გთავაზობთ გვირაბის ბოლოში შუქის გამორთვის.



მოს დირექტორთა საბჭო არ იყენებს ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს და ხელმძღვანელობს „მენარმეთა შესახებ“ კანონით, საკუთარი წესდებით და გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს კერძო ინტერესების გათვალისწინებით. კერძო მმართველობის სფეროსაგან განსხვავებით, საჯარო მმართველობა უთანასწორობაზე დამყარებულ ურთიერთობას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო პირს ურთიერთობა უწევს არა მასთან თანასწორ/თანაბარ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთან ან პირებთან, არამედ ხელისუფლებით „შეიარაღებულ“ თანამდებობის პირთან ან სახელმწიფო დაწესებულებასთან. მაგალითად: მოქალაქე და იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საგადასახადო ორგანო და გადასახადის გადამხდელი მოქალაქე; საჯარო სკოლის მოსწავლე და დირექტორი და ა.შ.

აღნიშნულის გამო ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის დროს საჯარო ინტერესი, როგორც წესი, წინააღმდეგობაშია კერძო ინტერესთან და კონკრეტული მოქალაქის უფლებასთან. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის მიზანია, ერთი მხრივ, საჯარო ინტერესის გათვალისწინება და ამით სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის უზრუნველყოფა და მეორე მხრივ, კერძო ინტერესის და მოქალაქის უფლების დაცვა.

საჯარო მმართველობის მაგალითები:

1. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯარო მმართველობის ორგანოა და ვალდებულია, წინასწარ წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბოს და დაადგინოს ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უჩნდება უფლება, მიიღოს სატრანსპორტო საშუალების მართვის მონაწილეობა. ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, კერძოდ - გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2. გსმენიათ ამერიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი დამაარსებლის ბენჯამინ ფრანკლინის გამონათქვამი: "გარდაუვალია სიკვდილი და გადასახადები"? თუ საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს არ იხდის ფიზიკური პირი ან მენარმე სუბიექტი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას გადასახადის გადაუხდელობისათვის ჯარიმისა და საურავების დაკისრების თაობაზე ან/და გადასახადების იძულებითი წესით ამოღების თაობაზე. შესაძლოა, გადასახადებისაგან თავის არიდება გახდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველიც, თუმცა, როგორც წესი, გადასახადების ადმინისტრირება ხდება ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მიერ გადაწყვეტილებების მიღების ზოგად წესებს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. კოდექსით დადგენილი საჯარო მმართველობის საქმიანობის განხორციელების წესები და პროცედურები ზოგადია ყველა საჯარო მმართველობის განმახორციელებელი პირისათვის. ყველა საჯარო მმართველობის ორგანო და თანამდებობის პირი - მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო შეზღუდულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესებით და ვალდებულია, ამ წესების სრული დაცვით განახორციელოს საჯარო მმართველობა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დაინტერესებულ პირს აძლევს საკმარის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა მოქმედება, რა ვადაში და რა წესების დაცვით უნდა განახორციელოს საჯარო მმართველობის ორგანომ. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოირიცხოს საჯარო მმართველობის ორგანოსა თუ თანამდებობის პირის მიერ დაუსაბუთებელი და თვითნებური გადაწყვეტილებების მიღება, დაცულ იქნეს საჯარო წესრიგი და არ მოხდეს მოქალაქის უფლებების თვითნებური შეზღუდვა. თუ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მისი მიღების წესები, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი ანიჭებს დაინტერესებულ პირს უფლებას, გაასაჩივროს ასეთი გადაწყვეტილება ზემდგომი თანამდებობის პირთან ან სასამართლოში, სადაც მოხდება მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის გადასინჯვა.



### 3. სისხლის სამართალი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი

სისხლის სამართალი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი საჯარო სამართლის ის დარგებია, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ სამართალდარღვევებს და აწესებენ პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევათა ჩადენის გამო. მათ არაფერი აქვთ საერთო ზოგად ადმინისტრაციულ სამართალთან და ისინი უნდა გავმიჯნოთ.

#### ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი

ღვედის გარეშე ავტომანქანის მართვა, ავტომანქანის მართვის დროს მობილური ტელეფონით სარგებლობა, ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებია და მათი ჩამდენი ისჯება **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის** საფუძველზე. აღნიშნული კოდექსი ერთადერთი მოქმედი კოდექსია, რომელიც მიღებულია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს - 1985 წელს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ითვალისწინებს არა მხოლოდ ჯარიმების დაკისრებას, არამედ დამრღვევის მიმართ 90 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას ისეთი სამართალდარღვევებისათვის, როგორცაა, მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციის დაუმორჩილებლობა, მცირე ოდენობით ნარკოტიკის მოხმარება, შენახვა და სხვა.

#### სისხლის სამართალი

მეორე მხრივ, სატრანსპორტო საშუალების მართვის წესების დარღვევა შეიძლება მოექცეს სისხლის სამართლის მოქმედების სფეროში. ეს დამოკიდებულია ჩადენილი დარღვევის ხასიათზე და მის შედეგებზე. მაგალითად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა არის ადმინისტრაციული



შეიკარით უსაფრთხოების ღვედი! არ ისარგებლოთ მობილური ტელეფონით ავტომანქანის მართვის დროს! არ მართოთ ავტომანქანა ნასვამ მდგომარეობაში!

იხილეთ სისხლის სამართლის ნაწილი, თავი დანაშაულის შესახებ.

სამართალდარღვევა, გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით და იგი ითვალისწინებს 200 ლარის ოდენობით სამართალდამრღვევის დაჯარიმებას. თუმცა, თუ ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ასეთი სამართალდარღვევა სცდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სფეროს და სისხლის სამართლის სფეროში გადადის. ასეთ სამართალდარღვევას უკვე დანაშაული ჰქვია და მისი ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.

#### 4. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის მიზნები

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი იმ სახით, რა სახითაც ის დღეს საქართველოში მოქმედებს, ჩამოყალიბდა 90-იან წლებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (სზაკ), რომელიც აღიარებულია ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ, როგორც ადმინისტრაციული კანონმდებლობის რევოლუციური ცვლილება, ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვარს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების საჯარო სამართლებრივ საქმიანობას. კოდექსმა დაამკვიდრა საჯარო მმართველობის ისეთი პრინციპები, როგორიცაა კანონის უზენაესობა, კანონისმიერი დათქმა, კანონის წინაშე თანასწორობა, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება, საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა, საქვეყნოობა, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება. გაჩნდა ტერმინები - ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული გარიგება, კანონიერი ნდობა და სხვა.

**ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უმთავრესი მიზანია ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი კონტროლის ქვეშ მოქცევა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ მოხდეს ძალაუფლების თვითნებური გამოყენება და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღება.**

როგორც სკოლის მოსწავლეს თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, რა კავშირია სკოლას, სკოლის მოსწავლეს, მის მშობელსა და ადმინისტრაციულ სამართალს შორის? საქართველოში ორი ტიპის- საჯარო და კერძო სკოლა არსებობს. ყველა საჯარო სკოლას აფუძნებს, აფინანსებს და ზედამხედველობს განათლების სამინისტრო, რომელიც არის სახელმწიფო დანესებულება, ანუ ადმინისტრაციული ორგანო. ყოველი საჯარო სკოლა, აგრეთვე, არის ადმინისტრაციული ორგანო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ-ი) და მის საქმიანობას არეგულირებს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი. კერძო სკოლის საქმიანობის გარკვეულ ნაწილზე, აგრეთვე, ვრცელდება ადმინისტრაციული კანონმდებლობა. ამ კანონმდებლობას მიეკუთვნება კანონი "ზოგადი განათლების შესახებ".

**თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ საჯარო სკოლა არღვევს თქვენს უფლებას, თქვენ და თქვენს მშობლებს უფლება გაქვთ, შეიტანოთ ადმინისტრაციული საჩივარი სკოლის წინააღმდეგ.** „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სკოლა ვალდებულია, შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება. რას ნიშნავს ეს? თქვენი საჩივრის განხილვა პირველად სკოლამ უნდა უზრუნველყოს. თუ თქვენ არ დაგაკმაყოფილებთ მიღებული გადაწყვეტილება, უფლება გაქვთ, გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

როგორ ფიქრობთ, ვინ არის მართალი სურათზე აღწერილ სიტუაციაში? საინტერესოა თქვენი, როგორც მოსწავლის აზრი მომხდართან დაკავშირებით. რამდენად შეესაბამება ეს აკრძალვა მოსწავლისა და სკოლის ინტერესებს?


**შენიშვნა:** მასწავლებელი თქვენი პასუხების გათვალისწინებით გამართავს დისკუსიას კლასში.

**სიტუაცია სკოლის ბიბლიოთეკაში:**  
ნახე რა მოხდა!  
სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით დაიბლოკა კომპიუტერული თამაშების საიტები და ახლა შესვენების დროს ვერ ვითამაშებთ! გავასაჩივრებ!



## 5. ადმინისტრაციული ორბანო

საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს ახალი არასაბჭოური კონსტიტუციის მიღების დღიდან პოლიტიკური ხელისუფლება განაწილებული აქვთ პარლამენტს, მთავრობას და სასამართლოს. პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, მთავრობა ახორციელებს აღმასრულებელ საქმიანობას და სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას. სამივე ხელისუფლება თანაბრად დამოუკიდებელია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და კონტროლს უწევს დანარჩენ ორ ხელისუფლებას, ანუ მოქმედებს ურთიერთკონტროლისა და ბალანსის მექანიზმი (checks and balances). უფრო დეტალურად ეს საკითხი შეგიძლიათ იხილოთ სახელმძღვანელოს კონსტიტუციური სამართლის თავში.



**საჯარო მმართველობა** არის სახელმწიფოს საქმიანობა თავისი მიზნების განსახორციელებლად, რაც არც კანონშემოქმედებით საქმიანობას წარმოადგენს და არც მართლმსაჯულებას.<sup>1</sup>

**მთავრობა** არის აღმასრულებელი ხელისუფლება და საჯარო მმართველობის განხორციელების ძირითადი რგოლი. მთავრობის ძირითადი დანიშნულებაა საჯარო მმართველობის განხორციელება. მთავრობა არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა და მართლმსაჯულება. მთავრობა პასუხისმგებელია საჯარო მართვის ეფექტურობისათვის. მთავრობა ახორციელებს საჯარო მმართველობას პარლამენტის მიერ მიღებული **კანონების საფუძველზე** და მათ შესასრულებლად. მთავრობა უფლებამოსილია, გამოსცეს კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები (მაგ. დადგენილება, განკარგულება, ბრძანება, გადწყვეტილება) და არა კანონები. მმართველობის სფეროს ეკუთვნის, მაგალითად, სსიპ აღსრულების ეროვნული სააგენტოს საქმიანობა, რომელიც აღასრულებს

1. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, პაატა ტურავა, ნათია ნკეპლაძე, თბილისი 2010, გვ 16.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს. მთავრობაში შედის, აგრეთვე, განათლების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობას განათლების სფეროში.

პარლამენტი ყოველთვის კანონშემოქმედი, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი იღებს ახალ კანონებს და პარლამენტის ეს საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო მმართველობას და არ წესრიგდება ზოგადი ადმინისტრაციული სამართლით. გამონაკლისია პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების



განხორციელება, რაც საჯარო მმართველობას მიკუთვნებული საქმიანობაა. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარეს შეუძლია, გამოსცეს ბრძანება და დაანესოს წესები პარლამენტის შენობაში სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ტურების გამართვის თაობაზე, პარლამენტის თავმჯდომარე განსაზღვრავს საპარლამენტო ბიუჯეტს და ა.შ. პარლამენტის თავმჯდომარის ასეთი საქმიანობის განხორციელება ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფეროში.

სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას და ეს საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო მმართველობას და შესაბამისად, არ წესრიგდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. გამონაკლისია სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ზოგიერთი ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელება. მაგალითად,

სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანება და დაადგინოს წესები სასამართლოს შენობაში სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ტურების გამართვის თაობაზე, სამსახურში მიიღოს და გაათავისუფლოს სასამართლოს მდივნები, თანაშემწეები და სხვა თანამშრომლები, მოსამართლეების გარდა და ასეთი საქმიანობა წარმოადგენს საჯარო მმართველობის იმ სფეროს, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლით წესრიგდება.

**ადმინისტრაციული ორგანო:**

- სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი არის ადმინისტრაციული ორგანო. სამართლებრივ ურთიერთობებში მას წარმოადგენენ საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, სამინისტროები, დამოუკიდებელი იურიდიული პირები: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კონტროლის პალატა.
- ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები: მერია, გამგეობა, საკრებულო.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) შესახებ კანონის საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები (იუსტიციის სახლი, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საჯარო სკოლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სხვა).

ადმინისტრაციული ორგანო:  
ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. სზაკ, მუხლი 2,1 "ა"

## 6. ზოგადი ადმინისტრაციული საგარეო პრინციპები

### 1. კანონის წინაშე თანასწორობა

საქართველოს მთავარი კანონის, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

კანონის წინაშე თანასწორობა ილია ჭავჭავაძემ თავის ნარკვევში "კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ" ასე განმარტა:

"კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისა და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს".



ილია ჭავჭავაძე

კანონის წინაშე თანასწორობა:

1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.  
2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე, მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.  
3. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადანყვებულების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

სზაკ, მუხლი 4.

#### მაგალითი:

თქვენ ხართ საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. 2012 წლის 10 სექტემბერს სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება ჯინსებით გაკვეთილებზე გამოცხადების აკრძალვის თაობაზე. აღნიშნული აკრძალვის თაობაზე სკოლის ყველა მოსწავლეს ეცნობა წინასწარ. 2012 წლის 15 სექტემბერს გაკვეთილის დროს დირექტორმა შენიშნა, რომ თქვენ და თქვენს 3 კლასელს ჯინსის შარვალი გეცვათ. დირექტორმა თქვენ შენიშნა მოგცათ და არავითარი რეაგირება არ მოახდინა დანარჩენების მიმართ. კანონის წინაშე თანასწორობა დაცულია, როდესაც:

**ვარიანტი 1.** დირექტორი უცხადებს საყვედურს სკოლის ყველა იმ მოსწავლეს, ვინც იმ დღეს ჯინსებში ჩაცმული გამოცხადდა სკოლაში და მათ შორის თქვენც.

**ვარიანტი 2.** დირექტორი არ უცხადებს საყვედურს არც ერთ მოსწავლეს.



უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე: ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. სზაკ, მუხლი 5.

## 2. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. კანონის უზენაესობის პრინციპი ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონისგან გადახვევას და ამასთან ერთად მათ ავალდებულებს კანონის გამოყენებას. კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფა იწვევს მმართველობითი ღონისძიების მართლწინააღმდეგობას.

### მაგალითი:

თქვენ ხართ საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე. გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სკოლის მასწავლებელმა შენიშნა, რომ თქვენ საუბრობთ მობილური ტელეფონით და ხელს უშლით მას გაკვეთილის ჩატარებაში. კლასში წესრიგის დარღვევის გამო მასწავლებელმა დაგაკისრათ ჯარიმა 250 ლარი და გადმოგცათ სკოლის საბანკო ანგარიშის ნომერი, სადაც მითითებული თანხა უნდა გადაგერიცხათ დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში.

**შენიშვნა:** არ არსებობს კანონი, რომელიც კლასში წესრიგის დარღვევისათვის ითვალისწინებს ჯარიმას, თუმცა მასწავლებელი ვალდებულია, გაკვეთილის მიმდინარეობის დროს იზრუნოს და დაიცვას კლასში წესრიგი, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს გაკვეთილის მოსმენის და ცოდნის მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

ა. მასწავლებელი მოიქცა სწორად და თქვენ და თქვენი მშობლები ვალდებული ხართ, გადარიცხოთ 250 ლარი სკოლის ანგარიშზე.

ბ. მასწავლებელი მოქმედებდა კანონის საწინააღმდეგოდ და თქვენ არ ხართ ვალდებული, გადაიხადოთ ჯარიმა.

## 3. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

### მაგალითი:



თქვენ საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ხართ. მათემატიკის მასწავლებლის შვილი თქვენი კლასელია. თქვენ მისგან გადაიწერეთ საკონტროლო მათემატიკაში და ეს ცნობილი გახდა თქვენი მათემატიკის მასწავლებლისათვის. სკოლის წესების თანახმად, აკრძალულია დავალებებისა და საკონტროლო ნამუშევრების სხვა მოსწავლისაგან გადაწერა და ასეთის აღმოჩენის შემთხვე-





ვაში შესრულებული დავალების ნიშნები უქმდება მასწავლებლის გადანაცვების საფუძველზე. გადანაცვების მიღების წინ მასწავლებელი ხვდება ორივე მოსწავლეს, ისმენს მათ ახსნა - განმარტებებს და არკვევს, თუ ვინ დაარღვია წესები. ასე მოიქცა თქვენი მასწავლებელი და გააუქმა თქვენი ნიშანი.

ა. მასწავლებელი მოიქცა წესების დაცვით, რადგან თქვენი მხრიდან გადაწერის ფაქტი გამოიკვლია და მოქმედი წესების შესაბამისი ზომა გამოიყენა. იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ ნამდვილად დაარღვიეთ სკოლის წესები მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, რომ საქმეში ჩართული მეორე მოსწავლე მასწავლებლის შვილი იყო.

ბ. მასწავლებელს არ ჰქონდა თქვენი და საკუთარი შვილის საქმის განხილვის უფლება და მას ეს საკითხი განსახილველად უნდა გადაეცა დირექტორისათვის.

საქმის მიუკერძოებლად გადანაცვება: ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადანაცვებაზე.

#### 4. კეთილსინდისიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპი

მაგალითი:

##### დაპირება 1.

თქვენ სწავლობთ საჯარო სკოლის მე-12 კლასში. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა სასწავლო სემესტრის დასაწყისში ჩავიტარათ სკოლის პროგრამით გათვალისწინებული არასავალდებულო ტესტირება. მოსწავლეთა უმრავლესობამ მიიღო დაბალი შეფასება, მათ შორის თქვენც. მასწავლებელმა გამოაცხადა, რომ ეს შეფასება მას დაეხმარება სასწავლო პროგრამის დახვეწა-განვითარებაში და სკოლის განცხადებათა დაფაზე გამოაკრა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წინასწარი ტესტირების შედეგები არ იქონიებს გავლენას წლის საბოლოო შეფასებაზე;

##### დაპირება 2.

საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ხართ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი დაგპირდათ, რომ დაგეხმარებათ საბოლოო გამოცდისათვის მაღალი შეფასების მიღებაში და 2 ქულით უფრო მაღალ შეფასებას დაგიწერთ საბოლოო გამოცდაზე.

ენდობით თუ არა ამ დაპირებებს? რომელს ენდობით და რომელს არა? რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

კეთილსინდისიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

- ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;
- ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;
- გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება. სზაკ, მუხლი.



**პასუხი:** დაპირება 2 ეწინააღმდეგება კანონს, ანუ არის უკანონო და მას არ უნდა ენდოთ.

**საქვეყნობა:**

ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. სზაკ, მუხლი 10.

**პასუხი:**

აღნიშნული ინფორმაცია არის ღია და ყველასათვის ხელმისაწვდომი, რადგან იგი არ განეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციათა კატეგორიას.

**5. საქვეყნობა**

**კითხვა**

თქვენ გაინტერესებთ საჯარო სკოლის დირექტორის ხელფასის და პრემიების ოდენობა? არის თუ არა ეს ინფორმაცია ღია ყველასათვის? რატომ?

**6. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება:**

ადმინისტრაციულ ორგანოს მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისა და მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს, შეიძლება გააჩნდეს დისკრეციული უფლებამოსილება.

**მაგალითი:**

ხართ საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე. სკოლის წესების თანახმად, გაკვეთილების მიმდინარეობის დროს აკრძალულია მობილური ტელეფონით სარგებლობა. ამ წესის სასწავლო სემესტრის განმავლობაში პირველად დარღვევის შემთხვევაში მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეს საჯაროდ. ამ წესის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მასწავლებელი, ჩამოართმევს ტელეფონს მოსწავლეს გაკვეთილის დასრულებამდე. ამ წესის მესამედ დარღვევის შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია, ჩამოართვას მოსწავლეს ტელეფონი ყველა იმ გაკვეთილზე, რომელიც მას მიჰყავს მთელი სემესტრის განმავლობაში, ან საბოლოო შეფასების დროს გაითვალისწინოს მოსწავლის მიერ წესრიგის სისტემატური დარღვევა და დააკლოს მას 2 ქულა (კრედიტი).

თქვენ ძალიან გიყვართ მეგობრებთან მობილური ტელეფონით კომუნიკაცია, ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა და მათი მიღება. ხელიდან არ უშვებთ თქვენს არაჩვეულებრივ iPhone 10-ს. გაფრთხილების მიუხედავად მაინც აგრძელებთ ტელეფონით სარგებლობას გაკვეთილებზე. ისტორიის მასწავლებელმა ერთხელ უკვე გაგაფრთხილათ, მეორე დღეს კი იგივე დარღვევისათვის ტელეფონი ჩამოგართვათ. ამის შემდეგ, ისტორიის ერთ - ერთ გაკვეთილზე დაგავინყდათ მობილური ტელეფონის გამორთვა და მეგობარმა დაგიმესიჯათ. მასწავლებელს ეს არ დარჩა უყურადღებოდ და მან გამოგიცხადათ საკუთარი გადანყვეტილება საბოლოო შეფასების 2 კრედიტით შემცირების თაობაზე.

**განვიხილოთ პირველი შემთხვევა** - მასწავლებელს არ აქვს მოქმედების თავისუფლება, მას მხოლოდ ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს - იგი ვალდებულია, გამოიყენოს გაფრთხილება.

**განვიხილოთ მეორე შემთხვევა** - მასწავლებელს აქვს თავისუფლება, მიიღოს ორი შესაძლო გადაწყვეტილება, ამ თავისუფლებას სხვანაირად დისკრეცია ჰქვია. მასწავლებელს აქვს მინიჭებული ის უფლება, რომ ამ ორი შესაძლო კანონიერი გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ერთ-ერთი, მისი აზრით, ყველაზე უფრო მისაღები. თუმცა მან კარგად და დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ირჩევს რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს.



## 7. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები

როგორ ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობას? როგორც უკვე აღვნიშნეთ პარლამენტი იღებს კანონებს, სასამართლო იხილავს საქმეებს, იღებს გადაწყვეტილებებს და გამოაქვს განაჩენები. როგორ მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანო?

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმებია:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
2. უბრალო მმართველობითი საქმიანობის განხორციელება - რეალაქტი;
3. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება.

### 7.1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

დაბადების მოწმობა არის თქვენი პირველი ოფიციალური დოკუმენტი (საბუთი), რომელიც ადასტურებს თქვენს კონკრეტულ დროსა და ადგილას დაბადების ფაქტს. ეს დოკუმენტი აუცილებელია იმისათვის, რომ შესაბამისი ასაკის მიღწევისას ჩაირიცხოთ სკოლაში. ამ საბუთის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თქვენი სახელის, გვარის და დაბადების თარიღის გარკვევა.



დაბადების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან თქვენ ხდებით საჯარო მმართველობის პროცესის მონაწილე. თუმცა ამ ურთიერთობაში თქვენ წარმოადგენენ თქვენი მშობლები. დაბადებისთანავე თქვენ გხვდებათ კონკრეტული წესები, რომელთა შესრულება სავალდებულოა. ამ წესების თანახმად, თქვენი დაბადების ფაქტის რეგისტრაცია სავალდებულოა სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (იუსტიციის სახლი). თქვენი მშობლები ირჩევენ თქვენთვის სახელს, განიჭებენ გვარს, მიდიან იუსტიციის სახლში (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში) და მიმართავენ ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით თქვენი დაბადების ფაქტის რეგისტრაციის თაობაზე. თქვენი დაბადების ფაქტის რეგისტრაცია და დაბადების მოწმობის გაცემა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. როგორც უკვე ვთქვით, თქვენი დაბადების რეგისტრაცია მოხდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საშუალებით. სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განაწყვეტილება, თქვენი დაბადების ფაქტის რეგისტრაციის თაობაზე, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მისი გამოცემა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესების საფუძველზე. კერძოდ, იმისათვის, რომ სამოქალაქო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თქვენი დაბადების ფაქტის რეგისტრაციის თაობაზე, თქვენმა მშობლებმა სააგენტოში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:


- ქორწინების მოწმობა;
- პირადობის დამადასტურებელი საბუთები (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი თქვენი დაბადების თაობაზე.

მხოლოდ მითითებული საბუთების წარდგენის შემთხვევაში სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უჩნდება ვალდებულება, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი თქვენი დაბადების რეგისტრაციის თაობაზე და გადასცეს თქვენს მშობლებს თქვენი დაბადების დამადასტურებელი მონმოზა.

**7.2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია**

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ესენია ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტები. გამოცემის ფორმის მიხედვით ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტი შეიძლება იყოს წერილობითი და ზეპირი. ზემოქმედების ხასიათის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება იყოს აღმჭურველი და ამკრძალავი ან შემზღუდავი.

**აღმჭურველია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.**



აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მაგალითები:

1. სოფელ მეორე სვირის საკრებულოს გამგებლის 2010 წლის 10 აპრილის დადგენილება „გ. სულაქველიძისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე.“
2. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N 29 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ავტომანქანების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების შესახებ“.

საქართველოს პრეზიდენტის  
განკარგულება  
2007 წლის 29 იანვარი

N 29

ქ.თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ავტომანქანების

**პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების შესახებ**

1. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 6 ერთეული ავტომანქანა, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, თითოეული 1 (ერთი) ლარის ღირებულებით, გადაეცეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ მოსამართლეებს:

**ზაურ ჯინჯოლაძეს** (პირადი N 01008000879; პირადობის მოწმობის Nბ0169763) – ა/მანქანა „მაზდა ქსედოქს 925“ სახელმწიფო ნომერი VIV 070;

**ოთარ ბენიძეს** (პირადი N 02001013717; პირადობის მოწმობის Nე0070410) - ა/მანქანა „მერსედეს-ბენც 280“, სახელმწიფო ნომერი AVA 757);

**ნიკოლოზ შაშკინს** (პირადი N 01024017290; პირადობის მოწმობის Nბ0140991) – ა/მანქანა „გაზ 3110“, სახელმწიფო ნომერი WWV 945;

**იაკობ ფუტყარაძეს** (პირადი N 01023003313; პირადობის მოწმობის Nდ0096381) – ა/მანქანა „მერსედეს-ბენც 230“, სახელმწიფო ნომერი VIV 460;

**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს** (პირადი N 01008011052; პირადობის მოწმობის Nგ0122898) – ა/მანქანა „მერსედეს-ბენც 260“, სახელმწიფო ნომერი VIP 748;

**ლამარა ჩორგოლაშვილს** (პირადი N 01024017013; პირადობის მოწმობის N 0009320) - ა/მანქანა „მერსედეს-ბენც 230“, სახელმწიფო ნომერი MWM 746.

2. ამ განკარგულებით გათვალისწინებულმა პირებმა უზრუნველყონ საპრივატიზებო თანხის გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში.

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (გ.არველაძე) ამ განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

**მიხეილ სააკაშვილი**

**შეკითხვა: სკოლაში ჩატარებული კონკურსის საფუძველზე სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება მე-12 კლასის სანიმუშო მოსწავლის ნოდების თქვენთვის მინიჭებისა და ჯილდოს სახით საჩუქრად Ipad-ით თქვენი დაჯილდოების თაობაზე. არის თუ არა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი? დადებით შემთხვევაში რა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია ?**

**7.3. ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტი**

ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის ნიშნები:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ;
2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია ადმინისტრაციული კანონმდებლობა;
3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეეხება განსაზღვრულ პირს (განსაზღვრულ პირთა ჯგუფს ) ან განსაზღვრულ პირთა ჯგუფს და მიღებულია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ;
4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა წრის სამართლებრივ მდგომარეობას (უფლებებსა და მოვალეობებს), ცალმხრივად აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობას და წარმოშობს შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციულ -სამართლებრივ შედეგს.

რეალურად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ტექსტი.

**პასუხი:** ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს, ანუ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის, საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი — ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

სზაკ მე-2 მუხლი, 1-ლი ნაწილი დ) ქვეპუნქტი

დოკუმენტი არ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, თუ იგი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ რომელიმე პირობას.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი არის დოკუმენტი, რომელიც ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ შედეგს წარმოშობს. არ ითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტად ადმინისტრაციული ორგანოს დარიგება, ახსნა-განმარტება, რეკომენდაცია, რჩევა ან სხვა ისეთი დოკუმენტი, რომელიც არ წარმოშობს შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ შედეგს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მაგალითი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო**  
**თბილისის ტერიტორიული სამსახური**

გადაწყვეტილება N 882011277863-03 (15.12.2012)

**სამოქალაქო აქტის - დაბადების რეგისტრაციის შესახებ**

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No. 882011277863; 10 დეკემბერი 2012; განმცხადებელი: დიმიტრი გელოვანი, მისამართი: თბილისი, მესხიშვილის I შეს. N 3). განცხადებით მოითხოვს შვილის ალექსანდრე გელოვანის დაბადების რეგისტრაციას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბავშვი დაიბადა 2012 წლის 9 დეკემბერს ქ. თბილისში. ბავშვის მშობლები არიან ალექსანდრე გელოვანი და ელენე გელოვანი.

განცხადებაზე თანდართულია:

1. ქორწინების მოწმობა;
2. პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა);
3. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ალექსანდრე გელოვანის დაბადების თაობაზე.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში შეიძლება, გასაჩივრდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარესთან (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს 2).

**7.4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა**

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა განიხილება მისი სამართლებრივი შედეგის დადგომის სავალდებულო წინაპირობად. გამონაკლისებს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (ზეპირი ადმინისტრაციული აქტი, დაუყოვნებლივი აღსრულება) და სხვა კანონები (მაგ. ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“, ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის გადაცემას მნიშვნელობა აქვს მისი გასაჩივრების ვადის ათვისისათვის. შემდეგი მოქმედებები განსაზღვრავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლას და იმ მომენტს, საიდანაც აითვლება მისი გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა:

- დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემა ( ჩაბარება);
- ფოსტის მეშვეობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნა;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადება.

**მაგალითი:**

2012 წლის 10 სექტემბერს საჯარო სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება ჯინსებით სკოლის გაკვეთილებზე გამოცხადების აკრძალვის თაობაზე, რის შესახებაც სკოლის ყველა მოსწავლეს ეცნობა წინასწარ. კერძოდ, ბრძანების ტექსტი გამოკრულ იქნა სკოლის დერეფანში განთავსებულ კედლის დაფაზე. ჩაითვლება თუ არა ეს დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო გამოცხადებად?

**შენიშვნა:** დირექტორის ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.



ან მეორე ვარიანტი - დირექტორის ბრძანების ტექსტი გამოცხადდა სკოლაში საჯაროდ, ხმამაღლა მეგაფონის გამოყენებით.

ჩაითვლება თუ არა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო გამოცხადებად?



**7.5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება**

როგორ ვამოწმებთ კანონიერია თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

ინდივიდუალური -ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების ფორმალური კრიტერიუმებია:

- გამოიცა თუ არა იგი უფლებამოსილი პირის მიერ;
- დაცულია თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა, გააჩნია თუ არა მას კანონით გათვალისწინებული რეკვიზიტები;
- არსებობს თუ არა ადმინისტრაციული სამართლის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს გარკვეული ქმედების შესრულებას ავალდებულებს;
- ემსახურება თუ არა ეს ნორმა კონკრეტული პირის ინტერესებს ( არ შეიძლება იყოს საკუთარი გემოვნებისა თუ წარმოდგენების საფუძველზე წარმოშობილი ინტერესი).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მეგაფონის მეშვეობით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცხადება არ ჩაითვლება საჯაროდ გამოცხადებად. სკოლის დერეფანში განთავსებულ დაფაზე ბრძანების ტექსტის გამოქვეყნება ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო გამოცხადებად, რადგან კანონის მოთხოვნა არის შემდეგი:

**მუხლი 57. საჯაროდ გამოცხადება.**  
საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება, აგრეთვე, სხვა საჯარო ადგილას.

**რა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების არსებით დარღვევად?**

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

**ვის შეუძლია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა?**

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო საჩივრის ან საარჩელის შემთხვევაში – ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს.

**7.6. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:**

- ა.** შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა;
- ბ.** გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- გ.** მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო;
- დ.** მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

**არარა** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გულისხმობს ფაქტობრივად გამოცემულ, გაფორმებულ თუ დაწერილ დოკუმენტს, რომელიც ფორმალურად გამოიყურება, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ იმდენად სერიოზული დარღვევებით არის გამოცემული, რომ მისი არსებობა არავითარ შედეგს არ წარმოშობს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებობს მხოლოდ ქალაქად და არ არსებობს, როგორც სამართლებრივი აქტი, ანუ იგი არ არსებულია სამართლებრივი თვალსაზრისით და არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია.

**მაგალითი:**

საჯარო სკოლის მასწავლებელმა გამოსცა ბრძანება სკოლიდან თქვენი ვარიცხვის თაობაზე. კანონით ამის უფლება მხოლოდ სკოლის დირექტორს აქვს.

1. კანონიერია თუ არა მასწავლებლის ბრძანება?
2. ხომ არ არის ეს ბრძანება არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი? პასუხი დაასაბუთეთ.



**სწორი პასუხი:**

2 - სკოლის მასწავლებლის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, რადგან გამოიცა არაუფლებამოსილი პირის მიერ, ანუ იმ პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამდენად, ეს არარა აქტია.



## 7.7. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

### ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მაგალითები:

- თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;
- შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების და მართვის უფლების მინიჭების წესების დამტკიცების თაობაზე“;
- ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება „ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის - ”ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ დამტკიცების შესახებ“;
- ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება „ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“.

**კანონის ფორმულირება:** ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის (ანუ კანონის) საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

### ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

თბილისის მერის გადაწყვეტილება ლესელიძის ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობის შემოღების შესახებ, გავრცელდება განუსაზღვრელ პირთა წრეზე, ანუ ყველაზე, ვინც ამ ქუჩას გაივლის. ეს არის მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგადი წესი, ანუ **ქცევის ნორმა**, რომელიც მოქმედებს მისი გამოცემიდან განუსაზღვრელი ვადით განუსაზღვრელ პირთა წრეზე მანამ, სანამ მერი მას არ შეცვლის ან არ გააუქმებს.

### ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

თბილისის მერის გადაწყვეტილება, ლესელიძის ქუჩაზე ახალი წლის ღამეს, 2012 წლის 31 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე გასამართი კონცერტის გამო, ავტომობილით გადაადგილების აკრძალვის თაობაზე, არის მერის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არ ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, იგი ადგენს ქცევის კონკრეტული დროებითი ხასიათის, ერთჯერადად შესასრულებელ წესს.

### მიაქციეთ ყურადღება!

ყველა კანონი, მათ შორის საქართველოს კონსტიტუცია, ნორმატიული სამართლებრივი აქტია!

### დაიმახსოვრეთ!

არც ერთი კანონი არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმატიული აქტი! ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები:

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
- საქართველოს კანონი “ნორმატიული აქტების შესახებ”.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა:

- ყოველთვის წერილობითი.

### კითხვები:

1. ინდივიდუალურია თუ ნორმატიული თბილისის იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის უფროსის გადაწყვეტილება 6 წი მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე?
2. ინდივიდუალურია თუ ნორმატიული საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება გაკვეთილებზე ჯინსებით გამოცხადების აკრძალვის თაობაზე?

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი- უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის (ანუ კანონის) საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

სზაკ, მუხლი მე-2, 1 ნაწილი, პუნქტი “ე”.

ინდივიდუალურია, რადგან ეხება პირთა შეზღუდულ წრეს და არ ადგენს ქცევის ზოგად წესებს. ეს ბრძანება გავრცელდება მხოლოდ მასში მითითებულ პირებზე.

სკოლის დირექტორის ბრძანება არის ნორმატიული ხასიათის. იგი ადგენს ქცევის ზოგად წესს სკოლის მოსწავლეთათვის და ყველა იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც ამ სკოლაში ჩაირიცხებიან მომავალში, ანუ მოსწავლეთა წრე არის განუსაზღვრელი.

## 7.8. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოყენის წესები

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული აქტი მოამზადოს და გამოსცეს მარტივი, ფორმალური ან საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება ძალიან იშვიათია და მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ სპეციალური კანონი პირდაპირ ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს მის გამოყენებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სახელმძღვანელოში, თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ, მხოლოდ მარტივ და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესებსა და თავისებურებებზე.

ჩვეულებრივ, თუ კანონი სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას არ ითვალისწინებს, ადმინისტრაციული ორგანო ამზადებს და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ადმინისტრაციული წარმოების ასეთი წესი მარტივია მხოლოდ უფრო რთულ, ფორმალურ თუ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან შედარებით, მაგრამ რეალურად განხორციელების თვალსაზრისით, ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარმოების ეს წესი საკმაოდ რთული და შრომატევადია.


## 8. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

არ ითვალისწინებს ზეპირი მოსმენის გამართვას.

### ადმინისტრაციული წარმოების საფუძვლები.

იმისათვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, აუცილებელია, ერთ - ერთი ქვემოთ მითითებული საფუძვლის არსებობა:

- დაინტერესებული პირის განცხადება;
- ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი.



თუ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაინტერესებული პირის განცხადება გაატაროს რეგისტრაციაში მისი მიღების დღესვე, დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. განმცხადებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება. ეს უფლება წარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს კიდევ ერთ ვალდებულებას, გაუგზავნოს ან გადასცეს განმცხადებელს განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება. აღნიშნულ ნორმას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ითვალისწინებს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოების განხორციელებისას, კანონით დადგენილი ვადების დაცვის ვალდებულებას.

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტი, თქვენი დაბადების ფაქტის რეგისტრაციის თაობაზე, გამოიცა სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი გახდა თქვენი მშობლების განცხადება.**

**განცხადების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება**

ადმინისტრაციული ორგანო სამი დღის ვადაში ამოწმებს განცხადების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას და უფლებამოსილია განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. ეს ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები, მაგრამ განმცხადებლის თხოვნით ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ - არა უმეტეს 15 დღით. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მაგალითად, თუ ბავშვის დაბადების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ განცხადებასთან ერთად არ არის წარდგენილი მშობლების ქორწინების მონმობა ან სამედიცინო ცნობა ბავშვის დაბადების თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანო განუსაზღვრავს განცხადების შემომტან პირებს ვადას ამ დოკუმენტების წარმოსადგენად. თუ ქორწინების მონმობა წარდგენილ იქნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაწესებულ ვადაში, ადმინისტრაციული ორგანო დაიწყებს მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას განუხილველად დატოვებს.

**ადმინისტრაციული წარმოების ენა**


განსაკუთრებული ყურადღება კანონმა დაუთმო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებას სახელმწიფო ენაზე და თუ განცხადება ან დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია, წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამონმებული თარგმანი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მისცეს მას ამისათვის ვადა, რომელიც 3 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საქართველოს კონსტიტუციის მე- 8 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აფხაზეური.

**მაგალითი:**

1. 2010 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი ახალი რკინიგზის სადგურის მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად. 2010 წლის 5 დეკემბერს სამინისტროში დარეგისტრირდა 3 სამეწარმეო სუბიექტის განაცხადი. ერთი კომპანიის მიერ პროექტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ინგლისურ ენაზე, მეორე კომპანიის მიერ - რუსულ ენაზე და მესამე კომპანიის მიერ - გერმანულ ენაზე. განაცხადების განხილვის შედეგად სატენდერო კომისიამ 2010

**დაირღვა**  
 ადმინისტრაციული  
 წარმოების ენა.  
 ადმინისტრაციულ  
 ორგანოს უნდა  
 განესაზღვრა  
 დაინტერესებული  
 პირებისათვის ვადა,  
 დოკუმენტების  
 ქართულ ენაზე  
 წარმოსადგენად.



ნლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადა გერმანული კომპანია და გადაწყვიტა მასთან ხელშეკრულების გაფორმება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რა მოთხოვნები დაარღვია ადმინისტრაციულმა ორგანომ და როგორ უნდა მოქცეულიყო იგი?

**სამართლებრივი დახმარების განვეის ვალდებულება**

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაუწიოს დაინტერესებულ მხარეს სამართლებრივი დახმარება, მათ შორის, განუმარტოს მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. ეს ვალდებულება აკისრებს ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირებს სამსახურებრივ მოვალეობას, სამართლებრივად დაეხმარონ ყველა იმ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ასეთი დახმარება სჭირდება.

**ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული გამართოს ზეპირი მოსმენა.**

მარტივი ადმინისტრაციული წარმოება არ ითვალისწინებს ზეპირი მოსმენის გამართვას. ბავშვის დაბადების რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციის

ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ხდება ერთ დღეში, ყოველგვარი სხდომისა და ზეპირი მოსმენის გამართვის გარეშე.

**დაინტერესებული მხარის წარმოებაში ჩართვა და მოსმენა**

**პირველი წესი:** მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დროს ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული, იგი უფლებამოსილია, ჩააბას წარმოებაში დაინტერესებული მხარე და მოუსმინოს მას.

**მეორე წესი:**

ა) ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაინტერესებული მხარე ჩააბას და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, მისცეს საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, თუ ადმინისტრაციული აქტით მისი სამართლებრივი მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს.

ბ) ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მოუსმინოს დაინტერესებულ პირს და მისცეს მას საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე:

- ა) თუ ასეთი უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ;
- ბ) თუ ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან.

**გამონაკლისი:** ამ ვალდებულების შესრულებისაგან ადმინისტრაციული ორგანო

თავისუფლდება, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება, არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს.

**მაგალითი:**

განმცხადებელი მოითხოვს ავტომანქანის მართვის უფლებას და წარუდგენს ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამის დოკუმენტებს. მის მიერ წარდგენილი დაბადების მოწმობის ასლის თანახმად განმცხადებელი 18 წლის არის. მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ მოიპოვა განმცხადებლის დაბადების მოწმობის დედანი, რომლის თანახმადაც განმცხადებელი არის 15 წლის, რაც მართვის უფლების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, ინფორმაცია განმცხადებლის ასაკის თაობაზე, წარდგენილი განმცხადებლის მიერ და ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაციული ორგანოს უარი, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამის გამო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მოუსმინოს დაინტერესებულ პირს და მისცეს მას საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე.

**ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებათა გამოკვლევა**

ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მას ეკისრება ვალდებულება, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადები:**

- ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს 15 დღე ადმინისტრაციული წარმოებისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, თუ ადმინისტრაციული აქტი არ ეხება მესამე პირის ინტერესებს;
- ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ერთი თვე ყველა დანარჩენ შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს უფლება 3 თვემდე გაზარდოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა.

**ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენის წესი**

განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, განცხადება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება, წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინ-



ისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განხილვის გარეშე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ითქვა უარი.



მაგალითი:

2005 წლის 15 აგვისტოს თბილისის მერიამ უარი უთხრა მოქალაქე ივანე ნონიკაშვილს გარე რეკლამის განთავსებაზე იმ მოტივით, რომ მის მიერ წარდგენილი რეკლამა იყო არასათანადო და შეჰყავდა მომხმარებელი შეცდომაში, რადგან ჰპირდებოდა მას "საქართველოში ყველაზე კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას".

2006 წლის 17 იანვარს ივანე ნონიკაშვილმა მიმართა მერიას ახალი განცხადებით გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების მიზნით და აღნიშნა, რომ რეკლამაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, სთავაზობდა მომხმარებელს მხოლოდ „კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას“ და არა საქართველოში ყველაზე კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას.

მერიამ უარი უთხრა ივანე ნონიკაშვილს ახალი განცხადების განხილვაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენა არ დაიშვება.

- კანონიერია თუ არა მერიის გადაწყვეტილება?

**პასუხი:**  
მერიის გადაწყვეტილება არ არის კანონიერი. ი. ნონიკაშვილის განცხადება ეფუძნება ახალ გარემოებას და განმცხადებელი მოითხოვს ახალი სარეკლამო განაცხადის განთავსებას, რისი უფლება განმცხადებელს სზაკ 102 მუხლის თანახმად გააჩნია.

## 9. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

### ზეპირი მოსმენა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ძალიან ჰგავს სასამართლო წარმოებას და სასამართლო სხდომას, თუმცა მას არ ატარებს მოსამართლე. გამოიყენებენ ტერმინს "კვაზი სასამართლო", ანუ ვითომ სასამართლო, სასამართლოსთან მიმსგავსებული. ზეპირი მოსმენა საჯარო წარმოების აუცილებელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს სპეციალურად გამოყოფილ დარბაზში სასამართლო პროცესის მსგავსი სხდომის ჩატარებას, რომელსაც ხელმძღვანელობს საკითხის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი (ან რამდენიმე პირი ერთად, კოლეგიურად). ამ სხდომაზე მიწვეულები არიან და მონაწილეობენ მხარეები - განმცხადებელი და დაინტერესებული პირები, აგრეთვე, ის პირები, რომელთაც უბრალოდ დასწრების სურვილი და ინტერესი გააჩნიათ. მონაწილე მხარეებს საკუთარი, კანონით წინასწარ დადგენილი უფლებები გააჩნიათ და ადმინისტრაციულ ორგანოს - გარკვეული ვალდებულებები და შესასრულებლად სავალდებულო პროცედურები. სხდომები საჯარო საზოგადოებისათვის და არ უნდა იმართებოდეს დახურულ კარს მიღმა. არსებობს მხარის უფლება, წარმოადგინოს საჭირო ინფორმაცია, მისცეს ახსნა-განმარტება, იყოლიოს დამცველი და გაასაჩივროს საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება.

### ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის ჩასატარებელი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების თავისებურებანი:

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს **კანონით პირდაპირ** არის გათვალისწინებული.

**შენიშვნა:** ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს შემდეგ 5 შემთხვევას, რა დროსაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა საჯარო წარმოების წესით:

- სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვა;
- ლიცენზირება;
- გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემა;
- სტანდარტიზაცია;
- სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილება;
- ნორმატიული აქტის გამოცემა.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, თავისი გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული აქტი გამოსცეს საჯარო წარმოების წესების დაცვით, თუ იგი ეხება **პირთა ფართო წრის ინტერესებს**, რისთვისაც სჭირდება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.

### 1. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნების ვალდებულება.

#### ცნობაში მიეთითება:

- ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი;
- განცხადების ან ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;
- ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;
- საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

უფლებამოსილია ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, თუმცა იგი არ არის ვალდებული, გამოიყენოს ეს წესი.

ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების ასლები და დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს.

ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან, რა დროსაც პირი უფლებამოსილია, არ მიუთითოს თავისი ვინაობა. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დოკუმენტზე აღნიშნოს მისი რეგისტრაციის თარიღი.

განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში **პროექტის მომზადებისა** და გამოქვეყნების ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში, მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. კანონი ან კანონქვემდებარე აქტი, შესაძლოა, ადგენდეს გასხვავებულ ვადას.

**ზეპირი მოსმენის გამართვის აუცილებლობა** და ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ზეპირი მოსმენის გამართვიდან **10 დღის ვადაში**.

ამ წესის თანახმად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

თუ კანონით, ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, გათვალისწინებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესახებ.

გამოცემული ადმინისტრაციული აქტის **გამოქვეყნების** ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს.

## 10. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

**კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო** - ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც შედგება ერთზე მეტი წევრისაგან და სადაც გადაწყვეტილებას იღებს რამდენიმე პირი ერთად, ანუ კოლეგიურად და არა ერთპიროვნულად.

მაგალითად, საჯარო სკოლის დირექტორი არ არის კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, იგი ერთპიროვნული მმართველია და გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად.

პედაგოგთა საბჭო კი არის კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც სხდომის ჩატარების მიზნით იკრიბება და კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას.

როგორც წესი, კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-VI თავით დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესის შესაბამისად. ამ ზოგადი წესების გარდა, ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა განხორცილდეს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია კოდექსის მე-VII თავით. კერძოდ, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება – გადაავზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.





კოლეგიური  
ადმინისტრაციული  
ორგანოს სხდომა

კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამართოს სხდომა, რომელსაც ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად, დანიშნული (არჩეული) სხდომის თავმჯდომარე. სხდომის თავმჯდომარეს სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად.

კვორუმი მნიშვნელოვანია, როგორც კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხდომის გამართვის აუცილებელი წინაპირობა. ამ პრინციპის თანახმად, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე მოწვეულ უნდა იქნეს მისი ყველა წევრი. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა-კვორუმის სახეზეა წევრთა ნახევარზე მეტის დასწრების შემთხვევაში. ანუ კვორუმის არარსებობის შემთხვევაში კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი გამართოს სხდომა. ასეთ შემთხვევაში სხდომა უნდა გადაიდოს.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა სხდომაზე აუცილებლად დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე, მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

**მაგალითი:**

ტრანსპორტის მარეგულირებელმა კომისიამ, რომელიც შედგება 7 წევრისაგან, გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შპს "აირზენასათვის" ფრენის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, რადგან იგი ეხებოდა მხოლოდ ერთ პირს და არა პირთა ფართო წრეს.



დაინიშნა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის დღე - 20 თებერვალი 2007 წელი და სხდომაზე მიწვეულ იქნა კომისიის ყველა წევრი.

სხდომაზე გამოცხადდა კომისიის 4 წევრი, ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ხელმძღვანელობდა სხდომაზე არჩეული სხდომის თავმჯდომარე.

სხდომაზე არ გამოცხადდა შპს "აირზენას" წარმომადგენელი, არადა მას ეცნობა სხდომის გამართვის შესახებ სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე.

ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე, რადგან მას მხარი დაუჭირა კომისიის 3 წევრმა.

შპს "აირზენამ" მიიჩნია, რომ ტრანსპორტის მარეგულირებელმა კომისიამ დაარღვია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, კერძოდ:

1. არის თუ არა ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო?
2. დაირღვა თუ არა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი? დაცულია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების პროცედურა?

### 11. რეალური მოქმედება (რეალაქტი)

**რეალაქტი** არის ადმინისტრაციული ორგანოს უბრალო მმართველობითი საქმიანობა, მოქმედება, რომელიც მიმართულია ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის რეალური მოქმედება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. რეალაქტის სავალდებულო ნიშნებია:

1. განხორციელება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ;
2. განხორციელება მხოლოდ საჯარო სამართლის სფეროს განკუთვნილ საკითხთან დაკავშირებით;
3. მოქმედება და მისი შედეგი გავლენას უნდა ახდენდეს სხვა პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე;
4. გავლენა მიმართული უნდა იყოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისაკენ.

მაგალითად: ქალაქის დასუფთავება და კეთილმოწყობა, გზების გაყვანა და ასე შემდეგ.

## 12. ადმინისტრაციული ხელშეკრულება

თქვენ შეიძინეთ ჰოთ-დოგი სკოლის შენობასთან ახლოს მდებარე კაფე "მხიარული სადილები"-ს გამყიდველთან და გამყიდველს გადაუხადეთ 2 ლარი. რა ჰქვია ამ მოქმედებას იურიდიულ ენაზე?

თქვენ ხართ მყიდველი - კერძო პირი, ხოლო ურთიერთობის მეორე მხარე არის ჰოთ-დოგის გამყიდველი, რომელიც, ასევე, კერძო პირია. თქვენი მოქმედებით თანხმობა გამოხატეთ გამყიდველის მიერ შემოთავაზებული პროდუქტის შეძენაზე იმ პირობებით, რა პირობებსაც გთავაზობთ გამყიდველი. გამყიდველმა თქვენგან მიღებული თანხის სანაცვლოდ გადმოგცათ ჰოთ-დოგი და ჩეკი, რომელიც ადასტურებს თქვენ მიერ 2 ლარის გადახდას. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ ორ კერძო პირს შორის დაიდო **ზეპირი გარიგება**, უფრო კონკრეტულად კი - **ორმხრივი ხელშეკრულება**. ეს ხელშეკრულება თავისი ბუნებით არის სამოქალაქო სამართლებრივი **ნასყიდობის ხელშეკრულება**. ასეთი ხელშეკრულებების დადების და გაუქმების წესები დადგენილია სამოქალაქო სამართლით.

საჯარო სკოლა ყოველდღე ყიდულობს სალათებს და წვეწებს ისევე იმ კერძო პირისაგან (კაფე "მხიარული სადილები") და შემოაქვს სკოლის სასადილოში, სადაც თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ თქვენთვის სასურველი პროდუქტი ქუჩაში გაუსვლელად. ესეც ნასყიდობის ხელშეკრულებაა, ესეც კერძო სამართლებრივი, ანუ სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ხელშეკრულებაა. განსხვავება ის არის, რომ მასში მონაწილე ერთ-ერთი მხარე არის საჯარო სკოლა, ანუ ადმინისტრაციული ორგანო. სკოლას ამ ურთიერთობაში წარმოადგენს სკოლის დირექტორი. განსხვავება ისიც არის, რომ სკოლის დირექტორი კაფე "მხიარულ სადილებს" არ უხდის საკუთარი ჯიბის ფულს. ფული, რომელსაც სკოლის დირექტორი უხდის კაფეს - "მხიარული სადილები" არის სკოლის ბიუჯეტით სკოლისათვის გამოყოფილი ფული, ხოლო სკოლის ბიუჯეტი წარმოადგენს სკოლისათვის ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს. საბოლოო ჯამში სახეზეა ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო პირს შორის დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ასეთი ხელშეკრულება არ შეიძლება, დაიდოს ზეპირად, ის აუცილებლად წერილობითა და მისი დადება რეგულირდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და კანონით "საჯარო შესყიდვების შესახებ" -ეს არის **ადმინისტრაციული ხელშეკრულება**.

### კანონის ფორმულირება:

**ადმინისტრაციული ხელშეკრულება** - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

## 13. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების ბასაჩივრება

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების/რეალაქტის გასაჩივრების წესს.

კერძოდ, კოდექსის 177-ე მუხლის შესაბამისად, **ადმინისტრაციულ საჩივარს** განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

# 4



ადმინისტრაციული საჩივარი არის: დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ამ კოდექსით დადგენილი წესით, წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე, ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის, ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების, ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო .

გარდა აღნიშნულისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ანიჭებს პირს უფლებას თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ზოგიერთი კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, სასამართლოში გასაჩივრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაინტერესებულმა პირმა გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად უფლებამოსილია, მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;**
- ბ. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;**
- გ. ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.**

ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, უფლებამოსილია, ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე, შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

#### 14. ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღია კანონით გათვალისწინებული შემთხვევების, დადგენილი წესით პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გარდა.

**პერსონალური მონაცემების** ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს დებულებას, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემების ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე, თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

**სახელმწიფო საიდუმლოებას** მიკუთვნებული ინფორმაცია, აგრეთვე, განისაზღვრება სპეციალური კანონმდებლობით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ.

რაც შეხება **კომერციულ საიდუმლოებას**, ამის განმარტებას აკეთებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. კერძოდ, კოდექსის თანახმად, კომერციული საიდუმლოება განიშარტა, როგორც ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და, რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

მაგალითად: კოკა-კოლა ან ლალიძის წყლის ფორმულები წარმოადგენენ შესაბამისი კომპანიების კომერციულ საიდუმლოებას.

**დაიმახსოვრეთ!**

**ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.**



ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, არსებობს ორი ტიპის საჯარო ინფორმაცია:

1. ღია;
2. დახურული ან საიდუმლო.

ტერმინი საჯარო არ ნიშნავს აუცილებლად ღიას. საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც ღია, ისე დახურული (საიდუმლო).

ყველა სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, რომელსაც კანონი საჯარო დაწესებულებას უწოდებს, ვალდებულია, მიაწოდოს მოქალაქეს ის საჯარო ინფორმაცია, რომელიც ღია, ანუ არასაიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის დებულება, რომელიც ჩამოთვლის საჯარო ინფორმაციათა იმ სახეობებს, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია. კერძოდ, კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს:

1. ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე, მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
2. საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
3. საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე, გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
4. საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ვვალდებთ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება, ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება (2.03.2001 N 772);
5. კოლექტიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
6. არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
7. საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე, სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
8. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე, საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
9. საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;
10. საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე, მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

11. იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ, გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

12. საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;

13. ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს;

14. მაგალითად, ნებისმიერ მოსწავლეს აქვს უფლება, იცოდეს სკოლაში არსებული გარემოს შესახებ და ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია სკოლის შენობაში ჰაერის ან წყლის დაბინძურების შესახებ ან სხვა.

### როგორ უნდა მოითხოვოთ საჯარო ინფორმაცია?

**მაგალითი:** საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირმა წარადგინა წერილობითი განცხადება, მაგრამ არ მიუთითა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი. საჯარო დაწესებულებამ მიიჩნია, რომ განცხადება წარდგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით და განმცხადებელს განუსაზღვრა ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა დაასაბუთოს, თუ რა მოტივით და მიზნით ითხოვს ის ამ ინფორმაციას.

კანონიერია თუ არა საჯარო დაწესებულების ეს მოთხოვნა?

ღია საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგინა წერილობით განცხადებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ზეპირი ფორმით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნას კანონი არ იცნობს, შესაბამისად, არც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს ასეთი განცხადებების საფუძველზე საჯარო ინფორმაციის გაცემას.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. საკმარისია იმის მითითება, რომ განმცხადებელი მოითხოვს ამა თუ იმ ინფორმაციას.

როგორც წესი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლად ან არა უგვიანეს 10 დღისა. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს აცნობოს დაუყოვნებლად.

საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრით ან სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარდგენით.

გასაჩივრების უფლება პირს წარმოეშობა თუ საჯარო დაწესებულებამ:

- უარი უთხრა მოქალაქეს ინფორმაციის მიღებაზე;
- კოლეგიურმა საჯარო დაწესებულებამ დახურა სხდომა სრულად ან ნაწილობრივ;
- მოახდინა საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება;
- მოახდინა პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვება, დამუშავება, შენახვა, გავრცელება, აგრეთვე, მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონო გადაცემა;
- შექმნა და დაამუშავა არასწორი საჯარო ინფორმაცია;
- დაარღვია ამ კოდექსის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) სხვა მოთხოვნები.

#### კითხვა:


იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას?

## სამოქალაქო სამართალი

**სამოქალაქო სამართალი** - სამართლის უმნიშვნელოვანესი დარგია. მისი უმთავრესი ამოცანა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პირადი, ქონებრივი და საოჯახო ურთიერთობების მოგვარებაა. ყოველდღიურად თითოეული ჩვენგანი ისე მონაწილეობს ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომ მის დაქვემდებარებას რომელიმე კანონთან ვერც კი მოიაზრებს. ჩვენ ყოველდღიურად ავდივართ ავტობუსში, ვმგზავრობთ და ამით ვდებთ გადაყვანის ხელშეკრულებას, ვყიდულობთ პროდუქტს მაღაზიაში და ამით ვდებთ ნასყიდობის ხელშეკრულებას, ვუცვლით მეგობარს სათამაშოს და ამით გაცვლის ხელშეკრულებაში ვმონაწილეობთ. ერთი სიტყვით, ისე ვმონაწილეობთ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომ მის სამართლებრივ რეგულაციაზე არც კი ვფიქრობთ. იმავდროულად, აუცილებელია, ასეთი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაცია. თუნდაც იმიტომ, რომ მისმა მონაწილეებმა კარგად გაიგონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი და თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი თვითნებობა, გაუგებრობა და მოვალეობათა შეუსრულებლობა. სწორედ ასეთ რეგულაციებს მოიცავს სამოქალაქო სამართალი, რომლის საფუძვლების ცოდნა დაგვეხმარება, უკეთ განვახორციელოთ ჩვენი უფლებები და უკეთ გავიაზროთ მოვალეობები, რომლებიც გვეკისრება. აუცილებელია გავიგოთ, თუ რა არის გარიგება, ხელშეკრულება, რა ასაკის ადამიანთან შეიძლება გარიგების დადება, რომელი ასაკის ადამიანს შეუძლია იქორწინოს, როგორ შეიძლება დავაფუძნოთ კომპანია და ვანარმოთ ბიზნესი. ერთი სიტყვით, სამოქალაქო სამართლის საფუძვლების ცოდნა დაგვეხმარება, ვიყოთ ინფორმირებულები და ეფექტურად გავიკვალოთ გზა წარმატებისაკენ.

შევეცდებით, თქვენთვის გასაგები ენით აგიხსნათ სამოქალაქო სამართლის ძირითადი ასპექტები და გაგაცნოთ ის უმთავრესი გარემოებანი, რომლებსაც ყოველდღიურად წააწყდებით ცოხოვრებაში.

### სამოქალაქო სამართალი



# 1. უფლებასწარჩინობა და ქმედსწარჩინობა

## უფლებასწარჩინობა და ქმედსწარჩინობა — დეფინიციები

**უფლებასწარჩინობა** — ფიზიკური პირის (მოქალაქის) და იურიდიული პირის (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დანესებულები-სა და ა.შ.) უნარი, იქონიონ კანონით გათვალისწინებული ან დასაშვები უფლებამოვალეობანი.”

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში ყველა მოქალაქე თანაბრად უფლებასწარჩინია მიუხედავად მათი სქესისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, საქმიანობისა, სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობისა.

**უფლებასწარჩინობის წარმოშობა არ არის დამოკიდებული რაიმე სახის სახელმწიფო აქტზე, ან ნებართვაზე, ან ადამიანის ასაკზე, ან ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ერთადერთი, რაზეც მისი წარმოშობა დამოკიდებულია, ეს არის ადამიანის დაბადება. დაბადება უნდა აღვიქვათ, როგორც ნაყოფის გამოყოფა დედის საშვილოსნოდან. მნიშვნელობა არა აქვს რამდენ ხანს იცოცხლებს ნაყოფი. დაიბადა თუ არა ნაყოფი, მაშინვე დადგება მისი უფლებასწარჩინობა.**

ამრიგად, პირთა უფლებასწარჩინობა არის პირის უნარი, გააჩნდეს და შეუზღუდავად იქონიოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი. ყველა ადამიანი არის სრულად უფლებასწარჩინი დაბადებიდანვე და გრძელდება გარდაცვალებამდე. გარდაცვალებად მიიჩნევა პიროვნების თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე წინადადება). ამასთან, შესაძლებელია, კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში შეიზღუდოს პირთა გარკვეული უფლებები.

## ქმედსწარჩინობა

ქმედსწარჩინობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედების სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

თანამედროვე ქართული კანონმდებლობით, ქმედსწარჩინობა არის პირის შეგნებული, ნებელობითი მოქმედებით გამოხატული იურიდიული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რაც გულისხმობს შეგნებისა და ნებისყოფის სიმწიფეს, მათ განსაზღვრულ მდგომარეობას. ამიტომ ქმედსწარჩინობა, უფლებასწარჩინობისაგან განსხვავებით, ყველა მოქალაქეს არ გააჩნია. იგი სრული მოცულობით განსაზღვრული ასაკიდან წარმოიქმნება. ქმედსწარჩინობას, როგორც განსაზღვრულ სამართლის კატეგორიას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო სამართალში.

## ფიზიკური პირის ქმედსწარჩინობა იწყება სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

ამასთანავე, პირის უნარს, საკუთარი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო სამართალი უკავშირებს არა მარტო ასაკს, არამედ ჯანმრთელობას. ჭკუასუსტობის, ან სულით ავადმყოფობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია თვრამეტ წელს მიღწეული ან გადაცილებული ადამიანიც ცნოს ქმედსწარჩინაროდ და დაუნიშნოს მეურვე (აღნიშნულს უფრო ვრცლად განვიხილავთ ქვემოთ).

ამრიგად, **ქმედსწარჩინობა** არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედების სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ქმედსწარჩინობა, უფლებასწარჩინობისაგან განსხვავებით, დამოკიდებულია ასაკზე (თვრამეტიწელი, ემანსიპაციის შემთხვევაში — თექვსმეტი) და ჯანმრთელობაზე (არ უნდა იყოს ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი).


**კითხვა:** თუ უფლებასწარჩინობის წარმოშობა ადამიანის დაბადებასთან ერთად ხდება და არავითარი შეზღუდვა ამ მხრივ არ არსებობს, ახალდაბადებულ ჩვილსა და ზრდასრულ ადამიანს ერთნაირი უფლებასწარჩინობა გააჩნიათ? ან იგივე უცხოელი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი და საქართველოს მოქალაქე ერთნაირი უფლებასწარჩინობით სარგებლობენ?

**პასუხი:** დიახ. ახალშობილი და ზრდასრული, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი და საქართველოს მოქალაქე ერთნაირი უფლებასწარჩინობით სარგებლობენ.

რომის სამართალი არ ყოფდა ერთმანეთისაგან უფლებასწარჩინობასა და ქმედსწარჩინობას და მათ ორივეს მოიაზრებდა უფლებასწარჩინობის ცნებაში ერთად (caput). რეალური დაყოფა და გამოიჯვნა ტერმინებისა “უფლებასწარჩინობა” და “ქმედსწარჩინობა” ხდება ევროპული კაპიტალისტური რევოლუციების შემდგომ. იმისათვის, რომ თავი დაეღწიათ ფეოდალური ნოდებისა და სოციალური დიფერენციაციისგან, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კანონმდებლებმა დაამკვიდრეს ტერმინი “ქმედსწარჩინობა”, რომელიც იყო დამოუკიდებელი უფლებასწარჩინობისაგან.

**კითხვა:** ვინ ითვლება სრულწლოვან პირად?





რაც შეეხება იურიდიული პირების უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას, იურიდიულ პირს ორივე წარმოეშობა რეგისტრაციისთანავე და მოქმედებს მისი ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე.

**ქმედუნარობა**


საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შვიდ წლამდე არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) **ქმედუნაროა**, რაც ნიშნავს, რომ ის დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს. მასთან გათანაბრებულნი არიან პირები, რომლებიც ჭკუასუსტობის ან გონებრივი ჩამორჩენილობის გამო სასამართლოს მიერ იქნებიან ცნობილი ქმედუნარო პირებად. ქმედუნარო პირებს არა აქვთ უფლება, დადონ გარიგებები, განახორციელონ რაიმე სახის სხვა იურიდიული ქმედებანი. თუ ქმედუნარო პირი მიიღებს მემკვიდრეობას ან რაიმე ქონებას საჩუქრად, მის მართვას განახორციელებს მშობელი ან მეურვე. სამართლებრივად, ქმედუნარო პირების სახელით, ნებისმიერ იურიდიულ ქმედებას, ახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები) ან სასამართლოს მიერ დანიშნული მეურვე. ავადმყოფობის გამო ქმედუნაროდ ცნობილი პირის განკურნების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, ცნოს პირი კვლავ ქმედუნარიანად. ქმედუნარო პირი თავის ქმედებებზე პასუხისმგებლობას არ ატარებს. მის მიერ მიყენებულ მატერიალურ ზიანს კი ანაზღაურებს მშობელი ან მეურვე.

**კითხვა:**  
ვის შეუძლია აღიაროს პირი ქმედუნაროდ?  
**პასუხი:** მხოლოდ სასამართლოს

**კითხვა:**  
რა არის უფლებაუნარიანობა? ქმედუნარიანობა? რა სხვაობაა მათ შორის?

**შეზღუდული ქმედუნარიანობა**

არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტე წლამდე ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ნაწილი უფლებებისა. კერძოდ, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს არა აქვთ უფლება, დადონ გარიგებები მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. გამონაკლისი ამ შემთხვევაში დაიშვება მაშინ, თუკი პირი (შეზღუდულ ქმედუნარიანი) ამ გარიგებით იღებს სარგებელს, ან განკარგავს მისთვის საკუთრებაში გადაცემულ იმ მატერიალურ სიკეთეს, რომლის განკარგვის ნებართვაც მას მშობელმა ან მეურვემ მისცა (მაგალითად, ხარჯავს ჯიბის ფულს, აღებულ ჰონორარს, უცვლის თავის სათამაშოს მეგობარს და ა.შ.). აღნიშნული სტატუსი (შეზღუდულ ქმედუნარიანი) გააჩნიათ ასევე სრულწლოვან პირებს, რომლებსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები, ქმედუნარიანობის ხარისხით, უთანაბრდებიან არასრულწლოვნებს.



**როდის ხდება სასამართლოს მიერ სრულწლოვანი პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობა და მათზე მზრუნველობის დანესება?**

აღნიშნული ხორციელდება მაშინ, როცა პირი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. მაგალითად: ეზიდება ნივთებს სახლიდან, რათა იყიდოს ალკოჰოლური ნივთიერება, ფლანგავს ხელფასს, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო ხშირად ჯარიმდება და ა.შ.

მას შემდეგ, რაც პირი განიკურნება აღნიშნული დამოკიდებულებისაგან და გაუქმდება მზრუნველობის დანესების საფუძველი, სასამართლოს მიერ მოხდება პირის სრულ ქმედუნარიანად ცნობა.

**მეურვე**

ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც სასამართლო ნიშნავს 7 წლამდე მცირეწლოვნის ან სულიერად ავადმყოფი (ან ჭკუასუსტი) პირის ქონებრივი თუ პირადი ინტერესების წარმოსადგენად. მაგალითად, 5 წლის ბავშვის მეურვედ ნიშნავს ბებიასა და ბაბუას, რადგან მას მშობლები გარდაეცვალა, სულიერად ავადმყოფ სრულწლოვან პირს კი მეურვედ უნიშნავს დედას და ა.შ.

**მზრუნველი**

ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც სასამართლო ნიშნავს შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისა და/ან იმ სრულწლოვან პირთა ინტერესების წარმოსადგენად, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოჯახს. მაგალითად: მზრუნველად უნიშნავს 10 წლის ბავშვს მამიდას, 23 წლის ადამიანს უნიშნავს მზრუნველად ცოლს, რადგანაც ის ბევრს სვამს ალკოჰოლურ ნივთიერებებს და სახლიდან ყიდის ძვირფას ნივთებს, რათა შეიძინოს არაყი და სხვ.

**კითხვა:**  
რა შემთხვევაში აწესებს სასამართლო მეურვეობას? მზრუნველობას?

## ემანსიპაცია

შემთხვევა, როცა პირს, მართალია ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულწლოვნების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ქმედუნარიანობაში პირთა ემანსიპაციის რამდენიმე შემთხვევას ცნობს. პირველი მაშინ, როცა თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი იქორწინებს (რა თქმა უნდა მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით), მეორე - მაშინ, როცა, არასრულწლოვანს მისი კანონიერი წარმომადგენელი მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მესამე, როცა არასრულწლოვანი განკარგავს საშუალებებს, რომელიც მას გადასცა კანონიერმა წარმომადგენელმა, ან ამ წარმომადგენლის თანხმობით, მესამე პირებმა, ამ/ან თავისუფალი განკარგვის მიზნით.

**არასრულწლოვნის ემანსიპაცია დაქორწინებისას** — საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი. ამასთანავე, კანონმდებელი ითვალისწინებს გამონაკლისს ამ წესიდან. კერძოდ, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, პირს თექვსმეტი წლის ასაკიდან შეუძლია იქორწინოს.

რეალურ ცხოვრებაში, ხშირია შემთხვევა, როცა მშობლები და/ან კანონიერი წარმომადგენელი მერკანტილური, მატერიალური ან სხვა მიზეზების გამო, უარს ეუბნება თექვსმეტი წლის ასაკს გადაცილებულ პირს ქორწინებაზე და არ აძლევს მას წინასწარ წერილობით თანხმობას. კანონმდებელმა აღნიშნულ საკითხზეც იზრუნა და დაადგინა, რომ მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის უარის შემთხვევაში, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია გასცეს თანხმობა ქორწინებაზე.


**არასრულწლოვნის ემანსიპაცია საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლისას** — მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს მიანიჭოს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება.

ამ შემთხვევაში სახეზეა შემდეგი სამართლებრივი გარემოებანი:

1. საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება შეიძლება მიენიჭოს არასრულწლოვანს თექვსმეტი წლიდან;
2. აღნიშნული უფლება არასრულწლოვანს უნდა მიანიჭოს მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა;
3. საწარმო უნდა იქნეს გაგებული, როგორც დამოუკიდებელი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სამეწარმეო იურიდიული პირი (შ.პ.ს.; ს.ს.: კ.ს.; ს.პ.ს.);
4. დამოუკიდებელი გაძღოლის უფლების მიცემა უნდა გავიგოთ, როგორც არასრულწლოვნის სამეწარმეო იურიდიული პირის დამოუკიდებელ დირექტორად დანიშვნა, ან სანოტარო წესით დამონმებული გენერალური მინდობილობის გაცემა;
5. აღნიშნულ შემთხვევაში, აუცილებელია, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის შეთანხმება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან;
6. აღნიშნულ შემთხვევაში, არასრულწლოვანი სრულად ქმედუნარიანი ხდება საწარმოს მართვის, თანამშრომელთა აყვანის, სავაჭრო ხელშეკრულებათა დადების და სხვა იურიდიულ ქმედებათა საკითხში, რომელიც მოგების მიღების მიზნისკენაა მიმართული. სხვა ასპექტებში ის კვლავ შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა (მაგალითად, არჩევნებში ხმის მიცემის დროს). შესაბამისად, განსხვავება ქორწინებით ემანსიპაციისაგან ისაა, რომ თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი ქორწინებისას სრულად ქმედუნარიანი ხდება და მას ეს ქმედუნარიანობა ვერ ჩამოერთმევა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის განქორწინდება.

ტერმინი “ემანსიპაცია” (E. emancipation Fr. Emancipation L. emancipation) ზოგადად აღნიშნავს: “რომელიმე პიროვნების ან სოციალური ჯგუფის გათავისუფლებას ვისიმე, ან რისამე დაქვემდებარებიდან, მფლობელობიდან გამოსვლას და შედეგად, დამოუკიდებლობისა და თანასწორი უფლებების მიღებას.

**ემანსიპაცია ხელშეკრულების დადებისას** — ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა გამოიყენა და განკარგა ის საშუალებები, რომლებიც გადასცა მას კანონიერმა წარმომადგენელმა, ან მისი თანხმობით — მესამე პირებმა, ამ ხელშეკრულების დადების მიზნით, ან თავისუფალი განკარგვის მიზნით. მაგალითად, არასრულწლოვანი ყიდულობს ნაყინს თავისთვის იმ ფულით, რომელიც მას მისცა დედამ შოკოლადის საყიდლად, ან იმ ფულით, რომელსაც ის აგროვებს, როგორც “ჯიბის ფულს” იმ თანხიდან, რომელსაც მას ჩუქნიან სახლში, ან იმ ფულით, რომელიც არასრულწლოვანმა მიიღო კანონიერი გასამრჯელოს ან ჰონორარის სახით.



## 2. გარიგება და მისი სახეები

ჩვენ ვისწავლეთ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, მაგრამ ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა, პირველ რიგში, აისახება მის მიერ გარიგებათა დადებასა და უფლება-მოვალეობების შექმნაში. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა სხვადასხვა გარიგების დადებითა და მათი შესრულებით. მოდით, შევეცადოთ გავიგოთ, თუ რა არის გარიგება, რა ტიპის გარიგებები არსებობს, როდის ითვლება გარიგება დადებულად და ა.შ.

### დეფინიცია

გარიგება ეს არის პირის (ფიზიკური თუ იურიდიული) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია იურიდიული შედეგების დადგომისაკენ. ეს ნება შეიძლება გამოხატოს ერთმა, ორმა ან მეტმა პირმა და მომდინარეობდეს ერთი, ორი ან მეტი პირის ნების გამოვლინებისაგან. თქვენ ყოველდღიურად დებთ გარიგებებს ისე, რომ მის სამართლებრივ შინაარსსა და იურიდიულ ასპექტებზე არც კი ფიქრობთ. მაგალითად: ყიდულობთ ფუნთუშას სკოლის ბუფეტში, იხდით მგზავრობის საფასურს ავტობუსში და ა.შ., თითოეული ასეთი მოქმედება გარიგებას წარმოადგენს.

ამასთან ერთად, გარდა იმისა, რომ ნების გამოვლენა უნდა წარმოშობდეს იურიდიულ შედეგებს, აუცილებელია, თავად ნების გამოვლინებელი პირი (პირები) იყოს ქმედუნარიანი, არ მოქმედებდეს ცრუ ფაქტების საფუძველზე ან მუქარისა და შანტაჟის ზემოქმედების ქვეშ.

“გარიგება ეს არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერი მოქმედება, რომელიც სპეციალურადაა მიმართული სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლისა ან შეწყვეტისაკენ.”  
(ლ. დანელიძე, მ. მესხიშვილი; “იურიდიული ლექსიკონი”; თბილისი 2008; გვ. 48)

მოკლე ისტორიული მიმოხილვა — ცნება “გარიგება” და “ნების გამოვლენა” პირველად XVIII საუკუნეში წარმოიშვა. მართალია, რომის სამართალი გარიგების თითქმის ყველა ტიპს იცნობდა, რომელიც XIX საუკუნის სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციაში აისახა, მაგრამ გარიგების ერთიანი ცნება მაინც მისთვის უცხო იყო. “გარიგების” ცნების წარმოშობა დაკავშირებულია გოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორის, გეორგ არნოლდ ჰაიზელის სახელთან. 1807 წელს გამოცემული ნაშრომის პირველ ნიგში, რომელსაც “ზოგადი მოძღვრებანი” ეწოდება, მან სამოქალაქო სისტემის დახასიათებისას მოიხსენია “მოქმედებანი”, რომელიც ორ პარაგრაფად იყოფა: “ნების გამოვლენა” და “განსაკუთრებული გარიგებანი”. შემდგომ, ეს სისტემა იქნა გავრცელებული XIX საუკუნის სამოქალაქო სამართალში.

**გარიგებათა სახეები (ცალმხრივი, ორმხრივი, მრავალმხრივი), ხელშეკრულებები** — გამომდინარე გარიგებაში მონაწილე პირთა ოდენობიდან, სამართალი იცნობს ცალმხრივ, ორმხრივ ან მრავალმხრივ გარიგებებს. დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

**ცალმხრივია გარიგება**, რომლის ნამდვილობისათვისაც საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა და, რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგებს (სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას) სწორედ ამ ერთი პირის ნების გამოვლენის შედეგად. მაგალითად, ანდერძით ვინმესთვის ქონების დატოვება ნამდვილია მხოლოდ მოანდერძის ნების გამოვლენით, ანუ ანდერძის დანერით. მიიღებს თუ არა მემკვიდრე სამკვიდროს, ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას ვერ ახდენს.

**ორმხრივი და მრავალმხრივია გარიგება**, რომელთა დადებისა და ნამდვილობისათვის საჭიროა ორი, ან მეტი პირის ნების გამოვლენა. ასეთ გარიგებებს ხელშეკრულებას უწოდებენ, ე.ი. ყველა ხელშეკრულება არის გარიგება (იმდენად, რამდენადაც ეს არის ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენა, რომელიც იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას), თუმცა ყველა გარიგება შეიძლება არ იყოს ხელშეკრულება (მაგალითად, ცალმხრივი გარიგება).

**ოფერტი და აქცეპტი** — ხელშეკრულების დადების შესახებ შეთავაზებას ეწოდება **ოფერტი** (მაგალითად, გამყიდველი გთავაზობთ შოკოლადის შეძენას, ან თქვენ სთავაზობთ მეგობარს ველოსიპედების გაცვლას), ხოლო ამ წინადადებაზე თანხმობას — **აქცეპტი** (თქვენ თანხმობას აცხადებთ, შეიძინოთ შემოთავაზებული შოკოლადი შემოთავაზებულ ფასად, მეგობარი გთანხმდებათ გაგიცვალოთ ველოდისპედი).

ოფერტის განმარტორციელებელ პირს **ოფერენტი** ეწოდება, აქცეპტის მიმღებს კი — **აქცეპტანტი**.

იმისათვის, რომ ხელშეკრულება დაიდოს, საჭიროა, კონკრეტულად განსაზღვრული ოფერტი მიღებული იყოს აქცეპტანტის მიერ და მასზე პირდაპირი თანხმობა იქნეს გაცხადებული. თუ შემოთავაზებულ ოფერტს მეორე მხარე, თავის მხრივ, ახალ შეთავაზებას დაუხვედრებს (მაგალითად, მეგობარი არ გთანხმდებათ ველოსიპედების გაცვლაზე, მაგრამ თანახმაა ის გაგიცვალოთ კომპიუტერში), ეს ახალ ოფერტად აღიქმება და აქცეპტანტი უკვე პირველი ოფერტის მიმცემი გახდება.

**ხელშეკრულებებიც, თავის მხრივ, კლასიფიცირდება და იყოფა სხვადასხვა სახეებად.** მაგალითად:

**ანაზღაურებად მიიჩნევა ხელშეკრულება (გარიგება)**, რომლითაც ერთმა მხარემ მაინც უნდა მიიღოს ანაზღაურება, ან რაიმე სხვა შემხვედრი მატერიალური სიკეთე. მაგალითად, მობილური ტელეფონის ყიდვისას გამყიდველს გადასცემთ თანხას და იღებთ მობილურს.

**კითხვა:**  
რამდენი პირის ნების გამოვლენა შეიძლება ჩაითვალოს გარიგებად?

**აუნაზღაურებელ ხელშეკრულებათა** კატეგორიას მიეკუთვნება გარიგება, რომლის დადებისას, ერთ-ერთი მხარე კისრულობს გარკვეულ ვალდებულებებს, ყოველგვარი შემხვედრი ანაზღაურების გარეშე. მაგალითად, როცა თქვენ მეგობარს ჩუქნით ნიგნს ან ავტოკალამს, თქვენ აუნაზღაურებელ ხელშეკრულებას (ჩუქებას) დებთ, ვინაიდან საპირისპირო, შემხვედრი ვალდებულება, თქვენს მეგობარს იურიდიულად არ გააჩნია.

**გარიგებათა ბათილობა** — კერძო სამართლის სუბიექტების კერძო ავტონომია, თავისუფლად დადონ გარიგებები, ყოველთვის შეზღუდულია. შეზღუდვა მომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, კანონის მოთხოვნებიდან, ანუ ბათილად ჩაითვლება გარიგება, თუ ის ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს და, ამ დროს, ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა სრულიად იზიარებს დემოკრატიული სამართლის მახასიათებელ პრინციპს - “რაც კანონით აკრძალული არაა, ნებადართულია” (განსხვავებით, ავტოკრატული ან დიქტატორული სამართლის პრინციპისა: “რაც კანონით ნებადართული არაა, აკრძალულია”).

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, გარიგებათა ბათილობის დადგენა-დადასტურება სასამართლოს პრეროგატივაა და სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უნდა იქნეს დამტკიცებული.

გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი დებულებებისა, რომ გარიგება ბათილია, თუ ის ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგსა თუ ზნეობის ნორმებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე ადგენს რამდენიმე საფუძველს, რომელთა შემთხვევაშიც ნების გამოვლენა ბათილად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად:

1. **ნების გამოვლენის არასერიოზულობა** - ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ მოსაზრებითა და ვარაუდით, რომ ნების გამოვლენის არასერიოზულობა გამოცნობილი იქნება. მაგალითად, მოქალაქე ივანე, თავის მეზობელს, მოქალაქე პეტრეს ხუმრობით სთავაზობს ავტომობილის ყიდვას, რომელიც ღირს 5000 ლარი, 1000 ლარად.
2. **მოჩვენებითი გარიგება** - ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. ამასთან, თუ გარიგების მონაწილე მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ დაფარული გარიგების მიმართ გამოიყენება მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება). მაგალითად, მოქალაქე ივანეს აქვს ბანკის ვალი, რომლის გადახდა არ სურს. ამასთანავე, ჰყავს ავტომობილი, რომლის ღირებულება იმდენია, რომ ის დაფარავს ბანკის ვალს. ივანე, რომელსაც არ სურს, რომ ბანკმა იძულების წესით გაუსხვისოს ავტომობილი და, ამ გზით, გადაფაროს სესხი, თავის ავტომანქანას უფორმებს (მოსაჩვენებლად მიჰყიდის) თავის ძმას დავითს. თუმცა რეალურად არც თანხის გადახდა მომხდარა, არც ავტომანქანის მფლობელობაში გადაცემა და ამ ავტომანქანით ისევ ძველებურად სარგებლობს ივანე და, მისი სუბიექტური გაგებით, ის ისევ არის ავტომანქანის



მესაკუთრე. ბანკმა შეიტანა სასამართლოში სარჩელი გარიგების ბათილობის მოთხოვნით და შეძლო ვალის დაბრუნება.


3. **მცირეწლოვნობის ან ქმედუუნარობის გამო** — ბათილია მცირეწლოვნის, ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა. მაგალითად, მერაბი, რომელიც სულით ავადმყოფია, ეზოში ყოფნისას უცნობ გამგელს ეტყვის, რომ ის ჩუქნის მას მამის ავტომობილს.
4. **ფორმალუცველი** - ბათილია კანონითან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია ნებართვა. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უძრავი ქონების შესაძენად, მოქალაქე ლელამ მოქალაქე ნატალიასთან უნდა დადოს წერილობითი ფორმით გარიგება (ნასყიდობის ხელშეკრულება) და კანონით დადგენილი წესით დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში. ამის ნაცვლად, მოქალაქე ლელა სიტყვიერად თანხმდება ნატალიასთან, უხდის მას უძრავი ქონების საფასურს და მიიჩნევს მას თავის საკუთრებად.

**თანხმობა გარიგებებში** — არ შეიძლება გარიგებათა განხილვისას არ შევეხოთ თანხმობას გარიგებებში, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა გარიგებათა ნამდვილობას სჭირდება მესამე პირთა თანხმობა. ეს ის შემთხვევაა, როცა თანხმობის მიმცემი უშუალოდ არ მონაწილეობს გარიგებაში როგორც გარიგების მხარე, მაგრამ მისი თანხმობის გარეშე გარიგების ნამდვილობა ვერ დადგება. მაგალითად, არასრულწლოვანი ვერ შეიძენს ველოსიპედს, თუ კანონიერი წარმომადგენელი არ იქნება თანახმა; შეზღუდული პასუხისმგებლობის სანარმოს დამფუძნებელ-პარტნიორი ვერ გაასხვისებს წილს ამ საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორთა კრების ოქმის გარეშე; დირექტორი ვერ შეიძენს უძრავ ქონებას პარტნიორთა კრების გარეშე და სხვ.



**ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა** — იმისათვის, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს, ერთ-ერთი მთავარი პირობაა, მისი დამდები ყველა პირი იყოს ქმედუნარიანი. ეს გულისხმობს სრულწლოვანებას (თვრამეტი წლის ასაკი და ზემოთ) და გამორიცხავს პირის ჭკუასუსტობას, სულით ავადმყოფობას და შეზღუდულ ქმედუნარიანობას. შეიძლება, გარიგება დადოს არასრულწლოვანმაც, მაგრამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით ეს გარიგება უნდა მოიწონონ მისმა წარმომადგენლებმა (მაგალითად, მშობლებმა, მეურვემ).

**გარიგების ფორმები** — საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონით დადგენილი ფორმის დაცვა და გარიგების ამ ფორმით დადება. თუ გარიგების ფორმა კანონით არ არის განსაზღვრული, მაშინ ის შეუძლია განსაზღვრონ მხარეებმა.



ამ მხრივ, ქართული კანონმდებლობა ლიბერალურია და გარიგების ფორმის არჩევისას მხარეებს დიდ თავისუფლებას ანიჭებს. მხოლოდ რამდენიმე ტიპის გარიგების დადების დროს განსაზღვრავს აუცილებელ ფორმას (მაგალითად: უძრავ ნივთზე გარიგება, გირავნობა, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გარიგებები, ანდერძი, მინდობილობა და სხვ.) უმეტეს გარიგებაზე კი მხარეებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ, რომელი ფორმაა მათთვის მისაღები და ხელსაყრელი (მაგალითად: იჯარა, სესხი, ქირავნობა, მოძრავი ნივთების ნასყიდობა და სხვ.) გვხვდება გარიგების ზეპირი ფორმა (მაგალითად: ბაზრობაზე პროდუქტების შექენა, მშობლის მიერ შვილისათვის ჯიბის ფულის ჩუქება). გარიგების წერილობითი ფორმა შეიძლება იყოს როგორც მარტივი წერილობითი, ისე სანოტარო წესით დამონმებული (მაგალითად: უძრავი ქონების, ავტომანქანის ნასყიდობა, ანდერძი და ა.შ.)

**თანხმობა და წარმომადგენლობა გარიგებებში** — საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს გარიგებათა სახეებს, რომელთაც ნამდვილობისათვის მესამე პირის (პირთა) თანხმობა ესაჭიროება (მაგალითად, მეურვეობისა და მზურნველობის ორგანოს თანხმობა საწარმოს მართვის გაძღოლაზე; 16 წლის ასაკს მიღწეული პირისათვის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ქორწინებაზე) შ.პ.ს.-ის დამფუძნებელ-პარტნიორის მიერ საკუთარი წილის გასხვისებისათვის გამსხვილებელს ესაჭიროება სხვა დამფუძნებელ-პარტნიორების თანხმობა). თანხმობის მიზანი შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ გარიგების მონაწილეთა, ისე მესამე პირთა ინტერესების დაცვა (მაგალითად, თანაზიარი საკუთრებისას სხვა თანამესაკუთრეთა). ამასთანავე, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველგან, სადაც გარიგების ნამდვილობისათვის კანონმდებლობა მოითხოვს მესამე პირებისაგან თანხმობას, მისი გამოხატვა აუცილებელია გარიგების ნამდვილობისათვის.

**თანხმობის მოთხოვნა შეიძლება იყოს იმპერატიული (როცა კანონმდებლობა პირდაპირ მოითხოვს თანხმობის აუცილებლობას) და დისპოზიციური (როცა გარიგების მონაწილეთა ნებით საჭირო ხდება მესამე პირის თანხმობა).**


მესამე პირს თანხმობის გამოთქმა-გამოხატვა შეუძლია როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე.



### 3. საკუთრება და მფლობელობა

ნივთზე საკუთრების უფლება მისი ფლობის (ჭერის, შენახვის), სარგებლობისა (სამეურნეო ან არასამეურნეო მიზნით გამოყენება, სარგებლის მიღება მისგან და სხვ.) და განკარგვის (გასხვისება, უფლებრივად დატვირთვა, გაჩუქება, გაცვლა და ა.შ.) ერთობლიობაა. საკუთრების დროს, პირს შეუძლია ნივთზე განახორციელოს მფლობელობა, სარგებლობა და განკარგოს ის საკუთარი შეხედულებისამებრ.

საკუთრებას აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შინაარსი. საკუთრების პოზიტიურ შინაარსში იგულისხმება თავად პირის ურთიერთობა ნივთთან. კერძოდ, როგორ მოექცევა ნივთს, როგორ გამოიყენებს, როგორ განკარგავს და ა.შ. ნეგატიური შინაარსი კი გულისხმობს სხვა პირების მიმართებასა და დამოკიდებულებას საკუთრებასთან. კერძოდ, ის, რომ სხვა პირებს არა აქვთ უფლება, კანონიერი საფუძვლის გარეშე, ხელი შეუშალონ მესაკუთრის ურთიერთობას ნივთთან. მაგალითად, ავტოფარეხის წინ მებობელს არ შეუძლია დაგვიყაროს შეშა და ამით, ხელი შეგვიშალოს ავტოფარეხში მანქანის შეყვანაში; ქუჩაში გამვლელს არა აქვს უფლება ესროლოს ქვა ჩვენს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს და ჩაგვიმტვირთოს მინა. ერთი სიტყვით, საკუთრება აბსოლუტური უფლებაა, რომელიც აერთიანებს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ შინაარსს.



ამასთანავე, საკუთრება არ არის „ლაგამმიშვებული“ ფასეულობა. ჩვენ ვალდებულები ვართ, ისე გამოვიყენოთ ჩვენი საკუთრება, რომ არ დავარღვიოთ სხვა ადამიანის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო უფლებანი. ასევე, რიგ შემთხვევებში, კანონი თავად ანესრიგებს საკუთრების მოვლა-პატრონობის რეგულაციას და მესაკუთრე ვალდებულია, დაემორჩილოს მას.

თანაზიარი საკუთრების გასხვისებისას, კანონი ავალებს მესაკუთრეს, უპირატესი შესყიდვის უფლება შესთავაზოს თანამესაკუთრეს. უპირატესი უფლება გულისხმობს, იგივე ფასითა და პირობებით, ნივთის შესყიდვის პირველი რიგის უფლების მინიჭებას თანამესაკუთრესათვის. მაგალითად, თუ თქვენ და თქვენი მეგობარი ერთობლივად შეისყიდით სკეიტბორდს, ის, ბუნებრივია, თქვენი თანასაკუთრება იქნება იმ წილობრივი მონაწილეობით, რომლითაც თანხის გადახდა მოხდა თქვენი მხრიდან. თუ თქვენი მეგობარი მოინდომებს, ამ სკეიტბორდის კუთვნილი წილი გაასხვისოს თავის ნაცნობზე გარკვეულ ფასად, ის ვალდებული იქნება, თავდაპირველად იგივე ფასად მისი შესყიდვა თქვენ შემოგთავაზოთ. თქვენი გადასაწყვეტია, მიიღებთ თუ არა ამ წინადადებას.

**მაგალითად:**  
თქვენ შეგიძლიათ ველოსიპედი შეინახოთ ავტოფარეხში (ფლობთ მას), ისეირნოთ პარკში (სარგებლობთ მისით) და აჩუქოთ მეგობარს (განკარგოთ ის).

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რატომ უნდა ჰქონდეს თანამესაკუთრეს უპირატესი შესყიდვის უფლება?

**მფლობელობა** - ეს არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვება პიროვნების თავისუფალი ნებით. ანუ, აქ ორი სამართლებრივი გარემოებაა სახეზე: პირველი - ნივთზე ბატონობის მოპოვება, მისი პყრობა, მისი გამოყენებისა და მართვის შესაძლებლობა, მისგან სარგებლის მიღება. მაგალითად: მოქირავნეს უფლება აქვს, იცხოვროს ნაქირავებ ბინაში, მონათხოვრეს უფლება აქვს, ისეირნოს ნათხოვარი ნავით; მოიჯარეს უფლება აქვს, მიიღოს სარგებელი იჯარით აღებული კომერციული ფართის მუშაობის შედეგად და ა.შ. მეორე სამართლებრივი ასპექტი - ამ ბატონობის ნებით მოპოვებაა. პირს უნდა სურდეს, რომ მფლობელი გახდეს. მაგალითად: მოქირავნემ საკუთარი ნებით უნდა იქირაოს ავტომანქანა, მონათხოვრემ საკუთარი ნებით უნდა ითხოვოს ბიბლიოთეკაში წიგნები, მოიჯარემ საკუთარი ნებით უნდა აიღოს იჯარით კომერციული ფართი და ა.შ.

მფლობელობა აუცილებლად უნდა იყოს კანონის შესაბამისი წესით მოპოვებული. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს, რომ გარიგება უნდა დაიდოს იმ წესითა და ფორმით, რომელსაც ითხოვს კანონი, მეორე მხრივ, ეს გულისხმობს, რომ პირი არ უნდა მოქმედებდეს კანონდარღვევით. მფლობელად ვერ ჩაითვლება ქურდი, მოძალადე, ყაჩაღი, ვინც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა მოიპოვა ძალადობის, ტყუილის ან სხვა კანონდარღვევის გზით.

ძირითადი განსხვავება მფლობელობასა და საკუთრებას შორის ვადიანობა და სამართლებრივი უფლებამოსილებაა, რომელიც მფლობელს და/ან მესაკუთრეს გააჩნია.

ვადიანობა გულისხმობს შემდეგს: მფლობელობა ყოველთვის გარკვეული ვადით წარმოიშობა და ამ ვადის დასრულებისას წყდება. მაგალითად: ქირავნობა, იჯარა. მფლობელობის სხვა სახეები წარმოიშობა მხოლოდ გარკვეული ვადით (ერთი თვით, ორი წლით, სამი კვარტლით და ა.შ.) საკუთრება კი უვადოა და სანამ მესაკუთრე საკუთრების უფლებას სხვას არ დაუთმობს (მაგალითად, არ გაყიდის ნივთს), ან სანამ ეს ნივთი არსებობს ფიზიკურად, საკუთრების უფლებას ვადა არ გასდის.

შემდეგია **სამართალურთიერთობის ხასიათი**. საკუთრების შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, სამართალურთიერთობის ხასიათი აბსოლუტურია (ზემოთ საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათი უკვე დავასახელებთ). მფლობელობის შემთხვევაში, უფლება შეზღუდულია ხელშეკრულებით და/ან კანონით. მფლობელი ვალდებულია, ქონება მიზნობრივად და მესაკუთრესთან წინასწარი შეთანხმებით გამოიყენოს. ვალდებულია, დაიცვას სახელშეკრულებო მოხმარების წესები და არავითარ აბსოლუტურობაზე აქ არ შეიძლება საუბარი. მაგალითად, შპს „ნ-ოილ“-მა იჯარით აიღო შ.პ.ს. „ფართი“-საგან ტერიტორია ბენზინგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის. შ.პ.ს. „ნ-ოილი“ ვალდებულია, ტერიტორიაზე მოაწყოს ბენზინგასამართი სადგური და უფლება არა აქვს, ის გამოიყენოს ღამის კლუბის ასაშენებლად.

**კითხვა:**

კანონი ამბობს, რომ მფლობელობისთვის საკმარისია, როდესაც პირი ახორციელებს ფაქტობრივ ნებელობით ბატონობას ნივთზე. ის, რომ მას არ აქვს მფლობელობის უფლება, ეს არამართლზომიერ მფლობელობაზე მიუთითებს. ანუ ქურდი, ყაჩაღი და ა.შ. ფაქტობრივად მაინც მფლობელი გამოდის, თუმცა, არამართლზომიერი ასე არ არის?



მფლობელობისა და საკუთრების არსებითი შემდეგი განსხვავება ნივთის განკარგვის უფლებას გულისხმობს. ნივთის განკარგვა ესაა ნივთის გასხვისება (გაყიდვა, გაცვლა, გაჩუქება), ან სხვა სანივთო სამართლებრივი უფლებით დატვირთვა (იპოთეკა, უზუფერუქტი, აღნაგობა, გირავნობა და ა.შ.). მესაკუთრეს უფლება აქვს, განკარგოს ნივთი, ხოლო მფლობელს ამის უფლება არ გააჩნია.

მოძრავი და უძრავი ნივთები. ნივთები შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი.


უძრავი ნივთია მიწის ნაკვეთი, მასში არსებული ნიაღისეულით, ასევე მცენარეები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარადაა ნიადაგზე. მაგალითად: სახლი, მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი კორპუსი, ავტოფარეხი და ა.შ. მყარად ყოფნა უნდა განვსაზღვროთ, როგორც მიწაზე დამაგრება შენობა-ნაგებობისა ისე, რომ მისი დანგრევის ან ღირებულების არსებითად შემცირების გარეშე, შეუძლებელი იყოს მისი მოცილება ნიადაგიდან. ამიტომ, უძრავ ნივთად არ ჩაითვლება ასანწყობი ელემენტებისაგან შექმნილი დროებითი შენობა-ნაგებობა, რადგან ის მყარად არ არის დამაგრებული მიწაზე. მაგალითად, უძრავი ქონება კაპიტალურად აშენებული საცხოვრებელი სახლია, მაგრამ დროებითი საცხოვრებელი ვაგონი უკვე უძრავ ქონებად ვეღარ ჩაითვლება.

მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს მოძრავი ნივთის ცალკე განსაზღვრებას, მაგრამ მარტივი ლოგიკის მიხედვით, ნებისმიერი ნივთი, რომელიც უძრავი არაა, მოძრავია. მაგალითად: ბურთი, მაგიდა, სკამი, ჰამაკი და ა.შ.

იურიდიული ფიქციის წყალობით, მოძრავი ნივთი შეიძლება გახდეს უძრავი. თუ თქვენ მოძრავ ნივთს რეგისტრაციაში გაატარებთ საჯარო რეესტრში (მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ), ამ მოძრავ ნივთზე სრულად გავრცელდება უძრავი ნივთის სამართლებრივი რეჟიმი (მაგალითად, მის გასაყიდად ან სხვაგვარად განკარგვისათვის, საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროთ გარიგება).

**საკუთრებისა და მფლობელობის უფლების წარმოშობა მოძრავ და უძრავ ნივთებზე**

**კითხვა:**  
რომელი ნივთები იგულისხმება აქ? სად არის მისი რეგულაცია კოდექსში?



თავდაპირველად ვისაუბროთ საკუთრების უფლების წარმოშობაზე. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობა შედარებით მარტივ იურიდიულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. მათზე საკუთრების უფლება შეიძლება წარმოიშვას ან მხოლოდ ზეპირი სახით (მაგალითად: სურსათის ყიდვა სუპერმარკეტში, სათამაშო ეტლის ყიდვა ბავშვისთვის და ა.შ.), ან შეიძლება კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მოძრავი ნივთის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტების წერილობითი სახით გაფორმებას. აღნიშნული ძირითადად ეხება იურიდიულ პირებს ან არარეგისტრირებულ კავშირებს, საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოებისას. მაგალითად, იმისათვის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ მოხდეს სამშენებლო მასალების შესყიდვა, იგი ვალდებულია, გააფორმოს ნასყიდობა წერილობითი სახით და დაურთოს სათანადო საბუღალტრო დოკუმენტაცია.



იგივე წესი ვრცელდება მოძრავ ნივთებზე მფლობელობის უფლების წარმოშობაზე. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ ითხოვოთ მეგობრისაგან ტანსაცმელი სიტყვიერი შეთანხმებით, სააქციო საზოგადოებამ იჯარით აიღოს სამაცივრე დანადგარები წერილობითი ფორმით და ა.შ.

რაც შეეხება უძრავ ნივთებზე მფლობელობისა და საკუთრების უფლების წარმოშობას - ეს საკითხი ბევრად რთულ სამართლებრივ რეგულაციებს მოითხოვს. კერძოდ, დავიწყოთ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვებით. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მოიპოვება მხოლოდ საჯარო რეესტრში წერილობითი სახით შედგენილი დოკუმენტის (გარიგება, სამკვიდრო მონაშობა, საკუთრების მონაშობა და ა.შ.) წარდგენითა და მისი რეგისტრაციით. შესაბამისად, საკუთრების უფლება წარმოშობილად ითვლება მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რაც შეეხება მფლობელობას, ის შეიძლება წარმოიშვას როგორც ზეპირი სახით, ასევე მარტივი და/ან სანოტარო წესით წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ან წერილობითი სახის ხელშეკრულების რეგისტრაციით საჯარო რეესტრში. როგორც წესი, კანონი ამ მხრივ დიდ თავისუფლებას ანიჭებს გარიგების მონაწილეებს, თუმცა გამონაკლისის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ უძრავ ნივთზე მფლობელობის მოპოვება იურიდიული პირის მიერ. ასეთ შემთხვევაში, თუკი გარიგება ერთ წელზე მეტი ვადითაა დადებული, მისი რეგისტრაცია სავალდებულოა საჯარო რეესტრში. მაგალითად, თუ იურიდიული პირი იჯარით აიღებს საოფისე ფართს, კომერციულ ფართს და ა.შ. და თუკი გარიგება ერთ წელზე მეტი ვადითაა დადებული, მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში სავალდებულოა.



**საჯარო რეესტრი, მისი უტყუარობის პრეზუმფცია.** საჯარო რეესტრი - საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტია, სადაც წარმოებს ცალკეული კერძოსამართლებრივი უფლებების რეგისტრაცია ნივთებზე, როგორც უძრავ, მაგალითად: ბინის ნასყიდობა, იპოთეკა და ა.შ., აგრეთვე მოძრავ ნივთებზე (იურიდიული ფიქცია). უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სანივთო სამართლებრივ უფლებათა (იპოთეკა, აღნაგობა, სერვიტუტი და ა.შ.) რეგისტრაცია სავალდებულოა. საჯარო რეესტრში მოძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაცია მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

საჯარო რეესტრი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოა, რომელიც ხელმძღვანელობს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, საქართველოს კანონით „საჯარო რეესტრის შესახებ“, აგრეთვე, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საჯარო რეესტრის მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ეს ნიშნავს, რომ მისი ჩანაწერები ითვლება უტყუარად მანამ, სანამ სასამართლოს მიერ საპირისპირო არ იქნება დამტკიცებული, ან წამოყენებული არ იქნება შედავება და გარიგების დამდებმა რომელიმე მხარემ ამის შესახებ იცის.

მფლობელის უფლებები მესაკუთრის წინააღმდეგ - მიუხედავად იმისა, რომ საკუთრება აბსოლუტური უფლებაა და თავად მფლობელობაც შეიძლება გამომდინარეობდეს მესაკუთრის მიერ სხვა პირისათვის მფლობელობაში ნივთის გადაცემიდან, მართლზომიერ მფლობელს, თავად მესაკუთრის მხრიდან თვითნებობისაგანც კი იცავს კანონმდებლობა. კერძოდ, დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს ჩამოერთვას ნივთზე ბატონობა (მფლობელობა) ვადამდე, ასევე მფლობელის საკუთრებად ითვლება ნივთისა და უფლების ნაყოფი.

**მაგალითად:** თქვენი მეზობელი ყიდულობს ბინას, ხოლო საჯარო რეესტრში ეს ბინა რეგისტრირებულია თქვენს ყოფილ მეზობელზე. ნასყიდობის დადებიდან ერთი თვის შემდგომ თქვენს ახალ მეზობელთან მოდის მოქალაქე, რომელიც ეუბნება, რომ ეს ბინა მას ეკუთვნოდა და ნასყიდობის ხელშეკრულება არასწორადაა დადებული (ბათილია). ვინაიდან თქვენი ახალი მეზობელი ბინის ნასყიდობისას ეყრდნობოდა საჯარო რეესტრის ამონაწერს და მისი უტყუარობის პრეზუმფციას, ის რჩება მის მესაკუთრედ.

**მაგალითად:** თქვენ იჯარით აიღეთ მალაზია და განახორციელეთ მასში ინვესტიცია. კერძოდ, გააჩვენეთ, აღჭურვეთ ავეჯითა და ინვენტარით და ა.შ. იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა სამი წლით. სამი წლის განმავლობაში მესაკუთრეს უფლება არა აქვს, მოგთხოვოთ ფართის დატოვება (თუკი თქვენი მხრიდან არ ირღვევა სახელშეკრულებო ვალდებულებანი). აგრეთვე, თქვენს საკუთრებაში რჩება ის კომერციული მოგება, რომელიც მალაზიის სარგებლობისა და მუშაობის შედეგად მიიღეთ საიჯარო სამართალურთიერთობის ვადაში.

## 4. ნასყიდობის ხელშეკრულება

### ცნება


**ნასყიდობა** - სამოქალაქო სამართლის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ჩვენ ყოველდღიურად ვდებთ ნასყიდობის ხელშეკრულებებს. ვყიდულობთ პროდუქტს, წიგნებს, კინოთეატრის ბილეთებს, ჩვენი ახლობლები მუშაობენ გამყიდველებად სხვადასხვა ობიექტზე და ყიდიან სხვადასხვა პროდუქციას. ხშირად, არც კი ვაკვირდებით ჩვენი ქმედების სამართლებრივ ასპექტს. იმდენად ბუნებრივად ჩანს ყიდვა-გაყიდვის პროცესი, რომ აზრადაც არ მოგვდის მის სამართლებრივ ბუნებაზე ფიქრი. მაგრამ ნასყიდობა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე დეტალურად რეგლამენტირებული და თვისობრივად დამუშავებული ნაწილია. ჩვენ ცოტა, მაგრამ აუცილებელი ინფორმაცია უნდა ვიცოდეთ ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე.

ნასყიდობის ხელშეკრულებით, მყიდველი მოვალეა გამყიდველს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური და მიიღოს საქონელი. გამყიდველი კი, თავის მხრივ, ვალდებულია, მიიღოს შეთანხმებული საზღაური მყიდველისაგან, გადასცეს მას საჭირო საბუთები, ქონება და საკუთრების უფლება ქონებაზე.

**ნასყიდობის ხელშეკრულება *თრმხრივია***, რადგან მასში მონაწილეობს ორი მხარე - მყიდველი და გამყიდველი (მნიშვნელობა აქ აქვს მყიდველი და/ან გამყიდველი ერთი პირია თუ რამდენიმე);

ნასყიდობის ხელშეკრულება **კონსენსუალურია**, რადგან ის დადებულია და წარმოშობილად ითვლება მხარეთა მიერ მის ძირითად პირობებზე შეთანხმებისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ თქვენ ყიდულობთ მაღაზიაში ტელევიზორს და შეთანხმდებით ტელევიზორის ფასსა და ხარისხზე გამყიდველთან, მიუხედავად იმისა, თანხა გადახდილი გაქვთ სალაროში ჯერ თუ არა და ტელევიზორიც გადმოგეცათ ჯერ თუ არა, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია და შესაბამისი უფლება-მოვალეობებიც წარმოგეშობათ.

ნასყიდობის ხელშეკრულება **სასყიდობიანია**, რადგან აუცილებელია, რომ მყიდველმა გადაიხადოს ნასყიდობის ფასი. სხვა შემთხვევაში, სახეზე გვექნებოდა ჩუქება, რომლის დროსაც ერთი მხარე (გამჩუქებელი) მეორე მხარეს (დასაჩუქრებულს) უსასყიდლოდ გადასცემს რაიმე ქონებას საკუთრებაში.



**ვინ შეიძლება იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე?** - ნასყიდობის მხარედ (მყიდველად ან გამყიდველად) შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, ან ნებისმიერი იურიდიული პირი (სამეწარმეო, არასამეწარმეო), აგრეთვე არარეგისტრირებული კავშირი.

**ნასყიდობის საგანი** შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი და/ან არამატერიალური სიკეთე (საავტორო უფლება, ლოგო, წილი სამეწარმეო საზოგადოებაში და ა.შ.), რომელთა ფლობა, განკარგვა და სარგებლობა კანონით არ არის აკრძალული, ან არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს.



**ნასყიდობის ფორმა** შეიძლება იყოს ზეპირი, მარტივი წერილობითი, სანოტარო წესით დამოწმებული.

ნასყიდობის ხელშეკრულებათა უმეტესობა ზეპირი ფორმით იდება. მაგალითად, ნასყიდობა მაღაზიაში, თეატრში (ბილეთის ყიდვა), სატრანსპორტო საშუალებაში (მაგალითად: ავტობუსის, მეტროს ბილეთის ყიდვა) და ა.შ.

წერილობითი ფორმით იდება გარიგებანი, როცა ან მხარეები საგანგებოდ შეთანხმდებიან ამაზე, ან ამას კანონი მოითხოვს. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების ნასყიდობა უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ორგანიზაციის მიერ ტექნიკის შესყიდვა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და სხვა.

სანოტარო წესით ხდება იმ გარიგებათა დამოწმება, რომლებსაც მხარეები გადაწყვეტენ ან კანონი მოითხოვს ამას. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებებამდე, საქართველოში უძრავი ნივთის საყიდლად, აუცილებელი იყო გარიგების წერილობითი ფორმით დადება და სანოტარო წესით დამოწმება. იგივე ეხება ნილს სამენარმეო იურიდიულ პირებში და სხვ.

**ნაკლის გამო პასუხისმგებლობა**

გამყიდველმა ნივთი მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო უნდა გადასცეს.

უფლებრივად ნაკლის მქონეა ნივთი, თუ მესამე პირს შეუძლია წამოაყენოს პრეტენზიები ამ ნივთის გამო.

ნივთობრივად ნაკლის მქონეა ნივთი, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს, ან უვარგისია ჩვეულებრივი ან სახელშეკრულებო მიზნებით სარგებლობისათვის.

რა მოვალეობანი ეკისრება გამყიდველს ნივთის ნაკლით გაყიდვისას?

1. გამყიდველმა უნდა გამოასწოროს ნაკლი (მაგალითად, შეაკეთოს კომპიუტერი, დაფაროს სასესხო დავალიანება, რომლის უზრუნველსაყოფად დაიტვირთა ნივთი) და ა.შ.
2. გამყიდველსავე ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფარვის ვალდებულება (ტრანსპორტირების, რემონტის და სხვა ხარჯები).

მაგალითად, ივანე მიჭყიდის პეტრეს ტელევიზორს, მაგრამ, როცა ტელევიზორს სახლში წასაღებად პეტრე მანქანაში ჩადებს, მასთან მივა დავითი, რომელიც აცხადებს, რომ ტელევიზორი ივანემ დააგირავა დავითის სასარგებლოდ, მის მიერ ნასესხები ფულის უზრუნველსაყოფად.

**კითხვა:**  
შეგიძლიათ მსგავსი მაგალითების მოყვანა?

მაგალითად, ნანა მიჭყიდის ბესოს კომპიუტერს, რომელიც არ მუშაობს, ან მამუკა მიჭყიდის ვალერის მინის ნაკვეთს წინასწარი შეთანხმებით, რომ ვალერი მასზე ააშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს. ნასყიდობის გაფორმების შემდგომ კი აღმოჩნდება, რომ ამ მინის ნაკვეთზე გადის გაზის მილი და მშენებლობა საერთოდ არ შეიძლება და ა.შ.

მაგალითად, პროგრამისტს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა კომპიუტერი, რათა შეექმნა პროგრამა და გაეყიდა, რაც ვერ მოასწრო, რადგან კომპიუტერი არ მუშაობდა. გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს ის თანხაც, რომელსაც მყიდველი მიიღებდა კომპიუტერის უნაკლობის შემთხვევაში.


გამყიდველს, ასევე შეუძლია, უარი თქვას ნივთის შეცვლას ან გამოსწორებაზე და ასეთ შემთხვევაში ვალდებულია, დაუბრუნოს მყიდველს ნასყიდობის ფასი, ასევე აუნაზღაუროს ზიანი.

თუ გამყიდველი მყიდველს ნაკლის მქონე ნივთის ნაცვლად გადასცემს შეთანხმებულ უნაკლო ნივთს, მაშინ გამყიდველს უფლება აქვს, დაიბრუნოს ნაკლის მქონე ნივთი მყიდველისაგან. სხვა შემთხვევაში, მყიდველს დარჩებოდა ორი ნივთი და სახეზე გვექნებოდა უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა.

კიდევ ერთი გარემოება, მყიდველს შეუძლია, გამყიდველს დააკლავინოს ნასყიდობის ფასი ნივთის ნაკლოვანების შემთხვევაში და ამ დროს, გამყიდველს არც ნივთის გამოცვლის და არც ნაკლის აღმოფხვრა არ დაეკისრება. მაგალითად, გიორგიმ თამუნასაგან იყიდა აუდიო პლეერი. აღმოჩნდა, რომ გამართულად არ მუშაობდა ხმის გამაძლიერებლები. გიორგიმ დააკლავინა თამუნას ნასყიდობის ფასი და აუდიო პლეერი მაინც შეიძინა.

### **ქუჩაში დადებული გარიგებები**

არის პრაქტიკაში შემთხვევები, როცა რაიმე ხელშეკრულებას ვდებთ ქუჩაში, სახლის წინ, სადარბაზოში, ან სულაც სახლში გვაკითხავენ სხვადასხვა პროდუქციის დისტრიბუტორები და გვთავაზობენ გარკვეული პროდუქტის ყიდვას, რაიმე მომსახურებას, სერვისს. როგორ რეგლამენტირდება აღნიშნული იურიდიულად? გვაქვს თუ არა უფლება, უარი ვთქვათ ხელშეკრულებაზე, თუ უკვე ვიყიდეთ რაიმე ნივთი? რა ვადაში?





თავდაპირველად განვსაზღვროთ ის, თუ როდის ითვლება გარიგება ქუჩაში დადებულიად. მსგავსი ტიპის გარიგება სახეზე გვაქვს, როცა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის გარიგება იდება ქუჩაში, სახლის წინ ან სხვა ტიპის ადგილებში. განსაზღვრისას, მნიშვნელობა აქვს თავად ფაქტს, თუ სად იდება კონკრეტულად გარიგება. ვინაიდან, მოვაჭრე ვაჭრობს დახლზე, რომელიც განთავსებულია მეტროს შესასვლელთან, ან საცხოვრებელი კორპუსის ეზოში და მასთან მიდის მომხმარებელი და დებს გარიგებას, ამ ტიპის გარიგებას ვერ მივიჩნევთ ქუჩაში დადებულ გარიგებად. მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის მოულოდნელობა მომხმარებლისათვის. ანუ, მომხმარებელი არ უნდა ელოდეს შეთავაზებას. მისთვის ცნობილი არ უნდა იყოს, რომ მას რაიმეს შესთავაზებენ. მაგალითად, თუ თქვენ მიდისართ ბაზარში (ქუჩაში განთავსებული) და ყიდულობთ ვაშლს, ეს სტანდარტული ნასყიდობის ხელშეკრულებაა, მაგრამ თუ სახლში გესტუმრებათ ტექნიკის ფირმის წარმომადგენელი, რომელიც გთავაზობთ ტელევიზორის შეძენა - მონტაჟს და თუ აღნიშნულ წინადადებას დათანხმდებით, გარიგებას შეიძლება მიეცეს კვალიფიკაცია, როგორც ქუჩაში დადებული გარიგება.

ქუჩაში დადებული გარიგება მერყევად ბათილი გარიგებაა (მერყევად ბათილი გარიგების ცნება ჩვენ უკვე ვისწავლეთ). კერძოდ, გარიგების დადებიდან ერთი კვირის განმავლობაში, მომხმარებელს ცალმხრივად შეუძლია წერილობითი უარი განაცხადოს გარიგებაზე, მაგალითად: ნინოს ქუჩაში შეხვდა გივი, რომელმაც შესთავაზა მას სარეცხი მანქანის შეძენა ადგილზე ტრანსპორტირებითა და მონტაჟით. იმავდროულად, აჩვენა ნინოს კატალოგები, სადაც სარეცხი მანქანები საკმაოდ მოხდენილად გამოიყურებოდა. ნინო დათანხმდა, თუმცა სახლში დაბრუნებულმა მეუღლისაგან გაიგო, რომ მსგავს სარეცხ მანქანებს სხვა ფირმა გაცილებით იაფად ყიდდა. ნინომ წერილობითი უარი განუცხადა დისტრიბუტორ გივის.

ამასთანავე, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ უარის თქმა დაუშვებელია, თუკი ხელშეკრულების შესრულება დადებისთანავე ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი, მაგალითად, თქვენ სახლში გესტუმრებათ დისტრიბუტორი, რომელიც შემოგთავაზებთ შამპუნს და თქვენ მას მაშინვე შეიძენთ (გადაიხდით საფასურს და გადმოგეცემთ შამპუნი საკუთრებაში), თქვენ უარის თქმის უფლებას კარგავთ.

## 5. ქირავნობა

ქირავნობა სახელშეკრულებო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის ჯერ კიდევ რომის სამართლიდანაა ცნობილი ცივილისტებისათვის (სამოქალაქო სამართლის სპეციალისტებისათვის). მას დიდ ყურადღებას უთმობს ქართული სამოქალაქო სამართალიც და, შეძლებისაგვარად, ამომწურავად აყალიბებს ქირავნობის რეგულაციებს. ჩვენ, წინამდებარე თავში, მოკლედ შევისწავლით ქირავნობასთან დაკავშირებულ რამდენიმე სამართლებრივ ასპექტს. ცოდნის გაღრმავება კი შეგიძლიათ სპეციალური ლიტერატურის დახმარებით.

**ქირავნობა** - არის სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, რომლის საფუძველზეც ერთი პირი გადასცემს მეორე პირს გარკვეულ ნივთს სარგებლობაში, განსაზღვრული ვადითა და ანაზღაურებით.


ანუ, **ქირავნობით სამართალურთიერთობაში გვყავს მხარეები - გამქირავებელი და დამქირავებელი (სუბიექტები)**. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, ანდა არარეგისტრირებული კავშირი. ამასთან, როგორც გამქირავებელი, ასევე დამქირავებელი შეიძლება წარმოადგინოს მინდობილმა პირმა, სათანადოდ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

ქირავნობით სამართალურთიერთობაში საგანი (ობიექტი) შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი, რომელიც ამოღებული არ არის სამოქალაქო ბრუნვიდან. მაგალითად, **არ შეიძლება საგანი (ობიექტი) იყოს ნარკოტიკული ნივთიერება, ცეცხლსასროლი ნივთი და სხვა მსგავსი საგანი, რადგან ისინი ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან.**

### კითხვა:

ისაუბრეთ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ზოგადად. გაიხსენეთ შემთხვევები, როდესაც ყოფილხართ აღნიშნული ხელშეკრულების მხარე. თქვენი აზრით, რატომ არის ნასყიდობის სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვანი?

## ქირავნობის სამართალსუბიექტები



**კითხვა:**  
გამიჯნეთ ერთმანეთისგან ქირავნობა და თხოვება. რა მსგავსებაა ერთი მხრივ ქირავნობასა და თხოვებას, მეორე მხრივ კი ნასყიდობასა და ჩუქებას შორის?

**სარგებლობა** - ტერმინი აღნიშნავს ნივთის ჭერას, მის მოხმარებასა და გამოყენებას სხვადასხვა დანიშნულებისათვის. მაგრამ, იმავდროულად აღნიშნავს, რომ დამქირავებელი ნივთის მესაკუთრე ვერ ხდება, ვერ განკარგავს მას, ვერ გაყიდის, ვერ დატვირთავს უფლებრივად (ვერ დააგირავებს, ან იპოთეკით ვერ გასცემს). დამქირავებელი მხოლოდ იყენებს ნივთს გარკვეული სამეურნეო მიზნით და ამ ნივთის მესაკუთრე უცვლელი რჩება.

ქირავნობა ყოველთვის ნიშნავს გარკვეული ვადის არსებობას. დამქირავებელს ნივთი სარგებლობაში გადაეცემა ყოველთვის გარკვეული ვადით.

ქირავნობა ყოველთვის ნიშნავს სასყიდლიანობას. ანუ, დამქირავებელი გამქირავებლისაგან ნივთს სარგებლობაში იღებს მხოლოდ გარკვეული საზღაურის გადახდის საფასურად. სწორედ ამით განსხვავდება ქირავნობა თხოვებისაგან. თხოვების შემთხვევაში, ნივთის სარგებლობაში გადაცემა უსასყიდლოა.

ქირავნობა კონსენსუალური გარიგებაა (ძალაში შედის მხარეთა მიერ არსებით პირობებზე შეთანხმებისთანავე).



ქირავნობა შეიძლება გაფორმდეს როგორც სიტყვიერად (ზეპირი ფორმა), ისე წერილობით (მარტივი ფორმა ან დამონმდეს უფლებამოსილ ორგანოში).

ქირავნობის ხელშეკრულება ძალაში შედის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებისთანავე. მაგალითად, თუკი ქირავნობის ხელშეკრულება ზეპირი ფორმითაა დადებული, ის ძალაში შედის მხარეთა მიერ სიტყვიერი შეთანხმებისთანავე და უფლება-მოვალეობები წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, გადაეცა დამქირავებელს ნივთი რეალურ სარგებლობაში ჯერ თუ არა. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება წერილობითი ფორმითაა დადებული, ის ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

**შენწყვეტა.** ქირავნობა შესაძლოა შეწყდეს რამდენიმე გარემოების გამო:

- გავიდა ხელშეკრულების ვადა. ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქირავნობის ხელშეკრულება ყოველთვის ვადიანია. შესაბამისად,

თუკი ეს ვადა გავიდა, ხელშეკრულება შეწყდება. იმავდროულად, მხარეებს შეუძლიათ გააგრძელონ ქირავნობის ურთიერთობა ძველი პირობებით, ან შეთანხმდნენ ახალზე;

- რომელიმე მხარემ დაარღვია სახელშეკრულებო ურთიერთობა და მეორე მხარე ითხოვს ქირავნობის ვადამდე შეწყვეტას. მაგალითად: დამქირავებელი არ იხდის დროულად ქირას, გამქირავებელი ხელს უშლის დამქირავებელს ქირავნობის საგნის გამოყენებაში, დამქირავებელი არამიზნობრივად იყენებს ქირავნობის საგანს (მაგალითად: პეტრემ მიაქირავა დავითს ავტომანქანა 2 დღით სამგზავროდ, დავითმა კი ავტომანქანით ბარგის გადაზიდვა დაიწყო);
- არსებობს სხვა სახელშეკრულებო ან კანონისმიერი საფუძველი. მაგალითად: ქირავნობის ხელშეკრულება დადებული იყო რაიმე პირობის დათქმით და ეს პირობა სახეზე დადგა, ან ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ გაირკვა, რომ გამქირავებელი არ იყო უფლებამოსილი, გაექირავებინა ქონება (მოპარული ჰქონდა) და ეს ქონება კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდა, ან ფორს-მაჟორული გარემოება დადგა (დაუძლეველი ძალა, როგორცაა სტიქიური უბედურება, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, ხანძარი და ა.შ.).

**მიმდინარე ხარჯების კისრება.** მიმდინარე ხარჯებში, როგორც წესი, გადის ქონების შეკეთების, რემონტის, ამორტიზებული ნაწილების გამოცვლისა და სხვა მსგავსი ხარჯები. ამ ხარჯების შესახებ მხარეები თანხმდებიან ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას, ან მის შემდგომ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მხარეებმა ეს ვერ გაითვალისწინეს. ასეთ დროს ამოქმედდება საკანონმდებლო რეგულაცია:

- მიმდინარე რემონტის ჩატარების ვალდებულება ეკისრება დამქირავებელს. სწორედ ის არის მოვალე იზრუნოს ნივთის მოვლა-პატრონობაზე, მის შეკეთებაზე და ა.შ. თუმცა არსებითი გადაკეთების უფლება, გამქირავებლის თანხმობის გარეშე, მას არა აქვს. არსებით გადაკეთებად შეიძლება ჩაითვალოს ნივთის ფუნქციისა და დანიშნულების შეცვლა, მისი შემადგენელი ნაწილების გამოცვლა მდარე ხარისხის ნაწილებით, მისი სხვა ნივთებთან შერწყმა ისე, რომ დაზიანების გარეშე, შეუძლებელია მათი განცალკევება (მაგალითად, დამქირავებელმა ნაქირავები ბინა შეუერთა მეზობლის ბინას და ა.შ.). თუ დამქირავებელი დაარღვევს ამ დათქმას და ნივთს არსებითად გადააკეთებს, ან შეუცვლის ფუნქციას, მას დაეკისრება ზარალის ანაზღაურების ხარჯები;
- ზემოაღნიშნული მიმდინარე რემონტის ხარჯები უნდა აანაზღაუროს დამქირავებელმა. სხვა შემთხვევაში, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა გამქირავებლის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ საკითხში მხარეთა ნებას უპირატესი ძალა აქვს კანონის დანაწესთან შედარებით და თუკი მხარეები სხვანაირად შეთანხმდებიან, მიმდინარე ხარჯები განაწილდება მათი შეთანხმებისამებრ. მაგალითად, შესაძლოა მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიმდინარე რემონტის ხარჯებს გაიღებს გამქირავებელი და ა.შ.

**კითხვა:**  
რატომ არის მხარეთა ნება კანონზე უპირატესი მოცემულ შემთხვევაში?

### 5.1. ქირავნობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

ქირავნობასთან დაკავშირებულია გარკვეული სამართლებრივი გარემოებანი და მოდით, შევეხოთ რამდენიმე მათგანს:

**უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა.** გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. თუ რას ნიშნავს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლი, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. სხვა შემთხვევაში, გამქირავებელს დაეკისრება დამქირავებლისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.



**ქვექირავნობა.** დამქირავებელს უფლება აქვს, გამქირავებლის თანხმობით გადასცეს სარგებლობაში სხვა პირს ქირავნობის საგანი. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია დამქირავებლის წინასწარი თანხმობა, რომელიც შესაძლებელია გამოხატული იყოს თავად ხელშეკრულებაში, ან ხელშეკრულების დადების შემდგომ.

ქვექირავნობის ხელშეკრულება იზიარებს ქირავნობის ხელშეკრულების ბედს. თუკი ქირავნობის ხელშეკრულება ბათილად გამოცხადდება, მაშინ თავად ქვექირავნობაც გაბათილდება.

ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა გამოიწვევს ქვექირავნობის ვადამდე შეწყვეტასაც, მიუხედავად საფუძვლისა, რომლითაც ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა. მაგალითად, პეტრე იქირავებს პავლესაგან ავტომანქანას, რომლითაც მან უნდა გადაიყვანოს მგზავრები და ყოველდღიურად გარკვეული თანხა უნდა გადასცეს მას. პეტრე, თავის მხრივ, ქვექირავნობით გადასცემს ავტომანქანას გურამს, რომელიც პატიოსნად უხდის მას შეთანხმებულ საზღაურს. თავად პეტრე კი პავლეს საზღაურს არ უხდის, რის გამოც, ეს უკანასკნელი ვადამდე მოშლის ქირავნობის ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში, ქვექირავნობის ხელშეკრულება შეწყდება პეტრესა და გურამს შორისაც.

ქვექირავნობის ხელშეკრულება არ უნდა დაიდოს ქირავნობის ხელშეკრულებაზე მეტი ხნით, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქირავნობის შეწყვეტის შემთხვევაში, ქვექირავნობაც წყდება.

ქვექირავნობით ქონების გადაცემის შემთხვევაშიც, გამქირავებელთან პასუხისმგებელ პირად დამქირავებელი რჩება. ის ვალდებულია, შეასრულოს ყველა ნაკისრი ვალდებულება გამქირავებლის წინაშე. მაგალითად, ლაშამ იქირავა შ.პ.ს. „ზღვის სამყაროსაგან“ აკვარიუმები. მან იკისრა ვალდებულება, რომ თვეში ერთხელ აკვარიუმებს სპეციალური ხსნარით განმენდდა. ლაშამ, თავის მხრივ, მამუკას მიაქირავა აკვარიუმები ქვექირავნობით. შ.პ.ს. „ზღვის სამყარო“ მამუკას მოსთხოვს როგორც ქირის გადახდას, ასევე აკვარიუმების სპეციალური ხსნარით დამუშავებასაც.

**გირავნობის უფლება დამქირავებლის ნივთებზე.** თუ დამქირავებლის მიერ გამქირავებლის წინაშე არ შესრულდა რაიმე ვალდებულება, გამქირავებელს უფლება აქვს, თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, გამოიყენოს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ ნაქირავებ მინის ნაკვეთზე, საცხოვრებელ ბინაში ან სახლში შეტანილ ნივთებზე. მაგალითად: ბესომ იქირავა თამუნასაგან საცხოვრებელი ბინა, თვეში 200 ლარად. ორი თვის მანძილზე ბესომ არ გადაიხადა ქირა და დავალიანება დაუგროვდა 400 ლარის ოდენობით. თამუნას უფლება აქვს, ბესოს უარი განუცხადოს საოჯახო ტექნიკის გატანაზე სახლიდან მანამ, სანამ ეს უკანასკნელი მას არ დაუფარავს დავალიანებას 400 ლარს.

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია მოცემული დებულება? პასუხი დაასაბუთეთ.

ქირავნობა	იჯარა
სასყიდლიანია	სასყიდლიანია
ორმხრივია	ორმხრივია
ვადიანია	ვადიანია
კონსენსუალურია	კონსენსუალურია
ნივთი გამოიყენება შემოსავლის მიღების მიზნის გარეშე	ნივთი გამოიყენება შემოსავლის მიღების მიზნით


**ქირავნობის გამიჯვნა იჯარისგან.** იჯარა და ქირავნობა მსგავსი სამართალურთიერთობებია. მეტიც, საიჯარო ურთიერთობებს, ძირითადად, აწესრიგებს ქირავნობის სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, მაგრამ განსხვავებებს, სპეციალურად, იჯარის სამართლებრივი ნორმები ეხება. იჯარაცა და ქირავნობაც სასყიდლიანი, ორმხრივი და დროებითი ხელშეკრულებებია. ფორმაც ამ ხელშეკრულებების მსგავსია. ორივე მათგანი შეიძლება დაიდოს ზეპირად და/ან წერილობით.

მიუხედავად ამისა, განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს. ეს განსხვავება ხელშეკრულების მიზანში მდგომარეობს. კერძოდ, თუ ხელშეკრულების მიზანი დამქირავებლის მიერ საგნის მხოლოდ მოხმარება-გამოყენებაა შემოსავლის მიღების გარეშე, მაშინ საქმე ქირავნობასთან გვაქვს. მაგალითად: მადონა ქირაობს ჯუმბერისაგან საცხოვრებელ ბინას თავისთვის, მამუკა ქირაობს შოთასგან ავტომანქანას ოჯახის წასაყვანად ექსკურსიაზე და ა.შ.

მაგრამ თუ ხელშეკრულების მიზანი ნივთით სარგებლობაა, მისგან შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ საქმე იჯარის ხელშეკრულებასთან გვაქვს. მაგალითად, ზემოაღნიშნულ მაგალითებში, თუ მადონა ჯუმბერისგან ფართს იქირავებდა ოფისის მოსაწყობად და ბიზნესის წარმოებისათვის, ეს იჯარის ხელშეკრულება იქნებოდა. იგივე იქნებოდა, თუკი მამუკა იქირავებდა შოთასგან ავტომანქანას უცხოელი ტურისტებისათვის ჯიპ-ტურის მოსაწყობად და ამისათვის გასამრჯელოს აიღებდა.

**კითხვა:**  
იმსჯელეთ ქირავნობასა და იჯარას შორის არსებულ სხვაობაზე.

6. სესხი



**არსი, ზეპირად დადების შესაძლებლობა, მტკიცებულებების პრობლემატიკა.** სესხი: ფულის ან სხვა ნივთის დროებით გადაცემა სხვის საკუთრებაში, რომელიც გარკვეული ვადის შემდეგ უნდა დაბრუნდეს. სუბიექტად გვევლინება ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი. სუბიექტი სესხის ხელშეკრულებაში არის ან გამსესხებელი - პირი, რომელიც გასცემს სესხს, ან მსესხებელი - პირი, რომელიც იღებს სესხს, ხოლო ობიექტი (ანუ სესხის საგანი) ფული ან სხვა



**გვაროვნული ნივთი.** ფულთან დაკავშირებით აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ აქ იგულისხმება მიმოქცევაში მყოფი ნებისმიერი ვალუტა (ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტი და ა.შ.). რაც შეეხება გვაროვნულ ნივთს, როგორც სესხის ხელშეკრულების ობიექტს, აქ მოიაზრება ისეთი ნივთები, რომელთა გამოცალკევება და მათი ინდივიდუალურად აღრიცხვა-დამახსოვრება შეუძლებელია. მაგალითად: ერთი ტომარა შეშა, ათი კილოგრამი ხახვი, ორი ტონა კარტოფილი და ა.შ. შეუძლებელია, გამსესხებელმა მსესხებელს მოსთხოვოს იგივე შეშის ან კარტოფილის დაბრუნება, რომელიც მან გაასესხა. ამიტომაც, გამსესხებელს მსესხებელმა უნდა დაუბრუნოს იგივე ოდენობისა და ხარისხის შეშა, ხახვი, კარტოფილი და ა.შ. იგივე ეხება ფულსაც. შეუძლებელია მსესხებელმა დააბრუნოს იგივე ბანკნოტი, რომელიც გამსესხებლისგან მიიღო, მან უნდა დააბრუნოს იგივე ოდენობისა და დასახელების ვალუტა.

სესხი გულისხმობს გამსესხებლის მიერ ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის, მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსესხებელს ვალდებულება არ წარმოეშობა. უბრალოდ, მას ნასესხები ფული ან ნივთი კი გადაეცემა საკუთრებაში, მაგრამ ეს იმავდროულად წარმოშობს გამსესხებელთან მის სასესხო ვალდებულებებს. საკუთრებაში გადაცემა ნიშნავს იმას, რომ მსესხებელს შეუძლია თავისუფლად მართოს და განკარგოს სესხის საგანი საკუთარი სურვილისამებრ. მაგალითად: ნასესხები ფულით იყიდოს ტელევიზორი, ნასესხები შაქრით გამოაცხოს ნამცხვარი და ა.შ. ამასთანავე, უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს მიზნობრივი სესხი, რომელსაც ძირითადად საბანკო-ფინანსური დაწესებულებები გასცემენ, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სესხის ხელშეკრულება ვადიანია. ეს ნიშნავს, რომ სესხი ყოველთვის გარკვეული დროით გაიცემა და თუ სესხის ხელშეკრულებაში ვადა მითითებული არაა, მსესხებელმა გამსესხებელს სესხის საგანი მოთხოვნისთანავე უნდა დაუბრუნოს.

სესხის ხელშეკრულება ფორმათავისუფალი ხელშეკრულებაა. ის შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით. თუმცა, წერილობითი ფორმა ბევრად იცავს გამსესხებელს, ვიდრე - ზეპირი. მაგალითად, სასამართლო არ მიიჩნევს სესხის ხელშეკრულებას დადებულად, თუკი პროცესის მონაწილეს არ გააჩნია რაიმე წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულება. მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებით ან მოწმის ჩვენებით სესხის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების დამტკიცება სასამართლოში შეუძლებელია.

**კითხვა:**  
რატომ არის შეუძლებელი სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტის დამტკიცება მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებითა და მოწმის ჩვენებით?

**სამომხმარებლო სესხი.** სასესხო ურთიერთობაში უნდა განვასხვავოთ ჩვეულებრივი სესხი (სამომხმარებლო), რომელიც ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გვხვდება (მაგალითად: მეზობელი მეზობელს აძლევს სესხად 100 ლარს, მოსამსახურე თავის კოლეგას ასესხებს 200 ლარს და ა.შ.) და საბანკო კრედიტი, რომელიც მკაცრად მონესრიგებულია და განერილია მისი ნორმები.

სამომხმარებლო სესხის სპეციფიკურობა მისი ყოველდღიური ბუნებიდან გამომდინარეობს. ის შეიძლება დადოს ნებისმიერმა ქმედუნარიანმა პირმა. კანონი არ ადგენს მის სავალდებულო ფორმას. ეს საკითხი მთლიანად მხარეთა ნების გამოვლენასა და მათ ავტონომიაზეა დამოკიდებული. სამომხმარებლო სესხის სამართლებრივი ასპექტები, ძირითადად, სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება.

რაც შეეხება საბანკო კრედიტს, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრად რთულად განერილი, სისტემატიზებული და მონესრიგებული ინსტიტუტია. საბანკო კრედიტი ფორმასავალდებულო გარიგებაა. იგი იდება წერილობითი ფორმით და განერილია კანონით განსაზღვრული მონაცემები. საბანკო კრედიტის სამართლებრივ რეგულაციას „საქართველოს სამოქალაქო კოდექს“-თან ერთად ეროვნული ბანკის ინსტრუქციები და ბრძანებები ახდენს. საბანკო კრედიტის გაცემის უფლება (გამსესხებლად გამოსვლა) აქვს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის მქონე იურიდიულ დაწესებულებებს. მაგალითად: ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და ა.შ. საბანკო კრედიტი ყოველთვის პროცენტია. ის სარგებლის მომტანი უნდა იყოს მისი გამცემი საფინანსო ორგანიზაციისათვის, ვინაიდან სწორედ ამ მიზნით იქმნება აღნიშნული ორგანიზაცია.

**მევახშეობა** საკმაოდ ძველი და გავრცელებული სესხის სახეობაა. ჯერ კიდევ კომერციული ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციების ჩამოყალიბებამდე, არსებობდა ფენა საზოგადოებისა, რომელთა მთავარ საქმიანობას თანხის სარგებლით (პროცენტით) გაცემა წარმოადგენდა. მევახშეობა შუალედური რგოლია სამომხმარებლო სესხსა და საბანკო კრედიტს შორის. ერთი მხრივ, ის გაცივმა არასპეციალიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. მას არ აწესრიგებს ეროვნული ბანკის ბრძანებები. იმავდროულად, მევახშე (სესხის გამცემი პირი) სესხს გასცემს სარგებლის მიღების მიზნით. ანუ მევახშე გაასესხებს ფულს პროცენტით. მევახშეობა სახელმწიფოს მიერ ნახალისებული არ არის. თუ პირს დაუდგინდება, რომ ის გასცემდა პროცენტთან სესხს, დაეკისრება სახელმწიფოს სასარგებლოდ გარკვეული გადასახადი, რომელიც არ დაეკისრება, მაგალითად, სესხის უპროცენტოდ გამცემ პირს (სამომხმარებლო სესხი). მევახშისაგან სესხი შეიძლება აიღოს, როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა. თუმცა, იურიდიული პირისათვის, ამ შემთხვევაში, გარკვეული პრობლემები წარმოიქმნება თანხების ბუღალტრულად განერასა და ანგარიშგებაში.

**ვალაუვალობა** ეს ის შემთხვევაა, როცა მოვალე ვერ ფარავს მის წინაშე მდგომ ფინანსურვალდებულებებს. სხვასიტყვებით რომ ვთქვათ, მოვალეს აქვს იმაზე ნაკლები ქონება ვიდრე ვალი (მაგალითად, სესხი). ბუნებრივია, ვალაუვალობა რომ დადგეს, საჭიროა არსებობდეს ვალდებულება, კრედიტორი და მოვალე.

ვალაუვალობის შემთხვევებს საქართველოში არეგულირებს სპეციალური კანონი „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“, რომელიც გამოაკლისის სახით არ არეგულირებს ფიზიკური



პირების (გარდა ინდივიდუალური მენარმისა), საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საფინანსო-საბანკო დაწესებულებების გადახდისუუნარობის საკითხებს.

თუ მოვალე შეიქმნა ვალაუვალი და საფრთხის წინაშე დადგა ვადამოსული ვალდებულებების შესრულება ან აშკარაა, რომ სამომავლო ვალდებულებაც არ შესრულდება, სასამართლო ანარმობებს გადახდისუუნარობის საქმეს. აღნიშნული სამართალწარმოება მიმდინარეობს სამოქალაქო საპროცესო წესებით. საქმის წარმოების პროცესში სასამართლოს მთავარი მიზანი ორია:

1. დააკმაყოფილოს კრედიტორები;
2. დაიცვას მოვალე ფინანსური გაკოტრებისაგან და ხელი შეუწყოს მის ფინანსურ რეაბილიტაციას (თუმცა, ეს უკანასკნელი, შეიძლება, შეუძლებელიც კი აღმოჩნდეს).

ვალაუვალობა დამახასიათებელია ფინანსური კრიზისის, ომის, სტიქიური უბედურებისა და სხვა ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემდგომ, როცა მოვალე ვეღარ ახერხებს იმ საქმის ჯეროვნად წარმოებას, რომლის დახმარებითაც ვალეების გადახდას აპირებდა.

## 7. გირავნობა და იკოთიკა

**გირავნობის ცნება** გირავნობა კრედიტის (მოთხოვნის, თანხის) უზრუნველყოფის მეტად გავრცელებული და საიმედო საშუალებაა. გირავნობით ერთი პირი (დამგირავებელი, ანუ მოვალე) ტვირთავს ვალდებულებით მეორე პირის სასარგებლოდ (მოგირავნე ანუ კრედიტორი) მოძრავ ნივთს ან სხვა არამატერიალურ ქონებას. შესაბამისად, თუ დამგირავებელი არ შეასრულებს მოგირავნის წინაშე თავის ვალდებულებას (მაგალითად, არ დაუბრუნებს ვალს ან არ გადაუხდის ქირას და ა.შ.), მოგირავნეს უფლება ექნება ან გაასხვისოს მოძრავი ნივთი აუქციონზე ან მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში პირდაპირ თავის საკუთრებაში გადაიტანოს გირავნობის საგანი (ნებისმიერი მოძრავი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე).

მაგალითად, ელდარი არის არქიტექტორი, რომელმაც დადო ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნახაზების შედგენის შესახებ. ამ ხელშეკრულებით სამშენებლო კომპანია ვალდებულია, მას გადაუხადოს ხუთი ათასი ლარი. ელდარი ამ კონტრაქტის საფუძველზე ბანკში იღებს სესხს და უზრუნველყოფის სახით, ბანკის სასარგებლოდ, გირავნობით ტვირთავს თავის მომავალ ჰონორარს. თუ ელდარი შეთანხმებულ ვადაში არ დაფარავს ბანკის სესხს, ბანკი ელდარის ჰონორარიდან ავტომატურად ჩამოჭრის კუთვნილ თანხას.

გირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერ ქმედუნარიან ფიზიკურ და იურიდიულ პირს შორის. გირავნობის საგანი აუცილებლად უნდა იყოს **მოძრავი ნივთი**, ე.ი. ნივთი, რომელიც არ არის უძრავი (ანუ არ არის საცხოვრებელი სახლი, ბინა, მიწის ნაკვეთი და ა.შ.). ამასთან, მოძრავი ნივთი აუცილებლად უნდა იყოს სამოქალაქო ბრუნვაში, ანუ მისი ყიდვა-გაყიდვა-გასხვისება თავისუფალი წესით უნდა შეიძლებოდეს. ამრიგად, არ შეიძლება გირავნობით დაიტვირთოს ნარკოტიკული ნივთიერება, ვინაიდან ის აკრძალული ნივთიერებაა, ასევე არ შეიძლება გირავნობით დაიტვირთოს პასპორტი, ვინაიდან არ შეიძლება მისი გასხვისება და ა.შ. აგრეთვე, გირავნობის საგანი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მაგალითად, წილი სამეწარმეო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში.

გირავნობა არის როგორც **სახელშეკრულებო**, ასევე **კანონისმიერი**. მაგალითად, სახელშეკრულებო გირავნობაა, როცა თქვენს კუთვნილ ფოტოაპარატს ტვირთავთ გირავნობის უფლებით თქვენი მეზობლის სასარგებლოდ, რომლისგანაც ისეხებით თანხა. კანონისმიერი გირავნობის მაგალითი კი გვხვდება მაშინ, როცა დამქირავე-

### კითხვა:

თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი კრედიტის უზრუნველყოფის აღნიშნული საშუალება? იმსჯელეთ და ჩამოაყალიბეთ არგუმენტები.





ბელი არ იხდის ქირავნობის თანხას და მესაკუთრეს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მოძრავი ნივთების მიმართ. ანუ თუ მაგალითად, პეტრემ იქირავა მიმასგან საცხოვრებელი ბინა და არ იხდის ქირავნობის თანხას, მიმას უფლება ექნება აუქციონის წესით გაასხვისოს პეტრეს კუთვნილ ნაქირავებ ფართში შეტანილი ტელევიზორი.

გირავნობა გვხვდება **მფლობელობითი** და **რეგისტრირებული**. მფლობელობითია გირავნობა, როცა დამგირავებელი მოგირავნეს ან მისი თანხმობით ნებისმიერ მესამე პირს გადასცემს მოძრავ ნივთს და ტვირთავს მას გირავნობით. მაგალითად: ნიკა სესხულობს თანხას გიორგისგან და გირავნობით მის სასარგებლოდ ტვირთავს თავის ანტიკვარულ საათს. შესაბამისად, ნიკა ამ საათს გადასცემს გიორგის, რომელსაც შეუძლია შეინახოს საათი მანამ, სანამ ნიკა არ შეასრულებს ვალდებულებას და არ დააბრუნებს თანხას.

რეგისტრირებული გირავნობა კი გულისხმობს გირავნობის წერილობითი ფორმით გაფორმებას და მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. მაგალითად: ავეჯის, ინვენტარის, მონყობილობების ან სამენარმეო საზოგადოებაში წილის რეგისტრაცია, ავტომანქანაზე გირავნობა შეიძლება რეგისტრაციაში გატარდეს მომსახურების სააგენტოში და ა.შ.

გირავნობით შეიძლება დაიტვირთოს როგორც უშუალოდ მოვალის ქონება (პირადი მოვალე), ასევე მესამე პირის საკუთრება (მესაკუთრის გირავნობა). გირავნობით მესამე პირის მოძრავი ნივთების დატვირთვის შემთხვევაში, აუცილებელია აღნიშნულზე მესამე პირის თანხმობა.

იმსჯელებთ სახელშეკრულებო და კანონისმიერ გირავნობას შორის არსებულ განსხვავებებზე.

მაგალითად, ტარიელმა თავისი ტრაქტორი გირავნობით დატვირთა როგორც აკაკის, ასევე, ვაჟას სასარგებლოდ. აკაკის გირავნობა პირველად დარეგისტრირდა. შესაბამისად, ჯერ მის მიმართ დაიფარება ვალი, ხოლო შემდგომ ვაჟას მიმართ.

გირავნობა უზრუნველყოფს როგორც უშუალოდ მოთხოვნას, ასევე პირგასამტეხლოსა და სასამართლო ხარჯებს. მაგალითად: დავითი სესხულობს თანხას ივანესგან. დავითი გირავნობით ტვირთავს თავის ავტომანქანას ივანეს სასარგებლოდ. ამასთან, ხელშეკრულებაში წერია, რომ დავითი ივანეს უხდის პირგასამტეხლოს სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადასახდელი თანხის 0.1%-ს. ამასთან ერთად, დავითის ავტომანქანით უზრუნველყოფილია სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაც დავის შემთხვევაში (სასამართლო ბაჟი და ა.შ.).

როცა დამგირავებელი (მოვალე) გირავნობით ტვირთავს მოძრავ ნივთს, მოგირავნეს (კრედიტორს) უფლება აქვს, თავისი მოთხოვნა სხვაზე ადრე დაიკმაყოფილოს. მაგალითად, მამუკას აქვს როგორც თემურის, ასევე ჯუმბერის ვალი. ამასთან, მართალია, მან თემურისგან უფრო ადრე ისესხა ფული, მაგრამ ჯუმბერის სასარგებლოდ მან გირავნობით დატვირთა თავისი ავტომანქანა. შესაბამისად, პირველ რიგში, ავტომანქანის რეალიზაციის შემდგომ დაიფარება სწორედ ჯუმბერის ვალი და მხოლოდ დარჩენილი თანხა გადაეცემა თემურს. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ავტომანქანის გასხვისების შემდგომ რეალიზაციის თანხამ მხოლოდ ჯუმბერის ვალი დაფაროს. ამ შემთხვევაში თემურის ვალი დაუფარავი დარჩება.

თუ ერთი და იგივე მოძრავი ნივთი რამოდენიმეჯერაა გირავნობით დატვირთული, პირველ რიგში ის მოთხოვნა დაიკმაყოფილდება, რომლის უზრუნველსაყოფადაც ნივთი პირველად დაიტვირთა.

გირაოს საგნით მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ის უნდა გაიყიდოს აუქციონზე და ამონაგები თანხა გადაეცეს მოგირავნეს (კრედიტორს). ასეთ შემთხვევაში გირავნობა შეწყვეტილად ითვლება, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამონაგები თანხა ვალდებულებას ვერ ფარავს. ხოლო თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ გირაოს საგანი შეიძლება პირდაპირ გადავიდეს მოგირავნის (კრედიტორის) საკუთრებაში, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, როგორც კი გირაოს საგანი კრედიტორის საკუთრებაში გადავა. მაგალითად, ბესო რატის სასარგებლოდ გირავნობით ტვირთავს თავის წილს შპს „ცისარტყელაში“. ბესო და რატი თანხმდებიან, რომ თუ ბესო ვალდებულებას ვერ დაფარავს შპს „ცისარტყელაში“, წილი ავტომატურად გადადის რატის საკუთრებაში.

გირავნობის ხელშეკრულებით დამგირავებელს (მოვალეს) შეიძლება შეეზღუდოს ნივთის გასხვისების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში დამგირავებელი წინასწარი თანხმობის გარეშე ვერ გაასხვისებს გირავნობის საგანს. თუ ასეთ შეზღუდვაზე მხარეები წინასწარ წერილობით არ შეთანხმდებიან, მაშინ დამგირავებელს შეუძლია ნივთი გაასხვისოს. ასეთ დროს მყიდველი ხდება დამგირავებლის უფლებამონაცვლე და ვალდებულია, მოგირავნეს (კრედიტორს) დაუფაროს დავალიანება.

**გირავნობის უფლება შეიძლება შეწყდეს დავალიანების დაფარვის, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის, გირავნობის საგნის დაღუპვის, კრედიტორის მიერ გირავნობაზე უარის თქმის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.**

ამრიგად, გირავნობა სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოვალის ან მესამე პირის კუთვნილი მოძრავი ნივთების ხარჯზე.



# იპოთეკა

**იპოთეკა** არის სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, რომლითაც მოვალის ან მესამე პირის უძრავი ქონება იტვირთება კრედიტორის სასარგებლოდ და რომლითაც უზრუნველყოფილია კრედიტორის ფინანსური ინტერესების დაკმაყოფილება.

ანუ იპოთეკა არის უძრავი ნივთის უფლებრივი დატვირთვა კრედიტორის სასარგებლოდ იმგვარად, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების გაჭიანურების შემთხვევაში დაცული იყოს კრედიტორის ინტერესები.

იპოთეკის დროს ვალდებულებით იტვირთება უძრავი ქონება. უძრავი ქონება ეს არის მიწის ნაკვეთი და მასზე მჭიდროდ დამაგრებული შენობა-ნაგებობები. უძრავი ქონებაა, მაგალითად, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, აგარაკი, საცხოვრებელი ბინა, კომერციული ფართი და ა.შ.

ხოლო ვალდებულებით დატვირთვა კი გულისხმობს კრედიტორის სასარგებლოდ უფლებრივ შეზღუდვას, როცა კრედიტორს შეუძლია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას, აღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაცია აუქციონის გზით ან თუ იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებულია პირდაპირ ამის შესახებ, კრედიტორს შეუძლია, რომ ის თავის საკუთრებად გაატაროს რეგისტრაციაში. მაგალითად: ელენე სესხულობს დავითისაგან თანხას და იპოთეკით ტვირთავს, მის სასარგებლოდ, თავის აგარაკს; ლევანი იღებს სესხს ვაჟასგან და ვაჟას სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს თავის საკარმიდამო მიწის ნაკვეთს ეკატერინე იღებს სესხს ს.ს. „თიბისი ბანკისაგან“ და მის სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს თავის კომერციულ ფართს და ა.შ.

იპოთეკის ხელშეკრულების დადება შეუძლია ნებისმიერ ქმედუნარიან ფიზიკურ და იურიდიულ პირს. აქ მონაწილეობს კრედიტორი და მოვალე (იპოთეკარი). იპოთეკით შეიძლება დაიტვირთოს როგორც უშუალოდ მოვალის, ასევე ნებისმიერი ქმედუნარიანი მესამე პირის უძრავი ქონება, რომელიც თანხმობას განაცხადებს იპოთეკით თავისი ქონების დატვირთვაზე.

რა ფორმით შეიძლება დაიდოს იპოთეკის ხელშეკრულება? პასუხი ცალსახაა. იპოთეკის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობით და რეგისტრაციაში გატარდეს საჯარო რეესტრში. სავალდებულო არ არის იპოთეკის ხელშეკრულება სანოტარო წესით დამონმდეს (თუმცა ეს შესაძლებელია). მთავარია, იპოთეკის ხელშეკრულება დაიდოს წერილობითი ფორმით და ის საჯარო რეესტრში გატარდეს რეგისტრაციაში. ამის შედეგად, საჯარო რეესტრის ამონაწერში (რაც წარმოადგენს საქართველოში უძრავი ქონების შესახებ ერთადერთ ინფორმაციის წყაროს), გაჩნდება სათანადო ვალდებულება, სადაც მითითებული იქნება იპოთეკის ხელშეკრულებისა და იპოთეკარის შესახებ ინფორმაცია.

იპოთეკის ხელშეკრულება ყოველთვის იდება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ვალდებულება. ვალდებულების გარეშე იპოთეკის ხელშეკრულება არ არსებობს (აქსესორული უფლება). მაგალითად, თუ ელენეს არა აქვს მადონას ვალი, ის არ დადებს იპოთეკის ხელშეკრულებას მასთან. შესაბამისად, თუკი ელენე დადებს მადონასთან იპოთეკის ხელშეკრულებას იქიდან გამომდინარე, რომ მას ნამდვილად აქვს ვალი და შემდგომ ამ ვალს დაფარავს, ავტომატურად იპოთეკის ხელშეკრულება გაუქმებულიად შეიძლება ჩაითვალოს.



**კითხვა:**  
რატომ არის მნიშვნელოვანი იპოთეკის ხელშეკრულების მხოლოდ წერილობითი ფორმით დადება და მისი საჯარო რეესტრში დარეგისტრირება?

იპოთეკის ხელშეკრულებით იპოთეკარი უფლებამოსილია, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უძრავი ქონებით დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესი. ეს შეიძლება მოხდეს ორი გზით: პირველი, ესაა უძრავი ქონების აუქციონზე გასხვისება, მეორე, უძრავი ქონების უშუალოდ იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლა.

რაც შეეხება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გასხვისებას, ეს მესაკუთრეს შეზღუდული არა აქვს. მესაკუთრეს უფლება აქვს, გაასხვისოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება, ოღონდ იპოთეკარი (კრედიტორი) დაუცველი არ რჩება. ახალი მესაკუთრე (უფლებამონაცვლე) ვალდებული იქნება კრედიტორს თავად აუნახლაუროს ძველი მესაკუთრის ვალდებულება.

### იპოთეკის ხელშეკრულება უქმდება მაშინ როცა:

- შესრულება ვალდებულება იპოთეკარის მიმართ;
- იპოთეკარი მოახდენს უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციას;
- იპოთეკარი რეგისტრაციაში გაატარებს თავის საკუთრებად ამ უძრავ ქონებას;
- არსებობს კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

რაც შეეხება ჩვენ რეალობაში ფართოდ გავრცელებულ საცხოვრებელი ბინის იპოთეკას (ე.წ. „ბინის გირავნობა“, ანუ „ატსტუპნოი“), ეს არის ხელშეკრულება, რომლის დროსაც მოვალე იპოთეკარისაგან იღებს სესხს, ამასთან მფლობელობაში გადასცემს უძრავ ქონებას და ვალდებულებას იღებს შეთანხმებულ ვადაში დააბრუნოს სესხი. მაგალითად: მაიკო დებს „იპოთეკისა და საცხოვრებელი ბინის სარგებლობის“ ხელშეკრულებას ლიზისთან, რომელიც იღება ორი წლის ვადით. ამ ორი წლის განმავლობაში ლიზი ცხოვრობს და სარგებლობს მაიკოს საცხოვრებელი ბინით, ხოლო მაიკო ორი წლის შემდეგ ვალდებულია, დაუბრუნოს ლიზის აღებული სესხი. ჩვეულებრივი იპოთეკის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელშიც უძრავი ქონების მფლობელობაში გადაცემა მოვალისაგან იპოთეკარზე აუცილებელი არ არის, ამ კონკრეტული ხელშეკრულებისათვის კი ეს უმთავრესი პრინციპია. იპოთეკარი სესხს გასცემს იმ მიზნით, რომ ისარგებლოს საცხოვრებელი ფართით და სწორედ ამ მიზნის მიღწევა სურს სესხის გაცემით.

**მსგავსება და განსხვავება გირავნობასა და იპოთეკას შორის.** იმდენად, რამდენადაც ჩვენ, ორივე სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი მიმოვიხილეთ, მოკლედ გვსურს ჩამოვაცალიოთ ამ ორ ცნებას შორის ძირითადი მსგავსება-განსხვავებანი:

მსგავსება გირავნობასა და იპოთეკას შორის ის არის, რომ ორივე ინსტიტუტი მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების გარანტიაა. ამასთან, გარანტია ქონების სახით არის წარმოდგენილი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში კრედიტორის ვალდებულების საპირწონედ დევეს გარკვეული ქონება თავისი ღირებულებითა და სიკეთით, რაც უზრუნველყოფს ვალდებულების რეალურ შესრულებას. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის კი მთავარი დაცულობაა. მით უმეტეს, კაპიტალისტურ ფინანსებსა და საბანკო სტრუქტურებზე მორგებული სახელმწიფოსათვის უზრუნველყოფილი ვალდებულება მეტად დიდი სიკეთეა. შესაბამისად, გირავნობისა და იპოთეკის დროს კრედიტორი დაცული და შედარებით გარანტირებულია შესრულებისაგან, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

ასევე, მსგავსებაა იმ საკითხშიც, თუ როგორ უნდა დაკმაყოფილდეს კრედიტორის ინტერესი როგორც გირავნობის, ასევე იპოთეკის შემთხვევაში. ორივე სამართლებრივი ინსტიტუტი იცნობს ორ მთავარ გზას: 1. აუქციონზე ნივთის იძულებითი რეალიზაცია. 2. ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში ნივთის კრედიტორის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლა.

ორივე შემთხვევაში უზრუნველყოფის საგანი შეიძლება გადაეცეს კრედიტორს მფლობელობაში ან დარჩეს მესაკუთრის მფლობელობის ქვეშ.

როგორც გირავნობა, ასევე იპოთეკა შეიძლება იყოს სარგებლიანი (პროცენტის) ან უპროცენტო.

შეადარეთ ერთმანეთს იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებები, იმსჯელეთ მათ შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებებზე.

**კითხვა:**  
რა განასხვავებს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობას სტანდარტული იპოთეკის ხელშეკრულებისგან?

როგორც გირავნობის ასევე იპოთეკის შემთხვევაშიც, უზრუნველყოფი ნივთი (გირავნობის ან იპოთეკის საგანი) შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ მოვალის, ასევე, ნებისმიერი ქმედუნარიანი პირის საკუთრება, რომელიც განაცხადებს თანხმობას მისი ქონებით უზრუნველყოს მოთხოვნა.

რაც შეეხება განსხვავებებს: აქ, პირველ რიგში, უნდა განვასხვაოთ უზრუნველყოფის საშუალებები, ანუ ნივთები. გირავნობის შემთხვევაში მოთხოვნა უზრუნველყოფილი და გარანტირებულია მოძრავი ნივთებით (ავტო, ინვენტარი, აღჭურვილობა, ავტომანქანა და ა.შ.), იპოთეკა კი მხოლოდ უძრავ ნივთზე იდება (სახლი, ბინა, მიწის ნაკვეთი და ა.შ.). ანუ საგარანტიო ქონება განსხვავებულია ორივე შემთხვევაში.

შესაბამისად, განსხვავებულია ხელშეკრულების ფორმებიც. თუკი გირავნობის დროს შეიძლება, ხელშეკრულება ზეპირად დაიდოს, იპოთეკის შემთხვევაში სავალდებულოა, ხელშეკრულება წერილობით გაფორმდეს და საჯარო რეესტრში გატარდეს რეგისტრაციაში.

ბირაჟნობა	იპოთეკა
მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა მოძრავი ნივთი	მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა უძრავი ნივთი
კრედიტორის უზრუნველსაყოფად ნივთი შეიძლება გაიყიდოს ან გადავიდეს პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში	კრედიტორის უზრუნველსაყოფად ნივთი შეიძლება გაიყიდოს ან გადავიდეს პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში
შეიძლება იყოს სარგებლიანი (პროცენტისანი) ან უპროცენტო	შეიძლება იყოს სარგებლიანი (პროცენტისანი) ან უპროცენტო
შეიძლება იყოს როგორც მოვალის, ასევე მესამე პირის საკუთრება	შეიძლება იყოს როგორც მოვალის, ასევე მესამე პირის საკუთრება
ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად, წერილობით ან რთული წერილობითი ფორმით (სანოტარო)	ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით და აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში

განსხვავებულია წარმოშობაც. თუკი გირავნობის შემთხვევაში შეიძლება, როგორც სახელშეკრულებო, ასევე კანონისმიერი გირავნობა (მაგალითად, საგადასახადო დავალიანების შემთხვევაში), იპოთეკის დროს ეს დაუშვებელია. შეიძლება, იგივე საგადასახადო დავალიანებისას მოვალის უძრავი ნივთი დაიტვირთოს, მაგრამ ეს დატვირთვა საჯარო რეესტრის ამონაწერში აისახება, როგორც საგადასახადო გირავნობა. ეს ერთგვარი იურიდიული ფიქციაა, ანუ გამონაკლისი, როცა უძრავი ქონება შეიძლება გირავნობით დაიტვირთოს. აღნიშნული, ვიმეორებთ, მხოლოდ საგადასახადო გირავნობას ეხება.

კიდევ ერთი დეტალი. როგორც გირავნობის აღწერისას აღინიშნა, გირავნობა წყდება, თუკი გირავნობის საგანი განადგურდა (მაგალითად: დაინვა მანქანა, მწყობრიდან გამოვიდა ინვენტარი, დაიმტვრა ავეჯი). იპოთეკის შემთხვევაში კი საცხოვრებელი სახლის დანვა არ იწვევს იპოთეკის შეწყვეტას. იპოთეკა, ჩვეულებრივ, რჩება მიწის ნაკვეთზე, ანუ იპოთეკა ნივთის განადგურების გამო არ წყდება.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, გირავნობასა და იპოთეკას აქვს როგორც მსგავსი, ასევე, განმასხვავებელი მახასიათებლები.



## სალომბარდო მომსახურება.

**ლომბარდი** სპეციალური საფინანსო დაწესებულებაა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონის, ფინანსთა მინისტრისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებების საფუძველზე. მისი მთავარი საქმიანობის საგანია მოძრავი ნივთების, მათ შორის, აპარატურის, ტექნიკის, ავტომანქანების, ოქროსა და ძვირფასეულობის დაგირავების საფუძველზე პროცენტის (სარგებლიანი) სესხის გაცემა. პროცენტის ოდენობა, ნივთების შეფასება და სხვა საკითხები რეგულირდება ინდივიდუალური შეთანხმებით ლომბარდსა და კლიენტს შორის.

ლომბარდში ხდება მხოლოდ მოძრავი ნივთების დაგირავება. ლომბარდს უფლება არა აქვს უზრუნველყოფის საგნად მიიღოს და იპოთეკით დატვირთოს უძრავი ნივთი. შესაბამისად, ლომბარდს მოძრავი ნივთი გირავნობის საფუძველზე გადაეცემა მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულებით. მასში დეტალურად უნდა იქნეს განერილი მხარეები, მათი რეკვიზიტები, გირავნობის პირობები, საპროცენტო განაკვეთი და სხვა სამართლებრივი ასპექტები.

ამასთანავე, მოძრავი ნივთი ლომბარდს უნდა გადაეცეს პირდაპირ მფლობელობაში. გამონაკლისია, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შეიძლება იყოს დაზღვეული და დარჩეს მესაკუთრეთა მფლობელობაში, მაგრამ მათზე გირავნობის უფლება წარმოიშობა მომსახურების სააგენტოში მისი რეგისტრაციის შედეგად.

თუკი მხარეები (ლომბარდი, ანუ მოგირავნე და მოვალე, ანუ დამგირავებელი) სხვა პირობებზე არ შეთანხმდებიან, ნივთის გასხვისების შედეგად ამოღებული თანხით წყდება ვალდებულება, თუნდაც ის ვერ ფარავს დავალიანებას სრულად. მაგალითად, ლომბარდი „ოქროს ქვეყანა“ გირავნობით ტვირთავს ეკას ოქროს ყელსაბამს და გასცემს 200 ლარის სესხს. ეკა ვერ დაფარავს დროულად დავალიანებას და ლომბარდი ასხვისებს ყელსაბამს. ამონაგებმა თანხამ შეადგინა 150 ლარი. მართალია, ის ნაკლებია, ვიდრე ეკას ვალი (200 ლარი), მაგრამ ლომბარდი ვალდებულია, ამ თანხით დაკმაყოფილდეს. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი აკეთებს დათქმას, რომ მხარეებს შეუძლიათ აღნიშნული წესისაგან განსხვავებულად შეთანხმდნენ.

ამრიგად, ჩვენ წინამდებარე თავში მოკლედ შევეხეთ სამოქალაქო კოდექსის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს - გირავნობასა და იპოთეკას. გავეცანით თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში როგორ ხდება მოძრავი თუ უძრავი ნივთებით ვალდებულებათა უზრუნველყოფა და კრედიტორების დაცვა ვალდებულებების შეუსრულებლობისას. გავეცანით მათ შორის მსგავსება-განსხვავებებსა და ორიოდ სიტყვით მიმოვიხილეთ ისეთი საფინანსო ინსტიტუტი, როგორცაა ლომბარდი.

## 8. უსაფუძვლო გამდიდრება

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში ხშირია შემთხვევები, როცა პირი არ იღებს იმ სიკეთეს, რაც მას ერგება ან პირიქით - გასცემს მატერიალურ სიკეთეს იმ პირზე, რომელზეც კანონმდებლობით ან სახელშეკრულებო ურთიერთობით მას გასაცემი არაფერი აქვს.

უსაფუძვლოა გამდიდრება, რომელიც ხდება სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე. **გამდიდრება** - დიდი თანხის ან მატერიალური სიკეთის მიღებად



**მაგალითად:** თქვენ ბანკში ურიცხავთ თანხას თქვენს ბიძაშვილს, შეცდომით კი ბანკი ამ თანხას მის მოსახელეს გადაურიცხავს; თქვენ უხდით ვალს თქვენს კრედიტორს, და აღმოჩნდება, რომ ვალი თქვენს მშობელს უკვე დაუფარავს და ა.შ.

არ უნდა აღვიქვათ. უსაფუძვლო გამდიდრება ნიშნავს ერთი პირის (შემძენის, ანუ მოვალის) ქონების გაზრდას სხვისი ქონების (დაზარალებულის ანუ კრედიტორის) ხარჯზე. ეს შეიძლება იყოს ფული, ძვირფასეულობა ან სხვა მატერიალური სიკეთე.

უსაფუძვლო გამდიდრებაში შეიძლება მონაწილეობდეს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. ამასთან, უსაფუძვლოდ მატერიალური სიკეთის გადაცემა შეიძლება მოხდეს როგორც დაზარალებულის მიერ, ასევე მესამე პირის მხრიდან.

გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი დეფინიციისა (რომ უსაფუძვლო გამდიდრებით ერთი პირი გადასცემს მეორეს სიკეთეს, რომელიც მას არც სახელშეკრულებო და არც კანონისმიერი ვალდებულებით არ ეკუთვნის), სამოქალაქო კოდექსი გვამცხვს უსაფუძვლო გამდიდრების კონკრეტულ შემთხვევებს, მაგალითად:

- 1. იმ შემთხვევაში, თუ ერთი პირი მეორეს გადასცემს რაიმეს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა რაიმე მოქმედება შეასრულოს ან არ შეასრულოს, შეუძლია გამოითხოვოს უკან გადაცემული, თუ ამ პირის ქმედებები არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს.** მაგალითად: დიტო ფიქრობს, რომ მოხუცი პაპა ანდერძით მას დაუტოვებს ავტომანქანას და მის სიცოცხლეში ხშირად არემონტებს მას. პაპის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მას ავტომანქანა დიტოს დეიდაშვილისათვის დაუტოვებია. დიტოს შეუძლია მოითხოვოს რემონტზე დახარჯული თანხის ანაზღაურება;
- 2. პირს, რომელიც მეორე პირს რაიმეს გადასცემს არა კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულებით, არამედ იძულებითა და მუქარით, უფლება აქვს, მოითხოვოს გადაცემულის უკან დაბრუნება.** მაგალითად: ყაჩაღი აიძულებს მგზავრს მისცეს მას ფული და ძვირფასეულობა, რომელიც მას აქვს. დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ყაჩაღის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (პატიმრობა), ასევე მისგან სამოქალაქო ზიანის ანაზღაურება (თანხისა და ძვირფასეულობის დაბრუნება);
- 3. თუ უფლებამოსილი პირის ნაცვლად შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, ის მოვალეა დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს მიღებული შესრულება.** მაგალითად: თქვენ გამოგიგზავნათ მეგობარმა ამანათი და ფოსტამ ის არასწორ მისამართზე მიიტანა. ამანათის მიმღები ვალდებულია, ამანათი დაგიბრუნოთ;
- 4. პირი, რომელიც სხვის ქონებაზე დახარჯავს თანხას, უფლებამოსილია, დაიბრუნოს ის შესაკუთრისაგან.** მაგალითად, თქვენი მეზობლის არყოფნის დროს წყალდიდობამ დააზარალა მისი ჭიშკარი. თქვენ მეზობლის დაბრუნებამდე შეაკეთეთ ის და დახარჯეთ ამაზე დრო და თანხა. მეზობელი ვალდებულია, ეს თანხა აგინაზღაუროთ;
- 5. პირი, რომელიც სხვის ხარჯზე გამდიდრდა ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა სხვა საშუალებებითაც, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს ზიანი და დაუბრუნოს მიღებული.**

უსაფუძვლო გამდიდრება დაზარალებულს იცავს, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში აწესებს შეზღუდვებს, რომლის დროსაც გადაცემულის უკან დაბრუნება არ მოხდება. მაგალითად:

- 1. თუ შესრულება (რაიმეს გადაცემა) შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს,** მაგალითად: მამა უხდის თავის არასრულწლოვან შვილს ალიმენტს. მან შეცდომით ალიმენტის გადახდა გააგრძელა შვილის სრულწლოვნების შემდეგაც. ბუნებრივია, არ იქნებოდა ზნეობრივი მამას შვილისაგან მოეთხოვა ალიმენტის უკან დაბრუნება, მიუხედავად მის მიერ შვილის სრულწლოვნების შემდგომ გადახდილი თანხისა;
- 2. თუ გავიდა ხანდაზმულობის ვადა,** მაგალითად: თანხის უსაფუძვლოდ გადახდის შემდეგ გასულია სამ წელზე მეტი ხანი;
- 3. თუ მოვალე (შემძენი) საგნის გადაცემით არ გამდიდრებულა, ვინაიდან საგანი დაიღუპა, სხვის მიერ გამოიყენება, გაუარესდა ან არსებობს რაიმე სხვა საფუძველი.**

**მაგალითად:** პეტრეს ხელფასი ერიცხება კომერციულ ბანკში, რომელიც შეცდომით პეტრეს ხელფასს გადაურიცხავს პეტრეს მოსახელეს.

ჯერ კიდევ რომის სამართალში, **დელიქტი** ისეთი აკრძალული ქმედება იყო, რომელიც ვალდებულების წარმოშობას იწვევდა. ყოველგვარი დელიქტი გულისხმობდა: ა) მართლსაწინა-აღმდეგო ქმედების განხორციელებას; ბ) რაიმე ადამიანური სიკეთის ხელყოფას ან დაზიანებას (Delictum) მართლსაწინა-აღმდეგო ქმედების განხორციელებას; გ) რაიმე ადამიანური სიკეთის ხელყოფას ან დაზიანებას (Delictum)

**4. პირმა, რომლის ქონების გაუმჯობესებაც მოისურვა კრედიტორმა, ამ ხარჯების გაღებამდე სადავო გახადა ის.** მაგალითად: თუ თქვენ, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მოისურვებთ მეზობლის ჭიშკრის აღდგენას, ამის შესახებ მეზობელს აცნობებთ მობილური ტელეფონის საშუალებით და ეს უკანასკნელი უარს იტყვის მათ გაღებაზე, მოთხოვნის უფლება აღარ წარმოგეშობათ;

**5. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.**

ამრიგად, ნებისმიერმა პირმა უნდა იცოდეს, რომ უფლებამოსილია მიიღოს ის შესრულება, ის მატერიალური სიკეთე, რომლის მიღების უფლებაც მას კანონით ან ხელშეკრულებით გააჩნია.

## 9. დელიქტები

**ცნება.** სამოქალაქო ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა პირს ვალდებულება არა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, არამედ ზიანის მიყენებიდან წარმოეშობა. მაგალითად: ბურთის თამაშისას ბავშვი შემთხვევით ჩაამტვრევს მეზობლის ფანჯარას ან სახლის მეორე სართულიდან ქალბატონს გადმოუვარდა ყვავილის ქოთანს, რომელმაც ჩაამტვრია ქვემოთ მდგომი მანქანის შუშა. ასეთი ურთიერთობები დელიქტურ ვალდებულებებს იწვევს.

სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოიშობა ერთი პირის (სამართალდამრღვევის) მიერ სხვა პირისათვის (დაზარალებულისათვის)

**კითხვა:** ვინ შეიძლება იყოს დელიქტუნარიანი პირი საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით?

**პასუხი:** თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვა პირს მიაყენა. იმავდროულად, არ უნდა გავიგოთ ეს ფაქტი ისე, რომ თითქოს ასეთი პირის მიერ მიყენებულ ზიანზე არავინ აგებდეს პასუხს. ასეთი პირის მიერ მიყენებული ზარალი ანაზღაურდება მშობლების ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირების მიერ. მშობლების გარდა, მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები შესაძლოა იყვნენ მეურვე, მზრუნველი, აღმზრდელობითი, სასწავლო, სამკურნალო დაწესებულებანი, რომლებიც ვალდებული არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ათ წლამდე ასაკის პირს. ეს დანაწესი ერთი მხრივ იცავს დაზარალებულს (კრედიტორს) იმისაგან, რომ მისი უფლებები არ დარჩეს დაუცველი, კერძოდ, ანაზღაურდეს მიყენებული ზარალი და მეორე მხრივ კი უწესებს მშობლებსა და მეთვალყურეობაზე ვალდებულ სხვა პირებს პასუხისმგებლობას, რათა უმეთვალყურედ არ დატოვონ პირი და მინიმუმამდე დაიყვანოს მათი მხრიდან შესაძლო გულგრილობა.

მაგრამ ათ წელზე მეტი ასაკის მქონე პირები დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხს აგებენ პირადად იმ ზიანისათვის, რომელიც მათ მიაყენეს სხვა პირს. თუკი ასეთ პირს არ აქვს საკმარისი ქონება (და როგორც წესი, პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები მრავალადაა) მაშინ დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრება მის წარმომადგენლებსაც.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობას არ ატარებს პირი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაყენა ზიანი სხვა პირს ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო.

მიყენებული ქონებრივი ზიანის გამო, **დელიქტური პასუხისმგებლობა ეწოდება**, თავად დარღვევის ფაქტს, გადაცდომას კი — **დელიქტი**. ანუ შემთხვევა, როცა ზიანი ადგება პირის მატერიალურ სიკეთეს რის შედეგად ან მცირდება მისი ღირებულება ან საერთოდ ისპობა ეს სიკეთე. შესაბამისად, დელიქტური სამართალურთიერთობისას, სუბიექტად გვევლინება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, არარეგისტრირებული კავშირი, ობიექტად კი - ნებისმიერი მატერიალური სიკეთე (ნივთები).

**ზიანი** უნდა გავიგოთ, როგორც ფიზიკური და/ან იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება. აქ იგულისხმება ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი, ფიზიკური ტრავმა, ცილისწამება, პირადი თავისუფლების, საკუთრების უფლებისა და კომერციული ინტერესების შეზღუდვა.

**ზიანი, სამოქალაქო კანონმდებლობით, შესაძლოა წარმოიშვას როგორც მოქმედების, ასევე, უმოქმედობის გამო.**

**კრედიტორი** ანუ პირი, რომლის მიმართ ვალდებულება არის შესასრულებელი, დელიქტურ სამართალურთიერთობაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მოვალე, ანუ პირი, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება, შეიძლება იყოს მხოლოდ დელიქტუნარიანი პირი. ე.ი. პირი, რომელიც პასუხს აგებს თავისი ქმედებისათვის. თავად ზიანის მიყენების ფაქტი კი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომლის ძალითაც, დაზარალებულს (კრედიტორს) უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისაგან (მოვალისაგან) ზარალის ანაზღაურება.

ზიანი შეიძლება გამოიწვიოს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე პირის ქმედებამაც. აუცილებელი არ არის ეს პირები მოქმედებდნენ წინასწარი განზრახვით ან ერთობლივად.



მთავარია, რომ ზიანის დადგომა გამოიწვია რამდენიმე პირის მოქმედებამ. ამ შემთხვევაში ზიანის მიმყენებლები პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები ერთობლივად ზიანის მიყენებაში.

ზიანი წარმოიშობა როგორც გაუფრთხილებელი, ასევე განზრახი მოქმედების შედეგად. ერთობლივი ზიანის მიყენებაში იგულისხმება ორი ან რამდენიმე პირის ქმედება, რომელსაც გააჩნია მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან.

ერთობლივად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმ პირს სოლიდარულად, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა დამდგარ ზიანში.

**დელიქტის სახეები.** გარდა დელიქტური სამართალურთიერთობის ზოგადი დეფინიციისა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლითაც პირს ადგება ზიანი და ზიანის მიმყენებელმა (მოვალემ) უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს (კრედიტორს) მიყენებული ზიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აყალიბებს კონკრეტული დელიქტური სამართალურთიერთობის სახეებს. მაგალითად:

**ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგები.** პირი, რომელიც სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის ფაქტებს ახმაურებს და ავრცელებს განზრახ ან გაუფრთხილებლობით, ვალდებულია, ეს ზიანი აანაზღაუროს, თუკი დადასტურდება, რომ ფაქტები აშკარად არასწორია.

იმავდროულად, გამონათქვამები, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, არ იწვევს ზემოაღნიშნულ პასუხისმგებლობას.

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება:**

- მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი.

**პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამონვეული ზიანისათვის:**

- თუ ამა თუ იმ შენობა-ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ შენობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, ანდა ხანძარსაში ან ფეთქებასაში, შხამიანი ან/და მომწამვლელი ნივთიერებისაგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი, სხეულის, ჯანმრთელობის ან თუნდაც ნივთის დაზიანება, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ან ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. მაგალითად, თუ თქვენი საცხოვრებელი სახლის გვერდით ააშენებენ ქიმიურ ქარხანას, რომელიც თავისი საქმიანობიდან გამოემდინარე აყენებს ზიანს თქვენს ჯანმრთელობას, ბუნებრივია, ამ ზიანის ანაზღაურებას ქარხნის მესაკუთრისაგან მოითხოვთ.





**ხანძრის ჩაქრობის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.** ხანძრის ჩაქრობისას, თუკი ზიანი მიადგება მეზობელ ბინებსა და ნაგებობებს, ის უნდა აანაზღაუროს პირმა, რომლის ბრალითაც გაჩნდა ხანძარი. ხანძრის გაჩენის მიზეზებსა და სხვა ტექნიკურ გარემოებებს ადგენს სათანადო ექსპერტიზა.

**ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან წინასწარი გათავისუფლების დაუშვებლობა.** სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის შედეგად და ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისას, თუ საქმე ეხება პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. იგივე წესი გამოიყენება ნივთისათვის მიყენებული ზიანის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა შეთანხმებული იყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საჯარო სამართლებრივ ფონდს ან სანარმოს შორის.

**ცხოველების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.** ცხოველის მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი ცხოველის მფლობელი მიიღებს აუცილებელ ზომებს მესამე პირთა დასაცავად (მაგალითად, ქუჩაში ძაღლის სეირნობისას დაუმაგრებს მას სპეციალურ მოწყობილობას, ალიკაპს, რომელიც უფლებას არ აძლევს ძაღლს უკბინოს გამვლელს).

**სამედიცინო დანებსულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.** ანაზღაურებას ექვემდებარება მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი (მაგალითად: ქირურგიული ოპერაციის არასწორად ჩატარება, არასწორი დიაგნოზის დასმა და ა.შ.).

**ხანდაზმულობის ვადა.** დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. აღნიშნული ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანი ან ამ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა.

**ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებია**

**საავტორო (ნაწარმოები, გამოგონება, სასარგებლო მოდელი და ა.შ.)**

**სამენარჩემო (სასაქონლო და მომსახურების ნიშანი, საფირმო სახელწოდება და ა.შ.)**

**ინტელექტუალური საკუთრება.** ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია ადამიანის გონებრივ და შემოქმედებით საქმიანობასთან, რომელიც მოიცავს მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, წარმოებას, ლიტერატურას, ხელოვნებას, მუსიკას და სხვა სფეროებს. იგი შეადგენს იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში ადამიანის მოღვაწეობას უკავშირდება. ის სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა გონებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას და შედეგად წარმოქმნილ სამართალურ თიერთობებს. მაგალითად, პეტრემ გამოიგონა მალალტექნოლოგიური ჩარხი და ქარხანას მიჰყიდა მისი წარმოების უფლება, მანამ დაწერა პიესა და თეატრს მიჰყიდა მისი დადგმის უფლება და ა.შ. ინტელექტუალური საკუთრება კერძო სამართლებრივი უფლებაა, რომლის საგანია ინტელექტუალური (გონებრივი) შემოქმედების შედეგად შექმნილი ან ეკონომიკურ ურთიერთობებში პირველად ჩართული ობიექტები. შემოქმედებითი ხასიათით თუ დავყოფთ, ეს ობიექტები ორი კატეგორიისაა:

- 1. საავტორო** - შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი (პირველქმნილი ნიმუში: ნაწარმოები, გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში და ა.შ.)
- 2. სამენარჩემო** - გამოყენებითი შემოქმედების შედეგად პირველად ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში (კომერციული აღნიშვნები: სასაქონლო და მომსახურების ნიშანი, საფირმო სახელწოდება, ლოგო, გეოგრაფიული აღნიშვნები და ა.შ.).

**საავტორო უფლებები** — ქონებრივი და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას.

საავტორო სამართლის სფეროში საფუძვლის ჩამყრელ ქვეყნად ინგლისი ითვლება. ევროპის ქვეყნებში ავტორთა უფლებების დაცვას უკავშირებენ გერმანიაში იოჰან გუტენბერგის მიერ მოძრავი ლიტერებით ნიგნების ბეჭდვის ახალი ტექნიკური საშუალებების გამოგონებას. ამ ფაქტმა დააჩქარა და მნიშვნელოვნად გააადვილა ნიგნების გამოცემის და გავრცელების პროცესი. შესაძლებელი გახდა ნიგნებისა თუ სხვა ნაბეჭდი პროდუქციის ასლების დიდი რაოდენობით გამრავლება, რასაც შეეძლო დიდი შემოსავლის მოტანა “ლიტერატურული მეკობრეებისათვის”. ინგლისში ნიგნის ბეჭდვის ტექნიკის განვითარებამ გამოიწვია ახალი სახის საქმიანობის — ნიგნებით ვაჭრობის განვითარება და აღმასვლა. ამ სფეროში შეიქმნა გაერთიანებები, რომლებმაც დაიწყეს საკუთარი უფლებების დაცვაზე მიზანმიმართული ბრძოლა. ის ნაწარმოებები, რომელსაც წარმატება ახლდა, მეკობრეთა ყურადღების განსაკუთრებული ობიექტი ხდებოდა. ცნობილია ინციდენტი დაკავშირებული ემილ ზოლას ნაწარმოებთან “ზაფანგი”. ის “ლიტერატურულ მეკობრეთა” “წყალობით” ბელგიაში უფრო ადრე გამოჩნდა და გამოქვეყნდა, ვიდრე საფრანგეთში. დაძაბული სიტუაციის განმუხტვა მოხერხდა მხოლოდ 1952 წელს საფრანგეთსა და ბელგიას შორის გაფორმებული ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებით. ამ დოკუმენტით დადგენილ იქნა სპეციალური მოთხოვნები საავტორო უფლებათა მფლობელების დაცვის შესახებ.

საავტორო სამართლის თანამედროვე შეხედულებამდე და პრინციპებამდე მისვლას ხანგრძლივი დრო და მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა, სახვითი ხელოვნების დარგში მოღვაწეთა და პროფესიონალ იურისტთა დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა. 1710 წელს გამომცემლებმა მიაღწიეს დედოფალ ანას სტატუსის მიღებას. ის საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში მიღებულ პირველ კანონად ითვლება. მისი სათაური იყო: "ბილი განათლების (სწავლების) განვითარების ხელშეწყობისა და ავტორებისა და წიგნების კანონზომიერად გაკეთებული ასლების (კოპიების) მფლობელთათვის საკუთრების უფლების და კანონების შესახებ."

**მომიჯნავე უფლებები** შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუნყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული უფლებების ერთობლიობაა. ისტორიული მიმოხილვა.

**კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"**. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ ნორმების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტად უთითებს საქართველოს კანონს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ".

ამ კანონის მიზანს წარმოადგენს დაცვა საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებებისა, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და მათი გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), ასევე, ამ კანონის მიზანს წარმოადგენს, დაიცვას ზოგიერთი მომიჯნავე უფლება დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზების დამამზადებლებთან და მაუნყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).



**აღნიშნული კანონი ვრცელდება:**

- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური ან იურიდიული პირი;
- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე;
- იმ მაუნყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული იურიდიული პირები და პროგრამებს გადასცემენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემების მეშვეობით;
- არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულნი არის საქართველოში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;
- მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუნყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომლის მონაწილაც საქართველოა.



**ავტორი** ენოდება ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები.

**საავტორო უფლების ობიექტად** იწოდება ის ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლება ვრცელდება. ასეთებია: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, განურჩევლად მათი დანიშნულებისა და ავტორიანობისა, გამოსახვის ფორმისა და საშუალებისა.

**მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია:**

საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ფორმით. საავტორო უფლება არ ვრცელდება ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები) და მათ თარგმანებზე. აგრეთვე, არ ვრცელდება სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლიკაზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ფულის ნიშნები), იდეებზე, მეთოდებზე, პრინციპებზე, სისტემებზე, კონცეფციებზე, აღმოჩენებზე, ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

საავტორო უფლების მისაღებად ნაწარმოები ტარდება რეგისტრაციაში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს რეესტრში. რეგისტრაციის შემდგომ, რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი, რის შემდეგაც მას უფლება ეძლევა გამოიყენოს **საავტორო უფლების დაცვის ნიშანი**, რომელიც დაისმევა ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

1. ლათინური ასო **C** წრეწირში;
2. საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);
3. ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

საავტორო უფლება ნაწარმოებზე ერთობლივად ეკუთვნით თანაავტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე, შემდგენლებს, გამომცემლებს, აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორებს.



საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები ვრცელდება შემსრულებლებზე, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებზე და მაუნუქებლობის ორგანიზაციებზე. შემსრულებელი მოქმედებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით. ფონოგრამის დამამზადებელი ან შემსრულებელი განცხადებისათვის იყენებს **მომიჯნავე უფლების ნიშანს**, რომელიც ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარს დაესმის და შედგება სამი ელემენტისაგან:

1. **ლათინური R ნიშანი**;
2. **განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი**;
3. **ფონოგრამის გამოცემის პირველი წელი**.

კანონის თანახმად, საავტორო უფლება ნარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში, აგრეთვე მისი გარდაცვალების შემდგომ. კერძოდ, აღნიშნული ვადა შეადგენს 70 წელს ავტორის გარდაცვალებიდან. თუ ნაწარმოები ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნდა, ვადა აითვლება ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღიდან. ხოლო, რაც შეეხება თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებს, 70 წლიანი ვადა აითვლება უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალების თარიღიდან.



საავტორო და მომიჯნავე უფლებების განზრახ დარღვევა იწვევს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევად ითვლება საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოების უნებართვო გამოყენება. მათ შორის ისეთი, როგორცაა სხვისი ნაწარმოების რეპროდუცირება, ნაწარმოების საჯარო შესრულება, ხმის ჩანაწერის დამზადება, საჯარო გადაცემა ეთერში, გაყიდვა, გაქირავება და სხვა.

ნაწარმოების ავტორს გააჩნია როგორც ქონებრივი, ასევე პირადი არაქონებრივი უფლებები.

**ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები.** ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს, უფლება აქვს, მიიღოს საავტორო ჰონორარი (ჰონორარის უფლება). საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისათვის, დგინდება, ერთი მხრივ, ავტორს, საავტორო უფლების სხვა მფლობელსა და მეორე მხრივ, მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით.

**ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები.** პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში დაუშვებელია.

**ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნები.** ორიოდ სიტყვით შევსებით საქონლის (მომსახურების) ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივ ასპექტებს.

საქონლის (ადგილწარმოშობის) დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, ქვეყნის სახელწოდება, თანამედროვე ან ისტორიული სახელი, რომელიც ამ საქონლის (მომსახურების) მოსანიშნად გამოიყენება.

იგი გამოიყენება ისეთი საქონლის (მომსახურების) მიმართ:

- რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;
- რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემო-პირობებით (მაგალითად: ბორჯომი, ნაბეღლავი);
- რომლის წარმოება ან ნედლეულის დამზადება-დამუშავება ამ გეოგრაფიულ ადგილას მიმდინარეობს (მაგალითად, მინერალური წყლის ჩამოსხმა).

გეოგრაფიული დასახელება შეიძლება გამოხატული იყოს სახელწოდებაში, ლოგოზე, გამოსახულებაზე, რომელიც ასოცირდება გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია და დაცვა ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქპატენტის მიერ, (რომლის ფუნქციებსა და მოვალეობებს ქვემოთ განვიხილავთ).

საქართველოს ფარგლებს გარეთ (სხვა ქვეყნებში) წარმოშობილი ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე საფუძველით წარმოშობილი ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია, ასევე, საქპატენტში ხორციელდება.

**პატენტი** ეს არის კანონის შესაბამისად ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, მისი გაცემის მომენტისათვის, პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს.

იმისათვის, რომ საქპატენტმა გასცეს პატენტი გამოგონებაზე, საჭიროა, ის აკმაყოფილებდეს სამ მთავარ კრიტერიუმს (პატენტუნარიანობის კრიტერიუმები). ესენია:

1. **სიახლე** - გამოგონება ახალია, თუ ის არ არის ცნობილი მსოფლიოში, არსებული ტექნიკური დონიდან გამომდინარე. ტექნიკის დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია წერილობითი ფორმით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით და სხვ. ამასთან, სიახლე უნდა ფიქსირდებოდეს განაცხადის შეტანის თარიღამდე;
2. **საგამომგონებლო დონე** - გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე, თუ ის სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან;
3. **სამრეწველო გამოყენებადობა** - მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში.



**დავალება:** გაიხსენეთ თქვენთვის ცნობილი გამომგონებლები, რა გამოიგონეს მათ და რამდენად აკმაყოფილებდა მათი გამომგონებები მოცემულ მოთხოვნებს? რატომ?

საპატენტო უფლების განკარგვა ხორციელდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავად პატენტმფლობელი პირის მიერ. მას შეუძლია გაყიდოს, გააჩუქოს ან სხვაგვარად განკარგოს ის, გასცეს ლიცენზია, დაამზადოს პატენტით დაცული პროდუქტი და ა.შ.

საპატენტო პირადი უფლებები ვადითა და ტერიტორიით შეზღუდული არ არის. ის მოქმედებს მუდმივად ნებისმიერ ქვეყანაში.

რაც შეეხება ქონებრივ (განსაკუთრებულ) პირობებს, გამოგონების შემთხვევაში ის მოქმედებს 20 წლის განმავლობაში, ხოლო სასარგებლო მოდელის შემთხვევაში — 8 წლის განმავლობაში, მხოლოდ პატენტის გამცემი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში ვადა აითვლება განცხადების საპატენტო ორგანოში შეტანის დღიდან.

**გაუქმება.** საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, აგრეთვე, სპეციალურ შემთხვევებში პატენტის გაუქმების შემთხვევებს. მაგალითად, პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი ან პატენტი არ აღწერს გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს იმ სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება და ა.შ.


საქართველოს მოქალაქეს შეუძლია გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე განაცხადი შეიტანოს არა მარტო საქართველოში, არამედ უშუალოდ იმ ქვეყნის შესაბამის საპატენტო უწყებაში, რომელშიც სურს პატენტის მიღება. აღნიშნული განაცხადი მას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქპატენტისაგან მიიღებს ნებართვას უცხოეთში განაცხადის წარდგენის შესახებ.

განაცხადის შეტანა შეიძლება შესაბამის რეგიონალურ უწყებაშიც, თუკი ქვეყანა, რომელშიც საქართველოს მოქალაქეს სურს პატენტის მიღება, მიერთებულია რომელიმე შესაბამის რეგიონულ შეთანხმებას.

**საქპატენტი.** საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ის თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებით, საქართველოს “საპატენტო კანონის”, “სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის”, “დიზაინის შესახებ კანონის”, საქპატენტის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. გააჩნია სიმბოლიკა, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბიუჯეტი, საბანკო რეკვიზიტები და ა.შ., კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას წარმოადგენს მას და მოქმედებს სახელმწიფოს სახელით.

მას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი და ინიშნება ოთხი წლის ვადით.

საქპატენტი ანგარიშვალდებულია, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.



საქპატენტი





## 11. სამეზობლო სამართალი

სამეზობლო სამართალი და სამეზობლო სამართალურთიერთობანი საქართველოს „სამოქალაქო კოდექსში“ ცალკე თავითაა მონესრიგებული. აღნიშნული გამომდინარეობს კანონმდებლის ნება-სურვილიდან, არ დაუმვას თვითნებობა და მოუწესრიგებლობა სამეზობლო ურთიერთობებში. მართალია, ყველა დეტალის გათვლა და მონესრიგება შეუძლებელია, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობა აყალიბებს იმ ძირითად პოსტულატებს, რომელთაც უნდა ეყრდნობოდეს სამეზობლო ურთიერთობანი.

**მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, ვალდებული არიან მოქმედებდნენ ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთინტერესების გათვალისწინებით. არ შეიძლება თვითნებობა და უპატივცემულო ურთიერთობა ერთმანეთისადმი.**

თავდაპირველად განვმარტოთ, რომ მეზობლის ცნებაში არ მოიაზრება მხოლოდ მომიჯნავე მიწის ნაკვეთები ან სხვა უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი, ბინა და ა.შ.). მეზობლად მიიჩნევა ნებისმიერი ის უძრავი ქონება, საიდანაც ურთიერთზემოქმედება გამომდინარეობს. მაგალითად: თქვენს ნაკვეთზე მოედინება სარწყავი წყალი, რომელიც სამი ნაკვეთის შემდგომ შედის დიტოს ნაკვეთში. თქვენ არა გაქვთ უფლება ჩაუკეტოთ დიტოს სარწყავი წყალი, მიუხედავად იმისა, რომ ის უშუალოდ არ გემიჯნებათ. დაუშვებელია წყლის ჩაშვება თქვენი საცხოვრებელი ბინიდან ქვემოთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს ქვემოთ მცხოვრებ მეზობელს წყალი არ ჩასდის და ის კიდევ უფრო ქვემოთ მყოფ მეზობელს ჩაუდის მიწების საშუალებით. ერთი სიტყვით, სამეზობლო სამართალი სამართლის ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს სამართალურთიერთობებს როგორც უშუალოდ მომიჯნავე უძრავი ქონების მესაკუთრეებს, ასევე იმ უძრავი ქონების მესაკუთრეებს შორის, რომელთა მიერაც ხდება ერთმანეთის ქონებაზე ზემოქმედება.

გარდა უფლებებისა, მეზობლებს ვალდებულებანიც აკისრიათ. კერძოდ, მეზობელი ვალდებულია, ითმინოს მეზობლის უძრავი ქონებიდან უმნიშვნელო ზემოქმედება, რომელიც ან საერთოდ არ ხელყოფს მის უფლებებს ან ძალიან მცირე ზეგავლენას ახდენს მასზე. რომელია უმნიშვნელო, არაარსებითი და რომელი მნიშვნელოვანი, სასამართლო განმარტებისა და დავის საგანია. არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რითაც ესა თუ ის ზეგავლენა კონკრეტულად უმნიშვნელოდ ან მნიშვნელოვნად ჩაითვლება. ასეთ დროს, ამოსავალი მაინც ის შესაძლო ზარალი უნდა იყოს, რომელიც, შეიძლება, მიადგეს მეზობელს მეორე მეზობლისაგან. მაგალითად, თქვენს ვენახს აზარალებს მეზობელი ვენახიდან წამოსული კვამლი, თქვენს ჭერს აზიანებს ზემო მეზობლის ნივთების გადაადგილება და ა.შ.

შეიძლება, ზემოქმედება არსებითიც იყოს, მაგრამ მეზობელს მაინც დაეკისროს მოთმენის ვალდებულება. ვინაიდან, ის გამონვეულია უძრავი ქონების ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა იმ ღონისძიებებით, რომელიც ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა. მაგალითად, თქვენი ბინის მეზობლად ცხოვრობს მუსიკოსი, რომლის რეპეტიციაც თქვენ განუხებთ, მაგრამ ვერ აუკრძალავთ, ვინაიდან ეს მისი ჩვეულებრივი საქმიანობაა; ან თქვენი ნაკვეთის მეზობლად არის ფერმა, საიდანაც სუნი და ძროხების ხმაური განუხებთ, მაგრამ უნდა მოითმინოთ.

ასეთი ზემოქმედების მოთმენის გამო, თქვენ შეგიძლიათ, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოითხოვოთ კომპენსაცია.

**აუცილებელი გზა** - არის შემთხვევები, როცა მიწის ნაკვეთს არ გააჩნია კომუნიკაციებთან მისასვლელი გზა, როგორიცაა საავტომობილო გზა, ელექტრო-ნავთობ და გაზსადენები, წყალმომარაგების ქსელი და ა.შ. ამ შემთხვევაში,

**კითხვა:**  
თქვენი აზრით, როგორი ზემოქმედება უნდა ჩაითვალოს უმნიშვნელოდ? რატომ ეკისრებათ მეზობლებს თმენის ვალდებულება?



მაგალითად, პეტრეს აქვს ვენახი პავლეს ვენახის შემდეგ და მისასვლელად პეტრე ვალდებულია, გზიდან პავლეს ვენახზე გაიაროს. პავლეს შეუძლია, მოსთხოვოს პეტრეს ფინანსური კომპენსაცია.

ასეთი ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს აუცილებელი გზა იმ ნაკვეთის მესაკუთრისგან, რომლის ნაკვეთიც უერთდება ზემოაღნიშნულ კომუნიკაციებს. ეს უკანასკნელი ვალდებულია, ასეთი გზის არსებობა ითმინოს და მეზობელი უზრუნველყოს აუცილებელი გზით, თუმცა ამის გამო უფლებამოსილია, მოითხოვოს ფინანსური კომპენსაცია.

მესაკუთრეს, რომელმაც თავად გამოიწვია აუცილებელი გზის მოშლა, არა აქვს უფლება მოითხოვოს აუცილებელი გზა. კერძოდ, თუკი პეტრეს გააჩნია ხიდი, ან შესასვლელი და დაანგრევს ან ამოაშენებს მას და ამის გამო, დაკარგავს მისასვლელს კომუნიკაციის საშუალებებთან, აღარ ექნება უფლება მოითხოვოს აუცილებელი გზა და ვალდებულია, თავად აღადგინოს კავშირი კომუნიკაციებთან.

**ხელშეშლის აღკვეთა** - მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენება ან ექსპლუატაცია, რაც დაუშვებლად ხელყოფს ნაკვეთით სარგებლობის უფლებას. მაგალითად, მეზობელი თქვენი აგარაკის გვერდით აშენებს ქათმების ფერმას და მას უშუალოდ თქვენს საზღვართან აგებს; საცხოვრებელ კორპუსში თქვენი ზედა მეზობელი აშენებს საჩრდილობელს, რომლის წყლის სადინარიდან ჩამოსული წყალი თქვენს აივანზე ჩამოდის და ა.შ. მიუხედავად იმისა, ანარმოებს თუ არა მეზობელი მშენებლობას სამშენებლო ნორმების დაცვით, არის თუ არა ის შეთანხმებული შესაბამის არქიტექტურულ სამსახურებთან, თქვენ მაინც გაქვთ უფლება მოითხოვოთ იმ შენობა-ნაგებობის აშენების ან ექსპლუატაციის აღკვეთა, რომელიც დაუშვებლად ხელყოფს თქვენს ინტერესებს. ინტერესების დაუშვებლად ხელყოფა, ძირითადად, გამოიხატება, თქვენი საკუთრების უვარგისად გახდომაში ან მისი დანიშნულებით გამოყენების შეუძლებლობაში.

თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს საფრთხის აღკვეთა. მაგალითად, თქვენს მეზობელ ნაკვეთზე განლაგებულ საცხოვრებელ სახლს აქვს ისეთი ბზარი, რომელიც შეიძლება ჩამოინგრას და საფრთხე შეუქმნას თქვენს საკუთრებას.

## 12. საოჯახო სამართალი

### 12.1. ქორწინების სწევა, პირობები, ასაკი, დამაზარკოლებელი გარემოებანი

ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია. მის სიმტკიცეზე დამოკიდებულია არა მარტო ოჯახის წევრთა კეთილდღეობა, არამედ მთელი საზოგადოების, მთელი ქვეყნის წინსვლა. შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება საოჯახო სამართალია, მისი სრულყოფილად რეგულირება და ოჯახის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართალსუბიექტის როლის გამოკვეთა სამოქალაქო სამართალურთიერთობებში.

**ქორწინება** ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბაზაში.

როგორც აღინიშნა, ქორწინება ეს არის ქალისა და მამაკაცის კავშირი. ამ შემთხვევაში ტერმინს “კავშირი” განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება.

როცა კანონმდებელი ქალისა და მამაკაცის კავშირზე ამხვილებს ყურადღებას, ქორწინების ცნებაში ორ მნიშვნელობას დებს: პირველი მნიშვნელობით: ქორწინება იურიდიული ფაქტია, რასაც შედეგად მოჰყვება ქალსა და მამაკაცს შორის მეუღლეობრივი ურთიერთობების წარმოშობა. მეორე მნიშვნელობით: ქორწინება განსაზღვრავს ცოლისა და ქმრის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს. ამ ორი მნიშვნელობის გაერთიანებით კანონმდებლობაში მოხდა ქორწინების ერთიან ცნებაში როგორც ქორწინების რეგისტრაციის, ისე ქორწინებაში მყოფ პირთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა.

ქორწინება, თავისი სამართლებრივი ბუნებით ორმხრივი გარიგებაა, ვინაიდან სახეზე უნდა იყოს ორივე მექორწინეს თანხმობა. ამასთანავე, ის ფორმასავალდებულო, მკაცრად განსაზღვრული იურიდიული აქტია, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

ამასთანავე, კანონმდებელი ქორწინების ცნების განსაზღვრისას მკაცრად და ცალსახად უთითებს მონოგამიის პრინციპზე. საუბარია ერთი ქალისა და ერთი მამაკაცის შეთანხმებაზე. ამით უარყოფილია ყოველგვარი შეთანხმება პოლიგამიური კავშირების შესახებ. ამით ჩვენი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის ანგლოსაქსურ, ასევე, კონტინენტური სამართლის პრინციპებთან, განსხვავებით მუსლიმანური სამართლის პრინციპებიდან, რომელიც უშვებს პოლიგამიურ საქორწინო კავშირებს (მრავალცოლიანობა).

ამასთანავე, ქორწინების ცნებაში ცალსახადაა მითითებული, რომ ეს არის ორი სქესის მქონე ადამიანთა კავშირი (ქალისა და მამაკაცის). ამით დადგინდა ერთსქესიანთა ქორწინების დაუშვებლობა.

ქორწინების ცნების განსაზღვრისას, კანონმდებელმა დაანესა ქორწინების ნებაყოფლობითობის პრინციპი, რაც ნიშნავს იმას, რომ ქორწინება, რომელიც რომელიმე მხარეზე (ან თუნდაც ორივე მხარეზე) ფსიქოლოგიური ან/და ფიზიკური ზემოქმედების შედეგად წარმოიშვა, ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი.

ქორწინების ნამდვილობისათვის, მისი იურიდიული გამართულობისათვის, აუცილებელია კანონით განსაზღვრული წესის დაცვა. კერძოდ, საქიროა მისი რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ასეთ რეგისტრაციას კონსტიტუციური, ანუ უფლებანარმოქმნელი მნიშვნელობა ენიჭება.

რეგისტრაცია არის ქორწინების ერთადერთი დამადასტურებელი საშუალება. თუკი, ვთქვათ, პირი ითხოვს განქორწინებისას თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების ნახევარს, როგორც მეუღლის კუთვნილ თანასაკუთრებას, მას სასამართლო აუცილებლად მოსთხოვს ქორწინების მოწმობას და მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე იმსჯელებს მის მოთხოვნაზე. ქორწინების მოწმობის გარდა არც ერთი სხვა დოკუმენტი არ წარმოქმნის ქორწინების, როგორც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს. ამასთანავე, ქორწინების მოწმობის დაკარგვის ან სხვაგვარი განადგურების შემთხვევაში, ნებისმიერ მექორწინეს, ასევე, მათ უფლებამოსილ წარმომადგენელს, შეუძლია სამოქალაქო რეესტრის მიერ დამონქმეული ქორწინების მოწმობის ასლის გამოთხოვა.



**პირობები და ასაკი** — ქორწინების სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი რეგულირება გულისხმობს გარკვეული პირობების განსაზღვრას და არსებობას. კანონი ადგენს პირობებს, რომლებიც აუცილებელია ქორწინებისათვის (ქორწინების პოზიტიური პირობები) და პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში ქორწინება დაუშვებელია (ქორწინების ნეგატიური პირობები).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად ქორწინების პოზიტიური პირობებია: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.



ქორწინება დაიშვება თვრამეტი წლის ასაკიდან. ეს ასაკი საერთოა როგორც ქალის, ასევე მამაკაცისათვის.

იმავედროულად, კანონით დაშვებულია თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული პირის ქორწინება, თუ მას ექნება მშობლის ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ მშობლების ან მზრუნველის წინასწარი თანხმობის მიღება შეუძლებელია ან ისინი თანხმობაზე უარს აცხადებენ, სასამართლოს პატივისცემის მიზეზის შემთხვევაში შეუძლია ქორწინებაზე თანხმობის ნებართვა გასცეს.

თექვსმეტი წელი ეს ის მინიმალური ასაკობრივი ზღვარია, რომლის ქვემოთ ქორწინება მიუღებელია პირის ფიზიოლოგიური და ფსიქიკური განვითარებისათვის.

რაც შეეხება ქორწინების დამაბრკოლებელ (ნეგატიურ) გარემოებებს, ქორწინება არ დაიშვება თუ:

მექორწინე უკვე იმყოფება სხვა პირთან საქორწინო კავშირში ან მექორწინეები პირდაპირ აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავეებს მიეკუთვნებიან ან თუ მექორწინეები ბიოლოგიური და არაბიოლოგიური და-ძმა არიან და სხვ.

**12.2. ქორწინების შეწყვეტა და ბათილობა**

საქართველოს კანონმდებლობა ქორწინების შეწყვეტის შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს ცნობს:

- ა) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებას;
- ბ) კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებას;
- გ) განქორწინებას.



ქორწინება არ შეიძლება შემოიფარგლოს გარკვეული ვადით. ბუნებრივია, ერთ-ერთი მექორწინის გარდაცვალება ან მისი გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს ქორწინების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი არ არის ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. საკმარისია გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. ამის შემდეგ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია კვლავ იქორწინოს.

ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთ-ერთი მექორწინის გარდაცვალება ან მისი გარდაცვლილად გამოცხადება ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ ნაწილს წყვეტს, ხოლო მეორე ნაწილს უცვლელად ტოვებს. მაგალითად: წყდება თანასაკუთრება, იხსნება სამკვიდრო და ა.შ.

ქორწინების შეწყვეტის მესამე საფუძვლად კანონი განქორწინებას მიიჩნევს. განქორწინებისას იგულისხმება, რომ ქორწინება თავიდან კანონის მოთხოვნათა დაცვით მოხდა, მაგრამ შემდეგ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, გარკვეულ სირთულეთა გამო აღმოჩნდა, რომ მათ მიერ ქორწინების შეწყვეტა უკეთესი გამოსავალი იქნებოდა.

განქორწინების შემთხვევაში აუცილებელია მისი რეგისტრაცია კანონით დადგენილი წესით.

განქორწინების რეგისტრაცია შეუძლია მოითხოვონ როგორც უშუალოდ მეუღლეებმა, ასევე მათმა წარმომადგენლებმა. ამ შემთხვევაში წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.


**ქორწინების ბათილობა** სახეზეა, როცა დარღვეულია ქორწინების შემდეგი ფუნდამენტური პრინციპები:

- ერთ-ერთი ან არც ერთი მექორწინე არ არის შესაბამისი საქორწინო ასაკის;
- დასაქორწინებელ პირთაგან რომელიმე ან არც ერთი ნებაყოფლობით არ არის თანახმა ქორწინებაზე;
- რომელიმე მექორწინე უკვე იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში სხვა პირთან;
- არსებობს კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

განქორწინებისაგან განსხვავებით, ქორწინების ბათილობა სხვა იურიდიული შედეგების მატარებელია. კერძოდ, განქორწინებისას ჩვენ სახეზე გვქონდა ნამდვილი, კანონის შესაბამისი ქორწინების აქტი (გარიგება), რომელიც განქორწინების სამართლებრივი რეგისტრაციის დასასრულამდე წარმოშობდა სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს (თანასაკუთრება, ურთიერთრჩენის მოვალეობა და ა.შ.). ქორწინების ბათილობისას კი გამოიყენება გარიგების ბათილობის პრინციპები და შესაბამისად, მსგავსი ქორწინება ვერავითარ სამართლებრივ შედეგებს ვერ წარმოშობს (არ იგულისხმება ბავშვთან მიმართული სამართლებრივი ურთიერთობანი). ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომელსაც კანონი ნამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს.

თუ ქორწინების ბათილად ცნობის შემდეგ, ბათილობის საფუძვლები აღმოიფხვრება (მაგალითად, არასრულწლოვანი პირი მიაღწევს სრულწლოვნებას) პირებს, რომელთა ქორწინება გამოცხადდა ბათილად, შეუძლიათ ხელახლა იქორწინონ.

### 12.3. მემკვიდრეობის უფლება და მოვალეობები



**კითხვა:**  
შეუძლიათ თუ არა განქორწინებულ მეუღლეებს ისევ იქორწინონ?  
**პასუხი:** დიახ, შეუძლიათ.

**კითხვა:**  
ვის შეუძლია ბათილად ცნოს ქორწინება?

**კითხვა:**  
შეიძლება თუ არა ქორწინების ბათილობის მოთხოვნა ორივე მექორწინის გარდაცვალების შემდგომ?

**პირადი, ქონებრივი, სახელშეკრულებო.** ქორწინება მეუღლეთა შორის მრავალმხრივ და რთულ ურთიერთობებს წარმოშობს. მათი გარკვეული ნაწილი ტრადიციებითა და ზნეობრივი ნორმებით რეგულირდება, ხოლო ფუნდამენტურ პრინციპებს კი კანონმდებლობა ამყარებს. ბუნებრივია, კანონმდებლობა უძლურია საოჯახო ურთიერთობების ყველა საკითხი დაარეგულიროს და მოაგვაროს საკანონმდებლო ნორმებით, მაგრამ მათი უმთავრესი ბაზისი აუცილებლად უნდა შექმნას.

იმისათვის, რომ მეუღლეებს შორის წარმოიშვას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, საჭიროა ქორწინება გაფორმდეს და რეგისტრაციაში გატარდეს კანონით განსაზღვრული წესით. ამ წესის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მხოლოდ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ქორწინება იძლევა იურიდიულ საფუძვლებს, დაარეგულიროს მეუღლეთა უფლება-მოვალეობები. უნდა გვახსოვდეს, რომ ქორწინების კანონშესაბამისი რეგისტრაცია მნიშვნელოვნად ზრდის და ამაღლებს მეუღლეთა პასუხისმგებლობას ოჯახის შექმნისა და სიმტკიცის შენარჩუნებაში.

საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ **თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობებით.** ჯერ კიდევ შოთა რუსთაველი მიიჩნევდა, რომ “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.” ბუნებრივია, ქართული კანონმდებლობა გვერდს ვერ აუვლიდა თანამედროვე ცივილური სამართლის ამ მნიშვნელოვან დანახეხს, მეუღლეთა თანასწორობის პრინციპს. ამასთან, მეუღლეები თანასწორნი არიან როგორც პირად, ასევე ქონებრივ ურთიერთობებში. ნებისმიერი დისკრიმინაცია სქესის, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების და სხვა გარემოებათა მიხედვით, აკრძალული და დაუშვებელია.

პირად ურთიერთობათა თანასწორობის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ სახელის (გვარის), განათლების, სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება, საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება და სხვ. ქონებრივ ურთიერთობათა თანასწორობაში კი, ორივე მეუღლის უფლებაა იქონიოს საკუთრებაში ნებისმიერი უძრავი თუ მოძრავი ნივთი, მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე, რომელიც არ არის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული.

ქონებრივ ურთიერთობაში აუცილებლად უნდა განვასხვაოთ მეუღლეთა საკუთრება, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად, ანუ თანასაკუთრებად.

ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს მას. ასეთია ქორწინებამდელი, აგრეთვე ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისათვის შექმნილი ნივთები და სხვ.

**მეუღლეთა თანასაკუთრება (თანაზიარი ქონება) მათ მიერ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონებაა.** მათ შორის, ერთობლივი მოხმარების საგნები, ფასიანი ქალაქდები, ფული, ძვირფასეულობა და ა.შ. თანასაკუთრება ეკუთვნის ორივე მეუღლეს თანაბარწილად და გამოიყენება საერთო ინტერესების შესაბამისად. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი მეუღლე ეწევა შემოსავლიან საქმიანობას და რომელი - საოჯახო საქმიანობას, ზრდის შვილებს და ა.შ.

თანაზიარი საკუთრება შესაძლოა გაიყოს ურთიერთშეთანხმებით. თუ საკითხი ეხება მოძრავ ნივთებს, საკმარისია მათი ფაქტობრივი გადაცემა. თუ საქმე უძრავ ან სპეციალური ბრუნვაუნარიანობის მქონე ნივთებს (მაგ.: იარაღი, ავტომანქანა და სხვ.), მაშინ ამ ნივთზე გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი წესით უნდა გაფორმდეს აქტი.



თუკი ურთიერთშეთანხმება ვერ ხდება, ქონების გაყოფა და დავის გადაწყვეტა სასარჩელო წარმოების საფუძველზე წყდება სასამართლოს მიერ. მოსამართლე გადაწყვეტილებით ადგენს, თუ რომელ მეუღლეს რომელი ნივთი უნდა მიაკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა) გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები საქმიანობისათვის ესაჭიროება.

გარდა აქტივისა (ქონებისა), იყოფა, ასევე, პასივი (ვალები). თანაზიარი ქონებისას აუცილებლად უნდა გაიყოს ის ვალები, რომელიც მეუღლეებს დაედოთ თანაცხოვრების მანძილზე. ვალი იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის შესაბამისად. როგორც წესი, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინების მიქცევა ხდება მისი ქონებიდან, თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც ის მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. არსებობს გამონაკლისიც. კერძოდ, ვალის მეუღლეთა საერთო ქონებიდან გასტუმრება ხდება მაშინ, თუ სასამართლოს მიერ დადგინდება, რომ ვალი ოჯახის საერთო ინტერესებს მოხმარდა.

თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობა შეადგენს სამ წელს განქორწინებიდან. ამ ვადის დენა იწყება განქორწინების ფაქტის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან.

**ურთიერთრჩენის მოვალეობა.** ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მეუღლეები ვალდებული არიან იზრუნონ ერთმანეთზე და მატერიალურად დახმარონ ერთმანეთს. ეს არა მარტო ზნეობრივი, არამედ იურიდიული მოვალეობაცაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ადგენს მეუღლეთა ურთიერთრჩენის პრინციპსა და მოვალეობას. ამასთან, თუ მეუღლეთა შორის ვერ ხერხდება შეთანხმება, დავას რჩენის შესახებ წყვეტს სასამართლო. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს, მეუღლეს, რომელიც შრომისუუნაროა და მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, აგრეთვე, ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.

#### 12.4. მშობლების უფლებები და მოვალეობანი შვილების მიმართ

მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობას საფუძველად უდევს ბავშვის გაჩენა და შესაბამისი ჩანაწერის არსებობა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

თუ ბავშვის გაჩენამდე გარდაიცვლება მამა, მაშინ ბავშვი ქორწინებაში გაჩენილად ჩაითვლება. ასევე, მაშინაც თუ ის დაიბადა მამის გარდაცვალებიდან ათი თვის განმავლობაში.

დაქორწინებული მშობლებისაგან ბავშვი გაჩენილად ჩაითვლება, თუკი ისინი ერთობლივად ან ერთ-ერთი მათგანი მიმართავს რეგისტრაციის მწარმოებელ ორგანოს და წარუდგენს ქორწინების მოწმობას.

ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა უნდა დადგინდეს ერთობლივი განცხადებითა და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით.

თუკი არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან შეუძლებელია მისი წარდგენა, მაშინ ბავშვის მამობა დგინდება სასამართლოს წესით. სასამართლოს შეუძლია მიმართოს ერთ-ერთმა მშობელმა, ბავშვის მეურვემ (მზრუნველმა) ან იმ პირმა, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი. სასამართლო, სათანადო გენეტიკური ან ანთროპოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, ადგენს მამობას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ექსპერტიზით ვერ დგინდება მამობა, მაშინ სასამართლო სხვადასხვა საფუძველებით წყვეტს საკითხს (დედისა და მამის თანაცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმართვა და სხვ.)





ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს აქვს ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინებაში დაბადებულს.

მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ. არავითარი დისკრიმინაცია ამ კუთხით არ დაიშვება. მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი შეზღუდოს უღირსი მშობელი გარკვეულ უფლებებში, მაგრამ არ გაათავისუფლოს ის ვალდებულებებისაგან.

**მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი.** კანონით გათვალისწინებულია ოჯახის წევრთა მიმართ მატერიალური დახმარების ნებაყოფლობითი განევის შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც ოჯახის წევრები თვითონ განსაზღვრავენ ალიმენტის ოდენობას, მისი გადახდის წესს, ფორმებსა და ვადებს. საალიმენტო შეთანხმებას, მისი გაფორმების შემდეგ, სავალდებულო ძალა გააჩნია. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას სასამართლო განიხილავს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსით, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, ასევე სრულწლოვანი შვილები, რომლებიც არიან შრომისუნარონი და საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ვალდებულება ეხება როგორც ქორწინებაში მყოფ მშობლებს, ასევე ქორწინებაშენწყვეტილებსაც, აგრეთვე, იმ მშობლებს, რომელთა შვილებიც გაჩნდნენ ქორწინების გარეშე.

იმავედროულად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილს, ასევე ეკისრება მონაწილეობის მიღება იმ დამატებით ხარჯებში, რაც გამოწვეულია განსაკუთრებული მდგომარეობით (შვილის ავადმყოფობა, სწავლის გადასახადი და ა.შ.).

ალიმენტის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო უმოკლეს ვადებში განიხილავს. ეს განპირობებულია იმით, რომ ბავშვის აღზრდისა და რჩენის მოვალეობების შესრულების დაყოფნა მისი ინტერესების საინალმდეგოა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ვადები სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა გამო მაინც წიანურდება (მხარეები სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ, დროულად არ შეაქვთ სასამართლოში მტკიცებულებები და ა.შ.). ასეთ დროს კანონი სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, საქმის არსებით განხილვამდე, გამოიტანოს განჩინება შვილის შესანახი სარჩოს გადახდევინების შესახებ.

თუ მშობელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება, ის ავტომატურად კარგავს შვილისაგან სარჩოს მიღების მოთხოვნის უფლებას.

**მშობლების რჩენის მოვალეობა ეკისრება ყველა შვილს, მიუხედავად იმისა, სარჩელი ალიმენტის დაკისრებაზე მშობლების მიერ წაყენებულ იქნა ერთ თუ ყველა შვილზე.**

**მსგავსად მშობლებისა, შვილებიც ვალდებული არიან ალიმენტის გარდა მონაწილეობა მიიღონ დამატებით ხარჯებში, რაც წარმოიშვება განსაკუთრებული გარემოებების შედეგად.**

ალიმენტის გადამხდელ პირს შეუძლია სასამართლოს მიმართოს ალიმენტის შემცირების შესახებ, თუკი მას მნიშვნელოვნად შეუმცირდა შემოსავალი და აქვს ამის დამამტკიცებელი საბუთები.

## 12.5. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი

ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებებს საფუძვლად უდევს გარემოება, რომ ვიდრე პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის საჭიროება, აქვს შესაძლებლობა მიიღოს ალიმენტი მშობლებისაგან, მეუღლისაგან ან შვილებისაგან, უფლება არა აქვს მოითხოვოს ის ოჯახის სხვა წევრებისაგან. პირს, მხოლოდ მას შემდეგ შეეძლება ალიმენტის მოთხოვნა ოჯახის სხვა წევრებისაგან, თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო ის ვერ ითხოვს ალიმენტს მშობლების, მეუღლის ან შვილისაგან. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებას საფუძვლად უდევს ახლო ნათესაობა ან მჭიდრო ოჯახური კავშირი. მათ საალიმენტო ვალდებულებას გააჩნია დამატებითი, სუბსიდიალური ხასიათი, იმ ძირითად ვალდებულებებთან შედარებით, რომლებსაც ასრულებენ ოჯახის პირველი რიგის წევრები — მეუღლე, მშობლები და შვილები.

**“ალიმენტი”**  
ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კმაყოფას, რჩენას, სარჩოს, რომელიც ვალდებულმა პირმა უნდა გადაუხადოს მისი მოთხოვნის უფლების მქონე პირს. ასეთი ვალდებულებები ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის იყო ცნობილი. ასე მაგალითად, იუსტინიანეს დიკესტებში გადმოცემული იყო მოსაზრება, რომ მშობლები ვალდებული არიან არჩინონ შვილები მაშინაც, როცა ისინი არ იმყოფებიან მათი ხელისუფლების ქვეშ და პირიქით. აღნიშნული ნათლად გამოხატავს საალიმენტო ვალდებულებების შინაარსს

**კითხვა:**  
ვალდებულია თუ არა ალიმენტის გადამხდელი მშობელი დაეხმაროს შვილს ძვირადღირებული სასწავლო წიგნების შეძენისას?

### 13. მემკვიდრეობის სამართალი

**მემკვიდრეობა** მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტია. შესაბამისად, მისი საფუძვლების განმტკიცება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო აქტით - კონსტიტუციით ხდება. დეტალურად კი მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს. მემკვიდრეობის მეშვეობით გარდაცვლილის ქონება გადადის მემკვიდრეზე და შესაბამისად, სუბიექტებად ფიზიკური ან იურიდიული პირები გვევლინებიან. ამასთან, იურიდიული პირი, სამემკვიდრეო კანონმდებლობაში გვხვდება, როგორც მხოლოდ მემკვიდრეობიექტებად კი ნებისმიერი მატერიალური და/ან არამატერიალური სიკეთე ითვლება. მაგალითად: სახლი, მიწის ნაკვეთი, ფული, ავტომანქანა, სამენარმეო იურიდიული პირის წილი/აქცია და ა.შ.

**ცნება.** სამართლის ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს, მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება. პირის მემკვიდრედ მონიშვნა და სამკვიდროს მიღების უფლება არის მემკვიდრეობის უფლება, რომელიც თავისი ბუნებით კონსტიტუციური უფლებაა.

საკუთრების მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმება დაუშვებელია. აუცილებელი საჭიროებისათვის დასაშვებია მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა კანონით დადგენილი წესითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნული ფუნდამენტური და ზოგადი პრინციპები კი საფუძვლად უდევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ თავს, რომელიც მემკვიდრეობის სამართალს აწესრიგებს.

**მემკვიდრეები (კანონით, ანდერძით), უღირსი მემკვიდრეები, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.**



მემკვიდრე ის პირია, რომელზედაც გადადის მამკვიდრებლის ქონება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ:

- ა. კანონით მემკვიდრეები** — პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე, მამკვიდრებლის შვილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადება (მეუღლე, შვილი, მშობელი, შვილიშვილი და ა.შ.) მათ რიგითობას (ანუ უპირატესობას) ადგენს სამოქალაქო კოდექსი.
- ბ. ანდერძით მემკვიდრეები** — პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან თუ არა. ანდერძით მემკვიდრეები, აგრეთვე, შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები. იურიდიული პირის მემკვიდრეობის შემთხვევაში, ის აუცილებლად უნდა იყოს სათანადო წესით რეგისტრირებული სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

**უღირსი მემკვიდრე.** პირი ვერც ანდერძით, ვერც კანონით ვერ იქნება მემკვიდრე, თუ ის განზრახ უშლიდა ხელს მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან თავისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილების გაზრდას. ასევე, თუ მან ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური ქმედება, მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ და აღნიშნული გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ. მაგალითად, ხელს უშლიდა მამკვიდრებელს ანდერძის შედგენაში, უმაღავდა ისეთ ფაქტებს, რომელთა ცოდნის შემთხვევაში ის სხვაგვარად გადაწყვეტდა მემკვიდრეობის საკითხს.


უღირსად ცნობილი მემკვიდრე არ კარგავს უფლებას იყოს სხვა მამკვიდრებლის ქონების მემკვიდრე.

**კიდევ ერთი საყურადღებო სამართლებრივი გარემოება:** თუ პირი მხილებულია იმ ქმედებათა ჩადენაში, რომელიც იწვევს მემკვიდრეობის უფლების დაკარგვას და მამკვიდრებელი მას აპატიებს თავის ანდერძში აშკარად გამოხატული ფორმით, ის მაინც მიიღებს თავის სამკვიდრო წილს. პატიებაზე შემდგომი უარის თქმა აღარ დაიშვება.

**13.1. სამკვიდროს გახსნა, დრო და ადგილი**

მამკვიდრებლის (ანუ გარდაცვლილი პირის) აქტივებისა (ფული, წილი, ავეჯი, სახლი, მიწის ნაკვეთი და ა.შ.) და პასივების (ვალის, დავალიანების) გადასვლას მემკვიდრეზე, **სამკვიდროს გახსნა ეწოდება.** მაგალითად, მამის გარდაცვალების შემდეგ შვილზე გაიხსნა სამკვიდრო, ანუ ქონება და ვალი გადავიდა მამიდან შვილზე. სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად. გახსნის დროდ კი ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ ის არ არის ცნობილი, მაშინ თავად სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი. საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის ადგილი, სადაც პირი ცხოვრობს მუდმივად, ან უპირატესად. ის მოიცავს გარკვეულ ქალაქს, სოფელს, დაბას. სამკვიდროს გახსნის ადგილი, საცხოვრებელი ადგილი და გარდაცვალების ადგილი, შესაძლოა არ დაემთხვას ერთმანეთს. პირი შეიძლება გარდაიცვალოს მგზავრობის დროს, პატიმრობაში და ასე შემდეგ. თუ ვერ დგინდება საცხოვრებელი ადგილი ( უცნობია ან შეუძლებელია დადგინდეს), მაშინ სამკვიდრო იხსნება სამკვიდრო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.



პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მუღლე (რეგისტრირებული ქორწინებიდან), მშობლები (მშვილებლები);

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებულნი არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მემკვიდრეების მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და თანასწორად იღებენ იმ ნილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

მეორე რიგის მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის დები და ძმები. დისწულები და ძმისწულები მემკვიდრეებად გამოდიან მაშინ, თუკი მათი მშობელი გარდაცვლილია. ასეთ დროს დისწულები და ძმისწულები იღებენ იმ ნილს, რომელიც ეკუთვნოდა მათ მშობელს.

მესამე რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ ბებია და ბაბუა. ბებუის დედ-მამა და ბაბუის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებუის დედ-მამა და ბაბუის დედ-მამა მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და ბაბუა ცოცხლები აღარ არიან.

მეოთხე რიგის მემკვიდრეებია ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

მეხუთე რიგის მემკვიდრეები არიან ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

**სამკვიდრო ქონება** — სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრების როგორც ქონებრივი უფლების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

აქტივი მოიცავს მამკვიდრების ქონებრივ უფლებებს, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს საკუთრების უფლებას, აღნაგობის უფლებას, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (მაგალითად: ნილი, აქციები, პაი და სხვ.) მაგრამ მემკვიდრეს მარტო ქონება არ გადაეცემა. აუცილებელია, პასივზე (ვალდებულებებზე) პასუხისმგებლობაც იტვირთოს მემკვიდრემ. სხვა შემთხვევაში სამოქალაქო ბრუნვა, ნდობა და კეთილსინდისიერება დადგებოდა ეჭვქვეშ. ამიტომ კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ მემკვიდრე აქტივის მიღებასთან ერთად პასუხისმგებელია პასივზეც და უნდა შეასრულოს ვალდებულებებიც.

მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც ანდერძის შედგენისას, მართალია, მისი საკუთრება არ არის, მაგრამ სამკვიდროს გახსნისას ის მისი საკუთრება იქნება.

### 13.2. მემკვიდრეობა კანონით

კანონით მემკვიდრეობა დაფუძნებულია პირთა ახლო ნათესაობაზე. კანონი განასხვავებს მემკვიდრეებს რიგის მიხედვით. არიან პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე რიგის მემკვიდრეები.

მემკვიდრეთა რიგითობა მკაცრად განსაზღვრულია კანონით და წინა რიგის მემკვიდრის, თუნდაც ერთი წარმომადგენლის არსებობა, მომდევნო რიგის ყველა მემკვიდრეს ართმევს უფლებას იყოს კანონით მემკვიდრე და მიიღოს სამკვიდრო.

თუ არ არსებობს არც კანონით, არც ანდერძით მემკვიდრე ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა თუ ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე და მისი მესაკუთრე ეკონომიკის სამინისტრო ხდება. ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დანესებულებათა რჩენაზე იმყოფება, მაშინ - მათ საკუთრებაში.

### 13.3. მემკვიდრეობა ანდერძით

ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.

**ანდერძი** კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრების მიერ შედგენილი ცალმხრივი გარიგებაა. მასში მხოლოდ მოანდერძის ნებაა გამოხატული. ანდერძის შესადგენად მემკვიდრის თანხმობა საჭირო არ არის. ანდერძის შედგენა არ ზღუდავს მოანდერძეს მისი შედგენის შემდეგ შეცვალოს იგი, გააუქმოს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი კუთვნილი ქონება.

მოანდერძე, ანუ პირი ვინც ანდერძს ადგენს, შეიძლება იყოს ფიზიკური, სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს ნება.

ანდერძის შედგენის შემდეგ ქმედუნარიანობის დაკარგვა არ იწვევს ანდერძის ბათილობას. ქმედუნარიანი პირი არ უნდა მოქმედებდეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ხელს უშლის მას გონივრულად განსაჯოს თავისი ქმედება.

მოანდერძემ ანდერძი პირადად უნდა შეადგინოს, წარმომადგენლობა არ დაიშვება.



**ანდერძის ფორმა.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ანდერძი ფორმასავალდებულო გარიგებაა. კერძოდ, ანდერძის ნამდვილობისათვის, ის აუცილებლად უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით. ამასთან, წერილობითი ანდერძი ფაქულტატიურად, მოანდერძის ნებისამებრ, შესაძლოა დადასტურდეს ნოტარიუსის მიერ. იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, ანდერძი შესაძლოა დადასტურდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ.

თუ ანდერძი არ არის დადასტურებული სანოტარო წესით, მას ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე. ასეთ ანდერძს შინაურულ ანდერძს უწოდებენ. მოანდერძემ ის აუცილებლად თავისი ხელით უნდა დაწეროს და მოაწეროს ხელი. მარტივი წერილობითი ფორმით შედგენილ ანდერძს სრული იურიდიული ძალა აქვს. ასეთი ანდერძი, როგორც წესი, ინახება მოანდერძესთან, თუმცა მოანდერძეს შეუძლია ის დალუქული კონვერტითაც გადასცეს შესანახად ნოტარიუსს.

**სავალდებულო წილი.** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დამკვიდრებულია ანდერძის თავისუფლება და მამკვიდრებელი თავისუფალია განკარგოს თავისი ქონება, კანონი მაინც იცავს პირთა გარკვეულ წილს და ადგენს სავალდებულო წილის ინსტიტუტს.

კერძოდ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობისას ერგებოდათ. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს გარდაცვალების შემდგომ დარჩა მხოლოდ მეუღლე და 1200 ლარის აქტივი, რომელიც მან სრულად დაუტოვა ანდერძით თავის მოსწავლეს, მეუღლე მიიღებს 600 ლარს, რადგანაც სხვა შემთხვევაში, როგორც ერთადერთ კანონით მემკვიდრეს 1200 ლარი მთლიანად ერგებოდა.

**საანდერძო დანაკისრი (ლევატი).** მოანდერძეს შეუძლია ანდერძით დააკისროს მემკვიდრეს, ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ, გარკვეული ვალდებულების შესრულება (მაგალითად: ქონების გადაცემა, ქმედების შესრულება და ა.შ.). ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი (ლევატი) ეწოდება. ის მამკვიდრის ხარჯზე უნდა შესრულდეს.

**ანდერძის შეცვლა ან მოშლა.** მოანდერძის სიცოცხლეში ანდერძით მემკვიდრეებს მოანდერძის ქონების მიმართ არავითარი უფლებები არ წარმოეშობათ. მოანდერძე სიცოცხლეში შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს ანდერძთან მიმართებით. მას ყოველთვის შეუძლია შეცვალოს, მოშალოს ან გააუქმოს ანდერძი. ეს ხორციელდება შემდეგი იურიდიული ქმედებებით:

- ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში მოანდერძემ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ წინა ანდერძი სანოტარო წესით არის დადასტურებული, ახალიც იგივე წესით უნდა დადასტურდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედგენის თარიღის მიუხედავად, სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი იმოქმედებს.
- სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით. მოანდერძეს შეაქვს განცხადება ნოტარიუსთან ანდერძის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ეს უკანასკნელი ადასტურებს სათანადო სანოტარო აქტს, ანდერძის მოშლის ან შეცვლის შესახებ და უგზავნის მას ნოტარიუსთა პალატას.

- ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით მოანდერძის მიერ ან ნოტარიუსის მიერ, მოანდერძის განკარგულებით. თუმცა, ეს უკანასკნელი შეუძლებელია განსახორციელებლად იმდენად, რამდენადაც სანოტარო აქტის მოსპობის უფლება არავის აქვს. ის ერთ ეგზემპლარად მაინც უნდა ინახებოდეს სანოტარო არქივში. ამიტომ პრაქტიკაში წინა ორი პუნქტი გამოიყენება.

**გაუქმებული ანდერძის აღდგენა აღარ დაიშვება.**

**ანდერძის ძალადაკარგულად ცნობა.** ანდერძი შესაძლოა შეიცვალოს ან მოიშალოს მხოლოდ მოანდერძის ნებით, მაგრამ ანდერძი შეიძლება გამოცხადდეს ძალადაკარგულად თუ დადგება რომელიმე ქვემოთ მოყვანილი გარემოება:

- პირი, რომლის სასარგებლოდ შედგა ანდერძი (მემკვიდრე), გარდაიცვლება მამკვიდრებელზე ადრე;
- ნაანდერძევი ქონება დაიკარგა მოანდერძის სიცოცხლეში ან მოანდერძემ გაასხვისა ის;
- არსებობს ანდერძით ერთადერთი მემკვიდრე, რომელიც უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე.

**ანდერძის ბათილობა.** იმდენად, რამდენადაც ანდერძი ცალმხრივი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი ბათილობის შემთხვევებს.

- ანდერძი ბათილია იმ პირობების არსებობისას, რომელიც იწვევს გარიგების ბათილობას საერთოდ (აღნიშნული ჩვენ ვისწავლეთ თავში “გარიგებები”);
- ბათილია ის საანდერძო განკარგულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს ან საზოგადოებრივ წესრიგს;
- სასამართლოს შეუძლია ანდერძი ბათილად გამოაცხადოს იმ შემთხვევაშიც, თუ ის შედგენილია კანონის წესების დაცვით (ფორმალური გარიგება), ასევე მაშინ, როცა მოანდერძემ ანდერძი შეადგინა იმ პერიოდში, როდესაც არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა შეეგნო და წარემართა ის (მაგ. გრძნობდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, რა დროსაც ვერ აკონტროლებდა თავს).

ანდერძის ბათილობის შემთხვევაში არავითარი სამართლებრივი შედეგი მისგან არ დადგება.

ანდერძის ბათილად გამოცხადება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.

**ხანდაზმულობის ვადა.** ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელისათვის კანონი ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას უთითებს. ეს ვადა ორ წელს შეადგენს, რომელიც სამკვიდროს გახსნის დღიდან გამოითვლება.

**სამკვიდროს მიღება.** სამკვიდროს მიღების წესი ერთნაირია როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს. სამკვიდრო უნდა მიიღოს მემკვიდრემ, იქნება ის კანონით, თუ ანდერძით მემკვიდრე. სამკვიდროს მიღება ისეთი იურიდიული ქმედებაა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მემკვიდრეობა მამკვიდრებლის საკუთრებიდან მემკვიდრის საკუთრებაში გადავიდეს. სამკვიდროს მიღებით მემკვიდრე იძენს საკუთრებას მემკვიდრეობაზე. მის შემდგომ ქმედებებს, რომელიც უკავშირდება სამკვიდროს, მემკვიდრეობის მიღებაზე გავლენა აღარ აქვს. მაგალითად, თუ მემკვიდრე მიიღებს სამკვიდრო სახლს და შემდგომ არ ცხოვრობს მასში, ამას იურიდიულად არავითარი მნიშვნელობა საკუთრების უფლებაზე არ ექნება.

სამკვიდრო მემკვიდრის მიერ მიღებულად ითვლება მაშინ, როცა ის შეიტანს სამკვიდროს მიღებაზე განცხადებას სანოტარო ბიუროში ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან მიიღო სამკვიდრო. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ სანოტარო ბიუროში, რომელ ნოტარიუსთან შეიტანს პირი განცხადებას. მთავარია, რომ მან ეს განცხადება გააკეთოს. თუ მემკვიდრე დაეუფლება და ფაქტობრივ მფლობელობას განახორციელებს სამკვიდროს ნაწილზეც, ითვლება, რომ ის სრულად დაეუფლა სამკვიდროს, რაშიც

უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს ის. მაგალითად, სამკვიდრო მოიცავს ნივთებს, რომლებიც სხვადასხვა ადგილას არის. ერთ ადგილას სამკვიდრო ნივთის დაუფლება ნიშნავს მთლიანად სამკვიდროს დაუფლებას.

ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები, სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით (მშობელი, მეურვე, მზრუნველი).

**სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა.** როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეს უფლება აქვს, უარი თქვას სამკვიდროზე და არ მიიღოს ის. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა ისევე, როგორც მისი მიღება, ცალმხრივი გარიგებაა. უარის თქმის უფლება მემკვიდრეს აქვს სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეცყო თავისი მონვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას, ეს ვადა სასამართლოს მიერ შესაძლოა გაგრძელდეს დამატებით ორი თვით. უარის თქმა უნდა დადასტურდეს სანოტარო ორგანოში და უნდა შედგეს სათანადო სანოტარო აქტი.

სამკვიდროზე უარის თქმა ხდება სრულად. დაუშვებელია მემკვიდრემ უარი განაცხადოს სამკვიდროზე ნაწილობრივ ან მიიღოს სამკვიდრო რაიმე პირობის დათქმით ან ვადით. სამკვიდრო მემკვიდრემ უნდა მიიღოს სრულად, აქტივითა და პასივით (ქონებითა და ვალდებულებებით). სამკვიდროს რაიმე ნაწილზე უარის თქმა მთლიანად სამკვიდროზე უარის თქმად ითვლება.

თუ უარის მთქმელი მემკვიდრე ერთადერთია ამ რიგის მემკვიდრეთა შორის, მაშინ მის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის შემთხვევაში, სამკვიდრო გადადის სხვა მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე.

უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში. სახელმწიფო უფლებამოსილი არ არის უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. ის ვალდებულია, მიიღოს ის სამკვიდრო, რომელიც უმკვიდროა ან რომლის მიღებაზეც უარი განაცხადა ყველა მემკვიდრემ.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა არ დაიშვება მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ.

**სამკვიდრო მონმობა.** სამკვიდრო მონმობა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს მასში მოხსენიებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. უმეტეს შემთხვევაში სამკვიდროს მიღება მემკვიდრის უფლებაა და არა ვალდებულება. მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში მემკვიდრე ვალდებულია, მიიღოს სამკვიდრო მონმობა.


მემკვიდრედ მონვეული პირების წერილობითი განცხადების საფუძველზე, სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი გასცემს მემკვიდრეობის უფლების მონმობას (სამკვიდრო მონმობა). მემკვიდრედ მონვეულად ითვლება ანდერძისმიერი, ან შესაბამისი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, რომელმაც დადგინილ ვადაში მიიღო მემკვიდრეობა.

მემკვიდრე უფლებამოსილია, განცხადება მემკვიდრეობის უფლების მონმობის მიღების შესახებ შეიტანოს სანოტარო ბიუროში, სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის მიუხედავად.

სამკვიდრო მონმობა გაიცემა სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის შემდეგ ნებისმიერ დროს. ექვსი თვის გასვლამდე ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მონმობას, თუ მოეპოვება უტყუარი ცნობები მასზე, რომ მონმობის მთხოვნელ პირთა გარდა სხვა მემკვიდრეები არ არიან.

14. სამოქალაქო პროცესი (სარჩელი, მხარეები, სასამართლო პროცესი)

სასამართლოების იერარქია



**სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამოყენების დრო, ძირითადი დებულებები.** სამოქალაქო სამართალი იქნებოდა პრაქტიკულობასა და მდგრადობას მოკლებული, თუკი კანონმდებელი განსაზღვრავდა მხოლოდ სამართლებრივ რეგულაციას (მაგალითად, გარიგების დადების წესს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და ა.შ.) და არ იზრუნებდა, იძულებისა და სამოქალაქო ურთიერთობების დარღვევის შემთხვევაში, სამართლიანობის დადგენისა და განსაზღვრის წესებზე. თუკი არ დაადგენდა ვის, როდის, როგორ და რა ნორმებით უნდა მოეხდინა რეაგირება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა შორის წარმოშობილ დავებზე და ამ დავების გადაწყვეტაზე. ამიტომაც სამართლის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა საპროცესო ნორმათა ჩამოყალიბება და სამართლებრივი განმტკიცება. მაგალითად: მაღაზიაში პროდუქციის შეძენა (ნასყიდობის ხელშეკრულება), მეგობრისათვის წიგნისა და ჟურნალის თხოვება (თხოვების ხელშეკრულება), უძრავი ქონების გაქირავება (ქირავნობა), ცოლის მოყვანა ან გათხოვება (ქორწინება) და ა.შ., მატერიალური სამართალია, მაგრამ ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის უფლებადარღვეული პირი (ანუ პირი, რომლის მიმართაც არ შესრულდა ვალდებულება) თუ მიმართავს სასამართლოს, იქ საპროცესო კანონმდებლობით მოხდება საქმის განხილვა, გადაწყვეტა და შესაბამისად საქმე საპროცესო კანონმდებლობასთან გვექნება.

14.1. სამოქალაქო საპროცესო სამართალი

**სამოქალაქო საპროცესო სამართალი** იმ საპროცესო-სამართლებრივი ნორმების სისტემაა, რომელიც სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს.

რაც შეეხება სამოქალაქო პროცესის სუბიექტებს, აქ უნდა განვიხილოთ თავად სასამართლო (საქმის განმხილველი მოსამართლე, მოსამართლეთა კოლეგია), მხა-



რები (ფიზიკური ან იურიდიული პირები), მოწმეები (პირები, რომელთათვისაც ცნობილია რაიმე საქმის გარემოება), ექსპერტები (პირები, რომელთაც გააჩნიათ რაიმე ტექნიკური საკითხის სპეციალური ცოდნა, რომლის გარკვევაც სასამართლოს თავისი ძალებით არ შეუძლია), თარჯიმნები (პირები, რომლებიც უთარგმნიან პროცესის მონაწილეებს სხვა ენაზე პროცესის მიმდინარეობას, თუ მათთვის უცნობია ქართული ენა), წარმომადგენლები (პირები, რომლებიც კანონის ან სპეციალური მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენენ სხვებს). აღნიშნული პირები თავად მონაწილეობენ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში.

სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა მიმდინარეობს სწორედ სამოქალაქო სამართლის პროცესით დადგენილი წესითა და ვადებში. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **სამოქალაქო საპროცესო სამართალი** ეს არის პროცესუალურად განმტკიცება და დაცვა მატერიალური სამართლიდან გამომდინარე სამართალურთიერთობებისა.

რაც შეეხება გამოყენების დროს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სამოქალაქო საპროცესო სამართალში კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს. შესაბამისად, კანონი ვრცელდება იმ ფაქტებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც ამ კანონის მიღების (ძალაში შესვლის) შემდგომ წარმოიშვა. ეს ნიშნავს, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტში, თუნდაც სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს ეს კანონი უკვე გაუქმებული ან შეცვლილი იყოს.

საპროცესო სამართლის ნორმების მოქმედება სივრცეში ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი გამოიყენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მოქმედებას პირთა წრის მიმართ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი მოქმედებს:

1. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე;
2. აგრეთვე, უცხოელებზე, მათ ორგანიზაციებზე, მოქალაქეობის არმქონე პირებზე. უცხოელები საპროცესო უფლებებში იზღუდებიან მხოლოდ მაშინ, თუ იმ ქვეყანაში, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, იზღუდებიან საქართველოს მოქალაქეები კანონის პირდაპირი დანაწესით.

**ძირითადი პრინციპები.** სიტყვა “პრინციპი” ლათინური წარმოშობისაა და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ნიშნავს “საფუძველს”, “საწყისს”, ზოგად დებულებას, განყენებულ ცნებას, რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითად ამოსავალ დებულებას, სახელმძღვანელო იდეას. პრინციპების შესწავლა გვიადვილებს სამოქალაქო პროცესის აღქმას.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპები ის დებულებებია, რომლებზეც მთელი სამოქალაქო პროცესია აგებული.

**უფლების სასამართლო წესით დაცვა.** აღნიშნული ეხმიანება საერთაშორისო სივრცეში დამკვიდრებულ სტანდარტებს, საქართველოს კონსტიტუციას და უთითებს, რომ ყველა პირს შეუძლია, თავის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, მიმართოს სასამართლოს. დაუშვებელია აღნიშნული უფლების შეზღუდვა გარიგებით ან სხვაგვარი ხელშეშლა.

1. **დისპორზიციურობის პრინციპი**— სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამოყენებაში პირი შეუზღუდავია. ის თავისუფალია ნების გამოვლენასა და ამ უფლების გამოყენებაში. სასამართლო მხოლოდ პირის მიმართვის საფუძველზე დაიწყებს საპროცესო მოქმედებების შესრულებას. მიმართვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით სარჩელის ან განცხადების საფუძველზე.
2. **შეჯიბრებითობის პრინციპი**— სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობით სარგებლობენ. კერძოდ, მათ თანაბრად შეუძლიათ ჩამოაყალიბონ და დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, მოსაზრებები და უარყონ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები, მოთხოვნები, მტკიცებულებანი. მხარეები თავად წყვეტენ თუ რა ფაქტები უნდა დაურთონ თავიანთ მოთხოვნას საფუძველად.
3. **მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე** — მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ. არც ერთი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მართლმსაჯულება და გამოიტანოს გადაწყვეტილება. მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი განსაჯოს მხარეები და დაასრულოს საქმის წარმოება გადაწყვეტილების გამოტანით. ამიტომაც სასამართლოს გადაწყვეტილება არა მხოლოდ თავისი, არამედ საქართველოს სახელით გამოაქვს.
4. **მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება**— მოსამართლეები თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონსა და კონსტიტუციას ემორჩილებიან. კანონმდებლობით იკრძალება და ისჯება ყოველგვარი ჩარევა მათ საქმიანობასა და მათ გადაწყვეტილებებში.
5. **კანონისა და სამართლის ანალოგია**— პრაქტიკაში არის შემთხვევები, რომელთა მომწესრიგებელი კანონიც არ არსებობს. აღნიშნული განპირობებულია საბაზრო ეკონომიკური ბრუნვის სისწრაფისა და განვითარების ტემპებიდან ბუნებრივია, ასეთი შემთხვევა ვერ გახდება მხარისათვის დავის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი სასამართლოს მხრიდან. ამ შემთხვევაში გამოიყენება კანონი, რომელიც მსგავს ურთიერთობას აწესრიგებს. თუკი არ არსებობს კონკრეტული ნორმა საკითხის გადასაჭრელად, სასამართლო ემყარება ნორმას, რომელიც მსგავს ურთიერთობას აწესრიგებს. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი სასამართლო სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს ეყრდნობა.
6. **სამოქალაქო პროცესის საქვეყნობა და სამართალწარმოების ენა** — საქმეთა განხილვა მიმდინარეობს ღია სხდომებზე და მასზე დასწრება ყველა მსურველს შეუძლია. გამონაკლისია კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევები (მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით), როცა საქმის განხილვა დახურულ სხდომაზე მიმდინარეობს.
7. **საქართველოს სასამართლოებში სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე** (ქართულ ენაზე, აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურზე). პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, მიეჩინება თარჯიმანი.
8. **სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულობა** — კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებანი (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე, სასამართლოს ნებისმიერი მოთხოვნისა და განკარგულების შესრულება საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის სავალდებულოა. მათი შეუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

**უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა.** სამართლებრივი ცნება “უწყებრივი ქვემდებარეობა”, სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ნიშნავს სასამართლოების, კერძო არბიტრაჟის, ნოტარიატისა და სახელმწიფოს იმ ორგანოების საგნობრივ კომპეტენციას, რომელთაც უფლება აქვთ განიხილონ და გადაწყვიტონ ცალკეული სამართლებრივი საკითხები.

სასამართლოებთან მიმართებაში, უწყებრივ ქვემდებარეობაში იგულისხმება ის სამოქალაქო საქმეები, რომელთა განხილვისა და არსებითად გადაწყვეტის უფლება (უფლებამოსილება ანუ კომპეტენცია) აქვთ ამ სასამართლოებს.

რაც შეეხება კერძო ხასიათის ქონებრივ დავებს, აღნიშნული მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შესაძლოა გადაეცეს კერძო არბიტრაჟს, რომლის შექმნას, წარმოების წესს, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის წესს, აგრეთვე, სხვა სამართლებრივ ასპექტებს ანესრიგებს სპეციალური კანონი “არბიტრაჟის შესახებ”.

**განსჯადობა.** პროცესის ინსტიტუტი (ნორმების სისტემა) ანესრიგებს სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეების კონკრეტული სასამართლოს გამგებლობისადმი მიკუთვნების საკითხს. სხვაგვარად, ეს არის სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმის კონკრეტული სასამართლოს გამგებლობისადმი მიკუთვნება.

აქ შეიძლება გამოიყოს განსჯადობა ტერიტორიული და საგნობრივი. ტერიტორიული განსჯადობა გულისხმობს: თუ რომელი რაიონული (საქალაქო) სასამართლოა უფლებამოსილი განიხილოს კონკრეტული დავა და რომელი სააპელაციო სასამართლო (ქუთაისის თუ თბილისის), ხოლო გვაროვნულში შეიძლება გამოვყოთ სასამართლოები იერარქიული საფეხურების მხრივ. კერძოდ, საქმე განსახილველია რაიონული (საქალაქო სასამართლოს), სააპელაციო თუ საკასაციო სასამართლოს მიერ.

**სარჩელი და სასარჩელო წარმოება.** უფლების დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად და შეუძლია სადავოდ ქცეული საკითხის გადაწყვეტა მას მიანდოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ პირს მიაჩნია, რომ სხვა პირმა მისი უფლებები დაარღვია (მაგალითად, არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, მიაყენა მატერიალური ზიანი და სხვ.) შეუძლია მას სასამართლოში უჩივლოს და ვალდებულების შესრულება ან ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს. საპროცესო კანონმდებლობა კი სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის სათანადო პროცედურებს ანესრიგებს.

სარჩელი წერილობითი, სათანადო ფორმის დაცვით შედგენილი დოკუმენტია, რომელიც ასახავს დაინტერესებული პირის, ანუ მოსარჩელის მიმართვას სასამართლოსადმი პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.

სარჩელი სათანადო ფორმის დაცვით უნდა შედგეს. მისი ფორმა და შევსების ინსტრუქცია მკაცრადაა განსაზღვრული.

**განცხადება, უდავო წარმოება** — სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავდება უდავო წარმოების წესი. უდავო წარმოების წესით განიხილება სამოქალაქო საქმეები, რომლებზეც დასტურდება იმ იურიდიული ფაქტების (მოქმედებების, ცდომილებების, მდგომარეობის) არსებობა ან არარსებობა, რომლებზეც დამოკიდებულია პირთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ან დასტურდება უდავო უფლების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე, განისაზღვრება ფიზიკური პირის სამართლებრივი სტატუსი.

კერძოდ, ასეთი საქმეებით ხდება ტექნიკური უზუსტობების ჩასწორება პირის დოკუმენტაციაში (მაგალითად, პასპორტში, დაბადების მოწმობაში) ან ამა თუ იმ მომხდარი ფაქტის დადასტურება (მაგალითად, სამკვიდროს მიღების დადასტურება მოწმეების, კომუნალური გადასახადების ქვითრებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე).

უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს იმ საქმეებს, რომელთა ჩამონათვალი ზუსტად და მკაფიოდაა ჩამოთვლილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

მაგალითად, სასამართლოებს უწყებრივად ქვემდებარება სამართლებრივი საკითხები, რომელიც გამომდინარეობს: სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის დავიდან; საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობიდან; უდავო წარმოების საქმეები; კანონით განსაზღვრული სხვა საკითხები, მათ შორის ისეთი საქმეების, რომელთა განხილვა კანონის თანახმად სხვა ორგანოების კომპეტენციაში არ შედის.

- სარჩელი მოიცავს შემდეგ ასპექტებს:**
1. სასამართლოს დასახელებას (მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო);
  2. მხარეთა დასახელებას და მათ საკონტაქტო მონაცემებს (პირების დასახელება, სახელი, გვარი, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.);
  3. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიას (მოწმე, თარჯიმანი);
  4. დავის არსის მოკლე მიმოხილვას;
  5. დავის ფაქტობრივ გარემოებებს;
  6. მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძველს (მითითებას კონკრეტულად რას ითხოვს მოსარჩელე, საიდან გამომდინარე ითხოვს და რომელ ნორმებს ეყრდნობა მისი მოთხოვნა);
  7. მტკიცებითი და სხვა სახის შუამდგომლობებს (მაგალითად, ხომ არ ითხოვს მოსარჩელე მტკიცებულების გამოთხოვას ან მის დაცვას ან რაიმე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას და ა.შ.);
  8. სარჩელის ფასსა და ბაჟის ოდენობას;
  9. თანდართული საბუთების ნუსხას. თანდართული საბუთები უნდა დაინომროს და ისე ჩაბარდეს კანცელარიას.

## 14.2. მხარეები

**მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები).** სასამართლოში სასარჩელო წარმოება ყოველთვის გულისხმობს რომელიმე პირის მიერ სხვა პირის მიმართ დავის აღძვრას და ყოველთვის მიმართულია ვინმეს წინააღმდეგ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისთვის, რომ სასამართლომ სასარჩელო სამართალწარმოება დაიწყო აუცილებელია, არსებობდეს დავა პირებს შორის.

მხარეები სამოქალაქო პროცესში ეწოდებათ იმ პირებს, რომელთა შორის წამოჭრილი დავა უფლების შესახებ (მატერიალურ-სამართლებრივი დავა) უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. მხარე არის პირი, რომლის სახელითაც წარმოებს საქმე სასამართლოში და რომელიც დაინტერესებულია საქმის ბედით. ამიტომ მხარედ არ ითვლება მოსამართლე, მოწმე, სპეციალისტი, თარჯიმანი ან ექსპერტი.

მხარე სასარჩელო წარმოების ძირითადი მონაწილეა. მხარე ორია პროცესში, რამეთუ დავა უფლების შესახებ უსათუოდ გულისხმობს ორ მხარეს: ერთი - ვინც დაიწყო საქმე, ვინც აღძრა მოთხოვნა, მეორეა - ვის წინააღმდეგაც არის წამოყენებული მოთხოვნა, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. პირველს ეწოდება **მოსარჩელე**, მეორეს — **მოპასუხე**. ორივე ერთად მოიხსენება, როგორც **მხარეები (მოდავეები)**.

მოსარჩელე პროცესის მონაწილეა, რომელიც მოითხოვს რაიმეს მიკუთვნებას, რაიმე უფლების ცნობას, მოპასუხისათვის რაიმე ქმედების აკრძალვას. სასარჩელო წარმოება ვერ აღიძვრება, თუ მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში არ დაასახელებს მოპასუხესაც. სამოქალაქო პროცესში მოსარჩელე უნდა მივიჩნიოთ აქტიურ მხარედ იმდენად, რამდენადაც სწორედ ის აღძრავს საქმეს თავისი უფლებების (კანონიერი ინტერესების) დასაცავად.

მოპასუხე ეს არის პირი, რომელიც სამოქალაქო სასარჩელო წარმოებისას იცავს თავს მოსარჩელისაგან და პასუხს სცემს სარჩელსა და მასში გამოთქმულ მოსაზრებებს. სარჩელის აღძვრის მიზეზი ხშირად თავად მოპასუხის მოქმედება ან უმოქმედობაა (მაგალითად, მოპასუხემ არ დაუფარა მოსარჩელეს დროულად ვალი). არსებობს ცალკეული შემთხვევები, როცა მოპასუხემ შესაძლოა თავად არც დაარღვიოს თავისი ქმედებით მოსარჩელის უფლებები და ინტერესები, მაგრამ ობიექტურად გახდეს სადავო მატერიალური სამართალურითიერთობის სუბიექტი (მაგალითად, მომეტებული საფრთხის წყაროს მესაკუთრე). სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოპასუხე შესაძლოა მივიჩნიოთ პასიურ მხარედ.


სასარჩელო წარმოებისას გვხვდებიან პირები, რომლებიც, ასევე, დაინტერესებულნი არიან საქმის წარმოებით და საქმის შედეგი მათ უფლებებსა და მოვალეობებზე არსებით გავლენას ახდენს ან რომლებიც თავად აცხადებენ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე. ასეთი პირები მესამე პირებად იწოდებიან.

**კითხვა :**  
ვინ არის მოსარჩელე?

**კითხვა :**  
ვინ არის მოპასუხე?



სასამართლო პროცესის  
მოწინააღმდეგე



**შესაგებელი, შეგებებული სარჩელი.** მოპასუხის პასუხს, მოსარჩელის სარჩელს თანდართულ დოკუმენტაციაზე, წარდგენილს კანონით დადგენილ ვადაში, შეპასუხება, ანუ შესაგებელი ეწოდება. შესაგებელი დგება კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვით.

სარჩელში მოყვანილ ყველა ფაქტობრივ გარემოებასა და სამართლებრივ არგუმენტაციას მოპასუხემ სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა უპასუხოს.

შეგებებული სარჩელი აღიძვრება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით. მათ შორის, სათანადო ფორმის დაცვით და სარჩელისათვის აუცილებელი ყველა რეკვიზიტით. მისი წარდგენა შესაძლებელია თუკი:

1. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად (მაგალითად, მოსარჩელის მიმართ მოპასუხეს აქვს დავალიანება, მაგრამ იმავდროულად მოსარჩელის მამკვიდრებელს მოპასუხის ვალი გააჩნდა, რომელიც ახლა მოსარჩელემ უნდა დაუფაროს მოპასუხეს);
2. შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოირიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;
3. შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

სარჩელისა და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს ერთობლივი გადაწყვეტილება გამოაქვს.

**საქმისწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში (მოსამზადებელი და მთავარი სხდომა).** სასარჩელო წარმოების დროს, სასამართლო საქმეს თავდაპირველად განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოში. სარჩელის კანონის ნორმათა შესაბამისად მიღების შემდგომ, კანონით დადგენილ ვადებში, მოსარჩელე (ან რიგ შემთხვევებში სასამართლო) ვალდებულია, სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია მოპასუხეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ჩააბაროს.

შესაგებლისა და მასზე თანდართული საქმის მასალების მოპასუხის მიერ წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, სადაც მხარეებს შეუძლიათ მორიგდნენ, წარადგინონ ახალი მტკიცებულებანი, მოსაზრებები, ფაქტები, შეცვალონ სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საფუძველი, გაზარდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნა და ა.შ.

თუ მხარეები ვერ მორიგდებიან, დაინიშნება მთავარი სხდომა. სწორედ მთავარ სხდომაზე განიხილება საქმე არსებითად და ცხადდება გადაწყვეტილება.

სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსი  
სასამართლო  
დადგენილებებს  
ორ სახედ ჰყოფს:  
1. სასამართლოს  
გადანყვეტილება  
— სასამართლოს  
დადგენილება,  
რომლითაც საქმე  
არსებითად წყდება  
და 2. განჩინება  
— სასამართლოს  
დადგენილება,  
რომლითაც საქმე  
არსებითად არ წყდება.

შინაარსობრივად  
სასამართლო  
გადანყვეტილება ოთხი  
ნაწილისაგან შედგება,  
რომლებიც მკაცრი  
თანმიმდევრობით  
არის ჩამოყალიბებული  
საპროცესო კოდექსში.  
ესენია: შესავალი,  
აღწერილობითი,  
სამოტივაციო და  
სარეზოლუციო  
ნაწილები

მთავარ სხდომაზე მხარეები აძლევენ სასამართლოს ახსნა-განმარტებებს. სვამენ და პასუხობენ კითხვებს, აქვთ უფლება გამოთქვან თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები. ასევე, საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს პროცესში მოსამართლე. მას შეუძლია ნებისმიერ დროს დაუსვას მხარეებს კითხვები, მოსთხოვოს მათ დამატებითი მტკიცებულებები, მოუწოდოს წესრიგის დაცვისაკენ და ა.შ. ყოველი მხარე ცდილობს მოსამართლე თავისი პოზიციის სიმართლეში დაარწმუნოს.

**გადანყვეტილების მიღება (გამოტანა) და მისი გამოცხადება.** სასამართლოს გადანყვეტილება საქართველოს სახელთ გამოაქვს. ის მიიღება კანონით დადგენილი წესით და ცხადდება სასამართლო სხდომის დარბაზში, ღია სხდომაზე.

გადანყვეტილებას პროცესის ყველა მონაწილე და დამსწრე საზოგადოება ისმენს ფეხზე წამომდგარი.

**სასამართლო გადანყვეტილება.** სასამართლოს დადგენილება წერილობითი სახით გაფორმებული სასამართლოს (მოსამართლის) სამოქალაქო-საპროცესო აქტი-დოკუმენტია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო-მბრძანებლურ, ინდივიდუალურ-კონკრეტულ მითითებას (მსჯელობას) სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტებისა და სამართალური თეროების შესახებ.

**აპელაცია.** სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრება მხარეთა უფლებაა და ის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სამართალწარმოების ფუნდამენტი და ბაზისია.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში ქართული საპროცესო კანონმდებლობა იცნობს სასამართლოთა შემდგომ იერარქიას: რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება მხარეებმა, მათმა წარმომადგენელმა ან მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, კანონით დადგენილ ვადებში, შეიძლება გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოებს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ყოფს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სააპელაციო სასამართლოებად. ამიტომ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, დასავლეთ საქართველოში მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადანყვეტილებები საჩივრდება სააპელაციო წესით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადანყვეტილებები — თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოში გამოიყენება სამართალწარმოების ზოგადი წესები, თუკი კონკრეტულად სააპელაციო სასამართლოსათვის არ არის რაიმე სპეციალურად დაწესებული მოთხოვნები. მაგალითად: ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, აქაც კანონით დადგენილი ფორმითა და წესებით ივსება სააპელაციო საჩივრისა და სააპელაციო შესაგებლის ფორმები.

**კასაცია.** სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების ვადა შეადგენს ოცდაერთ დღეს, მხარისათვის დასაბუთებული სააპელაციო გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

განსხვავებით სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებისაგან, საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანა კანონით გარკვეულწილად გართულებული და გამკაცრებულია.

საკასაციო სასამართლოში საქმე განიხილება კოლეგიური შემადგენლობით სამი მოსამართლის მონაწილეობით.

საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში სამართალწარმოებისათვის გარდა სპეციალური გამონაკლისებისა.


**ბაჟი.** სამოქალაქო საქმეებზე მოსარჩელეს, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში საქმის აღძვრისას, შეაქვს კანონით განსაზღვრული ოდენობის თანხა (ბაჟი), რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონით “სახელმწიფო ბაჟის შესახებ”.

**15. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება**

**ზოგადი დებულებანი (კანონის გამოყენების სფერო, აღსრულების ქვემდებარე აქტი).** იმისთვის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ჰქონდეს ძალა და მან შეინარჩუნოს მოქალაქეთა ნდობა, აუცილებელია არსებობდეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების სამართლებრივი მექანიზმები. შესაბამისად, კანონმდებლობით რეგულირებული და განმტკიცებულია აღსრულების მექანიზმები, ორგანოები, რომლებსაც აქვთ უფლება განახორციელონ აღსრულება და სხვა საკითხები. გადაწყვეტილებათა აღსრულება არ შეიძლება იყოს თვითნებობაზე მიშვებული და ის აუცილებლად კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა წარიმართოს.

**აღსრულების ორგანოები (აღსრულების პოლიცია, კერძო აღმასრულებელი).** ბუნებრივია, თუ მხარე სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში ნებაყოფლობით არ ასრულებს სასამართლო აქტს, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს იძულებით აღსრულება. იძულებით აღსრულება არ უნდა აგვერიოს თვითნებობაში. განსხვავებით თვითნებობისაგან, იძულებით აღსრულება რეგლამენტირებულია საკანონმდებლო დონეზე და ის არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

**იძულებითი აღსრულება** — ეს არის კანონით დადგენილი წესების დაცვით მხა-



რის იძულება, შეასრულოს აღსრულებას დაქვემდებარებული აქტი. ამ პროცესს აუცილებლად ესაჭიროება თანამდებობის პირი, რომელიც განახორციელებს იძულებით აღსრულებას.



ალსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. აგრეთვე, იუსტიციის მინისტრი ამტკიცებს ამ ორგანოს დებულებას და განსაზღვრავს მისი საქმიანობის კონკრეტულ სახეს და მიზნების განხორციელების წესს.

ალსრულების ეროვნულ ბიუროს გააჩნია სტრუქტურული ერთეულები და ტერიტორიული ორგანოები — საალსრულებო ბიუროები. მათ სისტემასა და სტრუქტურული ერთეულების სისტემას განსაზღვრავს ბიუროს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

ალსრულების პოლიცია — ეს არის ალსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეული, რომლის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ალსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

ალსრულების პოლიციელი - ეს არის თანამდებობის პირი, რომელიც სარგებლობს შესაბამისი სოციალური შეღავათებით, ვალდებულია ატაროს შესაბამისი ფორმა, ატრიბუტიკა და უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გამოიყენოს სხვადასხვა იარაღი (მათ შორის ცეცხლსასროლი) და ორთაბრძოლის წესები.

ამიტომაც კანონი ითვალისწინებს ალსრულებაზე პასუხისმგებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - “ალსრულების ეროვნულ ბიუროს”, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შედის.

**კერძო აღმასრულებელი.** საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე, ითვალისწინებს კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტს.

**საალსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები.** საალსრულებო წარმოებაში მონაწილეობენ:

- ა. კრედიტორი და მოვალე. კრედიტორი - პირი, რომლის მიმართაც უნდა შესრულდეს ვალდებულება. მოვალე - პირი, რომელმაც ეს ვალდებულება უნდა შეასრულოს. ისინი შესაძლოა იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები;
- ბ. აღმასრულებელი;
- გ. კერძო აღმასრულებელი;
- დ. სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ საალსრულებო წარმოების პროცესში.

**ალსრულება (საალსრულებლო ფურცელი, რეკვიზიტები, ალსრულების დაწყება, ეტაპები).** იმისთვის, რომ დაიწყოს საალსრულებო პროცესი, აუცილებელია არსებობდეს საალსრულებო ფურცელი. იგი გაიცემა იმ გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება ალსრულებას. წარედგინება საალსრულებო ბიუროს (კერძო აღმასრულებელს) აუცილებლად ორიგინალი დოკუმენტის სახით, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

ეს არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას — საალსრულებო საქმიანობას ახორციელებს, ალსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საალსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კერძო აღმასრულებელი განხორციელებული მომსახურებისათვის იღებს საზღაურს.



**აღსრულების დაწყება.** აღსრულება იწყება კრედიტორის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც წარადგენს სააღსრულებო ფურცელს. სააღსრულებო ფურცელი და/ან აღსასრულებელი გადაწყვეტილება, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარედგინება მოვალის ან მისი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნული განცხადების საფუძველზე აღმასრულებელი მოვალეს მიმართავს და მოითხოვს ინფორმაციას მისი კუთვნილი ქონების ჩამონათვალის შესახებ და ასევე, შესთავაზებს აღსასრულოს ვალდებულება საკუთარი ნებით. ეს დაზოგავს დროსა და ხარჯებს (რომელთა ანაზღაურებაც იძულების შემთხვევაში მოვალეს მოუწევს). პარალელურად, აღმასრულებელი საკუთარი ძალებით ცდილობს მოვალის ქონების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და თუ გაირკვევა, რომ მოვალეს რაიმე ქონება გააჩნია, მას აუცილებლად დააყადაღებს. დაყადაღებული ქონება გაიყიდება აუქციონზე, თუ მოვალე არ მოახდენს დავალიანების ნებაყოფლობით დაფარვას.

კანონი ადგენს არა მარტო ფულადი გადახდევინების აღსრულების წესს, არამედ სხვა ნებისმიერ აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნის შესრულების წესსაც. მაგალითად, მოძრავი ნივთის გადაცემის ვალდებულების, უკანონო მშენებლობის შეჩერების, დემონტაჟისა და სხვა სამართლებრივი მოთხოვნების შესრულების წესებსა და რეგულაციებს.





## შრომითი ურთიერთობები

### 1. სწავა და კანონის მოქმედების სფერო (საქართველოს "შრომის კოდექსი")

შრომით და მისგან წარმოშობილ სამართალურთიერთობებს შრომის კანონმდებლობა არეგულირებს. ის შეეხება და მოიცავს როგორც დამსაქმებლის, ასევე, დასაქმებულის ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, შრომითი ურთიერთობების სხვა ძირითად სამართლებრივ საკითხებს. სუბიექტებად გვევლინებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც პირობითად დასაქმებულებად და დამსაქმებლებად შეიძლება დავყოთ. ობიექტი კი შრომითი მოვალეობის შესრულებაა შეთანხმებული გასამრჯელოს სანაცვლოდ.

საქართველოში შრომითი ურთიერთობების ძირითადი მარეგულირებელი აქტი "საქართველოს შრომის კოდექსია". სამართალურთიერთობანი, რომლებიც არ რეგულირდებიან ამ კანონით, მაგრამ გამომდინარეობს შრომითი სამართალურთიერთობიდან, უნდა დარეგულირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, კონსტიტუციით ან საერთაშორისო შეთანხმებით. იმავდროულად, თუ რაიმე ტიპის შრომით ხელშეკრულებას სპეციალური კანონი ანესრიგებს, მის დებულებებს შრომის კოდექსთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია (მაგალითად, შრომითი ურთიერთობანი საჯარო სამსახურში რეგულირდება კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ").

**შრომითი ურთიერთობა.** ეს არის დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. შრომითი ურთიერთობებისას დასაქმებული სამუშაოს ასრულებს დამსაქმებლის მიერ დადგენილი და უზრუნველყოფილი შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში. კერძოდ, ჰყავს ხელმძღვანელი, ვის უშუალო მითითებებსაც ასრულებს, აქვს დანესებული სავალდებულო სამუშაო დრო, შეუძლია ისარგებლოს შევებულებითა და დასვენების დღეებით, ვალდებულია, დაიცვას შინაგანანესი და ა.შ. დასაქმებულს ანაზღაურება მიეცემა მიუხედავად საბოლოო პროდუქტის ხარისხისა.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და განმტკიცებულია შრომითი საქმიანობისა და პროფესიის არჩევის თავისუფლება და აკრძალულია იძულებითი შრომა.

შრომით ურთიერთობაში მხარეები სარგებლობენ თანაბარუფლებიანობით. დამსაქმებელსაც და დასაქმებულსაც კანონი თანაბარ პირობებში აყენებს. ისინი თანაბრად არიან ვალდებული, დაიცვან ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, თანაბრად არიან პასუხისმგებელი თავიანთი ქმედებებზე.

შრომით ურთიერთობებში დაუშვებელია ყოველგვარი **დისკრიმინაცია**. დაუშვებელია პირის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა რაიმე შეხედულებების გამო.

იმავდროულად, პირთა განსხვავება, რომელიც ხორციელდება სამუშაოს არსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, აგრეთვე, თუ ის ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას, არ ჩაითვლება დისკრიმინაციად და მიიჩნევა კანონშესაბამის ქმედებად. მაგალითად, თუკი დამსაქმებელი უპირატესობას მიანიჭებს მეტი გამოცდილების, უკეთესი კვალიფიკაციისა და ცოდნის მქონე პირს, შედარებით ნაკლები გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონესთან ეს დისკრიმინაციად არ ჩაითვლება.

დისკრიმინაციის შემთხვევა	ოზიეტური შეფასების კრიტერიუმები
კანის ფერი	განათლება
რელიგიური შეხედულებანი	სტაჟი
პოლიტიკური შეხედულებანი	დისციპლინა
სქესი	კომპეტენტურობა
სოციალური კუთვნილება	უნარ-ჩვევები (კომუნიკაბელურობა, თავაზიანობა და ა.შ.)
კუთხური წარმომავლობა	შრომის ნაყოფიერება

**სუბიექტები.** ისევე, როგორც ყველა სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომით სამართალურთიერთობებსაც თავისი სუბიექტები ჰყავს. ესენია: დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება (მაგალითად, პროფკავშირი).

დამსაქმებელი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომელიც შესაძლოა არ არსებობდეს რეგისტრირებული იურიდიული პირის სახით და რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.

დასაქმებული შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები კი არიან დასაქმებულთა გაერთიანება და დამსაქმებელი.

**ასაკი.** შრომითი ქმედუნარიანობა ფიზიკური პირისათვის წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე პირს შრომითი ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ

მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მზრუნველი) თანხმობით. გარდა ამისა, ცალკეული ტიპის შრომით ხელშეკრულებებზე დაწესებულია შეზღუდვები. კერძოდ, შრომითი ურთიერთობა:

- არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არასრულწლოვნის ინტერესებს;
- არ უნდა აყენებდეს ზიანს არასრულწლოვნის ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას;
- არ უნდა უზღუდავდეს არასრულწლოვანს სავალდებულო დაწყებით და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.

შრომის ხელშეკრულება, შესაძლოა, დაიდოს 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვან-თანაც. ამ შემთხვევაში კი შეზღუდვათა კატეგორია იზრდება და დამატებით შეზღუდვად განსაზღვრულია, რომ 14 წლამდე არასრულწლოვანი სამუშაოდ შეიძლება აყვანილ იქნეს მხოლოდ სპორტულ, სახელოვნებო და კულტურის სფეროში დასა-საქმებლად, ასევე, სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

## 2. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცე- ლა.

გარკვეული ვალდებულებანი კონტრაქტებს შორის (დამსაქმებელი და დასაქმე-  
ბული) იჩენს თავს, როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე წინასახელშეკრულე-  
ბო (ანუ დასასაქმებლის შერჩევის) სტადიაზე. აღნიშნული ვალდებულებანი მოქ-  
მედებს მიუხედავად იმისა, დაიდო თუ არა საბოლოო შრომითი ხელშეკრულება.  
ასეთ ვალდებულებებს განეკუთვნებიან:

- დისკრიმინაციის აკრძალვა (უკვე განვიხილეთ),
- ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და
- მიღებული ინფორმაციის დაფარვის ვალდებულება.

ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფარგლებში, დამსაქმებელი უფლებამოსილია მოითხოვოს კანდიდატისაგან ყველა საჭირო ინფორმაცია, ის დასაქმების თაობა-  
ზე გადანიშნულებების მისაღებად. მათ შორის კანდიდატის კვალიფიკაციის, გამოც-  
დილებების, განათლების, ასაკის შესახებ, მუშაობს თუ არა ის პარალელურად სხვა  
სამუშაო ადგილას და ა.შ., კანდიდატი კი ვალდებულია, მიანოდოს დამსაქმებელს  
სრული და ობიექტური ინფორმაცია. ის ვალდებულია, აცნობოს დამსაქმებელს  
ყველა იმ გარემოების შესახებ, რამაც შეი-  
ძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს  
შესრულებაში, აგრეთვე, საფრთხე  
შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე  
პირის ინტერესებს. დამსაქმებე-  
ლი უფლებამოსილია არა მხო-  
ლოდ მიიღოს კანდიდატისაგან  
ზემოაღნიშნული ინფორმაცია,  
არამედ გადაამოწმოს მიღებული  
ცნობების სისწორე.

თავის მხრივ, კანდიდატსაც  
გააჩნია იგივე უფლებამოსილე-  
ბანი. კერძოდ, მას შეუძლია  
მიიღოს სრული ინფორმაცია შეს-  
ასრულებელი სამუშაოს, შრომის  
პირობების, შრომითი ურთიერთო-  
ბისას მისი უფლებრივი მდგომარე-  
ობის, თანამდებობის, შრომის ანაზ-  
ლაურების, სამუშაოს ადგილის და  
სხვა გარემოებათა შესახებ.



რაც შეეხება ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას, აქაც ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო კანონმდებლობასთან და აღნიშნულ სფეროში მოქმედ ნორმატიულ აქტებთან. თვალსაჩინოებისათვის განვმარტავთ, რომ დამსაქმებელს უფლება არა აქვს კანდიდატის შესახებ მიღებული ინფორმაცია, მათ შორის თავად კანდიდატის მიერ მისთვის გადაცემული ფაქტები, ცნობილი და ხელმისაწვდომი გახადოს სხვა პირთათვის, თავად კანდიდატის თანხმობის გარეშე. მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ათავისუფლებს დამსაქმებელს ამ ვალდებულებებისაგან. ასეთი შემთხვევებია საგამოძიებო, სასამართლო, საგადასახადო და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიმართვა ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.

დამსაქმებლის მიერ დასაქმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კანდიდატს უფლება აქვს, გამოითხოვოს წარდგენილი დოკუმენტაცია უკან, ხოლო დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს საკუთარი უარი დასაქმებაზე.

### 3. შრომის ხელშეკრულება

**შრომის ხელშეკრულება.** ეს არის ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის დაწყებისა და მის უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე. მისი ფორმა კანონით განსაზღვრული არ არის. ის შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ასევე - ზეპირად. რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, შრომით ურთიერთობად მოიაზრება მომსახურების განევა გარკვეული დროის განმავლობაში მეორე მხარისათვის, ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაში გარკვეული გასამრჯელოს საფასურად. თუ მხარეთა შორის ხელშეკრულება წერილობითი სახით გაფორმდა, აუცილებელია, ის დაიდოს ორივე მხარისათვის გასაგებ ენაზე. იმავდროულად, თუკი შრომის ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, აუცილებელია მითითება იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე დადებულ შეთანხმებას ენიჭება უპირატესი ძალა განსხვავების შემთხვევაში.

დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების და შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის შესახებ. იმდენად, რამდენადაც მოქმედი კანონი არ ცნობს შრომის წიგნაკს, რომელიც წარმოადგენდა დასაქმებულის ერთგვარ არქივს მის მიერ საქმიანობის განხორციელების, სტაჟისა და ხანგრძლივობის შესახებ, ამიტომ ახალი კანონით განისაზღვრა ცნობის გაცემის ვალდებულება. ასეთი ცნობა შესაძლოა დასაქმებულს მოსთხოვოს ნებისმიერმა ახალმა დამსაქმებელმა.

### 4. სამუშაოს შესრულება

**სამუშაოს შესრულება (პირადად შესრულების მოვალეობა, დამსაქმებლის მითითების უფლება, მივლინება, შინაგანაწესი).** შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი განსხვავება სხვა ვალდებულებით სამართლებრივი გარიგებებისაგან გახლავთ ის, რომ სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ სამართალურთიერთობაში. დამსაქმებლის ყველაზე დიდი მოტივატორი შრომის ხელშეკრულების გაფორმებისას, დასაქმებულის პირადი თვისებებია. მისი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი გადაწყვეტ როლს ასრულებს. ამიტომაც კანონმდებლობით პირდაპირ და უპირობოდ განისაზღვრა, რომ დასაქმებული ვალდებულია, პირადად შეასრულოს სამუშაო. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, დასაქმებულის შვებულებაში გასვლა ან დროებით შრომისუუნარობა) დაიშვება განსაზღვრული ვადით მესამე პირის აყვანა სამუშაოზე და ისიც მაშინ, როცა ორივე მხარე (დასაქმებული და დამსაქმებელი) ამაზე თანახმაა.

**დასაქმებულს შეუძლია უარი თქვას დამსაქმებლის მოთხოვნაზე შეასრულოს ქმედებანი, რომელიც:**

- ეწინააღმდეგება კანონს;
- აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან სხვა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.

**უარის შემთხვევაში დასაქმებულმა უნდა აცნობოს დამსაქმებელს იმ მიზეზთა შესახებ, რის გამოც აცხადებს უარს მუშაობაზე.**

**შრომის შინაგანანესი.** ეს არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება დეტალურად და დაწვრილებით განისაზღვროს რიგი საკითხებისა.

**სამუშაოს, შესვენებისა და დასვენების დრო.** თუ ხელშეკრულებით ან შინაგანანესით აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის მონესრიგებული, დასაქმებულის მიერ კვირის განმავლობაში ნამუშევარი საათები არ უნდა აღემატებოდეს **40 საათს**. სამუშაო დღეებს შორის შუალედი არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის მოზარდების სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში **36 საათით**, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის კი - **24 საათით**.

დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება, შინაგანანესით დაწესებული სამუშაო დროის (ან კვირაში 40 საათის) გადამეტებით, აგრეთვე, უქმე დღეებში, ითვლება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ. დასაქმებული ვალდებულია, შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო მხოლოდ სტიქიური უბედურების ან სანარმოო ავარიის შემთხვევაში და მათი შედეგების ლიკვიდაციისას. ამასთან, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე დასაქმებულს სტიქიური უბედურების შემთხვევაში ევალება. კანონი არ ადგენს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მინიმალურ სტანდარტს — მხარეებმა ამის შესახებ თავად უნდა მოილაპარაკონ.

**შვებულება.** მუშაობის 11 თვის შემდეგ, დასაქმებულს წარმოეშობა შვებულების მოთხოვნის უფლება. კერძოდ, მას აქვს უფლება ისარგებლოს წელიწადში, სულ ცოტა, 24 სამუშაო დღის ტოლი ანაზღაურებადი შვებულებით და 15 კალენდარული დღის ტოლი ანაზღაურების გარეშე შვებულებით.

ამას გარდა, დასაქმებულს აქვს დამატებითი შვებულების მოთხოვნის უფლება კანონით და/ან შრომის ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებშიც.

**კოლექტიური შრომითი ურთიერთობა.** კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება იდება ორ ან მეტ დასაქმებულს ანუ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის. ასეთი ტიპის ხელშეკრულება ეფუძნება იგივე პრინციპებს, რომლებსაც ინდივიდუალური ხელშეკრულება ეფუძნება. დაუშვებელია მისი დადების ან პირობების შეცვლის დროს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩარევა.

კოლექტიური ხელშეკრულების დადებისას, მოშლის ან პირობების შეცვლისას, დასაქმებულთა გაერთიანებას, წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, იცავს და წარმოადგენს წარმომადგენელი. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს დასაქმებულთა სახელითა და მათი ინტერესების შესაბამისად.

შრომის შინაგანანესით შესაძლებელია განისაზღვროს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო; დასვენების ხანგრძლივობა; ანაზღაურების გაცემის დრო, წესი და ადგილი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები. მათ შორის დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელი; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. დამატებითი სპეციალური წესები.



კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებისათვის, კანონი ითვალისწინებს სავალდებულო ფორმას. კერძოდ, ის უნდა დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ამასთან, არც დასაქმებული და არც დამსაქმებელი არ იზღუდებიან დადონ ინდივიდუალური და/ან რამდენიმე კოლექტიური ხელშეკრულება. თუ კოლექტიური ხელშეკრულება რომელიმე მხარის მიერ უქმდება, შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება. თუკი კოლექტიური ხელშეკრულების ხელმომწერი რომელიმე დასაქმებული შეწყვეტს შრომით სამართალურთიერთობას დამსაქმებელთან, ეს არ გამოიწვევს სხვა დასაქმებულებთან შრომის ურთიერთობის ავტომატურ შეწყვეტას.

**პასუხისმგებლობა და დავა.** შრომითი ურთიერთობისას ერთი მხარის მიერ კონტრაჰენტისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო წესით, გამომდინარე ვალდებულებითი სამოქალაქო-სამართლებრივი დანაწესებიდან.

თუ დასაქმებულს მიაჩნია, რომ შრომით ურთიერთობაში ირღვევა მისი უფლებები ან თავისუფლებები ან არ სრულდება შრომითი ურთიერთობის პირობები, დავის გადასაწყვეტად მას შეუძლია ანარმოს ინდივიდუალური მოლაპარაკება დამსაქმებელთან. ასევე მას შეუძლია გამოიყენოს შიდა შემათანხმებელი პროცედურა (წერილობითი მიმონერა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, რომლის შედეგად მიღწეული შეთანხმება შრომითი ხელშეკრულების ნაწილი ხდება) ან მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს.

თავისი ინტერესების დასაცავად დასაქმებულს აქვს, აგრეთვე, **გაფიცვის უფლება**, თუმცა მისი განხორციელებისას უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წესები.

თუ გაფიცვა კანონით დადგენილი წესების დაცვით განხორციელდება, დამსაქმებელი ვერ გაათავისუფლებს გაფიცულს (თუმცა შეუძლია უშუშევიარი დღეები არ აანაზღაუროს). წესების დარღვევით ჩატარებული გაფიცვა უკანონო გაფიცვად ითვლება და დამსაქმებელს უფლებას აძლევს განყვიტოს შრომითი ხელშეკრულება გაფიცულებთან.

თავის მხრივ, დამსაქმებელს გააჩნია **ლოკაუტის უფლება**. (ლოკაუტი დავის შემთხვევაში, დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე).



# სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიული პირები

## 1. იურიდიული პირის წნევა, სახეები

განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილ საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებულ წარმონაქმნს იურიდიული პირი ეწოდება. ის თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და თავისი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ. ის შეიძლება იყოს წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს სამენარმეო საქმიანობას. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონის შესაბამისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციისთანავე. **იურიდიული პირის იურიდიულ მისამართად (ადგილსამყოფელად) ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). სხვა ნებისმიერი ადგილსამყოფელი კი ფილიალის ადგილსამყოფლად ჩაითვლება.**

კანონი იცნობს კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. კერძო სამართლის იურიდიული პირები იყოფა არასამენარმეო (არაკომერციულ) და სამენარმეო იურიდიულ პირებად. მათი რეგისტრაციისა და საქმიანობის სამართლებრივი საკითხები განსხვავებულად რეგულირდება, რაზეც ვისაუბრებთ მოგვიანებით.

კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამენარმეო საქმიანობის განხორციელება, რეგისტრირდება და მისი საქმიანობა, აგრეთვე, ფილიალების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა მონესრიგდეს საქართველოს კანონით “მენარმეთა შესახებ”. ხოლო იურიდიული პირი, რომელიც არ მისდევს სამენარმეო საქმიანობას, რეგისტრირდება და წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და იწოდება არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად (ა.ა.ი.პ.). კერძო სამართლის იურიდიული პირები (სამენარმეოც და არასამენარმეოც) უფლებამოსილი არიან განახორციელონ კანონით პირდაპირ აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის წესდებით პირდაპირ განსაზღვრული.

სამენარმეო	არასამენარმეო (არაკომერციული)
შ.პ.ს.; ს.ს.: სპს.: კს.; კოოპერატივი	არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
მისდევს სამენარმეო საქმიანობას, მთავარი მიზანია მოგების მიღება	არ მისდევს სამენარმეო საქმიანობას (ეს შესაძლოა იყოს მხოლოდ დამხმარე საქმიანობა) და მთავარი მიზანია საზოგადოებრივი აქტივობა
რეგისტრირდება კანონით დადგენილი წესით	რეგისტრირდება კანონით დადგენილი წესით
ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონება იყოფა დამფუძნებლებზე	ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონება ხმარდება ან სანესდებო მიზნებს ან იმ არასამენარმეო იურიდიულ პირებს გადაეცემათ, ვისაც მსგავსი სანესდებო მიზნები გააჩნიათ
წილი შესაძლოა გასხვისდეს	წევრობა არ შეიძლება გასხვისდეს

იმავედროულად, ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება, რომელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს კანონი, კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ჯერ უნდა გაიაროს რეგისტრაცია კანონით გათვალისწინებული წესით, შემდეგ კი მოიპოვოს ლიცენზია/ნებართვა ან ავტორიზაცია სპეციალური იურიდიული პროცედურების დაცვით.

## 2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (რებისტრასია, სვლილზის რებისტრასია)

საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი ბაზა არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2006 წლის ცვლილებების შემდეგ იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც არასამენარმეო საქმიანობას ეწევიან, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ეწოდათ. გაუქმდა ამ პირების დაყოფა კავშირებად და ფონდებად, როგორც ეს ცვლილებებამდე ხდებოდა. აიკრძალა ერთი და იმავე სახელწოდების არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაცია. ამრიგად, პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ პირს, რომელიც სხვისი სახელით ისარგებლებს.

**არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი** არ არის მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია და ეწევა არასამენარმეო საქმიანობას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას უფლება აქვს, ეწეოდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, რომელიც ეხმარება წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებაში და რომლისგანაც მიღებული მოგების განაწილება დაუშვებელია დამფუძნებლებს, ხელმძღვანელებსა და შემომწირველებს შორის. ასეთი მოგება უნდა მოხმარდეს არასამენარმეო იურიდიული პირის მიზნებსა და მათ რეალიზაციას. თუ არასამენარმეო იურიდიული პირი დამხმარე სამენარმეო საქმიანობიდან არსებითად გადავა სამენარმეო საქმიანობაზე, ანუ მისი მიზანი გახდება მოგების მიღება და მისი გაყოფა, მაშინ რეგისტრაციაში გამტარებელი ორგანოს (საჯარო რეესტრის)ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას არასამენარმეო იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან მისი აკრძალვის შესახებ.

არასამენარმეო იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, არამედ წარმომადგენს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ არსებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის განცალკევებულ ქვედანაყოფს და არის (სრულად ან ნაწილობრივ) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და/ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

არასამენარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი და წარმომადგენელი მესამე პირებთან შესაძლოა იყოს ერთი, ორი ან რამდენიმე პირი. ამასთან, ორი ან მეტი პირის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შესახებ, აუცილებლად უნდა მიეთითოს, ისინი მოქმედებენ ერთობლივად, თუ თითოეული მათგანი ორგანიზაციას წარმომადგენს სრულად და შეუზღუდავად.

სამოქალაქო კოდექსი, ასევე, ანესრიგებს ასეთი იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების წესსა და შესაძლებლობას. კერძოდ, ასეთ იურიდიულ პირს შეუძლია თავის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება, თუ გასხვისება ემსახურება არასამენარმეო იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას, ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

### 3. არარეგისტრირებული კავშირი (ბაერთიანება)

ეს არის გაერთიანება, რომელიც დამოკიდებულია წევრთა ურთიერთშეთანხმებასა და მონაწილეობაზე და მას შეიძლება გააჩნდეს საკუთარი ქონება და სამოქალაქო სამართალურთიერთობაში მონაწილეობდეს საკუთარი სახელით. აგრეთვე, მის ვალდებულებებზე პასუხს აგებენ ის პირებიც, რომლებიც პერსონალურად მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით. მაგალითად, ბინათმშენებლობისა და/ან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, სტუდენტური კავშირები და სხვ., შესაძლოა არსებობდნენ არარეგისტრირებული კავშირის სახით.

### 4. სამენარმეო იურიდიული პირები

სამენარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაციას, საქმიანობას, სახეებს, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებს და სხვა სამართლებრივ ასპექტებს აწესრიგებს და განსაზღვრავს საქართველოს კანონი “მენარმეთა შესახებ”.

სანამ კონკრეტულად აღნიშნულ კანონს განვიხილავთ, გადავავლოთ თვალი იმ საკითხებს, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ და რაც ძირითადად ორ საკითხად იყოფა: 1. ეს არის საკითხები, რომლებიც საერთოა ყველა სამენარმეო იურიდიული პირისათვის და წესები, რომლებიც უნდა დაიცვას ყველა სახის სამენარმეო იურიდიულმა პირმა; მათი რეგისტრაციის საერთო პრინციპები და 2. ყველა იმ იურიდიული პირის კონკრეტული განხილვა და მოკლე დახასიათება, რომელთა სახეებსაც და მუშაობის პრინციპებს აწესრიგებს ზემოაღნიშნული კანონი.

მამ ასე, დავიწყეთ სამენარმეო იურიდიული პირების საერთო პრინციპების განხილვა:

**სამენარმეო საქმიანობა. სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც მოგების მიღების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად ხორციელდება.**

სამენარმეო საქმიანობის მართლზომიერებაში იგულისხმება, რომ ქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი სამართლის ნორმებს. როგორც წესი, ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ კანონით არის აკრძალული (მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერებებით ან იარაღით ვაჭრობა) ან ასეთი საქმიანობისათვის საჭიროა სახელმწიფოს ნებართვა (მაგალითად, ლიცენზია წიაღისეულის მოპოვებაზე).

სამენარმეო საქმიანობის არაერთჯერადობა ნიშნავს, რომ მოქმედებები უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად, გეგმაზომიერად და არაერთჯერადად. ის უნდა ხორციელდებოდეს პერიოდულად. მაგალითად: პირი აწარმოებს ფანქრებს გასაყიდად, მენარმე ეწევა კვების პროდუქტების იმპორტს და ა.შ.

იმისთვის, რომ ქმედება ჩაითვალოს სამენარმეო საქმიანობად, აუცილებელია მასში ფიგურირებდეს მოგების მიღების მიზანი და სურვილი. სხვა საქმეა, მიიღო პირმა მოგება თუ იზარალა. უმთავრესი აქ სუბიექტური განზრახვაა მოგების მისაღებად წარმოებული გარკვეული სამუშაოებისა. ანუ მენარმეს უნდა სურდეს მოგების მიღება და ის მიიღებს მას რეალურად თუ არა, ამას სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს.

დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ სანარმო (მისი წარმომადგენელი, დამფუძნებელი, აქციონერი) თავად იღებს გადაწყვეტილებებს საქმიანობაზე და წარმართავს მას საკუთარი განზრახვისამებრ, რა თქმა უნდა, კანონის ნორმათა დაცვით.

ორგანიზებულობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. მენარმე მოწყობილი უნდა იყოს ერთ-ერთი იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელსაც იცნობს ზემოაღნიშნული კანონი;
2. სამენარმეო იურიდიულ პირს უნდა გააჩნდეს მმართველობის ორგანოები;
3. ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სამენარმეო იურიდიული პირი რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის მიერ. მინიჭებული უნდა ჰქონდეს საიდენტიფიკაციო ნომერი და გააჩნდეს შესაბამისი სარეგისტრაციო ამონაწერი.

**კითხვა:**  
რომელ წელს იქნა მიღებული კანონი „მენარმეთა შესახებ“?

#### 4.1. სამენარმეო სუბიექტები:

**საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს და რეგისტრაციაში არ ატარებს სამენარმეო სუბიექტს, რომელიც განსხვავებულია ჩამოთვლილი ფორმებისაგან.**

სამენარმეო იურიდიულ პირს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ნესდება. აგრეთვე, აუცილებელია საწარმოს რეგისტრაციისათვის ნესდების გარკვეული ნაწილის შექმნა და ხელმოწერა (მაგალითად: სახელწოდება, იურიდიული მისამართი, პარტნიორები, მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების ნესი და ა.შ.). ხოლო რიგი სამართლებრივი პუნქტები პარტნიორებს შეუძლიათ განერონ ან უარი თქვან მათ ნესდებით მონესრიგებაზე და მათი რეგისტრაცია სავალდებულო არაა. პარტნიორთა შეთანხმება, რომლის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, შეიძლება შედგეს ნებისმიერ, მხარეთათვის ცნობილ ენაზე.

სამენარმეო საზოგადოების პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუკი ნესდებით უფლება-მოვალეობათა საკითხი სხვაგვარად არ ნესრიგდება.

სამენარმეო იურიდიული პირის მიერ მიღებული მოგება განაწილება პარტნიორებს შორის, გამომდინარე მათი წილობრივი მონაწილეობიდან, წლიური და/ან შუალედური დივიდენდების სახით. ნესდებით, შეიძლება, აღნიშნული საკითხის სხვაგვარად მონესრიგება.

რაც შეეხება ხელმძღვანელობასა და მესამე პირებთან წარმომადგენლობას, ეს რეგულირდება შემდეგნაირად:

- **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვს, ყველა პარტნიორს;**
- **კომანდიტურ საზოგადოებაში — სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს);**
- **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში — დირექტორებს.**

**საზოგადოების ნესდებით შესაძლოა აღნიშნული საკითხის სხვაგვარად მონესრიგება.**

პარტნიორთა საერთო კრებაზე ს.პ.ს.-ის თითოეულ პარტნიორსა და კ.ს.-ის თითოეულ სრულ პარტნიორს (კომპლემენტარს) აქვს თითო ხმა. კ.ს.-ის შეზღუდულ პარტნიორს (კომანდიტს) ხმის უფლება არა აქვს. შპს-ის პარტნიორთა ხმები განისაზღვრება წილების პროპორციულად.

**სამენარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამენარმეო სამართლის იურიდიული პირის წარმოშობა ხდება მას შემდეგ, რაც ის გაივლის რეგისტრაციას შესაბამისი ნესით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. რეგისტრაციის არსებობა დგინდება რეესტრიდან ამონაწერით და მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. ამონაწერი ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია და ის განთავსებულია რეესტრის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული კანონმდებლობა იცნობს სამენარმეო იურიდიული პირების კონკრეტულ ჩამონათვალს. მოკლედ დავახასიათებთ თითოეულ მათგანს.

სამენარმეო სუბიექტებად აღნიშნული კანონი მიიჩნევს:

- ინდივიდუალურ მენარმეს;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (სპს);
- კომანდიტურ საზოგადოებას (კს);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს);
- სააქციო საზოგადოებას (სს, კორპორაცია);
- კოოპერატივს;

რადგან ჩვენ განსახილველ თემას წარმოადგენს სამენარმეო იურიდიული პირები, ინდივიდუალური მენარმის დაწვრილებით განხილვას არ დავინყებთ. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ეს არის ფიზიკური პირი, რომელიც სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას ამ ფორმით რეგისტრირდება საჯარო რეესტრში (კერძოდ კი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში), იღებს შესაბამის სარეგისტრაციო მონაწილას და უფლება აქვს ამის შემდგომ ენეოდეს სამენარმეო საქმიანობას, იხდის გადასახადებს და ა.შ.

სარეგისტრაციო დაინტერესებულმა პირმა (სამენარმეო იურიდიული პირის პარტნიორმა, დირექტორმა ან მინდობილმა პირმა) საჯარო რეესტრს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სარეგისტრაციო განაცხადი (ნესდება), რომელიც წერილობითი ფორმით უნდა იყოს შედგენილი და შეიძლება დადასტურდეს სათანადო ნესით ნოტარიუსის ან საჯარო რეესტრის უფლებამოსილი მოხელის მიერ. მასში უნდა აღინიშნოს:
- სამენარმეო იურიდიული პირის ფორმა;
- იურიდიული პირის დასახელება;
- პარტნიორები, მათი ვინაობა, რეკვიზიტები;
- სანესდებო კაპიტალი (შესაბამისი ფორმის იურიდიული პირებისათვის, მაგალითად, შპს სს კოოპერატივი);
- იურიდიული ადგილსამყოფელი. უძრავი ქონების მესაკუთრის სათანადო ნესით დამონებული თანხმობა;
- მმართველი ორგანო და მისი გადაწყვეტილება - უნარიანობა;
- ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (პირები). თუ ასეთი პირი რამდენიმეა, მიეთითება თითოეულის უფლებამოსილების შესახებ;
- სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი). მოსაკრებელი შეადგენს 100 (ასი) ლარს.
- რეგისტრაციის ვადა შეადგენს ერთ სამუშაო დღეს.



**სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება** არის სამენარმეო იურიდიული პირი, სადაც ორი ან მეტი პირი ერთობლივად ეწევა სამენარმეო საქმიანობას ერთი საერთო საფირმო სახელწოდებით. თითოეული დამფუძნებელი (პარტნიორი) საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს პირდაპირ და მთელი თავისი ქონებით უშუალოდ.

ს.პ.ს. პარტნიორობაზე დამყარებული დამოკიდებული იურიდიული პირია და ამიტომ მისი რომელიმე წევრის გასვლა იწვევს საწარმოს გადახდისუუნარობას, თუ ახალი პარტნიორი არ შემოვა. ახალი პარტნიორის შემთხვევაში დაიწყება საწარმოს რეორგანიზაციის პროცესი. გასული პარტნიორის წილი სხვა დანარჩენ პარტნიორებზე ნაწილდება, ხოლო სხვა დანარჩენი პარტნიორები კი, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან გაათავისუფლონ ის საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის თანხა, რასაც იგი ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა. მაგალითად, საადვოკატო ბიურო “გობრონიძე და პარტნიორები”.

**კომანდიტური საზოგადოება** სოლიდარული პასუხისმგებლობის, მოდიფიცირებული, ნაირსახეობის მქონე სამენარმეო იურიდიული პირია, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამენარმეო საქმიანობას. ამასთან ერთი ან რამდენიმე მათგანის პასუხისმგებლობა გარკვეული საგარანტიო თანხით შემოისაზღვრება (კომანდიტები) და სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა კი შეზღუდული არ არის (კომპლემენტარები).

შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) წილი შეიძლება გასხვისდეს ან გაიცეს მემკვიდრეობით. აღნიშნულს ესაჭიროება ნოტარიული წესით დამონმებული გარიგება. განსხვავებული წესი შეიძლება დაადგინოს წესდებაში. მაგალითად, სააუდიტო კომპანია “იაკობიძე და პარტნიორები”.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** სამენარმეო იურიდიული პირია, რომელიც შექმნილია დამფუძნებელთა კაპიტალის გაერთიანების შედეგად და რომლის პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით. მისი დაარსება შეუძლია ერთ პირსაც. დამფუძნებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კაპიტალი დაყოფილია წილებად და ის მიმოქცევადი უფლებაა. იგი შეიძლება გასხვისდეს, გაიცეს მემკვიდრეობით, გაიცვალოს ან სხვაგვარად განიკარგოს. მისი მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს **პარტნიორთა საერთო კრება**. მესამე პირებთან ამ იურიდიულ პირს წარმოადგენს დირექტორი (დირექტორები), რომელიც ინიშნება და თავისუფლდება საერთო კრების მიერ. მაგალითად: შპს “გარანტია ლუქსი”, შპს “იმპერიალი” და ა.შ.

**სააქციო საზოგადოება არის** სამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. **აქცია** არამატერიალური სახელობითი ფასიანი ქაღალდი რომელიც ადასტურებს საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ. ისევე, როგორც შპს-ის, ისე სს-ის საწესდებო კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორი (დირექტორები). მოგება ნაწილდება წლიური ანგარიშისა და სამეურნეო მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგალითად: ს.ს. "თელასი", ს.ს. "თი- ბი- სი ბანკი".

**კოოპერატივი არის** სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც წევრთა შრომით საქმიანობაზეა დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შეიქმნა. მისი მთავარი მიზანია წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და არა მოგების მიღება. მაგალითად კოოპერატივის სახეებია: ნედლეულის მომპოვებელი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი, მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

კოოპერატივის წევრის მინიმალურ შენატანს **პაი** ეწოდება და მის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. ყოველ წევრს აქვს უფლება კოოპერატივიდან გავიდეს, რაც განისაზღვრება წესდებით. კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში წევრობა მემკვიდრეებზე გადადის.

კოოპერატივის მმართველობის უმაღლესი ორგანო **წევრთა საერთო კრებაა**. კოოპერატივს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ დირექტორები. მოგება და ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს წლიური ანგარიშის დამტკიცებისას. მაგალითად, მეთევზეთა გაერთიანება - კოოპერატივი "მე-ბადური".




## საბადასახადო სამართალი

### 1. ბადასახადის ცნება და სისტემა

სამართლიანი და ეკონომიკურად გამართლებული საგადასახადო სისტემა, სახელმწიფოს საშუალებას აძლევს დააფინანსოს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქიროებანი. გადასახადები, რომელსაც მისი გადამხდელები იხდიან, ხმარდება უამრავ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტს. მაგალითად, გადასახადების შედეგად ივსება ბიუჯეტი, რომელიც აფინანსებს პოლიციას, რათა დაიცვას წესრიგი და უსაფრთხოება ქუჩებში; ჯარს, რათა დაგვიცვას საგარეო მტრისაგან; მასწავლებლებს, რათა გვასწავლონ და გვაზიარონ სამყაროს; პენსიონერებს, რათა დავაფასოთ ადამიანები, ვინც გვემსახურა; გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ა.შ.

საქართველოში საგადასახადო სამართლებრივი ასპექტები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ძირითადად კი საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელიც მოიცავს არა მარტო მატერიალურ, არამედ პროცესუალურ ნორმებს.

აგრეთვე, საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფერო მოიცავს სადასახადო კონტროლთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს.



**გადასახადი** არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გამამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი. ადგილობრივ გადასახადებს კი განეკუთვნება ქონებისა და სათამაშო ბიზნესის გადასახადები (დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ).

**ბიუჯეტი არის** სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა დროის გარკვეული მონაკვეთისათვის. ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა. ქვეყნის ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომლებიც ხმარდება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური, ქვეყნის თავდაცვისა და სუვერენული ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებებს, აგრეთვე, საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას.

**საქართველოს საბიუჯეტო სისტემა** არის ქვეყნის ბიუჯეტების (ცენტრალური, ავტონომიური, ადგილობრივი) ერთიანობა, რომელიც ეფუძნება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებს.

**საგადასახადო კანონმდებლობის სისტემა.** საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სისტემა სხვადასხვა დონის ნორმატიული აქტების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობაა. საგადასახადო კანონმდებლობის აქტები, თავის მხრივ, შეიცავენ საგადასახადო ნორმებს, ანუ ფორმალურად დადგენილ ქცევის წესებს, რომელიც არეგულირებს საგადასახადო სფეროში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საგადასახადო კანონმდებლობის სისტემა შედგება ოთხი დონისაგან, რომლიც არეგულირებს საქართველოში გადასახადებით დაბეგვრის სფეროში ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს. ესენია:





1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
3. საგადასახადო კოდექსი;
4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (მაგალითად: ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანებები და ა.შ.)

## 2. ბადასახადის გადახდელი, საგადასახადო აგენტი

გადასახადის გადამხდელი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც “საქართველოს საგადასახადო კოდექსით” აქვს გადასახადის გადახდის ვალდებულება. ხოლო საგადასახადო აგენტი არის პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელმაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. მაგალითად, სამეწარმეო იურიდიული პირი ხელფასს უხდის დაქირავებულ მუშაკს. ხელფასიდან გარკვეული გადასახადი (საშემოსავლო) უნდა გადაიხადოს მუშაკმა, მაგრამ ყველა დაქირავებული მუშაკის მიერ ინდივიდუალურად გადასახადების გადახდა, პროცენტების გამოანგარიშება და სხვა ქმედებანი შეუძლებელს გახდიდა გადასახადის ეფექტურად ამოღებას. ამიტომ კანონმდებელმა გადასახადის გადამხდელის, ამ შემთხვევაში, დაქირავებული მუშაკის კუთვნილი გადასახადის გადახდის (ხელფასიდან დაკავების) ვალდებულება საგადასახადო აგენტს, ანუ ჩვენ შემთხვევაში, სამეწარმეო იურიდიულ პირს დააკისრა.

საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო აგენტი გათანაბრებულნი არიან. მაგალითად, საგადასახადო ვალდებულების დარღვევისათვის ორივე მათგანი ისჯება და ა.შ. ნებისმიერი პირი, მათ შორის, როგორც გადასახადის გადამხდელი, ასევე, საგადასახადო აგენტი ვალდებულია, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთაც კი.

## 3. ბადასახადის გადახდელის სამართლებრივი დასვა

საგადასახადო სამართალურთიერთობაში თავისი ინტერესების დასაცავად გადასახადის გადამხდელს გააჩნია კანონით განსაზღვრული უფლებები. მაგალითად: გადასახადის გადამხდელს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია საგადასახადო ორგანოსაგან, მათ შორის, დაუსვას წერილობითი შეკითხვა და მიიღოს წერილობითი რეკომენდაცია გადასახადებთან დაკავშირებით. თუმცა, ასეთ პასუხს რეკომენდაციის ხასიათი ექნება, მაგრამ კანონით დადგენილ შემთხვევებში უფლებამოსილი ორგანოს მიერ (ფინანსთა სამინისტრო) გაიცემა საჯარო გადანყვეტილება, რომელიც უკვე არა მხოლოდ სარეკომენდაციო, არამედ სავალდებულო ხასიათს ატარებს და მის მიერ განხორციელებული საგადასახადო ქმედების შემთხვევაში, გადამხდელს არავითარი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

გადასახადის გადამხდელი სარგებლობს უფლებით მოსთხოვოს საგადასახადო უწყებებს სამეწარმეო საიდუმლოების დაცვა. ასევე, ისარგებლოს კანონით დადგენილი საგადასახადო შეღავათებითა და ზედმეტად გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნების უფლებით. არის შემთხვევები, როცა დიდი ბრუნვის მქონე მენარმე უშვებს მექანიკურ შეცდომას და იხდის გადასახადის სახით მეტ თანხას, ვიდრე ეკუთვნის. ასეთი შეცდომის შემთხვევაში ის უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს შესაბამის ორგანოს (შემოსავლების სამსახური) და მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. აგრეთვე, გადასახადის გადამხდელი სარგებლობს თავისი ინტერესების კანონიერი დაცვის უფლებით და შეუძლია საგადასახადო უწყების გადანყვეტილება გაასაჩივროს კანონით დადგენილი წესით, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (დავების განმხილველი საბჭო) და/ან სასამართლოში. აგრეთვე, ის სარგებლობს მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებითაც.

## 4. საგადასახადო ვალდებულება და მისი შესრულება

**საგადასახადო ვალდებულება და მისი შესრულება.** საგადასახადო ვალდებულებად ითვლება პირის ვალდებულება გადაიხადოს სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საგადასახადო ვალდებულება და მისი შესრულება გადასახადის გადამხდელის ყველაზე ძირითადი და მნიშვნელოვანი იურიდიული ვალდებულებაა. საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საგადასახადო ვალდებულება შეიძლება დაეკისროს, ასევე, საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს.

საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულია გადასახადის გადახდის ვადები, წესები, რეგულაციები და ა.შ.

## 5. საგადასახადო ანგარიშგება

საგადასახადო დეკლარაციის სათანადო ფორმითა და წესით წარდგენა არის გადასახადის გადამხდელის ანგარიშგება საგადასახადო სამსახურების მიმართ. დეკლარაციის შედგენითა და წარდგენით პირი სახელმწიფოს აცნობს იმ თანხების სახეებსა და ოდენობას, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს გადასახადების სახით ამ პირისაგან, როგორც კონკრეტული გადასახადის გადამხდელისაგან. ეს მოქმედება გადასახადის გადამხდელის ვალდებულებაა. თუ პირი საგადასახადო აგენტი (ზემოთ უკვე ვისაუბრეთ), მაშინ მისი ვალდებულებაა იმ დეკლარაციებისა და გაანგარიშების შედგენა და წარდგენა, რომელშიც აისახება სხვა პირების კუთვნილი გადასახადები.

## 6. ბალანსადები

### 6.1. საშემოსავლო ბალანსადი

**საშემოსავლო გადასახადი არის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომელსაც იხდის საქართველოს მოქალაქე ან სხვა ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც შემოსავალი აქვს საქართველოში.** ანუ ამ გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მხოლოდ ფიზიკური პირი. იმავდროულად, გადასახადის გადამხდელის ცნება, ასევე, მოიცავს პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ არ აკისრიათ საშემოსავლო გადასახადის გადახდა. მაგალითად, როდესაც დაქირავებული პირის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) მეშვეობით, გადასახადის გადამხდელს კვლავ დაქირავებული პირი წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადასახდელი თანხა დაქირავებულის (ფიზიკური პირი) ჯიბიდან გადის.

### 6.2. მოგების ბალანსადი

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომელსაც იხდის საწარმო და არა ფიზიკური პირი, ანგარიშდება მიღებული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლიდან, რასაც აკლდება კანონმდებლობით დადგენილი გამოსაქვითი თანხები (ხარჯები). გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო აგენტის საწარმოდ კვალიფიკაციის მიზნით არ არის აუცილებელი ის რეგისტრირებული იურიდიული პირი იყოს. ის ამ მიზნებისათვის შესაძლოა იყოს როგორც არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა და ა.შ. ამასთან, საწარმო შეიძლება იყოს როგორც რეზიდენტი (საქართველოში რეგისტრირებული) ისე, არარეზიდენტი (უცხო ქვეყნის საწარმო).

### ღაბატებული ღირებულების ბალანსადი (ღღბ)

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომლის გადახდაც ევალება საქართველოში ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ ნებისმიერ პირს (ფიზიკური თუ იურიდიული), რომელიც:

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა პირს შეუძლია პირადად (ანუ პირადად გადასცეს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს), ასევე, დაზღვეული ფოსტითა და ელექტრონული ფოსტით.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საშემოსავლო გადასახადი 20%-ს შეადგენს. ის გამოიანგარიშება მთელი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლიდან, რომელსაც აკლდება საგადასახადო კანონმდებლობით გამოქვითვის თანხები.

მოგების გადასახადის ოდენობა 2008 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ შეადგენს 15%-ს.

- ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღე-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება ასი ათას ლარს;
- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს (მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების, სიგარეტების);
- განხორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან/და ერთ დღეში დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება ასი ათას ლარს.

დღე-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18%-ს.

### 6.3. აქციზი

საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადს- აქციზს იხდის ნებისმიერი პირი (ფიზიკური თუ იურიდიული), რომელიც:

- აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში — თავის მიერ წარმოებულ საქონელზე (მათ შორის, დამკვეთის ნედლეულით წარმოებულზე);
- ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის (მაგალითად, გაზის ავტოგასამართი სადგურები);
- ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში (მაგალითად: შემოაქვს სიგარეტი, ალკოჰოლური სასმელები და ა.შ.);
- ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს (ასეთ შემთხვევებში ექსპორტი, გარდა შავი და ფერადი ლითონებისა, იბეგრება ნულოვანი განაკვეთით. მაგალითად, ალკოჰოლური სასმელი, რომელიც წარმოებულ იქნა საქართველოში და გადის ექსპორტზე, ნულოვანი სააქციზო განაკვეთით იბეგრება).

სააქციზო დაბეგვისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც თავის მოხმარებისათვის აწარმოებს ალკოჰოლურ სასმელებს (მაგალითად, გლეხი, რომელიც წურავს ღვინოს, ხდის არაყს), ასევე, რომელიც ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და ორასი ლერი სიგარეტის იმპორტს ახორციელებს (მაგალითად: თვითმფრინავის მგზავრი, რომელიც ჩამოიტანს საქართველოში შოტლანდიიდან ვისკის ორ ლიტრს ან ა.შ.შ.-დან სიგარეტის ორას ლერს). უფრო დიდ ოდენობაზე იბეგრება საერთო რეჟიმით.

აქციზური საქონლის სახეობები დეტალურად განისაზღვრება საგადასახადო კოდექსით.

აქციზური საქონლისათვის მწარმოებელი ან იმპორტიორი ვალდებულია, შეიძინოს კანონით დადგენილი წესით აქციზური მარკები.

### 6.4. იმპორტის გადასახადი

**საერთო სახელმწიფო გადასახადი, რომელსაც იხდის ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს საზღვარზე გადაადგილებს საქონელს გარდა ექსპორტისა.**

ამრიგად, ჩვენ ვისწავლეთ უმთავრესი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც დაგვეხმარება წარმატებით გავიკვლიოთ გზა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. ასევე დაგვეხმარება დავდოთ გარიგებანი, დავაფუძნოთ კერძო სამართლის იურიდიული პირები, გამოვიდეთ სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ, გვქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი, გადავიხადოთ გადასახადები და ა.შ. ჩვენ ვცხოვრობთ გლობალურ სამყაროში, სადაც ჩვენი ცოდნა და ერუდიცია ერთადერთი გზაა წარმატებისაკენ. ამ ცოდნის ბაზისებს, სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით, ჩვენს წინამდებარე სახელმძღვანელოში გავცადით.

საბაჟო გადასახადის დარიცხვა (გამოთვლა) ხდება საქონლის საბაჟო ღირებულებიდან და ის შეადგენს ამ ღირებულების 12%-ს.



## 1. რა არის მართლწესრიგი?

წარმოიდგინეთ თანამედროვე დიდი ქალაქის ქუჩა დღის საათებში, როდესაც ქუჩაში დადის უამრავი ავტომობილი და ფეხით მოსიარულე. ერთი წუთით დავუშვათ, რომ არ არსებობს ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეების მოძრაობის წესები: არავის დაუდგენია, რომ ავტომობილები ქუჩის მარჯვენა მხარეს უნდა მოძრაობდნენ, რომ არ შეიძლება მოძრაობა ქუჩის საპირისპირო მხარეს და ა.შ. წარმოიდგინეთ, რომ ჩემი ავტომობილით გადავვდი მოძრაობის საპირისპირო მხარეს და შევეჯახე შემხვედრ ავტომობილს, რის შედეგადაც მძიმედ დაშავდა მეორე ავტომობილის მძღოლი.

წარმოიდგინეთ, რომ ძალიან მომწონს ჩემი მეზობლის საათი და, ამავე დროს, არ არსებობს კანონი, რომელიც ამიკრძალავს მოვპარო ან წავართვა მას ეს საათი. მე მას საათი წავართვი, რის შემდეგაც მან თავისი მეგობრები დამახვედრა, რომლებიც ფიზიკურად გამისწორდნენ.

დასასრულ, წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობს არავინ, რომელიც ზემოთ აღწერილ შემთხვევებს გამოიძიებს და დამნაშავეს პასუხს აგებინებს.

ზემოთ აღწერილი მაგალითები მეტყველებს, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობებში გარკვეული წესრიგი უნდა არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ქაოსის მდგომარეობაში იქნება. მართლაც, რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თითოეულ ადამიანს რომ ჰქონდეს თავისუფლება, ისე იმოძრაოს ქუჩაში, როგორც მოისურვებს? ან ისე მოექცეს მეორე ადამიანს, როგორც უნდა. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოება იქნებოდა მუდმივი კონფლიქტის მდგომარეობაში.





წესრიგი საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. წესრიგი ქმნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას. საზოგადოება ვერ განვითარდება ისეთ პირობებში, როდესაც ადამიანებს ქუჩაში გამოსვლის ემინიათ, როდესაც არ არსებობს გარანტიები მათი სიცოცხლის, საკუთრების დაცვისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

წესრიგის უზრუნველსაყოფად, სულ მცირე, სამი რამ არის საჭირო: 1. გარკვეული წესების - სამართლის ნორმების არსებობა 2. წესების აღსრულება სახელმწიფოს მიერ და 3. წესებისადმი საზოგადოების მორჩილება.

**1.1. პირველი მოთხოვნა: წესები უნდა არსებობდეს.** პირველ რიგში საჭიროა, რომ არსებობდეს წესები სამართლის ნორმების სახით. მაგალითად, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ამ გაკვეთილის შესავალ ნაწილში აღწერილი მაგალითები, საჭიროა დავადგინოთ წესები, რომ არ გადავიდეთ მოძრაობის საპირისპირო მხარეს, არ მოვიპაროთ სხვისი ნივთი, არ მივაცენოთ მეორე ადამიანს ზიანი და სხვა. საინტერესოა ის, რომ ზოგიერთი წესი უბრალოდ არეგულირებს ამა თუ იმ საკითხს. მაგალითად, ყველა შევეთანხმდით, რომ მანქანით უნდა ვიმოძრაოთ გზის მარჯვენა მხარეს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომელთა შორის არის იაპონია და ინგლისიც, პირიქით, სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს მოძრაობაა დადგენილი. ამისგან განსხვავებით, ზოგიერთი წესი ასახავს საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ შეხედულებებს სამართლიანობასა და უსამართლობაზე (მაგ. წესები: დამნაშავე უნდა დაისაჯოს, გამსესხებელს ვალი უნდა დაუბრუნდეს, ზიანის მიმყენებელმა ზიანი უნდა აანაზღაუროს და სხვ.);

**1.2. მეორე მოთხოვნა: წესები უნდა აღსრულდეს.** მეორე საკითხია, რომ წესები უნდა აღსრულდეს. მაგალითად, თუ დავარღვიე წესი და გადავედი მოძრაობის საპირისპირო მხარეს, რასაც შედეგად მოჰყვება ავტოავარია და შემხვედრი ავტომობილის მძღოლის დაზიანება, მე ამისთვის პასუხი უნდა ვაგო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არავინ დაზიანდა, მაინც უნდა ვაგო პასუხი, ვინაიდან მე გადავაადგილდი მოძრაობის საპირისპირო მხარეს, რაც აკრძალულია კანონით. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში შეიძლება დაუსჯელობის გრძნობა გაჩნდეს. მეც და სხვებმაც უნდა იცოდნენ, რომ დაისჯებიან კანონის დარღვევისათვის. კანონი, რომელიც არ სრულდება, კარგავს საზოგადოების პატივისცემას და, აქედან გამომდინარე, უნარს, უზრუნველყოს წესრიგი საზოგადოებაში;

**1.3. მესამე მოთხოვნა: წესები საზოგადოებისთვის მისაღები უნდა იყოს.** საზოგადოება უნდა ემორჩილებოდეს კანონებს. წინააღმდეგ შემთხვევაში წესრიგი არ იქნება. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ კანონი არა მხოლოდ აუცილებელი, არამედ სამართლიანიცაა. უბრალო შიში კანონის მიმართ არ უზრუნველყოფს წესრიგს. ადამიანები კანონს პატივსაც უნდა სცემდნენ, უნდა სჯეროდეთ, რომ მისი დარღვევა საზოგადოებისთვის მავნებელია;

**1.4. მართლწესრიგის განმარტება.** წესრიგს, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედი კანონების აღსრულებას და მათ მიმართ საზოგადოების მორჩილ დამოკიდებულებას, მართლწესრიგი ეწოდება. ეს არის წესრიგი, რომლის საფუძველშიც დევს სამართალი და სამართლიანობა, რომელსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი ეთანხმება და აღიარებს, როგორც საზოგადოების არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელ პირობას.


**კითხვა:** ეთანხმებით თუ არა აღნიშნულს? რატომ?

## 2. რა არის სისხლის სამართალი?

ხშირად გვსმენია: „დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, „ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ამა და ამ მუხლით“. იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ საკითხებში, განვიხილოთ სისხლის სამართალი.

სამართლის თითოეული დარგი ადამიანებს შორის ურთიერთობების რომელიმე სფეროს აწესრიგებს: სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს ადამიანებს შორის კერძო, სამოქალაქო ურთიერთობებს, ხოლო ადმინისტრაციული სამართალი - პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას, ასევე, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას. სისხლის სამართალი არის მთლიანად დამსჯელობითი სამართალი. ის განსაზღვრავს რა სახის ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და რა სასჯელი დაენესებულება მასზე.

ტერმინი სისხლის სამართალი შესაძლოა უკავშირდებოდეს გვიან შუა საუკუნეების საქართველოს სამართლებრივ ტრადიციას, როდესაც დამნაშავეს არცთუ იშვიათად უწევდა ფულადი ჯარიმის გადახდა, რომელსაც „სისხლის ფასი“ ეწოდებოდა.



## 3. რა არის დანაშაული?

იურისტის პასუხი ამ შეკითხვაზე არის ასეთი: **“დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება”**.

ეს ტერმინები არაიურისტისთვის შეიძლება საკმაოდ გაუგებარი იყოს. თუმცა, ჩვეულებრივ სასაუბრო ენაზე ამ ყველაფრის გადმოცემა მაინც შესაძლებელია.

პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ, რომ დანაშაული არის ადამიანის ქცევა, რომელსაც ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის ან ქმნის ზიანის დადგომის საფრთხეს. აქ ისმის მეორე შეკითხვა- რამდენად საზიანო უნდა იყოს ქცევა, რომ ის გახდეს დანაშაული? როგორც ვიცით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ასევე, საზიანოა, მაგრამ აქ მთავარია ზიანის ხარისხი: დანაშაული არის მომეტებული საშიშროების მქონე ქცევა და ამდენად, ის იმსახურებს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ რეაქციას - პირის დამნაშავედ ცნობას და მისთვის სასჯელის დაკისრებას.

რას ნიშნავს დანაშაულის პირველი ნიშანი - „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული“?.

ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დანაშაული აღწერილია სისხლის სამართლის კანონში - ანუ სისხლის სამართლის კოდექსში (სსკ). ალბათ, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი მდგომარეობით სისხლის სამართლის კოდექსში სულ 359 დანაშაულია ჩამოთ-



სისხლის სამართლის კოდექსიდან დანაშაულის ამოღებას **დეკრიმინალიზაცია** ეწოდება. ამდენად ფრაზა, რომ მოხდა რაღაც ქმედების დეკრიმინალიზაცია, ნიშნავს იმას, რომ იგი აღარ ჩაითვლება დანაშაულად.

**კითხვა:** რა შემთხვევაში ხდება, თქვენი აზრით, დეკრიმინალიზაცია?

ვლილი. ამ დანაშაულებს შორის არის ყველასთვის ცნობილი და გავრცელებული დანაშაულები (მაგალითად: ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა, ქრთამის აღება), ასევე, ისეთი დანაშაულებიც, რომელთა შესახებ შეიძლება არაფერი გვსმენია: (რადიოაქტიური ნარჩენისადმი უკანონო მოპყრობა, მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის წესის დარღვევა). ჩამოთვლილ დანაშაულთა რიცხვი ზოგჯერ იზრდება და ზოგჯერ მცირდება, ანუ შეიძლება მათ დაემატოს ახალი დანაშაული ან შეიძლება მოაკლდეს. თუ ჩავიდინეთ ისეთი ქმედება, რომელიც მოცემულ დროს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის აღწერილი, ის არ ჩაითვლება დანაშაულად.

დანაშაულის ამ პირველ ნიშანს, ასევე, დანაშაულის **შემადგენლობას** უწოდებენ.

რას ნიშნავს ნიშანი: **მართლსაწინააღმდეგო?**

„მართლსაწინააღმდეგო“ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის მიერ ჩადენილი ქმედება ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს. როგორც წესი, სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი დანაშაულებიდან ერთ - ერთის ჩადენა ამავე დროს არის მართლსაწინააღმდეგოც, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ეს შეიძლება იყოს მართლზომიერი. მაგ. თუ მეზობლის სახლში გაჩნდა ხანძარი და მე მისი ჩაქრობის მიზნით კარი გავტეხე, ფორმალურად ჩავდივარ ქმედებას გათვალისწინებულს სისხლის სამართლის კოდექსის 187 -ე მუხლით, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, მაგრამ ვინაიდან ჩემი ქმედება მიზნად ისახავს უფრო დიდი ქონების გადარჩენას, ის აღარ არის საზიანო ან საზოგადოებისთვის საშიში. ამ შემთხვევაში მე ვმოქმედებ მართლზომიერად, ანუ ჩემი ქმედება არის გამართლებული.



რას ნიშნავს დანაშაულის მესამე ნიშანი: **„ბრალეული“**.

ბრალი ნიშნავს ქმედების ჩამდენი პირის გასაკიცხაობას. გაიკიცხება ის, ვინც დანაშაულს ჩადის შეგნებულად და თავისუფალი ნებით. თუ ადამიანს არ შეუძლია შეიგნოს საკუთარი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი ან მას წართმეული აქვს ნების თავისუფლება (მაგ. ფსიქიკური დაავადების, მცირეწლოვნების, იძულების ან საპატრიო შეცდომის გამო), ის ვერ გაიკიცხება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვამბობთ, რომ ის მოქმედებს არაბრალეულად და მას ეპატიება ის, რაც ჩაიდინა.

მაშასადამე, იმისთვის, რომ ესა თუ ის ადამიანური ქმედება ჩაითვალოს დანაშაულად, ის უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. თითოეულ ამ ნიშანს მოგვიანებით უფრო დეტალურად შევეხებით.



#### 4. სისხლის სამართლის რამდენიმე მთავარი პრინციპი

სისხლის სამართლის ცოდნის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მისი რამდენიმე ძირითადი პრინციპი:

##### ა. კანონიერების პრინციპი:

კანონიერების პრინციპი გვეუბნება, რომ არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე, ისევე, როგორც არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე. მარტივად რომ ვთქვათ, ის, რაც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით, არ ჩაითვლება დანაშაულად. ასევე, დაუშვებელია ისეთი სასჯელის გამოყენება, რაც არ არის განწერილი კანონით.

კანონიერების პრინციპი უკავშირდება, ასევე, სისხლის სამართლის კანონის უკუქცევითი ძალის აკრძალვის პრინციპს. ეს პრინციპი გამოიხატება შემდეგში: თუ პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელიც კონკრეტულ ქმედებას დანაშაულად აცხადებს და აწესებს სასჯელს, მას უკუქცევითი ძალა არ აქვს. სამაგიეროდ, უკუქცევითი ძალა აქვს კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას და ამსუბუქებს სასჯელს.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ა. დღეს ცილისწამება არ არის დანაშაული და არ ისჯება სისხლის სამართლის წესით. დაფუძვით, მე დაგნამე ცილი ჩემს მეზობელს. ყველას ვუთხარი, რომ ის არის თადლითი და ვალს არასოდეს ისტუმრებს. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ჩემს მეზობელს ვალი არასოდეს ჰქონია აღებული. მას შეუძლია, მიჩივლოს შელახული ღირსებისთვის სამოქალაქო სამართლებრივი წესით. სასამართლომ, შეიძლება, დამაკისროს საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ზიანის ანაზღაურება. მაგრამ, თუ ხვალ მიღებული იქნება კანონი, რომელიც ცილისწამებას სისხლის სამართლებრივად დასჯადად ხდის, მე ამ კანონით ვერ დავისჯები. ამ კანონს ვერ მიეცემა უკუქცევითი ძალა;

ბ. სისხლის სამართლის კოდექსით, 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება დანაშაულია და ისჯება ჯარიმით. დავუშვათ, მე ვარ 21 წლის ასაკს მიუღწეველი, გუშინ ქუჩაში გამაჩერა პოლიციამ და ჩხრეკის შედეგად ამოიღო ცივი იარაღი - დანა. დღეს ძალაში შევიდა კანონი, რომელიც აუქმებს ცივი იარაღის ტარებისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მე გავთავისუფლდები პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან ამ კანონს მიეცემა უკუქცევითი ძალა.

##### ბ. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი:

ეს პრინციპი ნიშნავს იმას, რომ მე შეიძლება, პასუხი ვაგო მხოლოდ იმ ქმედებისთვის, რასაც ბრალეულად ჩავდივარ. თუ ქმედება ბრალის გარეშეა ჩადენილი, მაშინ მე პასუხისმგებლობა ვერ დამეკისრება;

##### გ. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი:

ამ პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება პირადად მას, ვინც ჩაიდინა დანაშაული;

##### დ. სამართლიანობის პრინციპი:

სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი: მართალია, "ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი, ორივე ქურდია", მაგრამ მათ არ შეიძლება ერთნაირი სასჯელი დაეკისროს, ასევე, არ შეიძლება ერთნაირად დაისაჯოს ნარკოტიკების მომხმარებელი და გამსალებელი, დანაშაულის ორგანიზატორი და უბრალო დამხმარე, რეციდივისტი და დანაშაულის პირველად ჩამდენი პირი, დაქირავებული მკვლელი და აფექტის მდგომარეობაში სხვისი სიცოცხლის ხელმყოფი და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიხედვით კანონიერების პრინციპი ერთ-ერთი აბსოლუტური უფლებაა. (იხ. თავი ადამიანის უფლებების შესახებ, აბსოლუტური და შეზღუდული უფლებები).

მოიყვანეთ ბრალის გარეშე ჩადენილი ქმედების მაგალითი? მაგალითად, ფსიქიკურად ავადმყოფი, რომელიც ვერ აცნობიერებს საკუთარი ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს, მას უბრალოდ არ ესმის, რას აკეთებს.

გამონაკლისი შემთხვევის სახით, თუ არასრულწლოვანს არ აქვს საკუთარი შემოსავალი, მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის მატერიალური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მშობელს.

## 5. დანაშაულის ელემენტები

უკვე ვიცით, რომ დანაშაული შედგება სამი ელემენტისაგან - **შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი**. იმისთვის, რომ დადგინდეს, ჩაიდინა თუ არა პირმა დანაშაული, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, მან ჩაიდინა თუ არა სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედება (ქმედების შემადგენლობა); ხომ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები და ხომ არ არსებობს ბრალის გამომრიცხავი გარემოებები? განვიხილოთ თითოეული მათგანი.

### 5.1. ქმედების შიდალბენლობა

დანაშაულის შემადგენლობა არის დანაშაულის იმ ნიშნების ერთიანობა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. მაგალითად, კანონის მიხედვით ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლწინააღმდეგე მისაკუთრების მიზნით. თუ ამ ნიშნებიდან რომელიმე არ გვაქვს სახეზე, ეს არ იქნება ქურდობა, შეიძლება იყოს სხვა რომელიმე დანაშაული ან საერთოდ არ წარმოადგენდეს დანაშაულს.

ნებისმიერ ადამიანურ ქცევაში შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ: **ქცევის შინაგანი და გარეგანი მხარე**. შინაგანი მხარე არის ის, რაც ადამიანის ფსიქიკაში ხდება, ხოლო გარეგნული - ის, რაც გარე სამყაროში გამოვლინდება. რადგან დანაშაულიც არის ადამიანის ქცევა, მასაც აქვს ორი მხარე და მათ ეწოდებათ - **ქმედების სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობა**. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

#### სუბიექტური შემადგენლობა

ადამიანის ფსიქიკა მრავალმხრივია (განწყობა, ემოციები, სურვილები, ფიქრები და ა.შ.) და დანაშაულის შემადგენლობის განხილვისას გვინტერესებს მხოლოდ **მოტივი, მიზანი, განზრახვა და გაუფრთხილებლობა**. განვიხილოთ თითოეული.

#### მოტივი

**მოტივი არის ის, რაც ადამიანს უბიძგებს დანაშაულის ჩასადენად. კანონი ზოგჯერ სპეციალურად ითხოვს მოტივის არსებობას.** მაგალითად, ფალსიფიკაცია, (წარმოებული ნივთის თვისების შეცვლა მოტყუებით) შეიძლება, ჩადენილ იქნეს მხოლოდ ანგარების მოტივით.

#### მიზანი

**მიზანი არის ის, რისკენაც მიისწრაფვის პირი დანაშაულის ჩადენის დროს. კანონი ზოგჯერ ითხოვს სპეციალური მიზნის არსებობას.** მაგალითად, ყალბი ფულის დამზადება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, როდესაც დამნაშავეს აქვს გასალბების მიზანი. თუ პირი ყალბ ფულს დახატავს საკუთარი მხატვრული ნიჭის გამოსავლენად, ის ფალსიფიკატორად არ ჩაითვლება.

### 5.2. განზრახვა, გაუფრთხილებლობა.

წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: გიორგი, რომელიც არის ძალიან ფრთხილი, გამოცდილი მძღოლი, გამოვიდა სახლიდან და ჩაჯდა საკუთარ ავტომანქანაში და ადგილიდან დაძრა. უცებ შემოესმა უცნაური ხმა მანქანის ქვედა მხრიდან. მან მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და ნახა, რომ მანქანის ქვეშ შემძვრალი ყოფილა მეზობლის საყვარელი ძაღლი, რომელსაც ტკბილად ეძინა, იგი დაიღუპა ავტომანქანის გადაადგილების შედეგად. გიორგი პასუხს ვერ აგებს სისხლისსამართლებრივი წესით, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ მის ქმედებაში არ არის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ მისი ქმედება არ არის გასაკიცხი, ანუ ის არ მოქმედებს ბრალეულად.

მაშასადამე, დანაშაული უნდა იქნეს ჩადენილი ან **განზრახვით**, ან **გაუფრთხილებლობით**. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს დანაშაული.

განზრახვა არსებობს ორი ფორმით - **პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა**. პირდაპირი განზრახვით მოქმედებს ის, ვისაც გაცნობიერებული აქვს, რომ მის



ქმედებას მოჰყვება დანაშაულებრივი შედეგი და სურს ეს შედეგი ან ითვალისწინებს ამ შედეგის გარდაუვალობას. განვიხილოთ ორი შემთხვევა:

1. პავლემ საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან ეზოში გადმოაგდო ტელევიზორი, რომ მოეკლა ეზოში მდგომი პეტრე. 2. პავლემ საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან გადმოაგდო ტელევიზორი, ვინაიდან მას უნდოდა, რომ ეზოში შეკრებილი ხალხი გაეფანტა (მათ შორის ნემსი არ ჩავარდებოდა), რომელიც მას დაძინების საშუალებას არ აძლევდა. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მკვლელობის განზრახვას პავლეს მხრიდან, ვინაიდან პირველ შემთხვევაში პავლეს აქვს ადამიანის მოკვლის სურვილი, მეორე შემთხვევაში ეგუება ადამიანის დაღუპვის გარდაუვალობას.

რაც შეეხება არაპირდაპირ განზრახვას, ამ დროს დამნაშავეს არ სურს მავნე შედეგი, მაგრამ ეგუება მისი დადგომის შესაძლებლობას.

მაგალითად, თუ პავლე ტელევიზორის გადმოგდებისას ხედავს, რომ ეზოში შეკრებილია მცირერიცხოვანი ჯგუფი, მას არ სურს არავის მოკვლა, მაგრამ თუ ვინმე მოკვდება, ის ამაზე თანახმაა. მაშინ ის მოქმედებს **ვეენტუალური განზრახვით**.

გაუფრთხილებლობაც არსებობს ორი სახის: **თვითიმედოვნება** და **დაუდევრობა**. თვითიმედოვნების დროს პირი აცნობიერებს წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას და ითვალისწინებს მავნე შედეგს, მას არ სურს ამ შედე-



გის დადგომა და უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ მის შედეგს თავიდან აიცილებს. მაგალითად, პავლემ დაინახა, რომ ეზოში იდგა მხოლოდ ერთი ადამიანი და ტელევიზორის გადმოგდების დროს შეეცადა, რომ ის მისგან შორს გადაეგდო, მაგრამ ტელევიზორი ხელიდან გაუცურდა და თავში მოხვდა ამ ადამიანს. ტელევიზორის ფანჯრიდან გადაგდება აკრძალულია წინდახედულობის ნორმით. ამ შემთხვევაში ადგილი ექნება სიცოცხლის მოსპობას თვითიმედოვნებით.

დაუდევრობის დროს პირი არ აცნობიერებს წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას, არ ითვალისწინებს მავნე შედეგის შესაძლებლობას, თუმცა, უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც. მაგალითად, ოთახში ჩართული მაქვს ელექტროლუმელი, მაგრამ შაბათ - კვირას სოფელში წასვლის წინ დამავიწყდა მისი გამორთვა. ღუმელი ჩართული იყო ორი დღე და ღამე, რის შედეგადაც შემაერთებელ კაბელს ცეცხლი გაუჩნდა. დაინვა ჩემი სახლი და ცეცხლი მოედო მეზობლის სახლსაც. ამ შემთხვევაში მე ვმოქმედებ დაუდევრობით.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქმედებს მრავალი წინდახედულობის ნორმა, რომელთაგან ზოგი დაწერილია და ზოგი დაუწერიელი. მაგალითად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონში წერია, რომ იკრძალება დასახლებულ ადგილას ავტომანქანით 60 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობა; იკრძალება ავტომანქანის ტარების დროს მობილურზე საუბარი (ყურსასმენების გარეშე) და ა. შ. დაუწერიელი ნორმაა, მაგალითად, ის, რომ არ შეიძლება ტელევიზორის ფანჯრიდან გადაგდება, ელექტროსახურებელი ხელსაწყოს დიდი ხნით ჩართული დატოვება და ა. შ.

### 5.3. ობიექტური შევადგენლობა

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დანაშაული მხოლოდ პირის ფსიქიკაში არ მნიშვნდება, ის გარესამყაროში პოვნებს თავის გამოვლინებას. ისევე როგორც სუბიექტური შემადგენლობის, ასევე, ობიექტური შემადგენლობისას ჩვენ დანაშაულის ყველა გარეგნული ნიშანი არ გვაინტერესებს. მაგალითად, ჩვენ არ გვაინტერესებს ქურდი, შემთხვევის ადგილას მანქანით მივიდა თუ ცხენით, სახლში ფანჯრიდან გადაძვრა თუ კარიდან, იქ დიდი ხანი დაჰყო თუ მალე გამოვიდა, ნაქურდალი ქონება გაყიდა თუ თავად მოიხმარა. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, საინტერესოა საქმის გამოძიების და სასამართლოში განხილვის დროს, ვინაიდან დანაშაულის სრული სურათის დადგენის საშუალებას იძლევა. მაგრამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ დანაშაულის გარეგნული გამოვლინების ნიშნები - ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი, დრო, ადგილი, ვითარება და საშუალება, ხერხი ა. შ. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

### 5.4. ქმედება

ქმედება ადამიანის ნებელობითი ქცევაა, რომელიც გამოიხატება მოქმედების ან უმოქმედობის სახით. დანაშაულის ჩადენა, როგორც წესი, ხდება მოქმედებით. მოქმედების დროს დამნაშავე აქტიურად ერევა გარე სამყაროში და ზიანს აყენებს (ან საფრთხეს უქმნის) სამართლებრივად დაცულ სიკეთეს. მაგალითად, პავლემ ესროლა პეტრეს ცეცხლსასროლი იარაღიდან და მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება. დანაშაული ჩადენილია მოქმედებით. პავლეს მოქმედება გამოიხატება ჩახმახზე ხელის გამოკვრაში, რამაც გამოიწვია იარაღიდან გასროლა და ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩადენა ხდება უმოქმედობით. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანს ეკისრება კანონით დადგენილი ვალდებულება და ის ამ ვალდებულებას არ ასრულებს. აქ ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ "წმინდა" და "შერეული უმოქმედობა". "წმინდა" უმოქმედობის დროს საკმარისია ვალდებულების შეუსრულებლობა. მაგ.: ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირის დაუხმარებლობა, დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდება და ა. შ. ამ დროს პირი არ ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას და ამისთვის ის ისჯება სისხლის-სამართლებრივი წესით.

რაც შეეხება ე.წ. "შერეულ უმოქმედობას", აქ მხოლოდ უმოქმედობა საკმარისი არ არის, აუცილებელია შედეგის დადგომა. მაგალითად, დედამ არ გამოკვება ბავშვი, რომელიც საკვების ნაკლებობის გამო გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს უმოქმედობით ჩადენილ მკვლელობას.

### 5.5. შედეგი

ზოგ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონი სჯის მხოლოდ ქმედებას და შედეგის დადგომას არ ითხოვს. მაგალითად, მონმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა ისჯება იმის მიუხედავად, თუ რა შედეგი გამოიწვია მისმა მოქმედებამ. ზოგ შემთხვევაში კი, კანონი ითხოვს შედეგის დადგომას. მაგალითად: მკვლელობა, ნივთის განზრახ დაზიანება, უკანონო აბორტი შედეგიანი დანაშაულებია.

### 5.6. მიზეზობრივი კავშირი

როდესაც კანონი ითხოვს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას, აუცილებელია, დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამის გასარკვევად გამოიყენება ე.წ. **პიპოტეტური**

**ელიმინაციის** (გამორიცხვის მეთოდი). ანუ, თუ გამოვრიცხავთ მიზეზს, მაშინ უნდა გამოირიცხოს შედეგიც. მაგალითად, დავუშვათ რეზომ ნაუკიდა ცეცხლი თივის ზვინს. ძლიერმა ქარმა ცეცხლი გააძლიერა და ბელელს მოედო. ბელლიდან ცეცხლი გადაედო სახლს, რომელიც მთლიანად დაიწვა. არის თუ არა რეზოს მოქმედება მიზეზობრივ კავშირში სახლის დანვასთან? დიახ, ვინაიდან რეზომ რომ ცეცხლი არ გაეჩინა, სახლი არ დაიწვებოდა.



მიზეზობრივი კავშირის დადგენა უფრო რთულია, როცა საქმე ეხება პირის უმოქმედობას.

ისმის კითხვა: როგორ შეიძლება უმოქმედობით დანაშაულებრივი შედეგის გამონვევა, ან, საერთოდ, როგორ შეიძლება უმოქმედობით რაიმეს გამონვევა?

უმოქმედობით რომ შედეგის გამონვევა შეიძლება, ერთი მარტივი მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავინახოთ. დავუშვათ, ფიზიკის მასწავლებელი არ წავიდა სკოლაში და ამის შედეგად ფიზიკის გაკვეთილი გაცდა. თავისთავად ცხადია, რომ "ფიზიკის გაკვეთილის გაცდენა", გამონვეულია მასწავლებლის უმოქმედობით, ანუ სკოლაში არწასვლით.

სისხლის სამართალში არის ბევრი მაგალითი, როდესაც უმოქმედობა იწვევს დანაშაულებრივ შედეგს, ავიღოთ თუნდაც ასეთი - დედამ საჭმელი არ აჭამა ბავშვს და შედეგად ის გარდაიცვალა; საშველად გამოძახებულმა მეხანძრემ არ ჩააქრო ცეცხლი და შედეგად სახლი დაიწვა; ახალგაზრდების ჯგუფმა ტყეში დანათო კოცონი მწვადის შესანვავად, მაგრამ შემდეგ არ ჩააქრო და ტყე დაიწვა. ყველა ამ მაგალითში პირი პასუხს აგებს უმოქმედობით დამდგარი შედეგისთვის.

**კითხვა:** შეგიძლიათ მოიყვანოთ ქმედებით და უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის მაგალითები?

იმისთვის, რომ უმოქმედობა ჩაითვალოს შედეგის დადგომის მიზეზად, აუცილებელია, სამი პირობის არსებობა: პირს უნდა ჰქონდეს მოქმედების სპეციალური ვალდებულება, რომ იმოქმედოს. მას უნდა ჰქონდეს მოქმედების შესაძლებლობა და უნდა არსებობდეს ამ მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების საშუალება.

სპეციალური ვალდებულება ადამიანს შეიძლება გააჩნდეს თავისი პროფესიიდან (მაგ. ექიმი, მეხანძრე, პოლიციელი), ნათესაური ურთიერთობიდან (მაგ. დედა, შვილი, შვილიშვილი), წინამდებარე მოქმედებიდან (მაგ. ტყეში კოცონის დანთება წარმოშობს მისი ჩაქრობის ვალდებულებას) გამომდინარე.

**5.7. დრო, ვითარება, საშუალება, ხერხი**

ზოგჯერ კანონი ითხოვს, რომ დადგინდეს ქმედება, ჩადენილი გარკვეულ დროს, გარკვეულ ადგილას, გარკვეულ ვითარებაში ან გარკვეული ხერხით (მაგ. დანაშაულის ჩადენა "არჩევნების დროს", "ფარულად" ან "აშკარად", "განსაკუთრებული სისასტიკით", "საომარ" ვითარებაში ა. შ. ).

**6. მართლწინააღმდეგობის გამოძრისხაპი ბარემოებები**

ქმედების შემადგენლობის გარკვევის შემდეგ, უნდა გავარკვიოთ, ხომ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამოძრისხაპი რაიმე გარემოება. თუ ერთ - ერთი მათგანი სახეზეა, მაშინ დანაშაული სახეზე არ გვაქვს.

ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს **აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში**. აუცილებელი მოგერიება გულისხმობს მართლწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიებას, რომლის დროსაც ზიანი ადგება თავდამსხმელს. მაგალითად, პავლეს თავს დაესხა ყაჩაღი, რომელმაც ფულის წართმევა და მისი მოკვლა დააპირა. პავლემ დაასწრო და თავად მოკლა ის. ამ შემთხვევაში პავლე გამართლდება, ვინაიდან მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. იმისთვის, რომ აუცილებელი მოგერიება ჩაითვალოს მართლწინააღმდეგო, თავდასხმა უნდა იყოს რეალური, მართლწინააღმდეგო და იმწუთიერი; ხოლო თავდაცვა უნდა იყოს თავდასხმის პროპორციული; ასევე, აუცილებელია, რომ პირს ამოძრავებდეს მოგერიების სურვილი. თუ ეს პირობები არ არის დაცული, მომგერიებელი ვერ გამართლდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა უფრო მსუბუქი ხასიათის დანაშაულის ჩადენისთვის (მაგ. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, გაუფრთხილებელი მკვლელობა და ა.შ).

ქმედება შეიძლება, ჩადენილი იყოს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, მაგრამ ამ დროს ზიანი ადგება არა იმ პირს, ვისგანაც საფრთხე მომდინარეობს (შესაძლებელია საფრთხე საერთოდ ადამიანისგან არ მოდიოდეს), არამედ სხვას. მაგალითად, ჩემს სახლში გაჩნდა ცეცხლი. მე ვიცი, რომ ჩემს მეზობელს აქვს ცეცხლმაქრი, მაგრამ ის სახლში არ იმყოფება. მე გავტყეხე ჩემი მეზობლის სახლის კარი, გამოვიტანე ცეცხლმაქრი და ცეცხლი ჩავაქრე. ამ შემთხვევაში მე ფორმალურად ვახორციელებ კანონში აღწერილი დანაშაულის ნიშნებს (სხვისი ნივთის დაზიანება), მაგრამ ჩემი ქმედება არის გამართლებული, ვინაიდან ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. აუცილებელი მოგერიების დროს დაცულ უნდა იქნეს ორი მნიშვნელოვანი წინაპირობა: **გადარჩენილი სიკეთე უნდა აღემატებოდეს დაზიანებულ სიკეთეს და საფრთხის თავიდან აცილების სხვა ხერხი არ უნდა არსებობდეს.**



მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი კიდევ ერთი გარემოება **მართლზომიერი რისკია**. მაგალითად, თუ მამამ შვილი მოძრავი მანქანიდან გადააგდო, რადგან ხედავდა, როგორ ვარდებოდა მანქანა უფსკრულში, თუმცა მანქანა საბოლოოდ არ გადავარდა უფსკრულში, ხოლო მანქანიდან გადაგდებული ბავშვი დაიღუპა, მამა არ აგებს პასუხს დამდგარი შედეგის გამო, რადგან მის მიერ განეული რისკი მართლზომიერია.

### 7. ბრალის ბამომრიცხავი ბარამოებები

დანაშაულის არსებობისთვის საჭიროა მესამე ელემენტის - **ბრალის არსებობაც**. დავუშვათ, რომ პეტრემ განზრახ ესროლა პავლეს, რის შედეგადაც პავლე გარდაიცვალა. პეტრე არ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რაიმე სხვა გარემოებაც. მაგრამ პეტრე არის სულიერად ავადმყოფი და ანგარიშს ვერ უწევს საკუთარ მოქმედებას. ჩაიძინა თუ არა პეტრემ დანაშაული? პასუხი უარყოფითია, რადგან პეტრეს ფსიქიკური მდგომარეობა გამომრიცხავს მის ქმედებაში ბრალის არსებობას. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს **ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხადობა**.

ბრალის არარსებობის კიდევ ერთი პირობა შეიძლება იყოს **შეურაცხადობა ასაკის გამო**. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ამა თუ იმ პირმა სისხლის სამართლის წესით პასუხი შეიძლება აგოს 14 წლის ასაკიდან. მაშასადამე, თუ პეტრემ ჩაიძინა ქმედება, რომელსაც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა დარქმეოდა ქურდობა (ანუ, განზრახ, მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა პავლეს მობილურ ტელეფონს), იგი არ აგებს პასუხს ამ ქმედებისათვის, თუ ის, ქმედების ჩადენის დროისთვის, 14 წელზე მცირე ასაკის იყო.

### 8. დაუმთავრებელი დანაშაული

ზოგჯერ შესაძლებელია დამნაშავემ თავისი განზრახვა ბოლომდე ვერ მიიყვანოს და მას ხელი შეეშალოს დანაშაულის ჩადენაში. უნდა აგოს თუ არა მან პასუხი ამ შემთხვევაში? განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

**პირველი შემთხვევა:** რეზოს ხანგრძლივი მტრობა ჰქონდა გელასთან და გადაწყვიტა მისი თავიდან მოცილება. მან თავის მეგობარ გიორგის მისწერა წერილი და უთხრა, რომ აპირებდა გელას მოკვლას. დაისჯება თუ არა რეზო და რისთვის?

**მეორე შემთხვევა:** გურამმა გადაწყვიტა გაეჭურდა თავისი მეზობლის, გიორგის სახლი. ამისთვის მან მოიპოვა მისი სახლის გასაღები და დაამზადა ასლი. მისი გეგმის შესახებ შეიტყო პოლიციამ და ის დააკავა. დაისჯება თუ არა გურამი და რისთვის?

**მესამე შემთხვევა:** რეზომ გადაწყვიტა მოეკლა გელა. ამისთვის მან მეგობარს გამოართვა სანადირო თოფი და სახლთან ჩაუსაფრდა გელას. რეზომ ესროლა გელას, მაგრამ ააცილა. დაისჯება თუ არა ის და რისთვის?



დავინყოთ იმით, რომ ადამიანის ნებისმიერი მიზანმიმართული საქმიანობა გარკვეულ სტადიებად მიმდინარეობს. დავუშვათ, გადაწყვიტეთ კვერცხის შეწვა. რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის? პირველ რიგში უნდა გადავწყვიტოთ, რომ ჩვენი მი-

იმჯელეთ ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებზე. **კითხვა:** ეთანხმებით თუ არა მათ? პასუხი დაასახუთეთ.



ზანია კვერცხის შენვა; მეორე ეტაპზე აუცილებელია, რომ შევიძინოთ საჭირო მასალები- კვერცხი და ზეთი, მარილი, ასევე, გვქონდეს გაზქურა და ტაფა; მესამე ეტაპზე საჭიროა, რომ ავანთოთ ცეცხლი, გავახუროთ ტაფა, მასზე დავასხათ ზეთი, დავაყაროთ მარილი და დავასხათ კვერცხი. ბოლოს, როდესაც კვერცხი შეინვება, ის უნდა გადმოვიღოთ ტაფიდან და მივირთვათ.

ეს მარტივი მაგალითი, ასევე, ასახავს დანაშაულის განვითარების ეტაპებსაც.

რა ეტაპებს მოიცავს დანაშაული:

**პირველ ეტაპზე** ხდება დანაშაულებრივი განზრახვის ფორმირება; ამ დროს ადამიანი ფიქრობს, ჩაიდინოს თუ არა დანაშაული, რამდენად აქვს ამის შესაძლებლობა, რა შედეგს მიიღებს მისგან და სხვა. საბოლოოდ ის იღებს გადაწყვეტილებას;

**მეორე ეტაპზე**, შესაძლებელია, დამნაშავემ ეს გადაწყვეტილება გამოავლინოს სიტყვიერი ან სხვა ფორმით (თუმცა ეს ყოველთვის არ ხდება), მაგალითად, გაუზიაროს მეგობარს ან შეადგინოს წერილობითი გეგმა;

**მესამე ეტაპზე** ხდება მომზადება დანაშაულის ჩასადენად. მომზადება, როგორც წესი, გულისხმობს პირობების შექმნას, იარაღისა და სხვა საშუალებების შექმნას და ა.შ.;

**მეოთხე ეტაპზე** ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენის მცდელობას, ანუ ეს არის უკვე მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად;

**მეხუთე ეტაპზე** გვაქვს დასრულებული დანაშაული.

დანაშაულის მომზადებას და მცდელობას კანონი განმარტავს შემდეგნაირად:

- „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“.
- დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა, უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

ისმის კითხვა, დანაშაულებრივი ქცევის განვითარების რა ეტაპიდან შეიძლება დაისაჯოს პირი?

ლოგიკა და ყოველდღიური გამოცდილება გვკარნახობს, რომ განზრახვის ფორმირების ან განზრახვის გამოვლენის ეტაპზე, ალბათ, არაფერ უნდა დაისაჯოს. თავისუფალ საზოგადოებაში აზრის გამოთქმა, როგორც საზიანოც არ უნდა იყოს ის, ზოგადად არ ისჯება.

**დანაშაულის მომზადება ან მცდელობის დასჯადობა.** საქართველოს კანონმდებლობით ისჯება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება (ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება არ ისჯება). ხოლო, რაც შეეხება მცდელობას, ის ყველა შემთხვევაში ისჯება. ჩვენს მოყვანილ მაგალითებს თუ გადავხედავთ, პირველ შემთხვევაში მოქმედ პირს ვერ დავსჯით, ვინაიდან მისი მოქმედება არ გასცდენია განზრახვის გამოვლინების სტადიას. მეორე და მესამე შემთხვევაში კი დაისჯება, ვინაიდან მეორე შემთხვევაში სახეზე გვაქვს მძიმე (ქურდობა ბინაში შეღწევით) დანაშაულის მომზადება, ხოლო მესამე შემთხვევაში - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის (მკვლელობა) მცდელობა.

როგორც ვხედავთ, ადამიანი, რაც უფრო უახლოვდება დანაშაულის დამთავრებას, მით უფრო მკაცრად ექცევა მას კანონი.

**საინტერესოა, ასევე, იმის აღნიშვნა, რომ დანაშაულებრივი განზრახვის სიტყვიერი გამოვლინება, რომელიც ერთი შეხედვით „უწყინარია“, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია დაისაჯოს კიდევ.** მაგალითად, თუ პეტრე ნააქეზებს პავლეს ქურდობის ჩასადენად, ეს იქნება არა უბრალოდ აზრის გამოხატვა, არამედ ნაქეზება, დანაშაულში თანამონაწილეობა, რაც კანონით ისჯება (იხ. ქვემოთ). ასევე, თუ მე



მოვუნოდე საზოგადოებას, რომ ქუჩაში იარაღით გამოვიდეს და დაამხოს ხელისუფლება, ეს იქნება არა განზრახვის უბრალო გამოვლინება, არამედ მონოდება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ (რომელიც ისჯება კანონით), ასევე, კანონით დასჯადია სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების განადგურების მუქარა, როდესაც დაზარალებულს უჩნდება მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

ჩნდება კითხვა, რატომ უნდა ისჯებოდეს დაუმთავრებელი დანაშაული, რომელიც საზიანო არ იყო საზოგადოებისათვის?

ჩვენ თუ შევხედავთ სასჯელის მიზნებს (იხ. ქვემოთ) გავიხსენებთ სასჯელის მიზნებს, ვნახავთ, რომ სამართლიანობის აღდგენის მიზანი ამ შემთხვევაში ნაკლებად გამოგვადგება, ვინაიდან საზოგადოებას ზიანი არ მიუღია. სამაგიეროდ, სასჯელი გამართლებულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეს გამოსწორების მიზნით. დაუმთავრებელი დანაშაული რომ არ ისჯებოდეს კანონით, პოლიცია ვერ შეიძლება ჩარევასა და დანაშაულის შეწყვეტას, ხოლო დამნაშავეს ექნებოდა განმეორებითი მცდელობის და წარმატებით დაგვირგვინების შესაძლებლობა. ამიტომ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა სრულ შესაბამისობაშია სასჯელის მიზნებთან.

**არის ერთი შემთხვევა, როდესაც ადამიანი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისთვის პასუხს არ აგებს, თუკი თავისი უმეცრებისა ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო, დანაშაულის ჩასადენად იყენებს ისეთ საშუალებას, რომლითაც არ შეიძლება მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.**

მაგალითად, თუ პეტრეს სურს მიწის ზედაპირიდან 2000 მეტრზე მფრინავი თვითმფრინავის ჩამოგდება შურდულით, რადგან ჰგონია (გონებრივი ნაკლის გამო), რომ შურდულით შეიძლება მიზნის მიღწევა, ან თუ პეტრე პავლეს მოსაკლავად ჭიქაში უყრის თავის ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებას, რადგან ჰგონია, რომ ამით შეიძლება მოკლა კაცი, ასეთ შემთხვევაში პეტრეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.



განსხვავებული შემთხვევა იქნება, თუ პეტრე თვითმფრინავს რაკეტას დაუმიზნებს და გამშვებ ლილაკს თითს დააჭერს, მაგრამ რაკეტა არ გავარდება ხარვეზის გამო, რომლის შესახებაც პეტრემ არაფერი იცოდა. ასევე, განსხვავებული შემთხვევა იქნება, თუ პეტრეს სანამლავიანი და ჩვეულებრივი წყლით სავსე სასმისი ერთმანეთში აერევა და პავლეს სანამლავის მაგივრად ჩვეულებრივ წყალს დააღვინებს. ორივე შემთხვევაში ის დაისჯებოდა დანაშაულის მცდელობისათვის, რადგან ასეთ შემთხვევაში მიზანი მხოლოდ მისი შეცდომის გამო ვერ არის მიღწეული და არა მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო.

მას შემდეგ, რაც პირის საქმიანობა გადაიზრდება დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაში, კანონი მაინც უტოვებს მას შანსს, რომ თავიდან აირიდოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. კერძოდ, პირი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ მან დანაშაულის დამთავრებამდე "ნებაყოფლობით და საბოლოოდ"

აილო ხელი. თუ ადამიანი დანაშაულის დამთავრების შემდეგ შეეცდება მისი შედეგების გამოსწორებას, ეს იქნება არა პასუხისმგებლობის გამომრიცხავი, არამედ შემამსუბუქებელი გარემოება.

9. დანაშაული თანამონაწილეობა

დანაშაული ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს, როგორც მარტომ, ასევე სხვა პირებთან ერთად. როდესაც დანაშაულს რამდენიმე ადამიანი ერთად ჩადის, ქმედების საშიშროება იზრდება, როგორც ამბობენ "ძალა ერთობაშია" (სამწუხაროდ, ეს გამოთქმა დანაშაულის ჩადენის დროსაც ამართლებს). ამიტომ ზოგ შემთხვევაში კანონი დანაშაულის ჩადენას პირთა ჯგუფის მიერ უფრო მკაცრად სჯის, ვიდრე ერთი პირის მიერ.

რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ერთობლივად განხორციელების დროს შეიძლება ყველა ერთად, უშუალოდ ჩადიოდეს კანონში აღწერილ ქმედებას ან ადგილი ჰქონდეს გარკვეული როლების დანაწილებას, მაგალითად, ერთმა წააქეზა მეორე ბინის ქურდობის ჩასადენად, მეორემ მოიტანა კიბე და მიადგა საცხოვრებელ სახლს, მესამე იდგა სადარაჯოზე, რომ მოულოდნელად სახლის პატრონი არ გამოჩენილიყო, ხოლო მეოთხე - უშუალოდ ავიდა კიბეზე და გაქურდა სახლი. აქ შეიძლება იყოს მეხუთე, რომელმაც ორგანიზება გაუწია ყველაფერს.

როდესაც ყველა მოქმედი პირი ერთობლივად ახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას, ადგილი აქვს **თანამსრულებლობას**. ხოლო, როდესაც მათ შორის როლები დანაწილებულია, ზემოთ აღწერილი მაგალითის მიხედვით, სახეზე გვაქვს **თანამონაწილეობა**.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არის ასეთი ტიპის დანაშაული უფრო საშიში, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილი? პასუხი დაასაბუთეთ.



საინტერესოა ის, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ დანაშაულის დამთავრებამდე. მაგალითად, თუ ზემოთ აღწერილ მაგალითში ვინმე დაუკავშირდება დამნაშავეებს და მათგან შეიძენს მოპარულ ნივთებს (იცის რა, რომ ნივთები მოპარულია), ან დროებით გადაამალავს ამ ნივთებს საკუთარ სახლში, ის არ იქნება ქურდობის თანამონაწილე (რადგანაც ქურდობა უკვე დასრულებულია), არამედ პასუხს აგებს დამოუკიდებელი დანაშაულისთვის.

აქ უმთავრესია გავითვალისწინოთ ის, რომ თანამონაწილე თავისი ქმედებით ხელს უნდა უწყობდეს დანაშაულის განხორციელებას. შეუძლებელია იმის ხელის შეწყობა, რაც უკვე განხორციელდა. ამიტომ წინასწარ შეუპირებული დაფარვა არ ითვლება თანამონაწილეობად.

თანამონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონში მითითებული სახით. ნებისმიერი სახის კავშირი დანაშაულთან არ იქნება თანამონაწილეობა. მაგალითად, ტელევიზორში ვნახე, რომ შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა გაძარცვა რომელიღაც ბანკის ფილიალი. ეს ამბავი ძალიან მომეწონა და ტაშიც დავეუკარი. არის თუ არა ეს თანამონაწილეობა? რასაკვირველია, არა, ვინაიდან მხოლოდ ფსიქოლოგიური კავშირი დანაშაულთან ვერ ჩაითვლება თანამონაწილეობად.

არც მხოლოდ ფაქტობრივი ან ფიზიკური კავშირი ჩაითვლება დანაშაულში თანამონაწილეობად. მაგალითად, მე მეზობელს მივაქირავე ბინა, რომელმაც ის გამოიყენა ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებლად, მეგობარს ვათხოვე სანადირო თოფი, რომელიც გამოიყენა კაცის მოსაკლავად, ბიძაშვილს ვასესხე ფული, რომელიც მან გამოიყენა ნარკოტიკების შესაძენად და ა. შ. თუ მე არ მაქვს შესაბამისი დანაშაულის ჩადენის განზრახვა, ვერ ჩაითვლება დანაშაულის თანამონაწილედ.

მამასადამე, იმისთვის, რომ პირი ვცნოთ დანაშაულში თანამონაწილედ, აუცილებელია სახეზე გვქონდეს მინიმუმ ორი პირობა: ის დანაშაულში უნდა მონაწილეობდეს კანონით დადგენილი ფორმით (ნაქეზება, დახმარება, ორგანიზატორობა) და მას უნდა ჰქონდეს დანაშაულში მონაწილეობის განზრახვა.

დანაშაულში თანამონაწილეობა შეიძლება სულ სამი ფორმით: ნამქეზებლის, ამსრულებლის ან ორგანიზატორის სახით.

- ნამქეზებელია ის, ვინც სხვას დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად;
- დამხმარეა ის, ვინც ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩადენას;
- ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის განხორციელებას.

**ერთმანეთისგან განასხვავებენ ფიზიკურ და ინტელექტუალურ დამხმარეს.** ფიზიკური დამხმარე ამსრულებელს ეხმარება ფიზიკურად, იარაღისა და საშუალებების მიწოდებით და ა.შ. ხოლო ინტელექტუალური დამხმარე ამსრულებელს ეხმარება ფსიქიკურად, ის აძლევს მას რჩევებს და განამტკიცებს მის განზრახვას.

**მნიშვნელოვანია, ასევე, ერთმანეთისგან გავარჩიოთ თანამონაწილე და ამსრულებელი.** ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩადის დანაშაულს, ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც ნამქეზებლის, დამხმარის ან ორგანიზატორის სახით მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში.

თანამონაწილის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. როგორც წესი, თანამონაწილე და ამსრულებელი ერთი და იმავე დანაშაულისთვის ისჯება, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, თუ მე წავაქეზე ადამიანს, რომ ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ ის არ ჩაიდენს, მე დავისჯები ამ დანაშაულის მომზადებისთვის, თუ ის ჩაიდენს სხვა, უფრო მძიმე დანაშაულს, ის დაისჯება ამ მძიმე დანაშაულისთვის, ხოლო მე დავისჯები კვლავ იმ დანაშაულის მომზადებისთვის, რისთვისაც წავაქეზე.

ბოლოს, საინტერესოა, როგორ შეიძლება, თანამონაწილემ ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. კანონის მიხედვით, თანამონაწილემ თავისი აქტიური ქმედებით თავიდან უნდა აიცილოს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა (მაგალითად, გადაარწმუნოს ამსრულებელი, შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს, ხელი შეუშალოს ამსრულებელს და სხვ). ამ წესიდან გამონაკლისია ფიზიკური დამხმარე, რომელსაც ასევე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ამსრულებელმა დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა, შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ან უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გაცემული იარაღი ან საშუალება.

## 10. სასჯელი

### 10.1. რა არის სასჯელი?

**სასჯელი არის სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იძულების ღონისძიება, რომელიც შეეფარდება დამნაშავეს.** ჩვენ, ალბათ, ხშირად გავვიგონია გამოთქმა: „ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა . . . ვადით“.

სასჯელი ზოგადად გულისხმობს დამნაშავესთვის უსიამოვნების მიყენებას. თუ დამნაშავეს ჩადენილი საქციელისთვის სასიამოვნო შედეგებს დავაკისრებთ, მაშინ ის სასჯელად არ ჩაითვლება. მაგალითად, დავუშვათ პავლემ მეზობელს მოჰპარა 100 ლარი. თუ ჩვენ მას მივცემთ 1000 ლარს, რათა მომავალში აღარ მოიპაროს, პავლემ შესაძლებელია მომავალში, მართლაც, აღარ მოიპაროს ფული (თუმცა ნაკლებად სავარაუდოა), მაგრამ ჩვენი პასუხი პავლეს ქმედებაზე სასჯელად არ ჩაითვლება.

სასჯელს, ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო ურთიერთობებშიც იყენებენ. მაგალითად: მშობელი სჯის ბავშვს, მასწავლებელი - მოსწავლეს და ა. შ. მაგრამ სასჯელს, როგორც სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას, მხოლოდ სახელმწიფო იყენებს და ადამიანის ამა თუ იმ უფლების ჩამორთმევასთან/შეზღუდვასთან არის დაკავშირებული.

სასჯელის არსებობა აუცილებლად რაიმე მიზნით უნდა იყოს გამართლებული. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ორმაგად დაზარალებდა: დაზარალებდა ჩადენილი დანაშაულის შედეგად და ასევე, სასჯელის გამო განეული ხარჯის შედეგად (წარმოიდგინეთ, რამდენ ხარჯთან არის დაკავშირებული ციხეში პატიმრების შენახვა).

უძველესი დროიდან სასჯელის არსებობას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: **სამართლიანობის აღდგენითა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებით.** განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამბობს, რომ სასჯელის ერთ - ერთი მიზანი სამართლიანობის აღდგენაა.

რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა?

დავუშვათ, პავლემ მოიპარა პეტრეს ავტომანქანა, ხოლო შემდეგ დაუდევარი მართვის შედეგად დააზიანა და გამოუსადეგარი გახადა. გასაგებია, რომ პეტრემ პავლეს მანქანის საფასური უნდა გადაუხადოს, მაგრამ რამდენად აუცილებელია, რომ პეტრე დაისაჯოს სისხლისსამართლებრივი წესით, ანუ დაეკისროს ჯარიმა ან სულაც თავისუფლების აღკვეთა?

როგორც ძველი დროის მოაზროვნეები, ასევე, XVIII - XIX საუკუნეების განმანათლებლები ფიქრობდნენ, რომ სასჯელი აღადგენს იმ მორალურ წონასწორობას, რომელსაც არღვევს დანაშაული. სასჯელი არის ის, რასაც იმსახურებს დამნაშავე.

საზოგადოებაში გამჯდარი წარმოდგენების მიხედვით, სასჯელი გულისხმობს სამართლიანობის აღდგენას. გავიხსენოთ ქართული ხალხური ზღაპარი „კომბლე“. კომბლემ თავისი წართმეული ძროხა არა მხოლოდ დაიბრუნა, არამედ ძროხის წართმევი დასაჯა კიდეც<sup>1</sup>. ამის შემდეგ ზღაპარი დასრულდა სიტყვებით - „სამართალმა პური ჭამა“.

სასჯელის ეს დასაბუთება უძველეს პრინციპში - „ტალიონის პრინციპშიც“ პოვებს თავის გამოძახილს. „თვალი თვალის ნილ - კბილი კბილის ნილ“ - ამბობდნენ წინაპრები. „ტალიონის პრინციპის“ მიხედვით, დამნაშავემ თავის თავზე უნდა განიცადოს ის ზიანი, რაც მიაყენა საზოგადოებას. შესაბამისად, სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.

სასჯელის მეორე მიზანი სარგებლიანობის პრინციპს ეფუძნება. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასჯელი იყოს საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი ღონისძიება. სასჯელის ამ მიზნებს „უტილიტარულ“ მიზნებსაც უწოდებენ (ლათინური სიტყვიდან **utile** - სასარგებლო).

1 თუმცა, ეს არ არის „სასჯელი“ სამართლებრივი გაგებით

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ აქვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ სახელმწიფოს?

აქედან გამომდინარე, სასჯელი არ უნდა გავიგოთ, როგორც შურისძიების ან სამაგიეროს გადახდის იარაღი. სასჯელი არის სახელმწიფოს ხელში არსებული ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლითაც ხელს უწყობს მართლწესრიგის უზრუნველყოფას.

როგორ შეიძლება სასჯელი საზოგადოებისთვის სასარგებლო იყოს? პასუხი შედარებით მარტივია: დანაშაული არის საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი, ხოლო სასჯელი თავიდან გვაცილებს დანაშაულს. ეს ხდება შემდეგნაირად:

ცნობილია, რომ ადამიანები გაურბიან უსიამოვნებას, შესაბამისად, თუ დანაშაულის ჩადენა აუცილებლად იწვევს სასჯელის დაკისრებას, დამნაშავე აღარ შეეცდება, რომ მომავალში დანაშაული გაიმეოროს და ასევე, გაფრთხილდება სხვაც, რომელიც დაინახავს, თუ რა შედეგი მოჰყვა დანაშაულის ჩადენას.

სასჯელი, ასევე, მიზნად ისახავს დამნაშავეს გამოსწორებასაც. ჯერ ერთი, ის თავად დამნაშავეს აძლევს დაფიქრების საშუალებას, რომ მიხვდეს, თუ რა ზიანი მიაყენა საზოგადოებას. მეორეც, სასჯელის მოხდის დროს სახელმწიფო უნდა შეეცადოს, რომ პიროვნებაში აღმოფხვრას დანაშაულისკენ სწრაფვა (სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამით, პროფესიის დაუფლებით, დასაქმების პროგრამებით და ა.შ.)

მაშასადამე, თუ სამართლიანობის აღდგენის მიზანი წარსულისკენ არის მიმართული და „გამრუდებულის გასწორებას“ გულისხმობს, სარგებლიანობის მიზანი მომავლისკენ იხედება და გულისხმობს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

**10.2. სასჯელთა სახეები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელის გამოყენება მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას. სასჯელი აუცილებლად გულისხმობს დამნაშავესთვის გარკვეული უფლებების შეზღუდვას. მაგალითად, ზოგი სასჯელი ზღუდავს მსჯავრდებულის პირად თავისუფლებას (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვა), ზოგი ზღუდავს ქონებრივ უფლებებს (მაგალითად: ჯარიმა, ქონების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაო), ზოგი ართმევს სპეციალურ უფლებებს (მაგალითად: თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა).

კანონიერების პრინციპი გვეუბნება, რომ დამნაშავეს არ შეიძლება შეეფარდოს ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით.

კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახეებია:

**ა. თავისუფლების აღკვეთა**

**თავისუფლების აღკვეთა არის მსჯავრდებულის იზოლაცია საზოგადოებისგან და თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოთავსება. ის შეიძლება იყოს**



**როგორც ვადიანი, ასევე, უვადო.** ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება 6-თვიდან 20 წლამდე. დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს, შეიძლება, დაინიშნოს 30-40 წლამდე ვადით. უვადო თავისუფლების აღკვეთა ინიშნება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის. უვადო თავისუფლების აღკვეთა მაინც არ ნიშნავს, რომ მსჯავრდებული მთელ თავის სიცოცხლეს აუცილებლად ციხეში გაატარებს. სასჯელის მოხდის დაწყებიდან 25 წლის გასვლის შემდეგ, კარგი ყოფაქცევის შემთხვევაში, ის შეიძლება გაათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან;

**ბ. თავისუფლების შეზღუდვა**

თავისუფლების შეზღუდვა, თავისუფლების აღკვეთისგან განსხვავებით, არ გულისხმობს მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციას, არამედ ის მოთავსებულია თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში და გარკვეული დროის მონაკვეთში შეზღუდული აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება, თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება განისაზღვროს 5 წლის ვადით;

**გ. ჯარიმა**

ჯარიმა არის ფულადი თანხა, რომელსაც იხდის ბრალდებული სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ჯარიმის მინიმალური ოდენობა 500 ლარია. ჯარიმის დანიშვნის დროს სასამართლო, დანაშაულის სიმძიმესთან ერთად, ასევე ითვალისწინებს მსჯავრდებულის ქონებრივ მდგომარეობას;

**დ. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა**

ეს სასჯელი მოითხოვს მსჯავრდებულისგან უსასყიდლო შრომას, რომლის სახესაც განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. ის ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს. თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს შრომაზე ან ჯიუტად თავს არიდებს მას, შეიძლება, სასჯელი შეეცვალოს თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით;

**ე. გამასწორებელი სამუშაო**

გამასწორებელ სამუშაოს მსჯავრდებული ასრულებს საკუთარ სამუშაო ადგილას. მას ყოველთვიურად ექვითება ხელფასი ხუთიდან ოც პროცენტამდე და ირიცხება სახელმწიფოს ბიუჯეტში. გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით;



**ვ. ქონების ჩამორთმევა**

ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთის ან დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების უსასყიდლო ჩამორთმევას სახელმწიფოს სასარგებლოდ;

## 8. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

ხშირია შემთხვევა, როცა პირი თავის თანამდებობას ან საქმიანობას (მაგალითად, სამედიცინო საქმიანობას) იყენებს დანაშაულის ჩასადენად. სასჯელის ეს სახე მიზნად ისახავს ალუკვეთოს მსჯავრდებულს ამის შესაძლებლობა ან მოახდინოს მისი უფლებრივი შეზღუდვა, რომელიც ემსახურება სასჯელის მიზნებს. სასჯელის ეს სახე ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით;

## თ. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა

სასჯელის ეს სახე გამოიყენება მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ. ამ სასჯელის მოხდის დროს მსჯავრდებულს ექვეითება ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არა უმეტეს 20 პროცენტისა. ასევე, არ შეიძლება მისი დანიშნულება და სამხედრო წოდების მომატება.

## 11. სალკაული დანაშაულები

სისხლის სამართლის კოდექსი შედგება **ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისგან**. ზოგად ნაწილში განერილია ზოგადი დებულებები და პრინციპები, რომლებიც საერთოა ყველა დანაშაულისთვის (მაგალითად: დანაშაულის მომზადება, მცდელობა, თანამონაწილეობა, სასჯელის სახეები და სხვ.), ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში გადმოცემულია ცალკეული დანაშაულები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ 359 სახის დანაშაული. იმის მიხედვით, თუ რას ხელყოფს ესა თუ ის დანაშაული, ისინი დაჯგუფებულია კარებად: მაგალითად, მეშვიდე კარია დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ; მერვე კარი - დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ; მეცხრე კარი დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. თითოეული კარი, ასევე, შედგება თავებისგან. მაგალითად, ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოიცავს შემდეგ თავებს: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ; დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა; დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ.

თითოეული დანაშაული შეიძლება გადმოცემული იყოს, როგორც ტიპური ფორმით, ასევე, დამამძიმებელი (კვალიფიციური შემადგენლობა) ან შემამსუბუქებელი (პრივილეგირებული შემადგენლობა) გარემოებების თანხლებით. მაგალითად, განზრახ მკვლელობა ტიპური შემადგენლობის სახით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და ისჯება შვიდიდან თხუთმეტ წლამდე; ხოლო განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (მაგალითად: განზრახ მკვლელობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის, ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით ან ჩადენილი ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას), ისჯება თავისუფლების აღკვეთით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უცარი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (პრივილეგირებული შემადგენლობა), ისჯება თავისუფლების აღკვეთით, გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

განვიხილოთ რამდენიმე გავრცელებული სახის დანაშაული, როგორიცაა: ქურდობა, სხეულის განზრახ დაზიანების შემადგენლობები და ნარკოტიკული დანაშაულები.

### 11.1. ქურდობა

ქურდობა კოდექსით განმარტებულია, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ქურდობა უნდა განვასხვაოთ ძარცვისგან, რომელიც არის სხვისი ქონების „აშკარა“ დაუფლება. ანუ, თუ ნივთის დაუფლება ხდება დაზარალებულის ან სხვა ადამიანების თვალწინ, მაშინ გვექნება არა ქურდობა, არამედ ძარცვა. ძარცვის დროს შესაძლებელია, ასევე, გვექონდეს ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელო-

ქურდობა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობა ისჯება ხუთ, შვიდ და ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. დამამძიმებელი გარემოებებია, მაგალითად, ქურდობა ჩადენილი სადგომში ან საცავში, ან ბინაში შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი დიდი ოდენობით, ა. შ.

მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, ისჯება ცხრიდან თორმეტ წლამდე, ხოლო გაუფრთხილებელი დაზიანება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

ამ ქმედებებისთვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა ვადით თერთმეტ წლამდე. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების დამზადება, შენახვა, გადაზიდვა ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადოდ. კანონი ნაკლებად მკაცრად ექცევა ნარკოტიკების მომხმარებელს. კერძოდ, მცირე ოდენობის ნარკოტიკების პირველადი მოხმარებისთვის პირს ეკისრება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო განმეორებითი მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა - ჯარიმა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით.

ბისთვის ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. თუ გამოყენებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა, მაშინ გვექნება არა ძარცვა, არამედ ყაჩაღობა. მაშასადამე, ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის დროს დამნაშავეს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებს - ქონების დაუფლება. მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება გამოყენებული მეთოდით. ქურდობის დროს გვაქვს ნივთის ფარული, ხოლო ძარცვის დროს - აშკარა დაუფლება, ყაჩაღობის დროს კი გამოყენებულია ძალადობა, რომელიც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის.

### 11.2. ჯანმრთელობის დაზიანება

დაზიანების ხარისხის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ ჯანმრთელობის სამი სხვადასხვა ხარისხის დაზიანებას: მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქ დაზიანებას.

ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება არ ისჯება, ისჯება მხოლოდ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანება. ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება გვექონდეს როგორც კვალიფიციური, ასევე პრივილეგიებული შემადგენლობების სახით. სასჯელის სიმძიმე დამოკიდებულია იმაზე, დაზიანება ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, დამამძიმებელი გარემოებით თუ მათ გარეშე.

### 11.3. ნარკოტიკული დანაშაული

**ნარკომანია არის საშინელი სენი, რომელიც განადგურებით ემუქრება ყველაზე ძვირფას ადამიანურ ღირებულებებს - სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე, მორალს, ზნეობას და მთლიანად საზოგადოებას.** სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დანაშაულთა აღმოფხვრას. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსში ნარკოტიკულ დანაშაულს ცალკე თავი აქვს დათმობილი. დასჯადად არის გამოცხადებული ნარკოტიკული საშუალების ცირკულაციის ყველა რგოლი, მისი წარმოებიდან მოხმარებამდე. კერძოდ, კოდექსი დასჯადად აცხადებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო წარმოებას, შენახვას, გადაზიდვას, გასაღებას, მოხმარებას და ასევე, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობას. განსაკუთრებით მკაცრად ისჯება ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შენახვა, გადაზიდვა ან გასაღება.





## 1. რა არის სისხლის სამართლის პროცესი?

სასჯელის მუქარა აზრს დაკარგავს, თუ ის არ შესრულდა. წარმოვიდგინოთ, რომ პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის კოდექსი, სადაც აღწერილია ყველა დანაშაული და სასჯელი. საზოგადოების დიდ ნაწილს შეგნებული აქვს, რომ დანაშაული არის ცუდი და არ უნდა ჩაიდინოს, მაგრამ არის საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელსაც აქვს დანაშაულის ჩადენის ცდუნება. თუ სახელმწიფომ არ გამოავლინა და არ დასაჯა დანაშაულის ჩამდენი პირები, მათი რაოდენობა თანდათან გაიზრდება და საბოლოოდ შეიძლება, კანონმორჩილ მოქალაქეებსაც გაუჩნდეთ იმის განცდა, რომ დანაშაულის ჩადენა არცთუ ისე ცუდია და საჭიროების შემთხვევაში, ეს შეიძლება.

ეს მაგალითები ადასტურებს იმას, რომ სისხლის სამართლის ნორმების არსებობა აზრს დაკარგავს, თუ არ მოხდა მათი შესრულება, რაც სისხლის სამართლის პროცესის მეშვეობით ხდება.

დანაშაული არის მოვლენა, რომელიც თავის კვალს ტოვებს სამყაროში და ამიტომ შესაძლებელია მისი გახსნა, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა. ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულის გახსნა შედარებით რთულია, ხოლო ზოგის კი - შედარებით ადვილი. დანაშაულის გახსნის მეთოდებს **კრიმინალისტიკა** შეისწავლის, ხოლო სისხლის სამართლის პროცესი, ამ (და სხვა) საკითხების სამართლებრივი მხარით არის დაინტერესებული.

**სისხლის სამართლის პროცესი არეგულირებს საქმის მიმდინარეობას გამოძიების დაწყებიდან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, მისი გასაჩივრების და განაჩენის აღსრულების ცალკეული საკითხების ჩათვლით.**

სანამ განვიხილავთ პროცესის კონკრეტულ სტადიებს, აუცილებელია ვიცოდეთ რამდენიმე ძირითადი საკითხი, როგორცაა: ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის პროცესის მთავარი პრინციპები, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირები, მტკიცებულებები და აღკვეთის ღონისძიებები.


## 2. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში

წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე მოხდა ყაჩაღობა, რომლის დროსაც ნიღბიანი ბოროტმოქმედები შეიჭრნენ ბანკში და გაიტაცეს ერთი მილიონი ლარი. პოლიციის უფროსმა გადაწყვიტა, რომ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სწრაფად გამოიძიოს საქმე და მიაგნოს დამნაშავეებს. ამ მიზნით, პოლიციამ ჩაატარა სატელეფონო მოსმენა და მოუსმინა თბილისის ფარგლებში ყველა სატელეფონო საუბარს. მოსმენის შედეგად გამოვლინდა ორი უცნობი მამაკაცის საუბარი, სადაც ნახსენები იყო, რომ ყაჩაღობის შედეგად მოპოვებული თანხა ინახება ვარკეთილში მდებარე საცხოვრებელი სახლის სხვენში. თანხის ამოსაღებად, პოლიციამ გაჩხრიკა ვარკეთილის მიკრორაიონში არსებული ყველა საცხოვრებელი სახლი. ამ ღონისძიებების შედეგად, ერთ - ერთი სახლიდან ამოიღეს თანხა და დააკავეს ერთი ეჭვმიტანილი. პოლიციამ ის დაკითხა, მაგრამ მან უარი განაცხადა თანამონაწილეების დასახელებაზე. ამის შემდეგ პოლიციამ მის მიმართ გამოიყენა იძულება - მიმართა წამების სხვადასხვა ხერხს. ბრალდებულმა წამებას ვერ გაუძლო და თანამონაწილეები დაასახელა.



მისი ჩვენების საფუძველზე, პოლიციამ დააკავა შვიდი თანამონაწილე, რომლებმაც ნებაყოფლობით აღიარეს დანაშაული. დანაშაული წარმატებით იქნა გახსნილი.

ეს უცნაური მაგალითი ჩვენ გვაჩვენებს იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესში არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესი - დანაშაულის გახსნის ინტერესი და ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესი (თუმცა ეს ორი ინტერესი ყოველთვის არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს). მოცემულ მაგალითში ვხედავთ, რომ დანაშაული გაიხსნა, მაგრამ მასობრივად დაირღვა ადამიანის უფლებები.



მართალია, კანონი ადგენს, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ევალებათ დანაშაულის გახსნა, დამნაშავის გამოვლენა და გასამართლება, მაგრამ ამ პროცესში დაუშვებელია ადამიანის უფლებათა ხელყოფა. არის უფლებები, რომელთა შეზღუდვა საერთოდ არ შეიძლება. მაგალითად, ადამიანის ნამება აკრძალულია ყველა შემთხვევაში. **არის უფლებები, რომლებიც შეიძლება შეზღუდოს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ უფლებების შეზღუდვაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.** მაგალითად, ადამიანის დაპატიმრება, ჩხრეკა, სატელეფონო საუბრების მოსმენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. სასამართლო არის გარანტი იმისა, რომ არ მოხდეს ადამიანის თავისუფლების, პირადი ცხოვრების უფლების და სხვა უფლებების შეზღუდვა უსაფუძვლოდ და კანონის დარღვევით. სასამართლო სანქციას გასცემს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, კონკრეტულ პირთა მიმართ და არა პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, როგორც წინა მაგალითში იყო აღნიშნული.

სისხლის სამართლის პროცესში დაცული ადამიანის უფლებათა ნაწილი ეხება ყველას, თავისი სტატუსის მიუხედავად. ხოლო ნაწილი არის ე.წ. პროცესუალური უფლებები. მაგალითად, ბრალდებულს აქვს უფლება, რომ იცოდეს, რაში ედება ბრალი, იყოლიოს ადვოკატი, გაეცნოს საქმის მასალებს, გამოიძახოს და დაკითხოს საკუთარი მოწმეები, წარმოადგინოს მტკიცებულებები.

ფუნდამენტურ საპროცესო უფლებებს ითვალისწინებს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია. მათი დარღვევის შემთხვევაში პირს უფლება აქვს, მიმართოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და მოითხოვოს სახელმწიფოსგან ზიანის ანაზღაურება.

იხილეთ თავი ადამიანის უფლებების შესახებ. აბსოლუტური და შეზღუდული უფლება.

### 3. სისხლის სამართლის პროცესის რამდენიმე მთავარი პრინციპი

#### 3.1. უდანაშაულობის პრინციპი

მხირად გვემენია უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ, მაგრამ ბევრმა არ იცის, ზუსტად რას გულისხმობს ის. კანონის განმარტებით, პირი უდანაშაულოდ ითვლება სანამ მას დამნაშავედ არ ცნობს სასამართლო. ანუ, გამამტყუნებელი განაჩენის დადგომამდე არავის აქვს უფლება ადამიანი დამნაშავედ მოიხსენიოს, სანამ მას ასეთად ცნობს სასამართლო.

პირის დამნაშავეობას ამტკიცებს ბრალდების მხარე - პროკურორი და გამოძიებელი. თავად ბრალდებულს არ ევალება, ამტკიცოს, რომ ის უდანაშაულოა, ვინაიდან ისედაც უდანაშაულოდ ითვლება. მიუხედავად ამისა, ვინაიდან პროცესი შეჯიბრებითია (როგორც შემდგომში ვნახავთ), სასურველია, რომ ბრალდებულმა (ადვოკატის დახმარებით) ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ უდანაშაულო პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი და ადგილი ჰქონდეს მართლმსაჯულების ხარვეზს.

#### 3.2. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრობითობა

**სისხლის სამართლის პროცესში გვყავს ორი მხარე: ბრალდება და დაცვა. ორივე მხარე ცდილობს, დაამტკიცოს თავისი სიმართლე:** პროკურორი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა, ხოლო ბრალდებული და მისი დამცველი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ბრალდებულს დანაშაული არ ჩაუდენია ან ჩაიდინა შემამსუბუქებელ გარემოებებში და იმსახურებს მსუბუქ სასჯელს ან სასჯელისგან გათავისუფლებას. პროცესი შეჯიბრებითია და ორივე მხარეს, მეტ-ნაკლებად, თანაბარი უფლებები გააჩნია. მათ შეუძლიათ, წარმოადგინონ მტკიცებულებები, გაეცნონ მონინაალმდეგე მხარის მასალებს, გამოიძახონ და დაკითხონ მოწმეები, დანიშნონ ექსპერტიზა, დააყენონ შუამდგომლობები სასამართლოს წინაშე.



#### 3.3. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი გაასამართლეს, გამოუცხადეს განაჩენი და სასჯელი მიუსაჯეს საზოგადოების დასწრების გარეშე. საინტერესოა, მაგრამ ფაქტია, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში, ძირითადად, სწორედ ასეთი პროცესები იყო გავრცელებული. საჯარო საქმის განხილვის პრინციპის ფართო გავრცელება მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეებს ეკუთვნის და დღეისთვის ის მართლმსაჯულების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად არის აღიარებული.

საქმის განხილვის საჯაროობა და ზეპირობა დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. სხდომაზე საზოგადოების დასწრება მხოლოდ მაშინ შეიძლება აიკრძალოს, თუ მისი საჯაროობით ზიანი ადგება კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან

არსებობს გარკვეული გადახვევები მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან: მაგალითად, მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება განახორციელოს იძულებითი ღონისძიებები, როგორცაა: -ბრალდებულის დაკავება, ჩხრეკა, ამოღება. ეს გასაგებია, გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდების მტკიცების ტვირთი მხოლოდ პროკურორს ეკისრება და მეორე მხრივ, ის ახორციელებს საჯარო ძალაუფლებას. გამოძიების საჭიროებიდან გამომდინარე, პროკურორს კანონი აძლევს უფლებას, ჩაერიოს ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებში და თავისუფლებებში, ოღონდ მხოლოდ სასამართლოს ნებართვით და სასამართლოს კონტროლქვეშ.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი სასამართლო სხდომის საჯაროდ ჩატარება და ზეპირი გამოსვლები სასამართლო პროცესზე?

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავარჩიოთ ბრალდებული და მსჯავრდებული / გამართლებული. განაჩენის გამოტანამდე პირი ბრალდებულია, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ ის ან მსჯავრდებულად ან გამართლებულად იქცევა.

**კითხვა:** ეთანხმებით, თუ არა დაზარალებულის სტატუსის ამგვარ განსაზღვრას? პასუხი დაასაბუთეთ.

ინტერესს. საქართველოს კანონმდებლობით ეს ინტერესია: სახელმწიფო საიდუმლოება, ასევე, პირადი და კომერციული საიდუმლოება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და ა. შ. სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.

მონმემ ჩვენება უშუალოდ და ზეპირად უნდა მისცეს სასამართლოს. მისი ჩვენების ჩანაწერის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ იგი გარდაიცვალა ან იმყოფება საზღვარგარეთ, ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ამონურულია მისი სასამართლოში წარდგენის ყველა შესაძლებლობა.

#### 4. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირები

**სისხლის სამართლის პროცესში მრავალი პირი მონაწილეობს: ბრალდებული, პროკურორი, დაზარალებული, მონმე, ექსპერტი და ა.შ. მაგრამ მთავარ როლს მხარეები ასრულებენ.**

სისხლის სამართლის პროცესში გვყავს სულ ორი მხარე, ბრალდების და დაცვის მხარე: ბრალდების მხარეს წარმოადგენს პროკურორი და გამომძიებელი, ხოლო დაცვის მხარეს წარმოადგენს ბრალდებული და მისი ადვოკატი.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის ოქტომბრამდე (ანუ ახალი საპროცესო კოდექსის მიღებამდე) დაზარალებული მხარეს წარმოადგენდა და მას ჰქონდა ბრალდებულის მსგავსი უფლებები (მაგალითად, შეეძლო შუამდგომლობის დაყენება, მტკიცებულებათა წარდგენა, პროკურორისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება). თუმცა, ახალი კოდექსის მიღების შემდეგ ის პროცესის მხარეს აღარ წარმოადგენს, ის მხოლოდ მონმის უფლებებით სარგებლობს და ასევე, შეუძლია მოითხოვოს შემაჯამებელი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

სისხლის სამართლის პროცესის მხარეებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. დაცვის მხარის ინტერესი არის, მიაღწიოს მის წინააღმდეგ მიმართული საქმის შეწყვეტას, ბრალდებულის გამართლებას ან სასჯელის შემსუბუქებას. ხოლო ბრალდების მხარის ინტერესია საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა და ბრალდებულის დასჯა კანონის შესაბამისად. ამის მიუხედავად, თუ ბრალდების მხარე საქმის გამოკვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ბრალდებული უდანაშაულოა, ის ვალდებულია, თავად შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამის გარდა, საქმეში მონაწილეობენ პირები, რომელსაც რაიმე ინტერესი არ აქვთ. ისინი მხარეებს არ წარმოადგენენ. მაგალითად, მონმეები, ექსპერტები, თარჯიმნები და ა. შ.

აუცილებელია, ცალკე აღვნიშნოთ სასამართლოს როლი სისხლის სამართლის პროცესში. მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა ბრალდებულის გასამართლება და დამნაშავედ ცნობა. ასევე, აუცილებელია სასამართლოს თანხმობა ისეთი სახის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისას, რომელიც ზღუდავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს (დაპატიმრება, ჩხრეკა, ამოღება, სატელეფონო მოსმენა, ა. შ.).

**სასამართლო არ არის სისხლის სამართლის პროცესის მხარე, ის მიუკერძოებელი არბიტრია, რომელიც აკონტროლებს მხარეების მიერ „თამაშის წესების“ დაცვას და გადაწყვეტილებებს იღებს ორივე მხარის არგუმენტების მოსმენის შემდეგ.**

სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით ერთი მოსამართლე იხილავს (განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება სამი მოსამართლის მონაწილეობაც), ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის შემთხვევაში კი ერთი მოსამართლე და 12 ნაფიცი მსაჯული. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმეს არსებითად იხილავს კოლეგია 3 მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო საკასაციო სასამართლოს დიდ პალატაში - 9 მოსამართლის შემადგენლობით.

## 5. ალკვეთი ღონისძიებები

საინფორმაციო საშუალებებში ხშირად გვეხვით, ბრალდებულს ალკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, შეეფარდა გირაო. რას ნიშნავს ალკვეთის ღონისძიება და რისთვის გამოიყენება ის?

როგორც თავად ტერმინი გვიჩვენებს, ეს ნიშნავს რალაცის ალკვეთას, რალაცის თავიდან აცილებას.

ალკვეთი ღონისძიება არის იძულებითი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ, რათა მან გამოძიების პროცესში და სასამართლო განხილვისას ხელი არ შეუშალოს გამოძიებას, არ მიიმალოს ან არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

აქ, ალბათ, გაჩნდება შეკითხვა, თუკი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა განაჩენის გამოტანამდე, მაშინ რა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ის ხელს შეუშლის გამოძიებას, გაიქცევა ან ჩაიდენს „ახალ“ დანაშაულს?

აუცილებელია, გავიხსენოთ, რომ ალკვეთი ღონისძიება გამოიყენება „ბრალდებულის მიმართ“. ხოლო ბრალდებულია „პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული“.

მაშასადამე, ერთი მხრივ, საზოგადოდ მიიჩნევა, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია დანაშაული, მაგრამ, მეორე მხრივ, გამოძიების პროცესში ბრალდების მხარეს აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და რომ ის შეეცდება გაქცევას, ახალი დანაშაულის ჩადენას ან გამოძიების ხელის შეშლას. თუმცა, (როგორც ქვემოთ ვნახავთ), მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდი არ კმარა, ეს ვარაუდი სასამართლომაც უნდა გაიზიაროს.

**ალკვეთი ღონისძიების ყველაზე გავრცელებული სახეებია -პატიმრობა და გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის თაობაზე, პირადი თავდებობა.** ალკვეთი ღონისძიებას მხოლოდ სასამართლო უფარდებს პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლო პროკურორის მოთხოვნას ალკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე არ დააკმაყოფილებს, თუ არ არსებობს ზემოთ მითითებული საფუძველები. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ალკვეთი ღონისძიების მიზნები ვერ დაკმაყოფილდება უფრო ნაკლებად მკაცრი ღონისძიებით.



ამ გაგებით მნიშვნელოვანია პატიმრობა და გირაო (ალკვეთი ღონისძიება) გავარჩიოთ თავისუფლების ალკვეთისა და ჯარიმისგან (სასჯელი). ხშირია შემთხვევები, როცა გაუცნობიერებლად ხდება მათი ერთმანეთში აღრევა. გირაოს გადახდით, პირის სხდომის დარბაზიდან გათავისუფლება არ ნიშნავს მის გამართლებას, ისევე როგორც პატიმრობის შეფარდება არ ნიშნავს მის დასჯას.

მაგალითად, პავლეს სახლში ჩატარდა ჩხრეკა და პოლიციამ ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა ისე, რომ არავითარი წინასწარი საფუძველი არ გააჩნდა. მან უბრალოდ გაჩხრიკა მისი სახლი იმ ვარაუდით, რომ „იპოვიდა რაიმე საინტერესოს“. კანონის მოთხოვნა არის, რომ ჩხრეკა ტარდება „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში. იმ მიზნით, რომ აღმოჩენილი და ამოღებული იქნეს საქმისთვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი“. ვინაიდან პოლიციას ასეთი ვარაუდი წინასწარ არ ჰქონდა, ჩხრეკის შედეგი დაუმჯებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი და ის ვერ იქნება გამოყენებული სასამართლოში პავლეს ბრალის დასამტკიცებლად.

შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას, მაგალითად, პატიმრობის გამოყენებაზე და ბრალდებული გაათავისუფლოს გირაოს ან პირადი თავდებობის ქვეშ, ან, საერთოდ, ბრალდებული დატოვოს ალკვეთი ღონისძიების გარეშე.

რამდენადაც პატიმრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ყველაზე მკაცრ შეზღუდვას, კანონით მისი გამოყენება შეზღუდულია მკაცრი ვადებით. **ბრალდებულის პატიმრობა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს, ხოლო განაჩენის გამოტანამდე - 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ბრალდებული პატიმრობიდან დაუყოვნებლად უნდა გათავისუფლდეს.**

რაც შეეხება გირაოს, ეს არის ფულადი თანხა, რომელიც ბრალდებულს ან სხვა პირს (ბრალდებულის სასარგებლოდ) შეაქვს სახელმწიფოს ანგარიშზე. თუ ბრალდებულმა დაარღვია ალკვეთი ღონისძიების პირობები (მაგალითად: ხელი შეუშალა გამოძიებას, მიიძალა, ჩაიდინა ახალი დანაშაული), ის დაკარგავს გირაოს სახით შეტანილ ქონებას და შეიძლება, მას შეეფარდოს უფრო მკაცრი ალკვეთი ღონისძიება, ანუ პატიმრობა.

მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან განვასხვაოთ ალკვეთი ღონისძიება და სასჯელი. სასჯელი არის უკვე ჩადენილი დანაშაულისთვის ადამიანის დასჯა და ამ გაგებით ის წარსულში ჩადენილ დანაშაულზე რეაგირების ფორმაა. ალკვეთი ღონისძიება კი არის მიმართული მხოლოდ მომავლისკენ. ის გამოიყენება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ იმ ვარაუდით, რომ მან, შეიძლება, ხელი შეუშალოს მართლმსაჯულებას.

## 6. მტკიცება, მტკიცებულება

სისხლის სამართლის პროცესში ორივე მხარე ამტკიცებს ფაქტების საკუთარ ვერსიას: ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ ჩადენილ იქნა დანაშაული და ის ჩაიდინა ბრალდებულმა, ასევე, არსებობს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პასუხისმგებლობაზე. დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია, ან ბრალდებულს ის არ ჩაუდენია, ან მან ჩაიდინა უფრო მსუბუქი დანაშაული, ვიდრე მას ბრალდება უმტკიცებს, ან არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს სასჯელისგან, ან მას დაენიშნოს მსუბუქი სასჯელი.

**ორივე მხარე თავის ვერსიას ამყარებს მტკიცებულებების მეშვეობით. მტკიცებულება არის ინფორმაცია, რომელიც წარედგინება სასამართლოს,** მაგრამ ეს არ არის ნებისმიერი ინფორმაცია, მოპოვებული ნებისმიერი წყაროდან. მაგალითად, მკითხავისგან მოპოვებული ინფორმაცია დანაშაულის ჩამდენი პირის თაობაზე ვერ ჩაითვლება მტკიცებულებად. ასევე, არ წარმოადგენს მტკიცებულებას ანონიმური სატელეფონო შეტყობინება. მტკიცებულება უნდა იქნეს მიღებული კანონში მითითებული წყაროდან და კანონში მითითებული ფორმით.

**მტკიცებულებებია, მაგალითად, ბრალდებულის და მოწმის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულება, დოკუმენტები, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და სხვ. უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.**

ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებაც კი, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.



პროცესის მიმდინარეობის ყველა სტადიაზე მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა ურთიერთგაცვლის ვალდებულება. კერძოდ, მოთხოვნის შემთხვევაში (და წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე) ერთმანეთს უნდა გადასცენ ყველა ის მტკიცებულება, რის წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაუცემელი მტკიცებულება ჩაითვლება დაუშვებლად.

## 7. სისხლის სამართლის პროცესის სტადიაში

სისხლის სამართლის საქმე გამოძიების დაწყებიდან მის ჩადენაში პასუხისმგებელი პირის გამოვლენამდე და მის გასამართლებამდე, საკმაოდ რთულ გზას გადის. ეს გზა პირობითად შეიძლება ორ დიდ საფეხურად - **გამოძიებად და სასამართლოში საქმის განხილვად** დავეყოთ. გამოძიების სტადიაზე მხარეები მოიძიებენ ინფორმაციას, აგროვებენ მტკიცებულებებს, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე ამ მტკიცებულებებს წარადგენენ სასამართლოში და მათი გამოკვლევის შედეგად სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას. გამოძიების სტადია, როგორც წესი, დახურულია და მასზე საზოგადოების წვდომა შეზღუდულია (თუ არ ჩავთვლით საქმის არსებით განხილვამდე გამართულ სასამართლო სხდომებს), ხოლო სასამართლოში საქმის განხილვა ღიაა და მასზე დასწრება ყველას შეუძლია (გარდა დახურული სხდომებისა). განვიხილოთ თითოეული ეს სტადია ცალ- ცალკე.


### 7.1. გამოძიების სტადია

ა. საგამოძიებო მოქმედებები, მტკიცებულებათა შეგროვება:

კანონის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას გამოძიებელი ვალდებულია, დაინყოს გამოძიება.

მაღაზიიდან გამოსულმა პავლემ შეამჩნია, რომ მისი ავტომანქანის გვერდითი შუშა ჩამსხვრეული იყო, ხოლო მანქანიდან წაღებული იყო ტყავის ჩანთაში მოთავსებული პერსონალური კომპიუტერი. პავლე ტელეფონით დაუკავშირდა პოლიციას, რომელიც მალე მოვიდა შემთხვევის ადგილას და ამ ფაქტის გამოძიება დაიწყო.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არ არის საკმარისი ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად?



გამოძიების ეტაპზე, მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, ტარდება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, გამოკითხვა, ჩხრეკა- ამოღება, ამოსაცნობად წარდგენა და სხვ. ამასთან ერთად, პოლიციას შეუძლია, ჩაატაროს ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები, მაგალითად: ცნობების შეგროვება, ვიზუალური კონტროლი, ფარული მიყურადება, ფარული ვიდეო-აუდიო გადაღება, კორესპონდენციის ცენზურა და სხვ. ისეთი საგამოძიებო

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არ შეუძლია დაცვის მხარეს გამომძიებლის მსგავსად განახორციელოს საგამომძიებო მოქმედებები?

მოქმედებების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვასთან, შეუძლია დაცვის მხარესაც. მაგალითად: დაცვის მხარეს შეუძლია ჩაატაროს ადგილის დათვალიერება, გამოკითხვა, საგამომძიებო ექსპერიმენტი და ა. შ. ხოლო ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც უკავშირდება ადამიანის ძირითად თავისუფლებათა შეზღუდვას (მაგალითად: ჩხრეკა, ამოღება), შეუძლია მხოლოდ გამომძიებელს, მოსამართლის ბრძანებით. გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გაართულოს საქმისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების მოპოვება, ეს ღონისძიებები, ასევე, შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, მაგრამ ღონისძიების დაწყებიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიების შესახებ უნდა ეცნობოს მოსამართლეს და გადაეცეს საქმის მასალები. მოსამართლემ შეიძლება კანონიერად ცნოს ჩატარებული საგამომძიებო ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ან უკანონოდ, ხოლო მიღებული ინფორმაცია - დაუშვებლად.

მოსამართლის სავალდებულო მონაწილეობა და კონტროლი ასეთი ხასიათის ღონისძიებების განხორციელებაში არის გარანტია იმისა, რომ არ მოხდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დაუსაბუთებლად და უკანონოდ.

დაზარალებული პავლეს საჩივრის საფუძველზე გამომძიებელმა დაიწყო საქმის გამოძიება. მან გამოჰკითხა გაზეთების ჯიხურის გამყიდველი, რომელმაც აღნიშნა, რომ შემოესმა შუშის მსხვრევის ხმა, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ დაინახა მალაღობი, ქერათმიანი, შავ ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა, რომელიც გარბოდა ტყავის ჩანთით ხელში. გამომძიებელმა, ასევე, ჩაატარა შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ამოიღო გლუვი რიყის ქვა, რომელიც, სავარაუდოდ, გამოყენებულ იქნა ავტომატის შუშის ჩასამსხვრევად. გამომძიებელმა გამოითხოვა ახლომდებარე ბანკის ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომელშიც ჩანს, დანაშაულის შემთხვევიდან 2 წუთის შემდეგ მალაღობი, ქერათმიანი ახალგაზრდა, რომელიც ჩქარი ნაბიჯებით მიემართება და ხელში უჭირავს კომპიუტერის ჩასადები ტყავის ჩანთა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ვიდეოზე გამოსახული პიროვნება არის რეზო გ., ასევე, დაადგინა მისი საცხოვრებელი სახლის მისამართი. პროკურორმა მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით რეზო გ.-ს სახლში ჩხრეკის ჩატარების თაობაზე. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ტყავის ჩანთა და მასში არსებული კომპიუტერი. ამის შემდეგ ჩატარდა საგამომძიებო მოქმედება - ობიექტის ამოცნობა, რომლის დროსაც დაზარალებულმა ამოიცნო საკუთარი ტყავის ჩანთა და საკუთარი კომპიუტერი.



**ბ. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ბრალდებულის დაკავება**

ცხადია, რომ ტერმინი „სისხლისსამართლებრივი დევნა“ არ ნიშნავს ვინმეს ფიზიკურ „დევნას“. ეს არის სამართლებრივი ტერმინი, რომელიც ნიშნავს საქმის წარმართვას კონკრეტული ბრალდებულის წინააღმდეგ. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებით ან მის მიმართ ბრალის წარდგენით და გრძელდება საბოლოო განაჩენის გამოტანამდე. ასევე, შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება განაჩენის გამოტანამდე შეწყდეს, მაგალითად, თუ გაირკვა, რომ დანაშაული არ მომხდარა ან ის არ ჩაუდენია კონკრეტულ ბრალდებულს; მიღებულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს სის-



ხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც ამ კონკრეტული ქმედების დანაშაულებრიობას აუქმებს და ა. შ.

**თუ გამოძიების სტადიაზე შეგროვდა მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ კონკრეტულმა პირმა დანაშაული ჩაიდინა, პროკურორს აქვს უფლება, გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ეს დადგენილება, 24 საათის განმავლობაში პროკურორმა უნდა გააცნოს ბრალდებულს. დადგენილება შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დანაშაულში ედება ბრალი ამ პირს და რა მტკიცებულებებით არის გამყარებული ბრალდება.**

გამოძიების მსვლელობისას შესაძლებელია საჭირო გახდეს ბრალდებულის დაკავება. კანონის მიხედვით ბრალდებულის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთან თუ ის მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ბრალდებულის დაკავება, როგორც წესი, ხდება სასამართლოს გადანიშნულებით.

**სასამართლოს გადანიშნულებების გარეშე ბრალდებულის დაკავება, ასევე, შეიძლება ე.წ. „ცხელ კვალზე“, ანუ თუ მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან არსებობს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა. ამ დროს მოსამართლის თანხმობა საჭირო აღარ არის.**

დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს დაკავების საფუძველი, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული და აცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატის აყვანის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, ასევე - უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. დაკავებულ პირს დაკავებიდან 48 საათში უნდა გადაეცეს დადგენილება ბრალდების შესახებ.

რეზო გ. დააკავა პოლიციამ. დაკავებისას მას, ასევე, ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, თუმცა საქმისთვის მნიშვნელოვანი რაიმე ნივთი ამოღებული არ ყოფილა. დაკავების მეორე დღეს მას გადაეცა ბრალდების შესახებ დადგენილება, რომლის მიხედვითაც მას ბრალი დაედო ქურდობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი) და სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებაში (სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**7.2. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში**

დაკავება არის ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთა. დაკავებული პირი 48 საათში უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს ან უნდა განთავისუფლდეს.

მაგისტრატი მოსამართლე არკვევს ბრალდებულის ვინაობას, განუმარტავს მას ბრალდების არსს და მის უფლებებს, აცნობებს ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის სახეს და ზომას, არკვევს, ხომ არ აქვს ბრალდებულს რაიმე საჩივარი, იხილავს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობას და ასევე, არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას.

სასამართლოში პირველი წარდგენის დროს რეზო გ.-მ განაცხადა, რომ ის არ ცნობდა თავს დამნაშავედ და არც საპროცესო შეთანხმების დადებაზე იყო თანახმა. პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების სახით მოითხოვა მის მიმართ პატიმრობა. პროკურორმა მიუთითა, რომ ბრალდებული შესაძლებელია გაიქცეს და დაემალოს გამოძიებას ან ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ბრალდებულის ადვოკატმა მიუთითა, რომ ბრალდებულს ჰყავს ოჯახი, აქვს მუდმივი სამუშაო ადგილი, ის ხასიათდება დადებითად და მის მიმართ პატიმრობის გამოყენება აუცილებელი არ არის. სასამართლომ დაცვის მხარის არგუმენტები გაითვალისწინა, შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლომ ბრალდებული 5 000 ლარი გირაოს გადახდით გაათავისუფლა.

მაგისტრატი მოსამართლე არის რაიონული ან საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც იხილავს ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან და იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებს, საჩივრებს პროკურორის უკანონო მოქმედებებზე და ა. შ.

### 7.3. საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შესახებ ალბათ ბევრი გვესმენია. საპროცესო შეთანხმება არის შეთანხმება მხარეებს შორის, რითაც ისინი მათ შორის არსებულ დავას აგვარებენ საქმის არსებითი განხილვის გარეშე. საპროცესო შეთანხმებით, როგორც წესი, თითოეული მხარე რაღაცას თმობს, მაგრამ სამაგიეროდ, რაღაც უპირატესობას იღებს. ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგად იღებს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, ხოლო ბრალდების მხარე ნაწილობრივ თავისუფლდება დამატებითი სამუშაოსგან და ხარჯისგან, ასევე, საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულმა უნდა დაასახელოს თანამონაწილეები ან ხელი შეუწყოს სხვა დანაშაულთა გახსნას.

საპროცესო შეთანხმების დადებისთვის მხოლოდ მხარეთა თანხმობა საკმარისი არ არის, ის უნდა დაამტკიცოს სასამართლომ. სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ბრალდებულზე ყოველგვარი უკანონო ზემოქმედების გარეშე, ბრალდებული სრულად აცნობიერებს საკუთარ უფლებებს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და მოსალოდნელ სასჯელს.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე საქმის სასამართლოში განხილვისას. საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს, როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე. ბრალზე შეთანხმების დროს ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, ხოლო სასჯელზე შეთანხმების დროს არ აღიარებს, მაგრამ არც ეწინააღმდეგება ბრალდებას. სამაგიეროდ, ის ეთანხმება კონკრეტულ სასჯელს.

ა

საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს

გამოძიების ეტაპზე

სასამართლო განხილვისას

ბ

საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს

ბრალზე

სასჯელზე

#### 7.4. წინასასამართლო სხდომა

სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე იმართება წინასასამართლო სხდომა, რომელიც გარკვეული მოსამზადებელი ეტაპია საქმის არსებით განხილვაზე გადასასვლელად. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე ამონებებს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა თუ არა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა (როგორც ვხედავთ, აქ უკვე გონივრული ვარაუდი აღარ კმარა, საჭიროა ალბათობის მაღალი ხარისხი). თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს, მოსამართლე წყვეტს სისხლის სამართლებრივ დევნას. მოსამართლე, ასევე, არკვევს, ხომ არ ცნობს ბრალდებული თავს დამნაშავედ, განიხილავს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას, მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასამტკიცებობის, აღკვეთი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლის თაობაზე. თუ წინასასამართლო სხდომაზე საქმე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით არ დასრულდა, მოსამართლე ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის სხდომის დაწყების თარიღს.

**წინასასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას ბრალდებულმა რეზო გ. - მ თავი დამნაშავედ არ ცნო. დაცვის ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის დროს ბრალდებულის მეგობრის, გიორგი ზ.- ს დაკითხვის თაობაზე.**

#### 7.5. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადია

გამოძიების ეტაპისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს, საქმის სასამართლოში განხილვა საჯაროა და ყველას აქვს მასზე დასწრების უფლება. სხდომა შეიძლება დახურულად გამოცხადდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სხდომის საჯაროობის შესახებ, იხ. ზემოთ).

საქმის არსებითი განხილვა უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 დღეში (გარდა კანონში მითითებული გამონაკლისი შემთხვევებისა). საქმის არსებითი განხილვა არის საქმის წარმოების გადამწყვეტი ეტაპი, რომლის დროსაც წყდება ბრალდებულის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხი და მისი მსჯავრდების შემთხვევაში მას სასჯელი ეკისრება.

არსებითად საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ან მათ გარეშე. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული (და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურორი) მოითხოვს საქმის განხილვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარეშე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისებურებებს მომდევნო თავში განვიხილავთ. ამ ეტაპზე განვიხილოთ საქმის არსებითი განხილვის სტადიები ზოგადად.

საქმის არსებითი განხილვა შეიძლება შემდეგ ეტაპებად დაყვით:

ა. სხდომის გახსნა და მასში მონაწილე პირების გამოცხადების შემონიშვნა. ამ ეტაპზე მოსამართლე, ასევე, ბრალდებულს განუმარტავს საკუთარ უფლება-მოვალეობებს. მხარეებს კი შეუძლიათ დააყენონ მოსამართლის (ასევე, პროცესის ზოგიერთი სხვა მონაწილის) აცილების საკითხი. აცილების შუამდგომლობა ნიშნავს იმას, რომ მხარე მოითხოვს მოსამართლის (ან სხვა პირის) ჩამოცილებას საქმიდან მისი მიკერძოებულობის ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლის გამო. თუ აცილების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, პროცესის შესაბამისი მონაწილე ჩამოსცილდება საქმის განხილვას. ამ ეტაპზე მოსამართლე, ასევე, იკვლევს, ხომ არ აქვთ მხარეებს შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენის თაობაზე;

დღეისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის საქმეებს. 2014 წლის 1 ოქტომბრიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი სრულად ამოქმედდება.

**ბ. მხარეთა შესავალი სიტყვები.** სხდომის თავმჯდომარე ბრალდების და დაცვის მხარეებს აძლევს უფლებას, წარმოადგინონ შესავალი სიტყვები. შესავალ სიტყვებში მხარეები, როგორც წესი, წარმოადგენენ ფაქტების საკუთარ ვერსიას და მოიხსენიებენ იმ მტკიცებულებებს, რომელთა მეშვეობითაც აპირებენ საკუთარი არგუმენტების დამტკიცებას;

**გ. მტკიცებულებათა გამოკვლევა.** ეს სხდომის ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. მტკიცებულებათა გამოკვლევა ჯერ იწყება ბრალდების მტკიცებულებათა გამოკვლევით, ხოლო შემდეგ ხდება დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა. მტკიცებულებათა წარმოდგენას, გამოკვლევას (ასევე, მონმეების დაკითხვას) ძირითადად მხარეები ახდენენ. მოსამართლე ამ პროცესში აქტიურად არ ერევა. მას ნეიტრალური არბიტრის როლი აკისრია, რომლის მთავარი ფუნქციაა ამ პროცესუალური წესების დაცვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლეს ეკრძალება, რომ დაეხმაროს ბრალდების ან დაცვის მხარეს. მან მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები უნდა შეუქმნას მტკიცებულებათა წარმოდგენის და გამოკვლევის პროცესში;

**დ. მხარეთა დასკვნითი სიტყვები, ბრალდებულის საბოლოო სიტყვა.** დასკვნით სიტყვებს პირველად წარადგენს ბრალდების, შემდეგ დაცვის მხარე. დასკვნით სიტყვაში მხარეები აჯამებენ განხილულ მტკიცებულებებს და მოითხოვენ მათთვის სასურველი განაჩენის გამოტანას. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ დასკვნით სიტყვაში მხარეებს ეკრძალებათ, დაიმოწმონ ის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოში გამოკვლეული არ ყოფილა.

მხარეთა დასკვნითი სიტყვების შემდეგ ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს საბოლოო სიტყვით;

**ე. სასამართლოს თათბირი და გადაწყვეტილების გამოცხადება** ბრალდებულის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში. სასამართლოს, ასევე, უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს ადგილზე თათბირით. სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს ორი სახის - გამამართლებელი ან გამამტყუნებელი. სასამართლოს განაჩენი, ასევე, შეიძლება ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი იყოს, ხოლო ზოგ ეპიზოდში - გამამართლებელი.

სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული, კანონიერი და სამართლიანი. თუ ის ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, შესაძლებელია, ის მხარის გასაჩივრების შედეგად შეცვალოს ან გააუქმოს ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ.

რეზო გ.ს საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ. მან მიუთითა, რომ მისი სახლიდან ამოღებული კომპიუტერი შეიძინა უცნობი პირისგან, რომლის სახელი და გვარი აღარ ახსოვს. დაცვის მხარის შუამდგომლობით, ასევე, დაიკითხა მონმე გიორგი ზ. რომელმაც მიუთითა, რომ დანაშაულის ჩადენის დღედ დასახელებულ რიცხვში ის ბრალდებულთან ერთად სათევზაოდ იმყოფებოდა რამდენიმე საათით, თუმცა, ზუსტად ვერ გაიხსენა, დღის რომელ მონაკვეთში იმყოფებოდა სათევზაოდ. ბრალდების მხარის შუამდგომლობით მონმის სახით გამოძახებულმა ჯიხურის გამყიდველმა გიორგი გ. - მ სასამართლო პროცესზე დაადასტურა, რომ შემთხვევის ადგილიდან შორიანლოს ტყავის ჩანთით ხელში შენიშნა რეზო გ. რომელიც სწრაფი ნაბიჯებით მიემართებოდა. სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ, ასევე, წარმოდგენილ იქნა ბანკის ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომელში ასახული პიროვნებაც ძალიან ნააგავს ბრალდებულს. სასამართლოზე, ასევე, წარმოდგენილი იქნა ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის შედეგად ამოღებული კომპიუტერი და ტყავის ჩანთა.

შემაჯამებელ სიტყვაში პროკურორმა მოითხოვა რეზო გ. - ს დამნაშავედ ცნობა და მისი დასჯა. რეზო გ. - ს დამცველმა მიმოიხილა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მოითხოვა ბრალდებულის გამართლება, ხოლო გამამტყუნებელი ვერდიქტის შემთხვევაში - მისი მსუბუქად დასჯა, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული მანამდე ნასამართლევ იარ ყოფილა, ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, მეუღლე და ხასიათდება დადებითად.

განიხილეთ კაზუსი რეზო გ.-ს შესახებ თავიდან ბოლომდე, გამიჯნეთ სისხლის სამართლის პროცესის ეტაპები. აღწერეთ ისინი. იმსჯელეთ, იყო თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი, საჭირო იყო თუ არა დამატებითი მტკიცებულების შესწავლა. დადებითი პასუხის შემთხვევაში დაასაბუთეთ, რა ინფორმაციის მოძიება იყო საჭირო განაჩენის გამოსატანად.



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობას ისტორიულად მე-12 საუკუნის ინგლისის მიაკუთვნებენ. ინგლისური სიტყვა **jury** - მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან **jurare** - რაც დაფიცებას ნიშნავს. თურმე დანაშაულის განხილვის დროს მოსამართლეები შეკრებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და დააფიცებდნენ, რომ ეთქვათ სიმართლე. შემდგომში თანდათანობით, მოქალაქეები უკვე თავად იღებდნენ გადაწყვეტილებას პირის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის თაობაზე. ზუსტად არავინ იცის, თუ საიდან განჩნდა ციფრი 12. ერთ-ერთი მოსაზრებით, ის ქრისტეს 12 მოწაფიდან მომდინარეობს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემდგომში ფართოდ გავრცელდა ევროპასა და ინგლისის ყოფილ კოლონიებში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სასამართლომ რეზო გ. დამნაშავედ ცნო ქურდობასა და ქონების განზრახ დაზიანებაში. მან გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე, მსჯავრდებულის ქონებრივი მდგომარეობა და რეზო გ. -ს შეუფარდა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

## 8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

თუ პირისთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ნაფიცი მსაჯულთა გარეშე საქმის განხილვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ბრალდებული, ან პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო იმსჯელებს და დაადგენს, რომ ნაფიცი მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში შეიძლება საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულებს ან პროცესის სამართლიანობას და ობიექტურობას. დღეისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის საქმეებს. 2014 წლის ოქტომბრიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სრულად ამოქმედდება.



მსოფლიოში არსებობს ორი სახის - საერთო სამართლის და ე. წ. შერეული სახის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ფუნქციები დაყოფილია მოსამართლესა და მსაჯულს შორის. მსაჯულები წყვეტენ პირის დამნაშავეობის საკითხს, ხოლო მოსამართლე უფარდებს სასჯელს. შერეულ მოდელში მოსამართლეები და მსაჯულები ერთად წყვეტენ როგორც დამნაშავეობის, ასევე სასჯელის საკითხებს. საქართველოში მოქმედებს საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სისტემა, რომელსაც თავისი ანალოგი ჰყავს ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ორი სახის მნიშვნელოვან გარანტიას ასახავს. ჯერ ერთი, ის ბრალდებულს აძლევს გარანტიას, რომ მისი საქმე გადაწყდეს მისივე თანასწორთა (და არა სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელის) მიერ და მეორეც, ის საზოგადოებას აძლევს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაცნობისათვის აუცილებელია ვიცოდეთ თუ მინიმუმ: ა. როგორ აირჩევა ის. ბ. რა უფლებები და მოვალეობები აქვთ მსაჯულებს და გ. როგორ მიიღება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი.

### ა. ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირება

ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირება სამ ეტაპად ხორციელდება - პირველ ეტაპზე მოსამართლე შემთხვევითი წესით შეარჩევენ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას არა უმეტეს 100 კაცის შემადგენლობით და მოიწვევენ მათ სასამართლოში მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე. აუცილებელია ვიცოდეთ, რომ გარკვეული თანამდებობის (გამომძიებელი, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, სასულიერო პირი), ასევე, გარკვეული პროფესიის (იურისტი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი) წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება, იმსახურონ ნაფიც მსაჯულად.

კანდიდატს, ასევე, შეუძლია უარი თქვას ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე, თუ ის უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული. შეუძლია უარი თქვას, ასევე, სამსახურებრივი ვალდებულებიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საქართველოს საზღვრებს გარეთ ხანგრძლივი მივლინების ან ხანდაზმული ასაკის გამო.

მეორე ეტაპზე იმართება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა, რომელზეც მხარეებს შეუძლიათ აიცილონ (საქმეს ჩამოაცილონ) მათთვის არასასურველი მსაჯულები. მსაჯულის ჩამოცილება ხდება დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი აცილებების მეშვეობით. საქმის კატეგორიიდან გამომდინარე მხარეს აქვს უფლება, დააყენოს მაქსიმუმ 12 და მინიმუმ 3 დაუსაბუთებელი აცილება, ხოლო დასაბუთებული აცილებების რიცხვი შეუზღუდავია (თუმცა ამ შემთხვევაში, მხარემ უნდა დაასაბუთოს აცილების საფუძველი).

მესამე ეტაპზე აცილების შედეგად დარჩენილი კანდიდატებიდან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორს - სათადარიგო მსაჯულად. სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლოს სხდომას და სასამართლოს თათბირს. თუ საქმის განხილვის დროს გამოვლინდა, რომ რომელიმე მსაჯულს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქცია, ის შეცვლის ამ მსაჯულს;

### ბ. ნაფიც მსაჯულთა უფლებები და მოვალეობები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა და მოსამართლის ფუნქციები მკაცრად გაყოფილია. მოსამართლე არის სხდომის წარმმართველი და ის უფარდებს სასჯელს, ხოლო ნაფიც მსაჯულს გამოაქვთ ვერდიქტი, რომლითაც ბრალდებულს ცნობენ დამნაშავედ ან უდანაშაულოდ;

**ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, მოსამართლისგან მიიღონ ინფორმაცია გამოსაყენებელი კანონის თაობაზე, მოსამართლის ნებართვით მონაწილე ნერილობით დაუსვან შეკითხვები, მიიღონ სასამართლო სხდომის ოქმი, აწარმოონ ჩანაწერები; ამავე დროს, ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ - სხდომის მიმდინარეობისას სხდომის დარბაზის დატოვება, ვერდიქტის გამოტანამდე საკუთარი აზრის გამოთქმა საქმესთან დაკავშირებით, ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ, თათბირის და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა და ა. შ.**



### გ. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი

მხარეთა დასკვნითი სიტყვების და ბრალდებულის საბოლოო სიტყვების მოსმენის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან ვერდიქტის გამოსატანად.

ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი ერთსულოვნად უნდა მიიღონ. მაშინ ისინი გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უმრავლესობით (ვერდიქტის მისაღებად საჭიროა არანაკლებ 8 ხმა, თუ თათბირში მონაწილეობს მინიმუმ 11 მსაჯული, თუ მათი რაოდენობა ნაკლებია, შესაბამისად, 7, 6, 5 ან 4 ხმა). თუ უმრავლესობა ვერ შეთანხმდა, მოსამართლე დაითხოვს ნაფიც მსაჯულებს და დანიშნავს ახალ სხდომას მსაჯულთა ახალი შემადგენლობით.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არის ორი სახის: გამამართლებელი და გამამტყუნებელი. თუმცა, შესაძლებელია, ვერდიქტი გამამართლებელი იყოს ერთ ბრალდებაში, მაგრამ გამამტყუნებელი - მეორე ბრალდებაში.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის თავისებურებაა, რომ ის არ არის დასაბუთებული, ანუ ნაფიცი მსაჯულები თავის გადაწყვეტილებას წერილობით არ განმარტავენ. ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი არ საჩივრდება, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში.

### 9. სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის განსაჩივრება

სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, ხოლო მის მიერ მიღებული განაჩენი საჩივრდება უზენაეს სასამართლოში - საკასაციო წესით. საქმის განხილვა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში არ ნიშნავს, რომ სრული სასამართლო პროცესი - მონმეების დაკითხვა და მტკიცებულებათა გამოკვლევა განმეორებით ჩატარდება. როგორც სააპელაციო, ასევე, საკასაციო სასამართლო ამონმებს საქმის სამართლებრივ ასპექტებს, ანუ რამდენად სწორად იქნა გამოყენებული სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა. სააპელაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ამონმებს და მტკიცებულებებს იკვლევს შეზღუდულ შემთხვევებში.

როგორც სააპელაციო, ასევე, საკასაციო სასამართლოს შეუძლია ძალაში დატოვოს, შეცვალოს ან გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი და დაადგინოს ახალი - გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი.

## 10. მოქალაქის როლი დანაშაულთან ბრძოლაში


ტერმინი პოლიცია, როგორც სამართალდამცავი ინსტიტუტის აღმნიშვნელი, პირველად ინგლისში გამოიყენეს 1530 წელს.

დანაშაულთან ბრძოლაში ჩართულია სამართალდამცავი ორგანოების მთელი სისტემა: პოლიცია, რომელიც იძიებს დანაშაულს და ადგენს მის ჩამდენ პირს; პროკურატურა, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას და წარმოადგენს ბრალდების მხარეს; სასამართლო, რომელიც განიხილავს საქმეს და გამოაქვს საბოლოო განაჩენი და სასჯელალსრულების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია ამ განაჩენის აღსრულებაზე.

დანაშაულთან ბრძოლას სახელმწიფო არ ახორციელებს მხოლოდ დანაშაულთა გამოძიებით და დასჯით, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა დანაშაულის თავიდან აცილება. ამას სახელმწიფო ახორციელებს ისეთი სფეროების ხელშეწყობითა და განვითარებით, როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა და სხვ. დანაშაულის თავიდან აცილებაში მხოლოდ სახელმწიფო ვერაფერს გახდება, თუ მას არ ექნება საზოგადოების მხარდაჭერა. ამ მხრივ, დიდ როლს ასრულებს ოჯახი, სკოლა, საზოგადოებრივი გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

ასევე, სახელმწიფო უძღური იქნება, გამოიძიოს და დასაჯოს დამნაშავეთა დიდი ნაწილი თუ მას არ ექნება მხარდაჭერა მოქალაქეთა მხრიდან. ზოგ შემთხვევაში გამოძიების დახმარება მოქალაქის სამართლებრივი ვალდებულებაა. მაგალითად, თუ ვინმემ იცის, რომ ჩადენილია ან მზადდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ის ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს. მონმე ვალდებულია, გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება. ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ისჯება კანონით.

თუნდაც რომ არ არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულება, დანაშაული აზიანებს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებას და თითოეულ ჩვენგანს. ამიტომ თითოეული ჩვენგანის ინტერესია, რომ ყველა დანაშაული იქნეს გამოძიებული და დასჯილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიზრდება დანაშაულთა რიცხვი და ცოტა ხანში დანაშაული "ჩვენს კარებზეც მოაკაკუნებს".





# განათლების სამართალი

## 1. განათლების სამართლის განვითარება საქართველოში

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით გარანტირებულ იქნა განათლების უფლება, მეცნიერებისა და სწავლის თავისუფლება, სწავლა-განათლების საერთო ხასიათი, რელიგიური ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლობა. ამავე კონსტიტუციით შესაძლებელი გახდა კერძო სკოლის დაფუძნების თავისუფლებაც, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციამ შეწყვიტა მოქმედება, ხოლო 1991 წელს საბჭოთა კავშირისაგან გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ 1995 წელს მიიღო კონსტიტუცია, რომელიც ეყრდნობა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, რომლითაც გარანტირებულია განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელი აღზრდის უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისრა სახელმწიფოს. დანყებითი და საბაზო განათლება გამოცხადდა სავალდებულოდ. სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო ზოგადი განათლების სრულად დაფინანსების ვალდებულება. საქართველოს მოქალაქეებს მიეცათ უფლება, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კონსტიტუციით დეკლარირებულ იქნა სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ძირითადი კანონის მიღებამ განაპირობა სხვა საკანონმდებლო აქტების შემუშავება, აგრეთვე ახალი ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელიც ეხებოდა რეფორმებს ყველა სფეროში. რეფორმის ძირითადი მიზანი იყო ევროკავშირთან და დასავლეთის სახელმწიფოებთან დაახლოება. **ამ მიზანს ემსახურებოდა 1997 წელს მიღებული კანონი „განათლების შესახებ“.** თუმცა, რიგი ხარვეზების გამო, საჭირო გახდა განათლების სფეროში რადიკალური რეფორმის გატარება. მიიღეს კანონები „ზოგადი განათლების შესახებ“ (2005), „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2004), „პროფესიული განათლების შესახებ“ (2007), „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ (2010) და „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე მრავალი კანონქვემდებარე აქტი, საფუძვლად დაედო განათლების სამართლის განვითარებას საქართველოში.

განათლების სამართალი საჯარო სამართლის ნაწილია, იგი ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი დარგია.

**კითხვა:** რომელ წელს მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა პირველად?

**კითხვა:** იმსჯელეთ, რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს განათლების სფეროში.



## 2. განათლების უფლება

განათლების უფლება პირველად აღიარეს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ (მუხლი 26) და მას მოჰყვა სხვა მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელთაგან შეგვიძლია, დავასახელოთ: საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ (მე-13 მუხლი), ბავშვთა უფლებათა კონვენცია (29-ე მუხლი), ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (მე-10 მუხლი), საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (მე-7 მუხლი).

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის განმარტებით, განათლების უფლება გულისხმობს შემდეგს:

#### ა. განათლების მიღება შესაძლებელია

სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სათანადო რაოდენობის საგანმანათლებლო დაწესებულება და საგანმანათლებლო პროგრამა. ამავე დროს, სახელმწიფოს უფლება აქვს, დაადგინოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობისა და პროგრამების განხორციელების პირობები. მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელია: შენობა-ნაგებობანი, საბიბლიოთეკო და კომპიუტერული რესურსი და ა.შ.

#### ბ. განათლების მიღება ხელმისაწვდომია

საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. განათლების უფლების ეს ელემენტი, თავის მხრივ, გულისხმობს:

- ა) დისკრიმინაციის აკრძალვას — განათლების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;
- ბ) ფიზიკურ ხელმისაწვდომობას — განათლების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, გონივრული დაშორებით ან თანამედროვე ტექნოლოგიებით, ე.წ. დისტანციური სწავლებით;
- გ) ფინანსურ ხელმისაწვდომობას — განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ფინანსური თვალსაზრისით. დაწყებითი განათლება უნდა იყოს უფასო. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ უფასო საშუალო და უმაღლესი განათლების თანდათან შემოღება.

#### გ. განათლების შინაარსი მისაღებია

განათლების ფორმა და შინაარსი, რაც გულისხმობს სწავლების მეთოდებსაც, უნდა იყოს სათანადო, კონკრეტული კულტურული გარემოს შესაბამისი და ხარისხიანი.


#### დ. განათლების სისტემა მოქნილია

განათლების სისტემა უნდა იყოს მოქნილი და უნდა მოერგოს მუდმივად ცვალებად საზოგადოებრივ საჭიროებას. განათლება უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლისა და სტუდენტის ინტერესებს, მათი სოციალური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით.

საქართველოში განათლების უფლების სამართლებრივი საფუძველია კონსტიტუციის 35-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. თუმცა ეს უფლება არ გულისხმობს, რომ განათლების მიღების უფლება უპირობოა. სახელმწიფოს უფლება აქვს, დაადგინოს განათლების მიღების წინაპირობები. კერძოდ, ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია, თუ პირს უკვე შეუსრულდა 6 წელი, პროფესიული განათლების მიღება - თუ პირმა წარმატებით დაძლია საბაზო განათლების საფეხური (9 კლასი), ხოლო უმაღლესი განათლების მიღება - თუ პირი წარმატებით დაძლევა ერთიან ეროვნულ გამოცდებს (ბაკალავრიატის საფეხურზე), საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ გამოცდებს (მაგისტრატურის საფეხურზე) და დააკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებს დოქტორანტურის საფეხურზე.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რას გულისხმობს ხარისხიანი განათლება?

## განათლების უფლება



ლეილა საკინი

განათლების უფლების შესახებ მსჯელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში “ლეილა საკინი თურქეთის წინააღმდეგ”. თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში გამოცდებზე არ დაუშვეს სტუდენტი იმის გამო, რომ მას, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ, ეკეთა ისლამური თავსაბურავი. სტუდენტი

უნივერსიტეტიდან გარიცხეს. მან თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და სარჩელში ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა, რომ სახელმწიფომ მის მიმართ დაარღვია განათლების უფლება. სტუდენტის მოსაზრება არ გაიზიარა სასამართლომ და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მიუხედავად განათლების უფლების მნიშვნელობისა, ეს უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს. თუმცა არც იმდენად, რომ მთლიანად დაკარგოს ეფექტურობა. შეზღუდვა შესაბამისი იქნება, თუ გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არსებობს პროპორციულობის გონივრული დამოკიდებულება. განათლების უფლება არ გამოორიცხავს დისციპლინურ ღონისძიებებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შეჩერების თუ გარიცხვის ჩათვლით, მისი შიდა წესებისადმი დამორჩილების უზრუნველყოფის მიზნით. დისციპლინური სასჯელის დაკისრება იმ პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლითაც სკოლა ცდილობს თავისი მიზნის მიღწევას, მოსწავლეთა ხასიათისა და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვები გამჭვირვალე იყო და ემსახურებოდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და საჯარო წესრიგის შენარჩუნების კანონიერ მიზანს. შეზღუდვის აშკარა მიზანი კი საგანმანათლებლო დაწესებულებათა სეკულარული ხასიათის შენარჩუნებაა.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება?

**ტერმინი**  
**სეკულარიზმი**  
გულისხმობს სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის გამიჯვნას.

### 3. ზოგადი განათლების სამართალი

#### კაზუსი

საჯარო სკოლის დირექტორმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად შეარჩია ბატონი კ. და მასთან გააფორმა შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მასწავლებელს დაეკისრა ვალდებულება, საქმიანობა წარემართა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ახლად დანიშნული მასწავლებელი ენთუზიაზმით შეუდგა სასწავლო პროცესს. ის გულდასმით გაეცნო „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. გააანალიზა კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელს აქვს სწავლების თავისუფლება და გადაწყვიტა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლება წარემართა მხოლოდ მის მიერ შედგენილი სასწავლო მასალით. მან მოსწავლეებს მოსთხოვა სასწავლო მასალის შეძენა.

რამდენიმე თვის შემდეგ, ზემოაღნიშნული ფაქტის გამო, საჯარო სკოლის დირექტორმა გაათავისუფლა მასწავლებელი.

ბატონმა კ.-მ მიმართა სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი ცნო დასაშვებად და შეუდგა საქმის განხილვას.

**როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, სარჩელი დაკმაყოფილდეს?**

#### 3.1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების შესახებ კანონმდებლობის შემუშავებას საფუძვლად დაედო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ზოგადი განათლების პოლიტიკას საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. განათლების სისტემა უნდა უვითარებდეს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევდეს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

#### ა. ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

#### ბ. ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, როგორ ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

#### გ. ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

ადამიანისათვის მნიშვნელოვანია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის ეფექტიანად გამოყენების უნარი. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასება შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტურად გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

**დ. დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:**

სასკოლო განათლებამ მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევები უნდა განუვითაროს;

**ე. იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:**

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

**ვ. საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ:**

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს მთელი ცხოვრების განმავლობაში უწყვეტი განვითარების, ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი იმ მიზნით, რომ საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრება შეეძლოს. მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალ განათლება-სა და შრომით საქმიანობაში;

**ზ. კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:**

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მომავალი წევრების ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის, იმათთვის, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

**თ. იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:**

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში, საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები.



სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისადაპიროვნების პატივისცემის უნარი. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

**კითხვა:** რამდენად ასრულებს ქვეყანაში არსებული განათლების სისტემა მოცემულ მიზნებს?

სკოლის, როგორც საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების, ისტორია სათავეს უძველესი დროიდან იღებს. პირველი სკოლები შუამდინარეთში შეიქმნა. საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებობდა ანტიკურ საბერძნეთში, რომში, ეგვიპტეში, ძველ ჩინეთსა და ინდოეთში.

ზოგადი განათლების მიზნების შესახებ ეროვნული დოკუმენტის მიღებით, სახელმწიფომ მიზნად დაისახა ისეთი სასკოლო სისტემის შექმნა, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების გამომუშავების თანაბარ შესაძლებლობას. სახელმწიფო ვალდებულია, არ დაუშვას მოსწავლის დისკრიმინაცია სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულების, ფიზიკური შესაძლებლობებისა ან სხვა ნიშნის მიხედვით.

### 3.2. სკოლის სამართლებრივი ფორმა და მისი ფუნქციონირების წინა პირობები

საქართველოში შეიძლება არსებობდეს კერძო (კერძო სამართლის იურიდიული პირი) ან საჯარო (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) სკოლა. კერძო სკოლა, შესაძლებელია, იყოს სამენარმეო (მოგებაზე) ან არასამენარმეო მიზნებზე ორიენტირებული. საჯარო სკოლას არ აქვს სამენარმეო მიზნები.

კერძო სკოლის დაფუძნების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, ხოლო საჯარო სკოლას აფუძნებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თუმცა, სკოლა უფლებამოსილია, საგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ავტორიზაციის პროცედურის გავლის შემდეგ.

### 3.3. ზოგადი განათლების სისტემის მართვის მართვაში ჩართულია საქართველოს პარლამენტი

ზოგადი განათლების სისტემის მართვაში ჩართულია საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა ორგანოები.

საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ზოგადი განათლების პოლიტიკას და იღებს საკანონმდებლო აქტებს ზოგადი განათლების სფეროში. საქართველოს მთავრობა ახორციელებს ზოგადი განათლების პოლიტიკას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს ზოგადი განათლების მართვის ძირითადი ფუნქციები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას თავის ტერიტორიაზე.

### 3.4. ზოგადი განათლების საფეხურები და მოსწავლის დაფინანსება სახელმწიფოს მიერ

საქართველოში ზოგადი განათლება გრძელდება 12 წელი და მოიცავს 3 საფეხურს: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი).

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, აგრეთვე, ადგენს დაფინანსების პირობებსა და წესს. საქართველოში სახელმწიფო აფინანსებს არა უშუალოდ სკოლას, არამედ მოსწავლეს. დაფინანსება გათვლილია თითოეულ მოსწავლეზე. იმისათვის, რომ მოსწავლე დააფინანსოს სახელმწიფომ, აუცილებელია, ის სწავლობდეს ავტორიზებულ სკოლაში.

დაფინანსება გრძელდება 12 წლის განმავლობაში. თუ მოსწავლე 12 წლის შემდეგ ვერ დაძლევა საბაზო საფეხურს, ან 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლევა საშუალო საფეხურს, კანონი იძლევა დამატებითი დაფინანსების გამოყოფის შესაძლებლობას.

განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში კანონი ადგენს სკოლის დაფინანსების შესაძლებლობას სპეციალური სახელმწიფო პროგრამით.

## 4. სკოლის მართვა

### 4.1. სკოლის საქმიანობის საფუძვლები და სტრუქტურა

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი საჯარო სკოლის მართვის პრინციპებსა და მართვის ორგანოებს ადგენს. კერძო სკოლა თავისუფალია და მას შეუძლია, დამოუკიდებლად განსაზღვროს მართვის ორგანოები, სკოლის სტრუქტურა, მაგრამ სტრუქტურა უნდა იყოს გონივრული და ემსახურებოდეს ზოგადი განათლების მიზნების მიღწევას.

საჯარო სკოლა საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით, რომლის შესრულების ვალდებულება ეკისრება კერძო სკოლასაც.

საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და სადისციპლინო კომიტეტს. აღსანიშნავია, რომ სადისციპლინო კომიტეტის გადანყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შეიძლება შეიქმნას სააპელაციო კომიტეტი.

საჯარო სკოლას ეკისრება ვალდებულება, მართვა განახორციელოს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.

### 4.2. მართვის ორგანოების დაქომაღების წესი და ძირითადი ფუნქციები

#### ა. სამეურვეო საბჭო

სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით არჩეული არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წარმომადგენლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში, შედის, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრი. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას, სამეურვეო საბჭოში შედის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვს, სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი.

სამეურვეო საბჭო აირჩევა 3 წლის ვადით.

სამეურვეო საბჭო არის საჯარო სკოლის მართვის უმნიშვნელოვანესი ორგანო, ვინაიდან მას მინიჭებული აქვს დირექტორის არჩევისა და მისი გათავისუფლების უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი არღვევს შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, ბიუჯეტს, გასცემს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის თაობაზე. სამეურვეო საბჭო აკონტროლებს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას. სკოლის წესდების პროექტი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან;



**კითხვა:** თქვენი აზრით, რას ნიშნავს საჯაროობა და გამჭვირვალობა?

## ბ. დირექტორი

საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურას, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, ღია კონკურსის საფუძველზე ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

კონკურსის შედეგების საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დირექტორობის კანდიდატურებს წარუდგენს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ირჩევს დირექტორს. დირექტორი ირჩევა 6 წლის ვადით. მისი არჩევა ზედიზედ შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ.

დირექტორი ახორციელებს სკოლის მართვას და წარმოადგენს სკოლას მესამე პირთან ურთიერთობაში. დირექტორი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას მასწავლებელთან და უფლებამოსილია, შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს მას სააღმზრდელო საქმიანობისთვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სამეურვეო საბჭოს ნევრ მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეუწყდეს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. საჯარო სკოლის დირექტორი ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო — სააღმზრდელო პროცესს.

დირექტორს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს, მაგალითად, საპენსიო ასაკის მიღწევა, შრომითი ხელშეკრულების პირობების ან კანონმდებლობის დარღვევა;

## გ. პედაგოგიური საბჭო

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის ყველა მასწავლებელი, აგრეთვე, მასწავლებლობის მაძიებლები. მათ აქვთ თანაბარი ხმის უფლება.

პედაგოგიური საბჭოს ძირითადი უფლებამოსილება არის, დირექტორის მონაწილეობით, სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავება, რომელსაც იგი ამტკიცებს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ. პედაგოგიური საბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;

## დ. მოსწავლეთა თვითმმართველობა

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის სტრუქტურული ერთეულია. საკუთარ თვითმმართველობებს ირჩევენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით. თვითმმართველობას ხელმძღვანელობს არჩეული თავმჯდომარე.

მოსწავლეთა თვითმმართველობა შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანანგის შესახებ, წარუდგენს წინადადებებს სამეურვეო საბჭოს სკოლისათ-




სიტყვა პედაგოგი ბერძნული წარმოშობისაა (პაის, აგო) და პირდაპირ თარგმანში „ბავშვის მოძღვარს“ ნიშნავს.

კითხვა: რა საქმიანობას ეწევა თქვენი სკოლის თვითმმართველობა?



ვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ირჩევს წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში, აგრეთვე, უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს მოპოვებული გრანტის განკარგვაში. მოსწავლეთა თვითმმართველობა უფლებამოსილია შექმნას სასკოლო კლუბები.

კითხვა: არსებობს თუ არა თქვენს სკოლაში სხვადასხვა კლუბი?



### 5. მასწავლებლის პროფესიის რეგულირება საქართველოში

#### 5.1. მასწავლებლის უფლების მოპოვება

საქართველოში მასწავლებლის უფლების მოსაპოვებლად საჭიროა ორი წინაპირობა:

##### ა. კვალიფიკაციის მიღება


ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლების უფლების მოსაპოვებლად საჭიროა განათლების ბაკალავრის კვალიფიკაცია, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლებისთვის პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი (საგნის) ბაკალავრის კვალიფიკაცია. რაც შეეხება სახელოვნებო, სასპორტო და სამხედრო საგნის მასწავლებლებს, მათ მიმართ სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებია დადგენილი. კერძოდ, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად უნდა მიიღონ შესაბამისი სახელოვნებო, სასპორტო და სამხედრო განათლება.

აღსანიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის გარდა, ყვე-

ლა მასწავლებელს გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ბაკალავრიატის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, კანონმდებლობით დაშვებულია აღნიშნული პროგრამის გავლა ბაკალავრიატისგან დამოუკიდებლად.

თუმცა, კვალიფიკაციის მიღება არ არის საკმარისი წინაპირობა მასწავლებლის უფლების მოსაპოვებლად.

კვალიფიკაციის მოპოვების შემდეგ მასწავლებლობის მსურველს შეუძლია, გაიაროს მაძიებლობის პერიოდი, რომლის მიზანია პროფესიული ცოდნის გაღრმავება, პედაგოგიური უნარების შეძენა, განვითარება და სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია. მასწავლებლობის მაძიებელი, სკოლაში სწავლების პერიოდში, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რასაც კანონი ანიჭებს მასწავლებელს, გარდა შრომის ანაზღაურებისა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლებებისა;



## ბ. სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება

კვალიფიკაციის მოპოვების შემდეგ პირი უფლებამოსილია გავიდეს სასერტიფიკაციო გამოცდაზე. სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგად ირკვევა, აქვს თუ არა მასწავლებლობის მსურველს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში პირს 8 წლის ვადით ენიჭება სკოლაში სწავლების უფლება. ამ უფლების განახლებისათვის კი აუცილებელია, მასწავლებელმა იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე.

### 5.2. მასწავლებლის უფლებები და ვალდებულებები

მასწავლებელს აქვს ღირსეული მოპყრობის უფლება. დაუშვებელია მის მიმართ ღირსების შემლახველი მოპყრობა. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს მასწავლებლის მიმართ ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენებას, რომელიც ლახავს მის ღირსებას. ღირსების შელახვად კი მიიჩნევა, მაგალითად, დამცირება, დევნა, უპატივცემულობა.

მასწავლებელს აქვს თავისუფალი განვითარების უფლება. თუმცა, ამით არ უნდა შეილახოს სხვა ადამიანის უფლებები. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა მასწავლებლისთვის არა მხოლოდ უფლება, არამედ კანონით დადგენილი ვალდებულებაც კია.

მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მასწავლებელს არ შეიძლება, სკოლამ ან სასწავლო პროცესის მონაწილე პირმა მოსთხოვოს ინფორმაციის გამჟღავნება პირად ცხოვრებაზე. სკოლა არ არის უფლებამოსილი გასცეს ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ გამოირიცხავს სკოლის უფლებამოსილებას, მოსთხოვოს მასწავლებელს სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე.

მასწავლებელს უფლება აქვს, სკოლას მოსთხოვოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. კანონი ადგენს, რომ სკოლა ვალდებულია, მასწავლებელს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები. ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში იგულისხმება ისეთი პირობების შექმნა, სადაც დაცულია ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური, ასევე, ფსიქიკური თვალსაზრისით.



საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობის უფლება. აკრძალულია პირის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე, მისთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება. დაუშვებელია რომელიმე მხარის მიმართ დისკრიმინაციული ზომების მიღება, ვინაიდან კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, ასევე, მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. ამ თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ სკოლა არ არის უფლებამოსილი, მასწავლებელს დააკისროს ისეთი ვალდებულების შესრულება, რაც არსებითად ეწინააღმდეგება მის რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს სკოლის უფლებას, დააკისროს მასწავლებელს მსგავსი ვალდებულების შესრულება, თუ მასწავლებლის მიერ ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობა ლახავს სხვის უფლებებს ან ხელს უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნის მიღწევას. ამასთან, საჯარო სკოლაში აკრძალულია სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის ან პროზელიტიზმის მიზნებისთვის გამოყენება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ მასწავლებელს აქვს სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლება. პედაგოგიური (აკადემიური) თავისუფლება გამომდინარეობს აზრის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპიდან. პედაგოგიური თავისუფლება გულისხმობს მასწავლებლის უფლებას, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში პირადი პასუხისმგებლობით დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური თავისუფლება არ შეიძლება, გახდეს თვითნებობის, ინდოქტრინაციის ან უმოქმედობის საფუძველი. ამიტომაც აუცილებელია გარკვეული კონტროლის მექანიზმის არსებობა, რომლის მიზანი იქნება განათლების ხარისხის შენარჩუნება და განვითარება. პედაგოგიური თავისუფლება არ ათავისუფლებს მასწავლებელს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის ვალდებულებისაგან. პედაგოგიური (აკადემიური) თავისუფლება უნდა ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.

მასწავლებლებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, აქვთ სკოლის ტერიტორიაზე შეკრების თავისუფლება. აღიარებულია, აგრეთვე, გაერთიანების თავისუფლება, სკოლას კი ეკრძალება მასწავლებელთა გაერთიანების საქმიანობაში ჩარევა.

მასწავლებელს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში. საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია მასწავლებლის ჩართულობა პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში. მასწავლებელს აქვს უფლება, ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებების შესახებ. მას შეუძლია, სკოლის დირექციას მოსთხოვოს ინფორმაცია, რომელიც არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საიდუმლო.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მასწავლებელი უფლებამოსილია, მიიღოს შრომის ანაზღაურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივების შესაბამისად. საჯარო სკოლის მასწავლებლის ხელფასისა და სახელფასო დანამატის გაანგარიშება ხდება მასწავლებლის კვალიფიკაციის, სამუშაო სტაჟისა და სამუშაო სპეციფიკის შესაბამისად.

მასწავლებელს უფლება აქვს, გაასაჩივროს სკოლის უკანონო გადაწყვეტილება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ უფლების უზრუნველსაყოფად, სკოლა ვალდებულია, შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის საშუალება.

**ინდოქტრინაცია**  
ნიშნავს სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ კომპლექსური რეკლამისა და პროპაგანდის მეშვეობით მოსახლეობის ცნობიერებაში შეხედულებათა გარკვეული სისტემის, სტერეოტიპების ჩანერგვასა და ჩამოყალიბებას.

**პროზელიტიზმი**  
ნიშნავს საკუთარი რელიგიური მრწამსის პროპაგანდის შედეგად სხვა რელიგიის მიმდევართა საკუთარ სამწყსოში გადმოყვანას.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არის დაუშვებელი სკოლაში ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი?

მასწავლებელი ვალდებულია, კომპეტენტურად წარმართოს სასწავლო პროცესი, დაიცვას პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში.

**კითხვა:** ხომ არ დაუმატებდით ან მოაკლებდით რაიმეს მასწავლებლის ვალდებულებებს? რატომ?

**ზოგადი განათლების სფეროს სამართლებრივი აქტების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის ვალდებულებები შეიძლება, ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:**

- მიუკერძოებლობა;
- სამართლიანობა;
- ერთგულება კონსტიტუციური ღირებულებებისადმი;
- პოლიტიკური და რელიგიური (საჯარო სკოლაში) ნეიტრალურობა სასწავლო პროცესის განხორციელების დროს;
- კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა;
- კორუფციული გარიგებებისათვის თავის არიდება;
- პრივილეგიების პირადი მიზნებისათვის გამოყენებაზე უარის თქმა;
- საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისაგან თავის შეკავება.


## 6. მოსწავლის უფლებები და მოვალეობები

მოსწავლეს უფლება აქვს, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლას აქვს უფლება, დაადგინოს მოსწავლის უფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მოსწავლის უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე. დაუშვებელია მოსწავლის უფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია.

მოსწავლის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:



**მოსწავლის უფლებები და მოვალეობები**



**ა. ზოგადი განათლების მიღების უფლება**

ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება იმ მიზნით, რომ სრულად განავითაროს თავისი პიროვნება, შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.

ამ მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ზოგადი განათლების სისტემა და სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

განსაკუთრებული რეგულირებაა გათვალისწინებული სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მათთვის იქმნება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ასევე, შეიძლება შეიქმნას დამატებითი სასწავლო პროგრამა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ამ შემთხვევაში, მოსწავლის დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

**კითხვა:** რა ღონისძიებებს უნდა მიმართოს სკოლამ იმისათვის, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებმა შეძლონ ხარისხიანი განათლების მიღება?

პირს უფლება აქვს, ზოგადი განათლება მიიღოს ექსტერნატის ფორმით. ექსტერნს შეუძლია, მიიღოს ატესტატი, თუ ის დაძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის დონეს და წარმატებით ჩააბარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს.

სკოლას ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ კანონით აკრძალულია, მოსწავლის აკადემიური შეფასების განპირობება მისი დისციპლინით;

სკოლას, ასევე, ეკისრება ვალდებულება, შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო.

ზოგადი განათლების მიღების უფლება უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლე გაირიცხება სკოლიდან. მას აქვს უფლება, სწავლა განაგრძოს სხვა სკოლაში.

მოსწავლე უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გადავიდეს სხვა სკოლაში.

### **ბ. საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება**

სკოლა ვალდებულია, ყოველ ახალ მოსწავლეს და მის მშობელს გააცნოს თავისი უფლებები და თავისუფლებები. მოსწავლეს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე, მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. სკოლას ეკისრება ვალდებულება მოსწავლეს და მის მშობელს განუმარტოს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლები;

### **გ. სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება**

მოსწავლეს უფლება აქვს, პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა სკოლის მართვაში;

### **დ. გასაჩივრების უფლება**

მოსწავლეს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები ან ქმედებები და მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

ამ უფლების განხორციელების მიზნით სკოლას ეკისრება ვალდებულება, შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის საშუალება;

### **ე. ნეიტრალურობის პრინციპი და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**

სკოლაში დაუშვებელია სასწავლო პროცესის პოლიტიზება. აკრძალულია სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროპაგანდის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. თუმცა, ეს არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადასაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისკენ.

სკოლაში არ დაიშვება რაიმე სახის დისკრიმინაცია. დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება, პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის რაიმე სახით დისკრიმინაცია. დისკრიმინაციად ჩაითვლება ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია და ემსახურება თითოეული პირის ან ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას. სკოლამ უნდა დაიცვას უმცირესობების წევრების უფლება, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება;

### **ვ. გამოხატვის თავისუფლება**

მოსწავლეს აქვს უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეა, აგრეთვე, გამოიყენოს სკოლის რესურსები. მოსწავლეს უფლება აქვს, გამოხატოს საკუთარი აზრი. დაუშვებელია სასკოლო გამოცემათა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა და სასკოლო ბიბლიოთეკაში ცენზურა. თუმცა, ეს არ ზღუდავს სკოლის უფლებას, დაანესოს არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვები იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა დაცვა ასაკის შეუსაბამო ლიტერატურისაგან.



სკოლას აქვს უფლება, შემოიღოს სასკოლო ფორმა. თუმცა, ამით არ უნდა შეიზღუდოს მოსწავლის გამოხატვის თავისუფლება. მოსწავლეს აქვს უფლება, უარი თქვას სასკოლო ფორმის ტარებაზე. უარი უნდა იყოს დასაბუთებული. სკოლას ეკისრება ვალდებულება, გაითვალისწინოს მოსწავლის ფინანსური შესაძლებლობა და თუ მას არ შეუძლია ფორმის შეძენა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს იგი სასკოლო ფორმით;

**ზ. შეკრების თავისუფლება**

მოსწავლეებს უფლება აქვთ, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე. სკოლას არ აქვს უფლება, აკონტროლოს მოსწავლეთა შეკრების მსვლელობა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. თუმცა, სკოლის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, დაესწრონ მოსწავლეთა შეკრებას;

**თ. გაერთიანების თავისუფლება**

მოსწავლეებს აქვთ გაერთიანების თავისუფლება კანონით დადგენილი წესით. სკოლას არ აქვს უფლება, ჩაერიოს მოსწავლეთა გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აკრძალულია გარეშე პირის მიერ მოსწავლეთა გაერთიანების საქმიანობის წარმართვა და მისი კონტროლი;

**ი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**

მოსწავლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მას არ უნდა მოთხოვონ, გაამჟღავნოს ინფორმაცია თავის პირად ცხოვრებაზე. დაუშვებელია მოსწავლის პირადი ცხოვრების, კერძო კომუნიკაციის, აგრეთვე, მოსწავლის პირად სარგებლობაში გადაცემული, სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების ხელშეუხებლობის უფლების თვითნებური შეზღუდვა;

## კ. რწმენის თავისუფლება

მოსწავლეს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. დაუშვებელია, მოსწავლეს დაეკისროს ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ეწინააღმდეგება მის რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვის უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს. ამასთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სკოლის შემდეგ თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას;

## ლ. დისციპლინა

სასკოლო დისციპლინა დაცულია იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას. ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით, აგრეთვე, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და ზომიერი.

დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. დისციპლინური დევნის პროცედურა უნდა იყოს სამართლიანი. დისციპლინური დევნის განხორციელების დროს, სკოლა ვალდებულია, განუმარტოს მოსწავლეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი. დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ ინფორმაცია სკოლამ დაუყოვნებლად უნდა მიანოდოს მოსწავლის მშობელს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისაგან. ამ მიზნით, სკოლა ვალდებულია, მიიღოს სათანადო ზომები.

კანონით აკრძალულია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს მოსწავლის პატივსა და ღირსებას. დაუშვებელია მოსწავლის პირადი გასინჯვა. თუმცა, თუ მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირადი გასინჯვის შემდეგ გამოვლინდება გადაცდომა, მანდატურს ან სკოლის მიერ დანიშნულ უფლებამოსილ პირს დირექტორის ან დირექციის წარმომადგენლის ნებართვით ან ზედამხედველობით შეუძლია მოსწავლის პირადი გასინჯვა.

იკრძალება სკოლიდან ზოგადი განათლების დაწყებითი ან საბაზო საფეხურის მოსწავლის გარიცხვა;

## მ. ძალადობის აკრძალვა

დაუშვებელია ძალადობა სკოლაში მოსწავლის მიმართ. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, მოახდინოს სათანადო რეაგირება.

სკოლებში ძალადობის აღმოსაფხვრელად, შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. მისი ძირითადი მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

ამასთან, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით, შესაძლებელია, შესაბამისი მოქმედებები განხორციელდეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ. მათი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.



**ქაჯუსის ამონხნა**

გათავისუფლებული მასწავლებლის, ბატონი კ.-ს სარჩელს წარმატების პერსპექტივა აქვს, თუ სარჩელი დასაბუთებულია. სარჩელი დასაბუთებულია, თუ საჯარო სკოლის დირექტორის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს. შევამოწმოთ გადაწყვეტილების კანონიერება ეტაპობრივად:

საჯარო სკოლის დირექტორი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია, ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება „ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში.“

ამ ეტაპზე უნდა გავარკვიოთ, დაარღვია თუ არა ხელშეკრულების პირობები მასწავლებელმა, უფრო კონკრეტულად, შეუძლია თუ არა მასწავლებელს, სასწავლო პროცესი განახორციელოს მხოლოდ თავის მიერ შექმნილი სასწავლო მასალის საფუძველზე, რომელიც არ არის გრიფირებული (ნებადართული) უფლებამოსილი ორგანოს მიერ? აქვს თუ არა მას უფლება, მოსწავლეებს მოსთხოვოს მსგავსი სასწავლო მასალის შექმნა?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მასწავლებელს სწავლების თავისუფლება აქვს იმ ფარგლებში, „რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.“

ეროვნული სასწავლო გეგმის<sup>1</sup> მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას მხოლოდ დამხმარე/დამატებითი მასალის სახით გამოიყენოს სასწავლო მასალა, რომელიც შერჩეული და დამტკიცებულია დადგენილი პროცედურის დაცვით. მასწავლებელს ეკრძალება, მოსთხოვოს მოსწავლეს არაგრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნა. გარდა ამისა, კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი სკოლას აკისრებს ვალდებულებას, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა წარმართოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში არ იყენებდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოს. ის ასწავლიდა მხოლოდ თავისი შექმნილი სასწავლო მასალით, რომელიც, ასევე, არ იყო დამტკიცებული სკოლის უფლებამოსილი ორგანოს მიერ. მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება, მოსწავლეებისთვის მოეთხოვა სასწავლო მასალის შექმნა. ამდენად, მასწავლებლის საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. შესაბამისად, ის არღვევდა ხელშეკრულების პირობებს. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო კი დირექტორი უფლებამოსილი იყო, გაეთავისუფლებინა მასწავლებელი. ამდენად, დირექტორის გადაწყვეტილება კანონიერია.

ვინაიდან დირექტორის გადაწყვეტილება კანონიერია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბატონი კ.-ს სარჩელს არ აქვს წარმატების პერსპექტივა.

<sup>1</sup> დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით

## 7. პროფესიული განათლების სამართალი

### ქაჯუსი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა შეიმუშავა ბიუჯეტის პროექტი და იგი დასამტკიცებლად წარუდგინა სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭომ განხილვის შემდეგ დაამტკიცა ბიუჯეტის პროექტი. მოგვიანებით ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო ინვენტარით აღჭურვის მიზნით.

დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართა კრიტიკულად განწყობილმა მასწავლებელმა, ქალბატონმა ა.-მ მოითხოვა ინფორმაცია სასწავლო ინვენტარის შეძენისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ. მან მიიღო წერილობითი უარი, შემდეგი დასაბუთებით: „მასწავლებელი უფლებამოსილია, გაეცნოს მხოლოდ დამტკიცებულ ბიუჯეტს. ის არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს კოლეჯის მიერ გაწეული ხარჯების გაცნობა.“

მასწავლებელს მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება უკანონოა.

ქალბატონმა ა.-მ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დირექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (გაუქმება). სასამართლომ დასაშვებად ცნო სარჩელი და დაიწყო საქმის განხილვა.

**როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, სარჩელი დაკმაყოფილდეს?**

### 7.1. პროფესიული განათლების მიჯანი, სახეები და საფეხურები

პროფესიულ განათლებაში სახელმწიფო მიზნად ისახავს ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნას, პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფას, დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების ხელშეწყობას, აგრეთვე, სასწავლო-სამეცნიერო პარტნიორობის სისტემის შექმნას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობას.

პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც დაძლია ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.

საქართველოში პროფესიული განათლება იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას და შესაბამის პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა პროფესიული დიპლომი. არაფორმალური პროფესიული განათლება გულისხმობს პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

## პროფესიული განათლება

ფორმალური

არაფორმალური

ცოდნის ათვისებას. გათვალისწინებულია არაფორმალური პროფესიული განათლების სახელმწიფო აღიარების შესაძლებლობაც. არაფორმალური პროფესიული განათლების სახელმწიფო აღიარების დროს მოწმდება არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

საქართველოში პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს და თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი. პროფესიული კვალიფიკაციებია, მაგალითად, სადაზღვევო აგენტი, საბაჟო წარმომადგენელი, ოფისის მენეჯერი, ტელერადიოპროდიუსერი, ბანკის ოპერატორი, ინფორმაციული ტექნოლოგი და ა.შ. მაღალი რისკის შემცველ პროფესიებს, რომლებიც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობას, პროფესიების განვითარებასა და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს, სახელმწიფო გამოყოფს რეგულირებადი პროფესიების სახით.

**7.2. პროფესიული განათლების სისტემის მართვის მართვის ორგანიზაცია**


პროფესიული განათლების სისტემის მართვას საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს მთავრობა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას პროფესიული განათლების სფეროში. წარმოადგენს რეგულირებად პროფესიებს და რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მოპოვებისთვის აუცილებელ პირობებს. მთავრობა პროფესიული განათლების დაფინანსების წესსაც წარმოადგენს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის ოდენობას ამტკიცებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას პროფესიული განათლების სფეროში. სამინისტრო არის პროფესიული განათლების სისტემის მართვის ძირითადი ორგანო და ის ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მრავალ, მნიშვნელოვან ფუნქციას.

პროფესიული განათლების მართვაში ჩართულია, ასევე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები.

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები თანამშრომლობენ დამსაქმებლებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიული განათლების განვითარების მიზნით.

**7.3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები და სამართლებრივი ფორმა**



საქართველოში არსებობს ორი სახის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:

- ა. პროფესიული კოლეჯი;
- ბ. საზოგადოებრივი კოლეჯი.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რომელია ე.წ. მაღალი რისკის შემცველი პროფესიები?

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, აფუძნებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო იურიდიულ პირს — ნებისმიერი პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლება აქვს, დააფუძნოს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი — პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროფესიული კოლეჯი უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული განათლების მხოლოდ სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. ამასთან, საზოგადოებრივი კოლეჯი უფლებამოსილია, დამატებით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პროგრამები, მაგალითად, ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიმართულია სხვადასხვა დარგობრივი ცოდნის, შესაბამისი უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ. ეს პროგრამა აუცილებლად ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად.

გარდა ზემოაღნიშნული დაწესებულებებისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს, განახორციელოს პროფესიული განათლების მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კი უფლება აქვს, განახორციელოს პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

#### **7.4. პროფესიული განათლების მასწავლებლის მასწავლებელი**

პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, ან უნდა ფლობდეს პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციას. ამასთან, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ.

#### **7.5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კრიტერიუმები და ორგანოები**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გადანიჭვითი უნარებს იღებს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებმა გადანიჭვითი უნარების მიღების პროცესში უნდა ჩართონ პროფესიული სტუდენტები და მასწავლებლები, უნდა გაითვალისწინონ პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო. ამ მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, მომსახურების ხელშეკრულება გააფორმოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან — საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

როგორც საჯარო, ასევე, კერძო სამართლის იურიდიული პირი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საქმიანობას ახორციელებს ავტონომიის პრინციპის საფუძველზე, კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.


კანონი ადგენს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის — პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებს:

ა) **სამეთვალყურეო საბჭო** — მართვის უმაღლესი ორგანო. მის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დამსაქმებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტების მშობელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, საბჭოს დაკომპლექტების, უფლებამოსილებათა წარმოშობისა და შეწყვეტის წესები განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს, შინაგანაწესს, აკონტროლებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანხების ხარჯვასა და ქონების განკარგვას. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ბ) **დირექტორი** მართავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო პროფესიული განათლების სფეროში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, უზრუნველყოფს მასწავლებლებთან და სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებას, უფლებამოსილია, შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა. დირექტორი წარმართავს და ზედამხედველობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, სასწავლო პრაქტიკას და ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.



• პროფესიული განათლების დაფინანსება

პროფესიული განათლების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. პროფესიული განათლება შეიძლება, აგრეთვე, დააფინანსონ კერძო პირებმა.

• პროფესიულ - საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის მიღება

პროფესიულ - საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირის მიღება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე. ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროფესიული განათლების მე-4 და მე-5 საფეხურებზე დაინტერესებული პირის მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების (მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების) საფუძველზე.

**ქაჯუსის ამოხსნა**

მასწავლებლის სარჩელს წარმატების პერსპექტივა აქვს, თუ იგი დასაბუთებულია. სარჩელი დასაბუთებულია, თუ სადავო გადაწყვეტილება უკანონოა. გადაწყვეტილება უკანონოა, თუ იგი ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და კანონმდებლობის სხვა ნორმებს.

შევამოწმოთ გადაწყვეტილების კანონიერება ეტაპობრივად:

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიულ - საგანმანათლებლო დაწესებულებას ევალება უზრუნველყოს გადაწყვეტილების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვა. ამდენად, დაწესებულების უარით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვის პრინციპი.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულების ვალდებულებაა, უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობა. შესაბამისად, საზოგადოებრივი კოლეჯის გადაწყვეტილებით, არ სრულდება დაწესებულების მართვაში მასწავლებელთა ჩართვის ვალდებულება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს, რომ საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. საზოგადოებრივი კოლეჯის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და ის შეიძლება, მოითხოვოს არა მხოლოდ მასწავლებელმა, არამედ ნებისმიერმა პირმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და კანონმდებლობის სხვა ნორმებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარჩელს აქვს წარმატების პერსპექტივა.

## 8. უმაღლესი განათლების საგარეო

### კავუსი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი — უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო კვლევას მოლეკულურ ფიზიკაში. კვლევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასში ჩართულია უცხო ქვეყნების ცნობილი უნივერსიტეტები.

კვლევის განხორციელების შესახებ შეიტყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომელმაც გამოსცა ბრძანება კვლევის განხორციელების აკრძალვის შესახებ. სამინისტროს მოსაზრებით, დაუშვებელია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სამინისტროს თანხმობის გარეშე, განახორციელოს მსგავსი მასშტაბის კვლევითი საქმიანობა.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სასამართლოში გაასაჩივრა სამინისტროს გადაწყვეტილება. სასამართლომ დასაშვებად ცნო სარჩელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოსაზრებით, მას უფლება აქვს, სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, განახორციელოს ნებისმიერი სახის სამეცნიერო კვლევა.

**როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა სარჩელს წარმატების პერსპექტივა?**

### 8.1. უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნები საქართველოში

საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

- ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- პირის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადაამზადების უზრუნველყოფა;
- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;



- სახელმწიფოს განვითარებისა და უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას;
- უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებას, რაც გულისხმობს ავტორიზაციის სისტემის, აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) მექანიზმების ფუნქციონირებას;
- სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე, თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულყოფილებიან მონაწილეობას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;
- უმაღლესი განათლების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

**სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას, აგრეთვე, სხვა ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მიღწევას.**

## 8.2. უმაღლესი განათლების სისტემის მართვის ორგანოები

უმაღლესი განათლების სისტემის მართვის ძირითადი ორგანოებია - საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. უმაღლესი განათლების მართვაში ჩართულნი არიან, აგრეთვე, სხვა ორგანოები.

საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს. იგი პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ანგარიშს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ფინანსური საქმიანობისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ.

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში. იგი ამტკიცებს სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიურ მოცულობებსა და ოდენობებს. საქართველოს მთავრობა აფუძნებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც საჯარო, ასევე, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ შეიძლება ჰქონდეს სამენარმეო მიზანი. საქართველოს მთავრობა ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

მსოფლიოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ბოლონიის (იტალია) უნივერსიტეტი, რომელიც 1088 წელს შეიქმნა. უძველეს უნივერსიტეტებს განეკუთვნება 1150 წელს დაარსებული პარიზის, 1167 წელს დაარსებული ოქსფორდის, 1209 წელს დაარსებული კემბრიჯის და 1218 წელს დაარსებული სალამანკას უნივერსიტეტები.

**კითხვა-დავალება:** მოიძიეთ ინფორმაცია მსოფლიოში არსებული უძველესი უნივერსიტეტების შესახებ. თქვენი აზრით, რა იყო მიზეზი იმისა, რომ პირველი უნივერსიტეტები ევროპის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა?



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არის უმაღლესი განათლების სისტემის მართვის ძირითადი ორგანო. იგი ატარებს ერთიან პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში, ამტკიცებს მრავალ ნორმატიულ, კანონქვემდებარე აქტს, ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებს.

უმაღლესი განათლების სისტემის მართვაში ჩართულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. მათი კომპეტენციები შემოიფარგლება სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო უმაღლესი განათლების სფეროს რეგულირებაში მონაწილეობის მიღებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში, საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამხედრო უმაღლესი განათლების სფეროში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ საზღვაო უმაღლესი განათლების სფეროში.

**8.3. უმაღლესი განათლების საფეხურები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები**

საქართველოში უმაღლესი განათლება სამსაფეხურიანია. პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს, მეორე საფეხური (მაგისტრატურა) - არანაკლებ 120 კრედიტს (კანონმდებლობა, გამონაკლისის სახით, ითვალისწინებს, ასევე, მაგისტრატურის 60-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას), ხოლო მესამე საფეხური (დოქტორანტურა) — არანაკლებ 180 კრედიტს.

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია, სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად, სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის.

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს. ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი გამოცდების საფუძველზე. მაგისტრატურაში სწავლა მიზნად ისახავს პირის მომზადებას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. მაგისტრატურის მიზანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, სპეციალობის შეცვლა და კვალიფიკაციის ამაღლება.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირს. დოქტორანტისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს პირობები სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად.

საქართველოში არსებობს სამი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:



საქართველოში არსებული უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი გახლავთ საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია.  
<http://eta.mod.gov.ge/>

საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 1106 წელს დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემიაა, მე-11-მე-12 საუკუნეებში იქმნება კიდევ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, იყალთოს აკადემიის სახით.



**კითხვა:** ფიქრობთ, თუ არა სკოლის დასრულების შემდეგ განათლების გაგრძელებას უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ისაუბრეთ თქვენს მომავალ პროფესიაზე.

- ა. **უნივერსიტეტი** — ახორციელებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ბ. **სასწავლო უნივერსიტეტი** — ახორციელებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- გ. **კოლეჯი** — ახორციელებს მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს.

სამივე სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუძნდება საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში.

#### 8.4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები

კანონი განსაზღვრავს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასა და მართვის ორგანოებს. კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია, დამოუკიდებლად განსაზღვროს სტრუქტურა და მართვის ორგანოები. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტრუქტურასა და მართვის ორგანოებს, იგი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია:

##### ა. აკადემიური საბჭო

აკადემიური საბჭო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა. მისი წევრები აირჩევიან აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი) საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის (როგორც წესი, 4 წელი) ხანგრძლივობას. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა უნდა განახლდეს ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ (როგორც წესი 2 წელი).

აკადემიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას, ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევრო-

**პირველი უნივერსიტეტი** საქართველოში 1918 წელს დაარსდა და მას თავდაპირველად მხოლოდ ერთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ჰქონდა. თბილისის უნივერსიტეტი იყო პირველი უნივერსიტეტი მთელს კავკასიაში.  
[www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)

**უნივერსიტეტი** ლათინური წარმოშობის სიტყვაა (უნივერსუს), რაც მთლიანს, განუყოფელს, საყოველთაოს ნიშნავს.

პულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას.

აკადემიური საბჭო ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს — რექტორს და უფლებამოსილია, ვადამდე შეუწყვიტოს მას უფლებამოსილება. აკადემიური საბჭო ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

**ბ. წარმომადგენლობითი საბჭო**

წარმომადგენლობითი საბჭო აირჩევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა ემთხვევა სწავლების ძირითადი საფეხურის (ბაკალავრიატი) დადგენილ ხანგრძლივობას (როგორც წესი, 4 წელი) და მიეთითება დაწესებულების წესდებაში. პროფესორისა და სტუდენტისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მისი შესაბამისი აკადემიური ან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

წარმომადგენლობითი საბჭო შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს.

წარმომადგენლობითი საბჭო ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსაც;

**გ. რექტორი**

რექტორი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ქვეყნის შიგნით და გარეთ, აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში. იგი უფლებამოსილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. რექტორის თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;

**დ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. იგი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსაც;

**ე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას. მასში მონაწილეობას იღებენ ამ დაწესებულების სტუდენტები. შეფასების შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

1918 წელს დაარსებული უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო პეტრე მელიქიშვილი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მაღალ დონეს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე დანერგვის გზით. ამ მიზნით დაწესებულებაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

### **ვ. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მართვის თავისებურებანი**

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით საქართველოს მთავრობა ქმნის რეგენტთა საბჭოს.

რეგენტთა საბჭო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს.

რეგენტთა საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიის შეზღუდვა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადანყვეტილების, მართვის ორგანოების ანგარიშებისა და სამართლებრივი აქტების საჯაროობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება, მათი მონაწილეობა გადანყვეტილების მიღების პროცესში.

### **• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის ძირითადი უფლებები და მოვალეობები**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისგან. პროფესორები წარმართავენ და მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და კვლევებში. ასისტენტები კი ახორციელებენ სასემინარო და კვლევით სამუშაოებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (იგულისხმება, როგორც საჯარო, ასევე კერძო) აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში, ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია, დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების მოთხოვნები, დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

### **• სტუდენტის ძირითადი უფლებები და მოვალეობები. სტუდენტური თვითმმართველობა**

#### **სტუდენტს უფლება აქვს:**

- მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება;
- მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევებში;
- ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

- საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და გადაიტანოს მისთვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება;
- სახელმწიფოსგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, აგრეთვე, სხვა სახის შეღავათები;
- აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პერსონალი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება.**

**სტუდენტი ვალდებულია:**

- ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი, აგრეთვე, ის, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;
- დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება და შინაგანანწესი.

**სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას ახორციელებს დებულების საფუძველზე. სტუდენტური თვითმმართველობა:**

- უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;
- ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
- ირჩევს წარმომადგენლებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში;
- უფლებამოსილია, შეიმუშაოს წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტური თვითმმართველობა დამოუკიდებელია და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს, ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.



## ქაჯუსის ამონსნა

უნივერსიტეტის სარჩელს აქვს წარმატების პერსპექტივა, თუ იგი დასაბუთებულია. სარჩელი დასაბუთებულია, თუ სამინისტროს გადანყვეტილება უკანონოა. სამინისტროს გადანყვეტილება უკანონოა, თუ იგი ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და კანონმდებლობის სხვა ნორმებს.

შევამოწმოთ გადანყვეტილების კანონიერება ეტაპობრივად:

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ეს ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, დაწეროს უმაღლესი განათლების სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიის პრინციპი.

საქართველო 2005 წელს შეუერთდა ე.წ. ბოლონიის პროცესს და იზიარებს ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიღებული დოკუმენტებით გათვალისწინებულ პრინციპებსა და რეკომენდაციებს. 1999 წლის 19 ივნისის ბოლონიის დეკლარაციაში (ევროპის განათლების მინისტრების ერთობლივი დეკლარაცია) აღნიშნულია, რომ სწორედ უნივერსიტეტების დამოუკიდებლობა და ავტონომია უზრუნველყოფს უმაღლესი განათლებისა და კვლევის მუდმივ შესაბამისობას ცვალებად საჭიროებებთან, საზოგადოების მოთხოვნებსა და მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის, ასევე, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად, კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს უმაღლესი **საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია**. „**უმაღლესი განათლების შესახებ**“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, **ავტონომია გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) თავისუფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო — ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა. კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური თავისუფლება არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა.**

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმას, რომლის მიხედვითაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია, აუკრძალოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სამეცნიერო კვლევის განხორციელება. სამეცნიერო კვლევებს დამოუკიდებლად ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.


ვინაიდან სამინისტროს გადანყვეტილება არ ეყრდნობა კონკრეტულ სამართლებრივ ნორმას, ზემოაღნიშნულ გადანყვეტილებას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი. სამინისტროს გადანყვეტილება არღვევს განათლების სფეროში დამკვიდრებულ პრინციპებს (ავტონომია, აკადემიური თავისუფლება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარჩელს აქვს წარმატების პერსპექტივა.

## 9. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში

საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებს - **ავტორიზაციასა და აკრედიტაციას**, ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?



### 9.1. ავტორიზაცია

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა. სკოლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქმიანობის განხორციელების უფლებას მოიპოვებს მხოლოდ ავტორიზაციის პროცედურის წარმატებით გავლის შემთხვევაში. ავტორიზაცია სავალდებულოა როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის.

არსებობს ავტორიზაციის სამი სტანდარტი:

- ბ. საგანმანათლებლო პროგრამები;**
- გ. მატერიალური რესურსი;**
- დ. ადამიანური რესურსი.**

საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი და უნდა ჰყავდეს სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლები ან/და აკადემიური პერსონალი.

ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს, მიიღოს მოსწავლეები, პროფესიული სტუდენტები ან სტუდენტები და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

### 9.5. აკრედიტაცია

აკრედიტაციის მიზანია უკვე ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის დადგენა.

სკოლისთვის აკრედიტაცია არ არის სავალდებულო და მოსწავლე ვაუჩერს მიიღებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სკოლა ავტორიზებულია, მაგრამ მისი პროგრამები არ არის აკრედიტებული.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აკრედიტაცია არ არის სავალდებულო, მაგრამ, თუ პროფესიული პროგრამა არ არის აკრედიტებული, პროფესიული სტუდენტი ვერ მიიღებს სახელმწიფო დაფინანსებას. სახელმწიფო დაფინანსებას მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია. გამონაკლისია ქართული ენისა და ლიბე-

რალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამები. მათი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.

აკრედიტაცია, ასევე, არ არის სავალდებულო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. მას შეუძლია, აკრედიტაციის გარეშე განახორციელოს პროგრამა და გასცეს დიპლომი, მაგრამ, თუ პროგრამა არ არის აკრედიტებული, ასეთ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში სტუდენტი ვერ მიიღებს სახელმწიფო დაფინანსებას. ამასთან, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები. კერძოდ, რეგულირებადი (იურიდიული, პედაგოგიური, სამედიცინო), მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.

არსებობს აკრედიტაციის ხუთი სტანდარტი:

- ა. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- ბ. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- გ. მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- დ. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- ე. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.



# საარჩევნო სამართალი

# 12

## 1. არჩევნები, როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტი

ადამიანის უფლებათა შესახებ საუბრისას მოკლედ შევეხებით ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ უფლებათა რეალიზაციის შედეგად მონაწილეობს ადამიანი სახელმწიფოს მართვაში, განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების კურსს, ერთი სიტყვით, ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი და სრულფასოვანი მოქალაქე, მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცულობის პირობებში ახერხებს საკუთარი თავის რეალიზაციას.

მოცემული თავი მიზნად ისახავს, მკითხველის ყურადღება გაამახვილოს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შორის უმნიშვნელოვანესზე - **საარჩევნო უფლებებზე**. მისი როლი განუზომელია ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ცხოვრებაში, სადაც ხელისუფლების შეცვლა სწორედ **არჩევნების გზით ხორციელდება**. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოსთვის არჩევნები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა, ხოლო ადამიანისთვის - უმთავრესი მნიშვნელობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ რა განაპირობებს არჩევნების ესოდენ დიდ მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში? დემოკრატიულ ქვეყანაში სწორედ არჩევნები უზრუნველყოფს მოქალაქეთა პოლიტიკურ მონაწილეობას ხელისუფლებაში არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით. ფაქტობრივად, არჩევნები ის მექანიზმია, რომლითაც ამომრჩეველი საზღვრავს არა მხოლოდ იმას, თუ ვინ უნდა მართოს ქვეყანა, არამედ იმასაც, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის განვითარების კურსი უახლოეს მომავალში. **დემოკრატია ხომ „ხალხის მმართველობას“ ნიშნავს**, თუმცა შეუძლებელია ხალხმა, რამდენიმე მილიონმა მოქალაქემ, უშუალოდ მართოს სახელმწიფო, შესაბამისად, ისინი ირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებიც მათი სახელით ახორციელებენ მმართველობას. აღნიშნულს ხშირად **წარმომადგენლობით დემოკრატია**საც უწოდებენ. ბუნებრივია, წარმომადგენლობითი დემოკრატია არ ხორციელდება ქაოტურად, მას არ აქვს სპონტანური ან სტიქიური ხასიათი, იგი კარგად არის განერილი უშუალოდ სახელმწიფოთა კანონმდებლობით დადგენილ საარჩევნო წესებში.

არჩევნები, როგორც ადამიანთა მიერ პოლიტიკური ნების გამოხატვის უმთავრესი საშუალება და მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლება, ასახულია 1948 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც ამბობს:

**„ხალხის ნება უნდა იყოს მთავრობის ხელისუფლების საფუძველი: ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და არაფალსიფიცირებულ არჩევნებში, ფარული კენჭისყრით ან თანაბარმნიშვნელოვანი ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას“.**

მართლაც, თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანი წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უმთავრეს სამართლებრივ სიკეთეს, **რომ სახელმწიფო შექმნილია ადამიანთათვის და არა პირიქით**, რეალურია, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს იმ ქვეყნის მართვაში, რომლის მოქალაქეც თავად არის, ანუ მოქალაქეს უნდა შეეძლოს, მართოს თავის მიერ შექმნილი სახელმწიფო.

გახსოვთ, ალბათ, როდესაც ვსაუბრობდით სახელმწიფოს არსზე, აღვნიშნეთ, რომ ერთ-ერთი უმთავრესი პირობა იმისთვის, რომ სახელმწიფო ჩაითვალოს შემდგარად, არის ლეგიტიმური ხელისუფლების არსებობა. ლეგიტიმურია ხელისუფლება, რომელსაც აღიარებს ხალხი და მის მიერ დადგენილ კანონებს მიიჩნევს სავალდებულოდ. მაშინ, როდესაც ხელისუფლების არსებობას ეცლება კანონიერი საფუძველი, იგი კარგავს ლეგიტიმურობას.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა?

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ განსაზღვრავს არჩევნები ქვეყნის განვითარების კურსს?

**კითხვა:** იმსჯელეთ, რატომ არის არჩევნები ქვეყნის მართვაში მონაწილეობის ფორმა?



ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, განსხვავებულ ქვეყნებში, ხელისუფლება სხვადასხვა გზითა და მეთოდებით ცდილობდა საკუთარი თავის ლეგიტიმაციას. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპულ მონარქიებში მეფე ღვთის მიერ ხელდასმულ მმართველად ითვლებოდა, რომლის ძალაუფლებაც, არც მეტი არც ნაკლები, თვით ღმერთის ნებიდან გამომდინარეობდა. ამდენად, ადამიანები ვალდებულნი იყვნენ პატივი ეცათ, არა იმდენად მეფის ხელისუფლებისთვის, რამდენადაც მისი ძალაუფლების უდავო და უალტერნატივო წყაროსთვის, ღვთის ნებისთვის. თუმცა, როგორც ისტორია გვაჩვენებს, ლეგიტიმაციის ამგვარი ხერხი იშვიათად ამართლებდა. ევროპისთვის არ იყო უცხო აჯანყებები, რევოლუციები, ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლის პრაქტიკა.



**კითხვა:** თქვენი აზრით, რა იყო იმის მიზეზი, რომ საზოგადოებას ხშირად ეპარებოდა ეჭვი, მონარქის ხელისუფლების ღვთიურ საწყისში?

თანამედროვე სამყაროში პრაქტიკულად შეუძლებელია, ადამიანებს თავს მოახვიო ერთი ადამიანის აბსოლუტური, შეუზღუდავი ძალაუფლება იმ მოტივით, რომ ეს უფლის ნებაა და ადამიანებს მასთან არაფერი ესაქმებათ. ხელისუფლების ლეგიტიმაციის ყველაზე მარტივ და უალტერნატივო ფორმას წარმოადგენს არა ადამიანებისთვის გარკვეული შეხედულებების თავს მოხვევა, არამედ ადამიანების ჩართვა სახელმწიფოს მმართველობის პროცესში, ანუ მათთვის საარჩევნო უფლების მინიჭება და მისი რეალიზაცია. მართლაც, მოქალაქეები აღიარებენ თავიანთ არჩეულ საჯარო ხელისუფლებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ ამართლებს მოლოდინსა და იმედებს, საზოგადოებამ იცის, რომ მომდევნო არჩევნებზე ექნება საშუალება ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადარჩევის. ამდენად, დემოკრატიულ საზოგადოებაში რევოლუციების, აჯანყებების, ხელისუფლების დამხობის ალბათობა ძალზე მცირეა, რაც, ბუნებრივია, გამომდინარეობს იქიდან, რომ ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა, როგორც წესი, ლეგიტიმაციის ძალზე მაღალი ხარისხის მატარებელია.

იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების ბედი, როგორც წესი, ხალხის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მაღალია მთავრობის მიერ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის განცდა. ასეთ სახელმწიფოებში ნაკლებად აქვს ადგილი ადამიანის უფლებების დარღვევას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქვეყნის სათავეში მყოფი პოლიტიკური ჯგუფი ცდილობს, არ გაანაწყენოს ამომრჩეველი, რათა მომდევნო არჩევნებზე შეინარჩუნოს საკუთარი ძალაუფლება.

იმისთვის, რომ არჩევნებმა, როგორც პოლიტიკურმა და სამართლებრივმა ინსტიტუტმა, სრულფასოვნად იმუშაოს და მოქალაქეთა პოლიტიკური ნება რეალურად გამოხატოს, აუცილებელია, რომ ის გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს. აღნიშნული კრიტერიუმები, ისევე როგორც საარჩევნო წესები, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებულადაა განერილი, თუმცა არსებობს რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნის მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოქალაქეთა თავისუფალი არჩევანი. აღნიშნული ზოგადი პრინციპები საკმაოდ კარგად არის განერილი ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომლის თანახმადაც:

**„ხალხის ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და არაფალსიფიცირებულ არჩევნებში, ფარული კენჭისყრით, ან თაბარმნიშვნელოვანი ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას“.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ არჩევნები უნდა ატარებდეს პერიოდულ ხასიათს, რათა რეალურად იყოს უზრუნველყოფილი მოქალაქეთა მიერ საკუთარი პოლიტიკური ნების გამოხატვის შესაძლებლობა. არჩევნების პერიოდულობა უზრუნველყოფს ხელისუფლების ცვალებადობას. იგი, ასევე, ზრდის მმართველი ფგუფის ანგარიშვალდებულების განცდას ხალხის მიმართ. სწორედ ამიტომ მსოფლიოს ყველა- მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ ქვეყანაში, არჩევნები ტარდება გარკვეული პერიოდულობით (მაგალითად, ოთხ ან ხუთ წელიწადში ერთხელ).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომელსაც არჩევნები უნდა აკმაყოფილებდეს, გახლავთ მისი ნამდვილობა. იმისათვის, რომ არჩევნებმა უზრუნველყოს პოლიტიკური პროცესების სიჯანსაღე, დაუშვებელია მისი გაყალბება. ასეთ დროს, არჩევნები კარგავს ყოველგვარ აზრს და ემსგავსება თეატრალურ სანახაობას, რომელიც უბრალოდ პოლიტიკური პროცესების ფასადს ქმნის. რისკი იმისა, რომ საზოგადოება არ მიიღებს გაყალბებული არჩევნების შედეგად მოსულ ხელისუფლებას, ძალზე დიდია. **ისტორიას ახსოვს არაერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ გაუსწორდა საზოგადოება, არჩევნების გაყალბების შედეგად, ქვეყნის სათავეში**

**კითხვა:** იმსჯელეთ არჩევნების პერიოდულობის პრინციპზე. ეთანხმებით თუ არა მას? რატომ?



**მოსულ ძალას.**

დემონსტრაცია კაიროში, ტაჰირის მოედანზე (ეგვიპტე)

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არჩევნების დემოკრატიულობის კიდევ ერთ კრიტერიუმად ასახელებს არჩევნების ფარულობას. მართლაც, ადამიანის მიერ დაფიქსირებული არჩევანი ფარულია, არავის აქვს უფლება, იცოდეს, თუ ვის მისცა ხმა კონკრეტულმა პირმა. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება უშუალოდ ამომრჩევლის დაცვას, რათა არავინ სცადოს მასზე გადანყვეტილების შესაცვლელად რაიმე გავლენის მოხდენა. ამომრჩეველი დამოუკიდებელი უნდა იყოს საკუთარ არჩევანში.

აღნიშნული პრინციპები საკმაოდ ზოგადია და წარმოადგენს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო ძირითად პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია, თუმცა, მხოლოდ ამ პრინციპების დაცვა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რეალურად იქნეს უზრუნველყოფილი მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური არჩევანის თავისუფლება.

**კითხვა:** ხომ ვერ გაიხსენებდით მსგავს შემთხვევებს მსოფლიოს უახლესი ისტორიიდან? იმსჯელეთ მათ შესახებ.



შესაძლოა, არჩევნები იყოს ფარულიც, იყოს პერიოდულიც, არ ხდებოდეს არჩევნების შედეგების გაყალბება, მაგრამ, რეალურად, იგი საერთოდ ვერ ასახავდეს საზოგადოების განწყობასა და ხალხის მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ არჩევანს. აღნიშნულის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირში ჩატარებული არჩევნები, რომელიც ერთი შეხედვით ქმნიდა საზოგადოების ერთსულოვნების განცდას, რეალურად კი, წარმოადგენდა დასავლეთის სახელმწიფოთათვის დადგმულ სპექტაკლს, რომლის მემშვეობითაც კრემლი ცდილობდა, მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ საბჭოთა კავშირში არსებული რეჟიმი თითქოს საზოგადოების უპირობო მხარდაჭერით სარგებლობდა. მას არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რასაც თანამედროვე მსოფლიო საარჩევნო დემოკრატიას უწოდებს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია არჩევანის ფაქტობრივი არარსებობით. საზოგადოებას უწევდა არჩევანი გაეკეთებინა კომუნისტური პარტიის მიერ წარდგენილი ერთადერთი კანდიდატის სასარგებლოდ. არ არსებობდა პოლიტიკური პლურალიზმი, მრავალპარტიულობა. განსხვავებული აზრის ქონა უბრალოდ აკრძალული იყო. ეს იყო არჩევნები არჩევანის გარეშე. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ: იმისთვის, რომ არჩევნები ჩაითვალოს დემოკრატიულად, ხოლო მოქალაქეთა საარჩევნო უფლება რეალიზებულად, აუცილებელია, არსებობდეს არჩევანი. აუცილებელია, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს საშუალება, წარმოადგინოს საკუთარი კანდიდატურა და სრულად ჩაერთოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.



კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება არ ნიშნავს საარჩევნო უფლების რეალიზებას, გახლავთ თანამედროვე ირანის ისლამური რესპუბლიკა, სადაც ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურა ტარდება დემოკრატიული სტანდარტების სრული დაცვით. შეიძლება ითქვას, რომ უნაკლოდაც. მაშინ რა არის მთავარი? მთავარია ის, რომ საზოგადოება იმ-თავითვე შეზღუდულია არჩევანში. მართალია იქ, განსხვავებით საბჭოთა კავშირისგან, არჩევნებში ერთზე მეტი კანდიდატი მონაწილეობს, მაგრამ თითოეული კანდიდატის შერჩევა ხდება ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს მიერ. შესაბამისად, არჩევნებში გამორიცხულია ისეთი კანდიდატის მონაწილეობა, რომელიც ირანის უმაღლესი აიათოლასა და მასთან არსებული ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს ხედვას არ აკმაყოფილებს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირანის არჩევნები, მსგავსად საბჭოთა კავშირის არჩევნებისა, არც მეტი არც ნაკლები, წარმოადგენს ღონისძიებას, სადაც რეალურად არ ხდება არჩევანის გაკეთება, სადაც საზოგადოება სხვის მიერ გაკეთებულ არჩევანს საკუთარი მონაწილეობით ადასტურებს.




ამრიგად, არჩევნების დემოკრატიულობის შესაბამისად, საარჩევნო უფლების რეალიზაციის უმთავრეს პირობას, გარდა ზემოთ განხილული სამი პრინციპისა, წარმოადგენს არჩევნების საყოველთაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა დაინტერესებულ პირსა და პოლიტიკურ ძალას საარჩევნო პროცესში სრულად ჩართვის თანაბარი საშუალება უნდა ჰქონდეს.

**2. საარჩევნო სისტემა**

იმისთვის, რომ არჩევნებმა, როგორც პოლიტიკურმა და სამართლებრივმა ინსტიტუტმა, იარსებოს, აუცილებელია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების შედეგების სახელმწიფოს ცხოვრებაში პრაქტიკულ დანერგვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს არჩევნების ჩატარებისა და საარჩევნო ორგანოს ფორმირების, აღნიშნულ ორგანოში ადგილებისა და მანდატების განაწილების წესს. აღნიშნულ ნორმათა ერთობლიობა ჯამში ქმნის საარჩევნო კანონმდებლობას.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საარჩევნო სისტემა წარმოადგენს პრინციპებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზეც ხდება, ერთი მხრივ, საარჩევნო პროცედურის წარმართვა, მეორე მხრივ კი, მიღებული ხმების მანდატებში გადაყვანა.

უფრო ზოგადად რომ ვისაუბროთ აღნიშნულ საკითხზე, საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ჯგუფთა მიერ საკუთარი წარმომადგენლის სამართლიანი არჩევა. როგორც წესი, არჩევნებში გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს (მაჟორიტარული პრინციპი), ან უბრალოდ არჩევნებში მიღებულ ხმათა რაოდენობა პროპორციულად ნაწილდება არჩევნებში მონაწილე სუბიექტებზე (პროპორციული პრინციპი). შესაბამისად, განასხვავებენ ორი ტიპის საარჩევნო სისტემას- **მაჟორიტარულსა და პროპორციულს**. გარდა აღნიშნულისა, არსებობს ისეთი საარჩევნო სისტემები, სადაც თანაბრად გამოიყენება, როგორც ერთი, ისე მეორე პრინციპი. ასეთ სისტემებს შერეულ საარჩევნო სისტემებადაც მოიხსენიებენ. მსგავსი სისტემები ძირითადად ახალგაზრდა, გარდამავალ ეტაპზე მყოფი, სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი. გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც მოქმედებს არჩევნების, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული წესი. მაჟორიტარული სისტემით ხდება, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქის მერის, საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოთა დეპუტატების ნაწილის არჩევა (ე.წ. მაჟორიტარი დეპუტატები). პროპორციული სისტემა კი მოქმედებს პარლამენტისა და სხვა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების დროს.



### 3. საარჩევნო სამართალი

#### 3.1. არჩევნები, როგორც კონსტიტუციით დასული სამართლებრივი სიკეთე

საქართველოს კონსტიტუციით საარჩევნო უფლება უზრუნველყოფილი და დაცული უფლებაა. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ქვეყნის უმაღლესი კანონით განმტკიცებული მმართველობის ფორმის, დემოკრატიული რესპუბლიკის იდეიდან. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პირველი მუხლის თანახმად, „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. დემოკრატიისა და რესპუბლიკის პრინციპები კი უპირობოდ აღიარებს საზოგადოების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. უფრო მეტიც, დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების თანახმად, ხალხი არის სახელმწიფო ძალაუფლების ერთადერთი წყარო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქალაქეები წყვეტენ, თუ ვინ იქნება სახელმწიფოს მმართველი. აღნიშნული იდეა მკაფიოდ აისახა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლშიც, რომლის თანახმად:

**კითხვა:**  
როგორ გესმით კონსტიტუციის ნორმა? თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ხალხი იყოს ხელისუფლების წყარო?

1. **“საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.**
2. **ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.**
3. **არავის არა აქვს უფლება მიითვისოს, ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.**
4. **სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.**“

იხ. თავი საკონსტიტუციო სამართლის შესახებ.

აღნიშნული მუხლით საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად ამბობს, რომ ქვეყანაში ლეგიტიმურია მხოლოდ ის ხელისუფალი, რომელიც ქვეყნის სათავეში ხალხის ნების შესაბამისად მოვიდა. ერთი მხრივ, ეს არის კიდევ ერთი დადასტურება დემოკრატიის პრინციპების ერთგულების, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მუხლი აწესებს მოქალაქის საარჩევნო უფლების დაცვის უმაღლეს საკანონმდებლო სტანდარტს.

#### 3.2. საარჩევნო უფლების არსი

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ არჩევნების, როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტის შესახებ, მიმოვიხილეთ მისი კონსტიტუციური გარანტიები, კვლავ აქტუალურია კითხვა, თუ რას წარმოადგენს საარჩევნო უფლება თავისი არსით? მაგალითად, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხელისუფლების წყაროა ხალხი, შესაბამისად, ადამიანებმა არჩევნების გზით უნდა დააფიქსირონ, თუ ვინ იქნება ქვეყნის მმართველი. ასეთ დროს ლოგიკურად ჩნდება კითხვა, ხომ არ ხდება საარჩევნო უფლების შელახვა მაშინ, როდესაც ხდება მთავრობის წევრების დანიშვნა? ხომ არ აჯობებდა, რომ დეპუტატების მსგავსად, მთავრობის წევრებიც აგვერჩია? შესაძლოა, ერთი მხრივ, აღნიშნული საკითხებით გამართლებული იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა, არც იყოს მთავრობის წევრების დანიშვნის აუცილებლობა. მოქალაქეთა მიერ ისედაც ხომ ხდება პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლის და პარლამენტის, როგორც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს არჩევა? ხმის მიცემით საზოგადოება აღნიშნულ ინსტიტუტებს უცხადებს ნდობას და აძლევს უფლებას, ისაუბროს მათი სახელით. შესაბამისად, პარლამენტის და პრეზიდენტის მიერ მთავრობის წევრთა დანიშვნა ნიშნავს, რომ ისინი ხალხის მიერ არჩეულმა ინსტიტუტებმა დაამტკიცა, რამდენადაც ამ ინსტიტუტებს აქვთ ლეგიტიმური უფლება ისაუბროს ხალხის სახელით, იგულისხმება, რომ მთავრობის წევრთა დანიშვნა მოხდა ხალხის ნების შესაბამისად. ცალკეულ სახელმწიფოებში გვხვდება ისეთი სისტემა, სადაც პრეზიდენტს ირჩევს არა ხალხი, არამედ პარლამენტი. ასეთ შემთხვევაში, ლოგიკა იგივეა. პარლამენტი

არის ხალხის მიერ ლეგიტიმურად არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას და როგორც ხალხის წარმომადგენელი, უფლებამოსილია ისაუბროს ხალხის სახელით. აღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, რომ ხელისუფლების ცალკეული ორგანოები არ იყოს არჩეული ხალხის მიერ, თუმცა საკანონმდებლო ორგანო აუცილებლად არჩევნების გზით უნდა დაკომპლექტდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას უბრალოდ არ ექნება საშუალება ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღებისა, შესაბამისად, ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი დადგება ეჭვქვეშ.

აღნიშნული იდეა აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებითაც. **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, რომელიც 1952 წელს იქნა მიღებული, პირდაპირ მოითხოვს ხელმომწერი სახელმწიფოებისგან, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლება დაკომპლექტდეს მხოლოდ საყოველთაო არჩევნების გზით.**

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლების არსი, ზოგადად, გამოიხატება ხალხის მიერ თავის წარმომადგენელთა არჩევაში, რომელთაც დროებით გადასცემს სუვერენულ უფლებათა განხორციელების მანდატს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხი თავის წარმომადგენლებს გადასცემს თავის სუვერენიტეტს, ანუ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში. სახალხო სუვერენიტეტი გაუსხვისებელია, **არჩეული ხელისუფლება ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე.**



საარჩევნო უფლების არსზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, შევხვთ საარჩევნო უფლების ხასიათს. საარჩევნო უფლება შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. რას ნიშნავს თითოეული მათგანი?

აქტიური საარჩევნო უფლება გულისხმობს უფლებას აირჩიო წარმომადგენელი, ანუ მონაწილეობა მიიღო საარჩევნო პროცესში, იყო ამომრჩეველი, ანუ სუბიექტი, რომელიც არჩევნების დღეს საარჩევნო ურნასთან იღებს სახელმწიფოს ცხოვრების შესახებ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას. ირჩევს წარმომადგენელს, რითაც ასრულებს საკუთარ მოქალაქეობრივ ვალს.

**კითხვა:** იმსჯელეთ აღნიშნულ საკითხზე, თქვენი აზრით, რატომ არის აუცილებელი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების წესით დაკომპლექტება?

სახალხო სუვერენიტეტი შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ხალხის ძალაუფლება, ხალხის სუვერენული უფლება თავად მართოს საკუთარი ქვეყანა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხი კი არ ემორჩილება ხელისუფლებას, არამედ ხელისუფლებას ხალხის სამსახურში.

### 3.3. აქტიური საარჩევნო უფლება

აქტიური საარჩევნო უფლება არის მოქალაქის უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ იმ ქვეყნის მოქალაქეს, სადაც არჩევნები ტარდება. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით ვერ ისარგებლებენ საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ქართული კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს. ამდენად, პირი, რომელსაც სურს არჩევნებში მისთვის სასურველ კანდიდატს მისცეს ხმა, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე არანაკლებ 18 წლისა. ეს არის აქტიური საარჩევნო უფლების ერთადერთი შეზღუდვა. სხვა ყველა შეზღუდვა, მაგალითად, ქონებრივი, სქესობრივი, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება, როგორც დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და სახელმწიფოს უზენაეს კანონს - კონსტიტუციას.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ რამ განაპირობა ასაკობრივი და მოქალაქეობრივი ცენზის დანესება აქტიურ საარჩევნო უფლებაზე? უპირველეს ყოვლისა იმან, რომ საკუთარი ქვეყნის მართვაში არჩევნების გზით მონაწილეობა, გარდა უფლებისა, მოქალაქის უდიდეს პასუხისმგებლობას წარმოადგენს. ადამიანი, ფაქტობრივად, ხდება შემოქმედი საკუთარი ქვეყნის განვითარების პროცესისა. დემოკრატიულ სამყაროში ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ ხმასაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავალი ხელისუფლების არჩევისას და განვითარების სავარაუდო კურსის განსაზღვრისას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სრულწლოვან ადამიანს შეუძლია. რატომ უნდა იყოს ეს ადამიანი საქართველოს მოქალაქე? პასუხი აღნიშნულ შეკითხვაზეც მარტივია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია საკუთარი მოქალაქეების წინაშე, უფრო მეტიც, მოქალაქეების მიერ სახელმწიფოს უმთავრესი შემადგენელი ელემენტია. შესაბამისად, მხოლოდ მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის შეიძლება ის განსაკუთრებული მორალური, კულტურული თუ სამართლებრივი ურთიერთკავშირი, რომელიც იმთავითვე განსაზღვრავს ქვეყნის ხასიათს, მის სახეს და როლს თანამედროვე მსოფლიოში. ამდენად, სწორედ მოქალაქე, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი უმთავრესი ელემენტი, არის უფლებამოსილი, მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ქვეყნის მართვაში.

**კითხვა:** ეთანხმებით თუ არა ასაკობრივი და მოქალაქეობრივი ცენზის არსებობას არჩევნებზე? პასუხი დაასაბუთეთ.








### 3.4. ხმის მისაწვდომი პროცედურა

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით აქტიური საარჩევნო უფლება მკაცრად არის რეგლამენტირებული. დეტალურად არის განვიხილოთ კენჭისყრის პროცედურა, ამომრჩევლის უფლებები და მოვალეობები. კენჭისყრის პროცედურა შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხდება სპეციალურად გამოყოფილ საარჩევნო უბანზე. ხმის მიცემის პროცედურას კოორდინაციას უწევს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც საარჩევნო უბნის გამართულ ფუნქციონირებაზე აგებს პასუხს. კერძოდ, უზრუნველყოფს წესრიგს, ამომრჩეველთა რეგისტრაციას, დარღვევების აღმოფხვრას და მათ დაფიქსირებას ჩანაწერთა წიგნში, ერთი სიტყვით, კომისია განსაზღვრავს ხმის მიცემის პროცედურის კანონთან შესაბამისობაში **წარმართვას**. საუბნო საარჩევნო კომისია ახორციელებს უბანზე ხმების დათვლას და აფიქსირებს შედეგებს შემაჯამებელ ოქმში. საუბნო შემდეგ შემაჯამებელ ოქმს უგზავნის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, დაჯამებულ შედეგებს აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. არჩევნების თითოეულ ეტაპზე, საარჩევნო კომისია ვალდებულია, იზრუნოს დამკვირვებლებისთვის სამუშაო პირობების შექმნაზე, გადასცეს მათ შემაჯამებელი ოქმები, მიიღოს საჩივრები დამკვირვებლებისგან და მოახდინოს მათზე რეაგირება.

საარჩევნო უბანში შესვლისას ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან პასპორტს, რის შემდეგაც იგი გადის მარკირების პროცედურას. კერძოდ, **საარჩევნო კომისიის წევრი ულტრაიისფერი ფარნის დანათებით ამოწმებს, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება**. მარკირება ნიშნავს ამომრჩევლისთვის ხელის ცერა თითზე თვალის უხილავი, ჯანმრთელობისთვის უვნებელი, ქიმიური სითხის წასმას, რომლის დანახვაც შესაძლებელია ულტრაიისფერი დანათებით. მარკირების მიზანი გახლავთ



### გადასატანი ყუთით ხმის მისაწვდომი პროცედურა

კომისია, აგრეთვე, უზრუნველყოფს იმ ადამიანთა აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელებას, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ საარჩევნო უბანზე მისვლა და ხმის მიცემა. ასეთ დროს ამომრჩეველი წინასწარ ახდენს კომისიის ინფორმირებას და რეგისტრირდება საარჩევნო უბანზე. არჩევნების დღეს კომისიის წევრებს, დამკვირვებლებთან ერთად, ამომრჩევლისთვის ბინაზე მიაქვთ გადასატანი საარჩევნო ყუთი. შესაბამისად, ხმის მიცემა ხდება ამომრჩევლის ადგილსამყოფელში. მას შემდეგ, რაც გადასატანი ყუთს მიიტანენ ყველა ამომრჩეველთან, ხდება მისი დალუქვა. ყუთი იხსნება ხმების დათვლის პროცედურის დაწყებისას.

### მარკირება

ერთი და იმავე ამომრჩევლის მიერ ხმის მრავალჯერადი მიცემის გამორიცხვა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი შემონმებისას საარჩევნო კომისიის წევრი დაადგენს პირის მარკირებას, მას აღარ მიეცემა ხმის მიცემის საშუალება. მისი ვინაობა კი დაფიქსირდება კომისიის მიერ. თუ ამომრჩეველს შემონმებისას არ აღმოაჩნდა მარკირება, კომისიის წევრი მიუთითებს შესაბამის სარეგისტრაციო მაგიდასთან.

**ამომრჩეველი მაგიდასთან მჯდომ რეგისტრატორს წარუდგენს პირადობის მოწმობას, რის შემდეგაც რეგისტრატორი გადაამოწმებს ამომრჩევლის არსებობას საარჩევნო სიაში. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ამომრჩევლის არსებობა სიაში, რეგისტრატორი ახორციელებს ამომრჩევლის მარკირებას. თუკი ეს უკანასკნელი უარს იტყვის მარკირების პროცედურაზე, მაშინ მას აღარ აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.**



მარკირების პროცედურის შემდეგ ამომრჩეველი სიაში ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას, რეგისტრატორი ბიულეტენის უკანა მხარეს დაამონმებს ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით, რის შემდეგაც გადასცემს მას ამომრჩეველს (ბიულეტენების რაოდენობა შესაძლოა განსხვავებულად გამოდინარე არჩევნების ხასიათიდან).

ბიულეტენის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედის კაბინაში, თუმცა სანამ ამომრჩეველი შევა საარჩევნო კაბინაში, ან მანამ, სანამ ბიულეტენს მოათავსებს სპეციალურ კონვერტში, მას შესაძლოა საუბრო საარჩევნო კომისიის წევრებმა ან დამკვირვებლებმა მოსთხოვონ ჩვენება, თუ რა რაოდენობის ბიულეტენი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია, დაემორჩილოს აღნიშნულ მოთხოვნას. აღნიშნული ქმედების მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული ერთი ამომრჩევლის მიერ დადგენილ რაოდენობაზე მეტი ბიულეტენის გამოყენება.

ამომრჩეველი საარჩევნო კაბინაში შედის მარტო, რადგან მან მარტომ უნდა შეავსოს ბიულეტენი და დააფიქსიროს საკუთარი არჩევანი. საარჩევნო კაბინაში ერთზე მეტი პირის ყოფნა იკრძალება, თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც ამომრჩეველი ხანდაზმულობის, ან სხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსებას. ასეთ დროს ამომრჩეველს უფლება აქვს დასახმარებლად მიმართოს ნებისმიერ პირს გარდა კომისიის წევრის, დამკვირვებლის, კანდიდატის ან კანდიდატის წარმომადგენლისა.

როცა ამომრჩეველი საარჩევნო კაბინაში დააფიქსირებს თავის არჩევანს, ის კეცავს ბიულეტენს ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მისცა ხმა. ამის შემდეგ იგი მიდის საარჩევნო ურნასთან ახლოს მდგარ მაგიდასთან, იღებს სპეციალურ კონვერტს, სადაც ათავსებს ბიულეტენს. კომისიის წევრს ხმის დათვლის პროცედურის დაწყებამდე ეკრძალება რაიმე ფორმით ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, რაც შეიძლება გამოიხატოს კონვერტის გახსნაში, ამომრჩევლისთვის არჩევანის შესახებ შეკითხვის დასმაში.

მას შემდეგ რაც ამომრჩეველი ჩადებს ბიულეტენს კონვერტში, იგი მიდის საარჩევნო ურნასთან. როდესაც კომისიის წევრი დარწმუნდება იმაში, რომ ამომრჩეველს ერთ კონვერტზე მეტი არ აქვს, იგი ხსნის საარჩევნო ურნის ჭრილს, რის შემდეგაც ამომრჩეველი ასრულებს ხმის მიცემის პროცესს და დაუყოვნებლად ტოვებს საარჩევნო უბანს.

ბიულეტენი წარმოადგენს ერთგვარ საარჩევნო ფურცელს, სადაც მოცემულია საარჩევნო სუბიექტების სია. ამომრჩეველმა უნდა შემოხაზოს მხოლოდ ერთი სასურველი კანდიდატი. დაუშვებელია ერთ ბიულეტენში ერთზე მეტი კანდიდატის შემოხაზვა, ასევე, რაიმე სახის მინაწერის ან ნახატის გაკეთება. ასეთ დროს ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

საარჩევნო კაბინა გახლავთ საარჩევნო უბანზე სპეციალურად გამოყოფილი, შემოსაზღვრული სივრცე, სადაც ამომრჩეველი შედის მარტო და შემოხაზავს სასურველ კანდიდატს. დაუშვებელია საარჩევნო კაბინაში საავიტაციო მასალის განთავსება.



ხმის დათვლის  
პროცედურა

შეიძლება აღნიშნული პროცედურა დროში საკმაოდ განწელილი მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ ერთი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცესი, იშვიათად, აჭარბებს 3 წუთს. საარჩევნო უბნები, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ამომრჩეველთათვის იხსნება დილის 8 საათზე. არჩევნები მიმდინარეობს 12 საათის განმავლობაში, ანუ საღამოს 8 საათამდე. საარჩევნო უბნის დახურვა ვადაზე ადრე ჩაითვლება საარჩევნო წესების დარღვევად. უბნის დახურვის შემდეგ ხდება საარჩევნო უბნის დალუქვა. ურნა არ იხსნება მანამ, სანამ არ მოხდება მოსული ამომრჩევლების რაოდენობის შედარება გაცემული ბიულეტენების რაოდენობასთან. აღნიშნული მნიშვნელოვანია არჩევნების გაყალბების ფაქტის გამოსავლენად.

აღნიშნული პროცედურის შემდეგ იწყება ხმების დათვლა, რომელსაც ახორციელებს საუბნო საარჩევნო კომისიის 3 ან 4 წევრი. ხმის დათვლის პროცესს აკვირდებიან დამკვირვებლები, რომლებიც უფლებამოსილი არიან მოითხოვონ ხმის დათვლის პროცესის შემაჯამებელი ოქმის ასლი, ხოლო კომისია, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ვალდებულია, დააკმაყოფილოს დამკვირვებლის ლეგიტიმური მოთხოვნა.

### 3.5. პასიური საარჩევნო უფლება

**პასიური საარჩევნო უფლება გულისხმობს მოქალაქის უფლებას თავად იყოს არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასიური საარჩევნო უფლება არის მოქალაქის უფლება, წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა, ან გასცეს თანხმობა მისი კანდიდატურის წამოყენებაზე და არჩევნებში თავად იყაროს კენჭი.

პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია გაცილებით რთულია, ვიდრე აქტიური საარჩევნო უფლებისა, რაც განპირობებულია სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებითა და დამცავი მექანიზმებით. უპირველეს ყოვლისა, გაცილებით მაღალია ასაკობრივი ცენზი. მაგალითად, თუ ხმის უფლების მოსაპოვებლად საკმარისია, რომ პიროვნება იყოს სრულწლოვანი, იმისთვის, რომ იგი აირჩიონ საქართველოს პარლამენტის წევრად, აუცილებელია იყოს მინიმუმ 21 წლის. საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდება 35 წელს მიუღწეველი პიროვნება. გარდა აღნიშნულისა, პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის დროს მოქმედებს ბინადრობის ცენზი, რაც იმას გულისხმობს, რომ არჩევითი თანამდებობის დაკავების მსურველი, გარკვეული დროის მანძილზე, მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოში. აღნიშნული უფლებით სარგებლობისთვის, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მოქმედებს მოქალაქეობის ცენზი, თუმცა პრაქტიკაში გვაქვს ერთობ უცნაური შემთხვევებიც, როდესაც პიროვნებას არჩევითი თანამდებობის დაკავება შეუძლია მაშინაც, როდესაც ის არ არის იმ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე. აღნიშნული წესი, როგორც ასეთი, ძირითადად ვრცელდება ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთათვის (ანუ, ამ შემთხვევაშიც მოქმედებს მოქალაქეობის ცენზი, უბრალოდ,

**კითხვა:** ეთანხმებით, თუ არა აღნიშნულ გადანაცვეტილებას? პასუხი დაასაბუთეთ.

უფრო გაფართოებული). 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს მიანიჭა პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება 2014 წლის პირველ იანვრამდე.

გარდა აღნიშნულისა, აქტიური საარჩევნო უფლება პირს შეიძლება შეეზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი უკვე არის საჯარო ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, მაგალითად, თუ იგი არის საკრებულოს წევრი და სურს კენჭი იყაროს პარლამენტში. იმ შემთხვევაში, თუ მას სურს თავისი კანდიდატურის დაყენება, აუცილებელია, რომ აღნიშნულმა პირმა მოიხსნას საკრებულოს დეპუტატის უფლებამოსილება. ანალოგიური შეზღუდვა ვრცელდება ზოგიერთ არაარჩევით თანამდებობაზეც. მაგალითად, მინისტრს არ აქვს უფლება იყაროს კენჭი და პარალელურად დარჩეს თანამდებობაზე, იმდენად, რამდენადაც, არსებობს მაღალი ალბათობა მინისტრის მიერ საკუთარი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ვერც პასიური და ვერც აქტიური საარჩევნო უფლებით ვერ სარგებლობენ ის მოქალაქეები, რომლებიც სასამართლოს გადანაცვეტილების საფუძველზე იყვნენ აღიარებული ქმედუუნაროდ, ასევე, მსჯავრდებულები, რომელთა მიმართაც ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელს იხდიან საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

#### 4. საარჩევნო სამართლის პრინციპები

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ პრინციპებს, რომელთა დაცვითაც უნდა ჩატარდეს არჩევნები. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნებისას უნდა იყოს უზრუნველყოფილი მონაწილეობის საყოველთაო უფლება, დაცული უნდა იყოს თანასწორობის პრინციპი, არჩევნები უნდა იყოს პირდაპირი, ფარული და უზრუნველყოფდეს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საყოველთაო საარჩევნო უფლება გულისხმობს იმას, რომ თითოეული მოქალაქისთვის, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თანაბრად არის უზრუნველყოფილი, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება.

თანასწორობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ თითოეულ ამომრჩეველსა და კანდიდატს უნდა გააჩნდეს არჩევნებში მონაწილეობისა და არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების თანაბარი შესაძლებლობა. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ამომრჩეველს ჰქონდეს ხმების თანაბარი რაოდენობა.

პირდაპირი არჩევნები ეწოდება ისეთ არჩევნებს, როდესაც პიროვნება უშუალოდ ირჩევს საჯარო წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს, ან თავად აირჩევს უშუალოდ ამომრჩეველთა მიერ.

არჩევნების ფარულობის პრინციპი, გულისხმობს იმას, რომ არავის აქვს უფლება იცოდეს ამომრჩევლის მიერ მიღებული გადანაცვეტილების შესახებ ხმების დათვლის პროცედურამდე. აღნიშნული განპირობებულია, ერთი მხრივ, ამომრჩევლის დაცვის მოტივით, რათა არავინ ეცადოს მასზე ზეგავლენის მოხდენას, ხოლო, მეორე მხრივ, ამომრჩევლის მიერ აგიტაცია-პროპაგანდის ერთგვარ პრევენციას ემსახურება. ამდენად, არჩევნების ფარული ჩატარება წარმოადგენს, არა მხოლოდ ამომრჩევლის უფლებას, არამედ ეს მისი მოვალეობაცაა.

ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის მიერ ნების თავისუფალ გამოვლენას, აკრძალულია, ასევე, დაუშვებელია ამომრჩევლის ნებაზე კონტროლი.

ყოველივე აღნიშნული ნათლად წარმოაჩენს არჩევნებს, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ, სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტსა და იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც თითოეულ მოქალაქეს ეკისრება საკუთარი ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღების დროს.

გარდა პირდაპირისა, არსებობს ე.წ. ირიბი არჩევნების პრაქტიკაც. ასეთ დროს მოქალაქეები ირჩევენ დელეგატს, ხოლო დელეგატი ირჩევს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს. ასეთი სისტემა მოქმედებს აშშ-ში.

**კითხვა:** იმსჯელოთ საარჩევნო პრინციპებზე. რატომ არის მათი დაცვა მნიშვნელოვანი?

# საერთაშორისო ორგანიზაციები

## 1. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა

### 1.1. საერთაშორისო ორგანიზაციის არსი

დღევანდელ მსოფლიოში უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს, რომელთა შესახებაც, სავარაუდოდ, არაერთხელ სმენია მკითხველს. ალბათ მისთვის საინტერესოა, თუ რას წარმოადგენს აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციები? რა როლი და მნიშვნელობა ეკისრება მათ თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრებაში?

საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც წესი, იქმნება გარკვეული საერთაშორისო ამოცანების გადასაჭრელად, ან გლობალურ პრობლემებთან საბრძოლველად<sup>1</sup>.

საერთაშორისო ორგანიზაციების თანამედროვე სახით ჩამოყალიბება და განვითარება პირდაპირ კავშირშია საერთაშორისო სისტემისა და მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტის, სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაცობრიობა განვითარების მანძილზე აღმოჩნდა ისეთი ხასიათის პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე, რომლებიც თანაბრად უქმნის საფრთხეს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს, ხოლო მისი მოგვარება, ცალკე აღებული ერთი რომელიმე ქვეყნისათვის, ძალიან რთული, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიც კია. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა სახელმწიფოთა მიერ ძალების გაერთიანება და თანამშრომლობა, რათა ერთობლივად გაუმკლავდნენ საერთო პრობლემებს, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოთა თანამშრომლობის ერთგვარი ფორმაა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არ გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოთა გაერთიანებას. საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე მასში, შესაძლოა, გაერ-

**კითხვა:** თქვენი აზრით, რა გამოწვევებზეა საუბარი?

<sup>1</sup> <http://www.britannica.com/EBchecked/topic/291157/international-organization>



თიანებული იყოს, როგორც სახელმწიფოები, ასევე, ცალკეულ სახელმწიფოებში მოღვაწე კომპანიები და ორგანიზაციები. განასხვავებენ ორი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციას: სამთავრობო, ანუ სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ნატო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორცაა: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, Amnesty International, CARE, Save the Children და ა.შ.

დღევანდელ მსოფლიოში მოქმედებს განსხვავებული იურიდიული სტატუსის მქონე 59000 საერთაშორისო ორგანიზაცია და ყოველი მათგანი განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების თანამედროვე სახით ჩამოყალიბება და განვითარება კაცობრიობის პროგრესის შედეგია, რადგან სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებამ, კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მიღწეულმა პროგრესმა არა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის კავშირების გაღრმავებას, არამედ ამ სახელმწიფოებში მცხოვრებ ადამიანთა დაახლოებასაც შეუწყო ხელი, ხოლო ახალმა გლობალურმა პრობლემებმა და გამოწვევებმა, მათი ძალებისა და საშუალებების გაერთიანების აუცილებლობა განაპირობა.

**წინამდებარე თავში განვიხილავთ განსხვავებული ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათი საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებს და ახლოს გავიცნობთ ყველაზე მსხვილ საერთაშორისო გაერთიანებებს.**

## 1.2. სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები

იმისთვის, რომ უკეთ გავიზაროთ თუ რას წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, მიზანშეწონილი იქნება, თუ ორიოდ სიტყვით მიმოვიხილავთ უშუალოდ საერთაშორისო სისტემას, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედების მთავარ სივრცეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ორგანიზაციები ჩართულნი არიან საერთაშორისო სისტემაში და ისინი აღნიშნული სისტემის საკვანძო ელემენტებს წარმოადგენენ.




1648 წ. ვესტფალიის ზავის დადება

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას, სადაც უმთავრესი მოქმედი სუბიექტი სახელმწიფოა, საფუძველი **1648 წელს ვესტფალიის ზავით ჩაეყარა**<sup>2</sup> მან შეცვალა მანამდე არსებული შუასაუკუნეების ევროპული საერთაშორისო და პოლიტიკური სისტემა, რომელიც ბუნდოვნად განსაზღვრულ რელიგიურ იერარქიას ემყარებოდა. სწორედ ვესტფალიის ზავმა დაამკვიდრა საერთაშორისო პოლიტიკურსა და სამართლებრივ ურთიერთობებში სუვერენიტეტის ცნება, რაც, არსებითად, გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მმართველი, არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არ აღიარებდა თავისზე მაღალ ან თანასწორ ხელისუფალს. სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალს ჰქონდა ერთპიროვნული უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ ეწარმოებინა საშინაო საქმეები და გაეტარებინა ის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევდა. შეგვიძლია, თამამად განვაცხადოთ, რომ ვესტფალიის ზავმა დაამკვიდრა სუვერენული სახელმწიფოს და ე.წ. ერთ-სახელმწიფოს გაგება, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო - პოლიტიკური სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო შეთანხმების შედეგად შექმნილი გაერთიანებებია. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვსაუბ-

**იცით თუ არა, რომ:**  
სახელმწიფოთა შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმების შედეგად შექმნილი პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირია, რომელიც 1865 წელს პარიზში მიღებული კონვენციის შედეგად დაფუძნდა. რიგით მეორე ორგანიზაცია, რომელიც ანალოგიურად შეიქმნა, იყო საერთაშორისო საფოსტო კავშირი, რომელიც დაარსდა 1874 წელს. დღეს აღნიშნული კავშირის წევრია მსოფლიოს 192 სახელმწიფო.

2 ალ. რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“.



ერთა ლიგის ასამბლეის პირველი სხდომა, 1920 წელი

- დამფუძნებელი წევრები, რომლებიც ორგანიზაციის არსებობის მანძილზე დარჩნენ
- დამფუძნებელი წევრები, რომლებმაც დატოვეს ერთა ლიგა და კვლავ შეუერთდნენ მას
- დამფუძნებელი წევრები, რომლებმაც დატოვეს ორგანიზაცია
- წევრები, რომლებიც მოგვიანებით შეუერთდნენ და ბოლომდე დარჩნენ
- წევრები, რომლებიც გვიან შეუერთდნენ და დატოვეს ერთა ლიგა
- ერთა ლიგის მანდატი
- არასდროს ყოფილან ერთა ლიგის წევრები
- წევრთა კოლონიები
- იმ წევრების კოლონიები, რომელთაც დატოვეს ორგანიზაცია
- არანაწევრი ქვეყნების კოლონიები



რობთ ისეთი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციაზე, როგორცაა ევროსაბჭო და ეუთო, ბუნებრივია, შეთანხმების მხარე - სახელმწიფო, რადგანაც აღნიშნული ორგანიზაციები სწორედაც, რომ სახელმწიფოთაშორის, ე.წ. სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების რიგს მიეკუთვნება. ეს არის მაგალითი იმისა, რომ მსოფლიოს რამდენიმე სახელმწიფო, საერთო მიზნების მისაღწევად, თანხმდება თანამშრომლობის ორგანიზებული ფორმის გამონახვაზე, ამ შეთანხმების შედეგად კი ყალიბდება საერთაშორისო ორგანიზაცია.

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული მიზნების მისაღწევად იქმნება. ეს მიზნები, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, მაგალითად, რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვა, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა, სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო გამონვევებთან ბრძოლა და ა.შ.

**პირველი სერიოზული თანამედროვე ტიპის სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია - ერთა ლიგა, რომელიც 1919-1920 წლებში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ვერსალის შეთანხმების საფუძველზე დაფუძნდა.** მას შემდეგ, რაც მსოფლიომ ომის გამანადგურებელი შედეგები ნახა, გადანყდა, შექმნილიყო საერთაშორისო გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფდა განიარაღების პროცესს, დაიცავდა მშვიდობას და ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიან მოგვარებას. მიუხედავად დეკლარირებული მიზნებისა, ერთა ლიგა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, რადგან ვერ შეძლო მთელი რიგი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების პრევენცია, მათ შორის, მეორე მსოფლიო ომის, რომელსაც მთლიანად 50 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეენირა. ერთა ლიგამ არსებობა ოფიციალურად 1946 წლის 20 აპრილს შეწყვიტა. იგი მიიჩნევა მსოფლიოს უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის - გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) წინამორბედად<sup>3</sup>.

მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნებს ემსახურება ესა თუ ის ორგანიზაცია, იკვეთება რამდენიმე თვისება, რომელიც ყველა სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციას ახასიათებს:

**კითხვა:** მოცემულ თავში ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, რომელი საერთაშორისო ორგანიზაციებია თქვენთვის ცნობილი?

**იცით, თუ არა რომ:** სახელმწიფოთა პირველი საერთაშორისო კავშირი ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. მე-6 საუკუნეში შეიქმნა პელოპონესის ნახევარკუნძულზე, ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო სპარტის გარშემო, რომელიც ისტორიაში ცნობილია პელოპონესის კავშირის, პელოპონესის ლიგის სახელწოდებით.

3 Challenges to traditional concept of sovereignty, Randall Baker, Indiana University, U.S.A. 2000

ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა თანამშრომლობას, დასახული ამოცანების გადაჭრის საქმეში.

საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები თმობენ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილს ორგანიზაციის სასარგებლოდ, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც განუვრინებელია რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში, მოქმედებს არა უშუალოდ საკუთარი შეხედულებებით, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად<sup>1</sup>.

1 UNOG (The United Nations Office in Geneva) Library –The end of the League of Nations”, 2008.

ზემოაღნიშნულის ბრწყინვალე მაგალითია ევროკავშირი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო გაერთიანება, რომელიც ცდილობს პრაქტიკაში გაატაროს ერთიანი ევროპული პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ გაერთიანების წევრი სახელმწიფოები სწორედ მოცემულ საერთაშორისო ორგანიზაციაზე ახდენენ საკუთარი კომპეტენციების მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას, რისი შედეგიცაა ერთიანი ევროპული ვალუტის - ევროს შემოღება, აგრეთვე, ერთიანი ევროპული პარლამენტის შექმნა.

უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სულ უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს გაუმკლავდეს პარტნიორებთან ერთად მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევებს (გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, საერთაშორისო ტერორიზმი, ტრანსნაციონალური დანაშაული). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებით პატარა და სუსტი სახელმწიფოებისთვის, რადგან მათ ჩამოთვლილი პრობლემების წინააღმდეგ მხოლოდ საკუთარი ძალებით მოქმედება ძალიან გაუჭირდებათ. საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობა მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ უზრუნველყოფს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარებას. არაერთი ქვეყანაა დღევანდელ მსოფლიოში ისეთი, რომელთაც ერთმანეთთან პირდაპირი ურთიერთობა არ აქვთ, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ახერხებენ ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

1.3. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

საერთაშორისო სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორც აღვნიშნეთ, ის საერთაშორისო ორგანიზაციებია, რომლის წევრებიც არიან არა კონკრეტული სახელმწიფოები, არამედ ამ სახელმწიფოებში მოქმედი ცალკეული ჯგუფები ან პიროვნებები. ასეთ გაერთიანებებს არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს უწოდებენ.

მსოფლიო ბანკის განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაცია გულისხმობს „კერძო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ შეუმსუბუქოს მოსახლეობას მძიმე მდგომარეობა, დაიცვას საზოგადოების გაჭირვებული ნაწილის ინტერესები, დაიცვას გარემო, უზრუნველყოს საზოგადოება ძირითადი სოციალური მომსახურებით<sup>4</sup>. ფართო გაგებით, არასამთავრობო ორგანიზაცია შეგვიძლია ვუწოდოთ ნებისმიერ არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც დამოუკიდებელია მთავრობისგან.

რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაცია წარმოადგენს მთავრობისგან დამოუკიდებელ სუბიექტს, მისი დამფუძნებელი სახელმწიფო ვერ იქნება, შესაბამისად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციისგან განსხვავებით, ვერ იქნება დაფუძნებული სახელმწიფოთა მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

4 მსოფლიო ბანკის ოპერატიული დირექტივა 14.70



წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ოფისი ჟენევაში



საერთაშორისოდ მიიჩნევა ისეთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ძირითადი შტაბ-ბინაც, როგორც წესი, განთავსებულია მსოფლიოს რომელიმე განვითარებულ სახელმწიფოში, თუმცა მისი მოქმედების არეალი მოიცავს ერთზე მეტ განვითარებად სახელმწიფოს<sup>5</sup>.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომლის ცენტრალური ოფისი შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში მდებარეობს, თუმცა საქმიანობას მსოფლიოს 80 ქვეყანაში ახორციელებს.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ისევე როგორც სახელმწიფო-თაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები, გარკვეული მიზნების მისაღწევად იქმნება, თუმცა მათი ამოცანები, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულია იმ ორგანიზაციათა ამოცანებისგან, რომლის წევრებიც უშუალოდ სახელმწიფოები არიან. არასამთავრობო ორგანიზაციები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ იმ პრობლემებზე, რომლის გადასაჭრელადაც უდიდესი მნიშვნელობა საერთაშორისო სამოქალაქო აქტივობას ენიჭება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო სისტემაში, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო საზოგადოების გაგება, რადგან ადრე ტერმინი **საერთაშორისო საზოგადოება**, ძირითადად, მოიცავდა უშუალოდ სახელმწიფოებსა და მათ მიერ შექმნილ სხვადასხვა ტიპის გაერთიანებას, ხოლო დღეს საერთაშორისო საზოგადოება გაცილებით ფართო ცნებაა და მოიცავს იმ გაერთიანებებსა და ჯგუფებს, რომლებიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად იბრძვიან გლობალური პრობლემების წინააღმდეგ.

**კითხვა:** რომელი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა თქვენთვის ცნობილი და რა მიზნებს ემსახურება ის?

**1.4. საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო სამართალი**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო სისტემის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომლის როლი გლობალური პროცესების პარალელურად იზრდება. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები საკვანძო როლს თამაშობენ არამხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, არამედ ისეთ სერიოზულ პროცესებში, როგორიცაა: საერთაშორისო უსაფრთხოება, ეკოლოგიური პრობლემები, ადამიანის უფლებათა დაცვა, საერთაშორისო ეკონომიკური პროცესები, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა: რა პრინციპებსა და ნორმებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს საერთაშორისო ორგანიზაცია? თავისუფლად მოქმედებს, თუ შეზღუდულია ცალკეული წესებით ?

მოცემული საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს ჩამოყალიბებულ

<sup>5</sup> დუკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა [http://library.duke.edu/research/subject/guides/ngo\\_guide/igo\\_ngo\\_coop/ngo\\_wb.html](http://library.duke.edu/research/subject/guides/ngo_guide/igo_ngo_coop/ngo_wb.html)



ჯერემი ბენტამი (1748-1832), ინგლისელი იურისტი, სამართლის ფილოსოფოსი და სოციალური რეფორმების ავტორი. მიჩნეულია თანამედროვე უტილიტარიზმის ფუძემდებლად.

**უტილიტარიზმი** - სოციალურ მეცნიერებებში სარგებლიანობის თეორიის ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის პრინციპია სოციალური ცხოვრებისა და პროცესების განხილვა სარგებლიანობასთან მიმართებაში, შესაბამისად, ყველა არსებული ურთიერთობის სარგებლიანობისთვის დაქვემდებარება.

ბავშვთა უფლებათა კონვენცია არის ის დოკუმენტი, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებს ავალდებულებს ბავშვთა უფლებათა დაცვას. კონვენციაში მკაფიოდაა განსაზღვრული არასრულწლოვანთა უფლებები. მოცემული დოკუმენტი 1989 წელს ერთხმად მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ. აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა.

<http://www.unicef.org>

სტრუქტურის მქონე დანესებულებას, სადაც თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მკაცრად განსაზღვრული ფუნქციები აქვს. ისევე როგორც სახელმწიფოს შიგნით, საერთაშორისო სისტემაშიც მოქმედებს გარკვეული კანონები და წესები, რომელთაც ეს ორგანიზაციები ემორჩილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ორგანიზაციები ფუნქციონირებენ არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკურ, არამედ საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეშიც და მოქმედებენ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. უფრო მეტიც, საერთაშორისო ორგანიზაციები, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო სამართალზე, რაც, თავის მხრივ, მისი ცვლილების საფუძველი ხდება. თუმცა აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საერთაშორისო ორგანიზაცია, მსგავსად ცალკეული ქვეყნების პარლამენტისა, დამოუკიდებლად ქმნის საერთაშორისო სისტემაში მოქმედ კანონებსა და წესებს.

საკითხში უკეთ გასარკვევად, მიზანშეწონილია, რამდენიმე სიტყვით მიმოვიხილოთ საერთაშორისო სამართლის ცნება. ტერმინი „საერთაშორისო სამართალი“ პირველად 1780 წელს გამოიყენა ბრიტანელმა იურისტმა **ჯერემი ბენტამმა** თავის ნაშრომში **„მორალისა და კანონმდებლობის პრინციპების შესავალი“**. თანამედროვე გაგებით, საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს საერთაშორისო სისტემაში ქცევის წესების, პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და აღიარებულია სახელმწიფოთა მიერ.

**საერთაშორისო სამართლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები, საერთაშორისო კონვენციები, რომლითაც ქვეყნები თანხმდებიან გარკვეულ მოქმედებებზე, ან მოქმედებისგან თავის შეკავებაზე. მაგალითად, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, მსოფლიოს ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების დაცვა.**



საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს საერთაშორისო პრაქტიკა წარმოადგენს, ანუ საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებული ქცევა, რომელიც სახელმწიფოთა მიერ სავალდებულოდაა აღიარებული. მაგალითად, 1945 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იაპონიის წინააღმდეგ ატომური ბომბის გამოყენებამ ცხადყო, თუ რაოდენ დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის მსგავსი ტიპის იარაღის არსებობას. სწორედ ამის გამო სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ატომური იარაღის მქონე არც ერთმა სახელმწიფომ არ გამოიყენოს იგი. თავდაპირველად აღნიშნული აკრძალვა დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკა იყო, თუმცა, მოგვიანებით, მისი ასახვა მოხდა საერთაშორისო შეთანხმებაშიც.



არსებობს საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიც. იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებმა იმუშაოს, აუცილებელია მათი **სავალდებულოდ აღიარება სახელმწიფოთა მიერ**. ფაქტობრივად, სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის მეშვეობით ერთგვარ თვითშეზღუდვას ახორციელებენ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგს, მაშინ, როგორ ახდენს მასზე გავლენას საერთაშორისო ორგანიზაცია? მოცემულ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა მივიღოთ

**კითხვა:** თქვენი აზრით, რა საჭიროა აღნიშნული „თვითშეზღუდვა“?

მხედველობაში ის გარემოება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის ცალკეული ნორმები, შექმნილია სწორედ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროსაბჭოს, ევროკავშირს, ეუთოს, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას, სწორედ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი - სახელმწიფოთა შეთანხმება უდევს საფუძვლად. კონკრეტულ საერთაშორისო ორგანიზაციაში კონკრეტული სახელმწიფოებია გაერთიანებული, რაც გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო სისტემის არა დამოუკიდებელ მოთამაშეს, არამედ სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთგვარ ფორმას. შესაბამისად, ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს ქმნიან სახელმწიფოები, რომლებიც სავალდებულოდ აღიარებენ მის შესრულებას. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტზე, როგორცაა „ბავშვთა უფლებათა კონვენცია“, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს დოკუმენტი მიიღო არა გაერომ, როგორც საერთაშორისო სისტემის ცალკე აღებულმა ნევრმა, არამედ დაამტკიცეს გაეროს ნევრმა სახელმწიფოებმა, რომელთაც თავიანთი მხარდაჭერით სავალდებულოდ აღიარეს აღნიშნულ კონვენციებში მოცემულ ნორმათა შესრულების ვალდებულება. რაც შეეხება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, მართალია, მათი ნევრები არ არის კონკრეტული სახელმწიფოები, მაგრამ სწორედ სახელმწიფოთა მხარდაჭერის შედეგად ახორციელებენ საკუთარ ფუნქციებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი წარმატებული მუშაობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოთა შეთანხმებაზე.

**ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისტემის ძირითადი მოქმედი პირი სახელმწიფოა, საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობის გარეშე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა გაცილებით რთული იქნებოდა.**

ბევრი სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების გარეშე, ვერ შეძლებდა გამკლავებოდა მის წინაშე მდგარ გამოწვევებს, ხოლო ცალკეული სახელმწიფოების არსებობა, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ხსნა, პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ამ საკითხებზე დეტალურად ვისაუბრებთ უშუალოდ საერთაშორისო ორგანიზაციების დახასიათებისას.

## 2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

როგორც აღნიშნეთ, მსოფლიოში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისგან არა მხოლოდ მიზნებით, არამედ მოქმედების მასშტაბებითა და არეალით. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ უდიდეს საერთაშორისო ინსტიტუტად. შესაბამისად, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, უპირველესად, სწორედ ეს ორგანიზაცია დავახასიათოთ, გავიგოთ მისი ისტორიის, სტრუქტურის, მასშტაბებისა და მოქმედების არეალის შესახებ.

გაერო დღემდე რჩება მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთობის ცენტრალურ ფორუმად, სადაც ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მიანვდინოს ხმა დანარჩენ მსოფლიოს.

**დასახელება „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს - ფრანკლინ დელანო რუზველტს ეკუთვნის.** მოცემული ორგანიზაციის დაარსება გამოწვეული იყო მსოფლიო ომის შემდგომი

რეალობით. აღნიშნულმა ომმა 50 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. შესაბამისად, მსოფლიოს სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ყველა ღონე ეხმარათ, რათა აღარ დაეშვათ დედამიწაზე მსგავსი საშინელების განმეორება. ამრიგად, 1945 წელს ორმოცდაათი ქვეყნის წარმომადგენელი, ამერიკის ქალაქ სან-ფრანცისკოში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელმოსაწერად შეიკრიბა. აღნიშნული წესდება ეფუძნებოდა 1944 წელს ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ შემუშავებულ წინადადებებს. შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა 50 სახელმწიფოს მიერ მიღწეული საერთაშორისო შეთანხმების შედეგად, რაც გამოიხატა ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მხრიდან გაეროს წესდებაზე ხელმოწერით. პოლონეთი, რომლის წარმომადგენლებიც არ იყვნენ სან-ფრანცისკოს კომფერენციაზე, მოგვიანებით შეუერთდა აღნიშნულ შეთანხმებას და იგი იქცა 51-ე დამფუძნებელ სახელმწიფოდ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთგვარ წინამორბედს „ერთა ლიგა“ წარმოადგენდა, რომელიც 1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, რათა მსოფლიოს ქვეყნებს შორის მშვიდობა და თანამშრომლობა უზრუნველყო<sup>1</sup>.

**კითხვა:** თქვენი აზრით, გაართვა, თუ არა თავი ერთა ლიგამ დაკისრებულ ამოცანას? რატომ?

**რატიფიკაცია**  
ენოდება სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცებას, რომელიც ხელმოწერილია ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ, რაც ხელშეკრულებას აძლევს იურიდიულ ძალას!

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული პიბლიოთეკა, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი.



ოფიციალურად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არსებობს 1945 წლის 24 ოქტომბრიდან. ამ პერიოდისთვის გაეროს წესდება რატიფიცირებული ჰქონდათ ისეთ სახელმწიფოებს, როგორცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი და ა.შ.

**ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 193 სახელმწიფოს აერთიანებს,** რომლებიც გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოს, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და სხვა საბჭოებისა თუ კომიტეტების მეშვეობით ერთმანეთთან თანამშრომლობენ და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საკმაოდ მრავალფეროვანი მიზნები და საქმიანობის სპექტრი აქვს. ორგანიზაცია უდიდეს ყურადღებას უთმობს მსოფლიოში არსებულ ისეთ გლობალურ გამოწვევებს, როგორცაა: სახელმწიფოთა მდგრადი განვითარება, ტერორიზმთან ბრძოლა, მშვიდობის შენარჩუნება, გარემოს დაცვა, ჰუმანიტარული და სამედიცინო პროექტები და სხვ.

**2.1. ბაერტიანებული ერების ორგანიზაციის წესდება**

როგორც აღვნიშნეთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუძემდებლურ დოკუმენტს წესდება წარმოადგენს, რომელიც, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, მიღებულია სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება განსაზღვრავს არა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების წარმართვის საყოველთაოდ აღიარებულ წესებსა და პრინციპებს ადგენს, მაგალითად, ისეთებს, როგორცაა: სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, სახელმწიფოების მხრიდან ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობა, ქვეყნებს შორის ნებისმიერი სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა, აგრესიული ომის აკრძალვა, სახელმწიფოთა კოლექტიური და ინდივიდუალური თავდაცვის უფლება და ა.შ.


აღნიშნული პრინციპები წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათ არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პრინციპების დარღვევისათვის სახელმწიფოებს არ ეკისრებათ საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, აგრეთვე, განსაზღვრავს გაეროს სტრუქტურას, მასში შემავალ ორგანოებსა და ამ ორგანოთა კომპეტენციებს.

<http://www.un.org/en/documents/charter/>

**კითხვა:** თქვენი აზრით, რაში გამოიხატება აღნიშნული სამართლის ნორმების საყოველთაოდ აღიარება?

**კითხვა:** მიგაჩნიათ, თუ არა სწორად ის ფაქტი, რომ გაეროს წესდებით გათვალისწინებული პრინციპები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს? რატომ?






## 2.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა

გაერო, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, თავის საქმიანობას ახორციელებს სტრუქტურული დანაყოფების მეშვეობით. რამდენადაც რთული და მრავალფეროვანია ორგანიზაციის მიზნები, იმდენად მრავალფეროვანია მისი სტრუქტურაც. შეუძლებელია მსოფლიოში გამოწვევებს თანაბრად მიუდგე, მაგალითად, შეუძლებელია ერთი და იმავე მეთოდებით ებრძოლო შიმშილობასა და ეპიდემიას. თითოეულ მათგანს განსხვავებული ცოდნა, მიდგომა და ადამიანები ესაჭიროება.

მოცემულ თავში, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურულ ელემენტებს, რომლის მეშვეობითაც აღნიშნული ორგანიზაცია მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს თავის საქმიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უამრავი საბჭოს, კომიტეტის თუ განყოფილებისგან შედგება, მისი ძირითადი სტრუქტურული ერთეულები შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

**გაეროს ძირითადი სტრუქტურული ერთეულები:**



ქვემოთ ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს.

**2.3. გენერალური ასამბლეა**

გენერალური ასამბლეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი წარმომადგენლობითი, სათათბირო ორგანოა, რომელიც, ფაქტობრივად, განსაზღვრავს ორგანიზაციის მუშაობის მიმართულებას. გენერალურ ასამბლეაზე წარმოდგენილია გაეროს ას ოთხმოცდაცამეტივე წევრი სახელმწიფო, ის წარმოადგენს ფორუმს, სადაც წევრი ქვეყნები მსჯელობენ ორგანიზაციის წესდებაში ასახული საერთაშორისო პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ.

გენერალური ასამბლეის სესია იმართება ყოველწლიურად სექტემბერ-დეკემბრის მონაკვეთში. გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული პროცედურის თანახმად, ყოველ სესიაზე ირჩევენ სხდომის ახალ თავმჯდომარეს. აღნიშნული სასესიო პერიოდის განმავლობაში წევრი სახელმწიფოები მსჯელობენ და გადაწყვეტილებებს იღებენ სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებას იღებენ ხმის მიცემის საფუძველზე. თითოეულ წევრ სახელმწიფოს, მიუხედავად მისი სიდიდისა, ერთი ხმის უფლება აქვს.

გაეროს წესდების თანახმად, გენერალურ ასამბლეაზე საკითხთა უდიდესი ნაწილი ხმათა უბრალო უმრავლესობით წყდება, თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა: სამშვიდობო ოპერაციები, აგრეთვე, უშიშროების საბჭოს წევრთა არჩევა, გადასაწყვეტად ხმათა 2/3-ს საჭიროებს.

აღსანიშნავია, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა, საბჭოთა კავშირმა 15 ხმის უფლება მოითხოვა იმ მოტივით, რომ იგი 15 რესპუბლიკისგან შემდგარი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი იყო. ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნულ პირობას დაეთანხმა, თუ მისი თითოეული შტატი მიიღებდა ხმის უფლებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს 50 ხმის უფლება ექნებოდა. საბოლოო ჯამში საბჭოთა კავშირი 3 ხმის უფლებას დასჯერდა, კერძოდ, ხმის უფლება ჰქონდა უშუალოდ სსრკ-სა და მის შემადგენელ ორ რესპუბლიკას, ბელორუსსა და უკრაინას.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ძირითადი ფუნქციები შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვავალიბოთ:

მშვიდობისა და ომის საკითხების, მათ შორის, განიარაღების საკითხებში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის პრინციპების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რომელიმე კონკრეტული საკითხი განსახილველად წარდგენილია უშიშროების საბჭოზე;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს საკითხები განსახილველად წარდგენილია გაეროს უშიშროების საბჭოზე;

საერთაშორისო სამართლის ნორმების შემუშავებისა და იმპლემენტაციის, აგრეთვე, საერთაშორისო ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურის სფეროში კვლევების ორგანიზება და რეკომენდაციების შემუშავება;

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

ქვეყნებს შორის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

გაეროს უშიშროების საბჭოსა და სხვა სტრუქტურული დანაყოფების მიერ მომზადებული მოხსენებების განხილვა;

გაეროს ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება, აგრეთვე, თითოეული სხელმწიფოსთვის საწევრო შენატანის განსაზღვრა;

გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევა, აგრეთვე, გაეროს სხვა საბჭოებისა და კომიტეტების წევრთა დამტკიცება;

უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, ორგანიზაციის გენერალური მდივნის არჩევა.



როგორც მოცემული ჩამონათვალი ცხადყოფს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ძირითადად, შემუშავებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ რეკომენდაციებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გენერალური ასამბლეის გადამწყვეტილებათა აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებულია იმპერატიულ ხასიათს, ანუ არ არის სახელმწიფოთათვის სავალდებულო. მიუხედავად ამისა, გენერალური ასამბლეა დღემდე სამართლიანად რჩება უდიდეს საერთაშორისო ტრიბუნად, საიდანაც ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.





2.4. უშიშროების საბჭო

უშიშროების საბჭო არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეული. ორგანიზაციის წესდების თანახმად, სწორედ გაეროს უშიშროების საბჭოს ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში. მისი ძირითადი მიზანია მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, ერებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო პრობლემების მოგვარების საქმეში სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა, სახელმწიფოთა მოქმედებების ჰარმონიზაცია.



**გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოში წარმოდგენილია 15 წევრი სახელმწიფო, საიდანაც 5 მუდმივი წევრია, რომელთაც აქვთ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ვეტოს გამოყენებისა და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების დაბლოკვის უფლება და 10 არამუდმივი წევრი, რომელთაც ვეტოს უფლება არ აქვთ.**

უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს წარმოადგენენ: **ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და რუსეთი.** არამუდმივ წევრებს შორის ადგილები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ხუთი წევრი წარმოადგენს აფრიკისა და აზიის რეგიონს, ერთი - აღმოსავლეთ ევროპას, ორი - ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონს, ორიც - დასავლეთ ევროპას და სხვა რეგიონებს. როგორც ვხედავთ, არამუდმივი წევრების არჩევა გეოგრაფიული პრინციპით ხორციელდება იმისათვის, რომ საბჭოში მსოფლიოს ყველა რეგიონი იყოს წარმოდგენილი.

**უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები**



გაეროს უშიშროების საბჭო შეიძლება შეიკრიბოს ნებისმიერ დროს, როდესაც მსოფლიოში საფრთხე ემუქრება მშვიდობასა და სტაბილურობას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უშიშროების საბჭო გაეროს ერთადერთი სტრუქტურული ერთეულია, რომლის გადაწყვეტილებაც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარე-

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 1946 წლის 17 იანვარს ლონდონში.

<http://www.un.org/en/sc/about/>

**კითხვა:** რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დაკომპლექტების ამგვარი წესი? რატომ?

ბულია სავალდებულოდ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები სარგებლობენ ვეტოს უფლებით, ხშირად, ძალიან რთულია რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიიღება, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახება საერთაშორისო პროცესებზე.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს მინიჭებული აქვს შემდეგი ფუნქციები:**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად, უზრუნველყოს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება;
ნებისმიერი დავის ან სხვა სიტუაციის განხილვა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშვიდობას მსოფლიოში, ან წარმოშვას საერთაშორისო კრიზისი;
მსგავსი ტიპის კრიზისებთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და პრობლემის მოგვარების გზების შემუშავება;
მსოფლიოში არსებული საომარი საფრთხეების განსაზღვრის მიზნით, კონკრეტული გეგმისა და მათი გადაწყვეტის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავება;
აგრესიის აქტის შეჩერების, ან მისი პრევენციის მიზნით საერთაშორისო სანქციების, ან სხვა ეკონომიკური ზომების შემუშავება და მათი გატარების აუცილებლობის განსაზღვრა;
აგრესორის წინააღმდეგ სამხედრო ღონისძიებების განხორციელება;
მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წევრი სახელმწიფოების მიღების მიზნით, ახალი სტანდარტებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
ე.წ. „სტრატეგიულ რაიონებში“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის განხორციელება;
გაეროს გენერალური მდივნის არჩევის პროცესში გენერალურ ასამბლეასთან თანამშრომლობა;
მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის მიზნით გენერალურ ასამბლეასთან თანამშრომლობა.

<http://www.un.org/en/ecosoc/>

**2.5. ეკონომიკური და სოციალური საბჭო**

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო დაარსდა 1946 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე. დღევანდელ დღეს იგი წარმოადგენს ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორუმს, რომლის უმთავრესი ფუნქცია გახლავთ მსოფლიოში არსებული სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების განხილვა და აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭოსგან განსხვავებით, სოციალური და ეკონომიკური საბჭოს რეკომენდაციები არ არის სახელმწიფოთათვის სავალდებულო, მას მაინც უმნიშვნელოვანესი როლი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურაში, რადგან შიმშილისა და სიღარიბის, აგრეთვე, პლანეტაზე არსებული ეკოლოგიური კატასტროფების არსებობის აღბათობა არანაკლებ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას, ვიდრე ომები და შეიარაღებული კონფლიქტები.

მრავალფეროვანი მიზნებიდან და მუშაობის ფართო არეალიდან გამომდინარე, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, ფაქტობრივად, ორგანიზაციის ადამიანური და ფინანსური რესურსების 70%-ს მოიხმარს. აღნიშნული დაწესებულება თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან, ბიზნესმენებთან და 3200 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

**კითხვა:** თქვენი აზრით, დედამიწაზე რა ტიპის ეკოლოგიური საფრთხეები არსებობს? რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უკეთ დავიცვათ გარემო?



ყოველწლიურად, ივლისის თვეში, ნიუ - იორკსა და ჟენევაში იმართება საბჭოს სესია, რომელიც ოთხ კვირას გრძელდება და განიხილება მსოფლიოში არსებული ჰუმანიტარული, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები, ხდება რეკომენდაციებისა და პრობლემებთან კოორდინირებული ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმების შემუშავება.

2.6. სამეურვეო საბჭო

მოგეხსენებათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. ეს იყო პერიოდი, როდესაც, ფაქტობრივად, ყალიბდებოდა ახალი მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სისტემა. დასრულდა ომი, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, აღნიშნულის შედეგად ცივილიზებულიმა მსოფლიომ გადაწყვიტა აღარ დაეშვა ერთი რომელიმე ქვეყნის ან სახელმწიფოს სხვა ქვეყნებსა და ხალხებზე გაბატონება. გარდა ამისა, მსოფლიოს არაერთ წამყვან ქვეყანას აღარ შესწევდა ძალა შეენარჩუნებინა და გაეკონტროლებინა კოლონიები, რომლებიც უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში მათი სიმდიდრის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. დღის წესრიგში აქტუალური გახდა დეკოლონიზაციის საკითხი. შესაბამისად, მსოფლიოში გაჩნდა არაერთი წარმონაქმნი, რომელთაც სურდათ და უფლება ჰქონდათ არსებობა გაეგრძელებინათ, როგორც დამოუკიდებელ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, ანუ სახელმწიფოებს.

სამწუხაროდ, დეკოლონიზაციის პროცესს ყველგან უმტიკვენულოდ არ ჩაუვლია. ერთი მხრივ, დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ ყოფილი კოლონიები (მაგალითად, ალჟირის ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ), მეორე მხრივ, თვით ამ კოლონიებს შიგნით არსებობდა ჯგუფები, რომელთაც სურდათ საკუთარი სახელმწიფოს, ან სხვა სახის თვითმმართველობის შექმნა. შესაბამისად, გაჩნდა რეალური საფრთხე ახალი შეიარაღებული კონფლიქტების ტალღისა, რაც, ბუნებრივია, ათასობით ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა. ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადაწყვიტა შეექმნა სამეურვეო საბჭო, რომელიც იზრუნებდა ასეთ „სტრატეგიულ ტერიტორიებზე“ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დამოუკიდებლობის, ავტონომიის ან თვითმმართველობის სხვა, მათთვის მისაღები ფორმის მოპოვებამდე.

**სამეურვეო საბჭო დაკომპლექტდა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების (გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ს, ჩინეთის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის, მოგვიანებით რუსეთის ფედერაციის) წარმომადგენლებით.** საბჭოს ფუნქციებში შედიოდა კონკრეტულ სამეურვეო ტერიტორიაზე არსებული მმართველი ძალის მიერ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური პროგრესისა და განათლების სფეროში არსებული ვითარების შესახებ მომზადებული ანგარიშების განხილვა, აგრეთვე, მოცემული მმართველი ჯგუფებისთვის კონსულტაციების განევა.

საბჭო, აგრეთვე, განიხილავდა სამეურვეო ტერიტორიიდან შემოსულ სხვადასხვა პეტიციას, რომლის საფუძველზეც ხდება სპეციალური რეკომენდაციების მომზადება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის.

**აღსანიშნავია, რომ სამეურვეო საბჭომ საქმიანობა 1994 წლის 1 ნოემბერს შეაჩერა, მას შემდეგ, რაც გაეროს მზრუნველობის ქვეშ არსებულმა უკანასკნელმა ტერიტორიამ, პალაუმ დამოუკიდებლობა მოიპოვა.**

მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის 25 მაისის რეზოლუციის საფუძველზე საბჭო პასიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას, უდავოა, რომ მან უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე მსოფლიოს ჩამოყალიბებაში და თავისუფლებისთვის მებრძოლ არა ერთერს დაეხმარა, მოეპოვებინა დამოუკიდებლობა.

<http://www.un.org/en/mainbodies/trusteeship/>

რადგანაც სახელმწიფოები უშუალოდ მონაწილეობენ საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნაში, მათ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც საერთაშორისო სამართლის მთავარ მოქმედ პირებს, ანუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს.



## 2.7. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპების პრაქტიკაში დასამკვიდრებლად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტების არსებობას, რომლებიც არცთუ ისე ბევრია. ერთ-ერთი მათგანია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმთავრეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტი 1945 წლის 26 ივნისს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე დაარსდა.

საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ისტორიულ ანალოგს წარმოადგენს, რომელიც 1920 წელს შეიქმნა ერთა ლიგის ბაზაზე. მან, ისევე როგორც ერთა ლიგამ, არსებობა 1939 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას შეწყვიტა.

<http://www.icj-cij.org/>

მისი უმთავრესი მიზანია, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, უზრუნველყოს საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა კი, თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.

სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს სტატუსის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, გაეროს წესდების ორგანული ნაწილია. პროცედურულ საკითხებში კი იგი ხელმძღვანელობს სპეციალური რეგლამენტით.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო განთავსებულია ჰოლანდიის ქალაქ ჰააგის მშვიდობის სასახლეში. ამის გამო, ხშირად, იგი ე.წ. ჰააგის ტრიბუნალში ეძღებათ, თუმცა ეს ორი სასამართლო ინსტიტუტი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელია და თითოეული მათგანი განსხვავებულ მიზნებს ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 6 ძირითადი ორგანოდან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ერთადერთია, რომელიც სხვა ქვეყანაში მდებარეობს. სასამართლოს ორი ძირითადი ფუნქცია ეკისრება: ერთი მხრივ, იგი განიხილავს სახელმწიფოთა შორის არსებულ დავებს საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, მეორე მხრივ, კი სასამართლო უწევს იურიდიულ კონსულტაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოებს.

**მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ორი ძირითადი ფუნქცია**

სახელმწიფოთაშორისი დავების განხილვა

გაეროს შესაბამისი ორგანოებისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა

სასამართლოს არ აქვს სახელმწიფოთაშორის დავებში დამოუკიდებლად ჩარევის უფლება. იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს დავა, მას უნდა მიმართოს აღნიშნული დავის მონაწილე ერთ-ერთმა სახელმწიფომ.



სასამართლო შედგება 15 მოსამართლისგან. მისი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანო - **სეკრეტარიატი**. სასამართლოში საქმეების განხილვა ორ - **ფრანგულ და ინგლისურ ენაზე** მიმდინარეობს.

2.8. სამდივნო

სამდივნო, ანუ სეკრეტარიატი წარმოადგენს ორგანიზაციის ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც გაეროს წარმომადგენლობა არსებობს, 40 000-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს. სამდივნოს მიზნები და ფუნქციები, გაეროს მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისად, მრავალფეროვანია და ფართო სპექტრს მოიცავს, დაწყებული სამშვიდობო ოპერაციებითა და დამთავრებული ჰუმანიტარული პროექტებით. სამდივნოს ხელმძღვანელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, რომელსაც უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, 5 წლის ვადით ირჩევს გენერალური ასამბლეა.



გაეროს ყოფილი და მოქმედი გენერალური მდივნები: პან გი მუნნი და კოფი ანანი.

<http://www.nato.int/cps/en/natolive/index.htm>

### 3. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო)



ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის, ისევე როგორც გაეროს, შექმნა მნიშვნელოვნად უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. ჰიტლერის სისხლიანმა ავანტიურამ, რომელიც ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის სახელით შევიდა, მნიშვნელოვნად დაასუსტა დასავლეთ ევროპის ქვეყნები. მართალია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ომიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს აღარ შესწევდა ძალა, დამოუკიდებლად გამკლავებოდა ახალ საფრთხეს, რომელიც კომუნისტური საბჭოთა კავშირის სახით სულ უფრო და უფრო რეალური ხდებოდა. საბჭოთა არმია აკონტროლებდა მთელ აღმოსავლეთ ევროპას და ცენტრალური ევროპის მნიშვნელოვან ნაწილს, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილს ჩათვლით. ამკარა იყო, რომ სტალინი არ აპირებდა მოპოვებული უპირატესობის ადვილად დათმობას. ნაცვლად იმისა, რომ ომში გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა კავშირს რეალურად გაეთავისუფლებინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მან დაიწყო ამ ქვეყნების იძულებითი „განთლების“, ანუ კომუნიზმის გავრცელების პროცესი, უფრო მეტიც, ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო - ლიტვა, ლატვია და ესტონეთი იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. კომუნისტური რეჟიმი დამყარდა ჩეხეთში, სლოვაკეთში, პოლონეთში, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ე.წ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა. **ალნიშნულის შესახებ უინსტონ ჩერჩილმა მოგვიანებით თქვა, რომ ევროპაში „რკინის ფარდა“ დაეშვა.**

გამონათქვამი „რკინის ფარდა“ თავდაპირველად ჰიტლერის განათლებისა და პროპაგანდის რაისხმინისტრმა იოზეფ გებელსმა გამოიყენა.



უინსტონ ჩერჩილი

სწორედ საბჭოთა ექსპანსიის შეჩერებას ისახავდა მიზნად 1949 წლის 4 აპრილს, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ათი ევროპული და ორი ჩრდილოატლანტიკური ქვეყნის მიერ დაარსებული „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია“, იგივე ნატო, რომელიც თავდაპირველად სამხედრო - პოლიტიკურ გაერთიანებას, ერთგვარ თავდაცვით ბლოკს წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას ე.წ. ვარშავის პაქტის ბანაკი დაუპირისპირა, სადაც გაერთიანებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სტალინის მიერ იძულებით გაკომუნისტებული სახელმწიფოები. ბუნებრივია, რეალურ ძალას ამ ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, რომელიც ერთპიროვნულად განსაზღვრავდა კოალიციის პოლიტიკას.

ნატოს წესდების მე-5 მუხლი ამბობს: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა, როგორც თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება. ნებისმიერი ასეთი სახის შეიარაღებული თავდასხმისა და მის მიმართ განხორციელებული ღონისძიების შესახებ დაუყოვნებლად უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. ამგვარი ღონისძიებები დასრულდება მაშინ, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს ზომებს, რაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის იქნება მიმართული“.



**ნატოს, როგორც თავდაცვითი ბლოკის, სამხედრო ძლიერების გარანტი ამერიკის შეერთებული შტატები იყო, რომელმაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის ბედის განსაზღვრაში, მეორე მხრივ, მისი ტერიტორია გადაურჩა ომის ქარ-ცეცხლს, შესაბამისად, მისი ეკონომიკა აღმავლობის გზაზე იდგა. სწორედ ამერიკული სამხედრო თუ ეკონომიკური დახმარების ხარჯზე შეძლო ევროპამ მეტ-ნაკლებად მოკლე დროში განეხორციელებინა ომის მძიმე შედეგების აღმოფხვრა და დაბრუნებოდა ცხოვრების ნორმალურ რიტმს.**

დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, შესაბამისად, ნატოს თავდაპირველმა მიზნებმა და ამოცანებმა სერიოზული ცვლილებები განიცადა, თუმცა ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ აღნიშნული ორგანიზაციის მნიშვნელობა არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ.

**თანამედროვე გაგებით ნატო წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს, რომელიც, ერთი მხრივ, მიმართულია დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების, სახელმწიფოთა თანამშრომლობის ხელშეწყობის და გრძელვადიან პერიოდში შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისკენ, მეორე მხრივ, იგი ვალდებულია, კრიზისულ ვითარებაში, როდესაც მშვიდობიანი მოლაპარაკების ყველა რესურსი ამოწურულია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მანდატის, ან საკუთარი წესდების მე-5 მუხლის საფუძველზე სამხედრო მეთოდებით გადაჭრას კრიზისი.**

**გარდა ზემოთ აღნიშნული სამხედრო და პოლიტიკური მიზნებისა, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ჰუმანიტარულ მიზნებსაც ემსახურება, კერძოდ, იგი კოორდინაციას უწევს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრას, სამაშველო ოპერაციების განხორციელებას და ა.შ.**

დღევანდელ დღეს ნატო ევროპის და ამერიკის კონტინენტის 28 სახელმწიფოს აერთიანებს. ორგანიზაცია გადანყვეტილებას იღებს საერთო კონსესუსის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ნატოს წევრი ყველა ქვეყანა გადანყვეტილების მიღებისას თანაბარი უფლებებით სარგებლობს, განსხვავებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსგან, სადაც მუდმივ წევრებს ვეტოს უფლება აქვთ.

გარდა მუდმივი წევრებისა, ნატო აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსთან, მათ შორის, საქართველოსთან. ქართველი სამხედროები აქტიურად მონაწილეობენ ავღანეთში (ISAF) ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციაში.

**დავალეზა:** გარდა ავღანეთში მიმდინარე ოპერაციისა, რა სფეროებს მოიცავს საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თანამშრომლობა? ნყარო ინფორმაციისთვის: <http://www.natoinfo.ge/> [http://www.nato.int/cps/en/natolive/topics\\_38988.htm](http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_38988.htm)



3.1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრუქტურა

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიზნები, საქმიანობა და სტრუქტურა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში, განისაზღვრება ორგანიზაციის წესდებით. წესდება, როგორც წინა თავებიდან გახსოვთ, წარმოადგენს ამა თუ იმ ორგანიზაციის ფუძემდებლურ სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის დამტკიცებაც ხდება ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ, შესაბამისად, თავისი არსით იგი საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებაა.

თავისი ფორმით ნატო წარმოადგენს ალიანსს. ალიანსი ეწოდება საერთო მიზნებისა და ინტერესების დაცვის მიზნით ორი ან მეტი მხარის მეგობრობას, შეთანხმებასა და გაერთიანებას. მიზნების მიხედვით, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. აღნიშნულიდან გამომდინარე მისი სტრუქტურა არაერთგვაროვანია. გამოყოფენ სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურას. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

3.2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამოქალაქო სტრუქტურა

ნატოს შტაბბინა, ჩრდილოატლანტიკური საბჭო

ნატოს შტაბბინა, რომელიც განთავსებულია ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, წარმოადგენს ორგანიზაციის ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ცენტრს. შტაბბინაში განთავსებულია ნატოს ადმინისტრაცია და წევრი ქვეყნების წარმომადგენლობები, აგრეთვე თანამშრომლების ოფისები და სხვა განყოფილებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის გამართულ მუშაობაზე.

ნატოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანო, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელი ორგანიზაციის შტაბბინაა, არის ჩრდილოატლანტიკური საბჭო. იგი უმთავრესი სათათბირო და წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც დაკომპლექტებულია ნატოს წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლებით და მათი მეშვეობით ხორციელდება ორგანიზაციის პოლიტიკური მართვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრია არა კონკრეტული დიპლომატი, არამედ ის ქვეყანა, რომელსაც ეს დიპლომატი ორგანიზაციაში წარმოადგენს. აღნიშნული წარმომადგენლები ყოველკვირეულად იკრიბებიან ჩრდილოატლანტიკური საბჭოს

ნატოს შტაბბინა ბრიუსელში





სხდომაზე, სადაც ხდება ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, მიზნებისა და შედეგების განხილვა, შეფასება და ანალიზი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, საბჭოს სხდომა, შესაძლოა, გაიმართოს უფრო მაღალი რანგის წარმომადგენლების, მაგალითად, წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა, ან თავდაცვის მინისტრების, ან უშუალოდ სახელმწიფოს ლიდერების მონაწილეობით. მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე იმართება საბჭოს სხდომა, მის გადაწყვეტილებას, ყველა შემთხვევაში, თანაბარი იურიდიული ძალა აქვს და იგი თანაბრად სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემთხვევაში, **აქაც არ ეკისრება წევრ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო, თუმცა განსხვავებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისგან საბჭოზე გადაწყვეტილების მიღება ხდება არა ხმათა უმრავლესობით, არამედ საერთო კონსენსუსის, შეთანხმების საფუძველზე, ამდენად გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ყოველმა წევრმა სახელმწიფომ და მის აღსრულებასაც არაფერი უდგას წინ. მართალია, ეს პროცესი ხშირ შემთხვევაში ნეგატიურად აისახება ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების მიღების სისწრაფესა და ოპერატიულობაზე, სამაგიეროდ, საბჭოს დადგენილებები ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე გაეროს გენერალური ასამბლეის რეკომენდაციები.**

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომას უძღვება ნატოს გენერალური მდივანი, რომელიც, მსგავსად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა, კურირებს ნატოს ადმინისტრაციის მუშაობას და პასუხისმგებელია ორგანიზაციის პოლიტიკის ეფექტურ იმპლემენტაციაზე.

**ნატოს საპარლამენტო ასამბლეა**

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ერთ-ერთ საკვანძო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ორგანიზაციასა და წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს შორის. საპარლამენტო ასამბლეა, იმავდროულად, უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების პარლამენტის წარმომადგენელთა ინფორმირებას რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ, იგი, ასევე, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო ასამბლეა აქტიურად თანამშრომლობს არა მხოლოდ ნატოს წევრ, არამედ ორგანიზაციის პარტნიორ სახელმწიფოებთან. იგი შედგება 257 დელეგატისგან, რომლებიც წარმოადგენენ 28 წევრ და 14 ასოცირებულ ქვეყანას, ევროპის პარლამენტს, 4 რეგიონულ პარტნიორსა და ხმელთაშუა

**კითხვა:**  
შეადარეთ ერთმანეთს გაეროსა და ნატოს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები.  
კითხვა: თქვენი აზრით, რომელი უფრო ეფექტურია?  
რატომ ხდება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით?

**კითხვა:**  
როგორ გეხმობს უსაფრთხოების პოლიტიკის გამჭვირვალობა?  
თქვენი აზრით, რატომ უნდა იყოს ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკა გამჭვირვალე?

**ნატოს საპარლამენტო ასამბლეა**

უზრუნველყოფს კავშირს ორგანიზაციასა და წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს შორის.

უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების პარლამენტის წარმომადგენელთა ინფორმირებას რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ

უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში



ზღვის აუზის პარტნიორ ქვეყნებს. ასამბლეის მუშაობაში, აგრეთვე, მონაწილეობს 7 სახელმწიფოს საპარლამენტო დამკვირვებელი.

დელეგატებს, საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად, უშუალოდ სახელმწიფოები ირჩევენ.

საპარლამენტო ასამბლეის მმართველი ორგანოა მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც შედგება საპარლამენტო დელეგაციების ხელმძღვანელებისგან, პრეზიდენტის, ვიცე - პრეზიდენტისა და ხაზინადარისგან. კომიტეტში შედის ორგანიზაციის გენერალური მდივანიც, რომელსაც ექვემდებარება საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნო. მის ფუნქციებში შედის ადმინისტრაციის გამართული მუშაობა, აგრეთვე ასამბლეის სხვადასხვა კომიტეტის ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელი კვლევებისა და ანალიზის უდიდესი ნაწილის წარმართვა.

საპარლამენტო ასამბლეა იკრიბება წელიწადში ერთხელ იგი, ისევე როგორც ჩრდილოატლანტიკური საბჭო, განთავსებულია ბრიუსელში, ორგანიზაციის შტაბბინაში.

### 3.3. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურა

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურა, საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის საკმაოდ რთულ და საინტერესო მექანიზმს წარმოადგენს, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ცვლილება განიცადა, რომლის წინაშეც იდგნენ ალიანსის წევრი ქვეყნები და რაც განპირობებული იყო საფრთხეებისა და გამოწვევების ტრანსფორმაციით. აღარ არსებობს საბჭოთა კავშირის ექსპანსიის საფრთხე, უფრო მეტიც, დღეს ის ქვეყნები, რომლებიც თავის დროზე წარმოადგენდნენ ვარშავის პაქტისა და საბჭოთა კავშირის წევრ სახელმწიფოებს, თავად არიან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრები, მაგალითად, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და ა.შ.

თუ ცივი ომის პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ძალები

აერთიანებდა 5 მილიონზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც ემორჩილებოდნენ 78 სამხედრო შტაბს, დღეს იგი სამ მილიონამდე სამხედრო მოსამსახურეს აერთიანებს, ხოლო შეიარაღებული ძალების მართვის შტაბების რაოდენობა 11-მდეა შემცირებული. დღევანდელ დღეს ალიანსის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების ოპერაციების, აგრეთვე ანტიტერორისტული და კონტრტერორისტული ღონისძიებების განხორციელება.

### სამხედრო კომიტეტი

ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურის საკვანძო ელემენტი არის სამხედრო კომიტეტი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ნატოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან და აწვდის მას რეკომენდაციებს იმ ზომებთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებლად მიაჩნია მას, რათა უზრუნველყოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სივრცის სამხედრო უსაფრთხოება.

სამხედრო კომიტეტი საერთაშორისო ორგანიზაციის სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიის დამგეგმავი ძირითადი ორგანოა. ის ზედამხედველობას უწევს ნატოს შემადგენლობაში არსებულ სარდლობებს და პასუხისმგებელია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამხედრო ღონისძიებების დაგეგმვასა და იმპლემენტაციაზე.

ნატოს სამხედრო კომიტეტს ექვემდებარება ორი ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელთა ძირითადი მიზანი არის, ერთი მხრივ, ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების წვრთნა, მომზადება და ურთიერთთავსებადობის ამაღლება, მეორე მხრივ, ცალკეული სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა და მართვა. ესენია: მოკავშირეთა ოპერაციებისა და ტრანსფორმაციის სარდლობები, რომლებიც, თავის მხრივ, აერთიანებს იმ 11 შტაბს, რომელზეც ვისაუბრეთ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის დაქვემდებარებაშიც არსებობს სამხედრო შენაერთი სწრაფი რეაგირების ძალების სახით. აღნიშნული შენაერთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ოპერატიულ შესაძლებლობას ერთგვარ სისწრაფესა და მობილურობას სძენს, თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ სწრაფი რეაგირების ძალები დამოუკიდებელი სამხედრო დაჯგუფებაა, რომელიც ერთ საერთაშორისო მთავრობას ექვემდებარება. აღნიშნული შენაერთის დაკომპლექტება ხორციელდება ალიანსის წევრი სახელმწიფოების მიერ და რეალურად წარმოადგენს ამ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ცალკეულ დანაყოფებს, რომლებიც დროებით ნატოს სარდლობას ექვემდებარებიან.

ანტიტერორისტული ღონისძიებები მოიცავს სამუშაოების ფართო სპექტრს, რომლის მიზანია ტერორიზმთან გლობალური ბრძოლა, ტერორისტული საფრთხეების განეიტრალება და ტერაქტების პრევენცია, ხოლო კონტრტერორისტული ღონისძიებები გულისხმობს ცალკეული ტერორისტული დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების ნეიტრალიზაციის ღონისძიებებს.





<http://europa.eu/>

აღსანიშნავია, რომ პირველად, უსაფრთხოების მიზნით ევროპის გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში აბატ სენ-პიერმა გააჟღერა, რომლის აზრითაც ევროპული სახელმწიფოები უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთიან კავშირში, სადაც იარსებებდა საერთო კულტურული, რელიგიური და მორალური სტანდარტები, იმავდროულად, ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულნი იყვნენ.

## 4. ევროკავშირი

კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის დაარსებაც უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში არსებულ რეალობას, ევროკავშირია. თავისი შინაარსით იგი წარმოადგენს სახელმწიფოთა უნიკალურ გაერთიანებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი ევროპული სივრცის იდეა. დღევანდელ დღეს იგი 28 ევროპულ სახელმწიფოს აერთიანებს. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია ევროპის უდიდეს ნაწილს მოიცავს. მონოდება ევროპული გაერთიანების შექმნის შესახებ, 1950 წლის 9 მაისს გაჟღერდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, სადაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერტ შუმანმა ევროპის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ურთიერთობების ახალი კონცეფცია წამოაყენა, რომელიც ევროპულ სივრცეში ომს შეუძლებელს გახდიდა. ამ იდეის თანახმად, ევროპაში უნდა შექმნილიყო ზეეროვნული ორგანიზაცია ევროპული ნიაღისეულის (ქვანახშირისა და ფოლადის) ერთობლივი წარმოების მიზნით. აღნიშნული მოსაზრებები ასახულია ე.წ. „შუმანის დეკლარაციაში“, რომელიც ძალაში 1952 წელს შევიდა.



1985 წელს მილანში ევროკავშირის კონფერენციაზე 9 მაისი გამოცხადდა „ევროპის დღედ“.

ორგანიზაციის დაარსება, თავდაპირველად, განპირობებული იყო ეკონომიკური ფაქტორებით. ომმა არაერთი საწარმო გაანადგურა, მნიშვნელოვნად დააზიანა ინფრასტრუქტურა (გზები, პორტები, აეროპორტები). ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორცაა მანქანათმშენებლობა, ნიაღვისეულის მოპოვება და ა.შ., მთლიანად სამხედრო რელსებზე იყო გადასული, შესაბამისად, აუცილებელი იყო ეკონომიკური პროცესების დაბრუნება ჩვეულ კალაპოტში. იმავედროულად, ევროპის ქვეყნების ერთიან ეკონომიკურ სივრცეში მოქცევა მნიშვნელოვნად გაზრდიდა აღნიშნულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ დამოკიდებულებას ერთმანეთზე. ამგვარად, ევროპის ქვეყნებს შორის ომი ყველა სახელმწიფოსთვის წამგებიანი იქნებოდა.



ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპული გაერთიანების შექმნის მიზანი სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ხელშეწყობის გარდა, ახალი შეიარაღებული კონფლიქტების პრევენცია იყო.

ევროკავშირის შექმნა ერთბაშად არ მომხდარა, იგი საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ერთიანი ევროპის იდეის ფარგლებში შეიქმნა, 1958 წელს დაარსებული ევროპის ეკონომიკური გაერთიანება იყო. ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერების ფონზე, თვალსაჩინო გახდა ევროპის სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა ისეთ სფეროებში, როგორც არის პოლიტიკა, უსაფრთხოება, კულტურა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკოლოგია და სხვ. შესაბამისად, ერთ დროს წმინდა ეკონომიკური კავშირი გარდაიქმნა ორგანიზაციად, რომელმაც სახელმწიფოთა თანამშრომლობის სრული სპექტრი მოიცვა. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ორგანიზაციის სახელწოდების შეცვლის საკითხი და 1993 წელს „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ შეიცვალა სახელწოდებით „ევროკავშირი“.

ევროკავშირის შექმნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ევროპის სახელმწიფოთა დაახლოებას. შეიქმნა ერთიანი ევროპული ვალუტა „**ევრო**“ და საფუძველი ჩაეყარა ერთიან ევროპულ ბაზარს, რაც მივიჩნით, როგორც ერთგვარი „ეკონომიკური ძრავა“, რომელიც ევროპულ სივრცეში წარმოებული პროდუქციის, მომსახურების, ფინანსური ნაკადებისა და ადამიანების თავისუფალი მოძრაობის საშუალებას იძლევა.

გარდა ეკონომიკური კეთილდღეობისა, ევროკავშირის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ევროკავშირის, ისევე როგორც ჩვენ მიერ განხილული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა, მთლიანად ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელიც სავალდებულოდ არის აღიარებული ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. 2009 წელს ხელი მოეწერა ლისაბონის შეთანხმებას, რაც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორგანიზაციის ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისი. ლისაბონის ხელშეკრულება მიჩნეულია თანამედროვე ევროკავშირის ფუძემდებლურ სამართლებრივ დოკუმენტად, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ იქნებოდა ასე?

## 4.1. ევროკავშირის საქმიანობის არეალი

ევროკავშირი საერთაშორისო სისტემაში არსებული უნიკალური ორგანიზაციაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს. ევროკავშირის სახელმწიფოები ვალდებული არიან განახორციელონ საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია როგორც ერთმანეთის, ასევე ორგანიზაციის მიერ დადგენილ სამართლებრივ სტანდარტებთან. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ასევე, ცდილობენ, განახორციელონ ეკონომიკური სისტემების ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი ევროპული ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებას. **იმ სფეროთა ჩამონათვალი, რომლებშიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობენ, შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:**

სოფლის მეურნეობა;	ვაჭრობა;
მდინა;	თევზჭერა;
ბიუჯეტი;	სურსათის უვნებლობა;
მოქალაქეობა;	საბარაო საქმეები და უსაფრთხოების პოლიტიკა;
კონსურსენსია და ანტიმონოპოლიური საქმიანობა;	კუთვნიტარული დახმარება;
მომხმარებლის უსაფრთხოება;	ადამიანის უფლებები;
კულტურა;	იმიგრაცია;
საბაჟო;	საინფორმაციო ტექნოლოგიები;
მდგრადი განვითარება და თანამშრომლობა;	შიდა ბაზარი;
ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა;	მრავალენიანობა;
განათლება, ახალბაზრდობის საქმეები;	საჯარო ჯანდაცვა;
ზროვითი ურთიერთობები და სოციალური უზრუნველყოფა;	რეგიონალური პოლიტიკა;
ენერგეტიკა;	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესი;
ევროკავშირის გაფართოება;	სკორტი;
მრავალლობა;	ბადასახადები;
ბარემოს დასვა;	ტრანსპორტი.
ქრიმინალთან ბრძოლა;	

აღნიშნულის გარდა, ევროკავშირი თავად გამოდის, როგორც ცალკეული ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების მხარე. აწყობს ტენდერებს, აფორმებს ხელშეკრულებებს, ახორციელებს მსოფლიოს მასშტაბით არაერთი პროგრამის დაფინანსებას, გასცემს გრანტებს.

ევროკომისია, რომელიც ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, აფინანსებს პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ევროკავშირის პროგრამებისა და პოლიტიკის განხორციელებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, სურსათის უვნებლობა, ადამიანის უფლებები, ადგილობრივი და რეგიონალური განვითარება და ა.შ.

#### 4.2. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტები

როგორც ვხედავთ, ევროკავშირი განსხვავდება ჩვენთვის აქამდე ცნობილი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან თანამშრომლობის განსაკუთრებით ფართო არეალით. ზოგიერთი მეცნიერი ევროკავშირს კონფედერაციასაც კი უწოდებს. მიუხედავად იმისა, თუ რას უწოდებთ ევროკავშირს, საერთაშორისო გაერთიანებას, ორგანიზაციას, თუ კონფედერაციას, აშკარაა, რომ მას განსაკუთრებული ინსტიტუციური წყობა აქვს, კერძოდ:

### ევროკავშირის ინსტიტუციური წყობა:

ევროკავშირის ფართომასშტაბიანი პრიორიტეტები დადგენილია ევროსაბჭოს მიერ, რომელსაც აერთიანებს, რომორც ევროკავშირის წევრ, ისე ევროპული სივრცის სხვა სახელმწიფოებს;

ევროკავშირის საკანონმდებლო პოლიტიკას ახორციელებს ევროპარლამენტი, სადაც პირდაპირი წესით არჩეული დეპუტატები ევროპის მოქალაქეებს წარმოადგენენ;

ევროკავშირის, რომორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ინტეგრაცია განხორციელდა, რომორც ევროკავშირის სახელმწიფოთა საერთო ინტეგრაცია და მათ პრაქტიკულ განხორციელებაზე ევროკომისია მუშაობს. ევროკომისიის წევრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოების თანხმობით. თქვენი აზრით, არის თუ არა ევროკავშირი კონფედერაცია? რატომ?

ევროკავშირში მთავრობები ახორციელებენ საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას.

კონფედერაცია ეწოდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ისეთ კავშირს, როდესაც მასში შემავალი სახელმწიფოები სრული სახით ინარჩუნებენ სუვერენიტეტს და რჩებიან საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებად. კონფედერაცია არის საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე და აქვს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ნიშნები, მაგრამ შეზღუდული სახით. კონფედერაცია, როგორც წესი, ყალიბდება საერთაშორისო ხელშეკრულებით და უფლებამოსილება გარკვეულ სფეროებში გადაეცემა, თუმცა გადაწყვეტილებები ამ სფეროებში მიიღება კონფედერაციის წევრი სახელმწიფოების თანხმობით. თქვენი აზრით, არის თუ არა ევროკავშირი კონფედერაცია? რატომ?

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭო აყალიბებს ევროკავშირის პოლიტიკურ კურსს და განსაზღვრავს მის პრიორიტეტებს, მას არ გააჩნია კანონის მიღების უფლება. ევროკავშირის კანონშემოქმედებით საქმიანობაში ჩართულია სამი ძირითადი ინსტიტუტი. ერთ-ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გახლავთ **ევროპარლამენტი**, როგორც ევროპის მოქალაქეთა წარმომადგენლობითი და სათათბირო ორგანო. მეორე ინსტიტუტი, რომელსაც აგრეთვე აქვს ერთგვარი საკანონმდებლო ფუნქცია, გახლავთ **ევროკავშირის საბჭო**, რომელიც ევროკავშირის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა. მას სხვაგვარად მინისტრთა საბჭოსაც უწოდებენ. აღნიშნულ დანესებულებაში წარმოდგენილია ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოს მთავრობა. მესამე ინსტიტუტი კი გახლავთ, **ევროკომისია**, როგორც ორგანო, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ინტერესებს.

აღნიშნული სამი ორგანო კანონებს იღებს ე.წ. „ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურის“ მეშვეობით, კერძოდ, ევროკომისია ახდენს ახალი კანონის ინიცირებას, ევროპის პარლამენტი და ევროკავშირის საბჭო კი მის მიღებასა და იმპლემენტაციას უზრუნველყოფენ. ევროპის კანონმდებლობის აღსრულებისათვის ზედამხედველობას ახორციელებს ევროკომისია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო



### 4.3. ევროკავშირის სხვა დაწესებულებები

**გარდა აღნიშნული სამი ინსტიტუტისა, ევროკავშირის საქმიანობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ისეთი დაწესებულებები, როგორცაა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო და აუდიტორთა საბჭო.**

აღნიშნული დაწესებულებები ევროკავშირის მნიშვნელოვანი ორგანოებია, რომელთა უფლებამოსილებაც განისაზღვრება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართლის უმთავრესი წყაროა.

**ევროკავშირს, ასევე, გააჩნია რამდენიმე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტი და სტრუქტურული დანაყოფი, რომლებიც პასუხს აგებენ ევროკავშირის საქმიანობის გამო შესაბამისი მიმართულებებით. ეს ინსტიტუტებია:**

- ექონომიკური და სოციალური პრობლემების კომიტეტი;
- რეზიონთა კომიტეტი;
- ევროპის საინვესტიციო ბანკი;
- ევროპის სენატორული ბანკი;
- ევროპის სახალხო დამცველი;
- ევროპის მონაცემთა დაცვის ხელმძღვანელი;
- საგამომცემლო ოფისი;
- ევროპის პერსონალის შერჩევის ოფისი;
- ევროპის აღმინისტრირების სკოლა;
- სუპერალიზებული დაწესებულებები და დაცენტრალიზებული ორგანოები;
- ევროპის საგარეო საქმეთა სამსახური.



#### 4.4. ევროკავშირის ადმინისტრაცია

ევროკავშირის ადმინისტრაცია დივერსიფიცირებული ორგანოა, რომელსაც არ გააჩნია მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობა. მაგალითად, ევროკომისია დაყოფილია ცალკეულ დეპარტამენტებად, რომელთაც მოიხსენიებენ, როგორც გენერალურ დირექციებს. აღნიშნული დირექციები ევროკავშირის შემადგენლობაში არსებული, ერთგვარი „სამინისტროებია“. თითოეული ასეთი „სამინისტრო“ მუშაობს გარკვეული მიმართულებით, მაგალითად, ვაჭრობის ან გარემოს დაცვის. ამ „სამინისტროს“ სათავეში უდგას „მინისტრი“, ანუ გენერალური დირექტორი.

ევროკომისია მთლიანად 38 000-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბიუროკრატიულ აპარატს წარმოადგენს.

ევროკომისიის მუდმივი ადგილსამყოფელი ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი და ლუქსემბურგის საჰერცოგოა. გარდა ამისა, ევროკომისიას აქვს ოფისები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და წარმომადგენლობები მის გარეთ.

ევროკავშირის საბჭოსა და პარლამენტის გამართულ მუშაობაზე პასუხს აგებენ შესაბამისი სამდივნოები, სადაც ერთად 9500 ადამიანზე მეტი მუშაობს.

ევროპის პარლამენტის კომიტეტის სხდომები ტარდება ბრიუსელსა და სტრასბურგში, თუმცა მისი ადმინისტრაცია განთავსებულია ლუქსემბურგში, ხოლო რაც შეეხება ევროპის საბჭოს, მისი ძირითადი ადმინისტრაცია, აგრეთვე, განთავსებულია ბრიუსელში, თუმცა ცალკეული შეხვედრები ლუქსემბურგშიც იმართება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროკავშირი არის საერთაშორისო სისტემის საინტერესო მოთამაშე, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას. მისი სახით, რეალურად გახდა შესაძლებელი ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტების აღბათობას ნულამდე ამცირებს. ამდენად ორგანიზაციამ მიაღწია არა მხოლოდ თავდაპირველ მიზანს, არამედ შექმნა სახელმწიფოთა თანასწორი პარტნიორობის უნიკალური პრეცედენტი.

#### 5. ევროსაბჭო

ევროსაბჭო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ევროპული ინსტიტუტია, რომელსაც საკვანძო ადგილი უკავია ევროპულ სივრცესა და საერთაშორისო სისტემაში. აღნიშნული ორგანიზაცია 1949 წლის 5 მაისს დაარსდა ათი ევროპული სახელმწიფოს მიერ. ეს სახელმწიფოებია: ბელგია, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი. თუმცა დროთა განმავლობაში ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რაც, ერთი მხრივ, განპირობებული იყო უშუალოდ ამ ორგანიზაციის პოლიტიკით, მეორე მხრივ, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მომხდარი ცვლილებებით. დღევანდელ დღეს ევროკავშირის არეალი თითქმის მთლიანად მოიცავს ევროპულ სივრცეს და 47 სახელმწიფოს აერთიანებს, მათ შორის, საქართველოს. აღნიშნული ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროპულ სივრცეში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების ხელშეწყობა და ლიბერალური პრინციპების დამკვიდრება, რაც ეფუძნება ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.



COUNCIL OF EUROPE      CONSEIL DE L'EUROPE

ევროსაბჭოს დაარსებაში უდიდესი როლი ითამაშა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა, რომელიც რეგიონში მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ გზად, ე.წ. „ევროპის შეერთებული შტატების“ დაარსებას მიიჩნევდა. მის გვერ-

#### კითხვა:

კიდევ რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი ადგილსამყოფელია ბრიუსელი?

#### კითხვა:

იმსჯელეთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში შექმნილ ვითარებაზე. რა გახდა იმის მიზეზი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოსა და განსაკუთრებით ევროპულ სივრცეში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა?

1945 წლის 5 მაისი, ლონდონის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. ეს ხელშეკრულება საფუძვლად დაედო ევროსაბჭოს შექმნას.



დით კი შეუძლებელია არ ვახსენოთ, რობერტ შუმანი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც, როგორც ეს წინა თავში აღვნიშნეთ, ევროკავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ. ეს ორი პიროვნება თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ევროპული წესრიგის არქიტექტორებად, ხოლო ევროსაბჭო- მათი ქმნილების პირველ ნაბიჯად, რასაც მოჰყვა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების დაარსება 1950 წელს, ხოლო 1957 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნება, რომელიც 1993 წელს ევროკავშირად გარდაიქმნა. სწორედ ამ ორმა ადამიანმა ევროპული მშვიდობა ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და თავისუფლების ღირებულებებზე დააფუძნა.

სწორედ, აღნიშნული ღირებულებებია თანამედროვე ევროპული საზოგადოების არსებობის ქვაკუთხედი, რომელზე დაყრდნობითაც ევროსაბჭო ცდილობს გაუმკლავდეს ისეთი ტიპის საერთაშორისო გამოწვევებს, როგორიც არის: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია, კიბერდანაშაული, ბიოეთიკის დაცვა და კლონირება, ძალადობა ქალებსა და ბავშვებზე, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, ადამიანებით ვაჭრობა-ტრეფიკინგი. **აქედან გამომდინარე ევროსაბჭო საკუთარ მიზნებს შემდეგი სახით აყალიბებს:**

ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა;

ინფორმაციის გასვლის ხელშეწყობა, ევროპის კულტურის იდენტურობისა და მრავალფეროვნების განვითარება;

ევროპული საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის ერთობლივი ბზების ძიება;

პოლიტიკური, საკანონმდებლო და კონსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობა, ევროპაში დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

### 5.1. ევროსაბჭოს სტრუქტურა

ევროსაბჭოს, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მკაცრად ჩამოყალიბებული სტრუქტურა აქვს, რომელიც განისაზღვრება ორგანიზაციის წესდებით. მოკლედ განვიხილოთ, თუ როგორ მუშაობს ევროსაბჭო და მისი შემადგენელი ორგანოები:



ევროსაბჭოს შტაბბინა

- **მინისტრთა კომიტეტი** - ევროსაბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანო, რომელიც, როგორც წესი, დაკომპლექტებულია ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებით ან მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლებით. თითოეულ მათგანს აქვს ერთი ხმის უფლება. მინისტრთა კომიტეტი წყვეტს ევროსაბჭოს პოლიტიკის საკვანძო საკითხებს და ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს;
- **საპარლამენტო ასამბლეა** - ევროსაბჭოს ძირითადი წარმომადგენლობითი და სათათბირო ორგანო. არსებობის მანძილზე იგი არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების ინიციატორი იყო, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ევროპის მასშტაბით კანონმდებლობის შექმნაში;
- **ევროპის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების კონგრესი** - აერთიანებს ევროპული სივრცის 200 000-მდე მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ თვითმმართველობას. სისტემატურად იმართება ფორუმები, სადაც არჩეული წარმომადგენლები განიხილავენ საერთო პრობლემებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ახდენენ რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აღნიშნული ორგანოს ძირითად მიზანს წარმოადგენს დემოკრატიის განვითარება, თვითმმართველობის განმტკიცება და სერვისის გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე;
- **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** - მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული ყველა ევროპელის უფლებათა დაცვის უმთავრეს გარანტიად და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტად. ჩვენ ვისაუბრეთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს შესახებ, რომლებიც შესაბამისად ფუნქციონირებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროკავშირის შემადგენლობაში და წარმოადგენენ აღნიშნული ორგანიზაციების მთავარ სასამართლო ორგანოს. აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის დავებს, არამედ კერძო პირების დავებსაც სახელმწიფოს წინააღმდეგ. შესაბამისად, მისი კარი ღიაა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის მოქალაქისთვის, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ მისი უფლებები შელახა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს საჩივრებს იმ უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით, რომელთაც



ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეა

იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ამ კონვენციის მხარეებს წარმოადგენს ევროსაბჭოს წევრი 47 სახელმწიფო;

- **ადამიანის უფლებათა კომისარი** - არის ევროკავშირის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ძირითადი საქმიანობა, ევროპულ სივრცეში საზოგადოების ინფორმირებულობისა და განათლების ხარისხის ზრდის ხელშეწყობაა. მას აგრეთვე ევალება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვა, კერძოდ, მას აკისრია პრევენციული როლი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანის უფლებათა კომისიის ძირითადი მოვალეობა, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების თავიდან აცილებაა;
- **საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენცია** - აერთიანებს 400-მდე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას და წარმოადგენს ევროპული საზოგადოების ხმას. მისი ძირითადი მოვალეობაა დაამყაროს და განამტკიცოს კავშირი საზოგადოებასა და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის;
- **გენერალურ მდივანს ხუთი წლის ვადით ირჩევს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა.** ის ახორციელებს ევროსაბჭოს სამდივნოსა და აპარატის ადმინისტრაციულ მმართველობას და იმავდროულად, მიიჩნევა ევროსაბჭოს უმაღლეს პოლიტიკურ წარმომადგენლად. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია ევროსაბჭოს ბიუჯეტზე, აგრეთვე ორგანიზაციის პროგრამებსა და სტრატეგიულ გეგმებზე. გენერალურ მდივანს ჰყავს მოადგილე, რომელსაც აგრეთვე ირჩევენ 5 წლის ვადით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროსაბჭომ, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის არსებობამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ევროპულ სივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის ამაღლებას. ფაქტობრივად, ამ ორგანიზაციის უდიდესი დამსახურებით ევროპა ჩამოყალიბდა ისეთ რეგიონად, სადაც სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი, აკრძალულია და აღარ გამოიყენება სახელმწიფოთა მიერ. გარდა აღნიშნულისა, ევროსაბჭო მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ევროპის ქვეყნებს შორის ინტერკულტურული დიალოგის წარმართვას, რაც დადებით როლს თამაშობს არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოების, არამედ სხვადასხვა ქვეყნის დაახლოების თვალსაზრისით.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რა არის საჯელის მიზანი? ეთანხმებით თუ არა სიკვდილით დასჯის აკრძალვას? რატომ?

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურათაშორისი დიალოგი?

ევროსაბჭოს სტრუქტურა:

მინისტრთა კომიტეტი	ევროსაბჭოს გადაწყვეტილებათა მიმღები ძირითადი ორგანო.
საპარლამენტო ასამბლეა	ევროსაბჭოს ძირითადი წარმომადგენლობითი და სათათბირო ორგანო.
ევროპის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების კონგრესი	აერთიანებს ევროპული სივრცის 200 000-მდე მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ თვითმმართველობას.
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული ყველა ევროპელის უფლებათა დაცვის უმთავრეს გარანტად და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტად.
ადამიანის უფლებათა კომისარი	არის ევროკავშირის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ძირითადი პასუხისმგებლობა ევროპულ სივრცეში საზოგადოების ინფორმირებულობისა და განათლების ხარისხის ზრდის ხელშეწყობაა.
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენცია	აერთიანებს 400-მდე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას და წარმოადგენს ევროპული საზოგადოების ხმას. მისი ძირითადი მოვალეობაა, დაამყაროს და განამტკიცოს კავშირი საზოგადოებასა და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის.
გენერალური მდივანი	ახორციელებს ევროსაბჭოს სამდივნოსა და აპარატის ადმინისტრაციულ მმართველობას და მიიჩნევა ევროსაბჭოს უმაღლეს პოლიტიკურ წარმომადგენლად, რომელსაც ხუთი წლის ვადით ირჩევს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა.



## 6. ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია - ეუთო

<http://www.osce.org/>

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ორგანიზაციების დაარსების ძირითადი მიზანი, უმეტეს შემთხვევაში, არის სახელმწიფოთა ერთობლივი ძალისხმევით გლობალური პრობლემებისა და გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უკავია ეუთოს, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, რომელიც წარმოადგენს მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ უდიდეს რეგიონულ გაერთიანებას. იგი ევროპის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 56 სახელმწიფოს აერთიანებს.

ეს ორგანიზაცია გახლავთ ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ფორუმი, სადაც სახელმწიფოებს შეუძლიათ აწარმოონ პოლიტიკური მოლაპარაკებები და გადაწყვეტილებები მიიღონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: საომარი მდგომარეობის, ან სხვა კრიზისების შესახებ დროული და ადრეული გაფრთხილება, კონფლიქტების თავიდან აცილება, კრიზისული ვითარების მართვა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაცია. ეუთო უზრუნველყოფს ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების აღსრულებას სხვადასხვა ტიპის მისიის მეშვეობით.

საინტერესოა ეუთოს მიდგომა უშიშროების საკითხებთან, განსხვავებით ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისგან, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაც, ასევე, გახლავთ უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფა. ეუთოს არ გააჩნია შეიარაღებული ძალები, სარდლობები და ამ სარდლობებზე დაქვემდებარებული სამხედრო დანაყოფები.

**კითხვა:** თქვენი აზრით, არის თუ არა ჩამოთვლილი ღონისძიებები საკმარისი უსაფრთხო გარემოსა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად? რატომ?

**ეუთო, როგორც წესი, საკუთარი მიზნების მისაღწევად ისეთ პოლიტიკურ მეთოდებს მიმართავს, როგორცაა: შეიარაღების კონტროლი, ნდობისა და უშიშროების დამყარების ზომები, ადამიანის უფლებების დაცვა, აგრეთვე, ეროვნული უმცირესობები, მათი უფლებების დაცვა და ინტეგრაცია საზოგადოებაში, დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა, ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების განხორციელება.**

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მსგავსად, ეუთოს წევრი ყველა ქვეყანა სარგებლობს თანაბარი სტატუსით, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაცია გადანეგვიტილებას იღებს კონსენსუსის საფუძველზე, არა იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტის, არამედ პოლიტიკური შეთანხმების სახით.

**ეუთოს საქმიანობის სფერო შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:**

- შეიარაღების კონტროლი;
- საზღვრების დაცვა და მართვა;
- აღმავალი ვაჭრობასთან ბრძოლა;
- ტერორიზმთან ბრძოლა;
- კონფლიქტის თავიდან ასილება და გადაწყვეტა;
- ეკონომიკური საქმიანობა;
- განათლება;
- არჩევნები;
- გარემოს დაცვა;
- გენდერული თანასწორობა;
- სათანადო მართვადობა;
- აღმავლის უფლებები;
- მდიდის თავისუფლება და განვითარება;
- სამხედრო რეფორმა და თანამშრომლობა;
- უმცირესობათა უფლებები;
- პოლიცია;
- კანონის უზენაესობა;
- ტოლერანტობა და არადისკრიმინაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული ორგანიზაცია არის სახელმწიფოთა თანამშრომლობის საინტერესო სივრცე, რომელსაც შესწევს უნარი, პოზიტიური როლი ითამაშოს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია გადანეგვიტილების მიღების აღნიშნული მექანიზმი?



## 7. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და მრავალფეროვნება პირდაპირ აისახება საერთაშორისო ორგანიზაციების მიზნებსა და ხასიათზე. ჩვენ განვიხილავდით საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა მიზანიც, უმეტესად, იყო ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების თავიდან აცილება. ამჯერად, საინტერესოა, ყურადღება გავამახვილოთ საერთაშორისო ორგანიზაციაზე, რომელიც მუშაობს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებით. მოცემულ თავში საუბარი გვექნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე.

მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია იმდენად, რამდენადაც არაერთი ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაზე, იქნება ეს წარმოებული პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, თუ აუცილებელი პროდუქციის შემოტანა უცხოეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმეტესობაში ბიზნესს აკონტროლებს არა სახელმწიფო, არამედ კერძო სექტორი, სახელმწიფოთა შორის აქტიურად დგას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების რეგულირების პრობლემა. მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული ემბარგო, როდესაც ქართველ მენარმეებს აეკრძალათ ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლების რუსეთში გაყიდვა. საქართველოში სახელმწიფო არ აწარმოებს არც ერთ ზემოთხსენებულ პროდუქტს, თუმცა მათი რუსეთის ბაზარზე დაშვება მაინც წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების საგანს. ამ მაგალითით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო ორგანიზაციის არსებობას, რომელიც საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მიმართულებით მუშაობს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციაა. ეს უდიდესი საერთაშორისო ფორუმი, სადაც სახელმწიფოებს შეუძლიათ აწარმოონ მოლაპარაკებები ვაჭრობასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, აღნიშნული ორგანიზაცია გახლავთ სავაჭრო დავების მოგვარების ადგილი, რომელიც, ასევე, ადგენს საერთაშორისო ვაჭრობის წესებს და ხელს უწყობს მის პრაქტიკაში განხორციელებას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის ადგილი, სადაც წევრი სახელმწიფოები ცდილობენ, გაარკვიონ და გადაჭრან მათ წინაშე არსებული საერთაშორისო პრობლემები და გამოწვევები ვაჭრობის სფეროში.

<http://www.wto.org/>

**კითხვა:** მიგაჩნიათ თუ არა რუსეთის ფედერაციის განქვეითება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სწორ გადაწყვეტილებად?

იმჯერად საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებზე. რა უნდა გაკეთდეს აღნიშნული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად? მიგაჩნიათ თუ არა მიზანშეწონილად საერთაშორისო ბარიერების არსებობა მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვის, ან დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით?





**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა 1995 წლის 1 იანვარს. მისი მუდმივი ადგილსამყოფელი შვეიცარიის ქალაქი ჟენევაა.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია არის სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო ბაზრებზე ბარიერების მოხსნა, თუმცა, იმავდროულად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ცდილობს შეინარჩუნოს კიდევ ცალკეული ბარიერები, მაგალითად, მომხმარებელთა უსაფრთხოების დაცვისა და დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.



**8. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი**

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსით ფუნქციონირებს. **იგი 1944 წელს დაფუძნდა და ამოქმედდა 1945 წლის 27 დეკემბერს, 29 სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.** თუნდაც ამ მონაკვეთიდან ნათლად ჩანს (რაზედაც წინა თავებში გვქონდა საუბარი), რომ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის მიერ გამოხატულ ნებაზე, ხოლო ნებისმიერი საერთაშორისო დოკუმენტი იურიდიულ ძალას იძენს მაშინ, როდესაც ამას აღიარებენ სახელმწიფოები.

<http://www.worldbank.org/>

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიზნად ისახავს გლობალური ფინანსური სისტემის უზრუნველყოფას უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსებისა და საგადასახდელი ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით, გარდა აღნიშნულისა, ტექნიკურად და ფინანსურად ეხმარება განვითარებად ქვეყნებს.

დღევანდელ დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდში 188 წევრი სახელმწიფოა გაერთიანებული, რომელთა მიზანია მსოფლიო სავალუტო თანამშრომლობის განმტკიცება, ფინანსური სტაბილურობის დაცვა, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდა, მსოფლიოს მასშტაბით სიღარიბის შემცირება.



საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზნები:

- მსოფლიო სავალუტო თანამშრომლობა
- ფინანსური სტაბილურობის დაცვა
- საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა
- ეკონომიკური ზრდა
- მსოფლიოში სიღარიბის შემცირება

მსოფლიო ბანკი

მაშინ, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი ამოცანა ნებისმიერ ქვეყანაში მოკლევადიანი ფინანსური კრიზისების აღმოფხვრაა, მსოფლიო ბანკის პრიორიტეტი განვითარებადი ქვეყნებისთვის გრძელვადიანი დახმარების აღმოჩენაა.

**მსოფლიო ბანკი წარმოადგენს უდიდეს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც 1944 წელს დაარსდა. მისი შტაბბინა განთავსებულია ამერიკის შეერთებულ შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში.**

მსოფლიო ბანკი არ არის უბრალოდ საერთაშორისო ბანკი იმ სახით, რა სახითაც ვიცნობთ საბანკო დაწესებულებებს, არამედ ის არის უმსხვილესი საერთაშორისო პარტნიორული გაერთიანება, რომელიც მსოფლიოს 188 ქვეყანას აერთიანებს საერთო მიზნით: შეამცირონ სიღარიბის მაჩვენებელი მსოფლიოში და მხარი დაუჭირონ საერთაშორისო განვითარებას.

ბანკის მუშაობა შეგვიძლია 6 სტრატეგიულ მიმართულებად დავყოთ, კერძოდ: ღარიბი ქვეყნების დახმარება, სუსტი სახელმწიფოებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქვეყნების ხელშეწყობა, არაბული სამყარო, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების დახმარება, მსოფლიოში საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქონლის საკითხები, სასწავლო საკითხები და განათლების დონის ამაღლება.

საკუთარი სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად მსოფლიო ბანკი გაცემს უპროცენტო კრედიტებსა და დაბალპროცენტულ სესხებს განვითარებადი ქვეყნებისთვის, იმავდროულად, იგი მხარს უჭერს ინვესტიციებს ისეთ სფეროებში,




როგორცაა, განათლება, ჯანდაცვა, საჯარო მმართველობა, ინფრასტრუქტურა, საფინანსო ინსტიტუტებისა და კერძო ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა. გარდა საკუთარი ფინანსური სახსრებისა, მსოფლიო ბანკის ცალკეულ პროექტებს, როგორც წესი, აფინანსებენ განვითარებული ქვეყნების მთავრობები, კომერციული ბანკები, კერძო სექტორის ინვესტორები (მსხვილი ბიზნესმენები) და სხვა დონორები.

ბუნებრივია, განვითარებად სახელმწიფოთა ფინანსური დახმარება მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ახალგაზრდა სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც არათუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არამედ თავისუფალი ეკონომიკური სისტემის არსებობის გამოცდილებაც კი არ არსებობს. საბჭოთა კავშირის დროს ეკონომიკურ პროცესებს წარმართავდნენ არა კერძო საფინანსო ინსტიტუტები და ბიზნეს კომპანიები, არამედ სახელმწიფოს მართვის ცენტრალური აპარატი, ისევე როგორც ცალკეულ პროდუქციაზე ფასის დადგენა ხდებოდა არა გასაღების ბაზარზე არსებული ვითარების (მოთხოვნა ცალკეულ პროდუქტზე, მისი მიწოდება, წარმოებისა და ტრანსპორტირების ღირებულება და ა.შ.), არამედ სახელმწიფოს ნების შესაბამისად. ფაქტობრივად, აღნიშნული გარემოებების გამო, არაერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ეკონომიკური ვითარება საკმაოდ მძიმეა. ამდენად, მათთვის მხოლოდ ფინანსური დახმარება არ კმარა, არამედ საჭიროა, შესაბამისი გამოცდილების გაზიარებაც, რათა უკეთ შეძლონ საკუთარი ფინანსური რესურსების მართვა.



მსოფლიო ბანკი ამ მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს. იგი უზრუნველყოფს განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერას რჩევების, კვლევების, ტექნიკური დახმარებისა და ანალიზის სახით. იგი, აგრეთვე, უზრუნველყოფს ინვესტორთა ინფორმირებულობას, ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოსა და ეკონომიკური ვითარების შესახებ. მსოფლიო ბანკის მონაწილეობით არაერთი საერთაშორისო ფორუმი და კონფერენცია იმართება განვითარების საკითხებზე, რაც განვითარებადი ქვეყნებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კარგი საშუალებაა.

**კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ არ არის მხოლოდ ფინანსური დახმარება საკმარისი განვითარებადი ქვეყნებისთვის? რა მხრივ შეიძლება შეუმალოს ხელი გამოცდილების ნაკლებობამ განვითარებად ქვეყნებს?



მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ კონფლიქტს ფრანგულ-იტალიურ კოალიციასა და ავსტრიის იმპერიას შორის. სოლფერინოს ბრძოლა, რომელიც აღნიშნული კონფლიქტის შემზარავ ფრაგმენტს წარმოადგენს, განვითარდა ლომბარდიის ერთ-ერთი პატარა სოფლის-სოლფერინოს მახლობლად. ფრანგებს მეთაურობდა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ მესამე, იტალიელებს - ვიქტორ ემანუელ მეორე, ხოლო ავსტრიელებს - იმპერატორი ფრანც იოზეფი. სოლფერინოს ბრძოლა ფრანგულ-იტალიური კოალიციის გამარჯვებით დასრულდა.



## 9. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის ისტორიაც დაახლოებით 150 წელს ითვლის. თუკი აქამდე ჩვენ მიერ განხილული ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია დაარსებული იყო სახელმწიფოთა მიერ მიღწეული საერთაშორისო შეთანხმების შედეგად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაარსება უკავშირდება არა რომელიმე ქვეყანას, არამედ შვეიცარულ მენარმესა და საზოგადო მოღვაწეს ანრი (ჰენრი) დიუნანს, რომელიც 1859 წელს გახდა უშუალო მონაწილე სოლფერინოს ბრძოლის შემდეგ უპატრონოდ დაყრილი, სასიკვდილოდ გამეტებული ათასობით ფრანგი, იტალიელი და ავსტრიელი ჯარისკაცის ტანჯვისა. ნანახით შეძრულმა დიუნანმა გადანყვიტა დაეარსებინა ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებდა საომარი მოქმედებების დროს დაჭრილ მეომრებზე. მან დაწერა წიგნი „სოლფერინოს ბრძოლის მოგონებები“, რომელშიც დეტალურად აღწერა მის მიერ ნანახი საშინელება. აღნიშნულმა წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპულ საზოგადოებაში. საბოლოოდ, დიუნანის მცდელობა ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით, წარმატებით დაგვირგვინდა 1863 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაარსებით.



# ICRC

დღევანდელ დღეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენს უდიდეს საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, რომელიც მსოფლიოს 80 ქვეყანაში ახორციელებს თავის საქმიანობას. მისი ძირითადი მიზანია დახმარება აღმოუჩინოს სამხედრო კონფლიქტების, შიდა არეულობებისა და სხვა სახის კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ადამიანებს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული ჰუმანიტარულ პროცესებში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს, როდესაც იგი უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს დაპირისპირებულ მხარეებთან სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ, აგროვებდა მო-

ნაცემებს დატყვევებულ სამხედროთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ომის შედეგად დევნილ და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესახებ და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარებოდა მათ. მთავარი პრინციპი, რომელსაც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მუშაობისას ეყრდნობა, არის ის, რომ ნებისმიერი ომი უნდა მიმდინარეობდეს გარკვეული წესების დაცვით, კერძოდ, დაუშვებელია ძალადობა მშვიდობიან მოსახლეობაზე, არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამხედრო ტყვეთა წამების და დამცირების ფაქტებს, დაუშვებელია მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება და ა.შ. აღნიშნული პრინციპები, რომელთაც სხვაგვარად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებსაც უწოდებენ, ასახულია ჟენევის 4 კონვენციაში. აღნიშნული კონვენციები, ანუ საერთაშორისო შეთანხმებები წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად წყაროებს. მოცემულ კონვენციებში ასახულია არა მხოლოდ ე.წ. „ომის წარმოების წესები“, არამედ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის უფლებები და დაცვის გარანტიები. ჟენევის კონვენციების თანახმად, დაუშვებელია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ამოსაცნობი ნიშნის მქონე შენობების, ტრანსპორტის ან ადამიანების წინააღმდეგ ძალის გამოყენება, უზრუნველყოფილია მათი თავისუფალი გადაადგილება და ა.შ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციას. ის შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუკი აღნიშნული ორგანიზაცია არ შექმნილა სახელმწიფოთა მიერ შეთანხმების შედეგად, მაშინ როგორ ახორციელებს იგი საკუთარ საქმიანობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში? რა არის მისი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი? - მართალია, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაარსება არ მომხდარა სახელმწიფოთა მიერ, თუმცა მისი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი და იურიდიული მანდატი განსაზღვრულია ჟენევის კონვენციებით, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფოთა მიერ მიღწეული მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ჟენევის კონვენციები არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი წყარო, რომელიც ადგენს შეიარაღებულ კონფლიქტების დროს სახელმწიფოთა ქცევის წესებს. აღნიშნული კონვენციების მიღება პირდაპირ კავშირშია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაარსებასთან. სწორედ დიუანის მოღვაწეობას შეიძლება დავუკავშიროთ 1864 წელს ჟენევაში პირველი კონვენციის მიღება.

ჟენევის კონვენციების მიღება ერთდროულად არ მომხდარა, რადგანაც კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ომის წარმოების მეთოდები, ტექნიკა და ხერხები, ჩნდებოდა ახალი იარაღი. სწორედ ამიტომ, დროთა განმავლობაში დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალში აღნიშნული „დამანგრეველი პროგრესის“ სიახლეების ასახვა, შესაბამისად, ჟენევის პირველი კონვენციის შემდეგ მიღებულ იქნა 1906 წლის კონვენცია, აგრეთვე 1929 და 1949 წლის კონვენციები.

